

195913



# მნათობი

6

036060



1959



ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე

№ 6

ივნისი, 1959 წ.

## საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7772

### შ ი ნ ა კ რ ს ი

ზურაბ ლორთქიფანიძე — ბავშვი, ლექსი	3
ლადო ავალიანი — ახალი კორიზონტი, რომანი, მეოთხე ნაწილის დასასრული	5
ოთარ შამჭორია — გაბაფხულის მონატრება, ლექსი	37
ნინო აბაშიძე — ილია, მოთხრობა	38
ნიკოლოზ ჩაჩავა — ქედრულა მოდიდებულა, ლექსი	66
ხონბარი, ავარული საგმირო ლეგენდა. თარგმანი გიორგი კალანდაძისა	67
ილიკა ნოვიცი — ვრახოვსკი თარგმნის ჰავკეიამეს. ლექსი. თარგმანი არჩილ სულაქაურისა	71
სიმონ წვერავა — ახალი ცხოვრების თავფურცელი, ნარკვევი	73


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნოდარ ჩხეიძე — ტენდენციისა და ტენდენციურობის შესახებ	94
ალექო ხანაძე — ანდრო ლომიძის მოთხრობები	100
მურთუზ მურადოვი — ნიჭიერი პოეტი, შესანიშნავი ადამიანი	106
ველა ბანჭელაძე — ბედნიერების ცნების მარქსისტული გაგებისათვის	110
გ. ლომიანიძე — ჩეხოსლოვაკელ და ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობა	119

### ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები

პავლე ინგოროვა — პასუხი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს	125
ივ. ქავთარაძე — ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები	159
ნინო ჩიხლაძე — დომინიკა ერისთავ-განდევგელი და ვეპი-ფშაველა	165

ბ. შერაგ გვერდზე



პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი — XVIII საუკუნის მოსკოვის ქართულ კოლონიის ისტორიიდან	169
გ. ნუცუბიძე, ბ. შარაშიძე — ავლაბრისა და ნავთლუღის შემოერთება თბილისთან	175
დოქ. ქეთევან ლორთქიფანიძე — ერთი შენიშვნა საქართველოს ისტორიის ახალი ნახელობდვანელის მიმართ	179

**წიგნების მიმოხილვა**

ბ. ჩაველიშვილი — აკაკი წერეთელი და ქიათურის მარგანიცი	182
ფიქრია ზანდუკელი — რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები	185
გურამ ხათიაშვილი — თურქული მოთხრობების კრებული	187
ზოთა ძიჭივური — თეიმურაზ ბაგრატიონის კრაპტოგრაფიული ჩანაწერები	189
ახალი წიგნები	192

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-59 წ. ქალაღის ზომა 70×108. ინაწეობის ზომა 7¼×12¼. ნაბეჭდი თაბახი 12. უე 03708. ტირაჟი 6500. შეკვეთი № 326.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაპოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

## ზარბ ღოთიქიანიძე



### გავშვი

ბავშვი რომ ცდილობს გაფორთხდეს ბედად,  
მიწვდეს ვაშლს, ყვავილს ან წყლიან ფინჯანს.  
ჩემი ბავშვობის ღონიერ დღეთა  
ისევე თავიდან დაწყებას ნიშნავს.  
ჩრდილში გვექნება ღელისპირის ბჭობა  
ბროწეულების ყვავილთან, ქაცვთან.  
ბავშვს უმეგობრებს ჩემი ბავშვობა  
და მეც მეორედ დავიწყებ გავზრდას.  
გადიარბენენ დანისლულ მთა-ბარს  
ნაპურალებში, ნაბამბარებში,  
გარიტრაქისას ცვარნამით დამდნარ  
დაულვაშებულ მწვანე ყანებში.  
დააპურებენ კიკინა თიკნებს  
დაარწყულებენ ხარებს კოდაზე  
და დილით ხელში უჩანდეთ იქნებ  
ყველი და ცივი ქადი ორთავეს.  
უთუოდ იგი ჩემსაგვით მუდამ  
მოიხიბლება მთებით, კორდებით.  
ყოველივე მწველს მიიტანს გულთან  
და ამნაირად განემეორდები.  
სატრფოს კარებთან დაიწყებს ჩავლას,  
რომ სიყვარული ერუანტელს გვრიდეს.  
მე დამიბრუნებს დახარჯულ ძალას,  
მოვარდნილ დღეებს დავხვდები კიდევ.

### 2.

ხეალ ზევით მაღალ სხივთა ყავარჯენს  
უნდა ჩასჭიდოს პატარა ხელი.  
ციცქნა ნატერფლებს მკერდზე დაინენს  
ხავერდიანი მამულის ველი.  
ყრმასა ზრდის მძლავრი მამულის ცვარი,  
საგაზაფხულო ფერთა თამაში;  
მასში წვეთ-წვეთად გადადის მტკვარი  
და საქართველო იზრდება ბავშვში.  
უნდა შეენოდეს თანდათანობით  
ძლიერებანი მეხური გრგვინვის,  
ჩაიცვას დღეთა ათინათებით  
მაგრად ნაკერი პერანგი რკინის.



3.

ღამემ შეღება სივრცენი გარე  
 და შინ ატირდა ბავშვი რატომღაც.  
 გამოღვიძება აღრეა, აღრე  
 დედას აკვნიდან მაინც ამოყავს.  
 თვალკრემლიანი, გულამომჯდარი,  
 ფართქალა გული უმწეო ჩვილის, —  
 როგორ გავიგებ სარკმელთან მდგარი, —  
 დაქინებულად თუ რაზე ჩივის.  
 ის, რათქმა უნდა. ვერაფერს იტყობს,  
 მარტო ხმაურზე სწუხს და სწვავს ცრემლი  
 საუკუნისგან სიჩუმეს ითხოვს  
 ბავშვი ჩემს მკერდზე თვალმითვლემილი.  
 უცისარტყლებენ ნაშიან თვალებს  
 ქუჩის დარაჯი — ელნათურები.  
 ოდნავ ჩათვლემილს ნელა ვატარებ  
 სუნთქვაზე ჩუმაღ ვესათუთები.  
 არ შემიშფოთოს ქარის ამოსვლამ,  
 კარებს დაეტყო გრიგალის ბიძგი;  
 მცირე ჩხრიალი მოილო კოვზმა,  
 მცირე ხმაურზე იღვიძებს იგი.  
 უფრო ჩაეიკრავ პატარა სითბოს,  
 ხმაურისაგან რომ ეცა ელდა;  
 რალაც ვედრებით სიწყნარეს ითხოვს  
 მისი თვალეზი და გამოხედვა.  
 პირველ გაზაფხულს ესწრება ეხლა,  
 ხეებს ეღვრება კვირტებიდან რძე.  
 ჩაიგრუხუნა ვაკისკენ მენმა,  
 არ შემიშინოს ჯერ უმწეო ძე.  
 განგებ ხშირდება ხმაური თითქოს  
 და ჩვილი თვალებს ისრესს ხელებით —  
 სივრცეებისგან სიჩუმეს ითხოვს  
 ატირებული ბავშვის ცრემლები.  
 გულთან აყვანილ პატარა სითბოს  
 ვატარებ... ღამე შორს ჰქრის დევნილი,  
 საუკუნისგან სიჩუმეს ითხოვს  
 ბავშვი ჩემს მკერდზე თვალმითვლემილი.



ახალი ჰორიზონტი\*

რომანი



— ომი იმისთანა რამეა, ნუ გეშინია, არც მტერს ზოგავს, არც მოყვარეს! შენი წყევლის გარეშეც, იქითაც ბევრს გამოაყრუებს...

— რა სჯობს თქვენთან ყოფნას და ლაპარაკს, დეიდა ასმათ, მაგრამ... სად აქვს ახლა ადამიანს საამისოდ გულის მოსაჯერებელი დრო!.. ვიფიქრე, ერთი წუთით შევირბენ-თქვა და აგერ საათზე მეტია, რაც აქ ვარ. მგონია თავიც...

ნიკო მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა და სიტყვა გააწყვეტინა.

— შატბიას მერე ნეტა ვინ გეყავს შენზე ახლობელი?

თამარელა წამოწითლდა. მისთვის ადვილი მისახვედრი იყო, რასაც ნიშნავდა ახლობლად მონათვლა.

— ახლა კი დროა, წაიდე. კაბაც რა ხანია გაშრა, ფეხსაცმელებიც.

— მერე, ასე „მშრალად“ რომ გაგიშვავთ, გუნებაში არ დაგვძრახავ, ღვინო თუ არა, ჩაი მაინც დაელევიანებია ნიკო ბიძიასო?

— ნიკო ბიძია! — მორცხვად, ღიმილით გაუსწორა თვალი თამარელამ ძველ მეშახტეს. თამარელას კილოში ახლა საყვედურიც გამოსკვიოდა, გაკვირვებაც — ასეთ რამეს რატომ მწამებთო.

— არ მაკლი, კაცო?! — უკმაყოფილოდ შენიშნა ასმათმა მეუღლეს, — მეც ჩემი გეგმა მაქვს თუ არა? ჯერ ხომ უნდა გაგვეშრო, მერე გაგვეთბო, ახლა...

— ახლა, დეიდა, წასვლის მეტი არაფერი აღარ მაკლია!.. ისედაც დიდი მადლობელი ვარ!..

— ყველაფერს შენ ნუ გადაწყვეტ! ზოგი რამე ჩვენც გვკითხვ!

— დეიდა ასმათ, ისე მეფერებით, დედაჩემს თითქოს ჩემი თავი თქვენთვის ჩაუბარებინოს!

— რა იცი, არ ჩაგვაბარა? — დინჯად, ეჭვის აღმძვრელად მოუჭრა სიტყვა ნიკომ.

— ნიკო ბიძია, თქვენი სიტყვა მართალიც რომ არ იყოს, მაინც ისე დამაჯერებლად იტყვიოთ ხოლმე, კაცს ეშვიც აღარ შეეპარება!

— გამომიყვანე ვეჭილი! — სიცილით შენიშნა ნიკომ.

— ნიკო ბიძია, წელან რისთვისაც მოვედი, რჩევა რომ მინდოდა მეკითხა, ნახევარი კი მოგახსენეთ და...

— მერე, სულ თქვი, ვინ დაგიშალა?..

— თქვი, თქვი, შეილო! — თამარელას წაქეზებაში ნიკოს ახლა ასმათიც შეეშველა.

— წერილი ხომ წაგიკითხეთ... ვერ მომიფიქრებია, ვერ გადამიწყვეტია... რა პასუხი გავცე კაცოს... ყველაფერი შევატყობინო?

— საწყალი ბიჭი...

თამარელამაც, ნიკომაც უნებლიეთ შეხედეს ასმათს. თამარელამ ასმათის თვალუბზე გამობრწყინებული ცრემლი რომ შეამჩნია, თვითონაც თავი ველარ შეიკავა.

როცა ქალებმა ცრემლი შეიმშრალეს, ნიკომ ხმადაბლა თქვა:

— მაინც, რა იღბალი ჰქონია იმ შენს დაიკოს?! ოცდაათი წელიწადია მაღაროს და შახტის ჯურღმულებში დაეძვრები და...

— რალა მაია, შენ კი დიდი იღბალი

\* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3, 4, 5.

გქონია?! ძველ უბანში დაბრუნება და აფეთქება ერთი იყო!

— რა გინდა, სალუტით შემხვდნენ!

ნიკოს ხუმრობამ, როგორც იყო, ღიმილი მოჰგვარა ცრემლებით დაღარულ სახეზე ასმათს და თამარელას.

— თამარელა! კაკოს რომ მისწერო, შენი ცოლი ერთი თვის წინ შახტში მძიმედ დაშავდაო, ამით შეიძლება მხოლოდ ავადმჯობით, იმას კი აფორიაქება ახლა აღბათ არ ექირებება... ვაუღანძღავიც ვერ გადურჩები — რატომ აქამდე არ შემატყობინეთო.

რაც ნიკო ლაპარაკობდა, ასმათიც, თამარელაც ერთთავად სულ ბუხარს ჩასცქეროდნენ. როცა ნიკო გაჩუმდა, ორივენი წელში გაიმართნენ, ნიკოსაც თვალი ისე გაუსწორეს, თითქოს კიდევ მოელოდნენ — რამეს იტყვისო.

— რას გაჩუმებულხართ? — თავაუღებლად ისე იკითხა ნიკომ, ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია.

— გვეთქმის რამე, ნიკო ბიძია?!

თამარელას პასუხს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა.

თამარელას არ შეუნიშნავს, როდის გავიდა ასმათი მეორე ოთახში, საიდანაც ახლა თეფშების კანტიკუნტი წკარუნნი ისმოდა. თითქოს ამ ხმამ გამოაფხიზლა და მოაგონა, წასასვლელი რომ იყოო, ის სწრაფად სწვდა ნიკოს მიერ საგულდაგულოდ დაკრებულ ფეხსაცმელებს. გამშრალი ცოტა ევიწროვა, მაგრამ ჩაცმა მაინც მოახერხა. მერე სკამის საზურგეზე გადაკიდებულ თავის კაბასაც წამოაწყო ხელი და მებზობელ ოთახს მიამურა, სადაც ახლა ასმათი ფუსფუსებდა.

როდესაც თამარელა ზეზე წამოიჭრა, ნიკომ მაშინ მიაქცია ყურადღება და თვალიც გააყოლა, გუნებაში კი გაიფიქრა — „ეტყობა, თავისას მაინც არ იშლის და წასასვლელად ემზადებაო“. — მერე ყური მიუგდო ქალების ლაპარაკს, მეორე ოთახიდან რომ გაურკვევლად ისმოდა. ერთი წუთიც და ასმათი სწრაფად გამოიჭრა მებზობელ ოთახიდან.

— შეკაცო, რა იქნებოდა, კიდევ

ცოტახანს შეგეყოლებინა სტუმარი? ხომ ხედავ, მოსწყინდა და აღარ იცდის.

— თუ ჩემი ხათრი აქვს, გამოვივადეს ერთი! თუ ქალია, მე მითხრას...

შუა კარებში თამარელაც გამოჩნდა.

— ნიკო ბიძია...

— ნიკო ბიძია! — წაუწვრილა ხმას ნიკომ, ეცადა, რაც შეიძლებოდა თამარელასათვის გამოეჯავრებინა. მერე დინჯი კილოთი განაგრძო, — თუ ჩვენთან ყოფნა შენთვის ისე მოსაწყენია, ქალიშვილო, აქ ერთი საათიც ვერ გაგიძლია, მაშინ...

— რას ბრძანებთ, ნიკო ბიძია...

— ასმათ! — გასძახა მეუღლეს ნიკომ, — გამოუტანე ერთი წითელი ხივერდის ყდაში ჩასმული სურათების ალბომი. — თამარელას თვალიც ჩაუკრა, მიახვედრა, — ვისი ნახვაც გინდა, ყველას სურათები იმ ალბომშიაო.

— მოდი, შვილო, მე ნუ მომაცდენ, შენ თვითონ მონახე.

— იყოს დეიდა, ნუ სწუხდებით, — მიაძახა თამარელამ უმალ უკანვე შებრუნებულ ასმათს.

— რაღა იყოსო! მიდი, ნახე!

— იყოს, ნიკო ბიძია, — მორცხვად გაიმეორა თამარელამ, — სხვა დროს ხომ კიდევ ამოვალ... მაშინ უფრო გულდამშვიდებული დავათვალიერებ.

— ახლა რა, ღელავ თუ?! — ეშმაკურად იკითხა ნიკომ, — შე ქალო, ალბომი ვახსენე, სხვა ხომ არაფერი!

— ნიკო ბიძია, — წამოიძახა უცებ წამოწითლებულმა, ნიკოს გულისთქმას მიხვედრილმა თამარელამ, — სახლში პატარები დაეტოვე... ვიამ იქნება არც დაიძინოს ჩემს მისვლამდე.

— აჲო... მებზობელიო...

— რაზუმიაკას ცოლი ყურადღებით არის, მაგრამ... ჩემი დაგვიანებაც უხერხულია... იფიქრებს, შემატოვეს ხელშიო. მაია რომ აღარ გამოჩნდა, ვიამ ისე იღარდა, ერთი კვირა ხმას არ იღებდა. თვალები დაუსივდა, გეგონებოდით, ფუტკარმა დანესტრაო. ახლა ცოტა შეეჩვია უდედობას. წარამარა კი მეკითხება — როდის მოვაო. ერთი ხანია

ვატყუებ, მამას ჩამოსაყვანადაა წასული-მეთქი, რა ქნას. დამიჯერა. ახლა ისე აღარ კირვეულობს.

ნიკო ადრეც, ახლაც სულ იმას ნანობდა, რატომ მივეცი მათს შახტაში მუშაობის ნებაო. „ისეთი გარემოება შეიქმნა, მუშებმა ისე ახსნეს მათს გამოჩენა საგანრიგოში, ველარც მე, ველარც მათამ უკან ველარ დავიბიეთ. შეიძლებაოდა კია... ორი ბავშვი, ავადმყოფი, ოჯახი მოსავლელი... ეპ, რას იფიქრებდა კაცი, თუ ასეთი უბედურება, მოგველოდა... მეც ხომ ბეწვზე ვარ გადარჩენილი...“ — როგორც გაიტაცა ფიქრმა, ისევე უცებ გამოერკვა ნიკო; თამარელას აჩქარებით დაუდასტურა, — ჰო, კარგად მოგიფიქრებია, იქნებ არ გაწყურეს გამჩენი და... ბავშვებს დედის ნახვა ეღირსოთ!. ის კი არა, რა მოხდებოდა, ბავშვები დროებით რომ ჩვენთან გადმოგვეყვანა? როგორ გინდა შეძლო შახტაში მუშაობაც და ბავშვების მოვლა-პატრონობაც?!

— ნიკო ბიძია, თქვენი ყურადღება ზოგს შეუძლია გამოიყენოს, მე კი არა!.. ჯერ ვახერხებ, სხვის შეუწუხებლათ, შახტში მუშაობასაც და ბავშვების მოვლასაც. მართალია, რაზუმიაკას ცოლიც მებმარება, ღვთისნიერ დედინაცვალს ჰგავს! მერე, ვნახოთ! ადრე თუ გვიან მათაც გამოკეთდება... კაკოც ჩამოვა.

„კაკოს ჩამოსვლის იმედი უფრო მაქვს, ვიდრე მათს გამოკეთების“ — გაიფიქრა ნიკომ, თამარელას კი ბეჭზე ხელი მოხვია.

— ყველაფერი კარგად იქნება. მათაც გამოკეთდება და კაკოც ჩამოვა. შენ ის თქვი, ...ამ ომს უცბად მოსარჩენი პირი რაღაც არ უჩანს, ა?

— ამხელა ცეცხლს, ნიკო ბიძია, ჩაქრობა არ უნდა?!

ამასობაში ასმათიც შემოზრუნდა მეორე ოთახიდან და ჩაიხე მიიწვია ისინი.

ნიკო რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. წელზე ხელი შემოიდო და ნაბიჯიც რომ უნდა გადაედგა, უცებ კვლავ ბუზრისაკენ იბრუნა პირი.

— ასმათ, ეს შენი კვახი რა დღეშია, არ ნახავ? ვითამ აქამდი რა დღეებში გაუწყურებოდა...

— მაცალე! ჩემი საქმის მე ვიცი. შეკაცო, რას ჩააცივდი ამ კვახს?.. რავე, ჩაის ხომ არ გინდა შეატანო?! — კვახს ვვერდი გაუსინჯა, მერე ასმათმა ნიკოს ურში რაღაც უჩურჩულა.

ნიკომ კმაყოფილის ღიმილით გაიქნია თავი. — რა ქალია, რა ქალი, — ჩაილაპარაკა თავისთვის. შუა ოთახში გაშტერებით მდგარ თამარელას მკლავში ხელი მოჰკიდა და თუმცა თამარელამ ერთი-ორჯერ შეხედა — „რა იქნება რომ გამიშვათო“, ნიკომ ანგარიში არ გაუწია თამარელას ამ უსიტყვო ვედრებას, ძალით გაიყვანა მეორე ოთახში.

სანამ დასხდებოდნენ, ნიკომ ღონბასელი ძმაკაციც გაიხსენა.

— ასმათ, ის ჩემი „მდგმური“ ვითომ ჯერ არ იქნება მოსული?

— რა დროს მისი მოსვლაა? მეორე ცვლა როდის გამოდის შახტიდან, დაგავიწყდა?!

— მაგის მეტი რა ვიცი, რა დამავიწყებს, მარა... მინდოდა, ამ საღამოსაც ჩაი ერთად დაგველია! თამარელასაც უფრო ახლოს გავაცნობდი იმ კაცსაც და მის ცოლ-შვილსაც.

— შე კაცო, ხვალ გააცანი!

— ხვალ არა და ამ დღეებში კი უსათუოდ შემოგივლით, დეიდა ასმათ.

რახან თამარელას ეჩქარებოდა ჩაისთვის დიდი დრო არ მოუნდომებიათ. თამარელა, ის იყო, დაემშვიდობა ნიკოს, ერთხელ კიდევ უთხრა მადლობა შეწუხებისა და ფესხაცმელის დაკერებისათვის. ნიკოსა და თამარელასთან ერთად აივანზე გამოსულმა ასმათმა უცებ შეიცხადა — ღმერთო მომკალიო. თამარელას უთხრა — დედაშვილობას, ერთი წუთი მომიცადეო, და ოთახში სწრაფად შებრუნდა. იქ მისი ფუსფუსი ხუთ წუთსაც არ გაგრძელებულა. როცა კვლავ აივანზე გაჩნდა ასმათი, ერთ ხელში რაღაც მოზრდილი შეკვრა ეჭირა, მეორეში — შატბაის მწიფე შვინდისფერი შალის ყაბალახი. შეკვრა რომ უცებ



ხელში შეაჩეჩა ნიკოს, ყაბალახი თავისი ხელით თამარელას თავზე კოხტად მოახეცა, ტოტები მკერდზე ჯვარედინად გადაუჭიმა და უკან, წელზემოდ შეუკრა ბოლოებით. გაოცებულ თამარელას მოულოდნელობისაგან ხმა ველარ გაეღო.

— ამ სიცივეში ასე რომ დადიხარ... რად მიხდა, შენახული მეღოს... ჩრჩილს შევაჯამო შატბიას ყაბალახი? იხმარე, გენაცვალე! ასე არ სჯობს, ნიკო?..

— მოფიქრებაში შენ ვინ გაჯობებეს! უნდა გამოგიტყდე, მეც ნამეტანი მასიამოვნე ასმით და... მგონია, არც თამარელას უნდა სწყენოდა!.. — ასმითისაყენ სახე მიბრუნებულმა ნიკომ ცალი თვალით ირიბად გახედა თამარელას და იკითხა, — კი, ხომ?..

— საწყენი რაა, მაგრამ... ასე შეიძლება?! — ძლივს ამოთქვა თამარელამ.

— რომ არ შეიძლებოდეს... — თამარელას დასანახავად ნიკომ ეშმაკურად გადახედა ასმითს.

თამარელამ თავი დახარა. მკერდზე გადაკეცილ ყაბალახის ტოტებს ხელი ფრთხილად შეახო და ოდნავ წინ წამოსწია... გული ახლა ისე უძგერდა, ისეთ გრძობას შეეპყრო, თითქოს ყაბალახის ტოტებს კი არა, თვითონ შატბიას სკეროდეს იგი მოხვეულ მკლავებში. მეოცნებე ქალწულს მეტიც არ უნდოდა. თამარელა ახლა ადვლელებულიც იყო, სახეზე წამოწითლებულიც.

— კარგი. — ძლივს ისე თქვა თამარელამ, თავი არ აუწვევია, — ახლა წავალ ასე, ხვალ კი ყაბალახს ან მე ამოგიტანთ, ან...

— თუ შატბიას ყაბალახს ასე ადვილად შეეღევი...

თამარელამ წამით თავი ასწია და ნიკოს გაოცებით შეხედა, მერე უცებ ისე მოღბა და გაუღიმა, ადვილი მისახვედრი იყო, რაც უნდა ეთქვა მისთვის — „როგორ ფიქრობ ნიკო ბიძია, გავიმეტებო!“

— ეს კი გიას და გურამს! — ასმითმა შეკვრა ნიკოს გამოართვა და თამარელას გადასცა.

— დეიდა! ეს რააა?! ასე ცხელი...

— ბევრი არაფერი. კეახივე შევილო!.. ხომ იცი, შინაური სახლში... ჩრმ... დაბრუნდება, ბავშვები სულ ხელებში შეჩერებიან ხოლმე. არ ივარგებს, ხელცარიელი მიუხვიდე. ხაჭაპურები ვერ გამოვეცხვე... ამით მაინც მოატყუე!

— ხაჭაპურზე ახლა ცოტა უკაცრავად! პურის ფქვილს წამლად ველარ იშოვი... — შენიშნა ნიკომ.

— არ ვიცი, დეიდა, რა ვთქვა... ახლა შენი შემწვარი და შენი ხელით გატანებული ეს კეახიც, თუ გინდა ოქრო ყოფილიყოს, ისე მადლიერი და დავალებული იქნება აწი ზიზზიბაძის ოჯახში!

— ისე ყვითელია, ოქროს მართლა ჰგავს! — იხუმრა ნიკომ.

— თამარელა! ნიკოს ხომ ხედავ, რა დღეშია? ოთახშიაც ძლივს დადის... ისევ მე გაგაცილებ.

— რას ამბობ, დეიდა...

კი, შეილო, მაგანე არ გინდა ლაპარაკი.

— რა ვქნა, უთხარი რამე, ნიკო ბიძია!

— რა ვუთხრა? ჩემი ყოველთვის კი არ ესმის!

მაულის თავშალი, ნიკოს რომ ჰქონდა ბეჭებზე მოსხმული, ხელის ერთი მარჯვე მოძრაობით ააცალა ასმითმა და თვითონ მოისხა, ნიკოს კი დაუტატანა:

— შედი, კაცო, სახლში, არ გაცივდე, გეიგონე ჩემი სიტყვა, ხელმეორედ საწვალელებელი არ გამიხდე.

ნიკომ ოთახის კარი შეაღო და ზღურბლზე შეჩერდა, ასმითმა კი თამარელასთან ერთად სწრაფად მიაშურა აივნის კიბეს. თამარელამ კიბის ზედა ბაქანზე ერთხელაც მოიხედა, თავის დაბლა დახრით ნიკოს ღამეშმვიდობისა კვლავ უსურვა და გამოეთხოვა. მერე ასმითს მკლავში ხელი გაუყარა, და ასე გვერდი-გვერდს ჩახუტებულნი, მთვარით განათებულ კიბეზე ფრთხილად ჩავიდნენ. თქორსაც გადაეღო, მაგრამ სისველე ჯერ არ ამშრალიყო და საფეხურებზე ფეხი სხლტებოდა.

ნიკოს მანამდე არ მოუშორებია მათ-

თვის თვალი, სანამ ეზოში, ჭიშკრის ახლოს, ხეებს არ მიეფარნენ. მერე კი ერთი ღრმად ჩაისუნთქა შემოდგომის ნესტიანი ჰაერი, ღამეში სამყაროს თვალი გადაავლო, თამარელას წასვლით გულდაწყვეტილმა უნებლიეთ გაიფიქრა — ამ უსასრულობაში რა არის ჩვენი სიცოცხლეო და, ოთახში შევიდა.

თუ წელან არაბიძისას მიმავალი თამარელა ტირილის გუნებაზე იყო, ნიკოსთან და ასმათთან სჯა-ბაასმა ის შეუმჩნევლად დააწყნარა; ასმათის ნაჩუქრმა, შატბიას შეინდისფერმა ყაბალახმა ხომ ოცნების ფრთები გამოასხა. მაგრამ ეს აღმადრენა დიდხანს არ გაგრძელბულა. შინსაკენ გაჩქარებით მიმავალმა თამარელამ თვალი მოჰკრა მოსახვევში საეკვოდ ატუზულ უცნობს. შატბიაზე ფიქრში გართულ ქალიშვილს შეუმჩნევლად რომ შეენელებინა, ახლანაბიჯს კვლავ მოუჩქარა. უცნობს შორიახლოს ისე ჩაუქროლა, მისკენ არც გაუხედავს. ჩაუქროლა და იმავ წამს უცნობის, ვედრებასავით შეძახილიც მოესმა... თავისი სახელის გაგონების უმალ თამარელამ ხმაზე იცნო, ვინც დაუძახა, იცნო და მყის მუხლები მოეკვეთა. რა ექნა, შეჩერდა. ბარდლა-ბიძინას ბექს ზემოდან გახედა.

ბარდლამ უფრო ხმადაბლა, საყვედურით შენიშნა:

— რა იყო, ქალო! უბრალო სალამსაც გვაძადლი?...

თამარელას ერთის წამით გაახსენდა ბარდლასთან ამას წინანდელი შეხვედრა შახტის ჯურღმულში და ის გუბე... შიშმა უფრო აიტანა, ენაც დაება. რახან თამარელა ხმას არ იღებდა, ისევე ბარდლამ განაგრძო:

— ... რა დაგიშავეთ ამის ფასი?!... ასე მგონია, თამარელა კი არა, თამარ მეფეც რომ შემხვედროდა, ალბათ ისიც არ ჩამივილიდა შენსავით მედიდურად?..

— ბოდიში, ვერ გიცანი... — მონანიების კილოთი, მაგრამ მწყურალად მიუჯო თამარელამ.

ბარდლა-ბიძინა დინჯად მიუახლოვდა თამარელას; თვალეზში გამომწყვევად ჩახედა. თამარელას გააცია... თვალეზში ასე ურცხვად ჩამტერება ცუდად ენიშნა. მაგრამ იფიქრა — „რა გაეწყობა, უნდა გავუძლოო“ და, წარბები, რაც შეეძლო, მწყურალად მოზიდა.

ბარდლა-ბიძინას სახეზე ღიმილი მოეფინა...

— სად, რა დროს არ მინახავხარ, მაგრამ... ასე ლამაზი, ახლა ამ მთვარიან ღამეში რომ ჩანხარ, ღმერთმანი, არ მახსოვხარ!

თამარელამ დამცინავად შეხედა ბარდლა-ბიძინას. ტუჩიც მიამიტად აიბზუა, ცალი წარბი კი ამაყად შეატოკა.

— არ გეხუმრები, მართალს ვამბობ! — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა ვაქმა.

— რასაც ფიქრობს, ზოგჯერ სჯობს თავისთვის შეინახოს კაცმა.

— როდემდის? — თამარელას მიბადვით ახლა ბარდლამაც მოხდენილად აზიდა ცალი წარბი და გაიღიმა.

— მე... თქვენი მრჩეველი არა ვარ. — თამარელამ ეს ისე გაბედულად თქვა, კაცი ეპვს ვერ აიღებდა, თუ ლელავდა, თუ გული ისე უცემდა, დათვლასაც ვერ მოასწრებდით.

— ჰოდა, სხვამ რომ მაპატიოს, მე თვითონ ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, ამ მთვარიან ღამეში, ასე ანგელოზივით გოგოს ერთხელ მაინც არ... გაყოცო! — ამის თქმა და მკლავების გაშლა ერთი იყო.

თამარელამ ერთბაშად სხვა ვერაფერი მოახერხა, გზეთში გახვეული, ჯერ კიდევ ცხელი კვახი ბარდლა-ბიძინას მიიხალა. გასაქცევადაც უმალ ზურგი შეაქცია...

ბარდლასათვის ეს, მართალია, მოულოდნელი იყო, მაგრამ მაინც არ დაბნეულა... კვახი მარჯვედ დაიჭირა და განზე ისროლა. ვიდრე თამარელა გაქცევას მოასწრებდა, ბარდლა-ბიძინა ის იყო, სწვდა, მაგრამ, თამარელას მაგივრად, მისი ყაბალახი შერჩა ხელში. გაოცებულმა ადგილიდან ფეხი ველარ დასძრა.

ბარდლამ იფიქრა, თამარელა შეეცდებოდა უშველოს თავსო, მაგრამ... ყაბალახის წატაცების უმაღლეს მობრუნდა იგი და ქორივით დაეცა ვაჟს. ბარდლა დარწმუნდა, თამარელა არასგზით არ დასთმობდა ყაბალახს, და უმაღლეს მოისახრა — ამით როგორ ესარგებლა... ყაბალახი მხარზე გადაიგდო და თავქვე დაეშვა. გადაწყვიტა — იმდენს ვარბენინებ და ისე დაველი, ხელის განძრევის თავი აღარ ჰქონდესო. თანაც საჭირო იყო ამ, მთვარით გაკაშკაშებული გზატკეცილიდან მისი განზე გატყუება... ისინი რომ აქ შებზოდნენ ერთმანეთს, ქალის ერთი დაკვილება საკმარისი იყო, ჯერ ეზოს ნაგაზებს, მერე მეზობლებს განგაში აეტეხათ, მით უმეტეს, ახლა, როცა ყოველი გაფაჩუნება ექვს იწვევდა. ბარდლა-ბიძინა და თამარელა ჯერ კიდევ შარაგზაზე მირბოდნენ. საბრალო გოგონა ისე გაემწარებინა შატბიას ყაბალახის მოტაცებას, თავი გაწირული ჰქონდა. ფიქრიც არ შეიძლებოდა, შატბიას ყაბალახი თამარელას ბარდლასათვის დაენებებინა. მას მერე, რაც გზად რიყის ქვას სტაცა ხელი, ასე შეიარაღებულს გული უფრო მოეცა. ახლა ბარდლა-ბიძინას მოსალოდნელ „სამკვდრო-სასიცოცხლო“ შებმასაც კი არად აგდებდა.

იღბლად თამარელას აფრასიონ უკლება და ღონბასიდან გადმოხვეწილი, ნიკო არაბიძისას დასახლებული მეშახტე ეველოკიმ პობეგაი შემოეფეთნენ. ცალ მხარეს საფეთქელთან აწეწილი თმა, გაშმაგებულის მზერა, ქოშინი, თავისთავად მეტყველებდა, თამარელას თავს კარგი არაფერი იყო. მეშახტეები ძალიან გააოცა მის ამ ყოფაში ხილვამ. შეიტყვეს თუ არა ყაბალახის გატაცების ამბავი, თამარელა ძლივს-ძლივობით დაამშვიდეს, დაარწმუნეს — იმას ყაბალახი კი არა, შენი წატყუება სდომებია; ახლა ხრიკი რომ არ გაუვიდა, რას იზამს, ზვალ თავისი ფეხით მოვა, მოტაცებულ ყაბალახსაც მოგიტანს და ბოდიშსაც მოიხდის — ცოტა ნასკვამი ვიყავი და გაგეხუმრეო.

თამარელას კუთაში დაუჯდა უკლებასა და პობეგაის სიტყვა. ბარდლას თავი ანება. მეშახტეებს თანხლებით შინისაკენ გაეშურა. არ უნდოდა მათი შეწუხება, მაგრამ უკლებამ და პობეგაიმ დაიყინეს — რა გინდა, ჩვენ გვესიამოვნება შენი გაცილება და უარს ნუ გვეტყვიო. გუნებაში უკლებაც, პობეგაიც შიშობდნენ — მართო რომ გავუშვათ, ვაითუ ბარდლა სადმე ჩასაფრებულა. შორიხლოდან უთვალთვალებს და უკან გაპყვესო.

თუმცა ახლა დაჯერებული იყო თამარელა — ბარდლა იძულებული იქნებოდა, ზვალ თავისი ხელით მიეტანა მისთვის ყაბალახი, მაგრამ ამ შემთხვევას მაინც ისე აფფორიაქებინა მთელი მისი არსება, არაფერს აღარ შეეძლო დაემოშინებინა იგი. შარაგზის ბოლოში, მარჯვნივ რომ გაუხვიეს და ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ. აქ, მალაზიებთან, რამდენიმე მეშახტე შემოეფეთათ. ყველანი აღელვებული ჩანდნენ. ხელში ზოგს სუფრის დანა ეჭირა მომარჯვებული, ზოგს ჩანგალი, ზოგს ქვა. რაკი აფრასიონ უკლებამ დროზე ხმა ვერ ამოიღო, მართო ის ჰკითხეს აჩქარებით — ხომ არავინ შეგხვედრიათო, და აფრასიონის პასუხს აღარ დაელოდნენ, გზა სირბილით განაგრძეს.

ამ ჯგუფს საკმაოდ ჩამორჩენილი, სასადილოს მებუფეტესაგან თამარელამ და მისმა მსუბუქებმა შეიტყვეს, ოციოდე წუთის წინ წარმატებული ბრიგადა რომ სასადილოში ვახშობდა, ვილაცამ ფასადის ვეებერთელა შუშებს ქვა ესროლა და ჩამოამსხვრია. ახლა მის საპოვნელად გამოცვივდნენ ეგ ბიჭები, მაგრამ... — მებუფეტემ სიტყვა აღარ დაასრულა. თამარელასთან ბოდიში მოიხადა და დაწინაურებულ ჯგუფს აღედევნა.

თამარელამ, უკლებამ და პობეგაიმ ჯერ მიმავალს გააყოლეს თვალი, მერე გაცილებით შეხედეს ერთმანეთს. მათ ეკვი უმაღლეს ბარდლა-ბიძინაზე აიღეს.

როგორც კი ბარდლა-ბიძინა დარწმუნდა, თამარელასთან აფრასიონ უკლებას მოულოდნელმა შეხვედრამ მისი ზრახვები ჩაშალა, შარავზას აღარ გააკარებია, საცალფეხო ბილიკით „შორი გზა მოიარა“ და შინ მშვიდობით მივიდა. ყველას ეძინა. კარი ბეჟან-ბუმ გაუღო. ბარდლა-ბიძინა იქვე, დერეფანში სულის მოსათქმელად ჩამოჯდა.

ბეჟან-ბუმ ჩურჩულვით დააყარა კითხვები.

— სად იყავი, რა დაგემართა, რა მეძებარივით ქოშინობ?!!

— რა ვიცი... იყო ისე საქმე... ცოტა ავურიე!.. ახლა არ ივარგებს, აქაურობას რამდენიმე დღით მაინც თუ არ გავეცალე!

— მოგდევდა ვინმე?... — ბეჟან-ბუს მართლა ის კი არ ენალღებოდა, ბარდლას მოსდევდა თუ არა ვინმე, ეშინოდა — კვალმა მდევარი ჩემს სახლამდე არ მოიყვანოსო. იცოდა, ბარდლა-ბიძინა სიკეთის დასათესად არ იყო ამქვეყნად მოვლენილი. „სიავე“ კი ბეჟან-ბუს ახლა თავისივე ეყოფოდა.

— ბური და ყველი თუ გაქვს, ბეჟან?

— რამდენიც გინდა.

— მოიტა. მაშოს სძინავს?

— ჰო...

— ნუ გააღვიძებ.

ბეჟან-ბუმ ფეხაკრეფით გამოუტანა ბარდლას თორნის ბური და ერთი წველა ყველი.

ბარდლამ ბური ორად მოკეცა, შიგ ყველი მოაქცია და სახელდახელოდ გაზეთში შეხვეული მაგიდაზე დადო.

— ბიჭო, შორს მიხვალ?!.. — მშობელივით მზრუნველის კილოთი იკითხა ბეჟან-ბუმ.

— არც ისე...

— შენს ბარგს სტოვებ?

— ვტოვებ, აბა, სად ვათრიო? ან რა ბარგია? ფანერის ორი ჩემოდანი, წერილმანებით. შენ მარტო ტილოს ყელიანი ჩექმები და მაზარა გამომიტანე. ეს ტყავის ქურთუვი აქ იყოს. თუ გინდა, ჩემ დაბრუნებამდე იხმარე შენ გემოზე.

— რად მინდა, ნეტა ჩემი მომახმარა!

როცა ბარდლა-ბიძინა მახარასა და ტილოს ყელიან ჩექმებში გამოეწყო, მაულის კეპიც მოიგდო კეფაზე, გაზეთში გახვეული ბური და ყველი კი ძლივს ჩასტია მაზარის გარეთა ჯიბეში. მერე ხელი სწრაფად გაუწოდა ბეჟან-ბუს, მაგრად ჩამოართვა და, ის იყო, კარებში გასვლას აპირებდა, რომ უცბად შედგამაშინ-ლა მოაგონდა ეთქვა:

— ბეჟან, თუ ამაღამ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ჯერ არ მოსულა-თქო! რა გენალღება. შენთვის ასე აჯობებს. ჰო, აგერ ამას გიტოვებ, — ბარდლა-ბიძინამ ხელით ანიშნა სკამის სახურგეზე გადაკიდებულ შვინდისფერ ყაბალახზე, — უცაბედად გამომყვა. ხვალ, თუ არ დაეზარება, თამარელას გადასცეს მაშო დეიღამ.

ბეჟან-ბუმ აღმაცერად გადახედა ყაბალახს და ბარდლა-ბიძინას თავი დაუქნია.

— მე... დავბრუნდები! — ამ სიტყვებზე ბარდლა-ბიძინამ ხელი ჩაიქნია და გარეთ გაიჭრა. ბეჟან-ბუმ უშალ მიხურა კარი. ფარდა კი ოდნავ გასწია და მიმავალს თვალი არ მოაშორა, სანამ ის ეზოდან არ გავიდა. როცა ჭიშკარმა გაიჭრიალა, აქამდე ხმაგაკმენდილმა ძალმა ერთი-ორჯერ უხალისოდ შეჰყეფა და ვვლავ მყუდროება ჩამოვარდა.

ბეჟან-ბუ ერთი წუთით გარინდებულ იდგა დერეფანში. ბარდლა-ბიძინას უეცარმა გამოჩენამ და გაქცევამ ძალაუნებურად ჩააფიქრა... მისი დანაბარებიც გაახსენდა თუ არა, ჯერ სკამის სახურგეზე გადაკიდებული ყაბალახი აიღო, მთვარის სინათლეზე ცნობისმოყვარეობით შეაბრუნ-შემოაბრუნა... ყაბალახის თვალღერებამი უეცრად წამოიძახა: „თუ ვინმემ მიკითხოს, ჯერ არ დაბრუნებულაო“. წარბები გაოცებით აზიდა, ყაბალახი ანგარიშმიუცემლად გადაჰკიდა და თითქო რამემ შეაშინაო, უშალ ოთახის ღია კარებში შევარდა...

რაც ლელა სახლიდან გაიქცა და ამხანაგებთან საერთო საცხოვრებელს შეაფარა თავი, მის ოთახში ბეჟან-ბუ იძინებდა განმარტობით. ძილის წინ თავ-

ქვეშ ხელბეშემოწყობილი დიდხანს იწვა ხოლმე სიბნელეში, ჰერისაკენ თვალბეშემოტრებული, და ფიქრობდა. ახლა კი, წინააღმდეგ ჩვეულებისა, თავზე საბანწახურული, ისე მოკრუნჩხულიყო ლოგინში, თითქოს იმალებათ. ბარდლამ წელიდან ისე უთხრა — თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ჯერ არ მოსულაო, რომ ბეჭან-ბუს გულში ჩაჰყვა ეს სიტყვები; და ახლა მოლოდინად ქცეული, ამაოდ ცდილობდა აკვიტებული ფიქრებისაგან თავის დაღწევას.

როდესაც მაშო საერთო საცხოვრებელში მივიდა, შუადღე იყო; მესამე ცელიდან დაბრუნებულებს ჯერ კიდევ ეძინათ. სტუმარს კარი მარინემ გაუღო და შინ შეიწვია. ფანჯარასთან მწოლარე, თავზე ნახევრად საბანწახურული ლელა უმალ იცნო მაშომ და მის საწოლს მიამურა, ნაპირზე ჩამოჯდა. საწოლის შეტოვების უმალ ლელამ საბანი თავზე გადაიდრო და თვალები კარგახანს ახამხამა, სანამ სინათლეს შეეჩვეოდა, მერე გოცებით დაიძახა — დედა, აქ რამ მოგიყვანაო, და ლოგინში წამოჯდა. მისი წამოძახება უფრო საყვედურისა და წყენისა იყო, ვიდრე სიხარულისა.

— შენი სიყვარულის მეტი რა მომიყვანდა, შეილო, თუ იცი? — არაბუნებრივად მიუგო მაშომ და მოფერებაც დააპირა, მაგრამ ლელამ შეაჩერა.

— რა მაგის დროა ახლა!

— სხვა ვერაფრისთვის რომ ვერ მოიცილის, დედა, შეილის მოსაფერებლად მაინც გამოიხახავს დროს...

— მოფერება... სანამ აკვანში ვიწექი, მანამდე უნდა დაგემთაფრებია.

— მაშომ, ის იყო, დააპირა შეილისათვის რალაც ეთქვა, მაგრამ მარინემ დაასწრო.

— დეიდა, რა მიხვედრა უნდა? მაგას ახლა სხვისი მოფერება უფრო ესიაძოვნება.

— მაშომ თავი სინანულით დაუქნია.

— მეც მესიაძოვნებოდა შეილო, თავისი შესაფერისი „მომფერებელი“ რომ

ენახა, მაგრამ... ახლანდელი ქალიშვილები რალაცა არ ჩქარობთ.

— მაგას რა უნდა.

— თუ „რა უნდა“, სად არის?

— ახლა, ეკლესიაში გაფორმებული მომფერებელი შეიძლება არა გვყავს, მაგრამ...

— ნეტა რა გაცინებთ. ყველაფერს რომ აგრე მასხრად ივლებთ, იმიტომაც გვაქვს მოსვენება დაკარგული.

— ეპ, დეიდა, როდის ყოფილან მშობლები მოსვენებული, რომ ახლა მოისვენონ?

— მართალს ამბობ, მართალს, — სხვა რა გზა ჰქონდა, დაეთანხმა მაშო მარინეს და მერე ლელას მიუბრუნდა, — არ ჩაიკვამ, შეილო? ძილის შებრუნებას ხომ არ აპირებ!

ლელა ნახევრად შიშველი იჯდა ლოგინში, ხელები წვივებზე შემოეკლო და აქამდე ყურს უგდებდა მარინესა და მაშოს ლაპარაკს.

— ღამენათევს ბარემ არ აწყენდა ცოტა კიდევ რომ წაეძინებია, მაგრამ, რახან ესტუმრე, — შენიშნა მარინემ და უმალ ლელას მიუბრუნდა, — ადექი! რით გავუმასპინძლდეთ დედაშენს.

— დედაჩემს რა გამასპინძლება უნდა, უცხო ხომ არ არის?

— თუ გაუმასპინძლდები, დედაშენს და მამაშენს უნდა გაუმასპინძლდე, თუ არა, ამ დროში სასმელ-საჭმელს კაცი უცხოზე დახარჯავს?!  
ყველას გაეცინა. ასეთი რამ ადამიანს მშვიდობიანობის დროს ხომ აზრადაც არ მოუვიდოდა.

მაშომ შემოსვლისას კი მოავლო თვალი ოთახს, მაგრამ ახლა გულდასმით შეათვალიერა და სთქვა:

— წელან როგორ დამავიწყდა მე-თქვა — აქა მშვიდობა-თქო... ხედავ, რა კარგად მოწყობილან?

— აბა რა გეგონა, მაშო დეიდა.. ის კი არა, რომ შეეხვეწო, ლელა, შეიძლება, აღარც წამოგყვეს შინ...

— მაგასაც ვნახავთ, როდემდის იქნება! აბა აქედან ხომ არ გავათხოვებთ?

— დედა, ვიცი, ტყუილად არ გაირ-

ჯებოდი, მაგრამ... თუ მართლა ჩემს წასაყვანად მოხვედი, იცოდეთ შენც და მამაჩემმაც — სანამ ბარდლა-ბიძინა სახლში გეყოლებათ, მე იქ ფეხის შემომდგმელი არა ვარ!..

მამომ მარინეს დასანახავად უმალ შეიცხადა:

— უიმე, ღმერთო მომკალი, თუ აგრე იყო, ვეთქვა ერთი სიტყვა და მამაშენი იმ ბიჭს ერთ წუთსაც არ მოაციდევინებდა!.. ეს რა მესმის?

ლელას გაეცინა. მარინე კი გაოცებული შესცქეროდა ხან ლელას, ხან მამოს, მაგრამ ჯერ მაინც ვერ მიმხვდარიყო, რომელი იყო მართალი.

— შენ როგორც გინდოდეს, შეილო... ბარდლა-ბიძინა კი წუხელი ჩვენს ოჯახს კი არა, მგონია აქაურობასაც კი ხნით გამოეთხოვა!

ლელა გაოცებით შეაჩერდა დედას — მატყუებ, თუ მართალს ამბობსო, მერე შესფოთებით წამოიძახა:

— ხომ არ იჩხუბეს იმან და... მამამ?!

— საჩხუბარი რა ჭონდათ? ისე, მოხასიათებია და...

— მასეთი თუ გინდა მოუსაგლეთში წასულა, — მოულოდნელად, გაქვლავებული გულისწყრომით შენიშნა მარინემ.

მამომ გაკვირვებით შეხედა მარინეს. ლელასთვის კი სულაც არ იყო მოულოდნელი მარინეს ასეთი წადილი. მას ბარდლა-ბიძინა თუნდაც იმისთვის უნდა სძულებოდა, რომ შურა არსენიძის ახლო მეგობარი იყო.

— ადამიანის გულით დაწყევლა ძნელი საქმეა, — დარიგების კილოთი შენიშნა მამომ, — თუ დასაწყევლია, ისევე ღმერთმა დაწყევლოს, სხვისი ცოდვა ჩვენ რაზე უნდა ვზიდოთ?

— ელოდე, მამო დეიდა, როდის დაწყევლის!.. მაგისტანების, მგონია, ღმერთსაც ეშინია!

მარინეს არავინ შედავებია. მამო გაკვირვებული იყო, ის რომ ასე ცხარობდა და ლელა კი დიდსულოვნად დუმდა.

— აბა ჩაიციე შეილო და, თუ აქ ძილი დაგაკელი, სახლში შეისრულე!

ლელას არც ხმა გაუღია, არც განძრეულა, თითქო ბარდლას წასვლის ამბავს და შინ დაბრუნების შესაძლებლობას სულაც არ გაუხარებიაო.

— ახლა, დეიდა, ის ქაჯი რომ დაბრუნდეს, ხომ მაინც მოუწევს... გამოქცევა და, არა სჯობია, ერთ-ორ დღეს კიდევ შეიცადოს ჩვენთან?

— არა შეილო, ის ისე გაიპარა, მალე დასაბრუნებელი პირი არ უნდა ჭონდეს!

— მაგას შენ ფიქრობ აგრე, დედა, მაგრამ ვთქვათ...

მარინე უმალ შეეშველა ლელას:

— მართალს ამბობს! რა იცით, ის რას ფიქრობს?

— ეშმაკმა არ იცის, ის რას ფიქრობს. მე კი მგონია, რამდენიც არ უნდა დაბრუნდეს, შინ ვეღარ შემოვფეშვებ!

— ჰო, მოგიყვანოს მამაჩემმა ის მკლავში ხელგაყრილი და თუ ქალი ხარ, ნუ შემოვფეშვებ!

— გუუბნები, ასე ვიხამ!

— ახლა ასე ამბობ, რომ დამაშოშმინო და წამიტყუო. მერე კი იტყვი — რაკვნათ, შენხელა ქალიშვილები, ვინ იცის, ფრონტზე რას არ უძლებენ და შენ აქ ბარდლა ვერ მოგითმენიაო?

— ჩემო ლელა, კაცმა რომ თქვას არც დედაშენია გასამტყუნარი...

— წელან მე მემზრობოდი და ახლა ასე მალე შემაქციე ზურგი?!

— რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ და.. თუ გულწრფელობა ღალატია...

ლელამ ხელი სტაცა ლოგინის ნაპირზე ჩამომჯდარ მარინეს, მიიზიდა და აკოცა.

— აგრე, შეილებო! — სიხარულით შენიშნა მამომ.

— დეიდა მამო, მე რომ მკოცნის, შენ ხომ არ გშურს?.. — სიცილით იკითხა მარინემ.

— მე ახლა მარტო ის მშურს, აქაურობა რომ ასე შეყვარებია ჩემს გოგოს!.. ლელა, თუ წამომყვები ხომ გამახარებ, თუ არა და, ის მაინც მითხარი, მამაშენს რა ვუპასუხო? ხომ მკითხავს, რა ქენიო?

— რა და... უთხარი, ვერ ვნახე-თქო!

— აგრე ადვილია მამაშენის მოტყუება? ან კიდევაც რომ მოვახერხო, ამ ხნის ადამიანს შემფერის?..

— დეიდა, ხედავ რას გასწავლის!..

— თქვენ კარგად იყავით, შვილებო! რაც არ გინდა, იმას ვერც ისწავლი.

— ლელა, რა სიტყვა-პასუხი სცოდნია დედაშენს?!

— მაგით არის რომ... — ლელამ დედას შეხედა, ვთქვა თუ არაო, — ბაზარში ყველას ჯობნის! რა გლახა საქონელიც უნდა ქონდეს გასაყიდი, ყველაზე ადრე დედაჩემი მოდის სახლში.

— ყველგან ყოჩაღად უნდა იყო, აბა რაგა!

— სხვა გზა არა ჰქონდა, შეიფერა მაშომ შვილის „ქება“, — ეპ, შვილო, რა იცი, გასაყიდი იყოს რამე თუ არა, ბაზარში დგომის არ შემრცხვება... ოღონდ ოჯახი იდგეს ფეხზე და, შენც კი გზაზე დაგაყენო!

— დასაძრახი, დეიდა, მარტო ქურდობაა!

— სხვაც რამდენია, შვილო, ვინ მოთვლის!.. იმ ჩემი ბეჟანის ნათლული — ბიძინა, არ ქურდობს, მაგრამ... მისი სიახლოვე მინც არ გვესახებება! — მაშომ კედლის საათს შეხედა. მისი ქანქარის ჩხაკუნის მხოლოდ ახლა ჩაესმა. საათის წვრილ ჯაჭვს ბოლოში ეკიდა ნახევარი კილოიანი გირი და სუფრის კოვზი. — ლელა შვილო, თუ სახლში არ წამომყვები, ცოტაზე მინც გამაცილებედავ, რა დრო გასულა! აქ ჯდომისთვის მცალია?

ლელამ სწრაფად გადმოჰყო შიშველი წვივები ლოგინიდან, პერანგისამარამ ფანერის უბრალო კარადასთან მიიბრუნა. კარადის კარმა უცებ ისე გაიღრჟილა, თითქო ღორს კლავენო.

ლელამ ჯერ ერთი კაბა გამოიღო, შემდეგ მეორე. ვერ გადაეწყვიტა რომელი ჩაეცვა. წითელი ძალიან მყვირალა ეჩვენა, ნაცრისფერი ძალიან უფერული. ფეხისგულეები რომ არ დაესვარა, ქუსლებით დააბიჯებდა ხის შეუღებავ იატაკზე; იატაკი ძალუმიდ ჭრილებდა და

ქუსლების ბაგაბუგზე ფანჯრის მიწებ-საც წვრიალი გაჰქონდა. **არქონდა**

ვარდისფერ კომბინეზონში! **სივსე** და მკვრივი მკერდი ისე უტოკავდა, გეგონებოდათ, უბეში რაღაც სულიერი ჰყავს დამწყვედეულიო.

მაშომ სუფრის გაშლას აღარ მოუცადა. მარინეს გულითად პატივზე უკმაყოფილიყოს კილოთი შენიშნა:

— ვინც ჩემს ხათრს არ ინახავს...

— კარგი, რა დეიდა. ჩვენს საუბრებზე კაცი უარს იტყვის, რაც გვაქვს სულ ტყბილი გვაქვს!..

— ტყბილ საქმელს, ტყბილი სიტყვა აუჯობებს, თუ კაცის გულის მოგება გასურს!..

— კარგი, აწი გვეცოდინება.

— თუ ღმერთი გწამთ, ქაიანზე ნურაფერს მეტყვიოთ, არც გუნებაზე ვარ, არც მალა მაქვს. მაინც ეს რა ჩვეულებაა! ვინც კი ფეხს შემოდგამს ოჯახში, მაშინვე ლექმა უნდა ვატაკოთ პირში!

— დეიდა, ეგ ჩვეულება ომამდისაც გვქონდა, მაგრამ, არავისგან გამიგონია, ცუდიაო!

— ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა...

როგორც იყო, ლელა გამოეწყო, მაშო გულის ამაჩუყებლად დაემშვიდობა მარინეს, საფეთქელთან აკოცა, გულშიაც ჩაიკრა და მის შესახებდავად, მგონია, ცრემლიც კი მოიღინა.

ქუჩაში რომ გავიდა, მაშოს იერიც შეეცვალა და კილოც. ლელას მკაცრად შენიშნა.

— იმ შენ „კეთილ“ ამხანაგთან ვერაფერი ვითხარი, მაგრამ ჯაფრი აქ მომავწია! — გამართული სალოკი თითო მაშომ ყელთან დანასავით მიიბჯინა. — შენი გამოქცევა და იმ გომბიოებთან საერთო საცხოვრებელში ყოფნა რომ ჩვენთვის ყელის გამოჭრაა, ამას მიხვედრა უნდა?!

მაშომაც რახან ერთი „აუშვა“ ენა, აღარც ცხრებოდა. ლელა კი ხმაგაქმენდილი და წარბშეკრული მიიბიჯებდა დედის მხარდამხარ.

— ჰა, გამომართვი. — გაზეთში ვახ-

ვეული რაღაც ნიეთი მაშომ ძალით შეაჩეჩა ხელში.

ლელამ გაკვირვებით შეხედა, თვალებით იკითხა — რა არისო და მიწოდებული შეკვრა ილღიაში ამოიღო.

— ბარდას წუხელი მამაშენისთვის დაუტოვებია, — მწერალის კილოთი განაგრძო მაშომ, — ყაბალახია. უთქვამს — თამარელას გადაეცითო. ეტყობა, წაართვა იმ გოგოს! ჰო და, მიუტან თუ არა, თამარელას, საერთო საცხოვრებლისაკენ აღარ გაბედო მიხედვა, — მაშომ შეუმჩნევლად, არც თუ ისე ძალიან, უჩქმიტა მკლავზე ლელას. — თუ არ გინდა, მამაშენმა... გაგპუტოს!

— დედა, ცოტა ხმადაბლა მინც ილაპარაკე, ქუჩაში ხალხი დადის, სირცხვილია.

— უყურეთ!.. იმისი არ გრცხვენია, მთელმა რაიონმა რომ შეიტყო სახლიდან შენი გაქცევის ამბავი და, მე ჰკუას რომ გარიგებ იმისი შემრცხვეს? — შვილის ჯიბრზე მაშომ ხმას კიდევ უფრო აუწია.

— რაღა ჰკუის დარიგება მინდა, ბავშვი ხომ აღარა ვარ!

— იქნება გგონია, პასპორტი რომ მოგცეს, ასაკთან ერთად ჰკუაც სრულწლოვანის გაქვს?!!

— კი არ გგონია, ასეა, მაგრამ... მშობლებს რა გჯერათ შეილების, რომ..

მაშომ ერთხელ კიდევ უჩქმიტა ლელას. ქალიშვილი ოდნავაც არ შეტოკებულა. მისთვის მოთმენა უფრო ადვილი იყო, ვიდრე გამქდავებით თავის შერცხვენა.

გზის ვასაყართან, თამარელას სახლისაკენ მიმავალ ლელას მაშომ ერთხელ კიდევ მიაძახა:

— იცოდე, გოგო, იქიდან შინ მოდი თუ არა, მამაშენს ისე აქვს კბილები ალესილი...

შემდეგ რა სთქვა დედამ, ლელას აღარ გაუგონია, რადგან თავისუფლად იგრძნო თუ არა თავი, ნაბიჯს მოუჩქარა.

\*

ხის ძირას თამაშით გართულ ბავშვებს ლელა მიესიყვარულა.

— დედა სახლშია?

გურამმა უმალ თავი დაუქნია, გადაიკითხა მოფერებით იღუმალის ნასიპოვნებზე, გაშტერებით და ცოტა მორცხვად უცქეროდა ლელას.

ლელამ კიბე აირბინა. გაუკვირდა, ძახილზე თამარელა რომ ნამტირალევი გამოეგება.

— რა დაგემართა?! — ერთ წუთში რა არ გაითქრა ლელამ.

— რა და... — ხელახლა წამოდენილი ცრემლები თამარელამ ხელით გადაიწმინდა, — ჩვენი შახტის უფროსი ამ დილით მომკვდარა, გოგო!..

— შერე... იმ ძაღლს ტირი?!

— ლელა! — გაოცებით შეჰყვირა თამარელამ და ცრემლებით ამრწყვეილებული თვალები ავად შეაშტერა, — არ გრცხვენია... ლუკა ნიორაძეზე კაცი მაგას იტყვის?

— ლუკაო? დმერთო მომკალი! მე ბუზალაძე მეგონა.

— ბუზალაძე... რა შახტის უფროსია.

— შენ იძახე, არ არისო! იმიტომაც არ ზის უფროსის საეარქელში!.. ჰირი იმას! ეგ რა მითხარი. საცოდავი ლუკა. რამდენი აწვალეს და მინც... —

— თავიდანვე ადვილად რომ ვერ შეურიგდები, თუ არა, მაგას მაშინვე აღარ უჩანდა მოსაბრუნებელი პირი.

— საწყალი. თავისი სიკვდილით ერთხელ კიდევ გაახსენა ყველას თავი! კარგი კაცი იყო.

— შე ქალო! ცუდის სიკვდილი ვის ეწყინება. — თამარელამ ამ სიტყვებზე მკლავში ხელი ჩაავლო ლელას, ტახტთან მიიწვია. ლელას არ უთქვამს ჩვეულებრივი — „მეჩქარება“. დაიკოს ნებას დაჰყვა. ორივენი დასხდნენ. სამწუხარო ამბავს წუთით რომ გადაევიწყებინა, ახლა ისევ მოაგონდა, რისთვისაც მოვიდა. კალთაში უსიტყვოდ ჩაუღო დიდი შეკვრა.

— რა არის? — თამარელამ გაკვირვებით შეაბრუნ-შემოაბრუნა შეკვრა, ვერ გადაეწყვიტა მისი გახსნა.



— ნახე, ნახე, შენია.

— ჩემი?! — თამარელამ ფრთხილად გახსნა გაზეთი და სახე უმალ სიხარულისაგან გაუბრწყინდა. ლელას გადაეხეცა და აკოცა. — კი, მაგრამ... როგორ ჩაგივარდა ხელში?!

ლელამ უთხრა, როგორც იყო.

— მიკვირს, თან რომ არ წაიღო იმ... ყახალმა.

— რაში გამოადგებოდა?

— გაყიდდა. მე შენ გეტყვი, ამისთანები არ ეხერხება!

— არც ისე წვრილმანია ბარდლა-ბიძინა.

თამარელამ ცოტა გაკვირვებით შეხედა ლელას; შეყოყმანდა, მაგრამ მაინც დაეთანხმა:

— არ ვიცი, იქნებ შენ უცეთესად იცნობ.

— თამარელა, დედამ რალაცა მითხრა, მაგრამ კარგად ვერ გავიგე... ეს ყაბალახი შენი იყო, დაგრჩა სადმე და ბარდლა-ბიძინამ იპოვნა, თუ...!

თამარელამ ისევ გაუსწორა თვალი ლელას — მართლა უნდა შეიტყოს, რაც მოხდა, თუ მცდის — აბა რას მეტყვისო და, რახან საექვო ვერაფერი შენიშნა, უბრალოდ უთხრა:

— ჰო, დამრჩა.

თამარელამ ყაბალახი ოთახში შეინახა და უკან რომ გამობრუნდა, ლელას ახლა სხვა საკითხზე გაუბა ბაასი.

— სულ დამავიწყდა, მეკითხა — როგორ მოეწყვე გოგოებთან, საერთო საცხოვრებელში?

— რა უჭირს. მოწყენილი არა ვარ.

— დიდხანს აპირებ დარჩენას?

— არ ვიცი, ბარდლა-ბიძინა მართალია, წაშავებულა, მაგრამ... იქნებ ისევ მალე დაბრუნდეს.

— მერე, შინაური გარეულს უთმობ... იქაურობას?

— ნუ დაუთმობ თუ ქალი ხარ!

— არც დამითმია, არც დაუთმობ და... ქალიცა ვარ!

— ყველა ხომ... შენისთანა ვერ იქნება.

— მაინც, რა ვარ ისეთი?..

— ალბათ ხარ, თუ არა... შატბიამ რალა შენ შეგიყვარა. მე უფრო ახლოს არ ვიყავი? პატარაობისას, სულ ერთად არ დავრბოდით შარაზე, სულ ერთად არ ვთამაშობდით?

თამარელამ სევდიანი თვალები მიპყრო ლელას.

— გიყვარდა?

ლელა უცებ წამოწითლდა. თამარელასთვის არ შეუხედნია, ისე უპასუხა:

— კი... ძმსავით.

— მარტო ძმსავით? — ცნობისმოყვარეობით ჩაჰკითხა თამარელამ, თანაც უმალ გაიფიქრა — რა აზრი აქვს ახლა ჩემს ასეთ ჩაცმებასო.

— ჰო, არა გჯერა? — შესაბრალისად მიუგო ლელამ, — ბავშვობიდანვე ასე ჩავინერგე და სხვანაირად შეყვარება ვერც წარმოედგინა, სადამდი შენთან არ მოკვარი თვალი...

თამარელას თანაგრძნობით გაეღიმა.

— ხომ არ ფიქრობ, როდისმე სამაგიერო გადამიხადო?

— არ გრცხვინია? — უცებ აენტო ლელა, — შენი რა ბრაღია!.. დარწმუნებული ვარ, შენ სულაც რომ არ დაბადებულიყავი, შატბია მე მაინც არ შემიყვარებდა. ის მარტო შენისთანას ეძებდა და, მას აქ იპოვნინდა, ჩემს ტოლებს შორის, თუ სხვაგან, სულ ერთი არ არის? შატბიასთანები ქვეყანაზე თვალდაუკული არ დადიან, რომ პირველი, შემთხვევით შემოხვედრილი ჩაიკრან გულში.

— ჩემო ლელა, ალბათ მართალიც ხარ და... გულწრფელიც!

ლელამ მორჩილად გაუღიმა და შენიშნა:

— შენთან რომ მოვდიოდი, რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ რამეზე მომიხდებოდა ლაპარაკი.

— ნანობ, თუ?

— სულაც არა. შეიძლება იმას დათ არ ვეგულვები, მაგრამ ჩემთვის ის სიკვდილამდე ძმსავით საყვარელი იქნება და... ძმსზე სიყვარულით ლაპარაკი რა სანანებელია, ან... ვინ დამიშლის?

— ხომ იცი, ჩემო ლელა, ჩემთვის ძნელი არ იქნება დაგეთანხმო, რადგან

შატბია... მეც მიყვარს. მის შესახებ კი მარტო კარგის გაგონება მესიამოვნება.

ლელამ ეშმაკურად შეხედა თამარელას, ცალი თვალი მოჭუტა და ხმადაბლა იკითხა.

— მოგდის... წერილები?

თამარელამ ისე შეხედა ლელას, ისე გაიქნია თავი, დასტურის უკეთესად გამოხატვა შეუძლებელი იყო. ამ „უარის“ ნიშნად თავის გაქნევანზე ორივეს გაეცინა.

— რამდენი მიიღე?

— ორი. მართალია, სამი გამოუგზავნია, მაგრამ ბოლო წერილით შევიტყვევ ერთი დაკარგულა, ისიც სწორედ მეორე ბარათი, რომლითაც მისამართს მატყობინებდა.

— შენ სულ არ მიგიწერია?

თამარელამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— კიდევ მოგწერს და მისამართსაც შეგატყობინებს. ან, თუ არა და... დეიდა ასმათს უთხარი, ნიკო ბიძიას უჩუქრად მოგცემს მისამართს.

— მრცხვენია, გოგო, როგორ ვუთხრა...

ლელას უცებ სახე გაუბრწყინდა.

— მაშინ, იცი რა?.. მე ვკითხავ. ვეტყვი, გოგოებს, ამხანაგებს გვინდა წერილი მიგწეროთ და პატარა ამანათიც გავუგზავნოთ-თქვა, გინდა ასე? ამ საღამოს მიინც უნდა შენახა დეიდა ასმათი: ფრონტელებისათვის თბილი ტანსაცმელის შეგროვების თაობაზე. ხელმძღვანელი ხომ ისაა ჩვენს უბანში.

ლელამ ისე გაახარა თავისი წინადადებით, რომ თამარელამ თავი ველარ შეიკავა და ერთხელაც გადაეხვია. მერე სიცილით უთხრა:

— შენ რომ თქვი, თუ იმ საბაბით გამოართმევ მისამართს დეიდა ასმათს, ამანათის გაგზავნა მართლა მოგიხდებათ.

— მერე, მაგას ვერ მოვახერხებთ გოგოები? — თავმომწონედ სთქვა ლელამ და წასასვლელადაც მოემზადა.

— დაიცა. — სტაცა ბეჭზე ხელი თამარელამ, — აგერ ჰადებს დავაცხოვ და ერთად ვისაუბროთ. ყველი ჰყინტიც

მაქვს, მაგარიც. იქნებ ლობიოც მოგვესწროს. რახანია არ გიქამია ჩემი გაკეთებული ლობიო ტყემლით. თუ გინდა სახარჯო ლეინოც დავაყოლოთ. ამას რაღა კითხვა უნდა!

— არა, წავალ, ჩემო დაიკო.

— სად მიგეჩქარება, სახლში მიგელიან, თუ...

— სახლში კი მიმელიან, მაგრამ მე... საერთო საცხოვრებელში მივდივარ.

— ლელა, იცი რა გითხრა? — აქამდე სისიამოვნოდ სახე მოლიმარი თამარელა უცებ დაფიქრდა, წარბიც შეიკრა, — იცი, რა გითხრა, — სერიოზულად გაიმეორა მან, — რაკი ჯერ-ჯერობით, სახლში დაბრუნებას არ აპირებ, თუ გინდა... ჩემთან ვადმოდი. ვერ დავეტყვით თუ რა? აქ ერთად კარგად ვიქნებით. მაინც სულ მარტო ვარ, ტოლი არა მყავს.

— დონხასელები?

— ძალიან კარგი ხალხია, მაგრამ, ხომ იცი, ყველას თავისი საზრუნავი აქვს.

— მაია?

— რა ვიცი, ექიმები იმედს მაძლევენ, მაგრამ მე უკეთესობას ვერ ვატყობ. ძალიან იტანჯება საწყალი.

— რანაირი იღბალია.

— მე რომ იმ ბარდლას გუბეში არ ჩავეგდე და ავით არ გავმხდარიყავი...

— მაშინ... ვინ იცის, იქნებ შენ ემსხვერპლე!

— ნეტავი!

— რას ამბობ.

— აბა ეს კარგია? ჩემი მიზეზით, მაია...

— ხომ გითხარი, იღბალია. რა შენი ბრალია, იცოდი, ასე მოხდებოდა, თუ რა? — გასამხნეველად, დარდის შესამსუბუქებლად ერთხელ კიდევ გაუმეორა ლელამ, გუნებაში კი გაიფიქრა: „იღბლიანია, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. სიყვარულში შატბიას აეხილა თუ არა თვალი, პირველად ეგ დაინახა. ახლა კიდევ აფეთქება იყო და... რა იცოდა იმ ბარდლამ, თუ გადასარჩენად აგდებდა წყალში თამარელას? რა გინდა, ღმერთიც წყალობს, ეშმაკიც“

— ლელა, ჩემო დიკო, იფიქრე, იმაზე, რაც გითხარი და თუ მოგეწონება... ნუ გეშინია, მე რომ შახტში, ჩემ ცვლაში ვივლი, ბავშვებს მოსაველელოდ მარტო შენ არ შეგატოვებ ხელში. აგერ არ არის რაზუმიაკას ცოლი? ვია და გურამი ისე შეეჩვივნენ, ბებიას ძახილით სულ კედლში დასდევენ. იმანაც ორიოდე ქართული სიტყვა ისწავლა და წამდაუწუმ „რა იყო ბიჩოს“ გაიძახის.

— თამარელა! რა სიხარულით დაგეთანხმებოდი, მაგრამ... მეშინია, არ შეგაწუხო. ვაი თუ მერე ველარაფერი მითხრა, ჩემი და ბარდლასი არ იყოს, მე აქ დამტოვო და შენ-საერთო საცხოვრებელში გაიქცე.

ორივემ ისე გადაიკისკისა, უცხო ამას უდარდლობაში ჩამოართმევდა, მაგრამ ახლა უდარდელი ვინ იყო რომ ისინი ყოფილიყვნენ. „გამოდარებას“ ხომ ჯერ პირი არ უჩანდა. ვინ იცოდა, ის ხუთი თუ ექვსი თვე, რაც სისხლისღვრაში გავიდა, ჯერ დასაწყისი იყო თურმე და არა დასასრული.

— მაშ გადმოხვალ ჩემთან?

ლელამ სიხარულით, სწრაფად დაუქნია თავი თამარელას და კიბე კისრისტეხით ჩაიბრინა. ხის ძირას თამაშობაში გართული ბავშვები ერთხელ კიდევ გადაკოცნა და გზა სირბილით განაგრძო. ქიშკარში რომ გადიოდა, აივნის მოაჯირზე გადმოყუდებულ თამარელას ხელი შორიდანაც დაუქნია.

უკვე რამდენიმე თვე გავიდა, რაც ლელა თამარელასას დაბინავდა. თავს ახლა ისე გრძნობდა, თითქო აქ დაბადებულიყოს და გაზრდილიყოს. ხასიათიც ისე შეუწყვეს ერთმანეთს, შორი მეზობლები კი-არა, მოსიყვარულე ღვიძლი დები გეგონებოდათ. ლელას მარტო ის აღარდებდა, კაკო ზიბზიბაძე რომ ჩამოვა, აქედან წასვლა უშეკველად მომიწევს და, რაღა მეშველებო. მაგრამ ჯერ არც ომს უჩანდა დასრულების პირი და არც კაკო იწერებოდა რამეს მალე ჩამოსვლის თაობაზე. აქაურობას ლელა ისე

შეეგუა და შეეთვისა, შინ დაბრუნება ველარც კი წარმოედგინა. ზიბზიბაძის ოჯახში, როგორც სამართლისტუმარს, ყველა ისე მოწინააღმდეგეობით და პატივისცემით ეპყრობოდა ლელას. არც ის რჩებოდა ამ მხრივ ვალში, ვინც მის მიმართ ყურადღებით იყო, ვინც მისთვის ამ მკაცრ დროში სააღერსო სიტყვას არ იშურებდა და საქმიანად უდასტურებდა თავის კეთილგანწყობილებას.

საკვირველი ის იყო, ლელას მთავარ ობლად დარჩენილი ბავშვებიც რომ ისე მალე შეეთვისენ და თამარელასაგან აღარც კი არჩევდნენ. ლელა ყოველნაირად ცდილობდა მათი გულის მოგებას. ობლებს არც მოვლას აკლებდა, არც გართობას. შახტიდან დაბრუნებული. რაიგ დადლილიც არ უნდა ყოფილიყო, ერთ-ორ მოკლე ზღაპარს მაინც წაუკითხავდა პატარებს. გურამი კი ისე გაწაფა წიგნის კითხვასა და კარნახით წერაში, რომ ალბათ ვერცერთი მისი ასაკის ბავშვი ვერ შეედრებოდა, თამარელა გულის სიღრმეში განცვიფრებული და თან დიდად კმაყოფილი იყო თავისი დისშვილისადმი ლელას ასეთი ყურადღებით. ლელა მას არც წინად სძულდა და ახლა ხომ სულ იმის ცდაში იყო, რითიმე ესამოვნებინა. რაც ლელა ზიბზიბაძის ოჯახში გადმოვიდა საცხოვრებლად, თამარელამ ძლივს მოიტქვა სული. ოჯახში შრომა ერთიორად შეუმსუბუქდა.

როცა თამარელას მეორე ცვლაში უწევდა მუშაობა და შინ ნაშუალამეცს ბრუნდებოდა, ლელა ჩვეულებრივ, მის მოსვლამდე არ იძინებდა. თამარელა ერთხანს საყვედურობდა — შენც ხომ დილით ადრე ასადგომი და შახტში წასასვლელი ხარ, რომ მითევ ღამეს, რას მითევო, მაგრამ ლელა თავისას მაინც არ იშლიდა. — ძილში ადამიანი ნახევრად მკვდარიფითაა. სიცოცხლე სიფხიზლე-შიაო. — უთხრა ერთხელ ლელამ. თამარელას არაფერი უპასუხნია. გულის სიღრმეში კი დაეთანხმა და მას მერე აღარ უსაყვედურობია სიფხიზლის მოყვარულ გოგონასათვის.

ლეღას გულის სიღრმეში სიამოვნებდა ხოლმე, როცა მეორე ცვლის დასრულების მათუწყებელი საყვირის ბუბუნის გარინდებულ ცას და მიწას შეარყევდა. იცოდა, ამის შემდეგ დიდი ხანი არ გაივლიდა და ჰიშკრის ნაცნობ ჰრაილსაც გაიგონებდა... მაგრამ დღეს თამარელას ჩვეულებრივ უფრო მეტად შეავიანდა. მესამე ცვლის დაწყების წინ აბუბუნებული საყვირის ხმაც უკვე რახანია მისწყდა, თამარელა კი ჯერაც არ ჩანდა. ლელამ თავს შეატყო, რომ ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა, მაგრამ მაინც ვერაფერი ელონა გულის გადასაყოლებლად აივანზე რომ ბოლთის ცემა დაეწყო. ან ამბის შესატყობად ტელეფონით შახტში დაერეკა, უეჭველია ბავშვებსაც გააღვიძებდა, მეზობელსაც. ერთხანს კიდევ ითმინა ლელამ აივანზე უძრავად ყოფნა, მერე ეზოში ჩაივინა და ვინ იცის ახლა მერამდენედ სცემდა ბოლთას სახლიდან ჰიშკრამდე. ავეისტოს ამ მყუდრო ღამეში ფოთოლიც არ იბროდა. ეს გარინდება უფრო მეტად აკრთობდა ლელას. ცდილობდა რაიმე მანუგეშებელი ხმისათვის მოეკრა ყური, თუნდაც მამალს ეყვილა უდროოდ დროს; მაგრამ რაც უფრო ატანდა თავს ძალას, თითქო მით უფრო უხშობდა სმენას ასეთი ძალდატანება. ამ დაუსრულებელ ლოდინში გული რომ გადაეღია და ცოტა არ იყოს შიშიც შეეპარა, ასე მარტოდ მარტომ რომ იგრძნო თავი, სახლს სირბილით მიაშურა. კიბის ზედა ბაქანზე სულის მოსათქმელად წუთით შესდგა, უკან მოიხედა. ეზოში ისევ ის შემამფოთებელი იდუმალი მყუდროება სუფევდა. ლელამ ფეხთ ვაიხადა, ჩუსტები აივნის მოაჯირის ძირას, შემოსასვლელში დააწყო და ფეხაკრეფით გაიარა. ოთახში ისე შევიდა, სხედაროს გაკირვეულებულ იატაკს მის ფეხქვეშ ახლა ერთიც არ დაუკენესია. ლელამ იფიქრა — გულის გადასაყოლებლად წიგნის წაკითხვას რა აჯობებსო და უკანა, მომცრო ოთახში გავიდა. იქ ერთ კუთხეში თამარელას პატარა მაგიდა იდგა. კარგად შენიღბული ნათურის შუქზე წიგნებ

გადაქექა. რახანია ისინი ამ მაგიდაზე ეწყო, მაგრამ ლელას ხელის ტრთხელაც არ უხლია. თამარელასაც არაფერი სუთქვამს. სად ეცალა ლელას აქამდე წიგნის ხელში ასაღებად, როცა შახტში მუშაობით დაღლილს, ოჯახშიაც იმდენი საქმე ელოდებოდა. მართალია, თამარელაც, რაზუმიაცას ცოლიც შველოდნენ, სადილის გაკეთება იქნებოდა თუ ბავშვების მოვლა, მაგრამ საქმეს თურმე რა გამოლევის ოჯახში. წიგნებს რომ ათვალერებდა და ფურცლადა, ლელას თვალში ეცა ერთი მოზრდილი, კოლენკორის ცისფერ კანიანი რვეული. რვეულს არც გარედან, არც მომდევნო პირველ ფურცელზე არაფერი ეწერა. მომდევნო ხუთი ფურცელიც ცარიელი იყო. შემდეგ იწყებოდა დღიური. პირველი ჩანაწერი დათარიღებული იყო 1941 წლის 24 ივნისით

„დღეს ფრონტზე მიემგზავრება შახტბია. რას მეტყვის ნეტავი, გამომშვიდობების წინ.“

25 ივნისი

„რას ვიფიქრებდი, თუ შახტბიასთან გამომშვიდობებას ვერ მოვახერხებდი. მაგრამ იქნებ ასე უკეთესიც იყოს... რაკი არ დამემშვიდობა, იმედია კიდევ ვნახავ...“

„წუხელი პირველი ღამე ვაკათიე ქვესკენელში. არ ვიცი მე მომეჩვენა, თუ რა იყო... შახტში ნამუშევარ კაცს ფრონტზე წასვლა ალბათ ისე არ გაუჭირდება...“

„მას მერე, რაც მეშახტეთა ქალაქის კლუბებში, დაწესებულებებში, სკოლებში ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა, როგორც შახტში, ისე გარეთ სულ ომზეა ლაპარაკი. ყველას პირზე აკერია — გამარჯვება ჩვენ დავგრძობა!“

„ბოლშევიკმა აგიტატორებმა მუშაობა გააჩაღეს — მეშახტეებთან ყოველ ცვლაში ატარებენ საუბარს...“

27 ივნისი

„რაც შახტბია წავიდა, მამამისი გვერდიდან აღარ მიშორებს. სულ მიცქერის. მეც იძულებული ვარ, ისე მოვაჩვენო, თითქო ამას ვერ ვგრძნობდე. სულ განზე

ვიყურები. რა თქმა უნდა, ჩემს ეშმაკობას ნიკო ბიძია მიხვედრილია და გუნებაში ალბათ ძალიანაც უნდა სიამოვნებდეს“.

28 ივნისი

„შაბტში მოვიდნენ ჰალარა და სულ გათეთრებული მოხუცებიც. ზოგიერთი აქ თურმე 10 — 15 წლის წინ მუშაობდა და ახლა ამ გაჭირვების დროს უნდათ გაიხსენონ ძველი ხელობა, დაგვეხმარონ. ჰალაები თუ მიდიან, ჩვენ რაო“.

30 ივნისი.

„ეს დღე ჩემთვის ბედნიერი დღეა, თუმცა შაბტია ასე შორსა... მივიღე მისი პირველი ბარათი. მე მეგონა, ომში მიმავალს ყველაფერი დაავიწყდებოდა... ჩემი თავიცი. მაგრამ არა... თვითონაც ძალიან შეწუხებულია და აქამდე დარდობს თურმე, წასვლის წინ რომ ვეღარ მნახა. ეტყობა, მატარებლიდანაც ჩემთვის თვალი ვერ მოუკრავს. ბარათი გზიდან მოუწერია. ჯერ მისამართს ვერ იტყობინება. როდის მომწერს ნეტავი მეორე ბარათს და მისამართს? არ ვიცი რას ვუპასუხებ. მაგრამ ძალიან გამიძინელდება პირველი ბარათის მიწერა“.

5 ივლისი

„ამ დღით შაბტიდან რომ მოვედი, ისე დაღლილი ვიყავი, მშვიერს ჰამის თავიცი აღარ მქონდა. წამოვწევი თუ არა, მკვდარსავით ჩამძინებია. კარგახანი გასულიყო, როცა ხმამაღლა სიცილმა გამაღვიძა. მე აივნის კუთხეში ტახტზე ვიწევი, შორიახლოს. იატაკზე ისხდნენ ვია და გურამი, კენჭებით და ჩხირებით ვითომ რაღაცას აშენებდნენ, თან ჩემსკენ გაკვირვებით იცქირებოდნენ და რიგრიგობით სიცილით გაიძახოდნენ — სად ხედავს დეიდა თამარელა შაბტიასო?... — ძილში თურმე ხმამაღლა ვეძახოდი შაბტიას“.

15 ივლისი

„ნიკო ბიძიამ მითხრა — რამდენიმე დღეა შევიტყვე, მაგრამ ვერ გითხარი — შაბტიას ბარათი მივიღია... ისეთს მაინც რას ვწერს რომ არ გავვიმხილეო. ისეთს, არაფერს-თქო. მაშინ, თუ იმ ბარათს არ შეეღევი, გადაგვიწერე მაინც მე და ას-

მათს. ზოგი რამე, რაც მარტო შენ გეხება, თუ გინდა, გამოტყვევო. გადაგვიწერდით, მაგრამ... სულ შე შეხებო და რალა გამოვტოვო-თქვა, სიცილით ვუთხარი, ნიკო ბიძიაც ყველაფერს მიმიხვედა. იმანაც სიცილით გამაფრთხილა — იცოდე, როცა საკუთრად მივიღებთ, არც ჩვენ წაგაკითხებთო“.

დღიურების კითხვით გართულ ლელას მოაგონდა თუ არა თამარელა, უმაღლა ივიანზე გავიდა და ჰიშკრისაკენ მიციებით მზირალმა დააყურადა. იმ არე-მარეზე წინანდებურად მყუდროება სუფევდა, რალაც შორეული, წყვეტილი ზუზუნის მსგავსი კი ჩახსმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. ისევე ფეხაკრებით შემობრუნდა უკან. ბავშვებს დახედა, საბანი გიას ფრთხილად გაუსწორა. კიდევ კარგი, ამათ მაინც სძინავთო — გაიფიქრა და უკანა ოთახში გასულმა თამარელას დღიურების კითხვა განაგძო. დღიურები სულ უფრო და უფრო აჩქარებული ხელით იყო ნაწერი, თითქო მისი პატრონი ოღროზოლო გზაზე მიმავალ მანქანაში იჯდა და ისე წერდაო. ალაგალაგ მაინც ისე იყო მიჩხანილი, ალბათ დამწერსაც გაუჭირდებოდა მისი გარჩევა. ლელამ სამიოდე ფურცელს ზერელედ გადაავლო თვალი და კითხვა მეოთხედან განაგძო.

2 სექტემბერი

„ღონბასიდან გადმოსხვეწილთაგან დღეს ჩვენსა დაბინავდა რაზუმიაკის ოჯახი. ნიკო ბიძიასას, მისი ძველი ნაცნობი — ევდოკიმ პობეგაი მოეწყო, თავისი ქალიშვილით — სვეტლანათი.“

5 სექტემბერი

„დღეს პირველად მომიხდა ჯერში პურისთვის დგომა. ბარათები ერთბაშად ვერ ვიპოვნე ჯიბეში. მეგონა-დაეკარგე და, უცებ ისე დამცეცხლა, ეს შიში ალბათ ერთ თვეს არ გამომიწინელდება. სხვებმაც შემამჩნიეს — სახეზედ რომ წამოვწითლდი. იმათი თანაგრძობის სიტყვები რას მიშველიდა ბარათები რომ არ მეპოვნა. მივიტანე თუ არა, მაიამ პური ოთხად გაყო. მეოთხედი მე მომცა. დანარჩენი თვითონ დაიტოვა. — მე და

შენ კი გამოვიზოგავთ სასაუზნოდ, სადლისათვის, თუ ვახშმისთვის, მაგრამ ბავშვებს თუ მივეცი სულ ერთად შექამენო. ეს ამბავი მეხამუშა, მაგრამ რას ვიტყვოდი. მაია მართალი იყო. ესეც ამის „წყალობაა“.

### 18 სექტემბერი

„შინ რომ მოვდიოდი, გზაში ქარქაშაძე წამომეწია. მითხრა — ძალიან კმაყოფილია შენი მუშაობით ბუხალაძე და ეცადე შახტის უფროსს არაფერი აწყენინო, რითი უნდა ვაწყენინო—თქო. რომ ვკითხე იმან ასე გამაფრთხილა — რას მოგცემს ნიკო არაბიძესთან მეგობრობაო... ამით მარტო უფროსებს გადაიმტერებ, ხომ იცი, ეგ კაცი არ უყვართო. არ ვიცი, არ მესმის რატომ უნდა ჰყავდეს ბუხალაძეს ათვალწუნებული არაბიძისთანა უზნის უფროსი. ესაა სამართალი და წესიერება? თანდათან ვრწმუნდები, ამ განსაცდელის დროს არაფერს არ ზოგავს ბუხალაძე არაბიძესთან ბრძოლაში. ამასწინათ ჩემდაუნებლიედ თავში ხელებიცი კი წავივლე და გუნებაში სულ იმას ვიძახოდი, ამის დროა ახლა! რა დროს ებრძვის მართლაც ეს წყეული... ნიკოსთანა თავდადებული სხვა ვინ გვყავს! რა უნდა იმ ბუხალაძეს? ასეთ კაცს კიდევ ყოველ კრებაზე პატრიოტად ნათლავენ და საზოგადო საქმისთვის ტანჯული გმირის გვირგვინს ადგამენ. წამოუცვამს თავზე ბუხალაძეს ეს ჭევეყანა და ისაა. რაღა ფასი აქვს ამის მერე პატრიოტობაზე ლაპარაკს? მახსოვს, ერთხელ როცა ბუხალაძის თაობაზე რაღაცა უსაყვედურა ასმათმა, ნიკომ ასე უპასუხა: — რას იზამ, ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლაა! ბუხალაძისთანეები კი არსებობისათვის მუდამ უსინდისო ზერხებით იბრძვიანო. ალბათ ამიტომაცაა, რომ ყოველთვის არ იმარჯვებს ის, ვინც მართალია“.

### 21 სექტემბერი

„ნიკო ბიძიას სანახავად დღეს მის საგანრიგოში რომ შევიარე და ვკითხე — სახლში თუ მიბრძანდებით, მეც თქვენსკენ მოვდივარ—თქო, გადარდიანებულმა ერთი შემოხედა და მითხრა: გარეთ

გამოსვლის მეშინია... თითქმის ყოველდღე ერთი-ორი ახალი დაქვერვებული შაოსანი რომ არ შემხვდეს, არ შეთქმუება... კაცმა არ იცის ხვალ ვის და, კიდევ რამდენს ჩააცმევს შავებს ეს ომი“.

### 28 სექტემბერი

„ქარქაშაძემ ჯერ ნიკო ბიძიას გაწყობილი უბანი ჩიბარა, თავისი, დაქვერული კი მას გადაულოცა... ახლა ნიკო ბიძია სოცშეჯიბრშიაც გამოუწვევია. მოდი და ნუ გაგეცინება“.

### 2 ოქტომბერი

„ყველაფერი გამოირკვა. ბირკების ქურდი, შურა არსენიძე, გაიქცა. აი თურმე რის იმედით იწვევდა ქარქაშაძე სოცშეჯიბრში არაბიძეს. შურას ოინი რომ მიაფუჩეჩოს, ბუხალაძე თურმე ნიკოს ისევე თავის ძველ უბანში დაბრუნებას ჰპირდება“.

### 8 ოქტომბერი

„როგორც იქნა, სულიკო წავიდა, ის რომ აქ იყო, ასე მეგონა — რაღაცა თავისუფლად სუნთქვას მიშლიდა“.

### 15 ოქტომბერი.

„ერთ მეშახტეს — კაკაბაძეს, განცხადება ჰქონია შეტანილი — ოღონდ ქარქაშაძის უზნიდან გადამიყვანეთ და თუ გინდათ ჭაში ჩამაგდეთ სამუშაოდო. მეორე დღეს გაუგია, ქარქაშაძის უბანს ნიკოს აბარებენო, გაქცეულა კანცილარიაში, განცხადება უკანვე მოუთხოვია და შუახე გაუხვევია: აღარ არის საჭიროო. ქარქაშაძის უბანში არაბიძეს ამწესებენ და მეც იქიდან არსად გადამსვლელი აღარ ვარო“.

### 25 ოქტომბერი

„რა მოხდა, რა!.. ჯერაც გონს ვერ მოესულვარ. იმ უსინდისოს, ბარდლას იმ დღეს წყალში რომ არ ჩავეგდე და ავად არ გავმხდარიყავი, ხომ გადაურჩებოდა მაია საშინელ მარცხს. რა პირით დაეხვდეთ კაკოს?“

თუ ლელა აქამდე მოუთმენლად ელოდა თამარელას მოსვლას, დღიურებმა ისე გაიტაცა, ახლა გუნებაში ნატრობდა — ნეტავი ცოტა კიდევ შეაგვიანდესო. წამის-წამ თამარელას გამოჩენის მოლოდინში ცოტა კიდევ ლელავდა,

კიდევ ჩქარობდა. ახლა მას მარტო ის აინტერესებდა — ჩემს შესახებაც ეჭნება რაიმე ჩაწერილი და იქნება მოვასწრო დღიურის ბოლომდე გადაკითხვაო. ლელა ახლა რვეულის ყოველ გვერდზე თვალის ერთი გადავლებით მარტო თავის გვარსა და სახელს ეძებდა. ფურცელი ფურცელს მისდევდა. თავის შესახებ კი დღიურში ჯერჯერობით ვერაფერს წააწყდა. ბოლოს ფურცელს თავი ანება და ბოლო ოთხი გვერდი დღიურისა ისევ გულდანსით გადაიკითხა.

15 ნოემბერი

„ბუზალატემ თავისი წადილი შეისრულა. აფეთქების გულისთვის პასუხისგებაში მისცეს ცვლის უფროსი კვერნაძემ. იმას კაცი გაიმეტებდა? გაათავისუფლეს შახტის მთავარი ინჟინერი ლევანი. ნიკო არაბიძე უზნის უფროსობიდან ბრიგადირად უნდა ჩამოეყენებინათ, მაგრამ ბუზალატემ არ ქნა. უთქვამს — ასეც ნუ ვავიმეტებთ, ცვლის უფროსად მაინც იყოსო. ეს იმიტომ გააკეთა, რომ იცის, ნიკოსთანა ხნირი კაცისთვის ცვლის უფროსობა ნამეტანი ძნელია“.

1942 წ. 20 აპრილი

„შახტში ორი დღით სამუშაოს გაცდენისათვის გუშინ კლარა გაასამართლეს და ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. არავინ არ მოელოდა ასეთ ულმობელ განაჩენს, მაგრამ... ასე სცოდნია ომს“.

25 აპრილი

„ფრონტზე ნაკლები გასაქირი ახლა, მგონია, არც შახტში უნდა გვადგეს. რკინის რელსების მაგივრად რახანია ხისას ვაგებთ და ჩვენს წვალებას ალბათ ღმერთიც ხედავს. რა ვაივავლახით ვაგორებთ ზედ ვაგონეტებს! ჩავგიტყდება თუ არა ხის რელსი, ვაგონეტსაც აღგილიდან ვედარ ვძრავთ. იძულებული ვართ, გადმოვაყირავოთ, გადმოვტვირთოთ და მერე, როცა ახალ რელსს დავდებთ, ზედ ვაგონეტსაც დავაყენებთ, ხელახლა ვტვირთავთ, ვაგონეტების გაგორებაზე ახლა უმთავრესად ქალებს

გვამუშავებენ. კაცები სხვა, უფრო მძიმე სამუშაოზე არიან გამწესებული“.

29 აპრილი.

„გუშინ მეც ვახლდი მეშახტეების ერთ ჯგუფს სოფელ უსიერში. თან წავიღე კაკოს პიჯაკი და ბათინკები. გადავცვალე ცხრა კილო სიმინდსა და ოთხ კილო ლობიოში. ტანსაცმელის ვარდა, ზოგს ურმით ავეჯიც ჰქონდა წამოღებული — სპილენძის ქვაბები, ტანსაცმელის კარადა, სკამები, ნიკელის საწოლი... ტანსაცმელისა და ავეჯისაგან თითქმის გაიწმინდა მეშახტეთა ქალაქი. ამას აღარავინ არ ჩივის, ოღონდ შიშის მოუხერხოს რაიმე“.

3 მაისი

„ნიკო ბიძიას რომ ვხვდები, სირცხვილით ვიწვი ხოლმე ისე აქვს შარავალი დაკერებული.“

ნიკო ბიძიასათვის ამხნაგებს ურჩევით—მიდი ბუზალატესთან, უარს ვერ გეტყვის ახალი ფეხსაცმელის მოცემაზეო. ნიკო ჯერ ქარქაშაძესთან მისულა. ქარქაშაძეს უთქვამს, მაგის შესახებ ლეონტის უნდა მოელაპარაკოო. ნიკოს ბევრი ყოყმანის შემდეგ ბუზალატესთანაც გადაუწყვეტია შესვლა. ბუზალატეს სიამოვნებით მოუსმენია ნიკოს გასაქირი და მერე უთქვამს — როგორ? საყვარელიძეს რომ ახალ-ახალი ჩუნი მიეცი, აქამდი არ დაუბრუნებიაო? — ნაჩუქარის დაბრუნება პირველად მესმისო, — უთქვამს ნიკოს და ცივად გამობრუნებულა. ფეხშიშველი ვივლი და მაგას კი აღარ ვთხოვ ფეხსაცმელსო. მოდიოთ და გაამტყუნეთ“.

„ზოგი მუშა ტანსაცმელ შემოღულით დადის, მაგრამ მაინც თავდადებით მუშაობს. რომ ვუყურებ, სწორედ მიკვირს მაგათი თავგანწირვა.“

10 მაისი

„ამ გაქირვებაში ბუხალაძეს თავისი ს. ხლისათვის ორი ოთახი მიუშენებია, ერთი ქვევით, ერთი ზევით. ნიკო ბიძიას, თუ რამე დარჩა ოჯახში, ისიც შახტაში წაიქვს, ლეონტი კი, რაც შახტაში ყველაფერს სახლში ეზიდება. ამასწინათ ორი ურემი საბიგე ძელები თავის ეზოში გადაუტვირთვინებია. ძალიან მსხვილი იყო და საბიგედ არ გამოდგებოდაო, ამ გაქირვებაში კაცი სიმსხოს დაეძებს? ოლონდ კი იყოს! მავანე მეტი მფარველი ვის ყავს და ამიტომაც, ალბათ, მავის „საგმრო“ საქმეებიც დაფარულია.

16 მაისი

„ჩვენ გასაჭირს ისიც დაემატა, რომ რახანია ხეირიანად აღარ გვიბანავია. წყალს შახტის აბანოში ისე თუ გადავივლებთ, თორემ საპონი ტანის კი არა, ხელის დასაბანადაც აღარაა. რა მეშველებოდა ორჯერ ნიკო ბიძიას რომ ძალით არ მოეჩეჩებია სარეცხის საპნის თითო მოზრდილი ნაჭერი. ამას თურმე ნიკო ბიძიას დონბასელ მდგომურს რაზუნიაკას უნდა ვუმაძლოდეთ. ერთხელ ნიკოსთვის უთქვამს — სოდას და თუნდაც მურალ ქონს თუ მიშოვნი, საპონს არ მოგაკლებთო. მართლაც, ცოტაოდენი საპონი კიდევ მოუხარშავს სახლში. გაიგებენ თუ არა, ამ საქმეში ალბათ ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდება. გაქირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“.

20 აგვისტო

„ამბობენ, კავკასიის ქედის გადაღმა დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლებიაო, ძალიან ვახშირდა დამალაობით მტრის თვითმფრინავების რაღაცა უცნაური წყვეტილი ზუზუნი. ქედსგადაღმიდან ზარბაზნების ღმუილი უკვე ჩვენამდე აღწევს. ყველაფერზე იგრძნობა მტრის სახსლოვე“...

ჩაესმა თუ არ მესერაშმიტის წყვეტილი ზუზუნი, ბეჟან-ბუ საცვლებს ამარა,

ფეხაქრფით გამოვიდა ეზოში. თუმცა უმთვარო ღამე იყო და არც მიწაზე, არც ცაში ერთი ნათელი ღამეც არა ჩანდა, მაგრამ წყვდიადს მიჩერებული ბეჟან-ბუ მანამდე უგდებდა ყურს ამ ილუმალ ზუზუნს, ვიდრე სულ არ მისწყდა იგი. „ამდენს რომ ბედავენ, ალბათ სახუმროდ აღარაა საქმე“ — გაიფიქრა ბეჟანბუმ და, აქამდე წიხლის მეტი რომ არაფერი უთავაზებია, შორიანლოს დაცუქულ ძალს მისააღერსებლად და მოსახმობად თითი თითზე ორჯერ გაუტყაუტუნა. ძალი უმაღ კუდის გამალელებული ქნევით ეახლა პატრონს, ფეხებში გაუგორდა. პატრონიც იქვე, ბალახზე დაჯდა, ძალს ყელთან ბალანსა და ტყავში ხელი ჩაბლუჯა, შენჯღრია, როგორც ცხოველს ესიაშოვნებოდა, ისე მოეფერა. ძალს ხელს აღარ უშვებდა, თითქო ეშინოდა, არ გამექცეს და ამ წყვდიადში მარტო არ დაგრჩეო. ბეჟან-ბუ, ბოლო ხანებში, სულ რაღაც ავის მოლოდინში, მოუსვენრად იყო. თავისი შიში და დარდი კი ვერავისთვის გაეშხილა. მაშოსთან ლაპარაკს უნაყოფოდ სთვლიდა, თანაც შიშობდა — ქალია, სულელურს ეტყვი თუ ჰკვიანურს, კორს, თუ მართალს, არ შეიძლება სადმე არ წამოსცდესო; ლელა სულ გაგარეულდა. რაც თამარელასთან დასახლდა იგი, მშობლებს თვეში ორჯერაც არ აკითხავდა. მიზეზი ჰქონდა: ახლა შახტში ორ ცვლაზე ნაკლებს თითქმის აღარ მუშაობდნენ. რჩებოდა რაღაც ექვსი-შვიდი საათი რომელიც ხეირიანად წამინებას და პურის რიგში დგომასაც არა ყოფნიდა. რაც ბარდლა-ბიძინა გადაიხვეწა, ბეჟან-ბუ გულს ველარავის უხსნიდა. ყველას ექვის თვალით უყურებდა. ხანდახან დილით ადრე გავიდოდა ხოლმე ბაზარში, გაჰყიდდა, რასაც მაშო გაატანდა და შინ ისე დაბრუნდებოდა, გზაში ერთხელაც არ შეჩერდებოდა: შემოხვედრილ ნაცნობებსაც არ გამოელაპარაკებოდა; ვინც უნდა ყოფილიყო, მიესალმებოდა და სწრაფად ჩაუვლიდა. ეს რამდენიმე ხანია, მესერაშმიტების წყვეტილ ზუზუნთან ერთად ღამის



მყუდროებაში ქვემეხების შორეულ, ყრუ გამოძახილივით ხმაც რომ ესმოდა, გუნებაში სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა — ღმერთო შენ შეგვეწიეო. რას გულისხმობდა „ღმერთო შენ შეგვეწიეო“ ამას ჯერ თავის თავსაც არ უმხეცდა. ბეჟან-ბუ პირჯვრის წერით შევიდა სახლში. იისფერი ნათურის სუსტ შუქზე, მაგიდის ჩრდილში ვერ შეამჩნია პატარა, სამფეხა სკამი და ფეხი წამოკრა. სკამი რამდენჯერმე ხმაურით გადაბრუნდა იატაკზე.

— რომელი ხარ?! — უმალ მოისმა მეორე ოთახიდან გამოღვიძებული მამოს ხმა.

— რომელი ვიქნები, მე ვარ. — ცოტა გაკვირვების და თანაც მობოდიშების კილოთი მიუგო ბეჟან-ბუმ და რახან წელს იტკივებდა, სკამის ასაღებად არ დახრილა, ფეხით იქამდე მიაჩოჩა, სადაც წელან უცაბედად წამოედო. ნათურა არ ჩაუქრია, კენესით წამოწვა იატაკზე გაშლილ ლოგინზე, ბალიშის მაგივრად ძველი, გაქექილი მუთაქა ამოიღო თავქვეშ, მკერდზე კი ხელუბი შემოიჭდო და ასე მიცვალებულივით უძრავად იდო ერთხანს; მერე ანგარიშმიუცემლად გადაბრუნდა კედლისაკენ; როგორც ძილისწინ ჩვეოდა, ორივე ხელის გული ლოყის ქვეშ ამოიღო და ბუსავით დიდრონი თვალები ნელა მინაბა.

ალბათ ერთ საათს მაინც ეძინა მხარ-შეუბრუნებლად. ძაღლის ყეფა ჩაესმა თუ არა, გაეღვიძა. ერთი-ორი ძალუმი წამოყეფების შემდეგ ძაღლის მისაალერსებელი წკმურთუნი გაისმა, ეტყობოდა, ეზოში შემოსული იცნო. ბეჟან-ბუმ გვერდი იბრუნა, რა ჯანაბა აყეფებდაო — წაიბურტყუნა და ის იყო კვლავ ძილისთვის უნდა მიეცა თავი, რომ უეცრად წელანდელზე უფრო ძალუმიად დაეცა სამფეხა სკამი იატაკს და წელანდელივით რამდენჯერმე გადაკოტრიალდა. ბეჟან-ბუ გიყვივით წამოიჭრა.

— კაცო, რა ღმერთი გიწყრება, რას დაბოდილობ ამ ღამეში! — ახლა უფრო გაჯავრებით გამოსძახა მეორე ოთახიდან მამომ და მხრის შენაცვლებისას

ტანტმაც ისე მჭახედ დაიჭრილა, თითქო ისიც გაჯავრებულყოფილი.

ლოგინზე ფიცხლად წამოხუჭდარმა ბეჟან-ბუმ შიშისა და გაციებისაგან თვალუბი-ლა დაახამხამა... ღია კარის ჩარჩოში მოჩვენებასავით გამოცხადებული კაცი დაინახა და კინალამ დაიყვირა მიშველეთო. მაგრამ უმალ გონი მოიკრიბა. იფიქრა — დაყვირება რაღას მიშველისო და ხელი ნელა გააცურა, ლეიბ-ქვეშ ამოდებული ქანგიანი სატყერის მომარჯვეების უმალ ფეხზე ისე წამოიჭრა, ეტყობოდა, გაჭირვებამ წელის ტკივილიც დააიწყა, ხნოვანებაც.

— რას შევბი, ვერ მიცანი?! — დაიშინა უცნობმა.

— აჰ! — აღმოხდა ბეჟან-ბუს. — ღმერთო შენ შემეწიე!!! ბიჭო, ბარდლა შენა ხარ?!

— მე ვარ ბეჟან, კრინტი! — შემოპარულმა ამ სიტყვებზე მეორე ოთახისკენაც ანიშნა.

ბეჟან-ბუმ ისე მიირბინა ფეხაკრეფით მეორე ოთახის კარებამდე, ბარდლა-ბიძინასთვის თვალი არ მოუშორებია. კარები ფრთხილად მიხურა, მამოს რომ მათი ლაპარაკი არ გაეგონა და ნელა მიუახლოვდა ამ უდროო დროს თავს წამომდგარ სტუმარს. რახან ბეჟან-ბუს ჩამოსართმევად ხელი არ გამოუწოდებია, ბარდლა-ბიძინა თვითონ შეეხო მკლავზე. მასპინძელი ცახცახებდა. ბარდლა-ბიძინამ იცოდა, ბეჟან-ბუ სულაც არ იყო მშინარა და მით უფრო გაუკვირდა; თუმცა იმასაც მიხვდა, ეს უფრო ნერვიული დამაბულობის ბრალი იყო.

ბარდლა-ბიძინამ მოიხადა მეშახტის მუხარადი, გაიძრო ჯარისკაცის დაგლეჯილი მაზარა. ეს თმაბურძგენილი კაცი, მარჯვენა მკლავზე იდაყვის ზემოთ სახელო აკაბიწებული, სახე და ხელუბ დაკაწრული, ნათურის მკრთალ იისფერ შუქზე კიდევ უფრო საშიში შესახედავი იყო.

მარჯვენა ლოყაზე და შიშველ მკლავზე სისხლს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო რივიანად მიხმობა.

აქანკალეზული ხელით ბეჟან-ბუმ იქვე, ლოგინზე მიაგდო ხანჯალი.

— რა მოჩვენებასავით გამოგვეცხადე... რა დაგემართა?... საიდან?... რა ამბავია ჩვენს თავს?! — აქანკალეზული ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეკითხებოდა მასპინძელი უჩვეულო სტუმარს

სტუმარი მაგიდასთან ჩამოჯდა.

— საიდან, ბიჭო, აღარ იტყვი? — კვლავ იკითხა ბეჟან-ბუმ ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ამ ამბავს შეიტყობდა.

ბარდლა-ბიძინამ თვალი გაუსწორა მასპინძელს და ნათლიას.

— საიდან და.. მეც არ ვიცი!..

— ეს რაღა ამბავია?! — ბეჟან-ბუმ აკაპიწებულ სახელოს ჩამოკიდებულ ნახევში წაველო ორი თითი და გასისხლიანებულ მკლავზე დააშტერდა.

—...რომ მოვდიოდი, ნაქეიფარს და ნახუბარს თითქო ეს მაკლდა... ხრამში ჩავგორდი და ხომ ხედავ რას დავემგვანე!.. ნათლია ჩემო ახლა დაკვირვების და გაკვირვების დრო არ არის, თუ ღმერთი გწამს, ქენი სიკეთე. ერთი, არაყი და სუფთა ჩვარი მომაწოდე.

ბეჟან-ბუმ ნახევარ ლიტრიანი ბოთლით ჭაჭის არაყი დაუდგა, სუფთა ჩვრის მაგივრადაც ცხვირსახოცი მიაწოდა. არაყში დასველებული ცხვირსახოცის ყოველ შემოფენაზე ბარდლა-სიმწრისაგან დიდხანს იძახდა: — უ-ჰუ-ჰუ-ს.

— არ იცი, რა იქნებოდა? — განაგრძო ბარდლა-ბიძინამ. — დავლიეთ... შემაგინეს... დაესცხეთ გემოზე ერთმანეთს. ცარიელი და საკსე ბოთლები ხელყუმბარებივით დაფრინავედა ჰაერში. სულ მივლევით სასადილო. სწორი გითხრა, ძლივს მოვიტანე სული აქამდე. ახლა... ერთ-ორ დღეს თუ მიბატოვებ, ხომ კარგი, თუ არა და როგორც მომნათლე და მაცხოხნე, ისევე შეგიძლია... წამწყმიდო!

— შენ, ბიჭო რაღა წაწყმენდა გინდა... თუ სადმეა, მგონია, ჯოჯოხეთშიაც აღარ მივიღონ!

— მაგის ნუ გეშინია! სამოთხე თქვი თუ არა, ჯოჯოხეთის ნომენკლატურა და ლიმიტი არა აქვს! ადგილი, რამდენიც გენებოს!

— მე პირიქით მეგონა.

— რა გეგონა! კიი კაცი ხუთიც არ არის საჭირო ჩემო ბეჟანი! სადაც წავედ-წამოვედი, რაღაცა არ შემიტყვია გამოუცდელი ანგელოზების საჭიროება! ყველგან გამოცდილ ეშმაკებს მოითხოვენ!

განაკაწრები რომ მოიბანა და დაუამდა, ბარდლას ცოტა გუნებაც გაუხალისდა.

— ნათლია, წყალს არ დამალევიანებ?

— ღვინოს მოგიტან შე კაცო!

— არა, ჯერ წყალი იყოს.

წყალი თუნგულით თავთან რომ ედგა, აიღო და მიაწოდა.

— შეიძლება ცოტა შემთბარი იყოს, თუ გინდა, ბიძინა, უფრო ცივს და ახალს მოგიტან, ეგერ, ხელად ამოვიღებ ქაში.

— არ გინდა, ნათლია. — ამ სიტყვებზე სწრაფად მიიყუდა ბარდლამ და ხარივით დაწაფებულმა ნახევარი თუნგული წყალი წუთში გამოსცალა.

საკმელიც მოუტანა ნათლიამ. ჭამას რომ შეუდგა, პურს სულ გლეჯდა და, ლეკმას ისე ყლაპავდა, თითქო დასადე-ჭავად არ ეცალა, თანაც გარშემო თვლებს ისე ავად აცეცებდა და აელვებდა, კაცს უნებლოედ შეეშინებოდა.

— მაინც.. სად იყავი ამდენხანს? მეგონა, სულ დაიკარგებოდი. აჰ, ჩემო ბიძინა, დაუსწრებლად გავასამართლეს და... ღუზურტირობისთვის ბარე ათი წელი მოგისაჯეს!

ბარდლამ ერთი უდარდელად შეხედა და ჭამა განაგრძო. ეტყობოდა, ძალზე დამშუული იყო. რესტორანში ნაქეიფარს სულაც არ გავდა.

— მაშ ათი წელი მომისაჯეს? რაზე მაინც, ამდენი!

— შე კაცო, კლარა არსენიძემ ორი დღე გააცდინა უმიზეზოდ და ექვსი თვით იძულებითი მიარტყეს, შენ

კი რამდენი თვე „გაიკდინე“ თუ იცი? იმასთან შედარებით რაღა ბევრია!

ბარდლა-ბიძინამ ხელი ჩაიქნია.

— ჩემო ნათლია... სად ვიყავი სად არა, მაგას უუ, როდის ვიამბობ... დიდი დრო უნდა! ისე, გახსოვს იმ ღამეს, შარშან იყო, არა? რომ გამოგემშვიდობე!.. დავაჯექი უბილეთოდ მატარებელს...

— რატომ რა, ბილეთის ფულიც აღარ მოგეძვევებოდა? ვერ თქვი, ბიჭო?!

— მივლინების ქალაღი არ მქონდა და ბილეთს ისე ვინ მომართმევდა. კონდუქტორი და რევიზორი კი შევაშინე, მაგრამ მატარებლის უფროსი რომ წამომადგა თავზე, მაშინ ცოტა მეც მეცვალა ფერი. მაინც რომ აღარ მომეშვა!.. ჩამაცივდა, მაგრამ რაფერ ჩამაცივდა... შენ, გარდა იმისა, უბილეთო ბრძანდები, რაღაცა, დეზერტირსაც გავხარო. ეს რა გულთმისანი ყოფილა-თქო, გუნებაში კი ვავიფაქრე, მაგრამ როგორ გგონია, ვაპატიებდი ამნაირ ლაპარაკს? კონდუქტორს რკინიგზის შინაგანკომელები გამოაძახებინა... სანამ ისინი მოვიდოდნენ, დრო ვიხელთე თუ არა, ერთი ისეთი ვთუთქე მატარებლის უფროსს, ტალანში თავდაყირა დაერქო. სანამ გაინძრეოდა, თვალის დახამხამებაში გავალე ფანჯარა და გაქანებული მატარებლიდან პაერში ბუშტივით გავფრინდი... კარგა მოშორებით ჩავიშუბლე ფხვიერი მიწაყრილის ნაპირზე, მერე ფერდობიკ ჩავირბინე და ის იყო, ჯაგებში უნდა შემერგო თავი, რომ, ვიგრძენი — მარცხენა მკლავი ერთბაშად დამძიმდა და მოწყვეტილივით ჩამომეკიდა. გავიგონე სროლის ხმაც — ერთხელ, მეორედ, მესამედ. ბედზე მატარებელი არ გაუჩერებიათ. კიდევ გავირბინე ასიოდე ნაბიჯი, მერე ჩავჯექი, რის წვალებით ჯერ ზედა ტანსაცმელი გავიძრე. პერანგი გრძელ ზონრებად დაეხიე, მკლავი შევიხვიე და მახლობელ ქალაქში რის ვავაგლაბით ერთი ძმაკაცის ოჯახს მივადექი. შურას დეპეშით ვაცნობე ჩემი ადგილსამყოფელი. შენ გაიგე თუ არა, არ ვიცი. აქედან ბირკის თაობაზე გაქცევის შემდეგ შურა ჰოსპიტალში მოე-

წყო და ერთი ამხანაგის შემწეობით ხშირად მატყობინებდა თავის ამბავს. იმას ვამბობდი, შურას ვაცნობე თქო. იმ დღესვე ჩამოვიდა. დაჭრილი რომ მნახა, გაოცდა და შეწუხდა, მაგრამ არ დაბნეულა. კრილობა საგულდაგულოდ ფრონტულად შემიხვია. მეორე დღეს ახლად ჩამოყვანილი დაჭრილების ერთ პარტიაში გამრია და ჰოსპიტალში დამაწვინა სხვისი გვარით და სახელით. კრილობა გამიზუხდა, კინალამ მკლავი დაგვარგე, მაგრამ, როგორც ხედავ, გადავარჩი. მერე ისევე მოყყევი ხეტიალს...

დანარჩენი ბარდლა-ბიძინამ ნათლიასაც დაუმალა. ყველაფრის ერთბაშად გამხელისა შეეშინდა. შეეშინდა ეთქვა, ჰოსპიტლიდან რომ ფრონტზე გავხავენეს, ეს მისთვის იმხანად ხელსაყრელიც იყო, რადგან მეშახტეთა ქალაქში დასაბრუნებელი პირი არა ჰქონდა, იფიქრა — თავის გამოჩენისა და ჯილდოების მიღების შემთხვევა მეძლევა და უარი როგორ ვთქვაო. თუ საბრძოლო დამსახურებისათვის ერთ ორდენსა და ორიოდე მედალსაც გავიყარე, ვინ რაღას გამოიბედავს მეშახტეთა ქალაქშიო. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. პირველივე ცხარე ბრძოლაში ბარდლა-ბიძინა მძიმედ დაიჭრა და მტერს ხელში ჩაუვარდა. მოუსვენარი ხასიათის პატრონს ტყვეობა არ მოეწონა და მოიკეთა თუ არა, რამდენიმე ამხანაგს თავისი საიღუმლო გაანდო, ბანაკიდან გაქცევა ითავა. კიდევაც გაიქცა, მაგრამ ხუთიდან ორ სხვა გაქცეულთან ერთად შეიპყრეს და ისეთი დღე დააყარეს, მრავალ ჰირნახულ ბარდლა-ბიძინას სიკვდილი მოანატრეს. ბოლოს „დაიყოლიეს“ და დავალებაც მისცეს — შენს სამშობლოში პარაშუტით ჩაფრინდები და იქ ჩვენი ჯარების შესასვლელად მოსახლეობაში ნიადაგს მოამზადებო. ბარდლა-ბიძინამ იფიქრა — სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობაზე უარი როგორ ვთქვაო, და წამოვიდა, მაგრამ... იმ შეცდომებს, რასაც უკვე ცხოვრებაში ითვლიდა, ერთიკ მიუმატა: თავის მშობლიურ მიწა-წყალზე — მეშახტეთა ქალაქში

პარაშუტით ჩამოფრენის შემდეგ, იმის მაგივრად, სადაც ჯერ არს, გამოცხადებულიყო და ყველაფერი გულახდილად ეთქვა, დაიშალა. ისევ მოუარა დაუფიქრებელმა თავზეხელაღებულობამ. ბარდლას ესეც აზარტული თამაში ეგონა...

— ბეჯან, მამ ათი წელი დაუსწრებლად მომისაჯეს? — გაიხსენა ბარდლა ბიძინამ. — თუ ასეა, ჩემო ნათლია, ერთ-ორ დღეს რამენაირად შენს ჭერქვეშ მიგუე, შემინახე და მერე მე ვიცი...

— შენც რა მოგარბენინებდა, ჩემი სახლი ეკლესია ხომ არ გეგონა, თავი რომ შემოათარე?

— ვიცი ახლა, არც ძველი დროა, და აღარც ძველი კანონებია, მაგრამ თუ შენი სახლი ეკლესია არ არის, სამაგიეროდ არც შენა ხარ ფარსადანი!.. რა მოგარბენინებდაო! ჩემი ნება იყო? მომენატრეთ! თანაც... თამარელას ჯავრიც გამყვა. ის გოგო, რაც დრო გადის უფრო და უფრო მიყვარს! თუ ცოტა ფეხი მოვიკიდე, ვინ იცის, შეიძლება კიდევაც... მოვიტაცო!

— ზღაპარი! — რაც გაიფიქრა, უნებლიედ წამოსცდა ბეჯან-ბუს.

— რატომ, ნათლია?! გამიჭირდება?

— იმას გაუჭირდება... შენთან!

— მიეჩვევა! — დარწმუნებულის კილოთი სთქვა ბარდლამ.

— მიჩვევამდე... რომ მოკვდეს?

— შენ ჭალეებს არ იცნობ!

— ჭალეებს... შენ იქნება ჩემზე უკეთ იცნობდე, მაგრამ... მაგისტანებს არა!

ბარდლა-ბიძინამ ეჭვით გადახედა, მერე თავი მოიფხანა და ღიმილით სთქვა.

— გეთანხმები. თამარელა სხვებს რაღაც არა გავს. იმიტომაც უფრო მომწონს!

— კი, მაგრამ, მოვიტაცებო, რომ თქვი, აქ მოყვანას ხომ არ უპირებ?

— თუ ღმერთმა ქნა, ფეხი მოვიკიდე და თამარელაც მოვიტაცე... ნუ გეშინია, არც იმას უპირებ აქ მოყვანას, არც მე დარჩენას.

ბარდლა-ბიძინას „განმარტება“ გულში დიდად ეამა ბეჯან-ბუს. მართალია, ნათლულია, მაგრამ ასეთი კაცი რაც

უფრო შორს იქნება ოჯახიდან, უკეთესია. მიიმე დრო და მტერიც კარზე რომ არ იყოს მომდგარი, კიდევ ჰო, მაგრამ ახლა ისედაც აღმაცერად უცქერიან ბეჯანსაც, მამოსაც და ამ გარემოების კიდევ უფრო გართულება ბარდლა-ბიძინას შემოკედლებით, მეტი თუ არა, სახიფათოა.

— ბარდლა! შენი საქმის შენ იცი, მაგრამ...

— თქვი, ნუ გეშინია, მაგრამ... თუ შეიტყვეს, აქ რომ ვიშალები, ამისთვის თავზე ხელს არ გადაგისვამენ, არა?

— არ უნდა ლაპარაკი.

— ვითომ იყავი თავზე ხელის გადასმას დაჩვეული?! რაც თავი მახსოვს, სულ გვირტყამდენ!

— ისევ ჩვენი უქკუობით.

— კი მაგრამ, ამ პატარა კოლოფში მაინც რამდენი უნდა იყოს ჭკუა, რომ ყველაფერს იყოს?! მოდი და გაანაწილე!

— თუ გააბნევ, არაფერზე არ გეყოფა! ჭკუაც ქონებასავითაა. ერთ საქმეს უნდა მოახმარო, ერთ საქმეში დააბანდო!

— მაგ სიკეთეს არც ჩემს თავს ვატყობ, არც შენს...

— მეც მაგას ვტირი, რას იზამ. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. როგორც ხედავ, კიდევაც გამოგვიყვანა წირვა ამ, ჩვეულების ტყვეობამ.

— ნუ გეშინია! მალე ან ასე იქნება, ან ისე...

— ჩვენ ვიკითხოთ, თუ არა...

— ვერ ხედავ? ყირიმი და უკრაინა ხომ... ახლა ჰიტლერის დივიზიები აგერ, ა, კავკასიის ქედსაც მოადგენ! ლამ-ლამობით არ გესმით ზარბაზნების ხმა? მაგრამ ეს არაფერი. კიდევ დიდი სისხლის ღვრაა მოსალოდნელი. სტალინი ერთ მტკაველ მიწასაც არ უთმობს უბრძოლველად. კიდევაც უთქვამს — მტრის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდესო!

— კი ბატონო, იწვოდეს, მაგრამ ასე გახურებული მიწა შენიანს აღარ დაწვავს ფეხს თუ იცი?!

— ახლა ვინდა ფიქრობს საკუთარ თავზე ჩემო ნათლია!

ასე ჩურჩულებდნენ ჭერში.

როცა მასპინძელმა ჭერიდან ჩამოსვლა დააპირა, სტუმარმა ერთხელ კიდევ მოიხმო ის და უთხრა.

— ამბობენ, ამ ორ დღეში მტერმა შეშახტეთა ქალაქი უნდა დაბომბოსო.

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ!

— რა გასაკვირია, რახან ქედს მოადგა, აქეთ გადმოსასვლელად მაგასაც არ მოერიდება!

— რა, დაშლით, ჭკუა არ დაუშლის, რა ენადლეუბა, მაგრამ...

— როგორ ფიქრობ, ნათლია? ივარგებს, ზოგი ახლობელი მიინც რომ გააფრთხილო?

შეშინებული და ჩაფიქრებული ბეჯანბუ აღარც ხმას იღებდა, აღარც იძვროდა.

— ღმერთი კი არ გაიფიქრეს და ჩემი სახელი არსად ახსენო! — დაუმატა ნათქვამს ბარდლა-ბიძინამ.

ორ ცვლაში განუწყვეტელი მუშაობით ქანცმილეულ მეშახტეებს რომ ეგონათ — ცოტაც და მოერჩებით საქმესო, უეცრად სწორედ სანგრევის შუაგულში აუტყდა ბიგს „კენესა“. გასსაცდელს დიდი ხანი არ ულოდინებია ბიჭადის ბრიგადის წევრები... ორმოცდამეათე პორიზონტზე იმ სანგრევიში, სადაც თამარელა მუშაობდა, გერასიმე სოფრომაძის ავადმყოფობის გამო, დროებით, მის ადგილზე ბიჭადე გადმოიყვანეს. ბიჭადემ მოხერხებული ხრიკით უმალ გააძევა ქალები — ლიდა და ვენერა. ბრიგადა ცირეკიძითა და გოგია ჩაფიძით შეავსო. ამან საქმეს ვერ უშველა, რადგან ჯგუფს მუშაობაში ერთსულოვნება აკლდა... ბიგმა ვაკიანურებული ტკაც-ტკუცის შემდეგ ერთბაშად მოიღო ჭახანი, სწორედ შუაწელში გაიდრია. მუშები ამ ხმამ ერთბაშად და უჩვეულოდ შეაკრთო. საჭირო იყო, თავგანწირული შექიდება უბედურებასთან, ბიგების ფიცნლად მოზიდვა და ჭერის დროზე გა-

მაგრება, სანგრევი რომ მთლიანად არ ჩამოქცეოდათ თავზე. ეს სანგრევი რომ ცვლის დასაწყისში მომხდარიყო, როცა მუშაობას შეუდგნენ, კიდევ ჰო, მაგრამ ახლა, შახტი გატარებული ორი ცვლის ბოლოს, როცა მუშები ფეხზე ძლივს იდგნენ, სწორედ აღარ ჰქონდათ უბედურებასთან შექიდეების თავი და ყველამ ალბათ ერთნაირად იფიქრა — აქ ჩვენ ველარაფერს გავაწყობთო. რახან გასვლა იწყეს... პირველი ბერიძე გაიქცა სანგრევის გასასვლელისაკენ. მას თითქმის ანგარიშმიუცემლად მიჰყვნენ სირბილადე, ცირეკიძე და გოგია ჩაფიძე; გაქცეულებს არც ბიჭადე ჩამორჩენია, ის იყო, დამფრთხალ ბრიგადის თავის ბრიგადირიანად სანგრევიდან მშვიდობით უნდა გაეღწია, რომ ამ დროს ისე ჩაესმათ, თითქო ვილაც ხმამალა გულამოსკვნით სტიროდა, შველას ითხოვდა. ამან ყველა გააოცა და ერთის წამით ადგილზე გააშეშა... თამარელამ კი დაინახა თუ არა ბიჭები შეჩერდნენო, მსწრაფლ მოიფიქრა და... ახლა მისმა ხმამალამა სიცილმა შესძრა სანგრევი. გაქცეულმა მეშახტეებმა ჯერ იფიქრეს — ვილაც გაგეღაო, მაგრამ მოესმათ თუ არა — სად მიხვალთ რომ მიხვალთ, თქვე გლახებო მე აქ მტოვებთო, — სირცხვილნაჰამმა ბიჭებმა უმალ ზურგი შეაქციეს გასასვლელს და თამარელას მიაშურეს. მათ შესახედავად თამარელა უკვე შესდგომოდა სანგრევის ჩამოსაქცევად გამზადებული ჭერის გადამაგრებას.

— გოგო, რამ გადაგრია, გამოეცალე, სანამ დროა, თუ არა, ნახავ... —

— გაიქეციო, გაიქეციო, არაფერი მოიწიოთ! ხომ იცით, რა ძვირად უღირს ეგ თავები თქვენს პატრონებს!

კაცი იფიქრებდა, თამარელა ამ წუთში სრულ ჭკუაზე არ არისო. რა გული უნდა გქონოდათ, ამ წუთში სანგრევის ჭერისთვის შეგშერათ თავი. თამარელას თავის შველა იქნებ სხვებზე ნაკლებად არ ეწადა, მაგრამ საკვირველი ამბავი დაემართა; ბიგის ქეჩა რომ გაისმა და ბიჭებიც დაფრთხენ. ისე შეე-



შინდა, ფეხის გადადგმა ველარ შესძლო. მუხლიც მოეკვეთა, კანკალშაც აიტანა და მახლობელ ბიგს რომ არ ჩახუტებოდა, უშუქველად წაიქცეოდა. ერთის წამით შეიძლება გულიც კი შეუღონდა... ისე მოეჩვენა, თითქოს თვალში ველარ იხედებოდა. ეგონა, ყველა ნათურები ჩაქრაო. მაგრამ მეორე წუთში ისევ გადიშალა თვალწინ ყველაფერი... ერთადერთი, რაც მოახერხა ამ გასაპირში — ხმამაღლა გამოეტირა გაქცეულებს; განსაცდელის წუთებში თამარელა მათ არც კი გახსენებიათ. თამარელამ დაინახა თუ არა ხმის ხმამაღლა მოთქმით ტირილზე ბიჭები შეჩერდნენ, მოიფიქრა და სიცილი დაყარა. ისე შეარცხენა ისინი, გარეთ აღარ გაეხედებოდნენ და, აღარც გაუხედიათ.

სანგრევის გაბზარული ჰერი რის ვაივავლაბით გადაამაგრეს თუ არა ყველანი უკლებლივ, სადაც ბოლო წუთში იდგნენ, იქვე მოსხლეთით დაეცნენ მიწაზე. ათიოდე წუთი ასე ეყარნენ. დაღლა ახლა კიდევ უფრო მეტად იგრძნეს; ბოლოს, როგორც იყო, თავს ძალა დაატანეს და, ჯერ ერთმა, შემდეგ მეორემ, მესამემ, წამოიწიეს, ნათურები აიღეს და ლასლასით გასასვლელს მიაშურეს. სხვა დროს ნათურებს ბუმბულის სიმძიმეც რომ არა ჰქონდა მათთვის, ახლა ისე მიათრევდნენ, გეგონებოდათ ორფუთიანიაო.

მართალია, თამარელასაცენ აღარ მოუხედნიათ, თითქო ემდუროდნენ კიდეც ასეთი ყოფა რომ დააწია მათ; მაგრამ გულის სიღრმეში ყოველი მათგანი დიდად ემადლიერებოდა.

ბიჭებმა, მართალია გამოასწრეს თამარელას, მაგრამ გალიაში მინც ერთად მოხვდნენ, შტოლნიდანაც ერთად გამოვიდნენ.

მიწის წიაღის წყვედიდიდან ამოსულებს გარეთაც, მიწის ზედაპირზედაც წყვედიად დახვდათ. ცა ღრუბელს გადაეშავებინა, მიწა სიბნელეს. მართალია, აქ, მაღლაც სიბნელე დახვდა მათ, მაგრამ სუფთა ჰაერზე ცოტა სული მინც მოითქვეს. სიბნელეში დროდადრო

ერთმანეთს ეჯახებოდნენ, რომელიცამ სთქვა:

— ეპ, დღეს კი მოვრჩით ამ წვალეზბას, მაგრამ ხვალ არ გინდა ყველაფრის თავიდან გამეორება?

მეორემ კვერი დაუკრა:

— შენ ეგ თქვი!.. მე რე, რის გამეორება, აღარ იკითხავ?

— ხვალის, ხვალ იყოს, ახლა კი მივალ, თქვენ ხართ ჩემი. ბატონი სახლში და... შეიძლება ვერც კი ვივახშმო.

— რატომ რა?

— რატომ და... დავჯდები თუ არა მაგიდასთან აღბათ მაშინვე ზედ ჩამომეძინება.

სირბილაძის მისამართით უმაღ იხუმრა ბიჭადემ:

— აქვს კი რამე, რომ ივახშმოს?

— შე ეაცო! თუ შემწვარ ქათამს არა, ფხალს ხომ მინც დაახვედრებს ოჯახობა. — მიეშველა სირბილაძეს ჩაფიძე.

— ფხალიც კაია ბიძია, როცა შეკმაზულია, მარა, ვაი თუ ან მარილი აკლდეს, ან ძმარი, ან ნივოზი...

— შეკმაზული ზოგჯერ ფხალი კი არა, აღამიანიც არ არის! — მოუჭრა სიტყვა ბიჭადემ ჩაფიძემ — აღამიანს აკლია ხოლმე მარილი და ფხალი რა გასაკვირია, მით უმეტეს, თუ კოოპერატივის მარილი შემოვლია. არ გახსოვს ამასწინათ ერთი თვე რომ ისე გვაყურყურტეს, ძროხასავით კინალამ კედლების ლოკვა დავიწყვე...

— რა მაგის პასუხია და, ამ გაკირვების დროს რომ კოოპერატივში უმარილო ხალხმა მოიყარა თავი, ამისთანა ჯერ არ მახსოვს.

— მაგათ ჩემო გოგია გამყიდველები ჰქვია, „გაყიდულები“ კი ჩვენ აღმოვჩნდით.

— რომც „გაყიდონ“, ვინ „გაყიდის“ ნეტავი. — დამცინავად შეესიტყვა სიბნელეში ბიჭადემ სირბილაძეს.

შორიახლოს გაისმა ავტომანქანის რახრახი და მალე სიბნელეში ბუნდოვნად გამოჩნდა ორი ვებერთელა იისფერი თვალი... როცა მესაბტეებს გაუს-

წორდა, ავტომანქანიდან მკაცრად მო-  
ისმა.

— რომელი ხართ?

მეშახტეები მანქანასთან შეჯგუფდ-  
ნენ. ყველამ იცნო ბატალიონის უფროს-  
სი. უფროსმაც იცნო ზოგი მათგანი.

— შახტიდან მოდიხართ?

ერთხმად მიუგეს — დიახო.

— მეორე ცვლაში ვინც იყო, თუ  
იცით ყველა გამოვიდა?

ისევ ერთხმად მიუგეს — გამოდიანო.

— ამხანაგებო! ახლავე გასწიეთ ბა-  
ტალიონის შტაბში. სასწრაფო საქმეა.  
დანარჩენს იქ გეტყვიან. სხვებსაც გაეა-  
ფრთხილებთ.

მანქანა ნელა დაიძრა. აძრულ მანქა-  
ნას არ მოეშვა, ჩქარი ნაბიჯით მიპყვა  
კვერნაძე. ბიჭებისაგან ცოტა ჩამორჩე-  
ნილმა თამარელამ ყური მოკრა, რაც  
ბატალიონის უფროსმა უთხრა კვერნა-  
ძეს: — ტევრის ახლოს მტერს პარაშუ-  
ტისტები ჩამოუსხამსო...

მეშახტეები ერთ-ორ წუთს ადგილი-  
დან არ დაძრულან. იცოდნენ ადვილი  
მისახვედრი იყო, რისთვისაც უნდა გა-  
მოცხადებულიყვნენ ბატალიონის შტაბ-  
ში. მათ ერთი გადახედეს თამარელას და  
თითქო განგებამ ძალა რამ შთაბერა,  
თითქო მართლა მგლის მუხლი მოიბეგო,  
ეს აქამდე გადალასლასებული ხალხი,  
ჩქარი ნაბიჯით დაიძრა ბატალიონის  
შტაბისაკენ.

თამარელა კი ისევ ისე უძრავად იდგა.  
მისთვის ადვილი წარმოსადგენი იყო,  
რას ნიშნავდა ორ ცვლაში ნამუშევარი,  
არაქათგამოცლილი, მშიერ-მწყურვალი  
ადამიანებისათვის ხელში თოფის აღება  
და პარაშუტისტების ჩამოსხმის ადგი-  
ლამდე, მარშით ათიოდე კილომეტრის  
გავლა, შემდეგ იქნებ ბრძოლა და, ვინ  
იცის, რომელიმე მათგანისთვის სიკვდი-  
ლის მოლოდინიც.

თამარელამ წარმოიდგინა, რა სულ-  
გამწარებელი და გააფრთხილებელი ეკვე-  
თებოდნენ მტერს ეს ადამიანები. მოა-  
გონდა, წელან როგორ მიეშველნენ სან-  
გრევეში ბიჭები და შეწუხდა, რომ ახლა  
მას სამაგიეროდ არ შეეძლო იმ ადა-

მიანების ხვედრის ოდნავ მაინც შემსუ-  
ბუქება, გაზიარება, შეწუხდა და ტირი-  
ლი მოერია... უფრო ადვილად, უფრო  
ნათლად წარმოიდგინა შატბიას მდგო-  
მარეობაც იქ, იმ დიდ ხანძარში და ერთ-  
ბაშად შემობრუნდა. სირბილით ისევ  
შახტს მიაშურა... საგანრიგოში არავინ  
იყო. სალამფეში ახალი ნათურა გამო-  
ართვა, გასინჯა, და სულიერად დაწყნა-  
რებული, მტკიცე გადაწყვეტილებით  
შტოლნისაკენ გაეშურა. „რა წამიყვანს  
ახლა სახლში, რა დამაკარებინებს პირს  
საქმელზე, რა დამაძინებს, რა მომასვე-  
ნებს, როცა ჩემზე უფრო დადლილებმა,  
მოშივებულებმა მხარზე თოფი გაიღონ,  
და მტერი ეძიონ ტყესა და ღრეში...“ —  
ფიქრობდა თამარელა და მესამე ცვლა-  
ში შახტისაკენ მიმავალს უკვე სინდისი  
ისე აღარ ქენჯნიდა. ერთის მხრივ ამ  
თავგანწირული ადამიანების გასაპირის  
ნათლად წარმოდგენამ, მეორე მხრივ  
თავმოყვარეობამ თამარელას ის ღამე,  
შახტში თვითრად გაათენებინა.

ლელას არც მესამე ცვლის მაუწყებე-  
ლი საყვირის ხმა გაუგონია, არც თამა-  
რელას დაბრუნება გაუგია. კითხვაში მა-  
გიდაზე მკვდარივით ჩამოძინებულს,  
წინ, თამარელას დღიურების რვეული  
ისევ გადაშლილი ედო.

დღილით, მეშახტეთა ქალაქში ორი  
ახალი ამბავი შეიტყვეს. ის სამი პარა-  
შუტისტებიდან, რომლებიც მტერს ჩამო-  
უსხამს მეშახტეთა ქალაქის გარეუბან-  
ში, ორი უკვე შეუპყრიათ. ერთი მათ-  
განი ბატალიონის მეზრძოლებს ჩაეარდ-  
ნათ ხელში, მეორესთვის კი რაფიელ  
ვარდოსანიძეს და მის შვილიშვილს მი-  
უკვლევიაო. შეუტყვია თუ არა პარაშუ-  
ტისტების ჩამოსხმის ამბავი, რაფიელს  
აუღია თოფი, წაუყვანია თავისი შვილი-  
შვილი — ავთანდილი და წასულან.  
დიდხანს უვლიათ ტყეში. ერთგან ტო-  
ტების მტკრევის ხმაზე ყურადღება რომ  
გაუმახვილებიათ, უცაბედად შეუნიშ-  
ნავთ უცხო კაცი, რომელიც ხეზე მიცო-  
ცავდა. რაფიელს შეშინებია — ბავშვი

არ მომიკლასო და იმ ადგილს მორიდებინა, ვინ იცის, თუ მეორეც ახლავს, შეიძლება ჩასაფრებელიც იყოსო. ხისთვის კი თვალი მაინც არ მოუშორებიათ. ერთხანს შორიახლოდან თვალყური უდევნებიათ, მერე კი გაუბედიათ და ახლოც მისულან. რაფიელს ავთანდილისათვის უთქვია — ადი ხეზე ჩაველუ ფეხში ხელი და ჩამოსწიე. იქნებ როგორმე ძირს ჩამოათრიოთ. ავთანდილიც ასულა ხეზე, სწვდომია ჩექმაში და დაუქანნია. იმდენი ქანა, რომ ჩექმა ჯერ ერთ ფეხზე წააძრო, შემდეგ მეორეზე; თან ხელით ანიშნებდა თურმე — ჩამოდიო. კაცი არ ჩამოსულა. პირიქით, უფრო ზემოთ აცოცებულა. რაფიელს დაუძახნია შვილისშვილისთვის, — კარგი, ჩამოდი, ახლა სხვანაირად ვცადოთ მაგის ჩამოგდებაო; გამოსულა საფარიდან და აუტეხია თოფის საკეტის ჩხაკუნი თან ომახიანადაც შეუძახნია — ჩამოდი თუ არა, გაგათავეო და, მიზანში ამოუღია. იმ კაცს ახლა კი შეშინებია და ხიდან ჩამოსულა. სახელდახელო ვაჩხრეკისას რაფიელს მისთვის ჯიბეებში უნახავს რევოლვერები, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ხელის მაჯაზე კი სამ-სამი პაწაწინა ოქროს ძვირფასი საათი. იმ კაცს ხელით უნიშნებია, ჩექმები მაინც დამიბრუნეთო, მაგრამ რაფიელს არ მიუცია უფიქრია — თუ დააპირა, ფეხშიშველი ისე ადვილად ვერ გამეჭკევაო. წინ ავთანდილი წაძლოლია პარაშუტისტს, უკან რაფიელი და ასე ჩამოუყვანიათ რკინიგზის მახლობელ სადგურამდე. ვზადაგზა ხალხიც რომ შემოხვედრიათ ბაბუა და შვილიშვილი ცოტა გამხნეებულან, თორემ მანამდე დიდ შიშისფეთებაში ყოფილან — შეპყრობილი ამხანაგი არსად იყო ტყეში ჩასაფრებული და არ გაგვაგოროსო. სადგურიდან ტელეფონით დაუძახნიათ მეშახტეთა რაიონის ბატალიონის უფროსისათვის — შენ და რაიკომის მდივანი სასწრაფოდ ჩამოდიოთ. ისინიც ჩასულან და ტყვე პარაშუტისტი ჩაუბარებიათ.

ამ ერთ ახალ ამბავს მოჰყვა მეორეც. პარაშუტისტმა, რომელიც ჩამოსხმისთა-

ნავე ვერ შეიპყრეს, მოასწრო ხალხში ხმის დარხევა — ამ დღეებში მეშახტეთა რაიონს დაბომბავენო. ხალხში დიი-ჯერა ეს ხმა, რადგან ომის ახლანდელ ვითარებაში, როცა მტერი კავკასიის ქედს მოსდგომოდა, ესეც მოსალოდნელი იყო. დაიწყო გახიზვნა როგორც მეშახტეთა ქალაქიდან, ისე ახლო-მახლო სოფლებიდან. ვინ საით ეშურებოდა, ვინ საით. კალათებით და ხურჯინებით მიჰქონდათ საოჯახო კურკელი, ვილაყას გატეხილი სკამიც კი გაედო მხარზე და მიიჩქაროდა. ველარ გაარჩევდით სად იწყებოდა სატირელი და, სად სასაცილო. ყველა გზატეცილები, საურმე გზები და საცალფეხო ბილიკები გადაკრელებული იყო, მატარებლები ხალხით გაიჰედა. ფეხზე დასადგომ ადგილსაც ვერ იშოვნდით. იყო ერთი ჯიკავ-ჯიკავი, ცემა-ტყევა, ყაყანი, თავგანწირული გამახ-გამომახება. კონდუქტორების ყვირილი ცასა სწვდებოდა. როგორ არ სცადეს კარის დაკეტვა, მატარებლიდან რომ არავინ გადავარდნილიყო, მაგრამ ამაოდ. მგზავრებსავით კონდუქტორებიც თავთავიანთი ვაგონის სახელურზე ცალი ხელით იყვნენ ჩამოკიდებულნი და თავს ძლივს იმაგრებდნენ. ამ უბედურებას ზოგისთვის ისიც ემატებოდა, რომ ახლო სადგურებზე ვერასგზით ველარ მოეხერხებინათ ჩამოსვლა და დაქანცულებმა, გარეტებულებმა აღარც კი იცოდნენ საით მიდიოდნენ, ან სადამდე უნდა ემგზავრათ ასე. მატარებლიდან გადმოსვლა მხოლოდ იმთ შეეძლოთ, ვინც კიბეზე ეყიდა, ან ფანჯარასთან იყო მიჰქეპილი. სხვა გზა რომ აღარ გაჩნდათ, ვისაც უხერხდებოდა, ხან ერთ, ხან მეორე სადგურზე ჰყრიდნენ ფანჯრიდან ბარგს, ფანჯრიდანვე აწოდებდნენ ბაქანზე მყოფთ ატირებულ ბავშვებს და თვითონაც რის ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ გადამრომას. ქალი, კაცი სულ ერთმანეთში იყო არეული. არავინ არ აქცევდა ყურადღებას თუ ვაგონის ფანჯრიდან უხერხულად გადასვლისას, უნებლიეთ გადაყირავებულ ქალს კაბის კალთა თავზე წამოეფარებოდა და პერ-



ში წამით გაიღვებდა ხან თეთრი, ხან ცისფერი საცვალი, თუ ნახევრად შიშველი ბარძაყები...

ერთ-ერთი მათგანი, ვინც ფეხისხმას არ აპყობდა, ვისაც შიშისაგან გული საგულედან არ ამოვარდნიდა, იყო — ნიკო არაბიძე. ასმათის კითხვაზე — თუ მართლა ასეთი ამბავია მოსალოდნელი, ჩვენ რაღას ვუცდით აქა, არ მოვესწროთ იმ ბიჭის დაბრუნებასო, ნიკომ დინჯად უპასუხა — მე სამუშაოს ვერ დავტოვებ, ამ სიბერეში დეზერტირი ვერ გავხდები და... შენ თუ გინდა გაყევი ხალხს... სოფელ ტევრისკენაც ბევრია მიმავალი, მარტო არ მოგიხდება მგზავრობა, გზაში არ „მოგწყინდება“!

— თუ შენ სამუშაოს ვერ დავტოვებ სამაგიეროდ შე შენ ვერ დავტოვებ!

ამ განსაცდელის დროს, მეუღლის აღსარებაზე მეტისმეტი სიამოვნებისაგან კიდეც გაეცინა. ასმათი ყმაწვილივით გულში ჩაიკრა. — თუ გეშინია. მართალია ქალაქის დაბომბვა რომ იყოს მოსალოდნელი, რავე, ბეგლარი ხალხს არ გააფრთხილებდა? თუ ცოცხანა, ასეთ საქმეში რაიკომზე უკეთ ვის ეცოდინებოდა რაც მოსალოდნელია...

ასმათს ქმრის მოსაზრება ჭკუაში დაუჯდა. მოწონების ნიშნად, კოცნა რომ ვერ გაუბედა, ტანსაცმელი შეუსწორა და ამით-ღა გამოხატა თავისი სიყვარულიც და სიამაყეც, რომ ასეთი დინჯი და გონიერი აღამიანი ჰყავდა თავისი ცხოვრების თანამგზავრად.

თუ არაბიძის ოჯახი ყველაზე ბოლოსაც არ გახიზნულა და ქალაქში ატეხილ პანიკაში თავისი „წელილი“ არ შეუტანია, სამაგიეროდ კოსტა ქარქაშაძე თავისი სახლობით და ნათესავებითურთ პირველი გაერიდა მეშახტეთა ქალაქს. სწორედ მისი მიბაძვით გაიქცა რამდენიმე ოჯახი, რადგან იფიქრეს — ხელმძღვანელობასთან ქარქაშაძე ახლოსაა და ყველაზე ადრე ვინ გაიგებდა, თუ არა ეგ, რაც მოგველისო. როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით ბატალიონის მებრძოლებმა ხალხს განუმარტეს, როგორც ხმა დაირბა ისეთი

არაფერია მოსალოდნელიო. სიწყნარე ჩამოვარდა და ყველა თავთავის ქვერას დაუბრუნდა. შახტში კი — სასწრაფოდ გამართულ პარტიულ კრებაზე რაიკომის მდივნის თანდასწრებით ქარქაშაძე პარტიიდან გარიცხეს. შახტის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან ბრიგადირად გადაიყვანეს. ორ სხვა პარტიულს კი, რიგიანად გაშავების შემდეგ პირად საქმეში შეტანით სასტიკი საყვედური მიართვეს.

ამასობაში გადაციცებით ეძებდნენ მესამე პარაშუტისტს. დაკითხვის დროს იმ ორ გერმანელ პარაშუტისტს, რომლებიც უკვე შეიპყრეს, მესამეზე უთქვამთ — თქვენ იმის დამკერი არა ხართ, ყოველ შემთხვევაში ძალიან გაგიჭირდებათო. როგორც ბატალიონის სხვა მებრძოლები, მეშახტეებიც ძალიან გაწვალდნენ. დაასრულებდნენ თუ არა ორ ცვლაში მუშაობას, შახტიდან გამოსვლისთანავე ხელში თოფს აიღებდნენ და მესამე პარაშუტისტის ძებნაში ხან ათენებდნენ, ხან აღამებდნენ. უნდა გენახათ რა გუნებაზე იყო ეს მშვიდმწყურვალე და ტანისამოს შემოფლეთილი, მძიმე შრომით არაქათგამოლეული ხალხი. — ვაი მისი ბრალი, თუ სადმე მოვიხედეთ, თოფს არც ვინმართ, კბილით დავგლეჯთ ჩვენი ასე გაძალღებისთვისო, — ამბობდნენ ისინი, მაგრამ მესამე პარაშუტისტის კვალი ისევე გაქრა, როგორც ერთი წუთის წინ გაბოლებული პაპიროსის კვამლი. მეშახტეებმა იცოდნენ, ბატალიონის უფროსი დაფიცებული იყო მოკვდები და ვიბოვნიო და, თვითონაც არ ზოგავდა ძალღონეს. ყოველ საათს, ყოველ დღეს მნიშვნელობა ჰქონდა. რაც უფრო მეტი ხანი გავიდოდა, ჯერ ერთი, მტრის კვალი მით უფრო წაიშლებოდა, მით უფრო მეტ ზიანსაც მოიტანდა. ამას ბევრი ჩიოდა. მათ შორის თამარელაც. — მე რომ კაცი ვყოფილიყავი, პარაშუტისტს კი არა, ეშმაკს აღმოვაჩენდიო, — დარწმუნებული ეუბნებოდა იგი ლელას. რომელიც ზიზზიბაძის ოჯახში უკვე შინაურით იყო.

— რომელ კაცზე ნაკლებად გაბედული შენ ხარ რომ მაგას ნატრობ? ეშმაკის ასავალ-დასავალი კი ქალმა უფრო იცის!

— ნეტავი მართლა, ჩემო ლელა! ერთ წუთსაც არ დაგვარგავდი. შენ როგორ ატყობ თავს?

— დამანებე თავი. ეშმაკს კი არა, ალბათ ცხვარივით აღამიანსაც ვერ მოვერეოდი. ჩემი სახლიდან ვისი გულისთვის გამოვიქციე, აღარ გახსოვს?

— მახსოვს. იმ ბარდლას კი ტყუილად შეუშინდი.

— „ტყუილად“ თქვი შენი ახლაც რომ მივალ ხოლმე, იქ სულ ის მელანდება. ჩემი კერა შემაძულა!

— შე გლახა, თუ შენ ვეშინოდა მისი, მიტომაც არ გავარტყისი მოუხნდა თუ არა?

— იღბალია. ბეწვზე ხარ გადარჩენილი. თუმცა... საკითხავია: შეგარჩენს? ვინ იცის, სად და როდის შეგხვდება!

— რა ვუყოთ. შემხვდება და შემხვდეს. ვიცი, მარტო ლხინს კი არა განსაცდელსაც უნდა გაუსწოროთ თვალი. ნურავის ეგონება, განსაცდელში თამარელამ სირაქლეშასავით თავი „ფრთის“ ქვეშ დამალოს! არა ჯობია, არწივივით მალა გეჭიროს თავი?

— სჯობია, თუ გული გერჩის!

— „გერჩის!“ — დამცინავად გაიმეორა თამარელამ, — რისთვის გაქვს ნეტავი მაგ გული თუ გაჭირვებაში ვერ გაგიძლებს!

— დამანებე, თუ ქალი ხარ თავი, თუ არა, ვეტყვი — შახტში აგიტატორად გამოგყონ.

— რა იყო, თუ კი იმდენი მეცოდინება, სხვასაც რამე ვასწავლო, ცუდია? — თამარელა უცებ გაჩუმდა. გაოცებით გაიხედ-გამოიხედა, მერე თითქო რამეს დააყურადაო, სულ გაინაბა, როდის-როდის შეხედა ლელას და გაიცინა.

— რა იყო? — ეკვიით იკითხა ლელამ.

— ლელა! — რაღაც იღუმალი ჩურჩულით უხმო თამარელამ და ეშმაკური ღიმილით განაგრძო, — გოგო, თუ ზის

ახლა ჩვენი სახლის კერში ის პარაშუტისტი და... გვიგდებს ყურს.

ლელას უმაღ შეეტყო სახეზე, რომ შეეშინდა. ერთი კი შეაფეთა შემლოთებული შხერა თამარელას, თითქოს სურს მიახვედროს რაც გაიფიქრა: — რა უცნაურ რამეს იტყვი, კაცს გულს გადაუტრიალებო და, გაინაბა. ცოტა ხნის მერე „სხვათაშორის“ სთქვა:

— წავალ ერთი ჩვენებთან, მამახემი, ხომ იცი, „ქვეყნის მამიდაა“, რაც ჯერ იქნებ რაიკომის მდივანსაც არ შეუტყვია, იმას ეცოდინება.

— ჰო, ბაზარში რას არ ლაპარაკობენ. ბეჟან-ბუ ხომ ბაზრის „აგიტატორია“!

— ადრე კი. ახლა დღე ისე გავა, ორ სიტყვასაც არ იტყვის.

— ჭკუა უსწავლია. დღეს რაც ნაკლებს ილაყებებ, სჯობია.

— ყოველთვის აგრე სჯობდა. — გაუსწორა ლელამ, გამოუმშვიდობებლად, როგორც შინაურმა იბრუნა პირი და კიშკრისაკენ გაეშურა.

თამარელამ რაღაც დაეინებით გააყოლა თვალი და გაიფიქრა — პარაშუტისტზე რომ ვეხუმრე ალბათ იმან შეაშინა, აქ გული ვეღარ დაუდგა. ხედავთ როგორ „უშველა“ თავს ქალბატონმა!!! მე კი მარტო დამტოვაო.

ლელა რომ თვალს მიეფარა, იმ არსებული პარაშუტისტის შესახებ თავისი ნათქვამი თამარელამ თვითონვე დაიჯერა. ეკვიით, მალულად იწყო აღმაცერად ცქერა ჭერში ასასვლელისაკენ. იქვე ახლოს კიბე რომ დაინახა, არ მოეწონა... ძლივს შეადგმევინა თავი მოაჯირის ხარხიხაზე და ეზოში გადაუძახა. ოთახში თუ ეზოში ახლა როგორღაც სმენაგამახვილებული დადიოდა. არ იცოდა სად „გადაეყრებოდა“ უხილავ მტერს. სულ ეჩვენებოდა თითქო ვილაც ფრთხილად დააბიჯებდა ჭერში და თავის წარმოდგენაში კიდევ ხედავდა მას. ახლა სულ მარტო იყო თამარელა და ეს უფრო აფიქრებდა. რასუმიასას ცოლიც შენ არ იყო. ჩვეულებრივ, როცა ის ბარათით პურის ასაღებად მიდიოდა, გია და გურამიც თან მიჰყვებოდნენ.

ამ მარტობაში ვინ უნდა გამოჩენილიყო ისეთი, რომ არ გახარებოდა, მაგრამ თითქო ჯიბრზე, კაცის ქაჭანება შარავზედაც არა ჩანდა. მოთმინება რომ აღარ ეყო, რახუმიაკას ცოლს აივანის ბოძზე მიკრული ბარათი დაუტოვა, თვითონ კი მშვიერი, ცვლის დაწყებადღე ერთი საათით აღრე შახტისაკენ გაეშურა.

რაც უფრო უახლოვდებოდა ლელა თავის სახლს, მით უფრო მშვიდდებოდა და თან უკვირდა, ისე მაინც როგორ იმოქმედა თამარელას ხუმრობით ნათქვამმა — პარაშუტისტი იქნებ ჭერში ზის და გვისმენსო...

ლელამ გზა მოკლედ მოსჭრა, სახლში ბოსტინისა და ხეხილის ბაღის მხრიდან ავიდა. ბოსტანი რა სათქმელია, უკანა ეზოში ისეთი ხეხილის ბაღი იყო გაშენებული, შემოდგომაზე მაინც კაცს თვალს მოსტაცებდა. რა ჯიშის მსხალსა და ვაშლს თუ ქლიავს არ ნახავდით აქა. ბევრი იყო ატმის, კომშის და რამდენიმე, მაჯისისმსხო ღეროდ აყრილი ბროწეულის უშველებელი ბუჩქნისებური ხეები. ნიკო არაბიძის ეზოც კი, ბროწეულის უნახავს რომ გაგზნდით, ბეჯან-ბუსთან ამ ხეს თავისი ნაყოფით სულ სხვა სილამაზე ჰქონდა. თუ ნიკო არაბიძის საცხოვრებელს ბროწეულის ბუჩქები არშიად ევლო, აქ სხვადასხვა ჯიშის ხეხილში იყო ის შერეული და ყვითლად მოკაფე კომშის ბურთების გვერდით, ვეკაცის მუშტის ხელა, მზეზე სისხლისფრად ლოყა შეწითლებული ბროწეული ამგვარ დაპირისპირებაში უფრო ეშხიანად გამოიყურებოდა.

დარწმუნებული, თუ რა რიგ გაახარებდა დედას თავისი უეცარი მოსვლით, ლელა ფეხაკრეფით შეიპარა სახლში უკანა კართ, მაგრამ იმ წამსვე გადაფითრებული გამოვარდა გარეთ. თვალის დახამხამებაში ადამიანის ასე შეცვლა წარმოუდგენელი იყო. გაუბედავ მოძრაობასა, ყოყმანსა და იერზე ეტყობოდა, რომ არ იცოდა, ვერ გადაეწყვიტა

საით გაქცეულიყო. — ბაღის მხარეს რომ გავიქცე, ვაი თუ გამოჩნებიდნენ და დამიჭიროსო — იფიქრა შეშინებულმა და ისევ წინა ეზოდან შარავზედაც გასვლა ამჯობინა, იქით ხალხი მაინც დადის. თუ გაჭირდა, მიეშველებიან... ბეჯან-ბუმე გვიან მოკრა თვალი ლელას. ის უკვე ჰინჯარს უახლოვდებოდა, როცა იცნო და უხმო. მის ძახილზე რომ ქალიშვილმა არც კი მოიხედა, ავად ენიშნა ეს ამბავი. უმალ სახლში შევარდა... ყველაფერი აშკარა იყო... ბარდლა-ბიძინა ჯერ ისევ კარებს ამოფარებულნი იდგა. ცალ ხელში გაქაფებულ საპნიანი ფუნჯი ეჭირა, მეორეში პარაბელუმი. ცალ ყბაზე წვერის გაპარსვა მოესწრო, მეორეზე კი ჯერ ისევ თეთრი, ფუნჯულა წვერივით შემოვლებოდა საპნის ქაფი.

— რა იყო, გნახა?!

— მნახა. — ყრუ ხმით მიუგო ბარდლა-ბიძინამ და პარაბელუმი ისე შეატრიალა, თითქო ახლა მიხვდა, რა უქმად ეჭირა ხელში.

— მერე... რა გინდა ახლა რომ ქნა? — ისე სთქვა ბეჯან-ბუმე, ამას თითქო მარტო თავის თავს ეკითხებოდა.

ბარდლა-ბიძინამ სასწრაფოდ ჩამოისვა ცალ, ვაუპარსავ ლოყაზე სამართებელი, თვალის დახამხამებაში გამოეწყო თავის გამოხუნებულ ტანსაცმელში, დაიხურა მეშახტის მუზარადი და ბეჯან-ბუს გამოუცხადა.

— აქ აღარ დამეგდომება. ის გოგო მთელ ქალაქს მოსდებს ალბათ... რომ მნახა. ისე როგორ ვერ დაუძახე, შეშინებოდა და მობრუნებულიყო! კაცი ხარ ახლა შენ? ქალიშვილსაც არ შენიბია! მაგის წერა გავხდებ?

ბეჯან-ბუ თავდახრილი იდგა და უსმენდა.

— გითხარი და არ დამიჯერე ბიძინა! წავსვლამდე ნუ გამოჩნდებოდი. რაღა ამ შუადღეზე მოგინდა ძირს ჩამოსვლა და წვერის პარსვა. ის შეჩვენებული, მაინც ისე როგორ მოგვეპარა ზურგიდან!

— რაც იყო, იყო. ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება... შენთვისაც საშიშია.

— როგორც აჯობებს. — კმაყოფილის, თანაც მორჩილის კილოთი შენიშნა ბეჟან-ბუმ. — ცოტაზე რომ გაგაცილო? — ბეჟანი ამას გულით ამბობდა. თუმცა ფარული შიშიც ახლდა მის კეთილ სურვილს.

ბარდლა-ბიძინამ შუბლს ქვემოდან ახედა.

— შენ, არა. — ცოტა დაფიქრდა და განაგრძო, — მაშოს რომ თხოვო?

— მაშოს?

— ჰო, რა იყო? ხნიერ ქალთან უფრო არ მივიქცევ გარეშეს ყურადღებას.

„ახლა ყველას ეკვის თვალით უტყე-რიან“ — გაიფიქრა ბეჟან-ბუმ და მაშოს დასაძახებლად გაეშურა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა ბეჟან-ბუ. ფეხდაფეხ მოჰყვა მამოც. ეტყობოდა, სარეცხის რეცხვით იყო გართული და რაც ამ რამდენიმე წუთის წინ მოხდა მხოლოდ ახლა შეეტყო. ის სოდაში დათუთქული და გადათეთრებული ხელების წინსაფარზე მშრალებით შემოვიდა ოთახში.

— ნათლიდედა, შეგაწუხებ...

— რა აუწრიალგებივართ ყველა იმ ჩემ გოგოს, როგორ ვერ მოიფიქრეთ, დაგეძახნათ ჩემთვის ერთი, მე ვიცოდი და იმან... — ამას ისე, გასამხნეველად ამბობდა მამო, თორემ კარგად იცოდა, თვითონაც ვერაფერს ვახდებოდა ლელასთან. როცა ძალს დაინახავს, როგორც კატას ვერ შეიმაგრებ ხელში, ისე ბარდლას მნახველ ლელას ვერ შეაჩერებდი ახლა.

— თუ არ დაიზარებ, იქნებ ცოტაზე გამაცილო... ტყისკენ.

— კი შეილო. — მყის მიუგო მამომ და წინსაფარი შეიხსნა.

ეს „კი შეილო“ ახლა ძალიან ეამა ბარდლა-ბიძინას. ნათლიდედას ბეჭებზე ხელი მოხვია და სიყვარულით მიიკრა მკერდზე. მაპითაც და დედითაც ობოლს რახანია აღარ სმენია, მისთვის ვისმეს „შეილო“ ეთქვას. ბარდლა-ბიძინამ თავის სიცოცხლეში დიდი ხნის შემდეგ ხელახლა იგრძნო ამ სიტყვის ძალაც, სილამაზეც და უჩვეულო სითბოც...

ბარდლა-ბიძინა ძალიან ლელავდა, სა-

ნამ მამო საგარეოდ გამოეწყობოდა. აქ გული აღარ უდგებოდა. თავს ხატუნგში გაბმულივით გრძნობდა.

წასვლის დრო რომ დადგა, ბარდლამ მამო და ბეჟანი გააფრთხილა — თუ ვინცოთბაა ვინმემ მიცნო და დამაკავეს, იცოდეთ — ვითომ მამომ მთხოვა ტვე-რში გაყოლა სიმინდის და ლობიოს საყიდლად და წამოსაღებად, ვითომ თქვენსას ამ დილით შემოვიარეო. მამომაც, ბეჟანმაც მოიწონა ეს აზრი. წინდახედულ ნათლულს თანხმობის ნიშნად უმაღ თავი დაუქნიეს.

ბეჟან-ბუს მაგრად ჩამოართვა ხელი ბარდლა-ბიძინამ, თანაც ისე უთხრა — მშვიდობითო, თითქოს მისი კვლავ ნახვის იმედი სამუდამოდ გადაეწყვიტოს.

ბეჟან-ბუ გარეთ არ გამოიჩენილა. მიმავალთ ოდნავ ღია კარიდან უთვალთვალეზდა და უკვირდა, რა გულგრილად გამოიყურებოდა, რა ყოჩაღად ეკირა თავი მის ნათლულს. თუ ბარდლას ერთი კუნთიც არ უტოკავდა, ბეჟან-ბუ მთელი ტანით ცახცახებდა.

გულის სიღრმეში, მართალია, დიდად კმაყოფილი იყო, არა სასიამოვნო სტუმარი რომ ასე მალე გაისტუმრა, მაგრამ ამ სიამოვნებას შიშიც ახლდა: ვაი თუ იცნონ ეგ უღმერთო.

ბარდლა-ბიძინა და მამო ის იყო ჰიშ-კარში გავიდნენ, რომ ბეჟანმა ჩაიქნია ხელი, მიხურა კარი და მოუსვენრად იწყო ბოლთის ცემა ოთახიდან ოთახში. ჯერ ათი წუთიც არ იქნებოდა გასული რაც ბარდლა-ბიძინა წავიდა, რომ კარი ერთბაშად გაიღო. ხმაურზე მეორე ოთახიდან გამოსულმა ბეჟან-ბუმ შეტრწუნებულის ხმით შესძახა.

— რა ამბავია, მამო?

— არაფერი შე კაცო. შენ რომ შეგხედე, მე იმან გამაოცა, რანაირად იყურები? ვადაგრია ჩემმა გამჩენმა!

— ის... — ბეჟანს ბლუსავით დაება ენა.

მამომ დინჯად განაგრძო:

— წავიდა, მოშორდა... ჰიშკარს გავცილდით თუ არა, რალაცა აღარ მოეწონა ჩემი ხლება, გადაიფიქრა. ჩამაცივ-

და — დაბრუნდი და დაბრუნდიო. ფეხი აღარ მომაცვლევია. ისე შემეხვეწა, შევატყვე, საშიში იყო გაყოლა და მეც აღარ გაფეხუტებულვარ. რაღას ვიზამდი, გადავსახე პირჯვარი, დავულოცე გზა და, წავეიდა...

— რაკი გზა დაგილოცია, აწი აღარაფერი უჭირს. — გამომწვევი დაკინებით შენიშნა ბეჟან-ბუმ, ერთხელ კიდევ ოდნავ გააღო კარი და გაიჭვრიტა. არც შარაგზაზე, არც ეზოში ადამიანის ქაქანება არა ჩანდა.

— შენ რაღამ შეგაშინა კაცო?!  
ბეჟან-ბუმ კარი მიხურა, მაშოს გვერდით

ისე ჩაიარა არც შეუხედნია, ცალყბად შენიშნა.

— სულერთია ვერ მიხვდები.

— შეინახე შენთვის! — მიადახა გულმოსულად მაშომ.

ბეჟან-ბუმ ყური არ უგდია. — მისი გონება მართო იმაზე ფიქრით იყო შეპყრობილი, გაშორდებოდა თუ არა აქაურობას მშვიდობიანად ბარდლა-ბიძინა. ბეჟან-ბუმს მართო ის აფიქრებდა, მასთან ბარდლა-ბიძინას ყოფნა არ გამჟღავნებულებოდა, თორემ, ნათლული სულაც არ ენადღელებოდა...

იმ ღამეს ბეჟან-ბუმ, როგორც ჩვეოდა, მართო აღარ დაწოლილა.

მეოთხე ნაწილის დასასრული

## ოთარ გამჟღავნება



### გაზაფხულის მონატრება

ოცნებით ცხრამთას გადავევლები  
და ქართლში აპრილს წამოვეწევი.  
იქ ხომ გაზაფხულს მოაქვს ფერები  
და დასაწერი ჩემი ლექსები.

იქ ხომ გაზაფხულს მოაქვს ფერები,  
მოდის და აბნევს სურნელს პეშვებით.  
ოცნებით ცხრამთას გადავევლები,  
მივალ, ვნახავ და არ მოვეშვები.

მე უნდა დაეტყებ თეთრი აპრილით,  
მთებზე ჩანჩქერად როცა ეღვრება.  
ალუჩისა და ატმის ყვავილი  
შემომამაფრინდნენ მხრებზე პეპლებად.

მივიდე, ვნახო ვაზი გასხლული,  
როგორ იხარა, როგორ განორჩადა,  
რქის გამოტანა რატომ აწუხებს,  
როგორც პატარას კბილის ამოჭრა.

ოცნებით ცხრა მთას გადავევლები  
და ქართლში აპრილს წამოვეწევი.  
იქ ხომ გაზაფხულს მოაქვს ფერები  
და დასაწერი ჩემი ლექსები...



ილია

ირიყრაქა. ყვარლის მთებს მოლურჯო ფერი გადაეკრა. დიდ ეზოში გამდელები და შინა მოსამსახურეები ირევიან. ნამძინარეც თვალებს იფშვნიტენ, გაკვირვებით მისჩერებიან სქელ კედლებიან კოშკს. ვიწრო სარკმელთან ლამაზ ანთია.

— ლაზარე! — გაისმა მკაცრი, მაღალი ხმა და პატარა სახლის აივანზე მამიდა მაკრინე გამოვიდა. ყმაწვილს მთელი ლამე არ სძინებია. რას აკეთებდი. რატომ არ დაუშალე.

ილიას გამდელმა შუბლზე ჩამოწეული თუშური ქუდი მოიხადა, რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცმა არ დააცალა, ბაღში გავიდა. კოშკში დატანებულ კიბეზე ქოშების კაკუნით ადიოდა. კარი შეაღო. მაგიდასთან ილია იჯდა. ეტყობოდა წერდა, წამოიწია, გადაღედილი პერანგის საკინძი შეიბნია.

— დილა მშვიდობისა, მამიდა! — უთხრა მხიარულად.

— დილა კარგად ყოფნისა, შვილო, მაგრამ შენ ლამე და დღე, ვგონებ, ერთმანეთისათვის არ გაგიყრია. — ილია ახლოს მივიდა, მამიდას მხარზე ხელი შემოხვია და თითქოს რალაც დანაშაული ჩაედინოს, ისეთი აღერსიანი ხმით უთხრა:

— შემომათენდა, მამიდაჩემო. ამას რა სჯობია, განთიადს ფეხზე შევეგებე.

— არა, შვილო, ლამე ძილისაა და მოსვენებისა. დღე შრომისა და სიცოცხლისა.

— მართალი ხარ, მამიდა, დილა მეც მიყვარს, ისიც აქ, ჩვენთან ყვარელში. ყოველთვის ისე მგონია, რომ დილამ ქვეყნის ტყვილი უნდა გააყუჩოს.

— ახალგაზრდა ხარ და ეგ იმიტომ

გეჩვენება, ქვეყნის ტყვილს რა გააყუჩებს, — ჩაილაპარაკა მაკრინემ და იქვე ტახტზე ჩამოჯდა. — რასა სწერ, შვილო, ღმერთს ასხამ ქებას თუ სიყვარულს?

ილიამ გაიცინა. მამიდასა და ძმისწულს შორის ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ილია ვიწრო სარკმელში მოთამაშე შხის სხივს თვალს ადევნებდა. კარგახნის შემდეგ ხმა ამოიღო:

— ჩემს ქვეყანას ვუწერ, მამიდა, ჩემს უბედურ ქვეყანას, ჩემი ფეხის შემოდგმისაა, ჩემი მგზავრობის ამბავია. იმიტომ მგზავრის წერილები დავარქვისახელად — და სევდიანი დიდი თვალეზით თავის ხელთნაწერს ფურცელა დაუწყვო.

— შენს ქვეყანას უწერ? — მაკრინემ პირი მოკლუმა, შენს ქვეყანას უწერ... გაიმეორა სინანულით და კედელზე დამატარებულ გარიბალდის პატარა სურათს ჩამქრალი თვალეზით მიაჩერდა. — მაგ სიტყვის გაგონებაზე გული მიკვნესის. ვინ გამამტყუნებს, რომ მეშინია. ექვსინატყვიარი ვაყვაცი დავმარხე, შენც იმათი ფიცხი სისხლი გაქვს. მუნდირი იმიტომ ავაცდინე, რომ იმ ოხერ ტყვისა მეშინია. ქვეყნის საქმის მტვირთავი კაცი, უნდა იცოდე, შვილო, რომ ჩვენს დროში განწირულია.

ილიამ შუბლქვევიდან მამიდას ცერად გადახედა.

— წამოდი ახლა, ჩაი დავლიოთ — უთხრა მოხუცმა ისეთივე სასტიკი კილოთი, როგორითაც ბავშვობისას ეუბნებოდა და წასასვლელად ფეხზე წამოდგა. ილიამ შშრალი კალამი სამელნეზე ღიმილით შეასწორა და მამიდას ისე შეხედა, როგორც ბავშვს, როცა უნდათ რამე აუხსნან, ანდა რითიმე დააჯერონ.

მაგრამ გაჩუმდა, სიტყვა არ დაძრა. ეს ერთადერთი ადამიანი იყო, რომლის სურვილსაც სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილებდა. ახლაც ღიმილით, ხმაამოუღებლივ გაპყვა უკან.

დიდი ბალი შხის სხივებით იყო საესე. სალომემ ხალიჩა და მუთაჭები გამოიტანა, ჩრდილში გაშალა, როგორც ეტყობოდა, მაკრინე დილიდანვე სტუმრებს ელოდა.

ზევით თონესთან პურის მცხობელი მაცო ტრიალებს. თონეში კი წალამი ტარციალით იწვებოდა. ქალმა ცომს გუნდა მოგლიჯა და ცხელ თონეს გადააწვია.

მაკო ილიასთან ერთად გაიზარდა, მასი ხნისაა, მაგრამ სახე ცეცხლისაგან ნადრევედ დაბერებია, გამხდარ, ჯერ კიდევ ბავშვურ ტანს, გრძელი დაკერკაბული კაბა უმძიმს.

ილია პურის მცხობელის მძიმე შრომას ერთხანს დაფიქრებული მისჩერებოდა, მაგრამ მაკრინემ დაუძახა, საუზმე კიდევ შეახსენა, პაპიროსის ნაშწავი მიწაზე გადააგდო და მზით გაშუქებულ დილას მიხედ-მოხედა. წყლიან შარაზე შავ ქულაჯებში გამოწყობილი ქართული „დრუჟინა“ მოდიოდა და მათი მეთაურის ვანო ორბელიანის ყვირილის ხმა შორს მოისმოდა: გლებ მილიციელებს უჯაერდებოდა: — თქვე რეგვენებო, თქვე დათვებო, „ნალევო“ და „ნაპრავო“ როგორ ვერ უნდა დაიხსოვითო, როგორც ეტყობოდა, სამხედრო დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ. ილია ოთახში შევიდა, მაკრინეს ტახტზე მოეკეცა. შავი სინით ჩაის ჭურჭელი ედგა წინ.

— შეილო, გენერალ-ფონ-კელმანთან და ანდრონიკაშვილთან უნდა მიხვიდე, მადლობა მოახსენო შემწეობისათვის, დიდად დამეხმარნენ, რომ ეს მამული ვალებისაგან გამომეტაცა, შენი სწავლის გადასახადისთვისაც დიდად იზარუნეს.

— არა უპირს-რა, მამიდა, მე და თქვენ მადლობის გადახდა ღმერთს უნდა მივანდოთ, ის უკეთ შესძლებს, რა ჩემი

საქმეა იმ დიდ ხალხს გამოვეკვირო — უთხრა ილიამ და სახეზე მაცდურად ღიმილი აუთამაშდა, მაგრამ მის ლამაზ თვალებს ეს ღიმილი ისე მოუხდა, რომ მამიდა ერთხანს უხმოდ მიაჩერდა.

— შენ იმ დიდ ხალხზე ნაკლები რად უნდა იყო, შეილო, სახიერება გაკლია თუ გონიერება, — უთხრა მოხუცმა და რატომღაც ამოიოხრა.

სალომემ ცხელი საუზმე შემოიტანა. მაგიდას მიუჯდა ილია, საუზმობს, ხანდახან თავს ასწევს მაღლა, ღია სარკმელში იცქირება, მოძველებულ წისქვილში წყალი ხმაურობს, აწოწილი მაღალი კოშკი პირდაპირ მისჩერებია. მტრისა და ეამისაგან გალავანი გადანგრეულია და გლეხების არეულად მიყრილ-მოყრილი წნული სახლები მოჩანს — შიგადაშიგ კრამიტის ფიცრულებით. პოეტის წყლიანი სევდიანი თვალები იმის იქით იცქირებიან. თავისი ქვეყნის ყველა კუთხეს გონების თვალს აწვდენს, და იცის, რომ ყველგან ასეთივე სიღარიბე, უუფლებობა და დუმილია, თითქოს მის ხალხს დიდიხნის მშფოთვარე ცხოვრების შემდეგ თავისი ვინაობა და ეკარგოს და მისძინებოდეს.

ქიშკართან ვიღაცამ ბოხი მაღალი ხმით დაიძახა. ილია გარეთ გავიდა. გალავანთან აყუშის მართველი ნიკო ჭავჭავაძე იდგა, თავის კარის ეკლესიის მშენებლობას მისჩერებოდა. ნათესაებები ერთმანეთს მხიარულად გადაეხვიდნენ.

— ნამდვილი მეთვრამეტე საუკუნის რაინდი ხარ: კარის ეკლესია, მარხულობა, ხმალი, სატევარი, ჭინჭილები, არ იკლებ არაფერს, — უთხრა ილიამ ღიმილით.

— აბა, ყველა შენსავით ურწმუნო, ნილილისტი ხომ არ იქნება. — გაიცინა ნიკომ ბოხი ხმით და ილიას მკლავში ხელი გაუკეთა, თავის სახლისკენ წაიყვანა. — რა ამბავია, რომ შუა გამოცდების დროს გულა-ნაბადი აიკარი და პეტერბურგიდან გამოეშურე, ამბობენ, იმ გუდით ქართველების ლანძღვა-გინება მოიტანაო და რამდენიც მოესურვება იმდენს აბნევსო.



— რა დამახვედრეთ საქებარი და მოსაწონი, რომ ქება შეგასხათ. — უთხრა ილიამ და ცოტახანს შედგა, ნიკოს შეხედა, იმაზე კი, რად წამოვიდა პეტერბურგიდან, სიტყვაც არ დაძრა. ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, ორღობეში მწიფე ატმის და შემოსული ღიმილის სურნელება ტრიალებდა. თეთრ სახლთან, ხის სკამზე ფაფახიანები ჩამომსხდარიყვნენ, როგორც ეტყობოდა, ნიკოს დაღესტანიდან სტუმრები ჩამოეყვანა. მართველის დანახვაზე წამოიშალნენ და სამხედრო წესით გამოიქიმნენ.

— დაღესტნის მოღვაწეები უნდა გაცნო — უთხრა ნიკომ და თავის სტუმრებზე ხელით აჩვენა.

ილიამ შამილის ყოფილ ნაიბს შამხალ დებირს, დაუდ ბეგს, ჰაჯიალის და მათ თარჯიმანს ხელი დინჯად გაუწოდა და მერე ნიკოს მიუბრუნდა:

— როგორ მოხელობთ, როგორ განაგებთ მიუჩნებულ მთას? შენც და მელიჩიშვილსაც ენის შესწავლა დაგჭირდებათ, რომ გაიგოთ ხალხის ჩვეულება, ტკივილი და სიხარული, ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა. უამისოდ რას ვააყეთებთ, ყრუ-მუნჯობაა.

თარჯიმანმა ილიას ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნა. შამხალ დებირს მოყვითალო სახეზე სევდამ გადაჰკრა. გრძლად გაჭრილი თვალები კიდევ უფრო გაუგანინერდა. სერთუცში გამოწყობილ ქართველს, რომელსაც არც ერთი სამხედრო ნიშანი არა ჰქონდა, გაკვირვებით თვალი შეავლო და მადლობის ნიშნად თავი დაუქრა. ნიკო ჰაჯიავამეს კი სახე ბავშვივით გამოუცოცხლდა, მღელვარება დაეტყო. უხარმაზარი გოლიათივით იდგა და დაღესტნის მთებში შიმავალ ყოდორის ხეობას სიამოვნებით გასცქეროდა.

— მართალი ხარ, — ხმა ამოიღო ნიკომ კარგახნის შემდეგ — იმიტომ იყო, რომ მე მისვლისთანავე მთიელებს ადათების წიგნი შეუდგინე. მართლმსაჯულებად ის დავტოვე. მე მიყვარს ერი, რომელსაც ემოხელობ, გულფიცხი,

გულრკინა ხალხია, როგორ გეხსნც მისცემ, ისე მოგყვება. რა გინდა მეტი, ამ მოუსვენარი ნახევარსაუკუნეანი ბრძოლის შემდეგ ისეთი სიწყნარება, რომ სამხედრო კაციც მარტო დაღიან. იმიტომ არის, რომ ყველა ცნობისმოყვარე მეისტორიე იქ დაწინაწალებს, ჩვენი ფილოსოფოსი პლატონიც ამოვიდა და თურმე ტუჩები აიბზუქა, „ეს რა სიჩუმიეა“.

ილია დინჯად, დაკვირვებით უგდებდა ყურს.

— მერე ისლამი რას აკეთებს, სარწმუნოება არ გიშლით ხელს?

— ამასწინათ რამდენიმე აულში ქრისტიანების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. აბობოჭრებული ხალხი დელავდა, მაგრამ მე იმდენი ვიშეცადინე, რომ შეიარაღებული ძალა არ მივყავრე. ორი ქრისტიანი, მე და ჩემი ექიმი უიარალოდ ვაჭრობდით ამ აჯანყებას. — ლაპარაკობდა ნიკო და მის ხმას ნაღველი ეტყობოდა.

ილიას სახე ფიჭრით ჰქონდა საესე. ნიკოს თვალი მოაჩიდა. შამხალ დებირის შტაბს — კაპიტანის ფორმას დაუწყო ცქერა.

— ეტყობა, ბეგები და ნაიბები მუნდირებით დააშოშმინეთ, მაგრამ შენ ეს მითხარი, უბრალო ხალხს ამღვრეული გული რით დაუშვსვიდეთ?

— ეჰ, ხალხი, ვინ დაეძებს ხალხს. ხელი ჩაიჭნია ნიკომ. — სისწორე უნდა გითხრა, მეცოდებთან, გამვალტყავებულნი, ნახევრად შიშველნი ხანჯლებით ებრძოდნენ ჩვენს მძიმე იარაღს, ჩვენებიც წყდებოდნენ და ისინიც. მიუვალი აულეები ძვლითა და სისხლით მოიკირწყლა, მაგრამ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ამას მერე ისტორია ასწონ-დასწონის.

— მართალია, რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა დღეს ის მადლად მიგვანია — პეტერბურგის სასახლეში შამილი თურმე იმპერატორის სურათს საკოცნელად წაეპოტინა. ადამიანის უბედურება სწორედ მანდ არის, რომ წინასწარ არ იცის, რას ითხოვს ქაში,

არ იცის, სად დაიხიოს უკან და სად წაიწიოს, რა იხელთოს და რა უკუ ირიდოს — უთხრა ილიამ.

— ცოტა ის გვშველის, რომ იმამზე შეყვარებულთ გული აუტრუვდათ. დიდი კაცისათვის ერთი ფეხის წაბორძკებაა საკმარისი, რომ გული განელდეს. ისეთ დროს, როცა დაღისტანში ხალხი შიმშილისაგან ბალახსა სჭამდა, ხალხში ზმა გავრცელდა, იმამი ისე გამდიდრდა, რომ განძით და ჭონებით დატვირთული ქარავნები ოსმალეთისაკენ გაისტუმრათ.

— იმამებს და მხედართმთავრებს, თავისი მიზნების განხორციელების დროს, ხალხზე არასოდეს არ უფიქრობო, — ჩაილაპარაკა ილიამ და გაჩუმდა.

ბაღში ქაჭკაყაძის ქალები გამოვიდნენ. მათი მზიარული სიცილიკისკისი მოისმოდა. ყველა იქ იყო, მარტო ლიზა არ ჩანდა — რად ჩაიკეტა ასე? — გაიფიქრა ილიამ და ორღობეში მომავალ ბაბებს დაუწყო ცქერა. ნიკოს და მარტო მოდიოდა და თითქმის ფეხდაფეხ მუქი არაბული ულაყი მოჰყვებოდა, ქალს ცხენის აფშარისათვის ხელი მაგრად ჩაკეიდა. სახე ანთებული ჰქონდა. მძიევებით ნაქარგ საცხენოსნო ქუდიდან თმა უწესრიგოდ ჩამოჰფანტოდა.

— ნიკო, ზომ წააგე სანაძლეო, შენ დაუმორჩილებელი ლურჯა, შეხედე, როგორ მომყვება, — დაუძახა მმას.

— ნამდვილი ალქაჯია, მოდი და ცხენოსნობის ლაზათი კიდევ გასწიე, ქალის დამორჩილებულ ულაყზე კავალერის პოლკოვნიკი როგორ შეჯდებოდა. — მიუბრუნდა ილიას.

ბაბე მაინც არ ისვენებდა.

— უთხარი შენს დაღესტნელ მხედრებს, პირობაზე როგორ არიან, ჯიროთში ვიწვევ, — დაუძახა მმას და უკან გაბრუნდა.

ნიკომ სტუმრებს ხმამაღლა უთხრა: — ქალები დანაპირებს ელოდებიან.

დაუდბეგმა მხრები ყოყმანით იაჩეხა.

— ალლაჰის მადლსა ვფიცავ, არაეინ არ დაიჯერებს რომ ჩვენი ბედაურები

გურჯის ქალების ცხენებს ფეხდაფეხ უნდა ავყალოთ.

— მაგაზე ნუ დაგვემდურებით, — ილიამ მხარზე დაადო ხელი. — ამ საუკუნეს ეგ დიდ მაღლად უნდა ჩავუთვალოთ, რომ ჩვენ შორის ისეთი ზავი და მშვიდობა ჩამოვადო, რომ ამ ორღობეში ცხვარი და მგელი ერთადა ვღვევართ, — უთხრა სიცილით. პაჯე ალიმ მწარედ გაიღიმა და ამოიოხრა.

მსახურებმა დაღესტნელების ცხენები მოიყვანეს და შორიახლოს გააჩერეს. ბეგებს შეკაზმული ბედაურების დანახვაზე მიმტანარებული სახეები გამოუცოცხლდათ, დაკვირვებით გასინჯეს შეკაზმულობა და მოხდენილად ელვას სისწრაფით, შეფრინდნენ ზედ. ცხენებს შესაფიცებლად ოდნავ დეზი ჰკრეს და მოშორებით შეათამაშეს. ორღობეში მხედარი ქალები მწყობრად ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ, როგორც ყოველთვის, ახლაც წინ ბაბე ქაჭკაყაძე მოუძლოდა, მაგრამ სოსან ფერებში ჩაცმულმა ქალმა თავის ბედაურს დაწნული თასმა გადაკრა. მოწინავეს გაუსწრო და პოეტმა ქალმა ანა ერისთავმა თავისი ჭმრის წინ ცხენი ყალყზე შეაყენა, ნიკოს თვალმოუშორებლივ მიაჩერდა. ანას თვალები სავსე იყო ჭმრისადმი სიყვარულით, მორჩილებით და სინანულით. ნიკოს სახე გაეყინა. მხედარ ქალს პირი უბრუნა. ილიამ იცოდა, ცოლი არ უყვარდა და ამ უხმო ქიდილს სიყვარულისა და სიძულვილისას განგებ მზერა აარიდა. ეკლესიის მშენებლობას დაუწყო ცქერა, ხელოსნები ფაციფუცობდნენ, ხარაჩოებზე დადიოდნენ. მხედარი ქალებიც თვალს მიეფარნენ. ნიკო თავდაღუნული იდგა. საათს დახედა, მერე დაღესტნის მთებს დაუწყო ცქერა.

— წავალ, ისე გადავიკარგები, რომ თვალი ვერ მომკრან! — ჩაილაპარაკა.

ილიამ მაჯაში ჩაავლო ხელი.

— სად მირბინარ, ბიჭო, ვის გაურბინარ. ამ შენ საწყალ ხალხს?

— ის ხალხი გაცილებით საწყალი და უბედურია, სადაც მე ჩემი სურვილით

ვმოხელეობ. წელანაც გითხარი. იმ გულრკინა, თავისუფლებისათვის მებრძოლმა ერმა გამიტაცა.

ილია ყურადღებით, თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა.

— ეგ შენი კაიკაცობის, შენი რივიანობის ნიშანია, მაგრამ რატომ შენი ხალხისკენ არ იყურები? უნდა იცოდე, ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზე, თავისიანობაზე, ვისაც თავისი უარუყვია გულიდამ ამოუღია, ის სხვისას ვერ შეითვისებს.

— არც ჩვენი ქვეყნისათვის დამშურებია არაფერი. სისხლი იყო საჭირო. შენ კარგად იცი, ჯერ კიდევ ბავშვმა ბრძოლებში რამდენჯერ სისხლი დაეანთხე, ჩოლოქთან ახლოს. ანეხილი ცოცხალ-მკვდარი გამომიტანეს.

— შენი მამულიშვილობის ამბავი ვიცი და იმიტომ გეუბნები, სხვას არ ვეტყვოდი ავას. მეკითხებოდი პეტერბურგიდან რად წამოხვედიო. რაკი სიტყვამ მოიტანა, პირუთვნელად უნდა გითხრა, ჩვენმა გაჭირვებამ, ჩვენმა უღონობამ არ დამაყენა. ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გასაღონიერებლად გამოვეშურე. რუსეთმა თვალეზე მოისვა ხელი, ფეხზე წამოდგა. გერცენის „კოლოკოლი“ ინგლისში რეკავს და რუსეთში ყველა ცოცხალს ფეხზე აყენებს. ჩვენ კი ბატონყმობის უღელი ისევ კისერზე გვაწევს. ვინაობა დაკარგულები ერთმანეთს უხმოდ შეეყურებთ. ქართული ენა გვეკარგება. შინაურს და გარეულს როგორც მოესურვება. ისე ეტყევა. ძლიერი და თავგანწირული ბრძოლა გვჭირდება, რომ ეს ერთადერთი საუნჯე წულ არ დაგვარგოთ. საზოგადოებრივი აზრის გასაღონიერებლად სასწრაფოდ საჭიროა ეურნალ-გაზეთი, მაგრამ საამისო სახსარი არ გაგვაჩნია. ხომ ხედავ, ძმაო, ძაღლის თავი სადა მარხია. — ილია გაჩუმდა, თავის სახლისაკენ გაიხედა და ნიკოს ცქერაც გაიყოლია. კაკლის ჩრდილში, ჩამავეებული ღერეფანი ისე ღარიბულად იყურებოდა, რომ ორივემ ერთმანეთს უხმოდ შეხედა, კარგახანს სიჩუმე იყო.

— ეურნალი ვინდა სამოღვაწეოდ? ეგ ურიგო საქმე არ არის, ჩაილაპარაკა ნიკომ.

— მე კი არა, ახალ ეურნალს თვითონ ცხოვრება საჭიროებს. ეს ისევე აუცილებელია, როგორც შენთვის ბრძოლის დროს შეიარაღებული ჯარისკაცი, მაგრამ საიდან, როგორ? ჯერხნობით ქალაქში ცხოვრების საშუალებასაც მოკლებული ვარ, ღვინის მოსავალს ვუცდი, რომ წავიდე, მაგრამ ჩემი დაუმუშავებელი ვენახები ვალსა და თავისთავსაც კი ვერ აუღის და საზოგადო საქმეს რას გაუკეთებს, ნიკო! — ილიამ თავი აიღო, სვედიანი დიდი თვალები წყლით გაცეცხობდა, — საამისო ნივთიერი ძალღონე შენ გაგახნია, თავი დაანებე ეკლესიის მშენებლობას, მაგას ვანაცვალეთ ყველაფერი, მოდი, ვივმაროთ.

— მოგიკვდეს ნიკო, თუ საქველო საქმეში განზე გაგეტყვეს, მაგრამ ერისთავეებმა — ჩემმა ცოლმა და ცოლისდაქვინა ბარბარემ ლექსები ისე შემაჯავრეს, რომ იმათ გულისთვის არაფერს არ გავაკეთებ.

ილიამ გულიანად გადაიხარხარა.

— რაფიელის პოეზიას კაცი როგორ დაემდღურება? კვინებნისა კი რა მოგახსენო, მაგრამ ის ეურნალი საიმათო არ იქნება.

— თუ კი ასეა, მომეცი ხელი. ხომ იცი, ნიკოს ნათქვამ სიტყვას გადაბრუნება არ უწერია. — ნიკომ თავისი ბრტყელი უხარამზარი ხელი ილიას დინჯად გაუწოდა.

— შენი ჰირიმი, მოდი ერთი, მამულიშვილურად გადაგეხვიო.

ახალგაზრდა ქვევავამებმა ერთმანეთი გადააკოცნეს.

— ჩემთვის ოჯახური მყუდროება აღარ არსებობს. ქალის სახელს აღარ ვახსენებ. რაც გამაჩნია საქველო საქმეს მოვანდომებ, — ჩაილაპარაკა ნიკომ ცოტახნის შემდეგ და თავი ნაღვლიანად ჩამოჰკიდა.

სალამოს ნიკოსთან სამხედრო პირებს მოეყარათ თავი. „ზენიკს“ თამაშობდნენ. ღია სარკმელი პაპიროსის კვამლით იყო დაფარული. ილია მოგვიანებით მოვიდა. ყოველთვის მხიარული სახლი რალაც მღუმარებას და დარდს მოეცვა. ნიკოს რძალი ნალია შატიხინა როიალთან იჯდა, ხელი კლავიშზე დარჩენოდა და ოდნავ ჭორფლიანი უღამაზო სახე ღია სარკმლისათვის გაეშტერებინა. ტახტზე ნიკოს დედას, ყაფლან ორბელიანის დას მოეცეკა, მუხლზე ვისრამიანი და კრილოსანი ედო, მაგრამ, ეტყობოდა, არ კითხულობდა.

— მოდი, შვილო, — დაუძახა ილიას და ამოიოხრა — უნდა გითხრა, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს ოჯახში. ჩემს ნიკოს ერისთავებმა ყმაწვილკაცობა გაუმწარეს, იმათი უწმინდური სისხლი როგორ დაწდება, გარეულ მტარვლობის ნებას რომ აღარ ამღევენ, ახლა შინაურულად მტარვლობენ.

ილიამ წარბი შეიკრა, ეტყობოდა, შინაური ამბების მოსმენა არ უნდოდა. მაგრამ ელენემ ყურადღება არ მიაქცია, ისევ განაგრძო:

— როგორ არ გეკნება გაგონილი, რომ ჩემი ნიკოს ცოლი ანა ის არ არის, რომელთანაც საქორწინო პირობა დადო. ისიც გაგონილი გეკნება, რომ ერისთავის ქალი დიდიხანია ლეკვებით ეტრფოდა, მაგრამ ნიკო არ იცნობდა. ერთ დღეს გადაწყვიტა გაეცნო, ანას ნახვა მოისურვა. ცოდვას ვერ დავიდებ, ვერ ვიტყვი, სიცელქით მოუვიდა თუ შიშით, მაგრამ ანამ თავის მაგივრად დათქმულ ადგილზე სიტურფით საცხე მეგობარი ქალი მიგზავნა. ჩემი გიყი ბიჭი უცნობი ასულის ნახვით მოიხიბლა. ქორწილის დღე მაშინვე დანიშნა, გამოაცხადა, რომ დავით ერისთავის ქალს ირთავდა ცოლად. ერისთავის ქალი კი ანა აღმოჩნდა. ჩემი მამაცი, მეომარი ბიჭი ქსელში გაება, მაგრამ შენ კარგად იცი, როგორი რაინდია, ხმა არ ამოიღო. წამოიყვანა ქალი შინ, გვარი

მისცა, თვითონ კი ამ არემარედან გადაიკარგა. დღეს რალაცაზე უცებ აგნთო და ცოლს გამოუცხადა: *მეცხე-მეცხე*

— ჩემი სახლი უნდა დატოვო. — მეურმეც გაათრთხილა; წაიყვანე, თუ არ გადმოვიდეს, ურემი ააყირავე და იქ დატოვეო. ქმრის სიყვარულით გიყდება ეს უბედური. ჩემი სახლკარის ადგილი არ დატოვა, რომ ცრემლით არ დაესველებინა.

ნალია შატიხინა ფეხზე წამოდგა, ამოიოხრა, ქალის ცისფერი კეთილი თვალები თანაგრძნობით საცხენი იყვნენ. როგორც ეტყობოდა, ანა ერისთავი ებრალებოდა. ილიას ხელით ანიშნა გაიხედეო, ბაღში ხის სკამზე ანა იჯდა, მკლავები გაეშალა. შიგ თავი ჰქონდა ჩამალული. როგორც ეტყობოდა ქვითინებდა. ილია მოღრუბლული და სახე-შეკრული იდგა, თითქოს გზა არეოდეს და ამ მახლობელ სახლში დღეს შემოხვევით შემოსულიყო. მაგრამ სწორედ ამ დროს დაკეტილი ოთახიდან შეეხმიანენ, დაუძახეს. კარი შეაღო. მაგიდას სამხედრო პირები შემოსხდომოდნენ, პაპიროსის კვამლს და ბოლში მათი აზარტით საცხე თვალები ელვარებდნენ. ნიკომ ილიას მკლავში წაავლო ხელი და გვერდით მოისვა. თვითონ ჩაქუფრული სახით იყო. ხანდახან მის თვალებს სინანული და დაბნეულობა ეტყობოდა, შეიძლება ნანობდა სასტიკ განაჩენს ცოლის მიმართ, მაგრამ ხმას ვერაფერს სცემდა. კარგად იცოდნენ, ნიკოს ნათქვამ სიტყვას გადაბრუნება არ ეწერა. ანა ერისთავის ბედი განწირულად მიაჩნდა ყველას. ფანჯრის წინ ვილაცამ დეზების და ხმლის ჩხარა-ჩხურით გაიარა და მინაზე ოდნავ მიაკაკუნა.

— „მინანიჩი“ მოდის, — ჩაილაპარაკა ნიკომ უკმაყოფილოდ და ოთახში მძიმე ნაბიჯით გაიარა.

— ეხლა უყურეთ მაგის კვენხას და ფართი-ფურთს, — ხელი ჩაიქნია მიშო ჭავჭავაძემ.

ოთახში ვანო ორბელიანი შემოვიდა, გაგჩინსკის პოლკის შტაბს-კაპიტანის ფორმაში იყო გამოწყობილი. მხარზე

ადუტანტის ექსელბანტები უბრწყინავდა. ფეხი-ფეხს ოდნავ შემოჰკრა და თავი მოხდენილად დააკანტურა.

— აა-ააა, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები, — დაიძახა. როცა ნიკოს შესწრო თვალი და მისკენ მსუბუქი ნაბიჯით გაეშურა, — შენი დიდი ქება მოდის დაღესტნიდან. ორბელიანების სისხლი ტყუილად არ გიდულს, დიდი ადმინისტრაციული ნიჭი გამოგიჩენია. ხუმრობა ხომ არ არის, — მიუბრუნდა იქ მყოფთ. მიუერიზობით ანთებულ ქვეყანას ქრისტიანი კაცი მართავდეს.

ნიკომ მის გასაჩერებლად ხელი ოდნავ ასწია, მაგრამ ორბელიანი ვერ გააჩემა.

— რა ვიცი, ამ ჩემ გლეხებს კი მე ვერაფერი მოვუხერხე, ღმერთი უწყრებთ, ხანჯალზე უვლიათ ხელი და სულ უბრალო რამეზე ბუნტს მიმართავენ. თუმცა რა მოეთხოვებათ — *оши же дикари*.

ილიამ მაგიდაზე ჩამოწოლილი კვამლი ხელით გაფანტა, რომ ორბელიანისთვის უკეთესად შეეხებდა. მაგრამ ხმა არ ამოიღო! ეტყობოდა, კიდევ რაღაცას ელოდა. არა ჩქარობდა.

— რა უნდათ, რას მოითხოვენ? — შეეკითხა მიშო ჭავჭავაძე.

— ღმერთმა რომ არ იცის იმათი თავი. რატომ ხელის გულზე არ გვისვამთ და ისე არ გვატარებთო, — გადაიხარხარა ვანომ. — რატომ ჩვენ კი არ გვაწინაურებთო, ჩვენი მხრები პაგონებს ვერ მოერევაო. რაკი გლეხები ვართ, იმიტომით, ის არ იციან, თქვენი ჭირიმეთ, რომ იმ მხრებზე როგორი უგუნური თავი აბიათ.

ილია შეიმშუშნა.

— თავადო! თქვენ ალბათ არ იცით, რომ გლეხის ჰკუა ბევრად უკეთესია ცრუ სხივით განათებულ, ეპოლტეზიან ჰკუაზე, — გაისმა მისი დინჯი, ოდნავ ყრუ ხმა.

ვანო ორბელიანმა დედის მსგავსი ლამაზი თვალები ფართოდ გააღო.

— უფალო სტუდენტო, მე თქვენთვის საამისო არაფერი მიკადრებია. ეს

რა სიტყვა-პასუხი გაქვთ, პეტერბურგში ნამყოფი მაინც არ იყოთ.

— პეტერბურგში სიტყვა-პასუხის სასწავლებლად არ წავსულვარ. მე ზრდილობიანი ლაპარაკი იქ, სადაც საჭირო არ არის, არ მემარჯვება. — შეაწყვეტინა ილიამ უკმეხად...

ორბელიანმა ნიკოს გადახედა.

— ეს შენი ნათესავი ხომ არ გაგიცადა? რა კრახანასავით იკბინება? — უთხრა ჩუმად.

ნიკომ ოთახში მძიმე ნაბიჯით გაიარა და ილიასთან ახლოს გაჩერდა.

— თავი დაანებე, ჩიტი ბღღენად უნდა ღირდეს, — უთხრა და ლაპარაკის კილო სწრაფად შეცვალა, ორბელიანს შეეკითხა:

— რასა ვთხოვენ ჩვენი მებრძოლები? არა შგონია პაგონებისთვის იღრი-ნებოდნენ, უამბოდ და უსაქმოდ ისინი ხმას არ დასძრავენ. ალბათ მიგიძღვით დანაშაული, გული ატკინეთ.

— მელიქიშვილის ჩამოსვლას მოითხოვენ, ხან გრიგოლ ორბელიანს კითხულობენ. სხვასთან ლაპარაკს არ კადრულობენ. მელიქიშვილმაც გააჭირა საქმე, საღერღელი აუშალა. დაპპირდა, გრენადერების უფლებას გამოვიტხოვო, რომ შენსიები არ დაკარგოთო. მერე გენერლის ქურქში გაეხვია და მიიმალა, დაპირების მეტი არა იცის რა.

— მაინც რა მოხდა მაგისთანა, რომ სალდათის ბედი სანატრელად გადაეცათ, ცამეტი წელიწადია დანაპირებს ელიან და ვერ იქნა და ვერ აუსრულდათ, — ჩაილაპარაკა ნიკომ და კედელზე დაკიდებული ხმალი და დამბაჩა ჩამოიღო. წელზე შემოირტყა, — შტაბში მე წავალ მხოლოდ უშენოდ, გააფრთხილა ორბელიანი, — თუ მოვახერხებ, დავაწყნარებ, კიდევ უნდა მოვატყუოთ, დავაშოშმინოთ. ასეთია ჩვენი ხელობა, ილიკო, შენ წამოდი ჩემთან, — სთხოვა ილიას.

— უსათუოდ, — ფეხზე წამოიღვა ილია და სერთუკის დიდი შეიბნია.

ორბელიანმა მიმავალთ თავიდან ფეხებამდე თვალი შეაელო და ლამაზ

ქალურ ტუჩებში დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. — ეს ვინ მოჰყავს შენი ჭირიმე ცეცხლი და ნეთია. დააწყნარებს კი არა, ვინ იცის, უარესად ააბუნტოს. ნიკოს იმედი კი ქეშმარიტად მაქვს. დალესტანში ერთმანეთზე სისხლის ასაღებად მისული 300 ოჯახი დაუწყნარებია, შეურიგებია და ამ ტეტიების გაყუჩებას როგორ ვერ შესძლებს!

ქართული ქვეითი დრუჟინა ყვარელში იდგა, ბინა ძველ ციხეში და არტილერიის თავლაში ჰქონდა, მაგრამ საღამოს ყველა ასეულს თავი ერთად მოეყარა. გალაგნის სიგრძეზე აქა-იქ ცეცხლი დაენთოთ. ირგვლივ პარტიზანთა ასეული შემოსხდომოდა. ხანჯლებისაგან დასერილ მათ სახეებს ფიქრი და მწუხარება ეტყობოდა, დაეწიებოდით, ყურადღებას არ აქცევდნენ, რომ პატარა გამურულ ქვაბში ულუფად მიცემული ხორცის ნაჭრები იხარშებოდა. ეს მეოთხე დღე იყო, რაც ექიმთან ერთად სამხედრო კომისია მუშაობდა, ძველი მებრძოლები, რომლებიც ამ „დრუჟინას“ შებერებოდნენ, სახლებში უნდა წასულიყვნენ, უნდა დაეკარგათ ეს ულუფა. ეს ცხენების სამყოფელი ბინა უნდა მოშლოდათ, თან უნდა წაეღოთ ხანგრძლივი ბრძოლისაგან დასახიჩრებული სხეული და რამდენიმე რკინის მედალი, მაგრამ ბევრმა ამათგანმა არ იცოდა, სად წაივლიდა, მამულს, რომელსაც ისინი აქუშავებდნენ ბატონის „პრიკაში“ ეყიდებოდა, სახლ-კარაც ვაჭრებს გირაოდ ჰქონდა აღებული, ცოლ-შვილი ან ლეკს გავეტანა ან ბატონის ქალს მზითევაში ჰყავდა წაყვანილი. მეომრები თავისი სოფლიდან გადასახლებას ფიქრობდნენ, ბოგანოდ წასვლას, მაგრამ ერთადერთი იმედი კიდევ შერჩენოდათ, ეს პენსია იყო, რომ სიბერის დროს ხელგამოწვდილებს არ ევლოთ სამოწყალოდ. რამდენიმე წლის წინათ ვორონცოვი დაჰპირდა პირობების გაუმჯობესებას. იმ ხანებში ამათ გმირობა სჭირდებოდა, ცდილობდა პენსია დაენიშნათ მეომრებისათვის. მაგრამ და-

ნაპირები იგვიანებდა, არა ჩანდა, ამთწასელის დრო კი იწურებოდა. იმდროს იყო რომ ასე მღელმარებდნენ, მწუხანდურეს, რომელიც მთელი საღამო ცხვირში მღეროდა, ხმა ჩაიწყვიტო, უჯავრდებოდნენ. გალაგანში ძველი მებრძოლების ვარდა „დრუჟინაში გაწვეული“ და ბადალში მისული სოფლის ახალგაზრდობა ტრიალებდა, ეს იყო ირგვლივრებული ქართული ჯარი, ეს პოლკი კავკასიური ომის დროს კახეთს იცავდა. მის ასეულებში შედიოდნენ გლეხები, თავადები, აზნაურები, თითქმის ყველა, ვისაც კი მკლავი უჭრიდა. თბილის-იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან მოხალისეთა ასეულები მოდიოდნენ მოსაშველებლად. ბევრი მებრძოლთაგანი ამ „დრუჟინაში“ საინგილოდან მოდიოდა, მოხალისედ რჩებოდა და აქ ბერდებოდა. 1831 წელს მათ შეადგინეს პირველი პოლკი და მორიგეობით საზღვარზე დადგნენ. პირველად იყო, რომ დამორჩილებულმა ინგილომ თოფი აიღო ლეკის წინააღმდეგ.

საინგილო ანუ ძველი კაკ-ენისელი ლეკებს ეჭირათ და თითქმის ორასი წელიწადი მონობის განუქითხავი უღელი ედგათ. საქართველოს ეს გაღმა მხარე შაჰ-აბაზმა გაანადგურა. სპარსეთის შაჰმა კახეთთან ერთად გადაასახლა და ამოსწყვიტა ქართველები. დაცარიელებულ ადგილებში მთიდან ჩამოსახლებული ლეკები დაასახელა. მათ დაიჭირეს ეს მდიდარი მხარე. „გაწყდა, დაცარიელდა მარგალიტი საქართველოსი, ნაცრად იქცა სწავლა-განათლების კერა — ბელაქანი, აოხრებულ და გაპარტახებულ სოფლებში დიდი ხნის შემდეგ ძლივს გამოჩნდნენ აქა-იქ ლანდალტყეული ქართველები, მთის უღრან ტყეში გადარჩენილნი. სპარსეთის ხანები, რომელთაც რეზიდენცია ყარაღაჯში ჰქონდათ, განგებ საქართველოს ამოსაგდებად იყვნენ განწყვებულნი. ისინი დღე-მუდამ უსევდნენ ლეკებს ქართველებს. მათი სამართალით, ლეკი თუ ქართველს მოკლავდა, საჩუქრისა და ქების ღირსი იყო, პირიქით — ქართველი თუ

მოკლავდა ლეკს — მათ თავს მოჰკვეთდნენ. ასე მოხდა, გაღმამხარე ლეკებით აივსო. აქედან იწყება გაუთავებელი და დაუსრულებელი რბევა საქართველოსი. ჰარ-ბელაქანი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. აქ იყრიდნენ თავს დაღისტენელი, გამოჩენილი ბელადები და მათთან ერთად საღავლოდ აქედან მიდიოდნენ. მათ მხარს უჭერდა ახალციხის ფაშა. დაქირავებულ ლეკებისაგან შემდგარი ჯარით ქართლს ის არბევდა აზატი კაკენისელი ქართველ ლეკმა იყმო. ვლენმა გლენი ყმად გაიხადა. საშინელი გადასახადი „ქეშქელი“ დააქისრა. მის მიწაზე ჩამოსახლებული ბატონი მოითხოვდა, რომ ინგილო პატივით მოჰქცეოდა არამცთუ მას, მისი ცხენისთვისაც კი ფეხების წინ ფიანდაზად ხალიჩა ან ჯეჯიმი გაეშალა. 1800 წლებში როცა რუსის მხედრობა საქართველოში შემოვიდა, გენერალმა ლაზარევმა ფაშას სთხოვა დაქირავებული ჯარისთვის საქართველოს აკლება-აწიოკება აეკრძალა. ფაშა დაჰპირდა, მაგრამ არ ასრულა. ლაზარევი კახეთის საზღვრების დასათვალისწინებლად გაემართა. ჰარ-ბელაქნელებმა დეპუტაცია მიუგზავნეს და ქვეშევრდომად მიღება სთხოვეს. გენერალს ეჭვი შეეპარა და პირობის შესასრულებლად ამანათები მოითხოვა. წერილი მისწერა თემთა ყრილობას, რომ გამოეგზავნათ მაჰმადი-მურთუხ ალი აბდულის გვარისაგან, და გურჯარი ანანიანთა გვარისაგან — შევინახავთ ისე, როგორც მათ შეფერიოთ. თუ თქვენი ხალხი შეესევა საქართველოს ან კიდევ გზას მისცემს ყაჩაღთა ბრბოებს, ეგენი იქნებიან პასუხისმგებელნიო, — სწერდა გენერალი. ლაზარევის წერილი ლეკებმა დახიეს და ერთი დეპუტატი სიცოცხლესაც კი გამოასალმეს. აქედან იწყება განუწყვეტელი ურჩობაც და მორჩილებაც. ისინი კნორინგს, ციციანოვს ქვეშევრდომობას სთხოვდნენ, ხარკს ჰპირდებოდნენ, მაგრამ საქართველოს რბევაზე რომ ხელი აეღოთ, უარს ამბობდნენ — „ვაი თუ ვერ შევასრულოთ და თქვენთან პირშავად

გამოვიდეთო. 1830 წელს გრაფმა პასკევიჩმა ჰარ-ბელაქნის სრული ოკუპაცია გადაწყვიტა. ზამთარში დიდი ჯარით შევიდა შიგ და მხარე უომრად, უბრძოლველად დაიჭირა. თათრულ ენაზე დაწერილი პროკლამაცია თემთა ყრილობას გაუგზავნა განსახილველად.

„ჰარის პროვინცია თავისი მდგომარეობის მიხედვით განიყოფება ორ კლასად. გაბატონებულ მფლობელებად, რომელნიც ლეკები არიან და რომელნიც ჩვენთან ყოველთვის ცუდ განწყობილებაში იმყოფებიან და მათგან დამონებულ ქართველებად, რომელთათვისაც სხვადასხვა შევიწროებით მაჰმადიანობა მიუღებინებიათ; ჩვენი მიზანია ამ დაბეჩავებულ ხალხს ყოველმხრივ ხელი შევეწყუთ და მათი დახმარებით ლეკთა ძალაუფლება შევასუსტოთ“. რუსის მხედრობამ ზაქათალაში ციხის მშენებლობას მიჰყო ხელი. ალაზნის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ლეკის კორდონის ხაზი დაერქვა. მაგრამ მშვიდობიანობამ დიდხანს ვერ გასტანა. — „ხალხი, რომელიც სხვათა დარბევით, აწიოკებით და ნადავლით ცხოვრებას იყო ჩვეული, ასე ადვილად ფარხმალს არ ჰყრიდა“. შემთხვევას ელოდნენ. შემთხვევამაც არ დაიგვიანა. ეს ის დრო იყო, როცა შამილის ძლიერებამ განსაკუთრებით იჩინა თავი, მისი მურიდილში — საღმთო ომი ქრისტიანობის წინააღმდეგ — ფარულად მოედო არამცთუ მთას, ბარშიც ჩავიდა და ჰარ-ბელაქნელი ლეკებიც ამღელვებდა. შაიხ-შაბანმა და გამზათ ბეგმა ჰარის ლეკები ააჯანყეს. რუსის მხედრობასაც მაშველად ახალი ჯარი მოუვიდა გენერალ სტრეკალოვის მეთაურობით. მაგრამ ლეკებმა დაასწრეს. მოულოდნელად თავს დაესხნენ და რუსის მხედრობას დიდი ზარალი მიადენეს. მაშინ სტრეკალოვმა ინგილოებს მოწოდებით მიმართა: „მონობის უღელს სამუდამოდ მოგაშორებთ, ქეშქელს მოვსპობთ, ოღონდ რაზემე შეაგროვეთ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა დაეიწყეთო“. პირველად იყო, რომ ინგილომ თავი აიღო მალა, შესაძლებ-

ლობა იგრძნო თავისუფლებისა, მაშაპაური თოფით, გრძელი ხანჯლით საბრძოლველად გამოვიდა. ხუთასი მხედარი იასე ანდრონიკაშვილის მეთაურობით საზღვარზე დადგა. ამათ დაერქვათ პირველი ქვეითი პოლკი ჭარისა, ჭარ-ბელაქნელების აჯანყება ჩაქრობილ იქნა, მაგრამ სტრეკალოვს და პასკევიჩს დანაპირები დაავიწყდათ. ქეშქელიც და მონობაც შერჩა ინგილოს, რადგან აჯანყებული ლეკების დაცხრომა მარტო მოფერებით შეიძლებოდა, კავკასიური ომის რუსეთისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ინგილო დასამშვიდებლად ისევ ლეკს მისცეს. მორიგე მებრძოლებსაც თითქოს გული აუცრუვდათ მხედრობაზე, მაგრამ მათ რიგებს სწრაფად აესებდნენ, თუმთა მაშაცი მეომრები, თელავ-სიღნაღის გლეხობა, თავდაზნაურობაც სამორიგეოდ გამოდიოდა. ხელმძღვანელობა მათვე ებარათ. დროებით მილიციისაგან ეს პოლკი იმით განსხვავდებოდა, რომ მილიცია მარტო შიშინაობის დროს გაზაფხულ-ზაფხულში იკრიბებოდა. ეს პოლკი კი მუდმივ ცვლას წარმოადგენდა, ზამთარ-ზაფხულ საზღვარზე უნდა ყოფილიყო. თითოეულ მათგანს სამორიგეოდ სამი თვე ჰქონდა დაწესებული. ბრძოლების დროს ფული და ულუფა ეძლეოდათ. მაგრამ უბინაოდ და უყურადღებოდ იყვნენ. სოფლის მოხელები, მამასახლისები, ასისთავები შეკრების დროს ხშირად მემკრებს აქირავენდნენ, ან თავიანთ მამულში ამუშავებდნენ. უყურადღებობა ეტყობოდათ კიდევ იმაში, რომ დაქსაქსულები მცირე რაზმებით იბრძოდნენ ყველგან, სადაც კი მტერს მოასწრებდნენ და თავიანთი ზღაპრული გმირობით შორეულ პეტერბურგის სასახლესაც კი აკვირებდნენ. მათ სიმაშაცეს პატივმოყვარე გენერლები და ის სამხედრონი, რომელნიც კავკასიურ ომში სახელს და ჩინს დაეძებდნენ სულ სხვანაირად იყენებდნენ. ექსპედიციებში ავანგარდად მიჰყავდათ და ესენიც ზურნის ხმაზე

მიუვალ აულებს თავს აწყვეტდნენ. 1847 წელს სვიმონ ჯანდიერის მეთაურობით ამ პოლკის ორასი მებრძოლი კიპჩაკის ხეობაში 1000 მთიელ მხედარს წააწყდა. შეეძლოთ აერიდებინათ ეს უთანასწორო ბრძოლა, მაგრამ შეებნენ. მეთაურთან ერთად თითქმის ყველა გაწყდა, ისე, რომ რეგულარული არმიის შტაბმა არ იცოდა მათი ამბავი. ამ სისხლიანი ეპიზოდის შემდეგ მიაქციეს ყურადღება. ვორონცოვმა დროშა და ხატი გამოუგზავნა. პოლკის სახელწოდება „დრუჟინა“ შეუცვალა, ბინა შტაბისათვის ყვარელში მისცა. მეთაურებად თავად-აზნაურობა გაამწესა, ჩინი და ხარისხი მარტო იმათთვის გაიშეტა, მილიციელებს კი დაპირდა ჯარისკაცის უფლებას მიანიჭებდა. იმ ხანებში ლევან მელიქიშვილი იყო მათი სარდალი. მეფის წყალობას მოელოდა, მის კარიერას თავდავიწყებული საგმირო საქმეები სჭირდებოდა და მებრძოლების გულის მოსაგებად პირობების გაუმჯობესებისათვის თითქოს ცდილობდა, მიმოწერას აწარმოებდა, რომ იარაღი და ტანსაცმელი სახელმწიფო ჰქონოდათ და დამსახურებულისთვის პატარა პენსიები მიიღებინებდათ. მაგრამ თვითონ მიიღო გენერალ-მაიორობა და ამ ხალხის ბედი იმის შემდეგ სულ დაივიწყა. თუმც თოთხმეტმა წელმა გაიარა, მილიციელები დანაპირებს მიიწვი ელოდნენ. როცა ბოლშა მოაწვებოდათ, მელიქიშვილს კითხულობდნენ, მაგრამ გალავანში მის მაგიერად ნიკო ჭავჭავაძე შემოვიდა, გვერდით შავ სერთუქიანი ახალგაზრდა მოყვებოდა.

რა ამბავია, არწივებო, მხრები როგორ ჩამოგიყრიათ, დაუძახა ნიკომ შორიდან. მეომრები ფეხზე წამოდგნენ, ქულებზე იტაცეს ხელი და ნიკოს თავჩაქინდარულები წინ გაუჩერდნენ.

— ეჰ, არწივები კი არა ქინკრაქებიც კი აღარა ვართ. — უპასუხა ვილაცამ.

— ამ პარტიზანთა ამბავი იცი? — მიუბრუნდა ნიკო ილიას. — ამათი ბრძოლების ამბავი ზღაპარს წაავგას.



ილიამ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და კარგა ხნის შემდეგ ხმა ამოიღო. — ეს ისინია, რომელნიც ნებით და უნებლიეთ ჭირში ყოველთვის პირველნი იყვნენ, ლხინის დროს კი უკანასკნელნი. სხვებმა დაისაკუთრეს ამათი სახელი.

ნიკოს თვალები უფლვარებდა. ეტყობოდა, ამ მეომრების წარსული ბრძოლები ახსენდებოდა. ილიას სიტყვის დამთავრება არ დააცალა ისე განაგრძო: ძალიან ხშირად მართო სიმამაცით, უბრძოლველად აბნევდნენ ყოვლად მამაც ლეკის ჯარს. ერთხელ ჭარის ხიდს მოწინააღმდეგემ ცეცხლი მისცა, თვითონ კი აღიდებულ მდინარის იქით იყო გამაგრებული. ამ დრუჟინას გენერალი ვრევსკი მეთაურობდა. გენერალი ერთ ხანს შედგა ცეცხლის წინ, და პატარა ფიჭვის შემდეგ ანთებულ ხიდზე ხელით აჩვენა. როგორც შევარდნები ისე გაფრინდნენ. ამათ ჭოჩრებს და ჩოხის კალთებს ცეცხლი ეკიდა. ასე ჩაუხტნენ ჩასაფრებულთ. ამ სითამამის დანახვაზე მტერს ხელში იარაღი შეეყინა, აღტაცებულნი მისჩერებოდნენ. ასე გასინჯე, ბრძოლა წააგეს.

— ეჰ, ეგ ვილას ახსოვს! — ამოიოხრა მეომრებში ვილაცამ.

ილია თვითულ მათგანს დაკვირვებით მისჩერებოდა. მის თვალებს სევდა ეტყობოდა. თითქმის უმეტესობა ყვარელიდან და მისი მახლობელი სოფლებიდან იყვნენ მოსულნი. მიწის მუშები, მეურნევენი ამ იარაღს აფარებდნენ თავს, არც ჯარისკაცები ერჭვათ და არც გლეხები.

— ეგ ყველაფერი ზორია, გათავდა. ისტორიას ჩაბარდა ჩვენი ბრძოლები. ახლა ამათ სხვა ომი მართებთ, თავიანთი ადამიანური უფლებებისათვის! — ჩაილაპარაკა და მებრძოლთ ნელი ნაბიჯით ჩაუარა. მეომრების ცხოვრებას კარგად იცნობდა. ასეულები, ყვარლის შარაგზაზე თუ პარიარაღის სიმღერით ამოივლიდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებულნი მოდიოდნენ და პატარა ილიაც ქუდმოგლეჯილი იქით გარბოდა.

ამ მოედანზე ბრძოლების შემდეგ დიდხანს თავდავიწყებით ქეიფობდნენ, ცდილობდნენ და მღეროდნენ, დანარჩენს ყველას ამ ცხოვრებისას იგიწყებდნენ. დღესკი თავები ჩაქინდრათ, გლეხკაცს ომის დამთავრება და თავის სახლკარში დაბრუნება არ უხაროდა, თითქოს მის გარშემო არსებულ სინამდვილეს ახლა პირველად უბრუნდებოდა და მისი სიავე მართო ახლა აფიქრებდა.

— გამხოშვილო, მოდი აქ, — დაუძახა ნიკომ ვილაცას. მის წინ გოლიათი მეომარი აიყუდა, წითელი ჩოხა სივიწროვისაგან მკერდზე ყავარ-ყავარ დახეთქოდა. შავი ყაითნებით გადახართული პერანგის საკინძი მოუჩანდა. მის ფართო შევეგრემანს სახეს სიმორცხვეც ეტყობოდა და გამბედაობაც.

— ამის გულადობის ამბავი გაგონილი გექნება, შენ აქ იყავი იმდროს, — უთხრა ნიკომ და მრგვალი შევეგრემანი სახე სიამოვნებისაგან გაეშალა.

ილიამ პასუხი დააგვიანა. გოლიათი მეომარს მისჩერებოდა. — ამათი ბრძოლები და პატარა-პატარა სისხლიანი ეპიზოდები ძველ ნორმანდიულ საგას წააგავდა. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ იმის მსგავს ომებს, როგორც ქართლ-კახეთს ლეკებთან ჰქონდათ, ვერცერთ ხალხის ისტორიაში, — ჩაილაპარაკა რუსულად ვილაცამ.

ილია და ნიკო შემობრუნდნენ. ახალგაზრდა ოფიცერი იდგა რეგულარული არმიის ფორმით.

ნიკო მიესალმა... ილიაზე ხელით აჩვენა, გაიცანიითო.

— ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვოლკონსკი! — ჩაილაპარაკა ოფიცერმა.

— ალბათ დეკაბრისტის ნათესავი ხარ. ასეთ შორეულ ადგილებზე ისინი არიან დაქსაქსულნი.

— მახლობელი, — უპასუხა ვოლკონსკიმ და ნაღვლიანად თავი დაიქნია, — რას იზამთ, წინაპრების ცოდვების გაქარწყლებას ერთგულებით და მორჩილებით ვცდილობთ. სხვა არაფერი არ დაგვრჩენია. სახეზე დამკინავი ღიმილი

აუთამაშდა და ლაპარაკის კილო სწრაფად შეცვალა. — მე ვაპირებ ამ მეომრების ცხოვრება ავწერო. რა აწუხებდათ ან რა უხაროდათ, ზისთვის იბრძოდნენ. დავწერ ყველაფერს, რომ ეს ლეგენდარული გმირები არ დაიკარგონ. რამდენიც გინდათ, იმდენი არიან. თუ შეები მათე გლუხაიძე და ნაკუდაშვილი, გიორგი ივანიშვილი, ძმები სვიმონ და გიორგი ჯანდიერები, გიორგი ჩერქეზიშვილი, ნიკოლოზ ბაქრაძე. ვინ დაიჯერებს, რომ გლუხაიძემ, მარტო ერთმა, ჩვიდმეტი მსესული ვაჟკაცი მოსპო. ან ამ გამხრშვილის ამბავი იცით? მარტო მიმაგვალს მოულოდნელად ოთხი ლეკი დაეცა თავს. ხანჯლით ოთხივე დააწვინა. ეს კიდევ ცოტაა, დიდოეთისკენ ექსპედიციაში მიდიოდა. ორიათასი მეტრის სიმაღლეზე იყვნენ ასულნი, რომ არტილერიის ცხენს ფეხი დაუსხლტა, ქვემეხიანად უფსკრულში გადაიჩეხა. სასოწარკვეთილება დიდი იყო, მაგრამ ეს ვაჟკაცი არ დაიბნა, ელიაშვილთან ერთად თოკით ჩაეშვა. შეიდფუთიანი იარაღი ზურგზე მოიგდო. ნუ დაგაიწყდებათ, რომ ქვევით რამდენიმე მთიული იღვა. თოფებს ესროდნენ. მათ ელიაშვილი იგერიებდა. ეს კი თავისი ტვირთით უფსკრულიდან მოფორთხავდა.

ვოლკონსკიმ ლაპარაკი შეწყვიტა. გაღვენის კარებში მეთორმეტე სახაზო ბატალიონის უფროსი გენერალი ფონკულმანი შემოვიდა. მას ამაღლა მოჰყვებოდა. ცოტა მოშორებით ქართული დრუჟინის მეთაურები: ვანო ორბელიანი, გიორგი ჯანდიერი, ალექსანდრე აბხაზი, ალექსანდრე მარჯანიშვილი მოჰყვებოდნენ. გენერალი ხმამაღლა ყვიროდა და ჩხუბობდა:

— ჯარისკაცების უღისციპლინობა, ამორალობა, უკმაყოფილება, სარწმუნოების მოღუენებამ იცის. ამ უსწავლელ გლეხს მილიციელებს ან აქამდე რა აჩერებთ, რომ არ ლოთობენ, არ დეზერტირობენ, პირდაპირ მიკვირს, მღვდელი არა ჰყავთ, წმინდა ზიარებას

არ იღებენ. ჯარისკაცის ნებისყოფა სარწმუნოებამ უნდა შეინახოს.

— გესმით, ალელეებულ გულში მაღლამოდ ღმერთი და სახრხოებელა მიაჩნიათ. — ჩაულაპარაკა ვოლკონსკიმ ჩუმად ნიკოს და ილიას და გაერია.

ილიამ პიჯაკის ღილი შეიბნია, ეს იმას ნიშნავდა, რომ მღელვარებამ ვაჟკრა. მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა, მოწინააღმდეგეს იქით, თავისკენ ელოდებოდა.

მეთაურების და უფროსების დანახვაზე სამორიგეოდ გამოსული მილიციელები ამოძრავდნენ. შოედანს სკლიდნენ, კუთხეებისაკენ მიიწევდნენ. რამდენიმე გლეხმა ნიკოს წინ ჩქარი ნაბიჯით გაიბრინა, ერთმა იმათგანმა დასახოქად ჩაიქეცა, მაგრამ ნიკომ ხელი წაავლო, წამოაყენა.

— რა ამბავია, ფილო, შენც საღდათობა ხომ არ დაიწყე ამ სიბერის დროს? — შეეკითხა.

— არა, შენი ჭირიმე, ბიჭები ბადალში წამოვიდნენ. სხვის მაგივრად მორიგეობენ. ჩვენი გაჭირვების ამბავი მოგეხსენება ერთი ორი გროშისათვის სულსაც კი ვყიდით, იმათ პატარა საგზალი ამოვუტანენ.

ბიჭები ისე წამოგეზარდნენ, რომ ბადალში მოგყავს? მაშ არა გიჭირს-რა, რაღას წუწუნებ.

— დავზარდე, შენი კენესამე, მაგრამ მე რა; შენები არიან, შენი ყმები. როცა მიბრძანებ, მოგილაღამ, იმსახურე, მოხუცს თვალეები ელდით გაეცსო, ნიკოს თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა.

— ნუ ყიზილბაშობ, აბა შემომხედე. გულით ამბობ მაგას? — უთხრა ნიკომ სასტიკი კილოთი.

— ეჰ, შე დალოცვილო, გლეხის გულს ვინა კითხულობს. ყმა ბატონისაა, ღმერთმა ეგრე დააწესა.

წედან ილია თუ ადგილიდან არ იძვროდა, ახლა წინ გაიწია და გლეხკაცთან ახლოს მივიდა.

— არა, ეგ აღარ არის, მაგ ამბავმა ჭირი მოგვამა, — შეაწყვეტინა და, მღელვარების დასაფარავად გაჩუმდა.

მერე კი, კარგა ხნის შემდეგ ხმა ამოი-  
ლო, — შევლს ველარაჲინ ველარ მოგტა-  
ცებთ, — უთხრა არც ისე მაღალი ხმით,  
მაგრამ ისეთი სიძლიერე ჰქონდა კილოს  
გამოთქმისას, რომ ერთ ადგილზე განე-  
რებული ძველი მეომრები გამოთხიზლ-  
დნენ, წინ წამოვიდნენ. თითქოს ახლა  
პირველად დაინახეს შავ სერთუქში ჩა-  
ცმული სულ ახალგაზრდა ყმაწვილი  
კაცი.

— კიდევ გვიბრძანე ის ქართული,  
შენი ჭირიმე, რომ ყურმა ნამდვილად  
დაიჯეროს, — სთხოვა ვიღაცამ.

— რუსეთში ბატონყმობა გადავარ-  
და. ადამიანებად გიცნეს. ხმამაღლა გა-  
მოაცხადეს, რომ თქვენც ისეთივე გული  
ვაქვთ, როგორც თავადს და აზნაურს.

— უპ, — ამოიხვნეშა ყველამ ერთად  
თითქოს საუკუნოებით დაგროვილი ვა-  
რამი ამ ერთ ოხვრას ამოაყოფესო,  
მოედანზე ჭარიშხალივით ჩაიარა.

— მიწა, მიწა ვის დარჩა, დავიჯეროთ,  
თავადმა გლეხისათვის გამოიმეტა?

— აბა, რა სათქმელია! რომელი სუ-  
ლელი გამოიღებს ლუქმას პირიდან და  
თქვენ ჩაგიდებთ. მაგას ბრძოლა უნდა,  
თავგამოდება; დონე არ გიჭრით თუ  
მკლავი არ გერჩით. რის გეშინიანთ?

— ვინ, ვინ ჩაერია ჩვენს საქმეში,  
ღმერთი თუ ადამიანი, — ისმოდა ხმები.

— ილიკო, — შეაჩერა ნიკომ და ვა-  
ჯაზე ხელი ჩაავლო, — შენ ხომ არ გა-  
ვიწყდება, რომ ჩვენ ხალხის დასაწყნა-  
რებლად ამოვედით.

— მე რის თქმაც მქონდა განზრახუ-  
ლი, უკვე ვუთხარი, უნუგეშოს ნუგეში  
ვეცი. მაგრამ, ვაითუ, ეს ნუგეში ყი-  
ნულზე აღმოჩნდეს დაწერილი. ვაითუ,  
ტყუილ-უბრალოდ მომავალს იმედი  
გავუცხოველე, — და სიბნელეში მისმა  
თვალებმა მოუსვენრად გაიღუფეს.

ნიკო ჰავჯავაძეს ოფიცრები შემოეხ-  
ვიენენ. გიორგიმ კი ილიასკენ გაიწია,  
მკლავზე ხელი ჩაავლო და ჩუმად უთხ-  
რა:

— გეტყობა, თამამი ყმაწვილი ხარ,  
ვაჟაკური, მაგრამ ფრთხილად იყავი.  
იარაღით სითამამე სჯობია, ვიდრე სიტ-

ყვით. მტერი ნიშანში ისე უჩუმრად  
ამოგიღებს, რომ ვერ გავიგებ.

ახალგაზრდა ვოლკონსკიც კი ილიასთან  
ახლოს მივიდა.

— პეტერბურგის ცეცხლი თქვენს  
სამშობლოში ჩამოიტანეთ. რა საყვირვე-  
ლი ქალაქია!

— ის ცეცხლი, რომელზედაც მე  
ელაპარაკობ, ყველგან ანთია სადაც კი  
ძალმომრეობაა, — უპასუხა ილიამ.

გვიან იყო, გალავნიდან გამოვიდნენ.  
ხალხს მღელვარება და მოუსვენრობა  
ეტყობოდა. ჰავჯავაძეებს კარებთან და-  
ბალი ტანის მოხუცი გლეხი დაეწია.

— ისიც გვიბრძანე, შენი ჭირიმე, სად  
დაიწერა, გლეხს გული აქვსო, მოგეხ-  
სენება ჩვენ საბუთიანი სიტყვა გვიუ-  
ვარს, — უთხრა ილიას თამამად.

ილიამ გულიანად გადაიხარხარა.

— მოდიტ ჩემთან, მე წაგიკითხავთ იმ  
საბუთს სადაც სწერია, რომ გლეხს უფ-  
რო დიდი და მოუსვენარი გული აქვს,  
ვიდრე თავადს, — უთხრა ხმამაღლა.  
გლეხი გაქრა სიბნელეში.

ვიღაცამ ილიას მხარში ჩაავლო ხე-  
ლი. მოიხედა, პოლკოვნიკი აღექსანდრე  
აბხაზი იყო, თამარიკოს მამა, ნინოს მამ-  
ლი.

— უპ, რა ხართ ეს ჰავჯავაძეები, მო-  
უსვენრები. შენ მაინც ნამდვილად ხე-  
სურის სისხლი გიდუღს, მხოლოდ მოხ-  
რილი ხმალი გაკლია წელზე.

— მერე, ვის რა გველს ვუწევთ,  
რას ვაშავებთ?

— თქვენ თავს ავენებთ, შე დალოც-  
ვილო.

— მე შენგან მივივრის, რამ შეგაშინა.  
უწინ ეგ შიში არ გეტყობოდა. თუმცა  
თანამდებობამ ასე იცის. პირში ბურთს  
ჩასჩრის ადამიანს.

აღექსანდრემ ხელი ჩაიჭნია. ილიას  
შოკყებოდა, ელაპარაკებოდა თავის  
მომავალ კარიერაზე, რომ აქ დრუჟი-  
ნაში ნიშნავდნენ კომანდირად. ორბე-  
ლიანი წასვლას ფიქრობსო. ბევრი საქ-  
მეა, ჩიოდა აბხაზი. — აგვისტოს ბოლოს  
დრუჟინის 30 წლისთავი სრულდება,  
ალბათ დაღესტანზე გამარჯვების დღეც

ზედ დაერთვის, დიდი ზეიმა განზრახული. ბარიატინსკი აპირებს მოსვლას კავკასიის არმიის მხედრებთან ერთად, მათ დასახვედრად და ჩვენი სიღარიბის დასაფარავად რამდენი ფართი-ფურთია საქირო, გზების შეკეთება, ლაზათის გაწევა, მარტო ცხენოსნებისთვის ფურაჟის შოვნა იანგარიშე.

— ეგ არის თქვენი ფიქრის თავი და ზოლო და მაგის გაძლოლას როგორ ვერ მოახერხებთ, მაგრამ შენ ის მითხარი, რასა იქს შენი ბაჟანიანი, ახალი სოფელი შეგირქმევიათ. ხალხი უკვე გადმოგისახლებიათ.

— მიდის წინ ნელა-ნელა. ჩემი ანდერძი იცი? საფლავის ქვას ვერავინ დამდებს, გლეხების მეტი. თუ ღირსი ვიქნები იმათ უნდა გაუყეთონ წარწყურა ზედ, რომ ამ სოფლის მოამაგე მე ვიყავი.

— შენი ახალი სოფელი აკლდამისთვის ხომ არ გპირდება?

— აბირებული კაცი ხარ. გაიცანა ალექსანდრემ.

მათ გვერდით მალაშა, შავექულაჯი-ანშა ოფიცერმა ჩაიარა, ილიასაკენ რამდენჯერმე გამოიხედა, ლურჯი მოუსვენარი თვალები ჰქონდა.

— ალექსანდრე, — დაუძახა აბხაშმა. შავექულაჯიანი პოლკოვნიკის წინ ზეღალებული გამოიქიმა — ერთი ასეული წაიყვანე, ეელისციხის გზები გასინჯე, სადა სკირდება შეკეთება. აქედანვე უნდა დაეიწყათ სამზადისი.

— არის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — უპასუხა ოფიცერმა და ილიას ლურჯი თვალები ცეცხლივით დააკვესა.

ილიამ მხრები გაკვირვებით ოდნავ ასწია.

— ვინ არის ეგ ოფიცერი? — შეეკითხა აბხაშს.

— ალექსანდრე მარჯანიშვილი. თბილის-იმერეთის მილიციას ჩამოაკეცა. აქვე დარჩა, დიდი მეომარი, დიდი ვაჟკაცი და დიდი მოტრფიალე შენი ლიზა.

ილია შედგა.

— ეგ არის ის თავზებულაღებულო ოფიცერი?

— ჰო, ანწუხის გმირი განათლებული ყმაწვილია. ლიზას ფარვანასავით დასტრიალებს, მაგრამ სოლომონი დიდ უარზეა, ღარიბ იმერელს ქალს როგორ მივცემო. ახლა ამბობენ, მგონი კეზი შეატრიალა. შენი გაოცება სურს, სამაგიეროს გადასახდელად ემზადება.

ილია პირმოკუმული უხმოდ იდგა, ალექსანდრე აბხაშს თვალებში მისჩერებოდა.

— ჩემ სამაგიეროს გადასახდელად ლიზას იმეტებს?

— გიორგი ჰავჭავაძის ოინებია, ის ატრიალებს ენას, მიაქვს და მოაქვს ყოველგვარი სისულელე და მდივანბეგს ისე აცოფებს შენს წინააღმდეგ, რომ ყველაფერს მოიმოქმედებს.

— მერე მდივანბეგი და ქვეყნის საქმის გამკითხავი იმ მყრალ გიორგის როგორ უჯერებს? ხომ იცის, რომ მე უპატროს და ურიგოს მის ოჯახს არაფერს ვკადრებ.

— მერე, რატომ მდგომარეობას არ ასწორებ? არ მიხვალ სოლომონთან და არ დაარწმუნებ, რაში გაქვს ბრალი და რაში არა.

— მე ჩემს დღეში ჰორებს არ გავმკლავებია და არც ახლა გავუმკლავდები. სხვისი ჩარევა ჩემს პირად საქმეში, უქმი შრომაა.

— შენი ნებაა — აბხაში შედგა, კარგა დიდ მანძილზე გამოჰყოლოდა.

— თიკოს და თამარიკოს მოკითხვას მოვასწენებ, — უთხრა ილიამ და გამოსამშვიდობებლად თავი დაუქრა.

მის შესახვედრად მოძველებული ხის კარი ხმაურით გაიღო და ისევ ისე მიიხურა. დერეფნის სვეტზე მიმაგრებული ფანარი დიდ ჩაბნელებულ ბაღს ძლივს ამუქებდა. სამარისებური სიჩუმე იყო. მრავალრიცხოვანი ოჯახის სიმზიარულე და სიცოცხლე სიკვდილს ჩაეკლა. ერთადერთი შემკვიდრელა დაეტოვებინა, მაგრამ განიერი მხარბეკით, ისეთი ვაჟკაცი იერით იდგა ამ გადანგრეულ გალავანთან, თითქოს საბრძოლველად იწ-

ვევდა ყველას და ამ ბრძოლისათვის თავი ჰქონდა გადადებული. პირდაპირ სოლომონის დიდ სახლზე ანთებული შუქურა კაშკაშებდა, რომ მიძინებულ ხალხისათვის ლამითაც ძილი და მოსვენება არ მიეცა. ახალგაზრდა კაცის ფიქრიც თავისკენ მოიტაცა. მისი ღიზა გათხოვებას ფიქრობდა. ეს ცეცხლივით ოფიცერი მოტაცებას უბრებდა. ილია ამ ამბავს უხმოდ პირმოკუმული უგდებდა ყურს და იმ დროს თავს ძალას ატანდა, რომ გონება გულს მორეოდა. რა დიდი თავდავიწყება იყო იმ სიყვარულში. ბაღის ამ კარებიდან ღიზამ იცოდა შემორბენა. შველი წინ მოუძლოდა. მისი მხიარული სიცილ-კისკისი ბაღს აყრუებდა. ილია გზაში ეგებებოდა და რა აღტაცებით, დაუფარავად ეუბნებოდა:

— ჩემი სიცოცხლის ღმერთი შენა ხარ! — მაგრამ მერე იმ სიყვარულში მდივანბეგის ანგარიში და ილიას სიღარიბე ჩაერთა და ახალგაზრდა კაცი ვნებისაგან გამოაფხიზლა. სოლომონის ანგარიში უკუთრიდა. — ღიზასადმი ხსოვნა კი დარჩა. მისი ყმაწვილკაცობას სტრიქონები ამ ჭალს ეკუთვნის. როგორც ახალგაზრდობის დავიწყება არ შეიძლება, ისე ღიზასიც.

კოშკთან ღაზარეს შავი ლანდი გამოჩნდა. ეტყობოდა, თავის გაზრდილს ელოდებოდა. ილიამ კიბეს მიაშურა, დინჯი ნაბიჯით აღიოდა. ფეხის ყოველ დაკარებაზე მოძველებული საფეხურები ჭრიალებდნენ. მამაბაპურ ოთახში ორი მაგიდა იდგა, ერთზე ღაზარეს ვახშამი გაეშალა, მეორეზე კი საწერ-კალამი და გაფანტული ფურცლები ეწყო. გამდელმა პიჯაკი ჩამოართვა, ხელპირის დასაბანად ალთათა და ტაშტი შემოიტანა. ილია დაჯდა მაგიდასთან. ვახშამის შემდეგ კარგა ხანს იყო გარინდებული. მერე ხელი წაიღო თავისი ხელნაწერების გამოსაღებად. თვალი ააყოლა. „მგზავრის წერილები“ რამდენიმე ადგილას შესწორა. ახალგაზრდა კაცის

განწყობილება დაწერილმა სტრიქონებმა მოიტაცა. გრძნობა ისე დიდმა იყო, რომ გულმა ვერ დაიტია ყრუ. დაბალი ხმით კითხვა დაიწყო: „— მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნახვლეთი — ჩვენი თავი ჩვენივე უნდა გვეყუდნოდესო — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა რაღაც: უცნაურმა ტყვილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამარჩეს ეს ტყვილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის. როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამის პასუხი! — გრძნობამ ერთ წუთს გატეხა გული. თავი ჩაჰკიდა და მკლავზე გახურებული ხახუ დააყრდნო. თვალებიდან წამოსული ცრემლი მაჯაზე იგრძნო. თითქოს ცრემლმა გამოაფხიზლა. თავი აიღო. სარკმელზე ჩამოთარებული მშვიდი ღამე გაიკრიცა. ბაღში ხეები ერთმანეთისგან განაცალკევა. პოეტი ფეხზე წამოდგა. ზურგზე ხელგებადაწყობილი კარგახანს იდგა. თავისივე თვალების ელვარება თითქოს სწავდა. მისი ჩვეულებრივი სიდინჯე გულის ხმას ვერ აჩერებდა. ხელი წაიღო და ახლა დაუწერი ფურცელი გადმოიღო. დინჯად, აუჩქარებლად მიუჯდა ისევე მაგიდას:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვეან მე სიყვარულია  
კოი, მამულო, გამოკრთა მე ძილი და შენა.  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუვლებ

სულგანაზული,  
ღამე თენდება ვგრეთ ჩემი და დღე ღამდება.  
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოღის

გრძობება,  
გრძნობა-გრძნობაზედ შეუპოვრად

იმერის ჩემ გულში  
და მე არ ვჩივი, მიხარია, რომ ეგერ შერება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში შენს  
სიყვარულში.

სწერდა და ასწორებდა.

• •  
•

შუადღის ხანს ილია ღაზარეს ხმამ გააღვიძა.

— ბატონსა სძინავს, თქვენი გულისთვის ვერ ავაყენებ, — ეჩხუბებოდა ეილაცას.

გადელი მოიხმო.

გლეხკაცები არიან, შენი ჰირიმე, ისეთ გაჭირსა სწევენ, არ მიდიან, აქ დავუცდითო. — უთხრა ლაზარემ.

— დამიცადონ, შენ ტანსაცმელი მომაწოდე.

ჩაკმა დაიწყო, მალე ეზოში გამოვიდა. ყვარლელი გლეხკაცები მის შესახვედრად უფროს-უმცროსობით მოდიოდნენ, ქუდმობდილები, თავჩაქინდრულები. ზოგს ნაციები სახე ყვითლად ჰქონდა დასიებული. ხანშიშესულებმა თემურის უდროოდ სიკვდილი გაახსენეს. ილიას მიუსამძიმრეს:

— იქაც მოგძებნა განა სიკვდილმა და ერთადერთი ძმა ხელიდან გამოგაცულა, — ეუბნებოდნენ.

— ვაი, როგორ ამოწყდა დიდი ოჯახი, — ოხრავდა ვიღაც.

ილიამ ყველას ხელი ჩამოართვა, ზევით აივანზე მიიპატიჟა, მაგრამ უარი უთხრეს; — გლეხკაცს ამ დროს დასაჯდომად რა მოაცლის, ერთი-ორი სიტყვის საკითხად გიხანელითო.

მასპინძელი მიხვდა, რის საკითხავად მოსულიყვნენ, ლაზარეს ჩუმად უთხრა მარანში ქვევრი მოამზადეო. მალე ფაცის დიდი კარები ხმაურით გაიღო.

— თქვენებურად, მამაპაპურად უნდა დაგიხედეთ, შევიდეთ მარანში, სიგრილეს თავი შევაფაროთ, — მიუბრუნდა მოსულებს. გლეხკაცები კარებთან იდგნენ. თითქოს ფეხი უკან რჩებოდათ. შიგ შესასვლელად, ერთმანეთს გზას დიდხანს ვაუბედავად სთავაზობდნენ.

— რა მოგივიდა, ბიძინა, მიუბრუნდა ქერაშვილს. — ჩემ ბავშვობას მახსოვს, მუხლი ისე გერჩოდა, რომ მდევრად გიორგი ჯანდიერთან ერთად ამ მთებზე ასი ვერსი გაირბინე, უკან დაბრუნებულები იმ დამესვე შახ-შაბანს დასაქერად გამოუდევით, აქ კი ამ დირეზე ფეხი ვერ გადმოაბიჯე?

— რა ვქნა, შენი ჰირიმე. ხომ მოგეხსენება, შეჩვეული ჰირი სჯობია შეუჩვეულ ლხინსაო, — უპასუხა თამამად გლეხმა.

ილიამ გაიცინა, — თქვენი მართალი

უფერუმართლო სიტყვა იმიტომ მიყვარს რომ ცოტას იტყვიო და საბუთიანს.

სტუმრები ქვევრის პირას ფეხმობილობით დასხდნენ. მარანში გრილოდა, ღვინისა და არყის დამდგარი სუნი ტრიალებდა. ლაზარემ დამტვრეული კაკალი, პური და თუშური ყველი შემოიტანა. ილიამ ქარვისფერი ღვინით სავსე ქვევრს დიდი ჯამი დაურია. უარს ამბობდნენ, ჯერ დილაა, როგორ დავლევათო.

— ეს ჩვენთვის არის დილა, მოდუნებული-ლონდლო ხალხისათვის. თქვენ ამ დროს შეადლეს ეძახით და შრომითაც გული გაქვთ მოჯერებული, — უთხრა მასპინძელმა და სავსე ჯამები სათითაოდ გადააწოდა. თემურის შესანდობარი დაილია. სასმისები ყველამ ბოლომდე გამოცალა. მაგრამ ჯირკვებივით ისხდნენ, მარტო მათ თვალებს სითამამე მოემატა. სიკვდილსიცოცხლზე ლაპარაკობდნენ.

— წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არის, რა წამსაც დავიბადებთ, იქვე საფლავი მზად არის. — ამბობდა ერთი თითქოს ილიას დასამშვილებლად.

— სთქვი კიდევ რამე. — სთხოვა მასპინძელმა.

— ეჰ, რა უნდა გითხრათ, შენი ჰირიმე, — შავ ლუღსა წითელ ღვინოსა განა ერთფერად სმა უნდა, ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა.

ილია იცინოდა და გრძნობდა, რომ ენაზე მომდგარ სიტყვას ყველა იმათგანი უკან ყლაპავდა.

რამდენიმე გლეხკაცი შუბლშეკრული იჯდა. ეტყობოდა, სურვილს ვერ იოკებდნენ, თავიანთი ბედი ჩქარა შეეტყვოთ.

— რუსეთში ბატონყმობა გადავარდნილა, გლეხების სიბეჩავეზე იქ თურმე ბევრი რამ იწერება, ერთი იმ დაწერილზე გვიამბე რამე შენი ჰირიმე, სთხოვა სოლომონ ზაუტაშვილმა და ილიას წინ წამოიჩოქა. მაგრამ მასპინძელმა ხელი წაავლო, წამოაყენა.

— გლეხმა იქ ვერ მიიღო ის, რაც ეწადა. მოატყუეს. მიწა არ მისცეს, მაგრამ წინა კაცი უკანასი ხიდიო, ხომ ვაგვიონიათ, აქ სულ სხვანაირი თავდაბრისი დაჭერა გვინდა.

ო, ოლონდაც ერთი მიწა ჩავიგდოთ, ჩვენად ვიგულოთ, ისმოდა ხმები. მაგრამ ილიამ ლაზარეს უთხრა: — ყავისფერი რვეული მომიტანეთ, — მერე ისევე თავის სტუმრებს მიუბრუნდა. თვითველ მათგანს ლაპარაკში ითრევედა. ისინიც ენის ბორძიკით უამბობდნენ თავიანთ გასაჭირს, გაუბედავად შესჩიოდნენ: ვაჭრები ჩვენს ღვინოებს შემოეჩვივნენ, ფულს წინდაწინვე იძლევიან, მაგრამ იმოდენა სარგებლით, რომ მთელ მოსავალს ისინი ჰკრეფენ, ჩვენ შორიდან შევცქერით ჩვენს ნაწვავ-ნადავს.

— მერე მაგას როგორ ამბობთ სირცხვილით, რომ თქვენც დალალ — ვაჭრები მოგერივნენ და ისე უმსგავსოდ გატყუებენ — თავი აიღო ილიამ და კაბუჯურმა სიფიცხემ სახე შეუნთო:

— ჩვენი გაჭირვება მოგვერია, ჩვენი სიღარიბე და სიბეჩავე: იქამდე მივიდნენ ჩვენი გლეხები, რომ გაღმა მხრის ლეკებს წვრილშვილი მიჰყიდეს, რომ რჩენის თავი აღარ ჰქონდათ. ლეკიანობამ გაგვანადგურა. ამ ორი წლის წინ სამოც ღამის მეხრეს მოულოდნელად ყელები დასჭრეს.

ილიამ ხელში კაკლის ლეხანი გააჩერა.

— ყოველგვარ უსამართლობას თოფი სჭირდება. აი, თუ ასე არ არის, ნახათ ეხლა.

ლაზარემ ყავისფერი რვეული შემოიტანა. ქვევრის პირას ისეთი სიჩუმე გაწვა, რომ სუნთქვაც კი აღარ მოისმოდა. ილია თვითველ გვერდს დინჯად ფურცლავდა, მაგრამ მისი თვალებიც ცეცხლს იგროვებდნენ. აჩქარება მართო იმათ ეტყობოდნენ. ისინი იწოდნენ მოუთმენლობით. კითხვა დაიწყო:

— მხეცი რამ იყო ჩემი ბატონი, ერთი აჯამი გულჭა რევენი. იმას კაცებრივ გული არ ჰქონდა, რომ მამაჩემი შებრალებოდა.

ისმოდა მისი ხმა. ეტყობოდა უნდოდა ყველა სიტყვას გლეხკაცის გულამდე ჩაეღწია.

— მამა გამხდარი, გაყვითლებული ეახლა ბატონს ხვეწნით, მუდარით... კითხულობდა და კარგად ხედავდა, ხუჭუჭი ქოჩრების ქვეშ ამღვრეული თვალები მისჩერებოდნენ, თავის ხმას კიდევ უფრო ძალას აძლევდა:

წამოვიდნენ მისი მოქმენი,  
როზვით მიცემეს მამა სნული.  
მამა მოხუცი პატოს ჩვეული  
არც უღონობამ, არც სიგამზდრემამ,  
არც სიბერემამ, არც თეთრმა წვერამ,  
არც კაცისა და არც ღვთის

სამართალი

არ მიპატიეს ბებერი მამა.

მამის იქ ვიდექ მე საყოღადი.

ქვევრის პირას რამდენიმემ ამოიხვნეშა და მუშტი შეეკუმშა, კითხვა გათავდა. სიჩუმე იყო.

— ვინ გალექსა ეგ შაირი, შენი ჭირივე, ვინ მოიცალა ყმა გლეხის ვაგბისათვის, შეეკითხა მოხუცი ღონიაშვილი.

ილიამ ლაზარეს თვალით ანიშნა, ხმა არ ამოიღო, თვითონაც გაჩუმდა, ფეხზე წამოდგა. მარანში მძიმე ნაბიჯით გაიარა, შეიძლება იმიტომ უფრო, რომ მათთვის, აზრის გამოსათქმელად გზა მიეცა.

— გლეხი დასწერდა, — მაგას რა ლარი და ხაზილა უნდა, — ჩაილაპარაკა ვილაკამ.

— მამ არა და თავადი იტყოდა მაგისთანებსა! გიცი ხომ არ არის, თავისთავს რად გალანძღავდა, — ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს თითქოს ჩუმად, მაგრამ მღელვარებისაგან ვერ ახერხებდნენ, რომ დაეფარათ.

ილიას ანთებულ თვალებში ფიქრი გაეცურდა და შიგ კარგახანს დარჩა.

— ნეტავი კი არსენაზე კიდევ წავგიკითხავდე, რა ბიჭი ყოფილა ის დალოცვილი! — ლაპარაკობდნენ. და მათ თვალებს ბავშვური აღტაცება ეტყობოდა.

— არსენას ჩვენი სისხლი უღუღდა, ჩვენს ტაფაში იწვებოდა და ჩვენთვის

გულიც იმიტომ შესტივოდა. ეს კაცო ყაჩაღიც იმასავით გადავირდნოდა. ესეც ჩვენებური გლეხი ყოფილა, აბა თავადი ჩვენი გულისათვის ყაჩაღად რად წავიდოდა! რაო ჩემოო?

ილია შემობრუნდა, ყველა იქ მყოფს სათითაოდ თვალი შეავლო. გლეხკაცები წასასვლელად ემზადებოდნენ, ჩქარობდნენ მარნიდან გასვლას. მხიარულად იყვნენ. ისევე კაკოზე და არსენაზე ლაპარაკობდნენ. ისევე ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ამ ამბავს არც ერთი თავადი არ გალექსავსო. — ეგ სათავადო წიგნი არ არის, — ამბობდა ვილაყ.

ილიას ისეთი გრძნობა დაეუფლა. თითქოს მიმავალ გლეხებს მისი კაკო თან მიჰყავდათ, მას კი, როგორც უცხოს, აქეთ სტოვებდნენ, ახლოს არ იკარებდნენ, რაო ჩემოო, რად იტყოდით ჩვენთვის კარგსაო. მართალნი არიან, ვინ ჩვენ და ვინ ესენი, რა დადის ჩვენს შორის მართო., ბრტყელი ენა მწიგნობრობისა, ჩაილაპარაკა და შორს გაიხედა სახე შეკრული ჰქონდა.

— ნეტავი კი მაგის წიგნს ვიშოვიდეთ, ხელათ დავიზებირებდით. თქვენი ნაბრძანები ქართული რაჩივად კარგად ესმოდა ჩვენს უსწავლელობისაგან დახშულ, ყურს, — ჩაილაპარაკა მოშორებით ბიძინა ქერაშვილმა.

— წიგნი არ არის; — უთხრა ილიამ და თვალები კიდევ სადღაც გაექცნენ.

— მართალი ბრძანებაა, მაგის წიგნს ვინ გამოუშვებს, რომ ქვეყნად იაროს თავისუფლად. ზედ გამოქრილი საგლეხია.

— მაგაზე გული ნუ გაგიტყდებათ. ამიერიდან წიგნი გამოვა ისეთ კილოზე დაწერილი, რომ ყველა თქვენთაგანი წაიკითხავს, — უთხრა მასპინძელმა ისეთი დამაჯერებელი ხმით, რომ სტუმრები შედგნენ. წვერ-ულვაშში ჩამჯდარი სახეები ბავშვის სახეებს მიუგავდათ. ახალგაზრდა თავადს ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ.

ავვისტოს, შამილის დატყვევების დღე, კავკასიაში დღესასწაულად იყო ცნობილი. 1861 წელს ისიც დაერთო, რომ ბრძოლებში ნასახელარ ქართულ მილიციას 30 წლისთავი უსრულდებოდა. ბარიტინსკის და ლევან მელიქიშვილის მითითებით გადაწყვეტილი იყო, რომ ეს დღე ბრწყინვალედ ეზეიმათ. კახეთის თავადაზნაურობა ფეხზე იდგა, რადგან თვითოეული მათგანი ამ მილიციის მებრძოლი იყო. მაგრამ ბრწყინვალე ზეიმის მოსაწყობად ფული არ იყო. მამულის უმეტესობა „პრიკაზს“ ეჭირა, დანარჩენის დაგირავებას კი მდიდარ ვაჭრებს ეხვეწებოდნენ. საქმე არჩევანზე იყო მისული. ჩარჩების წინადადებას, რომ ათ თუმანში ერთ ურემ ყურძქენს მისცემდნენ, სარგებელს სიამოვნებით თანხმდებოდნენ. ოღონდ ეშოვათ ფული და, ამ დიდ პროცენტებს გარდა, ვაჭრებს კიდევ სამადლობელსა ჰპირდებოდნენ. ყვარლელი ჰავეჭავაძეებიც სადღესასწაულოდ ემზადებოდნენ. ნიკო გრიგოლ ორბელიანს მოელოდა. მის მოსასვენებლად ეზოში აბრეშუმის კარავსა დგამდა. სოლომონ ჰავეჭავაძემ კი იცოდა, როგორ მოსწონდა ბარიტინსკის მისი ფართოდ გაშლილი აივანი, რომელიც ალაზნის ველს გადასცქროდა, მოურავს და მზარეულებს განკარგულებას აძლევდა, რომ ორასი კაცის დასახვედრად ყველაფერი მზად ყოფილიყო. მართო ილიას სახლში იყო სიწყნარე. თითქოს განგებ ჩამიჩუმი არ მოისმოდა. მაკრინე წელში მოხრილიყო. ბაღში შავი ლანდივით დადიოდა. სწყველიდა სიკვდილს, უსამართლობას, რომ ღმერთმა მისი ოჯახი სხვა ოჯახებში გამოსწირა.

ოცი ავვისტოდან კახეთის ყველა სოფელში მამსახლისები და ჩაფრები დადიოდნენ. ხალხი ბეგარაზე გზების შესაკეთებლად გამოჰყავდათ. ხორცის, ღვინის და პურის გადასახადი შეაწირეს. გაღარიბებული გლეხკაცები ხანგრძლივი ომისაგან, ბატონყმობის და ვაჭრებისაგან შეწუხებულნი, თავდალუნულნი იდგნენ, ჩუმად ოხრავდნენ. სამაგიე-



როდ ყველა ეზოში დედაკაცების წყევ-  
ლისა და ჩხუბის ხმა მოისმოდა. ასეთ  
გამარჯვებას და დღესასწაულს მდივან-  
ბეგებს თავში ახლიდნენ. ყოფილ ლეკის  
კორდონის ხაზზე დოლისგუმის და ყო-  
დორის სიმაგრეებში ცეცხლი აინთო.  
მიძინებული ხალხი შეშფოთდა. იარაღზე  
ხელი იტაცეს, მაგრამ მალე გამოირკვა,  
რომ არმიის გრენადერები და ქარ-  
თული „დრუჟინის“ ასეულები მოძრა-  
ობდნენ. ლევან მელიქიშვილს თავისი  
ამალით დაღესტანიდან ელოდებოდნენ  
და ციხეში გამაგრებული მეციხოვნენი  
გზას აშუქებდნენ. დილით სოფელი სამ-  
ხედრო მუსიკის და ზურნის ჭყვიბინმა  
გაადგოდა; სოლომონ ჭავჭავაძემ მდივან-  
ბეგის ყურთმაჯეობიანი კაბა გაიძრო,  
„დრუჟინის“ ფორმა — თეთრბავონები.  
ანი შვინდისფერი ხვევრდის ქულაჯა  
გადაიცვა, ლიზას მასწავლებელა ფრან-  
გის ქალს სთხოვა, რომ მისი შვილი, მი-  
სი სიამაყე, როგორც საჭირო იყო, ისე  
მოერთო. ილია არსად ჩანდა. ორი დღე  
ოთახში იყო ჩაკეტილი. „კაცია-აღაძი-  
ანს?!“ — სწორებდა. ვადანუვეტილი  
ჰქონდა, ამ ბრწყინვალე შეკრებაზე რო-  
გორმე მოეხერხებინა მისი წავითხევა,  
ლამე დღისათვის გადაება. მაგიდაზე წი-  
ნა დღის შემოტანილი ყურძენი ხელუხ-  
ლებელი ედგა. მუშაობდა თავაუღებ-  
ლივ. მაგრამ მათთან დილით თიკო და  
თამრიკო აბხაზები მოვიდნენ სტუმრად.  
მოსულთ მაკრინე შეეგება, ილიას და  
ნინო იკითხეს — კარდანახიდან. ხომ არ  
მოსულაო. თამრიკომ ილიას მოსაძებ-  
ნად აივანზე აირბინა. იქვე ფანჯარაში  
შეიხედა, მაგრამ ისევ სწრაფად იბრუნა  
პირი. მის სახეს ბავშვური გაცოცხა  
ეტყობოდა, კიბეზე ამომავალ დედას და  
მაკრინეს ანიშნა, ნუ მოდიხართო.

— ისეთი ჩაქუფრული ივრით ზის და  
წერს, რომ სეტყვის ღრუბელს მიუგავს  
სახეთ. — იციანოდა ქალი.

მაკრინე შედგა. თითქოს შეცბუნდა.  
თიკოს გადახედა:

— მუშაობს ჩემი ძმისწული, კალამს  
თავს აკლავს, — გააფრთხილა ზრდილო-  
ბიანად, მაგრამ ლამაზ და ნებიერი თიკოს

სიცილადაც არ ეყო, ღარიბ სტუდენტს,  
რომელიც აბხაზების მფარველობით  
იზრდებოდა, თიკო ანდრონიკაშვილი  
ისე უნდა მორიდებოდა, რომ ფეხაკ-  
რფით გაევილო მის წინ?

— ალბათ თავის სატრფოს ლექსს  
რასმეს უწერს, — ვადაიკისკისა და მშვე-  
ნიერ თეთრ ხელებში მარაო მოიმარჯვა.  
მაკრინეს სინანულმა გაჰკრა სახეზე.

— არა, სატრფოს არ უწერს, — თავი  
გაიქნია მოხუცმა — ჩემ ილიკოს სხვა  
ხვედრი ერგო. ჩაილაპარაკა და პირი  
მოკუშმა. იცოდა, ეს ქალი დანარჩენ ნათ-  
ქვამს ვერ მიხვდებოდა.

— რა ბრძანებაა, თქვენი ჭირიმეთ.  
შუბლის შეკვრა და განმარტობით  
ყოფნა გვარში მოსდგამთ, ჩემ რძალ  
ნინოსაც, თქვენ ძმისწულს, ასე სჩვევია,  
ერთი თუ წიგნს ჩაუჯდა, მოგქამათ ჭი-  
რი. ახლოს ნურავინ გაეკარება. ჩემი  
თამრიკოც თავის ყაიდზე გამოზარდა.  
მე კი, მეტ-მეცნიერება არ მიყვარს  
სწორედ. ანდრონიკაშვილები დაილოც-  
ნენ. ჩვენ გვარში ასეთ უქმურებს ვერ  
წააწყლებით, — გაიცინა მზიარულად.

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, კნეი-  
ნა. ანდრონიკაშვილები მეტბრძოლი ხალ-  
ხია და მოქეიფე. წიგნს და კალამს აგრე  
რიგად ვერ ეწყობიან, უთხრა მოხუცმა  
და პირი მოკუშმა. მის შავ, ჭკვიან თვა-  
ლებში დამციანავი შუქი გამოჩნდა. იმ  
დროს, იმდენი საერთო ჰქონდა თავის  
ძმისწულთან, რომ თიკოც კი მიხვდა და  
გაკვირვებით თვალი შეავლო. მერე ისევ  
ილიას სარკმელისაკენ გაიხედა, მის სა-  
ხეს მოუსვენრობა მოემატა.

— უფალო პოეტო, გარეთ გამობრ-  
ძანდით, მოგვილოცეთ ალექსანდრეს  
პოლოკონიკობა დაუმტკიცეს. „დრუჟი-  
ნის“ კომანდრობას აბარებენ. დაუძახა  
ხმაშალა. ილია აივანზე გამოვიდა. მის  
შუბლს ფიქრი კიდევ გამოჰყოლოდა,  
მაგრამ თვალეებში თავაზიანი მასპინძლის  
ღიმილი უბრწყინავდა, თიკომ თავისი  
მშვენიერი ხელი კეკლუცად გაუწოდა.  
აკოცა ხელზე და მერე თავი მალდა  
აილო. თამრიკოს მიესალმა:

— კომანდირის ცოლობა ჭეშმარი-

ტად მოსალოცია. ხუმრობა ხომ არ არის, მხრები ეპოლეტებით დაგიშვენიდებათ, ჯიბეს კი „პრიკაზის“ ვექსილები მოემატება. თქვენ კი ენეინა ვენური „კალიასკა“ გაგიჩნდებათ. მთავარმართებლისაგან არ მოგაკლდებათ არაფერი: ბალი, კადრილი. გეფიცებით კომანდირის იმ ეპოლეტებს, ქართული ენა არ დაგჭირდებათ, ფრანციკული უნდა ისწავლოთ.

ილიას სიტყვებზე თიკოს ლამაზი თვალები უფლავდა, ხმამაღლა მხიარულად კისკისებდა. თამრიკოს თავი დახრილი ჰქონდა, დამკინავ კილოს კარგადა გრძნობდა.

— იცი, ილია, ჩვენ ბეჟანიანში დავსახლდებით, — შეაწყვეტინა ლაპარაკი. — აქ ოფიცერთა სახლს თავს ვანებებთ, კარდანახიდან სულ წამოვედით, მე მამას ეთხოვე ლეკებისაგან აოხრებულ სოფელში დასახლოს ყველა, ვისაც უბატონოდ უნდა ცხოვრება.

ილიამ გაიღიმა, სადღაც შორს გაიხედა.

სალომემ სტუმრებს ახლად დაკრეფილი ლედვი, ყურძენი და ატამი ამოუტანა. აივანზე დადგმულ მაგიდას შემოუსხდნენ.

— რატომ არა გწამს ჩემი ნათქვამი, — შეწუხდა თამრიკო და ოქროსფერი სახე სინანულმა დაუჩრდილა. მართალია, ღმერთს გეფიცები. კარდანახში ცხრა ძმა ავეყარეთ, მამაჩემის ყმები არიან. ყველას მივეცი თავისუფლება, რომ აქ დასახლდნენ. ჩვენი ოფიცრებიც, იმერთ-გურიიდან ჩამოსულები, აქ დასახლების სურვილს გამოსთქვამენ. „ახალი სოფელი“ დაერქმევა. ისეთი ცხოვრება იქნება, როგორსაც შენ ეტრფი შენს „აჩრდილში“.

— ო-ო-ო, შენ მეტისმეტად ფილოსოფოსობ, — გაიცინა ილიამ. — მაგრამ ერთი კი გავიწყდება, ჩემო თამრიკო, რომ შენ სოფელს სახურავად ჩვენი უსამართლობით მოჭედილი ცა ეხურება.

— ხა-ხა-ხა, რაო, რაო, — გადაიკისკისა თიკომ, — როგორ, ყმაწვილო, ჩვენ ცას შეცვლას ხომ არ უპირებ?

შეცვლი თავისი ღმერთებით და ანგელოზებით, თქვენ მაშინ რა გეშველებათ.

შარავხაზე ხალხის დაჯარისხმური მოისმოდა, თიკომ მასპინძელი ააჩქარა. მაგრამ ის უარზე იყო, არა მცალიან, ვერ წამოვალა.

ქალი ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა.

მაგრამ ილიას ყურადღება მარანში მოფუსფუსე მუშებმა მიიქცია. ერთხანს ყური დაუგდო და სტუმრებს დინჯად მიუბრუნდა.

— ყვარლის დიდმა მემამულემ ცოტახანს უნდა მიგატოვოთო, — უთხრა ღიმილით და გარეთ გავიდა.

თიკომ თვალი გააყოლა, მერე მამიდა მაკრინეს მიუბრუნდა:

— საკვირველია, თქვენმა მზემ, ჩვენს ყმაწვილკაცებს ორი კვირა არ ეძინათ. დღევანდელ დღეს ვინ რა ლაზათით გამოვიდოდა. თქვენი ძმისწული კი ყველა ამას არაფრად აგდებს.

— მოგეხსენებათ, კაცია და გუნებო. ჩემი ილიკოს არ უყვარს აგრერივად სიარული.

— არა, ჩვენ წავეყვანთ. უბრძანეთ. მოსამსახურებმა გახამებული პერანგი მოუშაღონ. ჩაილაპარაკა თიკომ უინიანად.

მაკრინემ თანხმობის ნიშნად თავი დაუჯრა. მაგრამ განკარგულების მისაცემად მაინც ძმისწულს ელოდებოდა. ილია აივანზე ამოდიოდა.

— აი, თუ გნებავთ, შრომის გაუმჯობესებაც ამასა ჰქვიან. ზაქარია მახარობლოშვილი სამ კასრიან ქვევრში ჩაუსვამთ. საბრალო ბიჭი კედლებს რომ ვერ მისწვდომია, ბევრი უფიქრიათ და საქმე სულ იოლად გადაუჭრიათ, შიგფიჩხი და ტოტები ჩაუყრიათ. ეკლიან ტოტებზე შიშველი ფეხითა დგა, უსვამს სარცხს და მღერის. თქვენ მიბრძანეთ, რა კილო ექნება მის სიმღერას, — მიუბრუნდა მამიდას.

— ყველაფერს თვალყურის დევნა სჭირდება, შვილო, შენ რომ ვერ იცლი შენი ეზო-ყურესათვის.

— მოვიცილი, მამიდა, ღმერთს გეფი-

ცები, მოვიცილი — ჩაილაპარაკა ილიამ და რაღაც ჭაბუჭურმა ცეცხლმა გადაჭკრა.

მამიდა ძმისწულს მიაჩერდა.

— ოჰ, როგორ მოვიცილი, მამიდა, რომ იცოდე, როცა მამალი დაიფიქვებს და საგანთიადოს შეგვატყობინებს, — და მოხუცს მხარზე აღერსიანად ხელი მოხვია.

მამიდამ ნაღვლიანად გაიღიმა, ამოიოხრა, ძმისწულმა კი ისევ განაგრძო:

— მანამდის კი ქვევრის სარეცხად სკამი უნდა გავაყეთოთ. მე და ლახარე შევეუდგებით დღესვე მაგ საქმეს.

— შენ იცი და შენმა კაი კაცობამ, — ჩაილაპარაკა მაკრინემ და ჭაღარა კავები გაისწორა.

თიკო მასპინძლის დინჯ მოძრაობას თვალს ადევნებდა და ქალის სახეს მოუსვენრობა ემატებოდა.

— ღმერთო ძლიერო, ლოდინით გული გამიწყალდა, ცოტა აჩქარდით, ყმაწვილო, გავიდეთ გარეთ, იქნებ ღმერთი ზევიდან ქადაპურს ჰყრის, — იცინოდა და ლამაზი თვალები გზისაკენ რჩებოდა. იქ უკვე სამხედრო მუსიკის და ზურნის ქყვიტინი მოისმოდა.

— ხომ ხედავთ, მამიდა, თქვენ ღმერთს რამდენი უზრუნველი სამოთხის ჩიტი ელოდება, ყველა ამათგანი იმის ფიქრშია, ცას პირი როდის გავხსნება და ქადაპური გადმოცვივავო. ჩვენი ხალხი უწინ სხვაგვარად ირუგებოდა.

მაკრინეს მოკუმულმა ტუჩებმა თავშეკავებულად გაიღიმეს.

— რას იზამ, შვილო! დროსაც სჩვევია ფერისცვალება, ყველაფერი ღვთის განგებაა.

— აბა, რა გგონია, ჩვენო პოეტო, ჩემ მტერს და დამაწყვევარს მოშლოდეს ღმერთის იმედი, — გაიცინა თიკომ და მაკრინეს მოხდენილად და კეკლუცად გამოეთხოვა. მასპინძელიც გაჰყვა მათ.

შარაგზის ორივე მხარეს მეთორმეტე სახაზო ბატალიონის ჯარისკაცები ჩამწყრივებულიყვნენ. წისქვილთან სამხედრო პირების ჯგუფი იდგა. მამა და

შვილი ჯანდიერებიც იქ მოსულნიყვნენ. ლევანმა ილიასკენ გამოიწვია: მეგობრები ერთმანეთს გადახვებნენ.

— შენთან მოვეშურებოდი ფრიად სასწრაფო დავალებით.

ამ სიტყვებით ჯანდიერმა მუნდირის ჯიბიდან წითელი ლუქით დაბეჭდილი კონვერტი ამოიღო და ილიას გადააწოდა.

— ივანე პოლტარაკიც გამოგიგზავნა. თბილისში გიწვევს, — ილიას გაშუქებული სახე ფიქრმა შეუტრა, ქალაქის ხელების სწრაფი მოძრაობით ააძრო ლუქი. წყლით სავსე თვალები მოუსვენრად მიჰყვებოდნენ სტრიქონებს. პოლტარაკი ატყობინებდა — შენს პასუხს, სარდიონ-მესხიევის კრიტიკის გამო, კერესელიძე არა ბეჭდავსო, ეშინია, ბობოლა თავადები ეურნალის დახურვით ეშუქრებიან. შენს გაჩუმებას მოითხოვენ, პოლემიკის შეწყვეტა უნდათ, იმედი აქვთ, რომ გამარჯვება მათ არქაულ ენას დარჩება, შენი ჩამოსვლა აუცილებელია. ბინაზე ნუ გეფიქრება ჩემთან იქნებით, — გადაიკითხა ილიამ წერილი და წყლიან თვალებში ქარიშხალმა გადაუარა.

— პეტერბურგიდან ხომ არაფერი შეგიტყვია? — ჰკითხა ლევანს.

— ხმები დადის, უნივერსიტეტს დახურავენო. განათლების მინისტრი კოვალენსკი მოხსნეს. მის ადგილზე ღვთის ცეცხლი აღმირალი პუტიტინი დანიშნეს. აზროვნების გასაყუჩებლად ცეცხლი და მახვილი მოიმარჯვავო. ხალხი შეშინებული და დამფრთხალია. ვინ გადაურჩება, ალაპმა უწყის. მე შენიც ძალიან მეფიქრება.

— ჩერნიშევსკი საით არისო, რას ამბობენ? — სიტყვა მოუტრა ილიამ და გარკვევით აგრძნობინა, რომ თავის პირად საქმეზე ლაპარაკის გაგრძელება არა სურდა.

— საიმედო ხალხს აფარებს თავს. „სოვრემენნიკი“ საფრთხეშია.

სამაგიეროდ, რიზიანად და უშიშრად მეფე დაიარება. კავკასიისაკენ წამო-

ვიდაო თავისი მეგობრის ბარიატინსკის სანახავად.

— აღმოსავლეთით კავკასია დაუბყრია, მეფეს ახლა იმედს მისცემს, რომ ამ დიად გონებრივ მღელვარებასაც მოერევა. მაგრამ მისი ტახტის სიმაგრე შერყეულია. მოვესწრებით, ჩვენი ქვეყანა თავისუფალი დაეინახოს? ალაჰმა უწყის! მაგრამ უსათუოდ ასე იქნება. მანამდის კი ჩვენს შინაურ საქმეებს უნდა მივხედოთ, თანამედროვე აზროვნებას ასი წლით უკან ჩამოგვარჩინეს.

— ჩვენთან ისევ მეთვრამეტე საუკუნეა. — ჩაილაპარაკა ილიამ და პირდაპირ გზისკენ გაიხედა. ეკლესიიდან ორეგულირებული ქართული ჯარი გამოვიდა. მეზურნეებმა ზურნას ჩაბერეს, დაფდაფები ახმაურდა. შხით გაშუქებულ შარაზე ფერადმა ტანსაცმელმა გაიფლვა. თავადაზნაურების ასეული მოდიოდა. დრუჟინის საპარადო ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. შეინდისფერი ხავერდის ქულაჯები ეცვათ, ოქრომკერდით შემოქსოვილი შავი ახალუხები, ყორნისფერი აბრეშუმის შარვლები და რბილი ჩექმები. ჩატხილი კალმუხის ქუდეები გვერდზე ეხურათ. გულზე თითქმის ყველას გმირობის რამდენიმე ნიშანი ჰქონდა. მხრებზე კი ოფიცრის თეთრი პაგონები უბრწყინავდათ. თავიდან-ფეხებამდე ვერცხლით და ოქროთი ნაჭედ იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. წინ ვორონცოვის ნაბობარი დროშა და ხატი მოუძლოდათ. მათ სანახავად გზის ორივე მხარეს ხალხი მოაწყდა. კარგახნის შემდეგ ორეული ნაბიჯებით გლეხებისაგან შემდგარმა ასეულებმა გამოიარეს. პარტიზანულ ბრძოლებში განთქმული პორუჩიკი ბაქრაძე მოუძლოდათ. არცერთ მათგანს ოფიცრის ჩინამდე არ მიეღწია. ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ არცერთი თავადიშვილი არ ერია. მაგრამ გულადი მემორები რომ იყვნენ, ამას გულზე და ყელზე ჩამობმული ანაჰ, ვლადიმერის და გიორგის ორდენები ადასტურებდა. მილიციელებს ნაცრისფერი შარვლები ეცვათ, ქალამნ-

ბი და საცვეთები, წითელი ტყავის ჩოხები, წითელი პერანგები. შედეგით გადახლართულნი, მთელს ქუდეში გვერდზე მოეგდოთ. გაიარეს და თავადაზნაურების ასეულისაგან ცალკე გაჩერდნენ. ამ მებრძოლებს მილიციელებს ეძახდნენ მარტო იმიტომ, რომ მათთვის ჯარისკაცის პირობების მიკუთვნება ენანებოდათ. მზე თითქოს განგებ აგროვებდა დაბლობში სხივებს, რომ ამ წოდებათა შორის განსხვავება უფრო თვალის-მოპკრელი გაეხადა. ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსანი მილიციის მეთაურმა თარხან-მოურავმა ყვარელში ცხენი შემოაქენა. ხალხით სავსე გზა შუაზე გასჭრა, გამოაცხადა, რომ ბარიატინსკი ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდა, ქართული „დრუჟინა“ ალღუმს თბილისში ჩაატარებსო. თავადის ცოლებმა და მათმა ქალებმა სახეზე ხელი შემოიკრეს. თავიანთ ძვირფას ტანსაცმელს შეწუხებულებმა გადახედეს. ამ კამებისათვის აღებულმა ვალმა მარტო ახლა დააფიქრა, მაგრამ ეს ფიქრი ისევ მალე გაეთანტათ. გზატკეცილზე ლევან მელიქიშვილი გამოჩნდა. ბრწყინვალე ამაღას ბედაური ჩამოაცილა და თავის მემორებს მიესალმა.

ქართული „დრუჟინა“ ყოფილ სარდალს ალტაცებული ყიყინით შეხვდა.

— ეკეკაცო მემორებო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — შეუძახა მხიარულად.

შარავაზე ვაშას ძახილი მოისმოდა. მელიქიშვილმა გამოუცხადა, რომ ეს ასეული დიდებუნი დანიშნულ სამხედრო ალღუმზე ჩამოვიდოდა, როგორც იყო, ასე ჩაცმული.

მილიციელები აქამდე ჩუმად იდგნენ. ბავშვური თვალებით თავად-აზნაურების იარაღს მისჩერებოდნენ და ანგარიშობდნენ, თითოეული იმათგანის ეს მორთულობა რამდენი თეთრი ფული დაჯდებოდა. მაგრამ როცა შეიტყვეს, ალღუმზე ამათ განზე სტო-

ვებდნენ, მარტო თავად-აზნაურობა მიდიოდა და დროშაც მიჰქონდათ, ახმაურდნენ: — ბრძოლების დროს ერთად ვიყავით, ერთად ვიბრძოდით. აბა კარგად გაიხსენონ, მიუვალ ციხის კედლებზე ყველაზე უწინ ვინ მიფოფხავდა. წინ წამოვიდა როსტომ ნადიბაიძე და მედროშე გიგოლასკენ გაიწია.

— აი, შე ღმერთბალო, როგორ ჩვენსკენ არ იყურები, ეგ ხატი, შეილოსა, თქვენი იყოს, თან წაიღეთ, თქვენა გწყალობდეთ. ალაში კი ჩვენთან დატოვე, თორემ ემ წუთში გაგათავებო, — დაემუქრა.

მედროშე გიგოლა გაერიდა, ნადიბაიძეც რომ მუქარით ვერაფერს გახდა, უკან გაბრუნდა.

ილია, ლევან და რევაზ ვახვახიშვილები ერთად იდგნენ. ამ ორომტრიალს მისჩერებოდნენ.

— ესენი ჭირში ყოველთვის პირველნი იყვნენ, ლხინის დროს უკანასკნელნი არიან. ამათი კუთვნილი სახელიც სხვებმა გაიყვეს, — ჩაილაპარაკა ილიამ ხამბალა. მის სიტყვაზე ცისფერთვალბიანი ოფიცერი შემობრუნდა. ილიას დაკვირვებით დაუწყო ცქერა და რევაზს ქართულად გამოელაპარაკა.

— გესმოდათ, თავადო, თქვენმა გლეხობამ სარწმუნოების მიმართ როგორი გულგრილობა გამოიჩინა. ეს შემთხვევითი როდია, შე დიდი ხანია ვაკვირდები, თქვენი ეკლესიები მარტო მოხუცი ქალებით არის სავსე. ვორონცოვის გამოგზავნილ დროშაზე კი დავა გამართეს. სადა სჭრის მთავარ-მართებლის გონიერება. დროშა განგებ იმისათვის გამოგზავნა, რომ იცოდა თქვენი სიფიცხე, ქართველი კაცი ზედ შეაკვდება.

რეგულარული არმიის ფორმაში გამოწყობილ ოფიცერს ილიამ ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

— არ იცნობთ? — შეეკითხა რევაზი ახალგაზრდებს. აქ მატანში და თიანეთში ჩოლოყაშვილთან ასესორად

მუშაობდა. ჩინებულად შეისწავლა ქართული ენა.

ოფიცერმა ლევანს და ილიას ღიმილით ხელი გაუწოდა.

— არნოლდ ლევის ძე ზისერმანი, — ჩაილაპარაკა მეტისმეტად თავაზიანად.

ილიამ მისი ხელი ერთხანს ხელში გააჩერა.

— თქვენ ვორონცოვზე სიმატლეს ამბობთ, მაგრამ ერთი რამ კი გავიწყდებათ, ის დროშა რომელსაც ქართველები თავს აკლავდნენ ჩვენი მიწაწყლის დასაცავად იყო. დასაპყრობად არ მიდიოდა, მაგრამ თქვენ ეს მიბრძნეთ კოლეგიის ასესორი — ოფიცრის მუნდრიით როგორ აღმოჩნდით?

— პეტერბურგიდან კავკასიურმა ომებმა გამომიტყუეს, ხან ასესორი ვიყავი, ხან პრისტავი, ახლა კი ოფიცრის მუნდრი გადავიცვი. იქაც, ბრძოლების დროსაც საგვარეულო ტიტული იყო საჭირო, განსაკუთრებით ვორონცოვის დროს — ყოველგვარი პრივილეგია თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა. გამოირკვა „პრისტავმა“ და მისმა „ბალ ვეჩერებმა“ წალეკა თქვენი ქონება. მთავარმართებლები ჩვენი ქვეყნისათვის სიკეთეს ვერ იმეტებენ, თუ ქველმოქმედობენ მარტო იმიტომ, რომ ასე უფრო ტკბილად და უმტკივნეულოდ გადავგვარდებით — უთბრა ილიამ.

ზისერმანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა; სადღესასწაულოდ გამოსულთა შორის ლიზაც გამოჩნდა. მორთული იყო. გულამოჭრილი კაბა ეცვა, კისერი მარგალიტის მძივებით ჰქონდა სავსე. ქალმა იქით გაიწია სადაც ილია იდგა და თითქოს ხალხის ტალღა განგებ მიაწყდა, რომ ქალი ახალგაზრდა კაცთან მიეყვანა. ლიზამ ხელი წაავლო ილიას და თავისკენ მოიხმო. ილიამ მისი მშვენიერი, ცრემლიანი თვალები სახესთან იგრძნო, ძველმა თავდავიწყებულმა ტრფობამ ისევ იფეთქა. მისა ლიზა კიდევ მახლობლად მოჩვენა. მანძილმა დააშორა და მანძილმაც დაახლოვა. ხელი მაგრად დაუჭირა.

— ლიზა, წამოდი ჩემთან. ჩემ მიყრუებულ ბაღს შენი სიცილი ენატრება. ორივემ ერთად გახედა კაკლის ხეები: დაჩრდილულ, მიყუჩებულ ბაღს და სევდანარევი ტრფობით ისევ ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— წამოდი, ლიზა, გაუმეორა კიდევ ილიამ.

— წამოვიდე შენთან მამის უკითხავად? არა, ილია.

— მდივანბეგის კანონები ჩვენ სიყვარულს არა სჭირდება, გაწყვიტე ეს მორჩილების თოკი.

— შენ არ გწამს, რომ შეილი მამას უნდა მორჩილებდეს?

— მე ერთადერთი მორჩილება მწამს გონებისა და გულისა. მე არ მოვალ მამაშენთან. მაწყენინა უშვერობით. ხომ გაგიგონია — ისარი და პირობით სიტყვა გასტყორცნო — არ დაბრუნდესო.

— ვიცი, შენი ახირებული ზნის ამბავი, მაგრამ მე რომ დამკარგავ?

— შენი დაკარგვა არ შეიძლება, უნდა აცხადდეს ჩემი „სიზმარი“. ლიზა იცინოდა, თვალებიდან კი ცრემლები დაბალუპით ჩამოსდიოდა. გამჭვირვალე კაბის სარჩულში მხრები უთრთოდა.

შენი „სიზმარი“ ვერ აცხადდება, ჩემი ბედი ვადაწყვეტილია. ვინც ჩვენ შორის დამნაშავე იყოს, იმას ღმერთმა მოჰკითხოოს სამაგიერო.

— მამ ეგ წყველა სულ მე გადამზღეს.

ქალთან მაკო საფაროვამ მიიღბინა, ილიას სალამი მისცა და გაჩერდა. მისი თვალების ბრწყინვალეობას ერთხანს გაოცებული მისჩერებოდა, ისიც კი დაავიწყდა, რისთვის მოვიდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს, და ლიზას ხაბარდის კაბის კალთას ხელი შეაგლო.

— პაპამ იცის, რომ შენ აქა დგეხარ და ლაპარაკობ? — უთხრა ჩუმად. ლიზა გაწითლდა, მაკოს გაუწყრა, სახის მოძრაობით გააგებინა, რომ გაჩუმდით, მაგრამ გოგონა თავისას მაინც არ იშლიდა.

— წამოდი, წამოდი, — ეხვეწებოდა, — პაპა გაწყრება.

ქალს ეტყობოდა, ილია არ ეთმობოდა. ნაღვლით სავსე თვალეზით იცქირებოდა და მშვენიერი სახე დანამულ ვარდს მიუგავდა. კარგახნის შემდეგ გამოსამშვიდობებლად თავი დაუყრა. მისი იასამნის ფერი ხაბარდის კაბა ხალხში შეცურდა.

სოლომონ ჰავჭავაძეს სხვა წვეულთა შორის მამა და შეილი, გიორგი და ლევან ჯანდიერებიც მოეწვია. მაგრამ ლევანმა ილიასთან არცაა ყოფნა. მათ გადაწყვიტეს მოედანზე ხალხის შექცევას დასწრებოდნენ, ენახათ ლხინი იმ ადამიანთა, რომელნიც ჰირში ყოველთვის პირველნი იყვნენ, ცხოვრების ლხინშიც უკანასკნელნი, მაგრამ უძლებდნენ გაჭირვებას, კიდევ შესწევდათ იმის უნარი, რომ ცეკვავდნენ შეუჩერებლივ, მღეროდნენ და ჰიდაობდნენ. როცა საამისო შემთხვევა მიეცემოდათ. ეს შემთხვევა ყვარელში, როგორც წესი, ისე იყო შემოღებული — „ღრუჟინის“ დღე ერქვა სახელად. ეს თარიღი მაშინ განმტკიცდა, როდესაც ბინა მიიღეს და შტაბი დაარსდა. თითქმის ყოველ წელს ყველა კახელი აქ მოდიოდა თავისი ხორაგით, სამხედრო დღესასწაულს ესწრებოდა, რადგან მისი სოფელი 150 წლის განმავლობაში საბრძოლო ბანაკს წარმოადგენდა. თვითონ კი მთელი სიცოცხლე მეომარიც იყო და მიწის მუშაც. ერთ ხელში ხანჯალი ეჭირა, მეორით გუთანს მისდევდა.

ამიტომ იყო, რომ ყვარელში ამ დღეს ყველა ხალხისიანად მოდიოდა. დიდი მოედანი მაგიდებით იყო გაჭედილი. ზედღვინისაგან შეღებილი დოჭები, ყველი, პური და მწვანელი ეწყო. გალავნის სიგარძეზე პატარა გამურული „კატილოკების“ მაგიერად, დიდი სპილენძის ქვაბები იდგა, ბოზბაშით სავსე, სახურავად თხელი ლავაშები ჰქონდა დაფარებული. ილია და ლევანი მილიციების ლხინს

კარგად იცნობდნენ, ილია, ჯერ კიდევ ყრმა, მათი დღესასწაულის დროს ატუზული იღვა ამ გალავანში, გაბრწყინებული თვალებით, პირმოკუმული ხალხის დარბაისლურ შექცევას მისჩერებოდა. ყურს უგდებდა მათ სიტყვა პასუხს, თვალს არ აცილებდა იარაღის ნიშანში სროლას, ჭიდაობას, ცეკვა-სიმღერას. დღესაც ჰაბუკს გულმა იქეთ გამოუწია. ოთხი წელი იყო, ეს შექცევა აღარ ენახა.

— ილია, მე შენი სიტყვები მაგონდება: ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში. მობრუნდა ლევანი. ილიამ ლევანს თვალები შეანათა და წინ გაიარა. მეომარ მასპინძლებს კი ჩოხის კალთები აეკრიფათ, ქამარში ჰქონდათ დამაგრებული. სახელოები გადაეკეცათ. ეტყობოდა, სტუმრებს ელოდნენ. მეთორმეტე სახაზო ბატალიონის სალდათები ამ დღეს ყოველთვის ესწრებოდნენ, თუმცა ერთმანეთის ენა არ იცოდნენ, მაგრამ, რაც საჭირო იყო, აგებინებდნენ. აი გამოჩნდნენ ისინიც. მასპინძელმა მეომრებმა ქუდები მოიხადეს, სტუმრებს დახურეს. მათი „კოზირიოკები“ თვითონ ფრთხილად ჩამოიფხატეს. ქართველ კაცს ქუდი ყოველთვის მიაჩნია ნამუსის ნიშნად, სხვას მარტო ძმაცაცობისათვის დაახურავდა, ქუდების გაცვლა მომსაწავებელი იყო იმის, რომ რუს ჯარისკაცებს მადლობას უხდიდნენ ლეკის ხაზის დაცვისათვის. ზევით განმარტოვებულ მაგიდას ჯორჯაძეები და ყარალაშვილები შემოსხდომოდნენ. ბარბარეს ქმარი ზაქარია მთვრალი იყო, ღვინის ჭინი მორეოდა, ჰირვეულობდა. ცოტა მოშორებით ფერად ტანსაცმელში მანდილოსნები გაჩერებულიყვნენ. მალალი ქალი ყარყუმის წამოსასხამით, წინ წამოვიდა და ილიას სევდიანი დიდი თვალებით ცქერა დაუწყაო.

— ბარბარე ჯორჯაძისა, — უთხრა ლევანმა ჩუმად.

ილიამ თავი დაუქნია და ისევ დინჯად დაფიქრებულმა განაგრძო გზა. მოჭედიფე თვალების მაგიდას თითქმის პირისპირ გაუსწორდა. მიმავალს ცისფერთვალე-

ბიანმა ოფიცერმა მკლავზე ხელი ოდნავ წაავლო და თავისკენ მიახედდა. ზისერმანის უცინოდა. ილიამ მის ხელს უკმეხად გადახედა. ეტყობოდა, ასე სწრაფად გაშინაურება არ მოუწონა.

— თავადო, რაღაც ფიქრს და ჰმუნვას მისცემიხართ?

— თქვენი ახრით, ფიქრი ზედმეტი ბარგია კაცის?

— არა, რას ბრძანებთ, მაგრამ გამიკვირდა! ქართველი თავადიშვილი მე შებლშეკრული არ მინახავს. ის ბრძოლისა და ლხინისთვის არის გაჩენილი. — ჩაილაპარაკა ზისერმანმა მხიარულად და წინ წავიდა.

— ქართველმა კაცმა ფიქრიც საკმაოისად იცოდა და ხერხიცა ჰქონდა. აბა თვრამეტი საუკუნე როგორ გაუძლო მტერს და მოყვარეს, მერე ამ ეპოლეტეზმა დაამშვიდეს. ახლა ის მარტო ზორციელი ცხოვრებით ცხოვრობს, მშვიდად, უზრუნველად. აი, თუ ასე არ არის, შეხედე, ლევან, — და ყარალაშვილებზე და ჯორჯაძეებზე ხელით აჩვენა.

— ახალგაზრდა თავადი ჩვენსკენა სეტყავს, აბა, ზაქარია, ფრთხილად იყავი, — გადაულაპარაკა ოფიცრის ფორმაში ჩაცმულმა გიორგი ჯორჯაძემ.

— რაო, რა არ მოსწონს ჩემი, — ჰირვეულობდა ჯორჯაძე და ილიასკენ მიიწევდა. — ის, რომ ქალივით არა ვზივარ და ლექსებს არა ვწერ?

ლევანი შუაში ჩადგა, მაგრამ ილიამ ჰეგობარი დაამშვიდა.

— მე მაგის მსგავსი ვიქნები, რომ თავი გავუყადრო, მაგრამ ეს კი გააგებინეთ თავადს, რომ იარაღი კალამზე ნაკლებ არ მემარჯვება.

ბარბარემ ყარყუმის წამოსასხამი ოდნავ გვერდზე გადაიგდო, გრძელ განიერ კაბის კალთაზე ხელი შეივლო და წინ წამოვიდა, თვალებში ეღვა მოუჩანდა.

— ღვთის გულისათვის, უფალო ჰავაძე, იკმარეთ ჩემი გაბიბარებება, ამას მოეშვით, ჩემს ქმარს იარაღით ვერ გაუმკლავდებით. დაილუპებით. მალალი მკერდი პოეტ-ქალს მეტისმეტი

მღელვარებისაგან განიერად უცემდა, ვაფართოებული სევდიანი თვალებით იდგა. ლიტერატურული მტრები ერთმანეთს უხმოდ მისჩერებოდნენ.

— ბარაქაა ამის ქალობას, რომ ზაქარიას პატრონს „ანბანთ თეორეტიკა“ და დარბაისლური ქართული ენა არ აეიწყებდათ, — ჩაილაპარაკა ილიამ ყრუ ხმით. არ განძრეულა. დინჯად, აუჩქარებლად იდგა. ზაქარია ჯორჯაძის გადაწყვეტილებას ელოდებოდა.

მოედანზე ჩოჩქოლი იყო. ჭავჭავაძეებს ისაუბლები გამოეგზავნათ. კიდაობის განთქმულ ფალავნებს თავისთან სახლში მოითხოვდნენ. მაგრამ ძველი მეომრები ფეხზე წამოდგნენ, ფალავნებს გზა გადაუჭრეს, არ გაუშვეს — ჩვენ, თავადების ნება-სურვილისათვის თავს არ ვზოგავთ, სადაც მოეპრიანებათ, თავს სასიკვდილოდ იქითყენ გვიკრავენ, შინაც ხმას არ ვიღებთ, ჩუმად ვართ. დღეს კი ხმას ამოვიღებთ, სხვაგვარად მოვიქცევით. ეს დღე ჩვენია. ვისაც ჩვენი ლხინის ნახვა სურს, აქ მობრძანდესო, — შეუთვალეს და მოედანზე ბრძანება გასცეს, რომ საჭიდაოდ ზურნა დაეკრათ.

— გამხოშვილი, გამხოშვილი, — ისმოდა ხმები.

გიორგიმ მკერდიდან სავაზნეები გადაიძრო. გრძელი ხანჯალი შემოიხსნა. შავი ყაითნებით გადახლართული წითელი პერანგი გაიხადა. უღვაშებზე ხელი დაისვა და ახმაურებულ მოედანს ბავშვივით გაუღიმა. ერთხანს იდგა, მაგრამ მოწინააღმდეგე არა ჩანდა. მერე შებრუნდა და მოცარიელებულ მოედანს მხრებში ოდნავ მოხრილმა ჩაუარა, თითქოს მიწას ყნოსავდა, მოწინააღმდეგეს დაეძებდა. გრემელები და შინდლები განსაკუთრებით მღელვარებდნენ. ყველა თავის სოფლის ფალავანს დაეძებდა, მოკიდავეებს ხელსა ჰკრავდნენ, მოედანზე გამოსასვლელად ამხნეებდნენ, მაგრამ ეს გოლიათი საშიშროებას წარმოადგენდა, თავზე ხელაღებულსაც კი აფიქრებდა. მოშორებით ერთ-ერთი შავიდა ახმაურდა. სხარტი, მა-

ღალი ტანის ვაჟაკი ფეხზე წამოდგა, გასასვლელი გზა რომ ვერ ნახა, ფეხის წვერებით პირდაპირ მავრდაზე გადმოიარა და რამდენიმე ღონიერმა ხელმა მოედანზე გადმოაფრინა.

— ელიაშვილი, ელიაშვილი — გაისმა გიორგიმ თავის თანამებრძოლს შორიდან კეთილად გაუღიმა. გაახსენდა, რომ მისი სიკეთე, როცა მტერს უგერიებდა, არ დაივიწყა, ახლოს მივიდნენ, ერთმანეთი გადაჰკოცნეს. მერე ისევ განცალკევდნენ. ზურნა სულმოუთქმელად ჭყვიტიინებდა, ხალხს მღელვარება ემატებოდა ქრიაშულობდა და ძველ მეგობრებს ძალაუნებურად ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო ცეცხლით აესებდა. ერთ წუთს მტრად გადაიქცნენ. ერთმანეთისაკენ მიიწიეს. მოედანზე ხან ბუზის გაფრენა მოისმოდა, ხან კი ისეთი გმინვა, მღელვარება და ვინება გადაივილიდა, თითქოს ამ მოძველებულ გოლავნის ქონგურებს, ყველაფრის მომსწრეს, ჯერ ასეთი ხმაური არ გაეგონა. ელიაშვილი მოწინააღმდეგის ძლიერ ხელებს ტანს არიდებდა. მკლავები მისი მკლავებისათვის ჩაეჭიდა და გიორგის ირგვლივ ფეხის წვერებზე დაფრინავდა. მოულოდნელად კრაზანასავით ეცა. რა მოხდა? ხალხი გონზე ვერც კი მოვიდა. გამხოშვილი მიწაზე იწვა, — სარმა გამოსდო, — ხერხი იხმარა. გაისმა ხმა, „ზარათი“ რუსის სალდათებსაც მორეოდით. ქერა თავებზე ნაბდის ქუდები გვერდზე მოგდოთ, მათი ქართული შეძახილებიც მოისმოდა. გიორგი ზღაზღინით გასწორდა წელში, თავი გაკვირვებით გადააქნია, ელიაშვილს ხელი უჯულოდ, ცივად გაუწოდა. ხალხი ისევ ქრიაშულობდა, მაგრამ ზურნა ახლა საცეკვაოდ აჭყვიტინდა. თუმცა ამ დღესასწაულს ქალები არ ესწრებოდნენ, მაგრამ დღეს ვაჟაკი მეომრები თვითონ ცეკვავდნენ იმათ მაგივრად იმიტომ, რომ ლხინისთვის ეს საჭირო იყო.

— ფახალის კოშკი, — გაისმა ხმა. მებრძოლები შუა მოედანზე გამოვიდნენ. ზურნამ ახლა ტანში ამაზრზენად



დაუკრა საიერიშო, სასიკვდილო. ომის დროს მიუვალი სიმაგრეების ასაღებად ამ ზურნის ხმაზე საიერიშოდ გადადიოდნენ. განსაკუთრებით ფახალის კოშკის აღება დაამახსოვრდათ. ეს იყო რეზიდენცია შამილისა, როცა თავისი შვილი ყაზი-მამადი კახეთის ასაოხრებლად გამოისტუმრა. მისი აღება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. იმიტომ იყო, რომ ვერ დაიფიწყეს და დღეს იმიტომ გაიხსენეს. ოთხმა მილიციელმა ერთმანეთს ზურგები მიაბჯინა, მეორე ოთხი ზედ აცოცდა, მერე სამი და ბოლოს ფირანა დოლიძემ გუმბათის მსგავსად შეუკრა თავი. ყველა მათ სიმაღლეს მისჩერებოდა. ხელში არ ეჭირათ არც დროში, არც ხატი, გახუნებულ ჩოხის კალთებს ქარი აქეთ-იქით უფრიალებდა. მათი მხრებით აგებული ფახალის კოშკი რაღაც დაუძლეველ სიმაგრეს ჰგავდა. ოფიცერმა ვოლკონსკიმ ილიას შორიდან შეასწრო თვალი, ხალხის ჯგუფი ვაარღვია და პოეტთან ახლოს მივიდა.

— ხედავთ, ამათ მხრებს რამდენის ატანა შეუძლია? ღონე და ძალა ამითშია.

ილია ხმას არ იღებდა. უხმოდ პირმოკუმული მისჩერებოდა, როგორც ერთობოდა, გონების თვალი შორს გაუარბოდა. იმ დროს ის მომავალი საუკუნის შრომასა ხსნიდა, ასი წლით წინ იქტირებოდა.

მომავალი ცხოვრების ბორბალი ამათ უნდა დაატრიალონ, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ფახალის კოშკი დაიშალა. ზურნის ხმაც შეწყდა. უკვე შეღამდა, მაგრამ ილია და ლევანი სახლებში წასვლას არა ფიქრობდნენ.

უბანში ფერადმა მამხალამ გაიელვა, ჯორჯაძეები და ყარალაშვილები ფეხზე წამოდგნენ.

— ლიზას ნიშნობაა, სოლომონი ქალს ათხოვებს, — გაისმა ხმები ჯორჯაძეებში. ცნობისმოყვარეობით საესე მათმა თვალემა ილიას დაუწყეს ძებნა.

— მარჯანიშვილი ირთავს ცოლად. აფერუმ იმის ვაყააცობას. აჯობა თუ

არა უნივერსიტეტში სწავლამიღებულ ყმაწვილ კაცებს, — ისმობდა მაქარის-ჩახრინწული ხმა. ბარბარე აჩუმებდა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

ცოტახანს შემდეგ ყარალაშვილები ერთად შეჯგუფდნენ. სიმღერა დაიწყეს. — „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში შე და შენ რომ ერთად ვრბოდით“. — მათ ხმას, როგორც ყოველთვის, ახლაც, რაღაც ჯადოქრული ძალა ჰქონდა, თითქოს იერიში მიჰქონდათ ილიას გულზე, ისე ეგონათ, რომ იმ სტატიების დამწერს, ბარბარეს მებრძოლს, ქვა გული ჰქონდა და მისი გატეხა გადაიწყვიტათ, მაგრამ ნამდვილად პოეტს გული იმ დროს ბავშვივით ჰქონდა აჩუყებული, ფერნამკრთალევი სახე ზევით ჰქონდა აწეული. თითქოს ყინული შემოხვეოდა. იბრძოდა მხოლოდ აქ თავისთავთან. ეს ბრძოლა თითქოს უფრო ძლიერი იყო იმიტომ, რომ ახალგაზრდა ილიას გულის მორევა და მისი გაჩერება არც ისე ადვილი საქმე იყო.

ლევან ჯანდიერი მიუხედა ფიქრს, ძალიან სთხოვა, ავიდეთ ჩვენთან სოფელში ვილაპარაკოთო.

ახალგაზრდები მოედნიდან გამოვიდნენ, ილიამ ვანაძიანში წასვლაზე უარი უთხრა. ერთმანეთს გზაჯვარედინზე დაემშვიდობნენ.

მაქარინესთან სახლში ანა ერისთავი იყო. ილიას არასოდეს არ ენახა ისეთი სევდიანი თვალები, როგორიც იმ დროს პოეტ ქალს ჰქონდა.

— სარჩიელისათვის ვიახელით, — უთხრა ანამ და შალში შებურვილი თავი ძირს დახარა: ნიკოს განჩინება ჩემს მიმართ თქვენ უწყით ალბათ. მაგაზე აღარ ვილაპარაკებ, თავს არ შეგაწყენთ, უნდა მირჩიოთ, რა გზას დავადგე. მონასტრის შევაფარო თავი და ჩემი უბედური სიცოცხლის დღენი იქ დავლიო თუ მოწყალეების დად წავიდე სადმე.

ილია უხმოდ იდგა. მისი თვალები ქალის მიმართ თანაგრძნობით იყო სავსე.

— სარჩიელისათვის დიდ მადლობას

მოგახსენებთ, მაგრამ რა გირჩიოთ. ჩიი-ლაპარაკა და ოთახში მძიმე ნაბიჯით გაიარა. ცოტა ხნის შემდეგ შედგა, ანას შეხედა. — თავი დაანებეთ ფიქრს იმაზე, რომ წმინდა სავანეს მიეკედლოთ. იყო დრო, როცა მონასტერი ქართველი ხალხისათვის სკოლას და სტამბას წარმოადგენდა, განათლების კერა იქ გვექონდა. მაგრამ ეს დრო წავიდა. მოითმინეთ და ნუ აჩქარდებით. იქნებ ცხოვრებას მიხედ-მოხედოთ და თვალს დაგრჩეთ ზედ. იფიქრეთ კარგად.

ანა წასასვლელად მოემზადა. ილიას მადლობის ნიშნად თავი დაუქრა. მაკრინეს კი ატირებული გამოეთხოვა და სიბნელეში მიიშალა. ილია აივანზე დიდხანს იდგა, პაპიროსს წევდა. სოლომონის ეზოდან თარისა და ჭიანურის ხმა მოისმოდა. სპარსულ ყაიდაზე სათარა მღეროდა „სულო აღნაგოს“. მამიდას ოთახში ტახტზე მოეყეცა. „სიბრძნე ბალავარისას“ კითხულობდა. ძმისწული კი დღეს წიგნსა და საწერს ახლო არ იკარებდა. ადრე დაწოლა გადაეწყვიტა. რატომღაც მაკრინესთან ლაპარაკსაც ერიდებოდა. მაგრამ მამიდამ კარგად იცოდა, რომ ლოგინში მწოლარე ილიას არ შეიძლებოდა სძინებოდა. სანთელს წაავლო ხელი და

(გაგრძელება იქნება)

აივნისკენ გაემართა. მაგიდაზე დალუქული კონვერტი თვალში მოხვდა. მოხუცმა დიდი სათვალეები მოიძარჯვა და პოლტარაცკის წერილი გადაიკითხა. ერთხანს იდგა, მისმა გონებამ აწონ-დაწონა ყველაფერი და ილიას ოთახის კარი შეაღო, სანთლით შევიდა. ილიას თვალეები ჰქონდა მოხუცული, მის ფერმკრთალ, გაბადრულ სახეს მაკრინემ პირველად გადასწერა და თავთან დაუჯდა.

კარგახანს სიჩუმე იყო.

— შეილო, ღიზა თხოვდება, — ამოიოხრა მოხუცმა, — შენ გონიერებას ახლა ვუმაღლი, რომ გრძნობა დათრგუნე. ხმას არც ერთი არ იღებდა.

— მე უნებლიეთ შენი წერილი წავიკითხე. თურმე საქმე ქალაქში გიწვევს. ფულზე ნუ დაბრკოლდები, მამიდაშენი ერთ ორ გროშს კიდევ გიშოვის. ილიამ ქუთუთოები ნელა ასწია და სევდიანი, წყლიანი თვალეები მამიდას სახეში შეანათა.

მაკრინე ოთახიდან გამოვიდა, პირდაპირ სახატესთან გაეშურა. — დიდება შენს ძალას, მაცხოვარო, — ჩურჩულებდა მოხუცი. — ყრმის ყოველივე სიკეთით მორკმული გული ასეთი საფარველით რისთვის შემოსე!

ნიკოლოზ ჩაჩავა

★

### ქვედრულა მოდიდებულა

მოდიდებულა მთაში ქვედრულა  
და ბარისაყენ ამხედრებულა —  
მოაქვს კუნძები, ნამსხვრევი კლდეთა,  
მთების ძალა და ხევთა გუგუნნი —  
და თითქო მოაქვს ღელვები დღეთა,  
ამ საუკუნის, იმ საუკუნის.  
მოაქვს და ზათქით ლოკავს ნაპირებს  
და მღვრიე ტალღებს ისვრის ლოდებად,  
აბრუნებს მიწის სარჩულს, საპირეს  
და არაფერი არ აგონდება.  
რამ ააღელვა, რამ აადიდა  
ეს მთის მდინარე პატარა, წყნარი,  
რატომ მოსტეხა ნატეხი კლდიდან,  
რამ ამღვრია ანკარა წყალი,  
რა ჩასდგომია ძარღვეებში ზვირთებს,  
რატომ არ ცხრება, რად არ დუნდება,  
ჩაუვლის ბალახს, მოუსმენს კვირტებს  
და კიდევ უფრო აგუგუნდება.  
ამხედრებულა მთაში ქვედრულა —  
გაზაფხულს შეხვდეს ბარში მხედრულად.

---

## ხოჩბარი



(ავიარული საგმირო ლეგენდა)

ჰიდათელოს მოვიდა შათირი ხოჩბართან, —  
ხუნძახში პატიეობს ხვალ ხოჩბარს ნუცალი.

„დედილო, მითხარი, წავიდე ხუნძახში? —  
ქორწილში მპატიეობს ხუნძახის ბატონი“.

„ნუ, შეილო დედისა, ხუნძახში ნუ წახვალ,  
ცბიერს და გამყიდველ ნუცალს ნუ ენდობი!“

„ნუ წავეალ?! — დამცინებს ხვალ მთელი ხუნძახი,  
სიმხდალეს დამწამებს ცბიერი ნუცალი!“

„თუ წასვლას არ იშლი, — ატირდა მშობელი, —  
უბრძანე ფეხმარდი ცხენი შეგიკაზმონ.  
ხელთ შენი ნაცადი ხირიმი აილე,  
ტანთ საუკეთესო სამოსი ჩაიცვი.“

ნუცალ-ხანს საჩუქრად ქურანი მიართვი,  
ქალბატონს — ბეჭედი აღმასისთელიანი,  
იმათ ქალს — ნისლივით მსუბუქი მარმავი,  
ჯამათს — მსუქანი ხარი ჯიშინი“.

ხოჩბარმა საჩუქრად ქურანი მონახა,  
აღმასისთელიანი ბეჭედიც მონახა,  
მონახა ნისლივით მსუბუქი მარმავი,  
მონახა მსუქანი ხარი ჯიშინი.

ცოლს უთხრა: „საჩქაროდ ჩოხა მომიტანე  
და თოფ-იარაღიც ჩქარა მომიშვადე,  
სანამ ტანთ ჩაეიცვამ, ცხენი შემიკაზმე,  
აღვირი ამოსდე, დაუჭი უზანგი“.

ასე გაემზადა გზად გმირი ხოჩბარი,  
რიჟრაჟზე შევიდა ის კლდოვან ხუნძახში.

„სალამ ალეიქუმ, ავართა ბატონო!“

„ალეიქუმ სალამ, მამაცო ხოჩბარო!“

მოხვედი, ავართა მტერო შფოთიანო,  
შენ, მგელო, ჩემი ცხვრის ფარეხის დამრბევო?!

მამ, აბა, შენი ქურანი მიბოძე,  
მას საზრდოდ ქერი და ხურმა მოვემზადე.



აბა, ეგ ხირიმიც მოიხსენ, მამაცო,  
ზრუნვით ჩამოგვიდებ მას ოქროს ლურსმანზე!  
სიტუბილით ჩამოსვეს ცხენიდან ხონძარი,  
სტუმარს საპატიოს, თითქოსდა, შველოდნენ.

მაგრამ, პა, ზურგიდან დაესხნენ უეცრად,  
მხრებზე დაეკიდა გმირს ათი ნუქერი.

ხელ-ფეხი შეუკრეს, დაადეს ხუნდები,  
ხელი ჰკრეს და ვიწრო ორმოში ჩააგდეს.

მყვირალი მოუხმობს ხუნძახის ჯამათს:  
„მოზიდეთ შეშა, ვინც მამები დაჰკარგეთ,  
მოზიდეთ წივა, ვინც შვილები დაჰკარგეთ,  
კოცონი ალაგზნეს, ვინც ქმრები დაჰკარგეს,  
ხელთა გვეყავს ხუნძახელთ მკვლელი და მძარცველი,  
ცეცხლს მივცეთ უღმობელს ყაჩაღი ხონძარი!“

მოზიდეს, შეშა, ვინც მამები დაჰკარგეს,  
მოზიდეს წივა, ვინც შვილები დაჰკარგეს,  
კოცონი ალაგზნეს, ვინც ქმრები დაჰკარგეს,  
ისეთი კოცონი ალაგზნეს მალლობზე,  
რომ სიმხურვალისგან კლდეები სკდებოდა.

მივრდნენ ორმოსთან და ხონძარს ჩასძახეს:  
„წავიდეთ კოცონთან, თამაშა გავმართოთ!“  
„ოჰო, მე კოცონთან როგორ არ წამოვალ,  
მერე-და, იქ როგორ თამაშს გავმართავ.“

სეირის სამხერლად შემოკრბა აული,  
როცა გოდეკანთან ხონძარი მივიდა.  
წინ იდგა ღიმილით ცბიერი ნუცალი  
მრავალგზის ნაცადი ფიცხი ნუქერებით.

„მო, ახლოს დადექი, მამაცო ხონძარო,  
სიტყვა ვთქვათ ისეთი, რომ ხალხი გავართოთ!“

„ოჰო, მე შენს ახლოს როგორ არ დავდგები,  
საუბარს გაგიბამ არახალს, ძველებურს.“

„მო, რამე გვიმღერე, მამაცო ხონძარო,  
შენ მთელს დაღესტანში სიმღერით განთქმულხარ!“

„მე თქვენ ერთ ჩინებულ სიმღერას გიმღერებთ,  
ოღონდ ხელთ მომეცით ხმატკბილი ჩაღანა,  
მე ისეთს გიმღერებთ — გონება განათდეს,  
ოღონდ ჯერ ხელებზე ხუნდები ამყარეთ!“

„ავყაროთ ხუნდები, გვიმღეროს, გვიმღეროს!“ —  
ჯამათს მიმართეს რჩევით ჰაბუკებმა.

„ო, არა, ხელფეხი უფრო შეუსალტეთ!“ —  
ერთხმად მიუგებდნენ პასუხად მოხუცნი.



არ მოსწონთ ჭაბუკებს მოხუცთა ნათქვამი:  
„მაშ, ჩვენ ვაქცაობის ჭულეები რად გვხურავს,  
მშვიერი, მწყურვალი და უიარაღო,  
ტყვედქმნილი ხოჩბარი თუ ისევ გვაშინებს?!“

ნუცალი იმაყად თავს უქნევს ჯიგიტებს,  
მბრძანებლის დასტურით: ტყვეს ხელ-ფეხს უხსნიან.  
ხოჩბარს მოუტანეს ხმატკბილი ჩაღანა  
და ირგვლივ სინჯუმე ჩამოდგა უეცრად.

„ჩემს ზემოთ მაღალი, ჭაღარა მთებია,  
ეს — მე ვიტაცებდი ცხვრის ფარებს აქედან.  
ჩემს ქვემოთ შიშველი, ტიალი ველია,  
ეს — მე მივრეკავდი თქვენს ცხენებს აქედან.  
სეირის სამზერლად ობლები მოსულან,  
მე ვიყავ — ხმალდახმალ რომ ვჩეხდი მათ მამებს,  
შავად შემოსილნი დიაცნი მოსულან,  
ეს — მე დაეუბნელე მზის შუქი მათ შვილებს.“

მე ჩემს სიმამაცეს უკეთ გაჩვენებდით —  
ნეტავი წელს მერტყას ახლა ჩემი ხმალი!“  
წავიდნენ და მისი ხმალი მოიტანეს,  
მყისვე გადატეხეს, ფეხებქვეშ მიუგდეს.

„ეჰა, ჩემო ხმალო, ზრუნვით გინახავდი,  
ბევრი ხუნძახელის შუბლი გაგიჩეხავს.  
თქვენ ჩემს სიმამაცეს უკეთ გაჩვენებდით,  
რომ ჩემი ხირიმი დღეს მე მამშვენებდეს!“

წავიდნენ და მისი თოფი მოიტანეს,  
კონდახი მოტეხეს, ფეხებქვეშ მიუგდეს.

„ჰე, ჩემო ხირიმო, ბევრი გიბრძოლია,  
შენ გულში მტრის ჯავრი აღარ ჩაგყოლია,  
მე კი, ხუნძახელნო, ახლა ვინატრებდი,  
ჩემს ცხენზე ვიჯდე და იქიდან გზვერავდეთ!“

წავიდნენ და მისი ცხენი მოიყვანეს,  
მახვილით ოთხივე ფეხი გადაუმტვრიეს.

„ჰე, ჩემო ქურანო, დაჰქროდი, ღელავდი,  
ბოროტ მოძალადეს ფლოქვებით თელავდი.  
ხანს არ ვთხოვ წყალობას, აქ მისი მგლებია,  
მე რაც განმიზრახავს, ამსრულებია.“

„ჰე, ჰიდათლოელო ხოჩბარო, გვითხარი,  
სულ რამდენ ხუნძახელს მოუსპე სიცოცხლე?“

„ნუცალმა დათვალოს, სათველელად ეყოფა,  
მათი იარაღი გასწვდა ას მეგობარს!“

„ჰე, ჰიდათლოელო ხოჩბარო, გვითხარი,  
რამდენი ფაშატი მოსტაცე ნუცალ-ხანს?“



„ასი მეგობარი მყავს ომში ნაცადი,  
თითოს დავურიგე სამ-სამი ფაშატი“

„გვითხარი, გვითხარი, მამაცო ხონბარო,  
რამდენი ხარძროხა წარეკე აქედან?“

„თქვენ თვითონ დათვალეთ — ავავსე სოფლები,  
თერთმეტი სოფელი დამრჩა მადლობელი“

„მაშ, ესეც გვითხარი, მამაცო ხონბარო,  
რამდენი ჭედლა მოსტაცე ნუცალ-ხანს?“

„ურიცხვი! თუმც ჩემთვის ერთიც არ მინდოდა,  
ყველა დავურიგე ღარიბებს საჩუქრად!“

„აბა, ჰე, ახლა სხვა თამაშა გავმართოთ:  
ხონბარი ვაცეკვოთ, რომ ხალხი გაართოს.  
იცეკვოს, იხტუნოს, ვიცინოთ, ვიხუმროთ  
და ჯოჯოხეთისკენ ტაშით გავისტუმროთ!“

ძლიერი ზურნა და დოლი გააჩაღეს,  
მტერზე გამარჯვებას ზეიმობს ხუნძახი.  
ბრწყინავდა ნუცალი — ხელთ იგდო მოსისხლე,  
ცეცხლს ცეკვით უვლიდა გარს ჰილათლოელი.

სამჯერ ჩაუქროლა მან ხალხს გარშემორტყმულს,  
ნუცალის ბავშვებთან ქარივით მიფრინდა,  
მაგარი მკლავები მოხვია ორთავეს,  
ცეცხლის ადუღებულ ზღვაში შეიტაცა.

„ო, ღმერთო ო, ღმერთო, ძლიერო ხონბარო!“ —  
გამწარდა, წვერს იგლეჯს ხუნძახის მთავარი.  
ო, ღმერთო, ო, ღმერთო, იხსენით ბავშვები —  
მშობელთა სიცოცხლე და გულის ჯავარი!..

ყველაფერს ვივიწყებ, მამაცო ხონბარო,  
ფიცს გაძლევე, შენს მხარეს არას დავუშავებ,  
შენ ჩემი სახანოს მფლობელი გახდები,  
ოღონდ დამიბრუნე მე ჩემი ბავშვები!..

ცეცხლიდან ისმოდა ხონბარის ძახილი:  
„ვაჟი სიცოცხლეს იაფად არ ყიდის.  
ვალლაჰ, ვერ ეღირსო, მტარვალო ნუცალო,  
ხონბარს ჩანაფიქრი აზრი შეუცვალო!  
მოწმე ეს ზეცა და მალალი მთებია,  
მე რაც განმიზრახავს, ამსრულებია“.

ხუნძახს შუადღემდე ფლობდა სიხარული:  
ნუცალმა ხელთ იგდო განთქმული ხონბარი.  
შუადღის შემდეგ კი ატყდა გლოვის ზარი —  
— ცეცხლში დაეღუპა ნუცალს ორი ვაჟი.

## რეკლამა ნოვოიზი



### გრაზოვსკი თარგმნის ჰავჭავაძეს\*

თოვლი, თოვლი... ისევ თოვლი..  
ქარბორბალა გრგვინაეს გარეთ,  
წაუშლია თეთრად გზები,  
რომ გატყინოს გული მწვარედ,  
მაინც გახსოვს ძმა-მოყვასი,  
ამ თოვლიან უცხო მხარეს.

ვერ დათრგუნეს შენი სული,  
თუმც დაგაჭრეს მტრებმა ფრთები;  
ეძებ სიტყვას და შეგობრის  
ლექსთან, როგორც ცეცხლთან, თბები  
და ამ ცეცხლით გულს ითბობენ  
კატორღელი შენი ძმებიც:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა,  
არა მარტო ტკბილ ხმისათვის  
გამომგზავნა ჰვეყნად ცაშა“.

და ცოცხლდება შენს წინ მხარე  
სამოთხის თუ ზღაპრის დარი,  
ეს სამოთხე ვინ არბია,  
ვინ დასერა სისხლის ღვარით?  
მაგრამ რაა, რად ახველებ,  
რატომ ისმის სუნთქვა ჩქარი?  
ოი, სად ხარ, ქართველო ძმავ,  
მიაწოდე ჭიქა წყალი.

წყლის სანაცვლოდ ძმის გულიდან  
ძმის გულამდე შოდის სიტყვა,  
ის სუნსიან ღამეებში  
გზას იკვლევდა შენკენ დიდხანს,  
ტანჯვის გზებით მოაღწია,  
ნუგეშინი გცა და გითხრა.

ის რაც ითქვა, ცოცხლობს მარად,  
ქართლის ბუდით აფრენილი  
სიტყვა თითქოს ხმალი იყო  
მამაც მხედრის გაფერილი,  
მოყვარისთვის სამოყვაროდ,  
მტრისთვის სამტროდ აღერილი.

მიგდებულ და ყრუ მხარეში,  
სადაც მხოლოდ ქარი დაძრწის,  
შთაგონებით ეძებ სიტყვას,  
შთაგონებით ცოცხლობ კაცი.  
ილიას ლექსს დაჰკანკალებ,  
როგორც შენი გულის ნაწილს.

გინდა ყველას გააგონო,  
ვისაც სტიკვა შენი წყლული,  
ბრძოლისთვის და სიცოცხლისთვის  
რომ კვლავ ფეთქავს მძაფრად გული,  
რომ კვლავ გიხმობთ ამირანი  
მაღალ მთებზე მიჯაჭვული.

ღამემ თვალი ჩაგიღამა,  
ყინვამ ხელი გაგიყინა,  
ფანჯარასთან დგას დარაჯი —  
სიბნელეში ხიშტი ბრწყინაეს.  
მაინც ზიხარ... მოძმის ლექსმა  
მოძმის გულში ჰპოვა ბინა.

ორთავე ხართ ხალხის შვილნი,  
ორთავეს გჭირთ ერთი სევდა,  
არ ხართ მარტო, მთელი ხალხი  
იტანჯება თქვენთან ერთად,  
მოვა ქამი და ეს ტანჯვა  
აიშლება რისხვად მტერთა.

ორთავეს გჭირთ ერთი წყლული,  
გული ერთი სევდით ჰკვებეთ,  
და უნისლო, მზიან დღეზე  
თითქო ერთად იოცნებეთ.

\* პავლე გრაზოვსკი (1864 — 1902) — ცნობილი უკრაინელი პოეტი — რევოლუციონერი, გარდაიცვალა გადასახლებაში.



უცხო მინდვრით<sup>1</sup> მოფრენილი  
სიმღერები მძლავრად ჩქეფენ.

ერემუს დაღერი და ატირდები  
გაიცინებ მერმე მწარედ,  
მომძის ლექსში გიბოვია,  
რაც დაკარგე, რაც იწვალე,  
ქართულ სიტყვას ეფერები  
და სევდისგან დაიცალე.

მისთვის არ მღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა,

<sup>1</sup> „უცხო მინდვრებიდან“ — ისე უწოდი  
გრაბოვსკიმ თარგმანების წიგნს, სადაც შეიტა-  
ნა ი. კავკაძის, ა. წერეთლის და რ. ერისთა-  
ვის ლექსების თარგმანები.

არა მარტო ტყბილ ხმათათვის  
გამოგზავნა ქვეყნად ცამა,  
ერის წყლული გტყენია და  
გული ერემლმა დაგინამა.

ო, ამოდ არ დამშვრალხარ,  
და ამოდ არ ეწამე  
ვიცი, გძულდა შენ ყოველთვის  
მოთარეშე ბნელი ღამე  
გჯეროდა და გწამდა მუდამ, —  
გათენების მოვა ჟამი.

ღე, გაყინოს ყინვამ ხელი,  
თვალს წაართვას ღამემ ძალა,  
მეგობრისთვის მეგობარი  
იწვის, იწვის ცეცხლის ალად...  
თოვლი, თოვლი, ისევ თოვლი,  
დატრიალდა ქარბორბალა.

თარგმანი არჩილ სულაკაურისა



## ახალი ცხოვრების თავფურცელი

(ერთი კომუნისტური შრომის ბრძოლის ამბავი)

ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვია, ამბობენ, მაგრამ ნოდარ ნიკოლაძეს ამ დამით ძილი სათოდვედაც არ წაეკარა.

ერთხელ კიდევ მიხუტა თვალები. ამიოღ: ვერ იქნა და ვერაფრით ვერ ჩასთვლიდა.

ბორჯავდა ნოდარ ნიკოლაძე. გონებაში ათასნაირი აზრი ეტრიალებდა და თითქო სულში მოულოდნელად ამოვარდნილ გრიგალს გაეფანტა იგი. ამ აუტანელ სიჩუმეში საყუთარი გულის ბაგაბუვიც ცხადად ესმოდა.

ძილგატეხილმა ვაჟაკმა ფიქრებით დამძი... მებუღი თავი წამოსწია და ჩამწკრივებულ რკინის საწოლებს ამღვრეული თვალებით გადახედა. ამხანაგებზე მშვიდად და უშფოთველად ეძინათ. წამით თითქო მათი სიმშვიდეც შეშერდა.

ისევ მოიკრამა გონება და უძილობის მიზეზსაც ჩასწვდა: რაც საღამოს გახუთი წაიკათბა, სწორედ მას შემდეგ ძილი და მოსვენებაც ერთად დაეკარგა.

როგორ შეეძლო უძილობით მოთენილ ვაჟაკს ხელ მთელი დღე დაზვასთან დგომა! „ერთი მიანიც წამჩინებოდა, ერთი ბეწო, ერთი...“ — გულში მარცვლავდა ნოდარი.

ისევ მინახავს სულიერმა ტიღილმა წამოაგდო ფეხზე. კინაღამ ამხანაგებსაც დაუფრთხო ძილი, მუბლზე ღვარად ჩამოშლილი მოწამლისფერო თმა გადაივარცხნა, ვარეთ გაგიდა...

ვარეთ კი ნოემბრის მიწერულს ყინვანარევი, ცივი ღამე იდგა.

ირველივე საოცარი სიწყნარე სუფუფდა. თითქოს უველაფერი, სულიერი და უხელოც საამო ძილში განაბულიყო.

მიაყურადა... ირველივე გამეფებულმა სამარისებურმა სიჩუმემ შეაერთო და წამით შეაჩერა.

— ნუთუ ასე აღრეა? — ოღონე ხმამაღლა შევეკითხა ნოდარი საყუთარ თავს და გზა განაგრძო. ქარხნის ალაყაფის კარებთან შეჩერდა. სხვა დროს ხალხი დღეულისათვის აწუღებოდა ამ კარებს. საამქროებიდან კი ნაჩვევი ხმაური მოისმოდა. ახლა ნიაც რომ ნიაცია, ისაც კი არ იძებოდა. ამ ერთი კაცის ვარდა

ძე სულიერის ტაქანება არ იყო და ის ერთადერთიც — შეკარე, თავის საღარაჯოზე სულ ახლახან მოსულიყო.

შესასულივლიან ლანდივით მომდგარ უღროო სტუმარს ნაცნობი მუკარე გაეკირკვებით შეაკუქარდა, გაევირვებან თავისებური ხითხითი მოაყოლა:

— არ ვიძინია, ბიჭო, წუხელ? პი, პი, პი... ძან გამოთვეერი არა? ლოთიანად იქვიფე ხომ? ღმერთმა შეგარვოს, ბიძიკო, ღმერთმა დედის რძესავით შეგარვოს! — ისევ ჩიხიხითია მოხუცმა და ნოდარის აღმოღებული პირახზე შემპარეად კიდევ შეათვალიერა.

— რას ამბობ, ბიძიკო... — უხერხულად შეიმშუშნა ნოდარი.

— ამა, ეგ თვალები ასე რამ დაგიწითლა, ბიძიკო?

— თვალები — უაზროდ გაიშეორა ნოდარი, და ძალატენებრად თვალებში ხელი ამოისედა.

— რას იზამ, ბიძიკო, თავის ტკივილი ძველ ღვინოსაც ზევეია... შედი, შედი ქარხანაში, ალბათ ძველი დამკვერელი ოქნები — და შეკარემ ისევ ორბაროვნად ჩიხიხითია, ნოდარს გული ეტკინა, მაგრამ მობუტეს ყური არ ათხოვა და საამქროსკენ გასწია.

ნაცნობ საამქროშიც სიჩუმე და სიცივე დახვედა. აღრე იყო, მაგრამ აწი რას გააწყობდა. ადგა და მთელი საამქროს თვითველი კენჭული გულდაგულ შემოიარა. თვითველი დაზვანაცნობი იყო მისთვის, თვითველს თავისი სახელი ერქვა, თვითველი მთავარი აღამიანიც სახელომხვეჭელი იყო და საყუთარის ცხოვრება გაანდა. „ეს ტარიელ კუბარია... ეს კი რეზო სიხარულიძეა“. თვითველ დაზვასთან ჩერდებოდა ნოდარი და სახეს კმაყოფილებს შუჭი უნათებდა. ბოლოს კვლავ თავის საარნადე დაზვასთან აღმოჩნდა.

ახლა უღეუ ბსითივ შევეცაღა, უძილობაში განვლილ დრო ეგზომ განტარეველი როდი ეჩვენა. დაზვებთან საუბარმა განწყობილება დაუბრუნა და გაახალისა.

ფიქრებში საყუთო დრო გასულიყო. მალე საამქრო ისევ გამოცოცხლდა.

ნოდარ ნიკოლაძის თვალები ვიღაცას ვიფიცებოთ დაქვებდნენ, ლოდინი დიდხანს არ დასტორვევია, მალე ისიც გამოჩნდა.

— შედეა, გოგო, სად ხარ, ამდენ ხანს?

— გამარჯობა! — შშვიდად მიუგო სიცოცხლით სავსე შეთვალწარბა ქალიშვილმა და უჩვეულოდ ამჩატებულ ნოდარს მარჯვენა გაუწოდა.

— რა იყო ბიჭო, დაფიგვანე თუ?

— აბა, რა!

— შენ, ჩემო კარგო, წუხელ აქ ხომ არ გძინებო? — თავისებურად გადაიქისკა შედეა მკვდლიძემ და წასვლა დააპირა, მაგრამ ნოდარი მყისვე მხარში ამოუდგა, უნდოდა სათქმელი ახლავე ეთქვა, თუ რად არ ეძინა წუხელ, სამაქროში ასე ადრიადად რისთვის მოვიდა, მაგრამ ამ დროს განიერ სამაქროში ვიღაცის გაბმული ძახილი ვასმდა.

ისიც მეღვას უბნობდა.

ქალიშვილი ახლა იქითკენ შებრუნდა, სადაც ის ხმა მოისმა. საფეთქლებთან ჭაღარაშერეული, შვეგვრებანი და საშუალო ტანის კაცი სიცოცხლით უახლოვდებოდა.

ეს გიორგი კაქკაძეშვილი იყო.

მედიკოსის ქალს დაედოლი ჰქონდა: როცა გიორგი ასე ადრე მომხიშარე სხებით გამოჩნდებოდა, რაღაც ახალი ამბავი მოჰქონდა.

— შედეა...

— რა იყო, პატრეცემულო გიორგი, ახალს რას გვეტყვი, რას დაგვაცალებო? — სიტყვა ნაოთართვა ქალიშვილმა და გიორგის წინ ისე გამოიქიმა, როგორც თვაზბიან მოსწავლეს სწავეცა ზოლზე გამოცდილი მასწავლებლის წინაშე.

ნოდარს თითქოს ცნობისმოყვარეობამ ჩასჭიდა უჩინარი ხელები: „ნეტაე რას იტყვის ახალს ჩვენი გიორგი?!“.. გაიფიქრა მან.

— აბა, შენ იცი გოგო, შენ იცი! — ამოჩემდა გიორგიმ.

— რა არის, გიორგი, გვითხაროთ, რას გვალოდინებო! — ახლა უფრო სერიოზულად უთხრა შედეამ და წარბები ზვეით აზიდა.

— იი, რა... — გიორგიმ ჯერ ნოდარს გადახვდა, შემდეგ ისევე შედეას მიუბრუნდა, — არ წაგვითხავს თუ? გვაჯობებს, გოგო, გვაჯობებს! — თქვა და თბილად, აღერსიანად ჩახვდა ქალიშვილს შექვანი თვალბეჭში.

ნოდარ ნიკოლაძეს ერთი სული ჰქონდა, გაეგოს და მოესმინა ეს სიტყვა, რაც მას გულიდან ამოსვლოდა და ენის წვერზე მოსდგომოდა.

გიორგისაც ბებრი არ დაუყოვნებია:

— დაგვასწრეს, დიხ, დაგვასწრეს... ხომ წაიკითხე გუშინ საღამოს გაზეთში, რომ თბილისის ელმავალ-შენებელ ქარხანასა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კომუ-

ნისტრის შრომის ბრიგადები შეიქმნა? მერე არ იცი, ვის მიზანქს? ვის მიზანქს, და მოსკოვ-რიახანის რკინიგზის დეპოს კომპლექსორებს! შედეა გამტრებული იდგა სარაინდაე დაზვასთან.

ნოდარ ნიკოლაძემ ვერ მოითმინა:

— მეც მაგ ცნობამ არ მომასვენა წუხელ, ამ დილით კა... პატრეცემულო გიორგი თქვენ ჩემს გულს შეება მოკვარეთო! — თითქმის ჩურჩულით, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ნოდარი.

— გვაჯობებს, ნამდვილად გვაჯობებს, ბიძია გიორგი და მერე არ აკათხავთ რითო?

— პო, რითი გვაჯობებს? — ჩაეკითხა შედეა.

— იმითი, რომ დაგვასწრეს, დაგვასწრეს! — გულსტიკვილით ამოიგვინა ნოდარ ნიკოლაძემ და ისევე ფიქრებში ჩაიძირა.

ამ ფიქრებმა შეიპყრო იგი წუხელ, ამ ფიქრებმა სიხარულთან ერთად სიღარბებელიც გაუჩინეს მას. რაღაც ახალი იწყებოდა მის ცხოვრებაში, მაგრამ ეს ახალი უბრალოდ, ერთი ხელის დაკერით როდი იწყებდა სიცოცხლეს, მის დაზადებებს თავისებური ტკვილიც ახლდა. უბრალო თავმოყვარეობის მიზეზი როდი იყო ეს გრძნობა: არამ თითქოს და ახალგაზრდა კაცის ჯერაც დამაპრებელ სისხლში ამ ქარხნის ძველი გვარდიის სისხლი შემოპრილიყო და სწორედ ეს სისხლი ჰქეფდა ასე ძალღმად და მას, წინ, ახალი პორიზონტებისაკენ ეწეოდა.

მოსკოვში, რკინიგზის მხარისებულ დეპოში, სხაე დიმა ლენინმა პირველი შაბათობა მოაწყო, ახლა სწორედ აქ ჩამოყვალბე-ბათ კომუნისტრის შრომის ბრიგადა.

ნოდარს ეს ბუნებრივად შიანდა.

ხოლო საქართველოში, სწორედ ამ ქარხანაში, სადაც რევოლუციის აჯანი პირველად დაიარწა ამიერკავკასიაში, სადაც სტალინის, კალინინის, გორკისა და სხვა რევოლუციონერთა ფეხის ნაკვალევი ახლაც ატყვას მიწას, აქ უნდა შექმნილიყო პირველი კომუნისტრის შრომის ბრიგადება მოსკოვის შემდეგ.

ასე ფიქრობდა ნოდარი.

იი, ახლა მის წინ შედეა და გიორგია. გიორგიც, ამ ქარხნის ძველი მუშაკი ხომ სწორედ ამ აზრის ვასანდობლად მოვიდა ასე ადრე ქარხანაში? რა ვუყოთ, რომ ნოდარიც ამავე აზრით გამსვენდელი დახვდა? პირიქით, ბედნიერი დამხვევაა! „აბა, შენ იცი, ნოდარ, აბა, შენ იცი, შედეა, ჩაკიდეთ ხელი ახალგაზრდებს, შეარჩიეთ მათგან საუცუეთესობი, არ შეარცხვინოთ სახელოვანი წინაპრებო!“..

იი, ეს აზრი და გულბთქმა ამოიკითხებოდა გიორგის სახეზე. გიორგი მალე მომორდა მთ და სხვა სამაქრობისაკენ წავიდა.

ამჯერად დაზვასთან როდი მივიდა ნოდარი.



— იგი მედვასთან ერთად იმ კაბინეტში შევიდა, სადაც კომკავშირის ორგანიზაციის საბუთები ინახებოდა.

მედვამ უსიტყვოდ ამოიღო უჯრიდან სია და კალმისტარს მისწვდა.

წამით კვლავ გაეცხვრა ნოდარის თვალწინ ჩამწკრივებულნი დაზგები.

— ჩაწერე... ტარიელ კუბაბრია, კარგი ბიჭია, ხომ?

— გვემას ორას ორმოცი პროცენტით ასრულებს, — ღიმილით დაუდასტურა მედვამ.

— რეზო სიხარულიძე, კარგი ბიჭია, ხომ?

— ღმერთოვით ბიჭია, გვემას ორასი პროცენტით ანაღლებს!

— ელვარდ გეორგიანი, კარგი ბიჭია, ხომ? შავ შერევენებული ორასორმოცდაათ პროცენტითაინი.

— კერდ-ოღლი, კარგია, ხომ?

— გვემას ასოთხმოცი პროცენტით ასრულებს.

— ელიქ შერაღიანი ხომ კარგი ვინმეა?

— გვემას ასოთხმოცი პროცენტით ასრულებს.

— ოთარ ნიკოლაძე ხომ კარგი ბიჭია?

— გეოგია მოგვარეს, გვემას ასოთხმოცდახუთი პროცენტით ასრულებს.

— თუ მკობნის, ისიც ჩაწერე, ნახშირღელელები გახლავართ! — ამაყად განაცხადა ნოდარმა.

მედვა წამოდგა. ნოდარს ხელში კალამი შეაჩქაჩა.

— ჩაწერე! — თითქო ბრძანა მან.

— ენ, ვოგო...

— ნოდარ ნიკოლაძე... კარგი ბიჭია, ხომ? — ოღნავ შეაყოვნა მედვამ.

— არც იმდენი, მაგრამ რაბან შენ გინდა, ვაბულსა ვარ, ვასრულებ შენს ბრძანებას, გვემას ორასორმოცდაათი პროცენტით ასრულებს, ჯვრილსა და რიონის პირას ვაზრდნილი ბიჭია და... არც შევარცხვენთ შავ პირაღლი.

ამ სიტყვებზე გულიანად გაიცივნეს, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და გულში საოცარი სითბო ჩაუღვარათ.

მედვა ერთი წამით გაიბრუნა. ემზიანი თვალები მიიღო.

— ერთი რამ გვეყლია, ბიჭო!

— შენ, ვოგო, შენებურს, უცნურს იტყვი აბა, მაინც რა გვაქლია?

— რა, და... თავი.

— თავი? კუთა? — და ნოდარმა დაუფიქრებლად თავში წაიფლო ხელი.

— ჰო, თავი...

— თავი რაა, შე წყველი?

— თავი-თავია, სხვანაირად მეთაური, წამყვანი, წინამძღოლი!

— ჩვენებურად თქვი, ბრიგადირი-თქო.

— ჰო, ბრიგადირი. ბრიგადირი — ნოდარ ნიკოლაძე!

— ეს ჩვენი საქმე არ არის, ვისაც ბიჭები აირჩევენ, ის იქნება ჩვენი ბრიგადირიც და უსტაბამიც. — სატყვა მოუტრა ნოდარმა.



ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, საქვაბო საამქროს ყოფილმა მუშამ ელგუჯა სახეაძემ ახალგაზრდებს წინადადება მოუწონა. ცოტა ხანში ყველა სტილინის ცნობილ ოთახში შეიკრიბა.

კომიტეტის მდივანთან ერთად ვალდებულებების შეტლები ჩამოაყალიბეს.

პირველი ნოდარ ნიკოლაძე წამოდგა.

— ჩვენ ვალდებულებას ვცისრულობთ, შეიღწეული ხუთ წელსა და რვა თვეში შევასრულოთ, ზოლო შრაიმის ნაყოფიერება ორმოცდაათი პროცენტით გავზარდოთ!

— თვიური დავალება კი ასოთხმოცი პროცენტით გავანაღლოთ! — დაუმატა რეზო სიხარულიძემ.

— საშუალო სკოლის ხუთ მოსწავლეს ერთ წელში შევასრულოთ ხარატის ხელობა! — წინადადება შეიტანა ელიქ შერაღიანმა.

— ცვლას უყოველიერი დავალება შეიღ საათში შევასრულოთ, ზოლო ის ერთი საათი ჩამორჩენილ ამხანაგებს წავაშაროთ! — ვალში არ დარჩა ელვარდ გეორგიანი.

— ბრიგადის თვითმუღამი წევრმა ამ ხნის განმავლობაში, საშუალო განათლება მიიღოს, ზოგმა კი — უმაღლესი! — დინჯად წარმოთქვა ოთარ ნიკოლაძემ.

— ოცდამეერთე ურილობისათვის სამი რაციონალიზატორული წინადადება შემოვიტანოთ, — გაბედულად წამომართა კერდ-ოღლი.

— ყოფა-ცხოვრებაში და საზოგადოებაში სანიმუშონი ვიყოთ! — ამაყად განაცხადა ტარიელ კუბაბრიამ.

— შევარცხვენთ ვიწყვეთ როსტოვის ორთქლმავალშემკეთებელ ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივს! — დასცენა ისევ ნოდარ ნიკოლაძემ, და მერე ელგუჯას მიუბრუნდა.

ელგუჯა კი ფეხზე იდგა და ღიმილს ვერ იკავებდა.

ბრიგადის წევრებმა ნაეისრი ვალდებულებები ერთხმად მიიღეს.

ამხანაგების საერთო ობრი ნოდარმა გამოთქვა.

— ჩვენი ქარხანა დიდი წარსულის შქონე საწარმოა, ჩვენს მამა-პაპებს აქ უღვრიით სისხლი და ოღლი. აბა ეს ქარხანა ჩვენი სისხლი და ზორცია, ჩვენი სიცოცხლეა. ამ საწარმოს არცერთ ხუთწლეულში არ შეუტყბ.

ვენი ჩვენი სამშობლო, ეს თქვენც კარგად იცით. მოდით, დაედოთ კომპაგმირული ფიცი, რომ არც ამ შეიღწეულში არ შევიტყუვებით ჩვენი წინაპრების სახელს! ვეღვა ერთი-სათვის და ერთი ყველასათვის, ამხანაგებო!

— კარგია!

— დიდებულა!

— უოჩა, ნოდარ — შესძახეს ნოდარს აქეთ-იქიდან.

ერთხმად გადაწყვიტა: ვალდებულება ასოთხმოცო პროცენტით შეესრულებინათ, ხოლო შეიღწეული — ხუთ წელსა და რვა თვეში.

— ბიჭებო! — წამოდგა ელგუჯა სახაბე. ახალგაზრდებს მცდელი თვალებით გადახედა. ერთი წუთის წინათ თუ იმდენი ღიმილი ჰქონდა სახებზე, იგი თითქოს ასე უცებ გაქურა, ძალზე სერიოზული გამოხატულებები მიიღო და მტკიცე ხმით განაცხაო:

— რაც აქ მოვსმინე, პირდაპირ ვასაოცარი, ძალიან კარგია, მოკლედ, ჩვენებურია, ახალგაზრდული, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— დამაყა ნოდარ, პირდაპირ ნუ მცდეხ სიტყვას, პო, მისასაღმებელია, კომპაგმირული-მეთქი, მაგრამ...

ერთობოდა ბიჭები ამდენ „მაგრამს“ ვერ აგადაიტანდნენ და ელგუჯამაც პირდაპირ და მოკლედ თქვა ამჯობინა:

— რადგან არ მალეობთ, მაშინ გეტყვით: კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის მარტო განცხადება და ვალდებულებების მიღება არ კმარა, საჭიროა ბრძოლა, თქვენც ნუ დაიშურებთ ძალღონეს, რომ კვი და ეკვაკური ვარჯით მოამოვით ეგ საპატრიო წოდება. როცა ასე მწყაობთ იშრომებთ, მაშინ თქვენს ნაბეღებს კბილს გაუეზიხავთ და თუ კი ღირსნი აღმოჩნდებით, მაგ წოდებასაც მოგანიჭებთ.

ელგუჯას სიტყვამ, თითქოს გახურებულ სხეულზე ცივი წყალი გადაასხესო, — ყველას გული ატყინა. ზოგი ჩემად და ზოგი ამჟამა წეროვით აღაპარაკდა:

— რად მოგვიადინეთ...

— ამისათვის გვეძახოდით?!

— არ გვირდა ან დღეს დაგვამტკიცეთ ან და არასოდეს!

ნოდარიც ერთხანს გაოგნებული იდგა და ელგუჯას სიტყვები უფრო ფტარის ზეზუნდით ჩაეშლიდა. მერე გონებასა და თვალში მომდგარი ბურუსი თანდათან გაეფანტა და ნათელმა აზრმა გაუელვა: „გვიან მივხვდი“ ვაიფლო მან და მისმა ხმამ შეჩინოვებული ახალგაზრდები ადგილებზევე შეაჩერა.

— სად მიხვალთ, ბიჭებო, ხომ არ ვაგვიდით, დაჯვრით მანდი! — შესძახა ნოდარმა და ბრიგადის წევრებს ანთებული თვალები მოა-

ლო — რას გეტყვით, იცი? — ასლა უფრო დაუფრავა ნოდარმა — პირველად მეც თქვენსათვის გული მომივიდა, მაგრამ რომ დავფიქრადი, ჩემთვის ვთქვი გულში, ელგუჯა მართალი-მეთქი.

— რატო, მართალია? შენც ასე ფიქრობ, ნოდარ?!

— კი, ასეა, ასე ვფიქრობ, რეზო, ელგუჯა მართალია, ჯერ რა გაუაკეთეთ, რომ წოდების მინიჭება დღესვე მოგიხსოვოთ? დავებოთ ჩვენებურად, კომპაგმირულად ვიმშობით, აი, ისე, ჩვენ რომ ეციოთ ზოგჯერ და აღამაინებას გეფიქრებთ, რომ სულ მალე ამ ოთახშივე მივიღებთ იმ საამაყო წოდებას. ასე არ არის, ბიჭებო? — ბრიგადის თვითველ წევრს სათითაოდ ჩაეციხება ნოდარი.

— თუ ასეა, მოდი და შენ თვითონ გვიჩვენებ! — გაისმა წინა რიგში და მას მთელი კოლეგებიც ერთად შეერტოდა.

ბრიგადის წევრთა თვალეში ჩამდგარმა რწმუნის შექმა გამაზნევა ნოდარი. შევებით ამოსიუნთქა ენაიპოვნა, რომ ბიჭებმა დაუჯერეს.

მორიგი შრომადღე ძალაში შედიოდა.

ახალგაზრდები იგვეგნებულ საამქროში დახვებთან იდგნენ.

თავის დაზგას მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა ბრიგადარი.

ახალი, ჯერაც უჩვეული თავფურცელი იშლებოდა ნოდარ ნიკოლაძის ცხოვრებაში.



იმ დღეს საამქროდან გვიან გამოვიდა ნოდარი. ახლად შექმნილ ბრიგადაზე იმდენი ეფიქრა, ეგონა აწი მაინც მოისვენებდა.

აგრე როდი მოხდა. გულში ერთხელ შეპარული დარდი, კიდევ უფრო გაიზარდა. თავში ახალახალი კითხვები დომბალივით აერია. ჯერ ერთი ვერ გადაეწყვიტა და, მეორეს — შესაძებ მოჰყვებოდა და გულის სიღრმეში მკვიდრდებოდა: „როგორ მოიპოვებს შენი ბრიგადა იმ საამაყო წოდებას? „რა ხერხს გამოიყენებს?“... „რა უნდა იღონო?“... მოდიოდნენ ეს გაუწყვეტელი აზრები, კვლავ ეფიქრა, ეგონა აწი მაინც მოისვენებდა.

ნოდარმა უოველი წერილმანი, როგორც იტყვიან ზუსტად, აფთოაქის სასწოროზე ასწონდასწონა და ერთი შეხებევით ეს სიძნელე გადაულაბავდაც ეჩვენა. ეს აღამ და ევას დროინდელი მანქანები საიმედოს ვერაფერს პირადობდნენ ხელს მოსამართავად ნოდარს და გონებაში იდუმალი შინა იყოიდება უყხს.

„აბა, ერთი ავტომობილა და ელექტროტანკინია იყოს დანერგილი ამ წარმოებაში? კომუნისტური შრომის ხომ ასეთი ტექნიკა სჭირ-

დება, იგი ხომ ძველებურად მხოლოდ მკლავის ძალაზე ვერ იჭნება დაყრდნობილი? ახლა ხომ მკლავის ძალა დამხმარე საშუალებაა და არა მთავარი. ზემო საიმპრო კი... ვამ, როგორ უნდა მოიქცეს!

რა ექნა, რომელი „დემერთისათვის“ მოეხმო ციდან, რომ ბოლში გარეჯულ, აქლემის ზურგივით ამობურთულ მის სარანდავ დაზვას ამ გასაქურში ექმო?

ეს უცანასკნელი კიბზე ამოუწერავე დარჩა ნოდარს და ამასობაში კიდევ ირიგრავა.

ესეუ შენი მეორე ღამე ეს ღამეც ფიქრში გალია და ქარხნის ალუაფის კარებს ისევ თვალუბგაწითლებული მიაჯგა.

ახლა იმ შეკრამ რიდი გაიკვირვა და როდი ჰკითხა ნოდარს, ასე ადრე ლოგინიდან რამ ავადდოა, ვხა მამინევე დაუცალა, ხოლო ცოტა რომ გაშორდა, სულმა მინიც არ მოუთმინა და მიაბახა:

— ძაან თუ გინდა, ბიჭო, შედი კოლექტივში შედო, გეტყობა, მართლა ძველი დამკერავი ყოფილხარ!

როგორ ვახებარდა ვაჟკაცს, როცა მისი ბრიგადის წევრები უკლებლად საიმპროში დახვდა. მათ ტანსამოსის გამოცვლაც მოეხსროთ.

ნოდარი დაზვის წინ ჯარისკაცულად გასწორდა. ჯარიდან გამოყოლილი წრთობა უფროდ ემჩნეოდა. ხაში წელი ხომ იქ დაეყო. გასწორდა და რამდენიმე ნაბიჯით კედლისკენ და... ახა. ხელი ხელს შემოაკრა და ტაშის ხმაი საიმპროს ბოლოში მდგარი ტარიელ კუბაჩა დაკრულავით ერთ ადგილას გააქეცა. ტაშის კოდე ტაში მოპვეა და მის წინ ახალგაზრდები ჩამწკრივდნენ.

დაღის ხუთწუთიანი, გამამხნევებელი ვარჯიში დამთავრდა. მალე ყველანი დახვედნენ მიღწენ.

იმ დღეს რიტმული, ცოცხალი მუშაობა გაჩაღდა. ბრიგადის თვითველი წევრი: ხარატი, მლესაი, შრანდავი და ჩამტები ურთიერთ შეჯიბრებაში ჩაება.

უხვეულო გზგუნმა მოიცივა საიმპრო.

შველ მუშებს გულში საამაყით ევსებოდათ, ამოვიდა ახალი ცეცხა, ახალი თაობა, ახალი... მტკეველებდნენ მათი თვალები, თითქმის მათი მხარეზრდობა შემურდათო, წაით სვედის ჩრდილი მოვფენათ.

როგორც დემი-სეარტხელში აბრეშუმის ქსოვილი, ისე მისრიალებდა და მოსრიალებდა სარანდავში კორძიანი და უსწორმასწორო დეტალი. შედიოდა წივილი, სტევენით, ამარხუნეი, ტანში ერთნატილის მომგერავი ძგრალოლი და აღმრდებელი ნაპერწყლები ცვიოდა.

ნოდარი ლათონის ამ ვიშვიშს თვალს არ ამორებდა, სარანდავის ყბებსა და მარწყუხაში მოქცეულ რკინას, რომელსაც იგი „სტრუბ“

კას“ ეძახდა, ხელს აქერდა. შედიოდა შიგ რკინის ეს გაუთლელი, უფორმო „სხვეულ“ და დიდი წესის და დაგვის შემდგენელი დამავით ეფექტებოდა, საახალწლო ჩინილკის მზგავსი ვერცხლისფერად ამქრიალებული ბურთულა გადმოდიოდა.

მერე ეს გარანდული, სახედამშენებელი, ფორმანი მოყვანილი დეტალი ორთქლმავლის რომელიღაც რგოლში ისე ჩაჯდებოდა, როგორც ოქროს ბეჭედში აღმისის თვალთ.

მკლავი, თვალი, წეალი, მუხლები, ვონება და ბეჭები, ყვლაფერი, რაც აღმანიის ორგანიზმში გარკვეულ დანიშნულებას ასრულებს, ნოდარს სხეულში ზამზარათით დაამთავრეო. მერე ეს ცოცხალი, ხორცმეხსმული და სისხლსაქურ ზამზარათს თვალთ ასრუბი, შექმოსილ სხივებით ქცეულნი, ერთ ადგილს ერტობოდა. ამ ასრუბის არეში მოქცეული, ცეცხლმოდებელი რკინის ვრძელი ნაჭერი იქიდან ისე ვარდებოდა, როგორც მხარბავშილი მუხიდან ერთი გოლიათური დარტყმით. მოყვითილი ტოტა.

კიდევ ახალი დეტალი კიდევ ახალი! და სულ მოკლე ხანში ნოდარის დაზვის წინ „სტრუბების“ მთელი გორა აღიმართა.

უცებ რაღაცამ ცეცხლ იწიელა, ნოდარი სმენად იქცა. დააკვირდა და მახვდა, რომ საღლაე მანქანას გაუქორდა. აღმანიებით შეებრავა. მთელის მყერდით ვადაფფარა დაზვას. რომელიღაც ხელსაწყო მოიშველია, „მუშურნა“ და დამზინებული ნაწილი ელემტროდენის გამოორთველად გასწორა. ზეთი ჩაუსხა და ჩააბურა. „ძველია“ გაკრა გონებაში და ახალ ტექნიკაზე ოცნებამ კვლავ გაიტაცა.

ისევ ვასრიალდა სარანდავის ხაზში მოქცეული რკინა, ვასრიალდა, მაგრამ ახლა წივილი კი არა, რალე სასიამოვნო ზუზუნი მოისმა, სწორედ ისეთი, როგორც ეს ფუტკარი იცოა, როცა ტყისპირად გავილდ უვალილ შიგ ბუტკოში ჩაფრინდებდა და ნექტარს ამოსწყწინის. აღბათ ის ზეთიც თაფლივით შეერგო ვაურანდავ რკინას; მართალია, ნოდარს ამ ვანვ მოდებულ რკინებთან ჰქონდა საქმე, მაგრამ იგი ისე იზიდავდა და ითრედა თავისებური პრაცესის სტიქიაში, თითქმის ცოცხალ ასრუბათ ქცეული თაფლ გასაპირის უმხელა, შველას თხოვდა, გელისტკივილს უზიარებდა, მუწუკებივით ამოხორკილი ზედამირისავან გაუფთავებებს და გამშვენიერებს თხოვდა. ნოდარიც გულჩვილობას იჩენდა: ასუფთავებდა: სახესა და ფორმაც აძლევდა.

ნოდარი უფრო ღრმად და შინაარსიანად იჭრებოდა ლათონის სტიქიაში, ესმოდა მისი ენა, მისი ხსითით, და ეს უტუვი, უსულო რკინებიც ისეთივე ჩავსაყდელს ჰპოულობდნენ

მის გულში, როგორც გაბაფხულზე გაღვიძებულ ბუნება.

ნოდარმა თავის სარანდაეს კარგა მოზრდილი ლექსა ჩაუდო და დენი ჩართო. აწივლდა, ასინინდა რკინა. თვითონ სამჭაროდ ამხანაგებობს. ექნ გაემართა. ყველას ჩამოუარა, მათ ნახელავს თვალს შეეყო, გაამხნევა, გულშია და თავის დაზვას დაუბრუნდა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერც კი დაიჯერებდა კაცი, მართლა მიატოვა დაზვა თუ არა.



ნოდარს ერთი სული ჰქონდა, მალე მიეცათ საყვარი. განა იმბრომ, რომ დაიღალა, არა, ძალიან უნდოდა ამხანაგების ნახელავი ენახა მათთვისაც ჩაებედა ანთებულ თვალღებში. ძმაღ შეფიცული ვეკაცების გულისნაღები ამოეცნო და ამოეკოთხა. გაეგო, როგორ განიცდიდნ ისინი ახლებური შრომის ამ პირველ დღეს.

თვითონ კი თითქოს სულ გამოიცივალა. მთელი დღე სარანდაე დაზვას ეკვიბრებოდა თუ პირუტყვ, ვინ გაიგებდა? განა აქამდე არავის შესჯობრებია, მაგრამ დღევანდელი საქმიანობა წინანდელს სრულებით არ ჰგავდა.

ამბობენ ფიქრი აღამიანის თანამგზავრიაო. მართლაც საღ არ წაიფვანს იგი აღამიანს? გამოცდილი მეგზურავით მოეხსა და ეიწროებში, ქარაფებსა და ბილიკებზე გაჯაატარებს.

ასეთია ფიქრები...

ასე აღამართოდა ახლა ნოდარს. ფიქრები წინ უსწრებდა და ნოდარიც ფრთაშესხმული უკან მისდევდა, თუმცა ფიზიკურად თავის სარანდაეთან იდგა. ძნელი იყო ასეთ წუთებში ფიქრებზე აყოლა. ახლა მის წინ სარანდაევი დაზვა ჰგრიანდებდა და მასი ყურადღებაც ერთ წერტილს დასტრიალებდა, — საქრისის სწორად ამოეყვება დეტალის თვალში

სწორად ამ დროს ხელის შეხებასთან ერთად ქალური სიბზო და სინაზეც იგრძნო, მაგრამ როდღ შეინძრა, მისი თვალთა ისრები და გონება აღმოდებულ ნაპერწყამებს იგარიებდნენ.

— ნოდარ, დაურუდევი, ბიჭო! — ჩაესმა ყურში.

ვეკაცმა არც ახლა მოიხედა. უცერად საყვირის ხმა მოისმა და ნოდარს გულზე მოეშვა. შემოზრუნდა, მის წინ შეეღია მკვედლიძე იდგა.

— ბიჭო, რკინა ხარ, ხელის შეხებას რომ ვერ გრძნობ?

— შენი ხელი რკინასაც გაათბობს და ქვასაც აადღებებს, მაგრამ...

— დაიღუბე აქედან.

ლაპარაკი არ გაუბზამთ, ყველაფერი უზმოდ ითქვა.

პირველად ისინი რებო სიხარულითა დაზვას მიუახლოვდნენ. რებოს ნოდარზე უფრო ემარჯვა. საქანკვიე რკინების მატარა გორაკი დახეხვებინა.

აი, ტარიელი გამოინდა და მას ტანის ზეეული, დინჯი რბევიე ითარ ნეკოლიძე მოჰყვა. შევევრქანა, თმადაბურდული, ოცდა ორი წლის ჰაბუეკი ეღუარდ გეორგინიცი აქაა. მისი დაზვა, რებოს დაზვის წინაა გამართული. ხელმარცხნიე კი კალინინის დაზვაა.

მიხილ კალინინი 1900 წელს ამ ისტორიულ ქარხნის სახარატო დაზვაზე მოეშობდა. დაზვის პირდაპირ კედელზე მიხვილის სურათი ჰკიდია. სურათს აბრეშუმის წითელი ნაჭერი აქვს შემოვლებული. ყოველ დღით ნოდარის ბრიგადის წევრები ამ სურათთან იყრიან თავს, ხელს აეღებენ მისგან ათასჯერ ხელშეწავლებ დაზვას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მოეშობას.

მართალია, ახლა დღია არ იყო, მაგრამ ნოდარი მინცი მივიღა იმ დაზვასთან. მერე კალინინის სურათს ახედა, ახედა და კედელზე ერთხელ შეიგრძნო რუსი აღამიანის კეთილი გული, დიდებული ბუნება. თითქოს მისი გულას ფიქვკაც შემოესმა, ამხანაგებისაკენ მიბრუნებულს სახელოვანი აღამიანის წერილი, მკეიანი თვალღები არ შორდებოდა.

ყველანი მასთან იყვნენ.

ეს თავშეუბრა საესებით არ გაედა გუშინდელი.

ტარიელი უცებ მხრებში სწვდა ნოდარს, მას სხეებზე წაეშველნენ და ნოდარი წუთით მიწას მოსწყვიტეს.

— რას შერებოთ, ბიჭებო, გეყოფათ... — მაგრამ ისინი ნოდარის შეღარას აინუნშიაც არ აგლებდნენ.

მთელი სამჭრო შემოატარეს და ისეე ფებზე დააყენეს.

ასე ზეიმობდნენ ბიჭები შრომის კარგ დასაწყისს.

ძველი მოეშებიც მოსულიყვნენ.

ყველაზე უფრო მეტად მექი მამაგეიშეილი ზარობდა.

იგი ნელა, ნელა მიუახლოვდა ახლაგარდებს და მალაღ, წარმოსაღეგი ტანით, აღვისხესიყით თავზე წამოაღდა, მერე ყველას საითთიდ ხელი ჩამოართვა და ამდლიანდელი ვამარჯვება გულით მოულოცა.

მექი მამაგეიშეილი, რომელსაც ოცდაათი წელი დეაყოს ამ ქარხანაში, ახლა ამ ბიჭების შემხედვარეს თავი თვითონაც ეეეულად წარმოეღინა. შიგადაშიგ მათს ბედსაც ნატრულობდა. მექის გულისნაღები ბიჭებსაც ამოეცნოთ და აღლაღ ულიმოდნენ.

— თქვენი პირივე, ბიჭებო!...

— ბიძაა მექის სიცოცხლე! — ყველას მაგვირად მიუგო ნოდარმა.

— ნეტავი თქვენი თავი მყოლოდა მალაქის მინდერებში! — ინატრა მექიმ და თავისი სოფელი გაიხსენა, რომელსაც სამი ათეული წლის წინათ ამ საამქროსავით ევლებოდა თავს.

— რას გვიზამდი, ბიძა მექი მალაქში?  
— მალაქური ნესეთა და საზამთროთი გაგვიმასპინძლებოდა, რეზო, — იხუმრა ოთარ ნიკოლაძემ.

— რას და იმდენს გათხოხინებდით სიმინდს, იმდენს, რომ თვითონვე შემხვეწებოდით, ე, ბიჭო, ერთი მაინც ჩაგვაძუბელეთ... არა, ბიჭებო, მართლა კი არ გაგივირვებდით, პატრისაც სანაქების გეყმდით, სალამოს ხონის გზაზე გამოგიყვანდით და პირტახიას დუქანში თითოთითო ბოთლ ღვინოს ჩამოგისხამდით და მეგრე ისე დღევლივით ლკერს, რომ მიწას ფეხს არ დააკარებდით, პო პო, რა სერიი იქნებოდა?! — და მექი ისე გასწორდა წელში, თითქოს მართლა ცეცხლი ამარებდა.

— ასე, ასე, ბიძა მექი — და რეზო სიხარულითმაც ისე ლაღად გაუსვია ფეხები, თითქოს ცეცხლივთარებელი ჩექმები კი არა, აფხაზური საცეცხები სცემოდა.

საერთო მზარულება მალე დამთავრდა. ყველანი სასურველად გააკრიფდნენ.

სალამოს, როცა სამუშაო საათი მიიწურა, საამქროს ინჟინერმა, ოსტატმა, მედეამ და ნოღარმა დღური დაეაღება შეამოწმეს.

გეგმა სამხატვრო შეესრულებინათ ახალგაზრდებს.

— კი გქონიათ, ბიჭებო, საჭმე საცეცხაო! — ემყოფილებით წარმოთხატა მექიმ.

ნოღარის დაძახილზე ბიჭები კალინინის დაზვის წინ ჩამწყრიდნენ.

საამქროში სიბრუნე გამოეფლა.

— არის, ამხანაგებო, სამასი პროცენტი — მოკლედ მოსჭრა ბრიგადირმა და მის ხმას მთელი საამქრო ახეცა.

— ესეც შენი პირველი დღე — ხმამალა წარმოთქვა მექი მამაგიევილმა და ახალგაზრდებს ისე აედევნა, თითქოს იმისი ჭაბუკი ყოფილიყო.



დღე ბოლო ეღუჯა სახეიამე ქარხნის კომპაგნიის კომიტეტში, ცეცხლამდე საკარის თაროდან მოზრდილი. ერთნაღვი ვადმოიღო. სათურს დახედა და ხმამალა წაიკითხა: „სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონმემკეთებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ახალგაზრდული ბრიგადები“, პირველი თავფურცლის პირველ გვერდზე ნაქნობი სტრუქტურები გაბრწყინდა: „ნოღარ ნიკოლაძის ბრიგადა“, კალმისტარი მოიმარჯვა და იმსეეტში მოწიფებით ჩაწერა: „ბრიგადამ ცელის პირვე-

ლი დღის დაეაღება სამასი პროცენტით შეასრულა“.

მერე წამოდგა, ვიწრო და გრძელ კაბინეტში გაიარ გამოთარა. უნდოდა ვინმეს გასაუბრებოდა, მაგრამ კომიტეტში არაინ იყო. ეს ცნობაც ხომ მას ტელეფონით შეატყობინეს!

— ყოჩაღ, ნოღარი — წამოიძახა ელგუჯამ და ეზოში გამოვიდა, ნოღარის ამხანაგებს მოპკრა თვალი, მათ ნოღარი მოუძლოდა წინ.

ელგუჯა მათვე გაეშურა.

— ივარგეთ, ბიჭებო, არა?

— აბა, რა გეგონა, შენ რომ წოდების მონიჭება დაგვენა ჩვენთვის? — ხუმრობით შეაგება ნოღარმა და ვარს მოკაართულ ბიჭებს ნაშალადვეი სამაყით გადახედა.

— წოდება რომ გუშინ მიგელოთ, ალბათ დღეს სამასი პროცენტი არ იქნებოდა, — ხუმრობს ხუმრობითვე უპასუხა ელგუჯამ — ისე, პატრისცემმა კი გვეუთვნით, ბიჭებო!

— პატრისცემამ ჩვენზე იყოს, მე ვიხდი, შენც წამოდი.

— საღ?

— რუსთაველის თეატრში „არაგველები“ უნდა ენახოთ.

— სამასი პროცენტი სამასი არაგველები, მართლაც რომ ინიებელია, ბიჭებო!

— წამოდი, ელგუჯა?

— გთხოვთ...

— გთხოვთ, გთხოვთ! — სხვებიც აყვანენ ნოღარს.

— ეეხ! რაღა მინცაღამინც დღეს დაემთხვა რაიკომის ბიუროს სხდომა? — სინანულთ თავი ვაქწინა ელგუჯამ და ბიჭებმა აშკარად შეაშინეს, თუ როგორ შეწუხდა იგი.

— მამინ ჩვენი გადავდებთ...

— სხვა დროს დავეწერებთ! — გაისმა კანტაქენტილ ელგუჯამ ახალგაზრდებს თავისებურად, ალალი გულით გაუღიმა.

— არა, ბიჭებო, ასეთი კარგი კოლექტივის გადაწვეტილებას მე განწყობილებას ვერ წაუხდენ, წადით, დაესწარიეთ.

— რადგან ასეა, სხვა რა გზა გვაქვს, წაიდეთ! — გადახედა ნოღარმა ამხანაგებს და ძინიცი თავიანთ გზას გაუდგინა.

...ორი საათის შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის პარტეტში ისხდნენ. სცენაზე დატრიალებულმა ტრაგედია მიიპყრო მათი ყურადღება. გული აუძგერდათ, თითქოს თვითონაც იმ უბედურების შეაგულში იყვნენ. იი, ვაჟაყვამმა ხმლები იმომვლეს, სისხლისაგან დადილები, სამშობლოს მიწა-წყალს საყურთარი მყარდით იცავენ. ბიჭებს კუნთები დაჟაბათ და მუშტები თავისთავად შეეკრათ. ამ დროს მამიდე ჩამოეცრა ფარა და მათე-



რებლებსაც გულზე თითქოს ცოტათი მოეშვათ.

„ეს ხომ წინათ იყო?“

„უსხოვარ დროში...“

„საქართველოს ძნელდებობისას...“ იმერ-რებდენი გულში და აბლაბან სტენაზე განცდილი სანახაობის ტყვეობისაგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულიყვნენ.

საუქტაელო დამთავრდა... სანაპიროთი გამოვლენენ.

მტკერის ბეტონის მოაჯირთან შეჩერდნენ და მხელია მტკვარს ჩააქტერდნენ.

დღემილი ნოდარმა დაარღვია.

— აი, ნამდვილი, ვაჟაკები!

— დიას, ნამდვილი, — დაუდასტურა ედუარდ გეორქიანიმაც.

— ჩვენ კი?

— ჩვენ კი სულსხვა ვიქცაეობა გეშართებს, ჩემო რეზო.

— მაინც რაგორი? — გამოეპასუხა ოთარ ნიკოლაძე ნოდარს.

— რაგორც ჩადუნელისა და ძამაშვილისა... ჩვენი ბრძოლიც ველი ქარხანაა, ხოლო ქვეშეხები საამქროში ჩამწყრივებული დაზღუბია, ხმლები — ჩვენი შკლავები, ეს ჩვენი მარჯვენა.

და ნოდარმა ისე გაშალა შკლავები, თითქოს ვინმეზე მართლა მიიწყებდა.

ედუარდმა გამოწყვილილ შკლავებში ხელი ჩაავლო ნოდარს, ღონიერად დასწია ძირს, მაგრამ ძერა რომ ვერ უყო, ტარიელი წაეშველა, მაინც რომ ვერ შეარყიეს ნოდარი, მაშინ ოთარიც ჩაეჭიდა.

— კარგი, გეუფათ ხუმრობა, ვინმეს ჩხუბი არ ეგონოს, თქვე შეჩვენებულუმო.



ზუსტი საზომების ლაბორატორიაში, სადაც მეღვა მჭედლიაქ შემოწმებულად მუშაობდა, შეხვეწებისას ნოდარის ბრიგადის წევრებს მოეყარათ თავი. ბრიგადის შექმნის შემდეგ ნოდარის შესვენებისას თავშეყრა წესად შემივლო: ზოგჯერ ახალი ეტრნალ-გაზეთების კიბებს უსმენდნენ, ხანაც კოლექტიურად ნინას ახალ სპექტაკლზე დაობდნენ.

აღლესაც, წინააღმდეგ თეატრში ნინას სპექტაკლს შესახებ უნდა გამოეთქეთ აზრი და ის იყო ტარიელ ჭეშაბრიას სიტყვა უნდა დაეწყო, რომ ლაბორატორიაში თდნავ ფერმართალი და თეატრდამოთლებული ნოდარ ნიკოლაძე შემოვიდა.

უკვლავ ნოდარისკენ მიბრუნდა. ბრიგადიარს მოუხსენებია ეტრნალად. უკვამ მან ილიაში გაჩრილი გაზეთი გამოიღო და მეღვას წინ, მაგიდაზე დააგდო „წაიკითხეთ“, მიუბრუნდა

მეღვას, მაგრამ სანამ მეღვა გაზეთს ხელს მოაკიდებდა, კვლავ დასწვდა „არა არ უნდა წაიკითხვა“, და ბოლოს ცემას მოჰყვა.

— ბიკო, რა ცეცხლი შემოგვნიო? — მხრები აიჩინა მეღვამ.

— ადამიანი, ადამიანი და არა უანგმოღებული რკინა ტფუფ... — გადაადურთხა შორს ნოდარმა და თვალები გაუფართოდა.

— რას ამბობ, ნოდარ, — ამხანაგებს გამოცეკო ტარიელი და ბრიგადიარს წინ ისე გაიმართა, თითქო საუბილოდ გამოწყვეას ამირებუსო.

— გაზეთი წაიკითხე და მიხვდები.

— გაზეთი შენ გაქვს, მოიტა და წაიკითხავ, — წამოიწია რეზო სიხარულიძე და ნოდარს გავერცხებით შეაჩერდა, მაგრამ ნოდარმა გაზეთი მაინც არ დაანება, თეთონვე გაშალა იგი და მაგიდას მიუჯდა.

ურთ-ერთი ქარხნის დირექტორთან, იმავე წარმოების მეშა ქალი მისულა. ჯერ მდივანმა დიხანამ ალოდინა თურმე მისალებში. მერე მაინც შეუღწევია კაბინეტში. ქალს უთქვამს, ბინამი სახურავიდან წვიმა ღვარითი ჩამოდის, წუხელ მთელი ღამე უძილოთ გაეათენე და რაიმე მიშველეთო.

— მერე? — იკითხა უდავილოდ ედიკ მურადიანმა.

— დირექტორს დახმარება აღუთქვამს და დაიძვლებული ქალი საამქროში წასულა.

— მერე? მერე? — ახლა ტარიელიც ჩაერთა ლაპარაკში.

— დღის ბოლოს ქარხანაში დიდი რაოდენობით რკინა მოტრანიათ, დირექტორს მთელი ქარხანა შეუძრავს, მიშველეთ, წვიმაში არ დაპიტოვით ლთონი, თორემ დიფანგებოთ. დაღამებამდის შინ არავინ გაუშვია. რაც საწყობში ვერ დატრევიათ, ღია ცისქვეშ სახელდასტო რეზო დაარღული გაუტეებთიათ და შიგადაღიანებთიათ.

— ყოჩაღ, დირექტორიც ასეთი უნდა, რას ერჩი, შე კაცო! — შეაწყვეტინა სიტყვა ოთარ ნიკოლაძემ.

— რა? დირექტორიც ასეთი უნდაო? — მიუბრუნდა ბრიგადიარი სახლიკაცს და ენის დაძვრია არ აცლა.

— სამწუხაროდ, რომ ასეთი არ უნდა, ჩემო ოთარ, შენ ეს მიხობარ, არ გაინტერესებს იმ ქალს რა ბედი ეწია?

— ჰო, შე შგონია უფრო ეს უნდა იყოს მთავარი... ჩაღლაპარაკა გეორქიანმა.

— იმ რკინებს დარღთ შეპყრობილ დირექტორს ეს ქალი სულ დაეწყებოდა, საწყალს იმ თავსხმში მერეც ღამეც თურმად გაუთენებია, მესამე დღეს ლოგინად ჩაიარდნილა და წარმოებაშიც ვერ მოსულა. — წყრობით ჩაღლაპარაკა ნოდარმა და ირგვლივ ისე მიმოი-

ხედა, თითქმის აქ ეგულება ის დამნიშვე და  
უსტრუქო დირექტორიო.

— საბავლობა, — იღვდა რეზო სისარუ-  
ლამე.

— სივლამა, — დაუდსტრია ელიქმა.

— ჩემი აზრით კი, შეტყა, — განაგრძო  
ნოღარმა — ქალი წყიმის ქვეშ დასტოვა, ხო-  
ლო რკინას ქანგი არ მოედოსო და ფარდუ-  
ლო გუგულო, ერთი მითხარათ, შენი ჰირიმიე,  
ქტრამი წავდებულ რკინას ქანგი რამეც დაიყ-  
ლებდა? აი, დირექტორი, მას კი თერამე მო-  
წინავე სამეურნეო მუშაკსაც ეძახიან, ესეც  
შენი მოწინავე: იდამიან არაფრად მიანია და  
რკინა ებრალდება!

— შეცდა კაცი, ყოველ წერილმანს მარტო  
ხომ ვერ გასწვდება? — მაინც სცადა ვამოქო-  
მაგება ოთარ ნიკოლაძემ.

— რის შეცდომა, რა შეცდომა, რას ამბობ  
შენ, განა არ იცი, რომ რკინა, ქვა, წყალი და  
ეს პერვი — ყველაფერი აღამიანისათვის არის  
გამნიანი? ჰოდა, ვინც დაეანგულ რკინას  
უფრო მეტ პატრეს სცემს, ვინემ აღამიანს.  
როგორ ფიქრობ შენ, ასეთი კაცი ჩვენს ქვე-  
ყანას გამოადგება?

ნოღარს კიდევ უნდოდა ელაპარაკა, მაგ-  
რამ მიხვდა, რომ დირექტორზე გაბრაზებულს,  
ამხანაგების მიმართაც მკაცრი აგრადაცა გა-  
მოედიოდა და საკუთარ აზრებს „იზვესტიას“  
მოშველიება ამჯობინა. წარბები გაეხსნა და  
თვალემა გაუბრწყინდა.

— აი, მისინეთ, ბიჭებო, რას წერს მართ-  
ვლა შეივინათ კომუნისტური შრომის ბრიგა-  
დაზე — და ნოღარმა ახლა მათ ლენინგრადის  
„წითელ ვიბორგელთა“ შესახებ უამბო. წერი-  
ლში მოყვანილი ფაქტები და მავალითები  
გონების თვლით თავისი ბრიგადის შრომით  
საქმიანობას შეუთანხმარა, გაეხარდა, რომ  
ბევრი რამ მათ შორის საერთო აღმოჩნდა.

— მთავარი რამ კი კინაღამ დამაოწყდა...

— მთავარი? — იცითა ტარიელმა.

— ცოთ მართებო შეგინიანის ნაჭებ ვორო-  
ნის რა უთქვამს? — გალიმა ნოღარმა და  
ახლა სხვა გაზეით დააქერინა უბიდან.

— ფოსტალიონი ხომ არაა ეს ოხერი, —  
იხუმრა აქამდე უსიტყვოდ მჯდარმა მედემ  
და როცა ბიჭების სიცილი მიწყნარდა, ნოღარ-  
მა სტრიქონებს ჩასდია.

„ჩვენ, „წითელი ვიბორგელების“ ძველი გეარ-  
დის შემყიდებებმა, გადაწყვიტეთ, ვამრავ-  
ლოთ ჩვენი მამების სასახელო შრომითი ტრა-  
დიციები, ვმუშაობთ რა რთული ტექნიკით,  
დარწმუნდით, რომ ცოდნა თუ არ არის, არც  
წიშვალა, ამიტომ ბრიგადის შეიდი წევრბ  
სხვადასხვა სასწავლებელში მესადიანობს,  
ჩვენ ფიცს ვდებთ: წარმოებში, სწავლაში,  
ყოფაცხოვრებაში ვიცხოვროთ და ემუშაობთ  
6. „მთაბი“ № 6.

ისე, როგორც ეს ილიჩმა გვიანდერმა. ნოღარ-  
მა კითხვა შეწყვიტა და ახლა ამხანაგებს  
გადახედა.

— ჰოდა, ჩვენც შეივინა არა ვართ? ჩვენც  
შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქარხნის ძვე-  
ლი გეარდოც შემყიდებები ვართ და სასახე-  
ლო მამების ტრადიციები კიდევაც უნდა ვამ-  
რავლოთ! — წარმოთქვა ნოღარმა.

ნოღარი კარგად მიხვდა, რომ ძველდამკერ-  
ლობასა და ახალ შორის დიდი თვისობრივი  
განსხვავება იყო. ამ განსხვავებამ მკათიო გა-  
მობატრლება მთსავე ვალდებულუბებში პო-  
ვა ამში კიდევ უფრო ღრმად დარწმუნდა  
ნოღარი, როცა თავისი ბრიგადის წევრების  
ცხოვრება გონების თვლით წარმოიდგინა.  
თითქმის მათს ბიორგადის ცალკე-ცალკე კით-  
ხულობდნენ, მის წინ თეთიულის ცხოვრება  
ზელის გულოვით გადმოიშალა. ჯერ ტარიელ  
ქუბაბრის ცხოვრება ამტყვევდა მის გონე-  
ბაში: ორი წლის იყო ტარიელი, მამა რომ  
ომში დაედგა, ზეილი ბავშვი სოფელ კო-  
ტაბანთში, კოლმურნე დედის კალაში  
პოულობდა ნუგეშს და ჯერაც შეუცნობელი  
ბედნიერება თუ სხარტა, მხოლოდ დედის  
სეულანარზე უტკბილეს ნაწამი ვრძელდებოდა,  
ცხოვრებას დარდიანად მამინ გახედა ტარი-  
ელმა, როცა წამითარდა და ოჯახში უმამო-  
ბა იგრძნო მხვდა, რომ დედაზე უკეთესი  
და ახლობელი არავინ ჰყავდა. ტარიელმა  
შეიძწწიდა სოფელში დაამთავრა. ყანაშიაც  
ბევრჯერ უმუშაოა, მეზობლის ბიჭებს სა-  
თხარში ტოლს არ უდებდა.

მაღე ბიამისმა თბილისის რკინიგზის მეო-  
რე სახელოსნო სასწავლებელში მამარა.  
ტებურასა და ნოღას პირას გაზრდილ ბიჭს  
ბირველად სასწავლებელში სახარატო დაზე-  
ზე მუშაობა ეუცხოვა, გული ვერ დაუდო,  
ვერ შეეგუა, გაქცევაც ბევრჯერ დააბარა.

აბა, თბზე ხელვაყოფულ ბიჭს სახარატო  
დაზე ასე უცვბ როგორ მოიშინაურებდა,  
ათასჯვარ „საიდუმლოს“ ასე ერთბაშად რო-  
გორ ვაინდობდა?

მეგრამ მიდიოღნენ დღეებმა...

ერთმა ძველმა ოსტატმა, მას შრომა შეაყ-  
ვარა. როცა საამქროში სახარატო დაზე  
გებრიდე? ჩაბარეს, სხარულით პირველად  
მამინ გაიღიმა. ეს ამ სამი წლის წინათ მოხდა.  
ტარიელი მუშა-ახალგაზრდობის საღამოს  
სკოლის მეცხრე კლასში სწავლობს და დამ-  
თავრების შედგე უმილუსში მოწყობაზე  
ფიქრობს.

ახლა რეზო სისარულამე წარმოუდგა თვალ-  
წინ. რეზო ცხრამეტი წლის ჰაბუკაა. აბმის  
ყვავილივით გაღვივებულ ლოყები აქვს. თვა-  
ლები სუფთა და სულ მიაბრტ. ზედმიწევნით  
მორიდებული, ბეჯითი ახალგაზრდაა. სოფელ

დიდი ვანში ავილა მას თვალეზი და ახლა თბილისის ამ ძველ ქარხანაში ხარხაღ დამხარის თავის სახარატო დახვას. ავირდება, თუ რაგორ იცვლის სახეს ლითონი.

შრომისმოყვარე დურგალმა ბაბუა მირიანმა ჩამოიყვანა რეზო შეიღწეულდის დამთავრების შემდეგ სოფლიდან და ახლა ის უკვე დამოუკიდებელი ხარატია. პარალელურად სკოლასაც ამთავრებს.

რეზოზე ფიქრი რომ დამთავრა ნოდარმა ახლა ეღუარდ გეორგიანისცენ გააპარა მალე-ღი მებრა. ოცდობრი გაზაფხული უნახავს ეღუარდს, ოთხი წლის წინ დამთავრა ტყინი-გზის სახელოსნო სასწავლებელი, იმ დღიდანვე მექანიკურ საამქროში დაიწყო მუშაობა. შეხუთე თანრიგის ხარატია, ძველი მუშების ზე-ღისმეყვებით ის ტოლს არავის უღებს საამქროში.

ეღუარდის გვერდით ოთარ ნიკოლაძე ზის. იგი დინჯი, იღვლეგებელი, საქმიანი ახალ-გაზრდაა. მამა ერთ დროს წავითის საჩუქრის მუშა იყო. ოთარი დედით ადრე დაობლდა. ერთხანს სკოლას თავი დაანება და ნახშირ-ღელელ მებზბლებთან ერთად თბის აიღო ხელში, მერე კიარში გაიწვიეს. ჯარიდან მობ-რუნებულს ძალიან უნდოდა ტყინბულის მალა-რობეში მოემარჯვა წერაქვე, მაგრამ ამხანა-გების რჩევით, ზესტატონის ფეროშენადნობის გაეარეარებულ ღეშელებთან აღმოჩნდა. იქე-დან კი ამ საამქროში მოხვდა. ჰამტეს დაზგას დაეღვლა, საშუალოც დამთავრა და უმალ-ღესი სასწავლებლის პირველი კურსის სტუ-დენტია. ნოდარმა არც ეღვი მურაღიანი და ქურდ-ოღლი დაიფიყა...

შესანიშნავი ამხანაგია თვითღული მათგანი. ამ რამდენიმე წუთში ნოდარმა მათს წარსულ-სა და მომავალშიც მოასწრო ჩახედვა და ხა-ხებზე კმაყოფილების შუქი აუთამამდა.

მის გარშემო თავშეყრილი ამხანაგები თით-ქოს ერთი დიდი ოჯახის წევრები იყვნენ, ხოლო თვითონ ნოდარი კი იმ ოჯახის მამა.

„განა მართლა ცუდი ოჯახია, განა არ შრო-მობენ, განა არ სწავლობენ ბიჭები? მეტი მამა-გვიშვილისა არ იყოს, მალეღვი კი არა, ნახ-შირღელელშიც რომ ჩაიყვანოს ნოდარმა ისინი, კოღმეურენე ქალიშვილებს თვალეზსა და ველში ცეცხლს არ გაუჩენენ?!“

— ნამღვილად ერთი ოჯახისანი ვართ, ვეფ-ხებოდა — წამოიძახა ნოდარმა და მეღვას მიუ-ბრუნდა.

— რაღაც ვინღოდა ვეოქვა, მეღვა...

— მე ის მინდა ვითხრა, სად ცხოვრობენ შენი ოჯახის წევრები?

— საერთო საცხოვრებელში, არ იცი თუ? — მაგრამ ნოდარი იმ წუთსავე მიუხვდა, თუ რას

ეკითხებოდა მეღვა, მიუხვდა და მოავრნდა:

მათ ზომ ამ საკითხზე ბევრს უღვირთოთ... — დამაცა, გოგო, ეგ უწოდებოთ ვიხორგე-ღების... დირექტორზე ამბობს, შავინიანი რომ დასციენის.

— რას დასციენის? — ჩაერთა ტარიელი.

— თურმე მისი ქარხნის მთელი ახალგაზრ-ღობა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ბიჭებმა ოჯახები ზომ უნდა შექმნან და დი-რექტორი ამის შესახებ რად არ უნდა ფიქ-რობდესო.

— მაგისტვის რაღა ასე შორს გაგიწვიათ, თვითონ ჩვენ სად ვცხოვრობთ! — დინჯად დასძინა ოთარ ნიკოლაძემ.

— ეღვუჯამ მიოხრა, იანვრიდან ღრმალე-ღეში კომუნისტური შრომის ბრიგადის წეე-რებისათვის ახალ მშენებლობას ვიწყებთო.

— ეღვუჯამ?! — თითქმის ერთხმად იკით-ხეს ბიჭებმა.

— ჰო, ეღვუჯამ...

— აბა, ახლა კი გეშეღვლება, ბიჭო, უთუოდ შეერთავ ცოლს! — ხტუშრა ოთარ ნიკოლაძემ.

— მეღვა, გოგო, შენც გექნება ბინა? — ვერ ისვენებდა ოთარი.

— შე, მამეს ოთახი.

— ახალი არ სჯობს?

და იმ წუთში ბიჭებმა თითქოს ფრთები მოისხეს და ვინ იცის, რომელ მხარეს არ გაფ-რინდნენ.

— ოჯახი!

— საყვარელი!

— ადამიანი, უბირველეს ყოვლისა, ადამი-ანი! — ერთმანეთში ირეოდა ამაყად წმრმოთ-ქმული სიტყვები.

შესვენება დამთავრებულყო.

ტარიელ კუბაბრიაშ სექტაკლზე თავისი აზრის გამოთქმა მორიგი შესვენებისათვის გა-დაღო.

ვერლანი დაზგებისაყენ გაეშურნენ.

ნოდარი რეზოს წამოეწია. ხელი მკლავში გამოსდო და თვალი თვალში გაუფარა. ისე ჩააცქერდა, თითქოს ძნელად ამოსაცნობი სა-განი მღვღელი თვალეზით უნდა გაზომოსო.

— ბიჭო, ვუშინ სკოლაში რად დაიგვიანე?

— შენ საიღან გაიგე, — დიხზნა, არ მოე-ლოდა ასეთი შეკითხვას რეზო.

— ისე, სკოლაში შევიარე, მინდოდა ნაენო-ბი კაცი შენახა...

— ნოდარ, მამატიე, მართლა დამავიანდა, ბიჭო, — თავი დახარა რეზომ და დატუქსულ მოწაფესავით თვალი აარიდა ბრიგადირს, შე-იძლება ასეთი სინდისის ქვეჯნა მას არც მას-წავლებლის და არც ბაბუას წინაშე უგრძენია, როგორც ახლა.

— ერთი კვირის წინ რომ მათმამატკაში ვერ ვიპასუხია, ისიც დაგვიანების მიზეზია?

— ისევ შეაბარა ნოდარმა სამღერავე.

ახლა სულ აირია რეზო.

— ნოდარ... ნოდარ, — ამოილაპარაკა მან, ავიტონიც არ იცოდა, რა ეპასუხებინა და ამავე რაღ ღმეილი აჩნია.

— რა იყო რეზო, — უფრო თბილად ჩაეკითხა ნოდარი შეშვეშველ ამხანაგს.

— ნოდარ, ბიჭო, სოფლიდან აღესის ისეთი ღვინო ჩამომიტანეს, ისეთი, რომ მთელი საქართველო რომ შემოიარო, იმის მსგავსს ვერსად ნახავ, მოდი, გამოიარე დღეს ჩემთან? — მოვალ, უთუოდ მოვალ, რეზო...

ნოდარის ღიმილში რეზომ უხარბული მდგომარეობიდან გამოისავალე კოვია.

იღვა რეზო სიხარულით დაზვანთან და ფიქრობდა: „გდვინ სკოლაში ყოფილა, ხეალ ალბათ ჩემს გოგოსაც ნახავს, ზევ კი შეიძლება ბაბუასაც ესტუმროს...“

რამდენად ღრმად უფიქრდებოდა რეზო ამ ფაქტს, იმდენად უფრო იხრდებოდა მის თვალში მუგობრის ავტორიტეტი.

ხოლო ბრიგადირი კი გულში მიინც თავისას იმეორებდა: უპირველესად ყოელისა, ადამიანი, ადამიანი და არა ეანგმოდებული რკინა, ამხანაგო, დირექტორი!



მთელი კვირა ნოდარის ბრიგადა ზედინედ სამშავად ასრულებდა გეგმას. ახლა მათი შრომითი წარმატებანი ქარხნის გარეთაც ცნობილი გახდა.

რეზო სიხარულითის პორტრეტი ერთ-ერთი რესპუბლიკური გაზეთის პირველ გვერდზედაც გამოქიჩეს. მას მწერლებს შეყრებაზედაც მოუბდა გამოსვლა. ნოდარის წერილი საქარხნო გაზეთში დაბეჭდა.

გულში ბრიგადირმა ქარხანაში შეხვედრაზე მოსულ სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის პროფესორების წინაშეც ილაპარაკა. ეს თეოთელი „წერილიანი“, როგორც წყაროებს მდინარეში, ისე იყრიდა ერთად თავს და ნოდარის გონებრივ პორიზონტს თანდითან აფართოებდა.

ხომ არის ადამიანი, რომელსაც ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს და მას უაღრესის მტკიცეულობით განიცდის?

კიდა, სწორედ ასეთი იყო ნოდარიც.

ზოგი დინჯი ჩანს, ზოგიც ღვინოვით ფეთქავს. ნოდარი გარეგნულ სიღინჯეს მუდამ ინარჩუნებდა, მაგრამ შინაგანად, გულში მიინც ვერ ისვენებდა, დეკლავდა. მისი ფიქრი მუდამ ერთს დასტრიალებდა: რაიციონალიზატორული წინადადება, სიახლე...

ამ ექვს ღამეში თითქმის ექვსჯერ გვარნო ნიღვარივით მოვარდნილი სიხარული, ასე ვწვეუნებოდა, თითქო უხილავ ბედნიერებისათ-

ვის წაველო ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენჯერვე გასხლტომია თეალსა და ზელსშეა. განცდილით გაბრუებულმა ნოდარმა დილით თავის ინიენერს მანქანათმცოდნეობის ყდაშემოხეული სახელმძღვანელო წიგნი სთხოვა, მუშაობის დამთავრების შემდეგ საერთო საცხოვრებელში ჩაიეცტა. თავი მაღლა არ აუწევია. დიდხანს იკითხა და ქება ფურცლები, მიგრამ თეალეზამოღამებულმა, მიინც ვერაფერი გაუვო შეგ გაბნეულ თისანიარ ნახა-ზებს, მათემატიკურ გაანგარიშებებსა და მისთვის უცნობ კონსტრუქციებს, ამ წიგნმა იმდენად მოაბუზრა თავი, რომ კინაღამ თავის სარახლავ დაზვანულაც აუცრუვა გულა.

მარათალი, სუშელო განათლება მიელო მას, მაგრამ აბა, ეს წიგნი ამ რამდენიმე საათში რა დასმარებას გაუწევია, როცა ნოდარს ეს საგანი სკოლაში არ გაუვლია. სკოლა ხომ მაშინ ასე მშობროდ არ იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან, როგორც ეს ახლმა ვითარებამ მოითხოვა?

„მაღლ ინსტიტუტშიც შევალ, ლითონის ტექნოლოგიის საიდუმლოებასა და ფეტივით გაბნეულ ფორმულებსაც ავითვისებ თაორიულად, ვნახოთ... გულს არ იტეხდა ნოდარი.

ეს ნუგვეში კარგი იყო, მაგრამ დღეს, ხეალ? მგაიდაზე კვლავ ის წიგნი ჰქონდა გადაშლილი. კითხულობდა, ჩურჩულებდა, იმეორებდა.

„ეჰ, სჯობს დაეხურო ეს წიგნი ღროებით და ისევ მკლავის ძალას მიეწნო“, ფიქრობდა ნოდარი.

დილით საამქროში მიინც სახეგაბადრული შევიდა დაზვან აუარ-ჩამოვარია, მედეასთანაც შეიხედა. შედეა ჯერ არ მოსულყო.

წინ მეტი მამაგვიშვილი შემოეფეთა. ოსტატმა ისეთი ღიმილი შეავება, რომ ნოდარმა ერთბეღ კიდევ დაუდასტურა თავის გულს: მეტი ნამდვილად მისი ბრიგადის ქომავი იყო.

— ნოდარ, ტარიელი ნახე?

— არა, ბიძია მეტი.

— შე შეგონა გნახა და ვითბრა კიდევ.

— რა უნდა ეთქვა ბიძია მეტი?... — უყურე მაგ ბიჭს? მაღავს ალბათ!

— რას მაღავს, ოსტატო! — შეცბა ნოდარი.

— წამო, წამო ჩემთან! — წარმოთქვა მეტიმ და ბრიგადირს წინ გაუძღვა.

ტარიელი ორ დაზვას შუა იღვა და ორივეზე ერთდროულად მუშაობდა.

— ტარიელ, ახალს რას გვეტყვი — ჩასძახა ნოდარმა დაზვასთან ჩამუხლულ კუბაბარას.

ტარიელი წამოღდა და წელში გასწორდა.

— რა მავქს საოქმელი ამ დასამლაგი...

— ის, რაც მექისთვის ვითქვამს.

— ხოო, რაც იმას ვუთხარი, იმას შენც გეტყვი, მარა...

— მარა რაა?

ტარიელი დანების დასტრიალებდა და თანაც ლაპარაკობდა.

— ვაე, რომ არაფერი გამომივიდეს? შენ ვეღვაფერხე არ ემარა, არ ემარაო იძახი, შენი სენი მეც გადამედო, რაღაც მოვისაზრე, არა, მართლა ისეთი კი არაფერი გამომივგონებია! — აქანაურებდა ვანგებ ტარიელი თუ ზომამზე მეტი თავმდაბლობა აიძულებდა პირდაპირ და მოკლულ ეთქვა:

— ასეთი რამეები ასე იოლად არ ხდება, ინჟინერი კი არა ვარ...

— ამოშვებე მოკლულ, ტარიელ, რა შოთინდან უწლი?

— არც ისეი საქმე... მართლა შენი ჩინჩინის შემდეგ კი არ დამბადებია ეს აზრი, მეც დიდი ხანია ვფიქრობ ამასზე, შენმა ღრტიმმა კი მგონი ეს კარგახნის ჩასახული აზრი აღრე მოამწიფა, ვაითუ ნაადრევი ხილივით კბილიც მომტყვევოს!

— ე. ბიჭო, თქვი, გამაგებინე, რას ღეკვამ? — შემოუტრია ნოღარმა.

მეტი კი ვაზზე გამაღვარეო და ოღნაე იღიმებოდა. ბრიგადარს ეს უფრო აღნიშნებდა.

— აბა, მოიწი აქეთ შეხედე ამ წინა დაზგას!

— ეხედავ, — მივუგო ნოღარმა.

— ...ოთხ კანკიკსაე ხომ ხედავ, ზედხედ რომ იტრება და იზარხება ზრძელი რკინის მავთულიდან, მერე ამ კანკიკებს თავზე ტრიალი ხომ უნდა გაუკეთდეს, შიგ რომ ბეკდის თეილილი ჩაჯდეს და „ატვიორტა“ მოეჭიროს? საქრას კი მეორე დაზგაზე ეკეთებ, — უკან დაიხია ტარიელმა და მეორე, მოცულობით უფრო პატარა სახეხის დანვის ქვედა რკინის სქელსა და ფართო ფიცარს ხვლით შეეხო.

— კანკიკებს ჩასაწყობად თვითველ მარკვალში იმ კანკიკებს ხომ აი, ასე ვაწყობ შიგ და ამ ზედა ღერძზე დამაგრებული მრგვალი ხერხის კბილანებით თავებს ტრიალებს ეკეთებ, შეხედე ახლა, ეს ათი მარკვალი ერთ მწყრევიშია, მაგრამ ათი სანტიმეტრით გვერდზე, მის გასწვრივ ასეთვე მწყრევიია და ათივე გამოუყენებელია, რატომ? იმიტომ, რომ საბურავ ღერძზე მხოლოდ ერთი საქრული რგოლია, მეორეც რომ გაეკეთათ, ხომ ერთსა და იმავე დროს ოც კანკიკს გაუკეთდება ტრიალი? ერთი შეხედვით, ეს თითქოს ძალიან პატარა საქმეა, მაგრამ თავის შეეწუხებლად, ჩემი შრომის გარკვეე ორასი პროცენტით ხომ წაემიატებს გვეშას?

— მერე, მერე? — ამოხინემა ნოღარმა.

— მერე-და, გავუკეთოთ მეორე საქრული ამ რკინის ღერძს?

— ვესმის, ბიძია მეტი? — ტარიელის ნახედავით ფრთაშესხმული ბრიგადირის სიხარულით ამჩატება როდი გამოეპარა გამოცდილ ისტატს, არც თვითონ ავტომობილია ეს, უსაძლოდ და თითქო სასხუამორისოდ მიუდგომო. — ეხედავ და არა უშავს, შეიძლება კაცს კუპამიც დაუჯდეს.

— ათის მავიერ ოცი კანკიკი, ესე იგი, ორი საათის სამუშაოს ნაცვლად ერთი საათი! — კიდევ ჩაილაპარაკა ნოღარმა და მექის მიუბრუნდა, თითქო დაეკვებულყო.

— ეს ჩვენი ტარიელა ხომ არ ფანტაზირობს, ბიძია მეტი, როგორ ფიქრობთ თქვენ?

— კე, ფანტაზიაა აბა, რა...

— ცარიელი ფანტაზია, არა?

— ზო, ფანტაზიაა, მაგრამ ნამდვილი, შემოქმედებითი, რომელიც ვანსახორციელებულია და ისიც სულ უბრალოდ.

— ყოჩად, ტარიელ! — მხოლოდ ეს უთხრა ისტატთან ბრიგადის წევრს ნოღარმა, იმ ორ სიტყვაში კი ისიც მიიჩინებოდა, „დანარჩენს მერე გეტყვი, ზედმეტი ჭება უფროსთან უხერხულია“.

ნოღარი თავის სარანდავს მიუბრუნდა და დენი ჩართო. შანქანა აცენესდა და აწივლდა. მუშაობდა ნოღარი და ასე ეგონა, ტარიელთან მხარამხარ იღდა.

ტარიელს კი, პირიქით, ახლა სხვა არაფერი აღარდებდა, გულში დიდჩინის ამოჭრილი აზრი სინამდვილად ქცეულიყო და ბრიგადირის სახეზე კიდევ ერთხელ დაენახა საამქროში მომდგარი ღიმილის შეუი.



იმ დღეს ყვირილა უჩვეულოდ მოდიფიზებულიყო. კალაპოტი გადმოელახა და ველმინდვრებს მოსდებოდა. პატარა ნოღარი ახლომხებლო თეთრშებლა ძროხას აჟოვებდა. მიწიდან ამოხეთქილ სამყურას ნაწეიმარზე ისე გადაეშალა პაწია ფოთლები, პირუტყვი კი არა, ნოღარიც ხარბად იღებდა პირში, წიწყნიდა და მერე დაღველი პალახს ძირს ყრიდა.

ნახშირღელელები სათხარს შესეოდნენ. სამოროლო სიმინდი წელამდე სწედებოდაო. თხემლის ფოთლებით თავაყარული გლეხები ისე საამოდ გასძახოდნენ ყანურს, რომ ნოღარი სულჯანახელი უსმენდა. სიმღერა მიწუდებოდა თუ არა, ნოღარი მაშინვე სოფლისკენ იბრუნებდა პირს. თვალმეს ერთ წერტილს არ ამორებდა, მაგრამ ეისაც ელოდა — არ ჩანდა. ძალიან უნდოდა ბავშუს სწორედ იქ, ამ დილით, მდინარისპირას მოულოდნელად წამოსდგამოდა თავზე მამა.

ელეფანტისაც გული შევლისაყენ მიუწედა. სამი თვე აღარ ენახა. დღეისათვის შემოათვის-



ლა, აუცილებლივ ჩამოვალა. უხაროდა, რომ კირიგობადიდან ჩამოსული მამა საბალახოზე მოესწრებოდა. ნოდარის სულ იმას ცდილობდა — მამას დასაქმებელი დახვედროდა. ელფთერიც ამყობდა: „ჩემი ბიჭი ბეჭითი და დაუზარებელია“.

ელფთერი კირიგობაში წავთის საქაჩე ჯარხანაში მუშაობდა. მისი ყოველი ჩამოსვლა ნოდარისათვის მთელი დღესასწაული იყო. საჩუქრები იმდენად როდი იტაცებდა, რამდენადღაც მამის მუხლებზე დაკოსება. პატარა მკლავებით კისრზე ჩამოეკიდებოდა. „მამა, მეც შენთან წამოყვანო“, ევდებოდა ბავშვი და ელფთერის ხმარ ეუფანებოდა შუქად გაანებული ღიმილი ნოდარს თანხმობის ნიშნად მიაჩნდა.

ელფთერს კი უნდოდა შეიღისათვის სწავლა-განათლება მიეცა. წასვლისას ის ერთხელ კიდევ ჩაჰკოცნიდა ხოლმე მას და კინძვრიდან გადისულს ვაჯიუტებული ნოდარის ტირილი მიაკიებდა.

დედის აღერხით სულამთბარი ბიჭი ისევე თავის საყვარელ თეთრშებულა ძროხას ყვირილს ნაპირისაყენ დავიდებდა, საღამოს კი ვარდისფერყვანად „დედა-ენას“ გადამოდიდა და ჩაღისდერგებით აბრიალებულ კერისპირად ტბილ სტრიქონებს იზებოდა.

ახლაც, მზე რომ დედამიწის სხივებს აფრქვევდა, ხოლო ნაწვიმარ მიწას ოშხივარი ასდითდა, ნოდარს ცალ ხელში ბაწარი ჩაებლუჯა. მეორეში კი — „დედა-ენა“.

ასე გოლოდა მამის გულისფანქვალთ.

აგერ, მის მარჩენალს ფერღები დამრგვალებია, და ისე ვამქლარა და ვასინებულა, ვანჩრვავც ეზარება, მავარამ ნოდარი მიინც არ ეშვება, ძროხას კი თავი მალა აუწევია და რძიან ბალახს პირს არ აჯარებს.

მამის მოლოდინში გულგაწერილებულ ბავშვს გონება აერია. ფერღებამოვსებული ძროხა წინ ვავიდო და სახლს მიაღვა.

დედამ უგუნებობა შეამჩნია.

— ნუ დარბობ, შვილო, მამა აუცილებლად ჩამოვა.

— მოვა კი? — დაეკვებით იკითხა ნოდარმა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

ის იყო და ის, ნოდარს მას შემდეგ მამა აღარ უნახავს, ხოლო ელფთერს — თავისი ცოლ-შვილი და ეხო-გარემო.

სამაშელო ომის გამოცხადების პირველ დღესვე წამოყვანეს იგი ფრონტზე და იმავე წელს ბრძოლის ველზე ვაჟაკურად დაეცა.

ბავშვს დარდი აღრიდანე შემოეჭვია. მამის ყოველ გახსენებაზე თვალები უწყლიანდებოდა, ხოლო სკოლაში კეთილი გულის მასწავლებელი ბიძია გენადი შეამჩნევდა თუ არა მას, მაშინვე მუხლზე დაისვაა, მოე-

ფერებოდა, ზღაპრებს მოუყვებოდა და გიჟათობდა.

ასე მიდიოდა დღეები... **სიხალისეობა** ისეთი დროც იყო, რომ გაკვირვებამ ნოდარის სკოლაც დაატოვებინა, ხელში თოხი ააღებინა.

გამოდილი ვლებივით იმარჯვებდა ნოდარი გაპრიალებულ თოხს.

დრომ თავისი მოითხოვა. ნოდარი ჯარში გაიწვიეს. იქიდან დაბრუნებულმა ერთი წელი სამტრედიის ერთ-ერთი საწარმოში იმუშავა.

ნოდარს თავიდანვე მიუწყვედა გული რყინავისაყენ. ორთქლმავლის მოულოდნელი შეკვლევა, ზოგჯერთებზეთ შიშის ზარს როლად სცემდა. მასში იგი რალაც გამამხნეველ ძალას გრძნობდა. ხშირად დადიოდა დეპოში, შესაკეთებლად შემოყვანილ „რკინის ურჩხულს“ ოსტატთან ერთად გულისყურით ათვლიერებდა.

ამ საყვარულმა ჩამოყვანა იგი თბილისში.

ჯერ მავ მუშად მიიღეს საჩამომხმელო სამაქროში, მერე მუშაინერ სამაქროში სარანდავ დაზგავ აიყვანეს მოსწავლედ. ერთ თვეში აითვისა ხელობა და ახლა უკვე მესამე წელია დამოუკიდებლად მართავს სარანდავ დაზგას. მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლა დამათვრა და უმაღლესში შესვლას ფაქრობს.

შორს დარჩა ბავშვობა, გაღალურჯებული ყანები და ნაწვიმარზე ოშხივარ ავარდნილი ველ-მიწვრები.

შორს დარჩა ყველაფერი: ის თეთრშებულა ძროხა და ის იმერეთის უძირი ცაც, მავრამ ის ღიღი დარდი, რომელიც მან მამის დაღუპვისას იგრძნო, დრომ ვერ დაავიწყა. წინანდებურად დედასთან გარბის სოფელში, როცა რამე გაუქორღება და გაუძნელება, დედაც მერღში ჩაიკრავს და მისგან ძალა მომატებული, ფრთავსხმული ისევე თავის სარანდავ დაზგას უბრუნდება. მხოლოდ მან იცის, ახლის ძიებამი თუ როგორ ეხმარება დედის საყვარელი, როგორ უკათავს ვახს წინ — პოტგრუხისაყენ.

ასეთია დედის გული. 7 ასეთია მშობლის ძალა...

...დღესათან ერთად ყვირილაც აგონდებოდა, რალაც მიწერი გრძნობაც ესახებოდა გულში. თითქო თავისი სოფლის ამრიალებულ ტყეში იწვა და მისი ფოთლების შრიალით გულს იგრილებდა.

ამ ფაქროში ორთქლმავლის ყვირილი ჩავს-მა ყურში და ყვირილს ნაპირებზე ოცნებით გაღვრენილი ნოდარი შეყართო, გამოფხიზ-

ლა. მიხეილა, ამხანაგები ეძახდნენ და საამქროსაჲს ვასწია.



ამხანაგებს თუ კი აქვებოდა ნოდარი და მათში შემოქმედებით ნაყვარცხალს ადგილებდა, არც თვითონ იდგა გულზეხელდაკრული.

ამ წიგნშიაც, რომ ბევრს იქვეებოდა, სწორედ განიხილა დაბადებულ აზრს ამოწმებდა. მისი ნაფიქრალი წიგნში დიწერაღს რომ ვერ მოერგო და მის გახსნაში ვერ უშველა, ვადავდო, მაგრამ ის აზრი როდი ავიწყებდოდა.

ახლა კი ტარეღის მავალითი წინ ედგა, გადაწყვიტა, ჯერ შევისათვის გაენდო თავისი ნაფიქრალი: „მეტი გამოცდილი ოსტატია, თუ არ მომიწონებს, შენაურთი კაცია და ეს აზრი ჩვენს შორის დარჩება. სხვა ვერაფერს ვაიგებებს“.

ამ გადაწყვეტილებით მიუახლოვდა ნოდარი ოსტატს, რომელიც სიხარულით, ერთ მეტად რთული დეტალის გამოჩარხებაში შეელოდა. ამ დეტალის იმგვარად გამოჩარხებას, როგორადაც მას მეტი ურჩევდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პროდუქციის წუღებებს ეს ხერხი საფუძვლით გამოირიცხებდა.

გათავა რა ახსნა, მეტი ნოდარისაჲს გამოეპარათ.

ნოდარმა დევი გამოართო.

— შენც ხომ არა გაქვს, ბიჭო, რაიმე საიდუმლო, ა? — გაიღმა მეტი და ნოდარს გამოემძვლა და ჩახედა თვალეში.

— სწორედ რომ მაქვს, ბიძა მეტი, მაგრამ რასაც ახლა ვეტყვი, არავის უთხრა.

მეტიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ორი წელია ამ მანქანაზე ვმუშაობ, პირველად გული ვერ დაუდევია, შენც იცი, როგორ გეშინოდა. ახლა ისე შეუვარდელ, როგორც კარგი მწერთნელი ჩერქეზულ ცხენს. მთლად უტოლინარი არა ვარ, უოველდღე ვუკვირდები, ამ ვაცვეთილ დაზვას, იქნება რამეში გამოვადგე-მეთქი და იცი, ახლა რა ვასაქრისში ვარ?

— რაშია საქმე, ვისმენი

— არა, ისეთი კი არაფერია, მაგრამ ვასაქირიი მიიწე აბა, რა. მეტი მიიწე, ბიძა, მეტი, უფრო მეტი, ვიდრე აქამდე, მეტი ამ ოხერ დაზვას არ შეუძლია, კომუნისტური შრომა კი მეტს მოითხოვს.

— მეტი? — ცნობისმოყვარეობით დაეკითხა მეტი ახალგაზრდას.

— ორი წინადადება მაქვს: ეს მანქანა ერთ წუთში ექვსსაჯერ ბრუნავს, საქრისებს დღეში სამაჯერ ვეცლით, თვითველ შეეცლას ოცი წუთი სჭირდება, მანქანადაც, ერთი საათი გვკარგება. მე შემოძლია ისე მოვიწყო საქრისი, რომ მას ერთჯერ მეტად გამოცვლა არ

დავირდეს, ეს უკვე მოთქმებული და დაბნულიც მაქვს, აა, ნახე ჩემი მანქანა, შექმნილი დღეში ერთ საათს მოვიცვლებო.

ახლა მეორე წინადადება: ეს საქრისის მეტი ასსამოცდაათ მილიმეტრია, სკამარისია ხუთი მილიმეტრით მეტი რაინა შეზღვეს, რომ ორჯერ უნდა გაეატარო, თუ ჩვენ ორას მილიმეტრია მეტის დავამაგრებთ საქრისზე, მაშინ სამასი მილიმეტრია დეტალიც რომ იყოს, ერთ გატარებაზე გაურანდავთ. ამასაც დარწმუნებული ვარ. ამაზე მე ბევრი ვიფიქრე. ახლა შენ რას იტყვი, ბიძა? — ნოდარს შეზღვე ისეთი ხეობი მოსდგომოდა, რომ გეგნებოდნოდა, უთვალავი მეტიც ერთბაშად გასწინდოდა. ოსტატს ქვემოდაც შეუტრებდა. ისე ელოდა პასუხს, როგორც საკუთარ ცოდნაში დარწმუნებული ბუჯითი სტუდენტი — პროფესორს, რომელსაც ნიშანი უნდა ჩაეწერა მატარებელში.

ამ სანატრული ნიშნის დაყოვნება კი ნოდარს არ ასეუწებდა. მოელს ტანზე თითქო მდღეობ მოსდებოდა. მეტი ვაბედა და უხმოდ მდგარ მეტის თვალი თვალში გაუსწორა.

მეტი კი ღრმად წასულიყო ფიქრებში. ამ საქრისის მეტის გონების თვალთ ისე ზომივდა, ისე სინჯავდა, ისე შლიდა და ისე აწყობდა, თითქოხ ხელის გულზე ეიღო, მეტი თავისთავში — რაღაც სადაოდ მიიწე, ამ საქოქმანო აზრს გაეყა, დაიხარა, საქრისსა და მის მეტის კარგად დააკვირდა, მილიმეტრებში გაზომა, პატარა საზომი უფრზე ჩამოიღო.

— ბიძიკო, აღტაცება არ მინდა გამომივიღეს, მაგრამ რაღაცისათვის რომ კულში წავივლია ხელი, ეს უამწებელია, ეს რაღაც არც ჩემთვისაა ჯერჯერობით ხელის გულზე გადაშლილი, ისე ჩასაკიდებელს რომ ვებედა, ამასი უნდა მენდო, მაინც აჯობებს, საამქროს უფროსს ან ინჟინერს დაეუძახოთ.

— ბიძი, ამას ნუ მითხამ...

— რატომ, ნოდარ?

— ჯერ ადრეა, — შევევდრა ნოდარი, მაგრამ მეტიმ არ უსმინა. საამქროს უფროსმა, გიორგი არუთინოვმა დაასცხნა:

— ეს წინადადება კეცითთან ახლოა, მისი ტექნიკურად გადაწყვეტისათვის ჭარხნის ტექნიკურ საბჭოს უნდა მივმართოთ, რადგან ზოგი რამ დაზუსტებას მოითხოვს, იმედი მაქვს, უთუოდ დაგვეხმარებიან ამ რაციონალიზატორული წინადადებას განხორციელებამში. — ვანაცხადა საამქროს უფროსმა და ბურანში გახვეულ ბრიგადის მხარზე ხელი დაქრა.



ნოდარი დადლილი მივიდა საერთო საცხოვრებელში. მისელისთანავე, წახემსებაც ვერ მოაწყო, ლოგინზე მივგდო და ღრმა ძილში

წავიდა. ბურანში მყოფს რაღაც ხმაური წავს-  
მა, მაგრამ ძილს თავი ვერ გამოსტავა.

კარგზე კაცენი ახლა უფრო მძლავრად  
განმეორდა.

თვლები გაახილა და მძიმედ წამოიღვა, კა-  
რი რომ გააღო, წერილის დამტარებელმა  
თავაუწვევლად გამოუწვიინა მარჯვენა. ხელში  
რომ დეპეშა შემორჩა, უეცრად გამოაფხოლა,  
ფოსტალიონის სიტყვიანწივობამ დააფიქრა.  
დეპეშას დახვდა: სოფლიდან დედის ავადმ-  
ყოფობას იტყობინებოდნენ.

იმ დამეს არაფერი უთქვამს ამხანაგებისთ-  
ვის, არც საამქროში წამოცდენია რაიმე ღი-  
ლით. უხალისობა სახეზე ბეჭედივით იჯდა.  
რატომღაც არც დახვებთან გართულ ამხანა-  
გებს ჩაუთხოხავთ მიხეზო.

მედია ლაბორატორიიდან გამოვიდა. ნოდარ-  
თან უნდოდა გამოსაუბრებმა, მაგრამ ბრი-  
გადირა აღმოდებულ ბურბულელებს იქით-  
აქით ისე ისვროდა, რომ ქალიშვილი ახლოსაც  
ვერ წაეკარა.

მედვამ ხელთ ანიშნა და ნოდარი ერთი  
წუთით მოშორდა დახვას.

— ამ საღამოს კინოში მივდივართ, ხომ წა-  
მობხვად? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— კინოში?! — უახროდ ჩაიდუღუნა ნოდარ-  
მა და მედეას უძმყოფილოდ შეხედა, თანაც  
გულს სიღრმეში რაღაც ეწვინა კიდევ, უნ-  
დოდა ზურგი შეეჭვია ქალიშვილისთვის, მაგ-  
რამ მეორე წამში ისევ გადაიფიქრა.

— ჰო, კინოში. რად გააკვირვებ ასე არ  
დაეთქვათ გუშინ?

ნოდარი შეყოყმანდა.

— ვერ წამოვილა, მედია, ვერა... — თქვა  
ნოდარმა და გუშინით იგრძნო დახვის გაჭირ-  
ვება, ქალიშვილს საჩქაროდ გაეცალა.

მედია ერთ წამს კიდევ იღვა და, ნოდარის  
საქცივლით განაწყენებულნი, ლაბორატორიისა-  
კენ გაეშურა.



სიღამოს ვაგზალში აუარება ხალხი ირყოდა.  
ძნელი იყო მგზავრებისა და დამცილებლების  
გამორჩევა. ზოგი აქეთ აწუდებოდა, ზოგი —  
იქით.

ნოდარ ნიკოლაძე კი მებუთე ვავონის წინ  
შემდგარიყო და მძიმე ფიქრებს მისცემოდა.  
„ნეტავ რა დაემართა დედას? ვაითუ ბუბაყ  
შეუტოლოდა, მაშინ, მაშინ ვინ მოუვლის, ვინ  
მახვადავს დედას? ლევანი მაინც იყოს შინ,  
რადა მაინცდამაინც ახლა, ამ დროს დამატყდა  
ვგ უსიამოვნება“.

ნოდარის უმცროსი ძმა ჯარშია, სიცოცხლით  
სავსე ლევანი, რომ სახლში ჰგულებოდა ნო-  
დარს, მაშინ რა ექნებოდა სადარდო და საეი-  
ვგალისო?

„ვაითუ მართლა ცუდადაა დედასწი, მა-  
შინ, მაშინ საუკუნეს გამოვლარი ბეზია რო-  
გორ მოუვლოს, რა ეშველება საყვარელ დე-  
დას!“ — და ნოდარის გონებში ისევ შეტოტ-  
და პირადი, იჯახური და საერთო, რომელსაც  
ნოდარი ხვადევ უნდა დაბრუნებოდა.

— არც კი გრცხვენია, ხვალ დირექციაში  
უნდა გამეგო შენი დედის ავადყოფობა? —  
ჩაესმა მედეას ხმა თავჩაქინდრულ ნოდარს.

ბრიგადირმა მოიხედა და როცა მის ვასაყო-  
ლებლად მოსული ამხანაგები დაინახა, კიდევაც  
გაეხარა და კიდევაც ეწვინა, მერე რეზოს  
მიუბრუნდა.

— შენც აქ, რეზო — მერე სკოლა?

— დღეს გაკვეთილები არა მაქვს, — იცრუ-  
რეზომ და ბრიგადირისათვის ამჯერადაც, რომ  
თვალბეში არ ჩაეხვდა, გვერდზე გადაგა.

— თქვენი ოთარ, ედიც?

— არც ჩვენა ვაქვს, — დაასწრო მურადიან-  
მა და ისიც რეზოს შეუერთდა.

— მედია, შენ?

— არც მე, ნოდარ...

წუთით ღუმლი ჩამოვიარდა. მიუხედა ნო-  
დარი ამხანაგებს, რომ იცრუეს, მაგრამ ვერი-  
ფერა უთხრა.

— ნოდარ, სულ იმას გვეუბნება, ჰირი და  
ლხინი ერთად უნდა გავინაწილოთ და შენ  
კი... შენ?

— ეიცოდი ყველანი საქმეს მოცდებოდი  
და ამიტომაც არ შეგაწუხებო.

— არ შეშინდებ, დედა კარგად იქნება, — და-  
ამედღეს ამხანაგებმა.

ამ დროს ელშავლის კვილია ვაგზლის მინე-  
ბი შეაზანზარა.

ნოდარი ვავონის საფეხურზე შეხტა. რე-  
ზომ ილიაში ამოდებული შეეჭრა ნოდარს  
შეაჩენა ხელში.

— ეს დედას ჩვენგან.

მატარებელი ფოლადის ლიანდაგზე ვასრიალ-  
და.

იმ საღამოს ისინი კინოში არ წასულან...  
ნოდარმა ვავონში თავისი ადგილი შონახა.  
პატარა მავიდაზე შეეყრა ჩამოლო და პალ-  
ტო გაიხადა.

გაყურებდა ნოდარი. ფანჯრიდან ქართლის  
ველებს, ისტორიის ფურცლებში გაიცილებ-  
ბულ, ახლა ჩონჩხად შემორჩენილ ძველთა-  
ძველ ციხე-სიმაგრეებს და გულში ნამდვი-  
ლად გრძნობდა ახალს და განსხვავებულს,  
რომელსაც მის ამხანაგებში ასე ვადედა ფეხი.



კაფანდარა ბიჭი ედიცო, მაგრამ შინაგანად  
მტკიცე და მყვრევი, ზუღუქა შავი თმები მუ-  
დამ ზევით აქვს აჭორილი. ქუდს არასოდეს



არ იხურავს. ეშინიანი თვალები ისე აქვს შეხამებული ხშირ წარბებსა და ისრებივით წამოსროლილ წამწამებს შორის, გვეგონებათ, მერცხლის ფრთებს შორის ორი ანთებული შუქი კიაფობსო, სწრაფია, ავერ რომ გვგონიათ, ისე გაიჭრებათ თვალსა და ხელს შუა, რომ ვერაფერს ვაივებთ. მაგრამ დაზგასთან რომ მღუშინებს, ეს სისწრაფე რაღაც თვალშეუხსნარებ მოძრაობაში გადადის და ვერ მიხვდები, ცოცხალი ადამიანი ტრიალებს დაზგასთან თუ დენნართული მანქანა?

მაგრამ ეს არ ყარა.

აქ ნოდარიც სულ იმას მასწინინებს, ე, ბიჭო, რაზე იღონეო. მერე ეღიჯო ისე მიუხედავად ემაწვილია, რომ ვერ გაიგოს, თუ რად ეძალება ბრიგადირი?

გამოგონება რომ ადელი იყოს, რატომ სხვებში არადერი გამოგონებს? რაღაც ორი წელი ეწუშინებ და ასე უცებ გამოგონებს მხოვენი. მერე ვინ, ნოდარი, ბრიგადირი, ეტყვათ, კომუნისტური შრომის ბრიგადა არ შექმნილიყო, ეტყვათ, ნოდარი ბრიგადირად არ ავეერჩია, ჰაინტერესოა, მაშინაც აიკვირებდა ამ გამოგონებას?

აბა, თუ კაი ბიჭი, თეთონ გამოგონოს რაზე, მართლა თუ კაი ვაყვარია!

მისდგა და მისდგა გულში ნოდარს, მაგრამ უცებ რაღაც ვახსენდა და კინაღამ ენა ჩაუვარდა. აქა მანაც ორი რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანა... შევი მამავეიშვილიც რომ დავთოქნა? გიორგისაც რომ ჰქუაში დაუჯდა? უფქვამს, ტექნიკურმა საბჭომ უნდა განიხილოსო.

თურმე, ჩვენ რომ კვით დაგვედგა, თავში წინადადება ჰქონია გამოკონიტებული, ალბათ ამიტომაც უფრო ვეაქვებოდა, შეიძლება მართლაც ამიტომ გვიანებოდა ცეცხლს!

ნამდვილად ასეა, მაგრამ ის ტარიელი, რომ აყოლია და მასაც რაღაც წინადადება გამოუტყვია სახელდახელოდ, ისიც ხომ ბრიგადირი არ არის? მერე რა კარგი, აზრიანი წინადადება ყოფილა თურმე. ორი საათის სამუშაო ერთ საათში ეთლებაო. სად იყო ამდენ ხანს, რატომ არაფერს ამბობდა, ისიც ნოდარის ბრიგადირად არჩევას ელოდა? რომ არ აერჩიათ მაშინ? მაშინ მაინც დაეზადებოდა ის წინადადება?

უთუოდ დაეზადებოდა, აბა ცეცხლს დადარში რა დამალავდა, უთუოდ იფეთქებდა, მაგრამ ნოდარმა მაინც დააქარა, ნამდვილად დააქარა. ახლა ტარიელმაც უნდა მიაჯობოს? ნოდარმა ხომ მიაჯობა და მიაჯობა, მაგრამ ტარიელმა? ვითომდა ტარიელი რითა ჩემზე უკეთესი? ჯერ სამუშაოც არ დაუშთავრებია, მე ავერ ოთართან ერთად უმადლეს-ში ესწავლობ, მანქანებს ესწავლობ, გვირახების

გაყვანას ვეუფლები, ლინდაგების დაგებას ესწავლობ, ტარიელი კი რაც სწავლობს? მაინც მიაჯობა.

ეგების რეზოსაც აქვს რაიმე ამოკრილი გულში. აბა, სულ იმ სახარატო დაზგას, რომ ჩაქირკეტებს და იმ მექისაც ხშირად რაღაცას გეითებება, მასაც ხომ არ უნდა რაიმე ახალი თქვას?

ელდარიც ფილოსოფოსობს!

ესე იგი ყველა რაღაც ახალზე ფიქრობს, შენ კი ელაც ვითომ არაფერი გაქვს საფიქრალი? ტყუილად ავეირდებოდი დაზგას? აბა, ოთარმა ტყუილად ვითხრა, გაბარებ ჩამტებს დაზგას და აბა შენ იცი თუ რაიმეს შემატებ. მე რა უნდა შევმეტო? ციდან ხომ ვერ ჩამოვფერტენ რაციონალიზატორულ წინადადებას?

ეკ, ნოდარამ უკვე ორი წინადადება შემოიტანა, ორი, ტარიელმა—ერთი წინადადება, შენ კი არც ერთი! რა მოგივიდა, ელცი, აქი რაღაც შენც ჩაგვივარდა გულში ამ ერთი წლის წინ! რატომ არ ამხვებ? გაბედვ, სოქვე, ამოიტანე გულიდან და კარგი იქნება თუ ავი, შენც მოიხვენებ.

ყველამ რომ დამსწრო? მაინც ეტყვა თუ... ნოდარი მაინც ამ დღეებში სულ ქნადავად იქცა. იქ ერთი ვახვითი წაგვიცითხა, აქ მეორე, იქ ლენინგრაფში „წითელ-ვობორტელ“ ვერთონის მისწვდა, აქ დირექტორს ეცა. ბინებსაც გვიბრდება და ვინ მოთელის რამდენი რამ ითავა ნოდარმა.

არა, ელცი ვაყვარია არა ჩანს ნოდარი.

შენ კი, ელცი, რას აკეთებ, ასეთ დროს სათქმელს გულში მალავ და არაყვის გინდა გაუმხილო? გაუზბუღული სიუყარულივით გინდა ჩინარბო საკეთარ გულში?

მერე რაა, რომ დავსწრეს! ნათქვამია, „მჯობნის მჯობნის და დაილევია“ და მიდა, გაბედვი, ელცი, მიდი, ელცი!

ჯერ ნოდარს ვაინდე, გაუზარდება. „ე, ბიჭო, ვესახელო!“..

დიდხანს ებრჭოდა ელცი თავს და ბოლოს გადაწვიტა, ნოდარისათვის გაემშლია ეს საილუმო.

ნიჭიერი კაცო ყოველთვის დაეკვებულა, როცა რაიმეს შექმნის, გაუზბუღავიკა...

ამიტომ ყოფნაობდა და ორტოფობდა ედიციკ ამდენ ხანს, მაგრამ ახლა ამბანაგებს რომ გაბედა, ვერ მოითმინა.

- ნოდარი!
- რა იყო, ელცი?
- ყური მთხოვე, ბიჭო!
- შა, რა გინდა?
- ვიმტრაცე თავი და ვიმტრაციე...
- ელცი, ჩქარა თქვი. ხომ ხედავ, რა დღეში

ვარ, დეტალი ვერ დაემორჩილე, სადაც გამორბის...

— მაშინ შემდეგისათვის იყო...

— არა, ახლა თქვი, — ჩაუტინდა ნოდარი, მაგრამ ედიყმა შესვენებისასო, მიუგო და გაშორდა.

— საყვარლის ხმა რომ ვაისმა, ნოდარი მყისვე ედიყს დაზვასთან განდა.

— აი, ეს დაზვა, — თქვა დაბნეულად ედიყმა და გახუმლა.

— ჰო, ეს დაზვა.

— აი, ეს დაზვა... — გაიმეორა ედიყმა და იღუმლო მღელვარებასაც სძლია.

— ამ საჭრისს ხომ ხედავ, მჭერზე რომ ორი ჭრილი აქვს.

— კი...

— ამ ორ ჭრილს რომ ორი ცალული ჰქონდეს მორგებულო, როგორი იქნება? — ახლა ფერიც დაუბრუნდა ედიყს და სიმწვიდეც.

— ორი ცალული?

— ორი ცალული, ორი, ახლაც ვერ მიხვდი თუ? ავი ტარიელს მალე გაუგე. ეხეც იმას ჰგავს, ტარიელი ერთი გავლებით, ათის მავიერ, ოცპანჯის უფითებს თავზე ჭრილებს, მე კი, ორჯერ გტარების მავიერ, რა ზომის დეტალიც არ უნდა მომხედვს ხელში, თუ ორ ცალულს მოვარგებთ ამ საჭრისს მჭერს, ერთხელ გავაყეთებ, ორჯერ გამოცვლას, ორჯერ ჩადვას ერთხელ არ სჯობს? რვა საათის სამუშაო ოთხ საათში ხელში გვექნება, ბიჭო!

— დამაცა, მგონი კი გავიგე, დაცა, დაცა. ავირ მქვისაც დაუფიქრებ.

— მჭერს?

— ჰო, მჭერს...

— არა, ნოდარ, მჭერს არა, ოთხარს დაუქმდებით.

— ოთხარს რა იცი!

— როგორ არ იცი, ეს დაზვა ხომ მან გადმოშინა, იცის, იცის...

ოთხარს ამ დროს ურჩევთ რკინა მოჭქონდა. მალე ყველანი ედიყს დაზვასთან შეიკრიბნენ.

ედიყი მუნჯივით იდგა, უნდოდა ხმა გაედო, მაგრამ ვნა არ ეშორჩილებოდა, აი, თითქოს შიშიც დასძლია, მაგრამ ნოდარმა დაასწრო, აღაპარაკდა, ედიყს სათქმელზე მეტრ თქვა, ხსნიდა და ხსნიდა, ხელეხს წარამარა იშველებდა.

მექიმ ორბროვანდ გააქნია თავი. არც ახლა აჩქარდა. საჭრისებს მუშტრის თვალით ვახედა. ბლოკოტში რაღაც ჩანახაზი გააკეთა. ისევე წაშალა და ისევე მახატა, თავისი აზრი მათ მიანიც არ გაანდო, როცა გიორგის მოუხმეს, მან მექმის თვალზეში მცდელი, დეკლემბლო მჭერა ამოიკითხა. მეტრ დაზვას საჭრისებში დააქმრდა, გუვეირდა, ბირვე-

ლად, ხომ არ ხედავდა ამ დაზვას? იქ ტარიელი, აქ ნოდარი, ავირ ედიყს დაზვები ხომ გუშინ არ გაუმართავთ ამ საჭრისებზე, სად იყო ამდენ ხანს გიორგი?

— ესეც ტექნიკურ საბუღოს გადაეცეთ, — დასძლია ყოყმანი საამქროს უფროსმა.

— მაინც რას გვეტყვეთ, უფროსო? — შეაგება ნოდარმა კითხვა.

გიორგიმ კვლავ მექმის ვახედა, მექმი არც ახლა ამხატდა, უფროსს დაუთმო სათქმელი, მაგრამ გიორგიმ ავი ყველას განაგებდალ თქვა, ტექნიკურ საბუღოს გადაეცეთ.

ნოდარს ისეთი ღმილი უთამაშებდა სახეზე, რომ ოსტატმა თავი უსიამოლო გააქნია, „ცოდოა ეს ბიჭები, რაიმე უნდა ვქვითო“.

— არ გეწყინებათ? — მოხატრებულად დაიწყო მან და სათვალეები მოიხსნა, შალის ნაკერით სათუთად გასწმინდა და ისევე გაიკეთა, მეტრ გამოზოგვით თქვა:

— თუ არ გეწყინება, ნოდარ, — კიდევ მოიბოღოდა მექმი.

— ბიძია მექმი, რა უნდა მეწყინოს, თუ არ ვარგა, არ ვარგა, არც ედიყს ეწყინება, ტარიელის წინადადებას ჩამოვავს მგონი, თუ სჯობია კიდევ?

— ნოდარისას ხომ არ სჯობს? — გამოთავებრა ოთარ ნიკოლაძემ საბლიყავი.

— სჯობს და მეტრ არ იტყვი, როგორ სჯობს? — გამეტებით თქვა მექმამ და უხერხულობა იგრძნო, თითქო ნოდარის ნახედავი სულ გააქარწყლო.

— რას ამბობ მექმი? — წამოიძახა ნოდარმა და ედიყს მხარზე წულა, შეანჯღრია, მეტრ ოსტატს მიუბრუნდა.

— ბიძია მექმი, მეგობრის მეგობრს რა დავებს, შენ ვახიარე, ოსტატო!

ედიყს გამარჯვება ხომ ნოდარის გამარჯვებაც იყო. ამიტომ არ იცოდა, როგორ გამოეხატა სიხარული.

დადასტურდა, რომ ედიყ მურადიანის წინადადება თურმე უფრო ადვილად გასაკეთებელი იყო, ვინამ ტარიელისა და ნოდარის. ისიც თქვეს, ეს წინადადება იანვრიდან დაინერგვბო წარმოებაში.

ედიყი ახლა ედიყს აღარ ებრძოდა. იგი ნოდარს მიჰყვებოდა.

დევებრის სუსხაანი დამეა. ცა ვარსკვლავებით არის მოქვედილი. ყინაქს. ნაძალადევი ძილუხიზლობს. თითქოს გაშლილ ველზე დაბნაყებულ ჯარის ცეცხლი გაუჩაღებიაო, ქარხნის მიღებიდან ბლუჯა-ბლუჯად წამოსული შავი კვამლი ეფრენება ისედაც ჩამოქვებულ მიდამოებს. ბამბასათვი ფაფუკი ნისლი უღრუ-

ბლა ღამეში მალა, სულ მალა მიიწევს და უსასრულობაში იყარგება.

ეს გაფრთხილებული ღამიანი ზოგს ტბილ ბილში ზვევს და ზოგსაც საღვაც ეძახის.

ნოდარი ფანჯრიდან გასცქერის მას და თავის ფიქრებს უფრო მძლავრად შლის. წუხელის სრულებით არ უძინია, მაგრამ ეს უძილობა გამტანჯველი რაღაც იყო.

სალამოს ვაზეთმა ააფორაქა. მამინაც, იმ პირველ დღესაც ამ ვაზეთმა დაუჯარგა მოსვენება, მთელი ღამე თერთად გაათენებინა, რაღაც გამოეცნობო, დაუდგენელი სიხარული და დარდი მოჰკვარა.

წუხანდელი ღამე სავსებით არ ჰგავდა იმ დღეინდელს.

სწორედ იმ ვაზეთმა, რომელშიაც მან კომუნისტური შრომაც ბრიგადების შექმნის ამბავი ამოიკითხა, ახლაც იმ ვაზეთმა მოსდო ქვეყანას მისი ახალგაზრდული კოლექტივის საქმენი საგმირონა.

ათასჯერ გადაიკითხა წერილი. იმდენად თავის სურათს კი აღარ უყურებდა, რამდენადაც სტრიატონებს შუა ვაზნულ აზრებს, საიდანაც თითქოს თვითველი ამხანაგს გულს ფეჭავდა მოესმოდა.

იმ პირველი უძილობიდან ერთი თვე გასულიყო. მას კი ასე ეგონა, თითქოს ისიც წუხელ მოხდა.

ახლაც თვალეზღვიფრებული შეერია ბინდებულში.

ჭარხნის კარებთან ისევ ის მკვარე დახვდა. ახლა მოხუცს აღარაფერი უკითხავს. არც მისი დაწითლებული თვალების დანახვა გააკვირვებია.

ნოდარი მამინდელივით საამქროში მარტო აღმოჩნდა.

ძალზე აღრე იყო. თავის დაზგასთან შედგა, მერე რუხოსკენ გახწია. იქვე ერთი წუთით კალინინის სურათის წინ გაჩერდა. მორწმუნე-სავით ის ერთი წუთი დუმილში გაატარა.

მარტობამ რატომღაც ხელი დარია და ამ დროს, დედაც გაახსენდა.

სოფლდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღე გასულიყო და სულ დედა ეღვა თვალწინ, წუხანდელმა სიხარულმაც ისევ დედა მოაგონა. საერთო საცხოვრებელში იყო, კინოში, ბაღში თუ საამქროში დედის თვალები არასოდეს ტრეპდნენ მას, მაგრამ ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ სულ სხვა იყო დედის გახსენება.

როგორ უნდოდა ერთი დღე კიდევ დარჩენილიყო დედასთან, მისი ნახვით გამოცოცხლებული ბეზია გაეხარებინა, ვეკაცის ხმას დანატრებული კარმიდამო ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ...

დღედაქალაქი ეძახდა ნოდარს.

ამხანაგები უხმობდნენ ბრიგადირს.

...დედა რომ მომჯობინებულა დახვდა, ცოტა მოეშვა, ჯაგრი გულდასა დადგინდა.

მეორე დღეს სოფელს ჩამოურია. ყვირილა უკან მოიტოვა, არც რიონს დარჩა ვალმა. მზრალად მოხუნტა საყანეებში ერთ ალაგას გააჩინდა. თითქოს მიწის წვენი შედგებოდა მარტეებში, მთელ ტანში სინდელეს გრძობდა.

ამ დღეებშიც ხნულებმა თავისი ჰაბუკობა გაახსენა:

აგერ, თითქო გუთამა მოეკიდა, ხარებს რცხილს სახრე ვადაუზუხუნა, შარა-გზაზე თოვლის ბაბუთსავეთ წარბებ დიფანულა ფეჭილით ერთიანად გადათურებული მეწის-პეილე შემოეყარა, თეთრშებლა თხემლის ფშირებში შემალა, რიონის კოლხეს თავს გადააღვია...

წვალუხვი მდინარე ხმაურით მოედინებოდა ზღვისკენ.

მისმა გრილმა ნიფემა წაიტყუა. ტანთ გახლა და ჩქერებს ზაფხუთა, მალე ნაპირზე გამოვიდა და ცხელ ქვიშაზე გაგორდა. მზის სხივებში რომ ცეცხლი გაუჩინეს ზურგზე, ისევ წამოვარდა, ტანზე სილა შეხმობოდა, წერილ-წერილი კენჭებიც ხელ მიჰკვროდა.

ტალღებს შეერია.

როცა ტუნჯი ჩაულურჯდა, ნაპირს მოადგა. ისევ ნახშირღელეში გაჩნდა, ტოლ-ამხანაგებს მკლავები მოხვია, ჰიდაობა გამართა და სილამოს კი, ტამიანდურა რომ ვაჩაღდა, ცეკვით ბალახი მოთელა, ხოლო თავის გოგოს, რომ ჰკიდა თვალი, ფრთხილად გამოუსხა.

ქალმშვილმა დაიბრუნებინა. თავი მოკრძალებით ძირს დაბარა. ნოდარი კი წელგაუძმრეველად მიდიოდა, მიიჩნევოდა, ფეხებს ერთ ალაგას უსვამდა, ბოლოს, გოგომაც მტტი ვერ მოითმინა, ვაყის გამოშვებე თვალებს ვერ გაუძლო, ხელები გაშალა და ადგილს ხოხობივით მოწყდა.

ზოხილიპილბიანი დაირას კი ისევ ბავი-ბუცე გაქმნდა.

ქალმშვილის გულში პირველი სიყვარული უფრო და უფრო აზრდებოდა და ნოდარის დაბინდული თვალები საპირილოდ ატოკებულ მალალ მყერბს ვერ შორდებოდა...

სახლში კი დედას ხაჰაბურები დაეცხო, მუხობლებიც მოეწვია, შემწვარი, კანდაბა-წელი წიწილები ტყეშლის წვენი ჩაეწყო, კეცზე გაჭიკინებული ჰაღები შეთავ დავლ-გებინა და სველი დოქიც იქვე გამოეკვირულიყო.

ნოდარა ჰქიამ დაწვდა. მთვარესავით გადა-ქათათებულ ბეზიას ასი წელი კიდევ უსურვა, მერე დედას მიუბრუნდა, მაგრამ ენა გაუშრა, გაფთხრდა, უთქმელად დასცალა სასმისი.

დელს თვალში ცრემლები ჩამდგარყო, ამ ცრემლებში ნოდარს ელფთერის სახე მოჩვენა, თითქო ნამდვილად ხედავდა მამას.

ამს წარმოადგენამ გული ჩაუთუთქა...

მაგრამ ახლა მართლა დედის წინ როდი იდგა, ეს ზომ მოჩვენება იყო, მხოლოდ ის ტრიალმწარე მოჩვენება! ახლა იგი სამაჟროს ბოლოში თავის დაზგასთან იჯდა. თვალზე მომდგარ ცრემლების მოსაწმენდად რომ ხელი ჯიბისკენ წაიღო, ხელში ცხვირსახოცის მავიჯრად ქაღალდი მოჰყვა, ამოიღო, დახედა, გენადი მასწავლებლის წყრილი ჯიბეში ჩარჩენოდა. ვაშალი და ერთხელ კიდევ ჩაიკითხა:

„ბიჭო ნოდარი! — სწერდა გენადი — გუშინ სოფელში რადიომ ცნობა მოგვცინა, რომ შენ თურმე კომუნისტური შრომის ბრიგადა შევიდგინი. გამეხარდა-მეთქი, რომ მოგწერო. ეგ ძალიან ცოტაა. მოხუცი მასწავლებლის გულში ამბე მეტ დიდ სიხარულს ვერაფერ შეპოტანს, მაგონდება შენი ბავშვობა, შენი შინაარსი თვალში სკოლაში რომ პირველად დეხი შევადგი. მე ეს შინაარსი, რომ შენზე გაწეული ამავი უკვალოდ არ დაიკარგა. ეტუობა, ცხოვრების თვლი წოყერ ნიადაგზე დაცემულა. რადგან ახლა ამ თვლის ვარკი-სათ აღმოცენებას საუფთარი თვალთ შევასწარი და მისი ნედლა ყლორტები მეც მშატებს სიციცხლეს, ბიძიყო, მინდა ვისურუო, მუდამ მალა გევიროს აღამიანის აღამშვენებელი ღირსების დროში.

მხოლოდ აღამიანი!

თუ აღამიანი ხარ, მაშინ ყველაფერი ხარ!

ყავი კარგად, ვადეცი შენს ამხანაგებს მოხუცი მასწავლებლის მოკითხვა. ასე უთხარი მათ: ჩემი მასწავლებელი მოხუცი კია, მაგრამ მისი გული ისე გარძობს თქვენს გულთა ძვარას, როგორც მშობელი შეიღის მოხმირებულ სუნთქვას-თქო.

კიდევ მოგილოცე გამარჯვებას.

გენადი ჭეშმურთი.

ნახშირდღე.

სკოლა\*.

ნოდარმა საათს ახედა, მუშაობის დაწყება-მდე კიდევ საკმაო დრო დარჩენოდა. სადღაც ქაღალდს მოაკლავა და ავტოკლავი მოიმარჯვა: „ნახშირდღე“.

გენადი ჭეშმურთი.

„პატივცემული მასწავლებლო! მამაბიეთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. თქვენა კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, ამას გულგრილობასა და სიზარმაცეში არ ჩამოშორებეთ.

სიშარტულ ვითობათ, თქვენმა ბარათმა დიდდ ამადლევა, იგი სამაჟროშიაც წიციობეს ბიჭებმა. სოფლიდან ყოველთვის მწერდნენ, ძალიან ხშირად მკითხულობთ თურმე, ჩემი ცხოვრება გაინტერესებთ. რაკი ასეა გწერთ:

მაგონდება თქვენი დარიგება: რა საკმეხაც მოკიდო ხელი, ბეჯითად მოგეპყრდეს და მცემსამე წელია სარანდაც უღებეს ქვემოთ. ბიძია, გენადი თქვენ ამხილეთ სკოლის მერხთან თვალა, თქვენ შემაყვარეთ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მთები და ველები. მაშინ ისე შეგონა, რომ ჩვენი სოფელი და ყვირილა იყო მთელი სამართალი.

თქვენ ხომ ჩვენი დედა-ენის მადლი დედის რძესავით შემარგეთ, თქვენ ხომ მასწავლეთ რუსული ენა, ძალიან რომ მიპირდა, ენას ვიბტერებდი, და ზოგჯერ გაგარბობდი კიდევ, მაგრამ თქვენ ისე დაბეჯითებთ მაწვევდით და მაწართობდით, როგორც ისტატი შეგირდს. მუდამ მეუბნებოდით: ისწავლე, ისწავლე და ცხოვრებაში გამოვადგებო. თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში თქვენი სიტყვები და რა ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ეს ენა შემაყვარეთ. ისიც დედის რძესავით შემარგეთ. ამ ენით ახლა მე ჩემს სამაჟროში რუსსაც ველაპარაკები, უკრაინელსაც და თათარსაც. ამ დღეებში ჩვენს სამაჟროში კომუნისტური შრომის ბრიგადირად ამირჩიეს.

ეს ხომ დიდ დაჯანსახთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც მაქონებს!

აქ თქვენსავით კარგ მასწავლებლებს დამხვდნენ. თქვენ თუ აღამიანის ენა მასწავლეთ, ისტატმა პაეღე პოსლიჩენკომ ლითონის ენა შემასწავლა, თურმე რკინასაც თავისი ენა მქონია, ხოლო რასაც ენა აქვს, თურმე მას სიმღერაც შესძლება. ამ ენის საიდუმლოებას მიმაგნებინა რუსმა ისტატმა. დახვდნენ მღვარს ჩვენი ქალების სიმღერაც მესმის, ასე მგონია რიონი და ყვირილა ბანს აძლევენ დაზგების სიმღერას.

და სწორედ მაშინ უფრო მეტად მაგონდებით თქვენ, ბიძია გენადი!

ღიბ, ახლა ბრიგადირი ვარ!

ჩემმა ბრიგადამ გეგმა სამასი პროცენტით შეასრულა. გაზუთშიაც დიბეჭდა ჩვენი ბიჭების სურათი.

საშუალო სკოლა უკვე დაეამთარე, ახლა უმაღლესისათვის ემზადები, ვანა მარტო მე, მთელი ბრიგადა.

სიტყვა ძალიან გამივარდელდა, ბიძია გენადი მამაბიეთ, ახალგაზრდობისა და სიხარულის ბარიცა. მეტი რა მოგწეროთ. ვეცდები მომავალშიც გაეამართლო თქვენი იმელები, არ შეგარცხვინოთ.

გეშვიდობები და თქვენს სიტყვებს კვლავ ამაყად ვიმეორებ გულში: აღამიანი თუ ხარ, მაშინ ყველაფერი ხარო.

ღიბ, მე შეგერა, რომ ასეა ბიძია გენადი! წინასწარ მოგილოცეთ ახალ წელს! მუდამ თქვენი პატივისცემელი ნოდარ ნიკოლაძე.

პო, მე დედის ავადმყოფობის გამო სოფელში ვიყავი. ამ დღითვე გადავირბინე თქვენთან, მაგრამ თქვენ მოსწევლევები წაგვეყნაოთ ბათუმში სიექსტრსიოდ და ვეღარ ვნახეთ.

წერილი ჩაიკითხა ნოდარმა. ოთხად დავეცა და კვირებში წაადო. თვალები ამოიფშენიდა.

შრომადღე ძალში შევიდა.

— ნოდარ — ჩაესმა დაზგასთან მდგარს.

— რა იყო, შედეა.

— ბრიგადირი, ელგუჯა ვეძახის! — მედეას პასუხში ოფიციალურმა ტონმა გაივლეა.

— რა უნდა?

— სტალინის ოთახში ბიჭები მოიყვანოსო.

— რათათ?

— არ ვიცი, ნოდარ.

დღის ბოლოც მიიწერა და ნოდარმა ბრძედის წვერები ელგუჯასთან წაიყვანა.

— სამის ბროცენტს სამი რაციონალიზატორული წინადადებაც დავტრიალ დავრთეთ, ზომ? უნდა, ამხანაგო ნიკოლაშე! — შეაგუნა ელგუჯამ კარებში მორიდებით გამოჩენილ ნოდარს და წამოაღვა.

— ოთხი წინადადება, ამხანაგო ელგუჯა, ოთხი — ნოდარის მაგვირად ამყავდ ვანაცხადა ტარიელ ჭებუაბრიამ.

— პოო, — კმაყოფილებით დაატანა ელგუჯამ და ხელები მოიფშენიდა.

მთელმა ქარხანამ იცოდა ეს ამბავი და ელგუჯას კი რა დაემალებოდა. ყოველი ახალი ცნობა უფროაღში თავისი ხელით შექვიწნდა.

სიმღმე ჩამოაღვა ოთახში.

— ამხანაგებო, ნოდარ ნიკოლაშის ბრიგადის კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მიენიჭა. ამასთან ერთად დავალებული მაქვს გამოგვეცეთ მხურვალი კომპაგვირული საღამო.

თქვა ეს და პირველმა მან შემოკრა ხელი ხელს. ხმაური რომ მიწვლდა, ვანაცხო — თქვენი ნამდვილად დამსახურეთ ეგ სახელი, თქვენი ბრიგადირი მართალი იყო, რომ განაცხადა, მალე ნახეთ, რომ ისევე ამ ისტორიულ ოთახში მივიღოთ ეს საბატოო წოდებო.

ასედაც მოხდა.

აი, რა იცამ ბუკითმა შრომამ, ბედნიერი დამთხვევაა, რომ მე ეს სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ, თქვენ კი ოთხი რაციონალიზატორული წინადადება შემოგვავებეთ, შეიძლება მაგ წინადადებებში ყველაფერი რიგზე არ იყოს, დაუნტებაც სჭირდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თქვენ კარგად მიუხედავით კომუნისტური შრომის ღედაარსს, ადლო აუღლეთ და მისღამი შემოქმედებით დამოკიდებულმა გამოამყდანეთ! — ახლა ნოდარ ნიკოლაშეს მიუბრუნდა მთელი თავისი ზორბატანიო:

— გამართლებულად მიმიანია, ბრიგადირი,

შენი იჭვიანი დამოკიდებულება საკუთარი თავისა და დაზგებისადმი, სადაც დამდებები იქ — დამდებებაცაა, ხოლო უკმაყოფილებელი ფიქრი — ძიებაც. დამდებარი ძიება კი არ შეიძლება დიდი შრომის შემდეგ უნაყოფოდ დარჩეს.

ჩვენ ამ ნაყოფს მალე მოვიმყო.

ჩვენს ქარხანაში, რომელმაც წლიური გეგმა კერ კიდევ ცხრა დეკემბერს შესარულა გადაჭარბებით, ცხრაშეტი ახალგაზრდული კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის საბატოო წოდების მოპოვებისათვის.

მთ შორის პირველი. თქვენ ხართ.

გამოგვეცეთ რა ამ სასიხარულო ამბავს, ვისურვებთ, კვლავაც მაღლა გვეჭიროთ ეგ საამყო დროშა, რაგორც ეს შემდგომის ამ სახელოვანი წინაბრძვის შემკვიდრებებს!

ამ ელგუჯა ცოტა შედეა. თითქო საგანგებოთ მოიკითხა ძალაო, ცისფერი თვალები სულ გაუბრწყინდა, სახე მოუარესავით გაეხადრა:

— დღევანდელს ჩვენს ორ ბედნიერებს შესაშეც დავრთო, ამხანაგებო! დღეს ზომ ოცდართი დეკემბერია, დიას, ოცდართი დეკემბერი, სტალინის დაბადების დღე. მას შემდეგ სამოცდაცხრამეტი წელი გასულა. ეს თარიღი საამართებში კიდევაც აღენიშნეთ დღეს! — და ელგუჯამ გაშალა ვახეთი, რომლის შიორე გვერდზე დიდი აღამიანი უღვამეში იღმეზიოდა და ჩიბუჭს აბოლვებდა.

ყველამ ღრმად ამოისუნთქა. მაგრამ ელგუჯამ, სული თითქოს ისევ შეაგუნაო, განაგრძო:

— მეგერა, რომ სტალინი სახელს არ შევარტყენთ, თქვენ ნამდვილი ლენინელები იქნებით!

და მან კედელზე ლენინის პირდაპირ მთელი ტანით აღმართულ სტალინის პორტრეტს მიიპყრო თვალები.

ახლა უფრო აზვირთდა ტაში.

დარბაზიდან დაძრული ხმა ვართო ორთქლმავლების ხმაში ჩართო, ავირდა და გრიგალივით დატრიალდა, იმ ხმის ძალამ ეს გრიგალი პაერში აიტაცა, აქეთ მოაწმინდას ეწვია იქით ნაძალადების ქედებს, მეტე მტყვრის ხეობაში ჩაწვა, მდინარის შეხებით ძალმოკემული ისევ მაღლა შეიმართა, ფრთები სამგორისეცე გამოლა, და თბილისის ზღვას სწორედ იქ დაეცა, სადაც წინათ მლაშე ტბა იყო. შეუღლივით მის ფსკერზე დავიდა, ფუძეს ჩაეკონა, თითქოს ცოცხალი აღამიანის ნაფხუტრებში ჩამდგარ წყალს ხერებდესო, პირველი გარიყრავის თვაცეების ნაყარწკლიან თვალუბში აინთო, რომლებმაც საბნელით მოცულ, უდაბურ ტყიდან პირველი გაბაფხული მთიყვანა.

უკვე ბნელდება.

კარგში გამოსული ნოდარი მოულოდნელად ვიდაცის ღონიერ მკლავებში მოემწყვდა. ეაკაკი მისკენ მიბრუნდა, მაგრამ ის მკლავები მარწუხბუვით შემოკლდნობდა და ნოდარი ადგილიდან დაძვრას ვერ ახერხებდა.

ის კაცი შეკარე იყო.

იღიმებოდა შეკარე...

ნოდარიც უღიმოდა.

### ეპილოგი

იმ დღეს სულ მათთან დაეკავი. ასე შეგონა, თათქოს მეც მათი კოლექტივის ნამდვილი წევრი ვახვდი. მათი ცეცხლი გაღმომედო.

შერე, როცა ქარხანა დაეტოვებ და ნოდარის ამხანაგებში ალაყაფის კარებამდის მომიაცილებს, ორთქლმავლების ვაზმელში ხმამ გააბო სივრცე.

მაშინ პირველი ხუთწლელი მომიგონდა.

ეს იყო 1930 წელი...

ამ ქარხანაში, ლენინის რაიონის შეფერულში, საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ დამკვრელ მუშებთან მასობრივ-ლიტერატურული მუშაობის ვახანაღებლად შტაბი შექმნა. ამ შტაბში შედიოდნენ გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელია, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, ვასო გორგაძე და ამ სტრუქტურების ავტორი.

პირველი ჩემი ნაბიჯი გამართლებული აღმოჩნდა: ჩამოვატალიბეთ მუშათა ლიტერატურული წრე, რომელსაც ახლა ოცდარვა წლის ისტორია აქვს, ამ წრეს წლების განმავლობაში ეხელმძღვანელობდით...

კარგად მახსოვს გ. ლეონიძისა და ვ. გაფრინდაშვილის პირველი საუბარი ლიტერატურის საკითხებზე დამკვრელ მუშებთან. აი, ჩემს წინ დევს სურათი: საამწყობო საამქრო-

დან გამოსული ორთქლმავლის წინ შეკრებილ მუშებს ესაუბრება გ. ლეონიძე. ზოგი მუშა ორთქლმავალზე, ზოგს სახელურისათვის ჩაუჭოლდა ძარღვიანი მარჯვენა და ზოგიც ზურგით მიფრინობია ორთქლმავლის ბუფერს.

ასე უსმენენ პოეტს,

ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორი ცხელცხელი კედლის ვახუთები გამოუშვეს გ. ლეონიძემ — საამწყობო საამქროში, დ. შენგელიამ — სადურგლო საამქროში, ვ. გორგაძემ — საჩაიშხმელო საამქროში, შ. აფხაიძემ — საქეპო საამქროში, აღნიშნულ შტაბში უოველდღე მორიგეობდა ერთი მწერალი. ხშირად ამართებოდა საუბრები და ლიტერატურული საღამოები რაიონის მასშტაბით.

ბევრი რამ მომიგონდა და კიდევ ბევრი რამ არის მოსაგონარი. დიან, ეს მომიგონდა და გამახსენდა პირველი ხუთწლედის გმირები.

იმ ხანებში ხომ მრავალი მხატვრული ნარკვევი დიფერა და სხვებთან ერთად, შეძლებისდაგვარად, მეც შევეცადე ამესახა პირველი ხუთწლედის სახელოვანი აღამიანები.


მახსოვს ამ ქარხნის დამკვრელებზე გ. ლეონიძის შესანიშნავი ლექსი, რომელმაც შემდგომ ერთგვარი დასაწყისი მისცა მის პოეზიაში შრომის თემატიკასთან ახლოს მისვლას.

ელგუჯამ რომ სიტყვა თქვა, მე კვლავ პირველი ხუთწლელი მომიგონდა მაშინ. მეც ხომ პირველ ხუთწლედში, „სტალინელების“ სახელწოდებით, სწორედ ამ ქარხნის მოწინავე აღამიანებზე გამოვეცი წიგნი.

დღეს კი? მომრავლებულან და უფრო მომრავლებლებთან სახელოვანი აღამიანები.

ელგუჯას სიტყვამ ახალი აზრი ჩამისახა გულში, დაუწერო მეორე წიგნი ამ ქარხნის შეიღწეულად კომუნისტური შრომის მოწინავე აღამიანებზე.

დღე, ეს უპრეტენზიო ნარკვევიც ერთი პირველი თვედურტელი იყოს იმ ახალი წიგნისა-



ნოვარ ჩხიძე



## ტენდენციისა და ტენდენციურობის შესახებ

ლიტერატურული სახე სიტყვაკაზმული მწერლობის ცენტრალური ფენოზენია. ის არის შემოქმედების უფლაზე მნიშვნელოვანი შედეგი, მხატვრობისა და სინამდვილის ურთიერთობათა ბირთვი, მკითხველისათვის ესთეტიკური ტკბობისა და მხატვრულად წარმოსახული სინამდვილის შემეცნების საფუძველი; ის კაცობრიობის იდეოლოგიური, ზნეობრივი, ესთეტიკური და პრაქტიკული ისტორიის სარკეა. აღამიანთა მხატვრული სახეები, ანტიკური ეპოქიდან დღემდე, ქმნიან მართლაც უჩვეულოდ ლამაზ, უჩვეულოდ ცოცხალ ისტორიას საზოგადოებისას, რომელსაც ეამთა სვლაში მიუღია ათასი ფერი, ზნე და ჩვეულება; ის იყო ამისთანავე, იდეალი და საზოგადოება, გამაყვითლებილი ხედი და ბრძოლის იარაღი.

პირველ რიგში აღამიანთა მხატვრული სახეებითა გამოხატული სინამდვილის განვითარების ისტორიული ტენდენციები ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

როცა დღეს გონების თვალს ვავლდებთ აღამიანთა ამ ტიპებს, ხასიათებსა და პორტრეტებს, რომლებიც სულა და გულში შემოუნახავს ხალხს, ვხედავთ, რომ ყველა ისინი გაციონირებული არიან უდიდესი პეშანიურობათა და აღამიანური სილამაზით. ეს თვისებები მათ, მტრწილად, თან დაჟედათ, ბევრიც შეიძინეს მათგან, ვისთანაც ჰირსა და სიხარულში, მარცხსა თუ გამარჯვებაში იყვნენ. ასე დაიბადნენ, დასრულდნენ, ეზიარნენ უკვდავებს ჩვენი ბავშვობის, სიბავშვობისა და სიბერის განუყოფელი სულიერი შეგობრები.

მწელი არაა იმის დანახვა, რომ ამ სახეთა საერთო, ზოგადი, მარადიული ტენდენციები არ დაიკარგება (ყოველთვის) მათში წარმოსახულ კონკრეტულ სინამდვილემდე და გარკვეული საზოგადოების კონკრეტულ ტენდენციამდე. ტენდენცია, რომელსაც ისინი წარმოსახავენ, ინახავენ და თავს ვეცხვენ, — არის საერთოდ პროვოკაციისა და პეშანიურობის ტენდენცია, რომელიც არ მოვარდება და არ ცვდება მოვლენათა განვითარების კონკრეტულ, ისტორიულ ტენდენციასთან ერთად. მაგრამ ეს საერთო, და გარკვეული აზრით უცვლელი, ტენდენცია, თავის დროზე განასხვავდა სწორედ კონკრეტულ-ისტორიული ტენდენციებით.

ტენდენციურობის საკითხი ერთ-ერთი ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. ის მოიცავს, როგორც სინამდვილის განვითარების ტენდენციათა წარმოსახვას ლიტერატურაში, ასევე მხატვრობის, მწერლობის განვითარების ტენდენციას და ავტორის ტენდენციურობის, უბრაატესად პოლიტიკური და სოციალური ტენდენციურობის საკითხებს.

საფიქრებელია, რომ ტერმინ „ტენდენციურობა“ გამოუყენებია, ფართო მასშტაბით ლიტერატურისა და საერთოდ მხატვრული ნაწარმოებების მიმართ, იწყება XIX საუკუნეში და ძირითად ავტორთა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ტენდენციას გულისხმობს. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ენგელსი ტერმინებს — „სოციალისტურსა“ და „ტენდენციურს“ ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებს ცნობილ წერილში პარკენსისადმი: „სოციალისტური მოთხოვნა, „ტენდენციური რომანი“, როგორც ჩვენ, ვერმანელები ვუწოდებთ მას, რათა ხაზი ვავუსვათ ავტორის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებს“. აღნიშნული მომენტი, ცხადია, არ ამოწურავს საერთოდ ტენდენციის საკითხს დღეისათვის. ის მოიცავს მხოლოდ (თუმცა მთლიანად) მწერლის ტენდენციურობის სფეროს. ავტორისეულ ტენდენციაში, რომელიც ნაწარმოებში თუ ცალკეულ სახეშია გამოხატული, ძირითადად მისი სოციალური, პოლიტიკური და საერთოდ იდეოლოგიური ტენდენცია იგულისხმება. მწერლის ტენდენციურობა ხშირად (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის) მტლავდება მის სიმპათიებში, პერსონაჟის ხატვის მეთოდში, გმირისადმი აშკარა თუ მალე კეთილგანწყობასა და სიყვარულში. ეს სიმპათიები ხშირად უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე საკუთრივ პოლიტიკური ტენდენციები. სიმპათიებს მხოლოდ უშუალოდ მოცემული მოვლენა, საგანი, აღამიანი და სახეები იწყევენ. ამიტომ სიმპათია გაცილებით ნატურალურია, ბუნებრივია. ის სათავეს სინამდვილესთან ავტორის ემოციონალურ-პრაქტიკულ დამოკიდებულებიდან იღებს და გულწრფელობაზე დაფუძნებულ სიმართლეს, მსჯავრდების გამოხატავს. პოლიტიკური და სოციალური ტენდენციებიც არ არის მოკლებული იმის შესაძლებლობას, რომ სინამდვილესთან მწერლის უშუალო, ემოციონალურ - ინტელაქტუალურ

დამოკლებულებას გამოხატავდეს. მაგრამ ისინი, ეს ტენდენციები, თუ ყოველთვის არა. უმეტეს შემთხვევაში მინც, ვაშალბებულნი არიან იდეოლოგიით, არსებული პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიური და სხვა მკენიერული სისტემებით. ამიტომ ეს ტენდენციები, არც თუ ისე იშვიათად, ჩნდება არა სინამდვილესთან მწერლის კონტაქტის შემდეგ, არამედ უფრო ადრე, ამ კონტაქტამდე. ამიტომ, ხშირად, მწერალი სინამდვილეს უყურებს უკვე არსებული შეფასებისა და დამოკიდებულების (რაც ადამიანური ცნობიერების სხვადასხვა სფეროში გამოიყენება) საფუძველზე. მისი გამოყენებითა და მომარჯვებით. სინამდვილესთან ასეთი, წინასწარი იდეოლოგიური თვალსაზრისით მისვლისა და წარმოსახვის შედეგად იქმნება უმეტესად ის ნაწარმოებები, რომლებიც მკვებრად ტენდენციურნი არიან. (სიმართლია ყოველთვის გულისხმობს, ცნობილი აზრით, ტენდენციურობას. მაგრამ ის უმეტესად მხოლოდ საფუძველია ტენდენციისათვის. პოლიტიკური და სოციალური ტენდენციები არ დაიყვანება პირველად, უშუალო სიმართლამდე.

ლიტერატურის ისტორიამ იცის ტენდენციურობის უთვალავი მაგალითი. სწორია მოსახრება, რომ არა ტენდენციური ნაწარმოებია ან სახეები არ არსებობენ, იცვლებოდა და იცვლება ტენდენციის ხასიათი, შინაარსი, აზრი (სინამდვილის განვითარების კვლადკვალ). მაგრამ თვით იგი ყოველთვის არსებობდა და განავრძობს არსებობას.

ტენდენცია მწერლის მიერ სინამდვილის მსჯავრდების ნაწილია, მისი შეფასების ერთ-ერთი თვალნათლივი და აუცილებელი რგოლია. ძნელი იქნებოდა აღბათ იმ უთვალავ ხერხთა უზრალო აღნუსხვაც კი, რომლებიც ლიტერატურაში არიან გამოყენებული ავტორთა აშკარა ან ძნელად შესამჩნევი ტენდენციურობის ვასტარებლად.

დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები ერთნაირად ვარგისნი არიან მწერლის ტენდენციურობის გამოსახატავად. ერთი და მეორეც მწერლის მიერ სინამდვილის შეფასების, მასში უარყოფითი და დადებითი მოვლენების აღმოჩენისა და ხაზგასმის შედეგია. სწორედ ამიტომ გამოხატავენ ისინი მწერლის სიმართლი-ანტიპათიებს, ან, უფრო ზუსტად, ნათეს ხდიან მკითხველსათვის ავტორის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ პოზიციებს.

უკვე თემის არჩევისა და ამ თემით ვატაცების მომენტიდან მწერალში იბადება ტენდენცია. უკვე ის, თუ სინამდვილის რა მხარეს, რა მოვლენებს ასახავს იგი, თუ ვის, რომელი კლასის, ფენის, წრის ადამიანს ხატავს თავის ნაწარმოებში — განსაზღვრავს კიდევ, გარკვეული აზრით, მისი ინტერესის სფეროს. ტენდენციას და შეფასების მომენტსაც.

ის ფაქტი, რომ, მაგალითად, დანიელ ჭონ-

ქაქემ „სურამის ციხეში“ წარმოსახა მკვინდელ ქართულ საზოგადოებაში არსებული სოციალური ერთიანობიანი, უკვე ხაზს უსვამდა მის სიმართლესა და ტენდენციას. თუმცა არჩევნისა და მისი მხატვრული დამუშავებით გაესვა ხაზი ბატონყმურ საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა კონკრეტულ შეფასებას. ამ ურთიერთობათა ობიექტურმა, მიუყვრებელმა წარმოსახვამ განაპირობა ნაწარმოების დიდი რეალისტური ძალა (ლიტერატურის კრიტიკოსებმა, რომლებიც მოთხრობაში ნილანამოსხნილი კლასის, ვაბატონებული ფეოდალური კლასის წარმომადგენლები იყვნენ, „სურამის ციხე“ შეიფასეს, როგორც უაღრესად ტენდენციური ნაწარმოები. ეს ფაქტი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მოთხრობამ სწორად წარმოსახა სინამდვილე და რომ ავტორის პოზიციაც ასახვლის უშუალო შემოქმედებით იყო განსაზღვრული).

პოემაში „ამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ილია ჭავჭავაძემ ისე დახატა სინამდვილე, რომ ნაწარმოებში უოკე-მულა იმბედიდან, ზსიათებიდან და მოქმე აები-დან თაყისთავად და მუნდენივად გამოიყინა-რეობს ასახული მწერლისფეოდალ შეფასებ. აქ არა გვაქვს ავტორის სუბიექტური ტენდენციები, როგორც ასეთი. ეს ტენდენციები არარებენ ობიექტურ ხასიათს. ამას განსაზღვრავს პირთუნელი რეალიზმი, მოვლენათა ამ სხით წყენება, როგორითაც ისინი არსებობდნენ და მათში იმის ხაზგასმა, რაც მართლაც ძირითადი და მთავარი იყო.

ადამიანთა მხატვრული სახეები, პერსონაჟები ლიტერატურაში დატეაროულნი არიან ნაწარმოების საერთო ტენდენციით. ისე როც არც ცხოვრებაში, ლიტერატურაშიც მკითხველის სიმართლეს იმსახურებს ისეთი ადამიანი, რომელიც შეესატყვისება მის წარმოდგენას ჭეშმარიტ ადამიანურობაზე. მწერლის სუბიექტივისტურ ტენდენციურობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მისი გმირები მისი შეხედულებების — სოციალურისა და პოლიტიკურის — უზრალო საყვრებელი არიან. ასეთი ნაწარმოებები, როგორც ცნობილია, აღინიშნებიან სქემატურობით. მათში შედარებით დაბალია მხატვრობის ხარისხი, მკითხველზე უშუალო გრძნობად-ემოციონალური შემოქმედების ძალა. ეს გასაკვება, რადგან ასეთი პერსონაჟები მოქმედების ნაცვლად მხოლოდ მსჯელობენ, მაშინ, როცა ამ ტენდენციური მსჯელობების აზრი უშუალოდ მათი მოქმედებების, ქცევისა და საქმეების ჩვენებიდან უნდა გამოშდინარეობდეს. ასევეა საქმე მაშინაც, როცა თავის პერსონაჟებს მწერალი თავმეფავებლად აქვს ან ავიწებს, ივიწებს, რა უძველეს და ჭეშმარიტ პრინციპებს: ადამიანებს საქმეები და არა სიტყვები აღიღებენ, ან, როგორც პი-



კასო ამბობს — „სიყვარულს დამტყვებს საქმეებით უნდა და არა სიტყვებით“. ყველას შეუძლია, ამასთანავე, დაუყვიროს, რომ ცხოვრებაშიც ადამიანი უნდა მობრუნდებოდეს განწყობილი მიყვარებულს მობრუნებულსაღმის. საკეთარი გმირით აღფრთოვანება ცილდება მხატვრობის საზღვრებს და ის უფრო პუბლიცისტიკოსათვისაა დამახასიათებელი, ვიდრე ხელოვნებისათვის. როცა ენგელს წერდა: „ეგრორი არასოდეს არ უნდა იყოს ზედმეტად აღტაცებული თავისი გმირით“, — მას სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში. ყველასათვის ნათელი, ზედმეტი და ერთგვარად მომავლებრებელი ხდება ნაწარმოებები, სადაც მწერალი კი არ ხატავს, არამედ შეჯგობებს, მიმართავს არა ხატებს და სახეებს, არამედ ცნებებსა და შიშველ იდეებს. ესადა ასეთ ნაწარმოებებში პიროვნება არის არა დამოუკიდებელი და ცოცხალი ინდივიდი, არამედ მხოლოდ იდეა და პრინციპი, რომელსაც მიყვარებული აქვს სახელი და გვარი, ასეთ ნაწარმოებებში ვერა იმიო, რომ იქ არ შეიძლება იყოს ჯემმარტი დრამატიზმი, დაკარგულია ხელოვნების საუკეთესო თვისება — ცხოვრების თრთოლა, უშუალოდ, სინამდვილის მძაფრი ილუზია. მინა კაცკის ერთ-ერთი რომანის („ქველბა და ახლები“) ნაკლად ენგელსი მიიხვედდა იმას, რომ იქ „პიროვნება (არნოლდი — ნ. ჩ.) გათქვეფილია პრინციპში“.

პირუთენელი მსჯავრდება, და არა მიყვარების, ობიექტური შეფასება და არა სუბიექტური ტენდენციურობა არის რეალისტური ხელოვნების კანონი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ სუბიექტური მიყვარების დროს მწერალი ვერ იძენს ან კარგავს მეთხველის ნდობას; მთავარი აქ ისაა, რომ ეს მიყვარება, სუბიექტური, არც თუ იშვიათად ახირებული მიყვარება ხელს უშლის მწერალს სწორად წარმოასახლოს სინამდვილეს, ხელს უშლის მას შეუნარჩუნოს ასახულ მისი ნამდვილი სახე და ბუნება. ნაცლად იმისა, რომ აიყენოს ის მოვლენები, რომელთა შესახებ მას ეს თუ ის აზრი აქვს, ის პირდაპირ ამ აზრებს ქადაგებს, მაშინ როცა მისი ვალა ამ მოვლენების ხატება.

რა თქმა უნდა, მწერლის სუბიექტურობის ტენდენციურობა არ შედგენდება მხოლოდ გადაჭარბებულ ეგოცენტრულ ქება-ძაგებაში, მსჯულობებაში, შიშველ პრინციპებასა და იდეებში. მაშინაც კი, როცა ეგოცენტრი ხატავს, ახვენებს საგნებს და ადამიანებს ობიექტურობაში, გამორიყბული აბაა სუბიექტურობის ტენდენციურობა, თუ უოველივე ეს შინაგანად, საგნობრივად და ფსიქოლოგიურად არაა მოტივირებული. ნაწარმოების პერსონაჟები, მასში ასახული მოვლენები, სიტუაციები და მდგომარეობები არ უნდა ტოვებდნენ მწერლის სოციალური და პოლიტიკური იდეებიდან, პრინციპებიდან და შეხედულებებიდან უშუალოდ და

სწორხაზოვნად წარმოშობილისა და შექმნილის შთაბეჭდილებას. პირიქით, ისინი მკითხველს უნდა ეძლეოდეს, როგორც ცოცხალი ცხოვრება, უშუალო რეალობა. მკითხველს უნდა ეჩვენებოდეს, ემოციონალურ შემოქმედებაში უნდა წინდებოდეს და წარმოშობოდეს ის იდეები, პრინციპები და შეხედულებები, რომლებიც წარმოსახულიდან ობიექტურად უნდა გამოიღონარებოდნენ.

მობრუნება „უქანასკნელ ვაგონში“, რომლის ფაბულა ზედმიწევნით ორიგინალურია და საკმაოდ ბუნებრივია, ცნობილია გერმანელმა მწერალმა ლენინარდ ფრანკმა დახატა მკითხველს განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფი და ერთგვარად ხაზი გაუსვა თავის იდეოლოგიურ ტენდენციებსაც. სუბიექტური ტენდენციურობა აქ პირველ რიგში, იმპროვიზა მოხსნილი, რომ სოციალურსა და პოლიტიკურ ტენდენციებს საფუძვლად ადამიანთა მოქმედებების მორალური აზრი ედება. ვიდრე მოქმედება განვითარდებოდეს და შეიქმნებოდეს სიტუაცია, რომელიც ყველაზე მტკიცე ხასიათის ადამიანებსაც კი აძილებს მთლიანად გამოამყვანონ თავისი ხასიათი, მწერალი მათ ხატავს ისეთებად, როგორცადაც ისინი აჩვენებენ თავის თავს პირველ შემხვედრს, როგორცადაც ისინი, ჩანან კიდეს. შექმნილი სიტუაცია, კატასტროფული და თითქოს გამოუვალი თავისი ტრაგიკული შედეგით, აძილებს მათ იქნენ იმად, რაინც არიან ამ მოჩვენებითი ნიღბების ქვეშ. უქანასკნელი ვაგონი, სადაც მობრუნების პერსონაჟები არიან თავმოყრილნი, არ იყო მიზნული წინა ვაგონებზე, მოწყვდა მატარებელს, გადავიდა სხვა ხეობაში, მიმავალ ლინდაგზე, მიექანება თავბრუდამხვევი სისწრაფით და ყოველ წუთში მოსალოდნელია მისი უფსკრულში გადახვევა. მგზავრები გათმზნული არიან იატაკზე, ვაგონის დერეფანში, ებლატუბიან და ეკვირან კედლებს, ჰყვირან და ლოცულობენ სასოწარკვეთილნი. ჰარმავი ბანკირი კუბეში ტოვებს დღედღეზე მოსამშობობებელ ცოლს, გამოდის და წიგნა დერეფანში, მისი გონება ამღვრეული სიკვდილის მთლიანებით და მასში არც ცოლი, არც ადამიანები, აღარაფერი, ვარდა ცხოველური შიშისა არ დაჩნენილა. პოეტური, რომელიც რეკლუციონერების დაქვრას, ვასამართლებასა და დასჯას თაოსნობს, ვართხმულია იატაკზე და სოციალისტ ავტორტარს, რომელიც ამავე ვაგონში მგზავრობს, პირდაპირ, გადაარჩენის შემთხვევაში, ხელისშეწყობასა და რეკლუციონისათვის ბრძოლას. ერთ-ერთი მგზავრი გადახტა ძირს, მაგრამ ხელი კიბის სახელურზე შეჩნა, ხოლო თითონ მთლიანად გაისხინა ქვიშაან მიწყაროზე. ასეთივე, მზოდს სხვადასხვა ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში იმდენ სხვა მგზავრებიც. კუბეში დატოვებულ ჭალს ფსიქიკური შეტევის ნიადაგზე, რაც მგზავრების საერთო მდგომარეობითა და მისი

ხიმატოვით არის გამოწვეული, მშობიარობა დაიწყო. არაის ესმის მისი კვილი, რადგან ყველა გაურუბულია საკუთარივე ხმით. მხოლოდ მუშა, რომელიც სამუშაოს საძებრად მიდის და უბედვროდ მგზავრობს, შედის მის-სა კუბეში, შედის მშობიარეს. მისი ვინება შედარებით დაწმენდილია, რადგან მიხეუელია უოველგვარ კატასტროფას, ფიზიკურსაც და ეკონომიურსაც. როცა ვაგონი და მგზავრები გადარჩებიან, ყველანი კვლავ იქცევიან იმად, რაშიც იყვნენ; ყველანი თანხმდებიან რომ მიმხმეული, რომელსაც უკანასკელი ვაგონის წინა ვაგონებზე მიბმა დაეიწყდა, დასახტეტი და ჩამოსახრჩობია. მხოლოდ მუშა და მეოთხ-ქმეველი საუბრობენ იმაზე, რომ მიმხმეულმა, რომელიც დიდი ხნის შანაღზე უმუშევრად იყო და რომელსაც რამდენიმე ხნის წინ სილა-ტეხსა და სიღარიბეში გარდაეცვალა ცოლი, დარღვე დაიწყო სმა და ლოთობა, ამ დილითაც მიტრალი იყო ბაჭანზე და „უიღბლოსა და უბედურს“ დაეიწყო და უკანასკელი ვაგონის წინა-ზე მიბმა. სამედიცინო პუნქტში მოვლიარე ქალს კი უჯვარს, თუ რატომ ადგას თავზე ბან-კარი, მისი ნამდვილი ქმარი და მეგობარი ხომ იქ დარჩა, ვაგონში, ასეთ განწირულ დროს თავზე რომ ადგა და ეხმარებოდა ცხადია, ეს მოთხრობა ტენდენტურია. მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ აქ სადმე, რაიმე დეტალში, რომელიც სახეში ჩანდეს მწერლის სუბიექტური ტენდენტურობა. წარმოსახული და დახატული თვითონვე ლაპარაკობს თავის თავზე, რაც ზედ-მეტს ხდის ავტორის ჩარევას, მსჯელობებს და ახსნა-განმარტებებს.

ანდრე სტილს აქვს მშვენიერი მოთხრობა ომის თემაზე, საბაერო ვინაგვისაგან შეიწინებუ-ლი მოხუცი ქალი ეზოში გაეარდება, ქეთია და ღორლით ამოვსებულ თავშესაფარში მიტრება და კრუნჩხვები მოსდის, ომი კი დიდი ხანია აღმოთვრდა. მაგრამ ომის საინერლება, მისგან მიღებული რეფლექსი ისევე ცოცხლობს ადამიანებში, ის ელანდობათ, ესოზმრებათ და კვლავ ვარბიან მივიწყებულ, ქეთია და ღორლით სავსე სარდაფებში. აქ არაა ავტორის შიშველი კადა-გება ომის წინააღმდეგ მოხუცი ქალის სახე იწყებს შემპარწყუნებულ განცდას. ამ განცდის აზრს ქალის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნები განსაზღვრავს. უშუალო ემოცია, რომე-ლიც აქ არის, ზედმეტს ხდის პუბლიცისტიკას. მხატვრობის ტენდენციაც სწორედ სინამდვი-ლისა და მისგან მიღებული შთაბეჭდილების უშუალობაშია, სურათი შექმნილია ისე, რომ იქ ადვილი არა აქვს შიშველ აბსტრაქციას, მაგრამ მისი გააზრება, თუნდაც აბსტრაქტული ანალოზი მუდამ მივიწყანს ამ სურათის ამ სა-ხით არსებობის, ადამიანის ასე მოქმედებას აუცილობობამდე, მის ობიექტურ მიზნამდე.

სინამდვილის ძირითადი, მოთვარი ტენდენ-ცია, რა ოქმა უნდა, ფიზიკურად არ ვაღმოდის 7. „მთათობი“ № 6.

ხელოვნებაში. ის მხოლოდ წარმოსახება. ამას-თანავე ამ წარმოსახებაში უკვე არის ავტორი-და მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილის ძირი-თადი ტენდენცია პირდაპირ არ ვაღმოდინება ლიტერატურაში, მის წარმოსახვას საყვანით შესაძლებელია ქონდეს ისეთივე ძალა და მნა-შენელობა ხელოვნებაში, როგორც მას აქვს რეალურად, სინამდვილეში.

ძირითადი ტენდენცია ცხოვრებისა ერთხანით სისასული არ გამოხატება სინამდვილის ყოველ მოვლენაში. მაშასადამე, თუთი ცხოვრებაში ხდება მოვლენათა ისეთი შერჩევა, რომ ერთი, — მეორეზე მეტი სისასულია და სიზუსტით გამოხატავს განვითარების ტენდენციას.

კაბიტალიზმის იმპერიალიზმში ვადაზრდისას ნაგავრდებოდა, იშლებოდა, არსებობის მიზანს კარგავდა წვრთმა წარმოებები, ჩნდებოდა კონ-ცესიები, მონოპოლიები, ამხანაგობები. ასეთი იყო სინამდვილის ერთ-ერთი მძლავრი ტენდენ-ცია. ეს ტენდენცია შესანიშნავად გამოხატა-ვნილ ზოლამ თავის რომანებში. მიუხედავად მისი სიბრალულისა იმპერიალიზმის მძლავრი აღმავლობით დაღუბულ და გასრეხილ წვრილ მესაკუთრეთა მიმართ, მას კარგად ესმის ისტო-რიული კანონზომიერება, სინამდვილის განვი-თარების რეალური ტენდენცია.

ოქტავ მურესთან ბრძოლაში ერთმანეთის მი-ყოლებით იღუპებიან, მარტედებიან ბურა, ბო-ლიუ, რობინო, გოჯანი და სხვანი, რომლებიც წვრილ მურერეობას მისდევენ, ზოლამ გამოხა-ტა სინამდვილის ეს მძლავრი ტენდენცია და მართლად აჩვენა იგი. ამასთანავე ის ხაზს უსვამს ბურჟუაზიის მჭიდროდ, მებრძოდ ხასი-ათს, მის მუდმივარლებლობას და ამგვარ ბუნე-ბას“. მაგრამ მას შინც უნდა ამ ბურჟუაზიას, მის წარმომადგენლებს, მაგალითად, ოქტავ მურეს დაეტოვოს და მისცეს, შესძინოს ადამიანური თვისებები, რომლის გამოც ისინი ასატანი და უნდა ეიფიქროთ საყვარელიც კი გახდებიან. მურე რომ მახლობელი და ძვირფასი გამმდარაიყო ისევე ბურჟუაზიის წარმომადგენ-ლისათვის, აქ მართლაც არაფერი იქნებოდა გასაკვირველი, მაგრამ მურე ახლობელი ხდება მუშათა წრის, საზოგადოების უღარბების ფე-რის წარმომადგენლის დენუნა ბოლდუსი. აქ ხდება საოცარი დარღვევა სინამდვილის ძირი-თადი ტენდენციისა — ნაცვლად ბრძოლის გზი-სა, ბურჟუასა და მუშას შორის იდება სიყვარ-რულის ხიდი. და მიუხედავად ამ „აღლატისა“ სინამდვილის მიმართ, ზოლა ბევრ მომენტში ანეთიარებს სწორ თვალსაზრისს. მთავარი სწო-რედ ისაა, რომ ზოლასათვის ყველაზე მეტად ადამიანური, წმინდა, სპეტაკი მაინც არის მე-შათა კლასის წარმომადგენელი. თავისი სისპე-ტაკით, სულიერი სილაშობით ის აებრბებს ჩარ-ნი მურეს „გვარდაქმნას“. აი, როგორ წინააღ-მდეგობებში მოდიან აქ სინამდვილის ძირითა-დი ტენდენციები და როგორ ტყდებიან, იშ-

ლებიან მსინი აღმართა ხასიათებში. ზოლამ კარგად და ნათლად დაინახა მუშათა კლასის საოკრის სუღერი ძალა, მაგრამ ის გამოიყენა სურათის მომთინიერებლად, გარდამქმნელად, გამაყვითლობებლად და არა მის დამმარცხებლად, არა მის გამანადგურებლად.

რამე მოვლენა მაშინ არის შემეცნებელი, როცა ვაგებელია მისი მიმართება სხვა მოვლენებთან, ვაგებელია მისი აღვლილი სურათი განვითარების უკვეთიან, ე. ი. შემეცნებელია მისი არსებობისა და განვითარების ტენდენცია. ამასთან როგორც მოვლენის, ასევე ტენდენციის ინტერპრეტაცია, მათი ავტორისეული შეფასება დამოკიდებულია პირველ რიგში და ძირითადად თვით მოვლენაზე და მისი ტენდენციის ბუნებაზე, და შემდეგ ავტორის მსოფლმხედველობაზე და მის სოციალურ ურთავზე.

როდესაც ვლაპარაკობთ ავტორის სუბიექტივისტურ ტენდენციურობაზე, არ უნდა ავტორით არა რამე ერთ შემთხვევაში ობიექტურ ტენდენციას ავტორი ზედმეტი ცხოვრების არა იმ მოვლენებში, რომლებიც ნამდვილად ატარებენ ასეთ ტენდენციას. აქ საგანთა ობიექტური განვითარების კანონზომიერებას ცვლის ავტორის ყალბი, არასწორი წარმოდგენა ამ განვითარებასა და მის შედეგებზე. მეორე შემთხვევაში კი, მიუხედავად ავტორის მიერ სინამდვილის სწორი გაგებისა, ის შეგნებულად არ უშვებს მხარს, ებრძვის მოვლენათა ობიექტურ ტენდენციას. ამით ის გამოხატავს გარკვეული საზოგადოებრივი ფენის ტენდენციას. ის ცდილობს არა მარტო გამოხატოს საკუთარი, თავისი კლასის ტენდენცია, არამედ ცხოვრებისეული სამართლის მინიჭებით სამსუღოშიც ვაგებოს იგი.

რეალისტური ლიტერატურისათვის საერთოდ ისაა დამახასიათებელი, რომ მასში მხატვრულად წარმოსახული მოვლენები ძირითადად ინარჩუნებენ თავიანთ ნამდვილ ტენდენციას, ზნირად მაშინაც კი, როცა ავტორთა პირადი სიმპათიები, და ესეც იგი ტენდენციაც, მიმართულია მის წინააღმდეგ.

ავტორთა ტენდენციურობა უმთავრესად გამოიხატება მათ მიერ შექმნილ ლიტერატურულ სახეებში. როგორებიც არ უნდა იყვნენ ეს ლიტერატურული სახეები, ავტორთა ტენდენცია გულისხმობს არა მხოლოდ მათს ნამდვილ რაობას, არამედ საკუთარ დამოკიდებულებას მათდამი, მათ სიყვარულსა ან სიძულელს. მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების უარყოფითი პერსონაჟები, მიუხედავად მათი უარყოფითობისა, ისე არიან დახატულნი და გააბრუნებულნი, როცა ნაკლებ ზიზღისა, ზნირად აღძრავენ მკითხველებში თანაგრძნობასა და სიყვარულსაც კი. რა თქმა უნდა, აქ საკმე გვაქვს მწერლის მიერ სახის არა სწორად შექმნასთან და მათ არა სწორ შეფასებასთან.

ტენდენციურობის საკითხი სხვადასხვაწიარად დგას რომანტიზმისა, კრატკულ რეალიზმისა და

სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ ლიტერატურაში.

რომანტიკული პიკერბოლა უკნელ მუტრესკი უღარესად წინ სწევენ, ძალზე უხეშად უსმევენ ავტორთა ტენდენციებს, სინამდვილის ტენდენციების ავტორისეულ ახსნასა და შეფასებას. ამას განსაზღვრავს თვით რომანტიზმის ბუნება. სიტუაციები და გეოგრაფიანი, სადაც ლიტერატურულ სახეებს უხდებოთ არსებობა და განვითარება, რომანტიკულ ლიტერატურაში არიან უფრო ნებისმიერნი, „ცხოვრებისეულ ფორმას“ დამორტებულნი, ვიდრე კრატკულ რეალიზმსა ან სოციალისტურ რეალიზმში. ერთის მხრივ რომანტიკული სახე მოითხოვს თავისებურ, მის შესაფერ სიტუაციებს არსებობისათვის, ზოლო ეს სიტუაციებიც იქმნება სწორედ სახეთა შესაძლებელი განვითარების შესაბამისად (გაიხსენოთ გუინილენი და მისი გამოშვება ლორდთა პალატაში). მიუხედავად იმისა, როცა ასეთ სახეებს მკითხველებში შექმლია გამოიწვიოს დიდი აღფრთოვანება, ერთგვარი გაყვირება და შექმლია კიდევ მკითხველი განაწყოის ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის მაინც ვერ შეეღრბა რეალისტურ სახეებს, რომლებიც არსებობენ და მოქმედებენ, იბრძვიან და ვითარდებიან ჩვეულებრივ (თუმცა მაკრად შერჩეულ, ეპოქისათვის ნამდვილად და დამახასიათებელ) სიტუაციებში და ძალზე ახლოს არიან მკითხველთა ცხოვრებასთან, სწორედ მათი (ამ სახეების) ცხოვრებისეული სიმართლის გამო. ამიტომ ტენდენცია კრიტიკულ რეალიზმში უფრო ახლოსაა თავისი არსებობის ფორმით სინამდვილის ტენდენციასთან, ვიდრე რომანტიზმში. ავტორთა ტენდენციაც კრიტიკულ რეალიზმში უფრო ახლოსაა საზოგადოებრივი ფენების ნამდვილ ტენდენციებთან.

რეალიზმი სწორედ იმითაა კარგი და სხვათაშორის განსხვავებულიც აბარეალისტური ხელოვნებისაგან, რომ იქ ავტორთა სუბიექტივისტური ტენდენციურობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ავტორთა, საგანთა და სახეთა ტენდენციები განუშორებელია ერთმეორისაგან. ესაა შედეგი სინამდვილის ღრმა ცოდნისა და მიზეზი ნაწარმოების კეშმარიტებისა, მასში წარმოსახულ მოვლენათა და სახეთა რეალისტურობისა, დამაჯერებლობისა და ცხოვრებისეულობისა, როცა ავტორი პირადი სურვილების, მუხედულებების, იდეების კეშმარიტად შესატყვის ტენდენციებს აღმოაჩენს მოვლენებსა და აღმართებში და მხატვრულად წარმოსახავს მათ, — ის უკვე დაზღვეულია მშრალი, ყალბი ტენდენციურობისაგან, დაზღვეულია, რადგან მას უკვე არ ჰქირდება სუბიექტური იდეები ნებისმიერად მოახვიოს თავს მოვლენებს — ისინი თვითონ, ობიექტურად გამოხატავენ მას, რაც მათშია და რაც ავტორმა შეიკნო.

ცხოვრებისაღმე, მის კანონზომიერებებისაღმე ერთგულუბა არის ის მთავარი პირობა,

რომელიც ხელოვანს საშეალებას აძლევს შექმნის რეალისტური ლიტერატურული სახეები. რეალისტი მწერლის მიერ შექმნილი სახეები მხატვრულად წარმოქმნიან ცხოვრებას და ხაზს უსვამენ თვით ცხოვრებაში ნამდვილად პროგრესულა და რეაქციული ტენდენციების მატარებელ მოვლენებს, მიუხედავად პირადი სიმპათიებისა. ამას მოწმობს ბალზაის შემოქმედლების ინველისტიული შეფასება მის წერილში მარგარიტა პარტენისადმი, საიდანაც ნათლად შეიძლება გარკვევა ავტორის პირადი ტენდენციებისა (როცა ისინი შეიძლება არ ეთანხმებოდნენ სინამდვილის ტენდენციებს) და ცხოვრების რეალური ტენდენციების ურთიერთობის საკითხისა რეალისტურ ლიტერატურაში, კერძოდ კრიტიკულ რეალიზმში ბალზაის მავალიონზე.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ ლიტერატურაში ტენდენციურობის საერთო დღას მთლიანად აბლევირად. აქ უკვე გარკვეულია არა მარტო ლიტერატურის ტენდენციურობის, არამედ მისი პარტიულობის საკითხიც. უფრო მეტიც, თვით პარტიულობა გვევლინება აქ ზღვებურობის უმაღლეს ფორმად. როცა ნათელია სინამდვილის განვითარების ტენდენცია, როცა ამ ტენდენციაზე არსებობს ზუსტი და ზრამა შეცნობილი კოდანი, შეუძლებელია მისი უგულვებელყოფა და გაუთვალისწინებლობა ლიტერატურის მხრივ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, განვითარების ტენდენცია მკლავდება მრავალ ფორმაში. მისი ზუსტი შემსწავლა და ხაზგასმა შეუძლია მოითხოვს მწერლის ფიზიკლ თვალს. ამასთანავე საკითხის ეს ერთი, თუმცა არსებითი და თითქმის გადაუმწყვეტი მხარე, როდი გამოირიცხავს შიშველი ტენდენციურობის საფრთხეს ჩვენს ლიტერატურაში.

გამოდის რა სინამდვილის ძირითადი ტენდენციიდან — რომ განვითარებას თანდათან მიუყვართ კომუნისმისაცენ — მრავალი მწერალი ვერ ზედავს თვით ამ განვითარების სიძნელეებს, ჩქმალავს დღევანდელ უარყოფით მოვლენებს. განვითარება კი წარმოუდგენელია სიძნელეების დაძლევისა და მათზე გამარჯვების გარეშე. განვითარება ფაქტიურად ნიშნავს წინ წასვლას დღევანდელი მდგომარეობიდან. მაშასადამე, დღევანდელ დღესაც უღალია აბსიათების ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოშობენ უკეთესის მოთხოვნისა და შექმნის სურვილს. ამიტომ ავტორის ტენდენციურობა უოველთვის არის ახლის მხარეზე, მაგრამ თუ დაივიწყებ, რომ ამ ახლისათვის საჭიროა ბრძოლა, თუ დაივიწყებ, რომ ამ ახლისათვის ბრძოლაში აუცილებელია წინამძღვრობისა და მათი გადაღაბვა, ისე, რა თქმა უნდა, მწერლის ტენდენციურობა კარგავს სიმართლეს, ობიექტურობას, ძალას. ექმნება სასიშროება ნაწარმოე-

ბისა და სახის არა მარტო უღიმღამობისა, (რადგან უღიმღამოა კაცო, რომელიც არ იბრძვის, არ ძლევს, არ ძაბავს მთელს ენერჯიამ ამ ბრძოლაში), არამედ სასიშროება სინამდვილის შეფერადებისა, უკონფლიქტო განვითარების აღიარებისა და უკონფლიქტო ცრუხელოვნების დამკვიდრებისა.

საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ასახვა განვითარებაში, პერსპექტივაში, ამასთანავე ის არცთუ იშვიათად იძლევა მომავლის სურათებს ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით. მაგრამ ტენდენციურობისათვის, რომელიც ავტორს შეაძებს ნაწარმოებში, საფუძველს უნდა იძლეოდეს თვით წარმოსახული სინამდვილე. ამიტომ არგუმენტაცია უნდა ხდებოდეს არა იმდენად თეორიულზე დაერწინებით, არამედ უშუალო, რეალური მოვლენის ჩვენებით, მისი კანონზომიერების შეცნობითა და წინწამოწევივით.

ენგელსის თქმა, რომ „სოციალისტური, ტენდენციის თქმანი მთლიანად ასრულებს, ჩემი შეხედულებით, თავის დანიშნულებას, რეალური ურთიერთობების მართალი გამოსახებით“, — თავის სასიცოცხლო ძალას იწარჩუნებს ჩვენს დღევანდელ, საბჭოთა ლიტერატურის მაგალითზე.

მხატვრობის სპეციფიკა არ უარყოფს ტენდენციურობას. პირიქით, მხატვრობა ყოველთვის, ყოველ დროსა და ეპოქაში ტენდენციური იყო. მაგრამ ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში ეს ტენდენციები ვასაგებდენი, განვითარებულნი არიან, ამ ტენდენციებზე ლაპარაკობს არა ავტორი, არამედ მის მიერ ზედმიწევნით ზუსტად და ბუნებრივად წარმოსახული სინამდვილე. როგორც ენგელსი წერს, „რაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებებით, მით უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის“, და „ტენდენცია თავისთავად უნდა გამოამდინარეობდეს მდგომარეობებიდან და მოქმედებებიდან, ამაზე განსაკუთრებული მითითების გარეშე“.

ტენდენციურობის საკითხის ეს კლასიკური ფორმულირება საფუძველია ლიტერატურული სახის ტენდენციურობის გარკვევისათვის. მართლაც, როგორც უკვე ვთქვით, არ არსებობენ არა ტენდენციური სახეები, მაგრამ მათი ტენდენციურობა, ან უფრო ზუსტად, მათში გამოხატული ავტორის ტენდენციები, უნდა იყვნენ განსაზღვრული რეალური, ცხოვრებისეული წინამძღვრებით, სახის ბუნება და არსება უნდა ეფუძნებოდეს იმ სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ, ესთეტიკურ და პრაქტიკულ გარემოებს, რომელშიც ის წარმოიშობება და არსებობს. ამავე დროს თვით მდგომარეობა-გარემოებანი და სიტუაციები, თავის მხრივ, უნდა იყვნენ ტიპიური საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული ისტორიული გეპისათვის.

## ანდრო სანდროიძე



### ანდრო ლომიძის მოთხრობები

ანდრო ლომიძეს იქვს ერთი ლირიკული ესკიზი — „ორმოცდაათი წელი“, რომელშიაც იგი ამბობს: „ორმოცდაათი წელია რა მცირე, რა უმნიშვნელო ნატეხია უსასრულო ეამისა! მე მინდა ბავშვივით მუდამ შევხაროდე მზის ამობრწყინებასა და ჩასვენებას, მე მძულს სიკვდილი, მეგობრები კი მეტყუებიან — შენი გონება ვერ შეინახავს ათი ათასი წლის მანძილზე ნახულსა და გაგონილს, ნაფიქრსა და ნაგრძნობს — უკვდავება შეუძლებელიაო. დე მიღლატოს შესივრებაში, დავიწყების ფენჯმა დე წამალის თვალწარმტაცი სურათები ჩემი წარსულისა, სიკვდილს მე დაუთმობ წარსულს, იქ თარგმოს და იბოვიანოს, ოღონდ აქმყოს და მომავალს ნუ შეტეხება...“

კარგი და მართალი სიტყვებია. ნახევარი საუკუნე მართლაც უმნიშვნელო ნატეხია უსასრულო ეამისა, მაგრამ ერთი იდამიანის და ისიც მწერლის ცხოვრებაში გარკვეულ ანგარიშგებას მოითხოვს. და აი, თავისი ცხოვრების ორმოცდაათი წლის თავზე ან. ლომიძემ გამოაქვეყნა სქელტანიანი წიგნი „ზღვასა და ხმელეთზე“, რომელიც წარმოადგენს სწორედ ასეთ ანგარიშგებას მშობლიური ხალხის წინაშე. ამ კრებულში მთელი თავის სიაყვარვით გამოჩნდა ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენლის შემოქმედება.

საერთოდ მწერლის, და ამ შემთხვევაში, პროზაიკოსის შემოქმედების განხილვისას აუცილებელია მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებაც. (სამწუხაროდ, ჩვენში თითქმის ვერ ნახავთ ისეთ წიგნს, ავტორის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები რომ ახლდეს თან, მეთხველებს კი ძალიან აინტერესებთ მწერლის მიერ განვილილი გზა). ან. ლომიძეს მეტად საინტერესო და თავისებური ბიოგრაფია აქვს. ჩვენს წინ არის მისივე ხელით დაწერილი ლაქონიური, მაგრამ ბევრისმეტყველო სტრიქონები:

„დავიბადე 1907 წელს, ქალაქ ფოთში, ზღვის პირას. 1921 წლამდე ესწავლობდი ფოთში, მერე თბილისში (ეყავი მეორე ვიწმინდა-ში). 1923 წელს ისევ ფოთს დაუბრუნდი, ვმუშაობდი ქვის მტეხელად, მტვირთავად, მატროსად, ათისთავად, ზეინჯლის თანამშემედ, წყალ-

მყენითავეს შენიშნე და ა. შ. 1930 წელი დავყავი მოსკოვის მახლობლად, სატყუო მეტრინებაში.

...ბავშვობიდანვე ხარბად დავეწევე წიგნებს — მხატვრულს, მეცნიერულს, განსაკუთრებით მიტაცებდა ფილოსოფია. სიტყვაში არა მქონია, რასაც წავაწყდებოდი, ვკითხულობდი. ჩემ-ჩემად ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს, განსაკუთრებით მიტაცებდა პოეზია.

...1929 წელს ვმუშაობდი მაშველად, 12 იდამიანი ვიხსენი ზღვაში დაღუპვისაგან.

...მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ (1930 წელს) ავტორების მსმენელი გახლდით.

...1931 წლიდან ვმუშაობდი პრესის მუშაკად: ფოთის საქალაქო გაზეთის რედაქტორის მოადგილედ, თბილისში — პროლეტარული სტუდენტობის გამომცემლობის გამგედ, კოლხიდ-მშენში — მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად. შემდეგ ისევ მეზღვარის პროფესია, ხოლო 1939-40 წლებში ვიყავი შავი ზღვის პოლიტგანყოფილების სისტემაში — ფოთის ნავსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად“.

ან. ლომიძე სამწერლო ესპარეზე გამოვიდა, როგორც კრიტიკოსი: 1930 წელს დაიბეჭდა მისი წერილები რ. ვეტიანის („განათლების მუშაკ-ში“) და ალ. გომიშვილის („ახალგაზრდა კომუნისტში“) შემოქმედების შესახებ. 1940 წლიდან ან. ლომიძე საბოლოოდ დამკვიდრდა დედაქალაქში და მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მოღვაწეობას. დღემდე მას გამოცემული აქვს თორმეტი წიგნი. თავის პატარა მოთხრობებსა და ნოველებში ან. ლომიძე ძირითადად ხატავს სწორედ „ნახულსა და გაგონილს, ნაფიქრსა და ნაგრძნობს“. ამიტომ არის მისი შემოქმედება გულწრფელი და დამაჯერებელი.

ორიოდ სიტყვა საერთოდ მოთხრობისა და ნოველის შესახებ. რუსულ ენას მოებოებებტერმინები ნოველა, მოთხრობა და „Повесть“, ჩვენ კი მხოლოდ პირველი ორი ვიყავს. ეს გარემოება ხშირად უხერხულობას იწვევს. ზოგჯერ „Повесть“-ის ტიპის ნაწარმოებს რიხით არქმევენ რომანს. საქმარისიო ლიტმეოდნეო-

ბის უბრალო სახელმძღვანელოში აღამაინა წაყიფთხოს „რომანის“ განმარტება, რომ იღარ მიაწერონ ეს სახელწოდება მხოლოდ და მხოლოდ დიდ მოთხრობას. ზღვაა ასეუ — პატარა მოთხრობას ნოველს არქმევენ, მათ შორის კი არსებითი განსხვავებაა. ასეა თუ ისე, პატარა მოთხრობა და ნოველა პროზის ურთულესი განზრახა და მწერლისაგან განსაკუთრებულ ისტატობას მოითხოვს. გავისხენით დიდი ფრანგი მწერლის ანატოლ ფრანსის სიტყვები: „ნოველებს კრებულებს ვაცილებით ნაკლები მკითხველი პუყთ, ვიდრე რომანებს, სულ უბრალო მიზნის გამო: რომ დასტებ მშვენიერი ნოველით, უნდა გქონდეს დაზვეწილი გეჟონება, მაშინ, როდესაც ლიტერატურულად გეჟმადარნი განერჩეველად უღაპავენ კარგ, საშეალო და ეუღ რომანებს. ეს არ იქნეაოდა კიდევ დიდი უზედერება, რომ ნიჟიერი მწერლები, რომელნიც თაჟიანთი აუღტორიის გაფაროთობისაკენ მიისწრაფიან, არ ეღილობდნენ ჩვეულებრივად ზედღებუდ გამოუშვან რომანები, არ იყვენ დაზვეუღნი ითხის გვერდზე იღამარაკონ იზაზე, რასაც უყეთესად იტყოდნენ იციოტე გვერდზე“. მოკლედ, ლამადარული სტრუქტურით წერა ყველაზე რთული ხელკონებაა და ამის შესახებ მოსწრებულად აღმოხს იქვე

ა. ფრანსი: „განა უბრალო ზრდილობა არ მოითხოვს, რომ მწერალი მოკლედ სწერდეს?“

ქართულ პროზაში მოზრდილი მოთხრობები სქარბობდა იმთაჟივე და დღესაც იმთაჟითი ჩვენში ბელეტრისტი, რომელიც მხოლოდ პატარა მოთხრობებსა და ნოველებს სწერდა.

ყველამ სცადა კალამი და უმარგულესობამ წარმატებითად დიდ მოთხრობებსა და რომანში. შეიღლება იოქვას, ერთადერთია ან. ლომიძე, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა მცირე ფორმიანი პროზაული ნაწარმოებისა — მისი ყველაზე დიდი მოთხრობა „ნაღები და ყვაიღები“ თოთხმეტი გვერდიც კი არ არის.

როგორც მზატარს, ან. ლომიძეს ბევრი თავისებურება ახასიათებს. მან წლების მანძილზე გამოიმუშაე შემოქმედების საკუთარი სტილი, რომელიც რელიეფურად გამოირჩევა თანამედროვე ქართულ — პროზის საერთო ფონზე. დაწყებული თემების მკაცრი ლოკალიზაციით და დამთავრებული ითქვის შეუმჩნეველი დეტალების მარჯვე გამოყენებით, ან. ლომიძე ქმნის თავისებურ, ორიგინალურ ტონს ჩვენს ლიტერატურაში, თემატურად მწერალი ზღვისა და ნადირობის მომღერალია (რა თქმა უნდა, არს გამოჩალისებიც). სამარბლიანად შენაშნა აკ. ბელიაშვილმა ერთ თავის წერღიში, რომ ან. ლომიძე „ქართული მარინისტული პროზის ფუჭემდებელიაო“ მართლაც, ქართულ პროზას არავითარი ტრადიცია არ გაინდა ზღვის თემის დამუშავებაში, ზღვის თემისა,

რომელიც მრავალ სინტერესო მასაღს იღლეა ამაღუელებელი ნაწარმოებების შესაქმნელად. ან. ლომიძის შემოქმედებას ეს ერთი საგულისხმო მხარე კარგად შენაშნის რუსმა მწერლებსაც მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელკონების დეკადის დროს. იი, რას სწერდა ცნობილი რუსი პროზაიკოსი, პატარა მოთხრობების ისტატი იერი ნავებინი:

„სინტერესო ნოველისტის — ანდრო ლომიძის სანუყარი თემები — ზღვა, ნადირობა, თეზაობა, მშობლიური ქვეყნის ბუნება. იგი წერს იმის შესახებ, რაც ღრმად და ყოველმხრივ აქვს შესწავალი. ამიტომ მისი მოთხრობების წიგნი ზვერ ასაღს აუწყებს მკითხველს აღამაინებასა და ბუნებაზე“.

ან. ლომიძეს არ იტაცებს მოთხრობის სიღუეტის მძაფრი გაშლა, არც ყოფითი დეტალების ყოველმხრივ ასახვას მისღებს, მისთვის დამახასიათებელია ნაწარმოების შინაგანი აუღერება, თითქოს შეუმჩნეველი ნიუანსებითა და ლირიული შეეღმსტებით აუცილებელი ატმოსფეროს შექმნა. ამიტომია, რომ მწერლის საუეტოესო მოთხრობები გამოირჩევა აღამაინტრია გრმობების სიღუეით, სიღაქიზითა და თითქოს გამჟვირავად სტრიქონებით, ყოველივე ეს ქმნის ე. წ. „ხელწერას“ მწერლისა, რომლის ნაწარმოებსაც რამდენიმე სტრიქონითაც კი იცნობს დაკვირვებელი მკითხველი.

თავის მოთხრობებსა და ნოველებში ან. ლომიძეს ხშირად გამოჟყავს ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის, რანდი და კეთილშობილი აღამაინებები. ასეთებია ინიენერია ანდრო ჟაჟარაიძე („წყალიღობა“), მოზუცი იაკობი („სიციცხლის ზეიმი“), ჰლარა კაიბტანი და მისი ცალბელა ვაჟი („ზღუეირი“), მეზღუეურები — შალვა ლომსაძე („ხელკონება“), ღვენა ჩხარტიშვილი („მშობლიური“), ლაერტნი ვოგინავა („ეცესღარეში“) მებრძოლი გღუეაკები — დემნა და რემა („ნაღები და ყვაიღები“) და სხვა.

შეუღლებელია კრებულში მოთავსებული ყველა ნაწარმოების განისღვა (სახეღვეუ მოთხრობების ჩათვლით მათი რიცხვი თოთხმოზე მეტი) და ეს არც შეადგენს ჩვენს ამოყანას. მთავარია მოენახოთ დამახასიათებელი ნაწარმოებები და მათ მგაღითზე განუზოგადოდ მწერლის შემოქმედების თავისებურება.

...თუთგვარადღუელებისათვის მისაწოდებელი იარაღით დატვირთულ ხომალდს მეზღუერი ღუენი ჩასობრავს და დღით დაობღებულ შეიღთან ერთად ლაზუთისაკენ გასწეებს. ზღვაზე მეტად სახიფათო მოგზაურობის შეღღგ, ისინი სამშეიღობოს გააღწვეენ, თავიანთ სახლვარგარეთელ ძმებთან იწყებენ ცხოგრებას და საქართველოში საბჭოთა ხელისუღღების დამყარების შეღღგ ბრუნღებინ. ასეთია შედარებით ერეული მოთხრობის „მშობლიურის“ სიუჟეტური ქარგა. მოთხრობაში კარგად

გადმოცემული ლაზების დუხჭირი ცხოვრება თურქთა ბატონობის ქვეშ, მათი ჩაუჭირალი პატრიოტული სული. აი, პატარა ვერამისა და ისმაილის დიალოგი:

—...სარდაფში ძალიან დიდი ქვევრები ვააქვს. შენ არ იცი, მამამ საიდან მოიტანა ქვევრები, — ისმაილის თვალებში აღტაცება გამოიხატა. — თურმე მამა მიწის თხრიდა და ქვევრებს წააწყდა. ქვევრები ლამით გადმოიტანა და სარდაფში ჩაადლა. მამამ თქვა: დიდი ხნის წინათ აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ეს ქვევრები ქართველებმა გააყეთესო. მამამ ქვევრს აყოცა და იტარა.

— ჩემმა მამიკომ მოხრო — ლაზეთში ქართველები ცხოვრობენო. შენც ქართველი ხარ?

— ქართველი ვარ, მამ ვინ ვიქნები? — იწყინა ისმაილი.

ვურამი მიხვდა, რომ ისმაილს აწყენინა, გადახვია ხელი და თვალებში ჩახვდა.

მეზღაურთა ცხოვრების კარგ ცოდნას ამჟღავნებს ავტორი მოთხრობებსა და ნოველებში: „ხელოვნება“, „უკვდავი ნათელი“, „ზღვაური“, „მოზუცი კაპიტანი“, „ქარიშხალი“, „ცეცხლფარეში“, „ნამავალი შთაქარის შექმნა“ და სხვ. შერჩეული დამაჯერებლად მოუთხრობს მკითხველს ზღვის ბოზოქარ ტაღლებსა და მეზღაურთა არა ნაკლებ ბოზოქარ ცხოვრებაზე, მათ ვაჭაკობებსა და თავდადებებზე, სიყვარულსა და ტყიობებზე. შეტად კოლორიტულია ამითვან „უკვდავი ნათელი“. რეეოლუციამდელი პარტიების ბნელი ცხოვრება, ყოველდღიური „აყალ-მაყალი რესტორნებში, ზეუბთებისა და მუშტი-კრივის ტრიალი. აი, როგორი დიალოგი იმართება საპატიმროში ჩხუბისათვის დატუსაღებულ მეზღაურსა და მებად ქალს შორის:

— ასეთი ღამაში როგორ გაიკვირეს?

— მსუბუქი ყოფიანყვეის შადონა ვახლავარღვარქლიანად მიიასება.

— მართალი თქვი.

— მართალი ვეუბნები, რატომ არ ვაკერა? — საბნდინდ ვამოჰყო თოვლისფერი, ჩამოქნილი კანკი, — არ მოგწონს?

— სულყო, კანკს რატომ მიჩვენებ?

— სულელი თვითონ ბრძანდები. ფუ, რა საძაფელი ყოფილხარ, სახე კი ასეთი ვაჭაკური ვაქვს. ამ საინტორიუმში ვინ მოგათავისა?

— ვინზეუდ და დამაპტიმირეს.

— მამ, მოხზუბარი ხარ? — ვადიხარხარა.

— შედავობისათვის ზიხარ აქ?

— დიახ.

— ღამაში ფეხი გქონია.

— აი, შე წუწყო, თოქოს მტრქსავ — კანკს რატომ მიჩვენებო, თვალა კი ზედ დაგჩანა? დიკარზე აქედან, გაეცალე ფანჯარას, თორემ გუშავს დეუძახებ.

— რა გაყვირებს? ზედამხედველი გაიგონებს...

— ნუ იფურები მეღასავით, დიკარზე შე

წუწყო, მსუნავო, ვანა მე მხოლოდ კანკი ვარ? მეუ მინდა ადამიანური ცხოვრება, ვანა მე მხოლოდ კანკი ვარ? ლუკმა პურისთვის ტუნდა დავუწვიე თქვენთანაო ოხერსა... და მუდრეკეს... დამის ნაცელად, რომ შემეიკოლოთ, ვზახე დამაყენოთ, ციხეში მამყოფებო? ოხრებო, საზიზღრებო, ძაღლებო!..

ეს დიალოგი ათეულ წლებს წინათ გაიმართა და მასწავ ნათლად ჩანს ნეფისდროინდელი ცხოვრება მთელი თავისი სიგრძე-სივანით. „ვანა მე მარტო კანკი ვარ?“ — აღმოფოთებით იმეორებს შედაგი და მართლაც, პირველ რიგში ის ხომ ადამიანი და მხოლოდ ვაკირებამ გადააქცია საკუთარ სხეულში მოვაკრედ.

ხოლო ან. ლომიძის სხვა მოთხრობებში („განაჩენი“, „ხელოვნება“ „ომი და სიყვარული“, „ქარიშხალი“) აღწერილია ჩვენი, საბჭოთა მეზღაურების ჯანსაღი და ვულწრფელი სიყვარული. რა დიდი განსხვავებაა ზემოთმოყვანილ დიალოგსა და ამ მოთხრობებში ზღვის სანაპიროებსა თუ გემბანზე შეყვარებულ ქალ-ვაჟთა საუბრებს შორის.

სამწახვარი გვერდი არც კი არის მოთხრობა „მამა“, მაგრამ ბევრისამტყეია... ფრონტიდან შეებულებით დაბრუნებულ ანდროს შინ უბედურება დახვდება — მამა აღარ ჰყავს. დიდი ადამიანური სითმითაა გადმოცემული ანდროს სულიერი მღვთმარტობა, ტკბილი მოგონებები მამაზე... მას აღარ სურს დარჩენა სოფელში და იმავე ღამეს ისევ ფრონტისკენ მიემდრება, რათა შერი იძიოს მუხანათ მტერზე, რომლის ბოშებმაც იმსხვერპლეს საყვარელი მამა. ამავე მოთხრობაში ან. ლომიძისათვის ჩვეული ოსტატობითაა დახატული ზღვის პეიზაჟი:

„ზვირთები ჯავშინა კვლავს ეჯახებოდნენ, იმხერკოდნენ, ქაფდებოდნენ და მხელოთ მიექანებოდნენ იქითენ, სადაც ალეს ხის სილუეტს არწედა ქარი. ხანგამოშვებით უზარმაზარი ტალღა გამოჩნდებოდა, კესიერის უკონა ნაწილს მიენარცებოდა. წულის შეფეხს ვეშანზე ისროდა, მერე შუაზე იქებოდა, ბომალის გვერდებს ჩაერბენდა, კრეისერის ცხვირთან ერთდებოდა, გარბოდა და თან მამქონდა მთვარისფერი ქაფი.“

სამგორის არხის მშენებლობაზე ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ნაწარმოები დიარება. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა „სეზონური“ აღმოჩნდა და ჩქარა მიეცა დავიწყებას. თავისებურად გააშუქა ეს თემა ან. ლომიძემ თავის მოთხრობაში „სიოცოცხლის ზეიმი“ და ეს ნაწარმოები ნამდვილად გაუძღვებს დროის გამოცდას, ამდენად ამდლებულად და განზოგადებულადაა აქ გადამწყვეტილი თემა. ავტორმა აქაც ის უღელბა სიყვარულ სტაქიას. აქაც შემოაქვს ზღვის ხმერი — ამ მოთხრობის მთავარი გმირი ვიორა — მეზღაურთა დიახ, მთავარი, თუმცა იგი სრულიადც არ

მოქმედობს მოთხრობაში, ფრონტზე დაიღობა სამამულო ომის დროს. მაგრამ გაორჯის სული აქ ტრიალებს, სამგორის ვახანტუკელ ველებზე, რომელთა მორწყვასაც ოცნებობდა იგი. მისი აზრდილი აღფრთოვანებს მოხუც მამას მუშაობაში. დიდ ბოღმას იმარხავს გულში მოხუცი აკაობი, რომელმაც შეიღის ვაჟაკურად დაღუპვის ამხავი გაიგო და ოჯახში კი ყველას უმაღავს — შეუღლეს, რძალს, შვილი-შვილს... ამიღებებს მათ, რომ შორეულ ნაოსნობაში გაუგზავნიათო. უბედური დედა კი ფოსტალიონს გულისფანცქალით შეპყურებს ხელში, სალომესათვის რომ გვეთხათ — როგორი ცხვირი ან ტუჩები აქვს ფოსტალიონს, ვერაფერს ვერტყადათ. სამაგიეროდ მან კარგად იცოდა „მარჯვენა ხელის ნეჯზე ორი მუჭევი ეკადა ფოსტალიონს, ხოლო სალოკი თითი შუაზე ჰქონდა მოკვეთილი“. (კარგად დანახული დეტალია). ბოლოს აღსრულდა ხალხის ოცნება: „დიდლიღოს ირგვლე ბაღები ვაამენეს, ვაზი ჩაყარეს. იოსფრად, ვარდისფრად, თოვლისფრად აყავდა ზეხილი. აყავალებულ ხეხილს პეპელა ეტანებოდა. თითქოს პეპლები კი არა, ყვავილები დაფრინავდნენ ხიდან ხეზე. სამგორის მუღამ ტრეტელი მიგები ხშირი ბურქნარით, მსუქანი ბალახითა და იოსფერი, ოქროსფერი, თეთრი ყვავილებით შეიშისა. ბურქნარში შელა, კურდღელი და ვნოლი ამინავდა“. პატარა შალვა პაპა იაკობს პირველ ჯეჯილს მოურბენინებს. აზვირთებულ ჯეჯილს გაახედავს მოხუცი და ჯიბიდან ამოიღებს დაღუბული შეიღის ნაქონ ნიყარის სათუფუნეს, რომელიც „გულვიით ფეოქავდა და ზღვასავით ხმარობდა“, თითქოს ცოცხამარებდაც იგრძნო გაორჯი: ამ თავისი ვანუხორციელებული ნატერის ახლომა.

ცხოვრების მეტად მტკიცეულ საკითხს ეხება მოთხრობა „თებრონე და მზია“. ჯერ ხომ კიდევ არაა ჩვენს ირგვლე აღამიანები, როგორცაა ლონგინოზი, უმადური შვილი — თავისი მოხუცი დედა რომ მიატყავა უბატრონოდ. საცოდავი თებრონე ყველას უმაღავს თავის უბედურებას. დედური სიამაყე არ აძლევს ნებას გაამიღავნოს. საიდუმლო. აი როგორ პასუხობს იგი მზიას, რომელმაც კარგად იცის მოხუცის გულის ნაღები:

„ლონგინოზი ეცხმარებათ? — წამოცდა მზიას, სალოკი თითი მყის პირში ჩაიდო და იკბინა.

მზიას შეუთხვამა ჯერ გააბრუა თებრონე, იგი აზრმიუცემლად, თვალდაუხამამებლივ მის ჩერებოდა დანუვლ, დარცხვილ გოგნას. მერე წამოჯდა, შეკურად შეკურად მალაღი, სიციხისაგან დაცვარული შუბლის ნაოქები.

- ვინ თქვა არ მესმარებათ?
- არავის უთქვამს, მე ისე... ისე...
- მაინც ვინ თქვა, რომ ცხადი, ძველი შეიღი მყავს, ვინ ვაჟავდა?
- მზია ნანობდა — ეს რა წამომცდათ.

— ყოველთვიურად ვღებულობ ლონგინოზისაგან ამინაოს, შვილო, ვღებულობ ფულს, ვღებულობ... შენ ფოსტალიონს არ დაჯერებო, ნერავის მოუვა ფიქრად — ლონგინოზმა მხატრვა თავისი მოხუცი დედათ, იმას ენაცვალოს დედა...“

მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ თებრონე არაა უბატრონოდ, რომ მისი პატრონია გულ-შემატკიავარი მუხობლები, მთელი სოფელი, ზენი ჭვევიანა.

მკითხველს მესხიერებაში დიდხანს დარჩება მოხუცი რემას, მამაკი დემნას და ვაბუჯა ვახტანგის შვაფიოდ გამოკვეთილი სახეები მოთხრობიდან „ნაღები და ყვავილები“, ანდა „მუხადღერებში“ აღწერილი ბევრისა და დარჯუნის უღანბლო სიყვარული და ნინოშვილისეულ პალასტომის ტანზე დატრიალებული მგორე ტრაველია.

ან ლომიძის წიგნში ოცდახუთი ნაწარმოებია საერთო სათაურით „მონადირის დღიურები“. მწელია მათ მოთხრობები ან სოცელნი ეწოდოს, ისინი უფრო მეტ შემთხვევაში ჩანახატებია, — ბუნების მაღლიანი შთაბეჭდილებები, რომლებშიაც მწერლის მხატვრული აღლი და მახვილი თვლი კარგ მასალას პოულობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები უმარაგეს შემთხვევაში მოკლებულია მძაფრ სიუჟეტს, მინიმ ინტერესით ითვისებენ ისხსნება იმ ვარემოებით, რომ ატორი სიფუჭლიანად იცნობს საქართველოს შესანიშნავ ფლორასა და მრავალფეროვან ფუნას.

„სიმღერა სიცოცხლისა“, „გველი“, „შველი“, „უღანბონისთან“, „შერისძიება“, „ახრბაიჯანელი მონადირე“, „ვაკაბი და გურზა“, „იხუების გადაფრენა“, „ქორი“, „ნამგალ-ნისკარტა“ და სხვა ნაწარმოებები ნადირობის თემაზე სტოვებენ ბუნების დიდად მოყვარული და დაკვირვებული მხატვრის მიერ გულმოდგინეობით შესრულებული აკვარლების შთაბეჭდილებას. საყვარელბოთა ესკიზი „თილია“, რომელშიაც ნათლად ჩანს ბუნებაში გაფეხებული დაუნდობელი „ბრძოლა არსებობისათვის“ — ძლიერის მიერ სუსტის განადგურება, — თილია დაკვირვებულ და ცხატება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თვითონ ზებდა ჭერას მსხვერპლად. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ერთგვარი ჟანრობრივი შეზღუდვისა, ატორი ამ ციკლშიაც ახერხებს რამდენიმე დასამახსოვრებელი პერსონაჟის დახატვას. ასეთებია, მავალითად, აზერბაიჯანელი მონადირე თახარა, პატივმოყვარე ვანო და სხვა.

მწერალი მოხიბლულია მშობლიური ბუნების სიტერებით და ხშირად თავისებურ ლირიკულ ინტერმეციებს „აღღერებს“:

„გაფხედე მინდვრებს, ტყეებსა, თვალი შევავედ კვირიონით სავსე უღრუბლო ცის ლაჯარდს და უეცარი, რაღაც ვანუხომლად დიდი სიბარული ჩიღვა ზემს ძარღვებში და ამღერ-



და თითქოს ჩემი გული ყოველ უჯრედს საყუარო გული ჰქონდა და ბელბულის ენა ასეთი წუთები ნადირბობს ემს განმეოდია. გული ევედრება მიწას, ცას, მზეს; ნუ წამართმევს მესულეში ძალს, თვალში სინათლეს! მკლავში ნუ გამოპილევს ღონეს, რომ თოფის აწვეა არ გამოიკარდეს! ნუ დააშორებ, ნუ მომკლავ. ხოლო თუ ვერ ამირიდებ სიცოცხლის შემოდგომასა და ზამთარს, როგორც ბალახს, როგორც ამ მაველს ბუჩქს კვლავ და კვლავ მანძეკ სიცოცხლის განახლებული, ვიდრე არ ვებრუნე: დავიღალე, მომწყინდა ამქვეყნად ყოფნა დავიღლები განა? ყველაფერი დამღლის, ვარდა სიცოცხლისადმი სიყვარულისა. (სიმღერა სიცოცხლისა)."

სიტყვანა შოთარია და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ან, ღმრთივე პეიზაჟის ნამდვილი ფერაწერია, იქნება ეს კოლხეთის ქაობიანი ადგილები თუ ასურბაჯიანის ტრამპლები, ბუმბერაზი მთები თუ მოლივლევ ზღვა. ამავე დროს, შვერლის მერ დაბატული პეიზაჟი ხშირად ორგანულ კავშირშია ადამიანთან, მის სულიერ განცდებთან და შინაგან მდგომარეობასთან. აი, მაგალითად:

"ღმრთე იღვრა, ვრილა. ფერდობზე ზევეკურის ჩეროში, სამფება სკამზე ზის თებრონე, დასავლეთისაკენ ჩაბრძანებული შიის შუქი უხვად ეფრქვევა ქედს, მთებს, სახლებს, ფოთლოვან მთაგორებს. მანდარინის ოქროსფერ ნაყოფსა და მწვანე ფოთლებს. მზე ჩადის და ზევეკურის ჩრდილი ფართოვდება, გრძელდება. მზე ცახცახობს, აუჩქარებლად მიიღრტის მთაგორებისაკენ, მერ რატომღაც უცებ ვარდებდა შიის იქით და თვალს ეფარება. მთებზე რჩება გრძელი, ცუცხლოვანი ხაზი. ხაზი ნელ-ნელა მოკლდება, წერტილად იქცევა და უჩინარდება. თებრონე ალა ზედავს დაბინდულ მთებს ზემოთ ათინათებულ, ბაც, ვარდისფერ შუქსა, ფართო, უმწვენიერო ქამარავით რომ არტყია სამყაროს". (სთებრონე და მზია)".

შვერლის მახვილი თვალი კარგად ამჩნევს მკერდოვან დეტალებსაც და მოხერხებულად იყენებს მათ თავის ნაწარმოებებში, მკარამ იყენებს არა თვითმინურად, განყენებულად, არამედ გამართლებულად და ხშირად სიმბოლოურადაც. ასეთი მხატვრული, ცოცხლად დანახული და ხელშესახებლად აღწერილი დეტალები უხვადაა ვაზნეული ან, ღმრთის მოთხრობებში. საილუსტრაციოდ მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

"სიბრუნის დროს, როგორც მებლავურებს სწევით, მისი დიდი ტანი ხან მარჯვენა, ხან მარცხენა იხრებოდა. მიდიოდა ბარდნალში, თავდაბრინს ქუდა ხელით ეჭირა. აქათათებულ ასკილის ბარდს მზახით შეეხა. ბარდი შექანდა, ვარდის თეთრი ფერცლები მხარებზე დააცვიფდა. მისი მხრებიდან თეთრი ჩიტებივით აფრინდებოდნენ ვარდის ფერცლები და ბარ-

დებზე, მიწაზე სხდებოდნენ". (მეშველი)".  
 "ნავი ადგილიდან რომ დაიჭრაქ მისუ: ანბის წვერი მდინარისაკენ გადმუხრულ: ყუფის ტუტს მოეღო. ტუტი შეირხა, ზევიდან რამდენიმე კერტის გადმოვიარდა. ერთი ნავში ჩემს ფეხებთან დაეცა, გატყდა და ნაქუჭიდან თავი გამოიყო დედნის ღონღიანა ბარტყმა. საცოდავად აცეცებდა თვალებს". (სიცოცხლე)".

სწავნი ზოგებს ღმრთებრად ეწოდა. ზოგები იღრუნებოდნენ. მზრებამდე დაეპიწებულ მკლავზე მსხვილი ძარლები დაბრუნდა. მარჯვენა მკლავზე, იალქნიანი ნავი რომ ქონდა დაბატული, ენითი და თითის სისქე ძარღვი უთრთოდა. მკლავზე ქინძისთავით დაბატული ღონღისფერი იალქანი მაშინ ისე მოძრაობდა, თითქოს ჭარი არხვესო". (მშობლიობისა)".

ამაღლ ინდოურს ზურგი ჩრდილისათვის შეუფარებია, ხოლო თავი მზის მცხუნვარე სხივებისათვის შეუშვარია. სიცხისაკენ გაბრუნებულს ნისკარტი დაუღია, არ იცას თავი საით წაიღოს, თუცა საქმარისია მკერე მანძილთ დაიხოს, რომ მზის მხერგალებს ასცდეს". (სანქუქარი)".

ენობილია, რომ ბავშვი განსაკუთრებით გატაცებულია ზღვითა და მებლავურების ბობოქარი ცხოვრებით, ათასგვარი სახიფათო თავგადასავლებითა და მისთვის უკრ კიდევ შეუცნობელი სამყაროს ხილვით. ანდრო ღმრთის შემოქმედების ძირითადი თემა აბიტომაც დიდ მასალას იძლევა მონარდი თაობისათვის სიანტერესო ნაწარმოებების შესაქმნელად. კრებულში "ზღვისა და ხმელთაზე" შეტანილია ორ ათეულზე მეტი საბავშვო მოთხრობა, ეს მოთხრობები თემატურით თვალსაზრისით შეიძლება დაიფოს რამდენიმე რკალად. აქ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, "წმინდა მარინისტელი" მოთხრობები, როგორცია: "შუქურა", "შემთხვევა გემზე" "საბორბელი კატარა", "მოლოზები", "მებლავურის ნაამბობი" და სხვა, რომლებშიაც პატარა ბიჭუნები თამაზი, თემატურაზი, გვი და სხვები, ან თვითონ ჩადიან გმირულ საქმეებს. ან სულგანაბული უსმენებულ "ზღვის მგლებს" და თვალუბანთებულ ოცნებობენ ზღვასა და მებლავურობაზე.

მონარდში შრომისადმი სიყვარულის დანახვა მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა, მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენი სკოლა თავისი ძირეული გარდაქმნის პროცესშია. სწორედ შრომისმოყვარეობის გრძნობას უღვივებენ ბავშვებს ან, ღმრთის პატარა მოთხრობები: "ხარატი", "შეგარატი", "პატარა მშენებელი" და "მინანას ნატარა".

ზღვისა და ზღვის ბინადართა თვისებების მხატვრულ აღწერის წარმოადგენს მთელი რიგი ნაწარმოებები (სმენა ენა, ევეშპების სამეფოში, "ზღვის სიღრმეში", "შამიანი თევზები" და სხვ.). ეს სადა, ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, პოპულარული ენით დაწერილი



შხატერული ნარკვევები უფროა და ამდენად, ბევრ საინტერესო კითხვებზე აძლევს პასუხს მონარდ თაობას.

საბავშვო მოთხრობების ციკლში მოთაყვებულა აგრეთვე უცხოელი ბავშვების, დუხჭიანი ცხოვრების სურათები პოლინეზიისა და ინდოეთის ზღვების სანაპიროებზე („ძმები“ და „ზამბაკი“).

ინტერესით იკითხება ავტორის მიერ სეტონტოპსონიდან კარგად გადმოკეთებული მოთხრობები.

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნათ ის ნაკლოვანებანიც, რომელიც ან. ლომიძის შემოქმედებას ახასიათებს. ჯერ ერთი, ზღვისა და ნადირობის თემაზე დაწერილ ნამდვილად კარგ მოთხრობებსა და ნოველებთან შედარებით, ის ნაწარმოებები, რომლებიც ამ თემას სცილდება, არაღამაჯერებელ შთაბეჭდილებას სტოვენს („უძღვევლი“, „საჩუქარი“, „დაუვიწყარი დღე“, „ივანე ვასუხნი და თენგიზ ქართველი-შვილი“).

ან. ლომიძის ზოგიერთი მოთხრობა კომპოზიციურად ვერ არის შეკრული, იჭრძნობა, ერთგვარი ფრაგმენტულობა; რაც იწვევს სიუჟეტური ვადასვლების უხერხულობას („ხელოვნება“, „არბი“). როგორც ჩანს, ამას თვით ავტორიც ვრძნობს და ამიტომია, რომ თავის პატარა მოთხრობებში ასე ზმირად ზმირობს სამ ვარსკვლავს — გაყოფის ნიშანს.

პერსონაჟების გარეგნული აღწერილობა ხანდახან ერთფეროვანი და არაგამომსახველია, მაგალითად: „ახალგაზრდა, ქერათმიანი ინგერი“, „იგი-პირმშენიერი და ახალგაზრდა“, „ტანშაღალი მათირი“, „ახალგაზრდა, მაღალი ვრუბათიანი ბევი“, „ხუჭუქთმიანი ვანო თოძე“, „ახოვანი გილაური“, „ახოვანი, აფორიაქებული ლევან ხხარტიშვილი“ და სხვ.



ან. ლომიძის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „ნაღები და ყვავილები“ ჰქვია. ეს სახელადააქვეა მან რუსულ ენაზე გამოცემულ მოთხრობების კრებულსაც. მართლაც შესანიშნავად მიგნებული სათაურია ან. ლომიძის ნაწარმოებებისათვის. „ნაღები და ყვავილები“ — სიმბოლურად ვლერს. ნაღები ხომ ვაჟაკობისა და რაინდული სულის ნიშანია, ხოლო ყვავილები სინაზისა და ლირიკისა. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს ან. ლომიძის შემოქმედების ვაცნობის შემდეგ.

ამჟამად მწერალი სრული შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია და ქართველი მკითხველი მისგან, როგორც პატარა მოთხრობების ერთ-ერთ თვალსაჩინო ოსტატისაგან, კიდევ მოელს ბევრ საინტერესო და ამაღლებულ ნაწარმოებს.



# ბავთუხ ბაჩალიძე



## ნიჭიერი პოეტი, შესანიშნავი პედაგოგი

(მიქაელ მუშეთის დაბადების 50 წლისთავის გამო)

მომე აზერბაიჯანისა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები აღნიშნავენ აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტის მიქაელ მუშეთის დაბადების 50 წლისთავს.

მიქაელ მირზა ყადირ-ოღლი მუშეთი, აზერბაიჯანელი და საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა 1908 წელს სოფ. ხიზში, ბაქოს შახლობად, პედაგოგის ოჯახში. შამაქის მირზა ყადირი ასწავლიდა ბაქოს სკოლა „სადათში“; ისიც პოეზიის დიდი მოყვარული იყო და თავადაც მრავალი ლექსი დაეწერია. მის კლამს ეკუთვნის ცნობილი კომპოზიტორის მ. შავომაევის ოპერის „შაი ისმილის“ ტექსტი.

1915 წ. მუშეთი შედის რუსულ-თათრულ სკოლაში. მას ბედმა არ ვაუღია, ადრე დაკარგა მშობლები და ბავშვობა გაატარებდა ვაიტარა. იგი ვატყუებელი იყო აზერბაიჯანელი, რუსული და მსოფლიო კლასიკის ნაწარმოებებით, კითხულობდა, ამეშავებდა, ღრმად წვდებოდა მათ.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე როგორც მრავალმა სხვამ მ. მუშეთიმაც შესძლო ნამდვილი განათლების შექმნა, 1920 წ. მან დაამთავრა დაწყებითი სკოლა და შევიდა ბაქოს პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1927 წ. აზერბაიჯანის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და დაამთავრა კიდევ იგი 1931 წ. ამის შემდეგ იგი ასწავლიდა ბაქოს სკოლებში მშობლიურ ლიტერატურას.

ლექსების წერა მუშეთიმ დაიწყო 1924 წელს, როდესაც იგი პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობდა. 1926 წლიდან იბეჭდებოდა მისი წერილები რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში: „კომუნისტში“, „გიაჯ იშისში“, „მთავრად შედენიეთში“, „მთავრად იშისში“ და სხვ. 1930 წელს გამოვიდა მუშეთის ლექსთა პირველი კრებული — „ქალღმერთი“ („პარაბი“) პოეტი ხშირად გამოდის ახალახალი ნაწარმოებებით. „პარაბის“ შემდეგ 1932-35 წლებში შედგენდა გამოდის მისი ლექსების კრებულები: „ღღის ხეობა“, „ბრძოლა“, „კომპერტებს შორის“, „ბაშა“, „ლექსები“ და სხვა.

მ. მუშეთი ლიტერატურაში შევიდა ოციან წლებში, როდესაც კიდევ მიღიწიებული იყო

ე იდეოლოგიური ბრძოლები. საბჭოთა პოეზიის ძირითადი მიზანი და ამოცანა გახდა ახალი ცხოვრების, შრომითი გმირობის სოციალისტური მშენებლობის, ხალხის სიხარულისა და გამარჯვების ზეიმის გამოხატვა.

მუშეთიმ კარგად შეიგრძნო ეს ამოცანა. იგი აწარმოებდა სასტიკ დაუნდობელ, ბრძოლას ძველი სქოლასტიკური ლიტერატურისა და პოეზიის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ნაციონალისტური იდეებით მკითხველს შეგნების დამლენებას.

დაიხსება ბურჟუაზიულ-მემამულური წყობა, სამუდამოდ ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასების ბატონობა, კლასობრივი მტერი, რომელმაც დაკარგა თავისი პოზიციები სამხედრო და პოლიტიკურ ფორტებზე, ცდილობდა ხალხისათვის ზურგიდან დახეობის ჩაცემა. შენიღბული კონტრრევოლუციური და შესაეატელი მკლანელები ცდილობდნენ გაეჩაღებინათ თავიანთი მანუებლური მუშაობა ელტურისა და ლიტერატურის სფეროში. ისინი ცდილობდნენ მოეწამლათ ახალგაზრდობის შეგნება პანთერტული და პანისლამისტური იდეების შესაძენ.

ძლიერი, ჯანსაღი ხმა ახალი, რევოლუციური ახალგაზრდობისა, რომელიც გაისმა ლიტერატურაში, თავზარს სცემდა ნაციონალისტებს. რათა ჩაეშოთ ეს ხმა, ნაციონალისტებმა ყოველგვარ ინტრიგებსა და ხრიკებს მიმართეს. ჯერ კიდევ საბოლოოდ გამოუმღვანებელი ბურჟუაზიული მწერლები და კრიტიკოსები ცდილობდნენ დაეცათ და განემტკიცებინათ ძველი სქოლასტიკური ლიტერატურა. მუშეთი თავის შემოქმედებაში ეყრდნობოდა თვით რევოლუციურ სინამდვილეს და ახალი სოციალისტური ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას, მის ისეთ უღმდეს ოსტატებს, როგორც ივენენ მაქსიმ გორკი და ვლადიმერ შაიკოვსკი. ამავე დროს პოეტი გულდასმით სწავლობდა აზერბაიჯანის კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს: ფიზულს, ვალიფის, საბარს, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს.

შემოქმედებითა მგვობრობამ მოწინავე რუს პოეტებთან ხელი შეუწყო ახალი პროლეტარ-

ლი პოეზიის შესახებ მეშფოცის შეხედულებათა გამდიდრებასა და გაღრმავებას.

მ. მუშფოცა მერჯობასაც განიცდიდა, მაგრამ ძირითადად მან აირჩია შრომობური ხალხის სამსახურის გზა. და მართლაც, მის ნაწარმოებთა უმრავლესობა გამსჭვალულია ცოცხალი, ხალი სულისკვეთებით.

ძნელია პოეტის შემოქმედების თემატიკური დიაპაზონის შემოხაზვა. მისი ფარგალი საოცრად ფართოა. სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებამ სოფელში და ქალაქად ძირითადად შესცვალა შრომობური ქვეყნის სახე, ელტურბული რევოლუციის განხორციელებამ, რომელმაც გამოიყენა მშრომელთა მილიონიანი მასები სინათლისა და ცოდნის გზებზე, ყველაფერმა, რითაც ცხოვრობდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა, გამოიწვია პოეტში შემოქმედებითი ენერჯის ახალი ნაკადი, ამ ნიადაგზე შეიქმნა მავალითად, მეშფოცის ნაწარმოებები — „ფიქრები მინჯანურზე“, „ბტრტერპეისის სიმღერა“, „კომუნურებს შორის“, „ილიის ყურე“, სადაც ავტორი საუცხოოდ აგვიწერს ახალ ცხოვრებასა და შრომას.

მაგრამ პოეტი თავის ლექსებში უშვებდა მხატვრულ შეედომებასაც. ზოგიერთ მის ლექსში იგრძნობა აბსტრაქტულობა, განყენებულობა რომანტიკა. მაგრამ სულ მალე თავის თანამედროვე თანამოკალმებთან ს. რუსტამთან, ს. ვურღუნთან, მ. რაგიმოვთან, ა. ფაჯისთან, რასულ რასთან, ო. სარიევლისთან ერთად — მ. მუშფოცა მთელს თავის პოეტურ ძალღონეს სწირავს პაროლტარულ, საბჭოთა ლიტერატურას. ამ ბრძოლაში ხდება მუშფოცის იდეური წრთობა. მისი შემოქმედება ღრმად ასახავს შრომობური ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას.

მიქაილ მუშფოცა ევეთენის ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის ჰეგემონიისათვის აქტიურად მებრძოლ პოეტთა რიცხვს. მისი მგზნებარე, მრისხანე ლექსები, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების მტრების — მესაჯატელებს, პურყევახიელი მწერლების და სხვათა წინააღმდეგ, ხშირად გამოსდის კრებებისა და ლიტერატურული საღამოების ტრიბუნადან, ეს იყო ახალი პოეზიის პირველი თავისუფალი სიმღერები.

ამიტომ იყო, რომ ხალხის მტრები ვერ ფარადნენ თავიანთ კლასობრივ სიძულელს მეშფოცისა და მის მომე თანამოკალმეთა მიმართ. ხან ამკარად, ზოგჯერ კი ფარულად, ილაშქრებდნენ ისინი ახალგაზრდა პაროლტარული პოეზიის წინააღმდეგ. ამ მტრული გამოსდომის წინააღმდეგ მეშფოცა თავის მკაცრ პასუხში ნილას ზდიდა, აამკარავებდა მტრების სახე, მოუწოდებდა საბჭოთა მეთხველს კლასობრივი სიღიზილისაკენ. მტრებთან შეურიგებელი ბრძოლისაკენ.

მ. მუშფოცის პოეზიაში შესამჩნევი ადგილი

უვცაია ინტიმურ და პეიზაჟურ ლირიკას. ასეთებია „მისი ლექსები „ქარი“, „გვირ-გოლი“, „სხეანი“, და სხვ. პოეტი უმღერდა არა მხოლოდ ბუნებას, არამედ ხალხს — მტრად მნიშვნულ ბუნებას. ამიტომ მის ლექსებში ხშირად გამოყენებული სახეები „ქარი“, „ტალა“ და ა. შ. — უბრალო ბუნების მოვლენებს კი არ მოგვანებებენ არამედ — შობრაობის, მარადიული ცვალებადობის სიმბოლოები არიან.

მ. მუშფოცის ლექსებისათვის დამახასიათებელია პოეტური აზრის სიღრმე. მისი ნაწარმოებები გამსჭვალულია მგრძნობიარე ლირიკული აზროვნებით, ფილოსოფიური ფიქრით ცხოვრებაზე, ადამიანებზე, ეგრძოდ, მისი ინტიმური ლირიკა და სამოქალაქო პოეზია ისე მჭიდროდაა გადასახვეული ერთმანეთზე, რომ მათი ერთი შეორსხვან განცალკევება შეუძლებელია („ახალი ქალი“, „გამოეთხოვე“, „თარი“ და სხვა).

მ. მუშფოცისათვის არ არსებობს არაპოეტური მთელნები. პირველი შეხედვით ყველაზე უმნიშვნელი მოვლენაც კი ღრმად აღუვლებს პოეტს რომელიც ფლობს მხერეალ, გულში ჩამწვდომ სიტყვას, რომელსაც ძალღმს საბჭოთა ადამიანის დიდი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა. თავისი ლექსების მასალის იგი ზოგჯერ ღებულობს ზვეულებრივი მოვლენებიდან. მ. მუშფოცა ფლობს ემოციონალურად დამაბული წერის მრავალგვარ ზერსს. ამ მხრივ საველისსმია მისი ლირიკული ლექსები „ადიო“, „ბელეფონი“, „ბელეფონის მავთულეში“, „საფოსტო ყუთი“ და სხვა, სადაც პოეტმა შესძლო გადმოეცა აღწერილი საგნების არა მარტო ხილული და ხელშესახები სახე არამედ ღრმად გახსნა მათი შინაარსიც, ხალხის ფიქრები და ოცნებები.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის ისტორიული დადგენილებების შემდეგ მიქაილ მუშფოცის შემოქმედებაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, დაიწყო განვითარების კიდევ უფრო ნაყოფიერი პერიოდი. ომამდელი ხეოწლელების ხანაში საბჭოთა მწერლების წინაშე მთელი სიგზმე-სიგანიით იდგა სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ასახვის საბაბიო ამოცანა. ამ ამოცანის მნიშვნელობა კარგად გაიგო მ. მუშფოცმა. თავის ნაწარმოებში „ბამბა“ პოეტი უმღერს საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას. პოემა მიძღვნილია მუღანის ველზე ბამბის მოყვანისათვის მებრძოლ ადამიანებისადმი.

თავისი შემოქმედებით კი ამ პერიოდში მეშფოცა ცნობილია როგორც პოეტი, რომელიც თემატიკურადაც და იდეურადაც არის ახალი ცხოვრების მომღერალი, საბჭოთა ხალხის აზრებისა და გრძნობების გამომსახველი, შემოქმედი.

მუშფოცის ლექსებში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა

პატრიოტიზმს, სოციალისტურ პემანიზმს, ნამდვილ ინტერნაციონალიზმს. პოეტის ლექსებში ლაბარაჟია ისტორიის შემოქმედელ ახალი, ძლიერი, ამაყი ადამიანის მდიდარშინაარსიან ცხოვრებაზე. პოეტი უმღერის საბჭოთა ხალხის ბრძოლას, მის ცხოვრებას, მათ მაღალ იდეალს.

მ. მუშვიტი აღფრთოვანებულია მშობლიური აზერბაიჯანის წარმატებებით, საბჭოთა ხალხის დიდი მიღწევებითა და სულაყი აღმართებით. პოეტს ყოველთვის აღუდგება აზერბაიჯანელი ქალის ბედი, მისი ლექსები „მთების ტრაველია“, „სარკე დაბრუნდა“, „გოგონა-მეშა ქალი“, „ჩვენი ხადრანი გოგონებს“, „დედა“, „ქალი“, „აფშანი“ და შრავალი სხვა მიქმდნაოჯახის, უფოა-ცხოვრების, ქალის თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების საკითხებზე. პოეტს ახარებს ქალის წარმატება საბჭოთა საზოგადოებაში, წუხს წარსულში მისი მძიმე ცხოვრების გამო და იბრძვის ამ წარსულის უყოველგვარი გადმონათობის წინააღმდეგ.

ძალზე საინტერესოა ლარიელ-ეპიკური პოემა „აფშანი“, „სადაც მ. მუშვიტი შექმნა დიდი ოქტომბრის მიერ განთავისუფლებული აზერბაიჯანელი ქალის სახე, გვიჩვენებს ის დიდი როლი, რომელიც მას აქვსრია ახალ საზოგადოებაში. სადა ველისმზერი სიტყვებით ავიწერს პოეტი ქალის მძიმე ცხოვრებას წარსულში, პოემის ამ სტრუქტურაში ნათლადაა გადმოცემული ის ატმოსფერო, რომელშიაც ცხოვრობდა უუფლებო და უსწავლელი გოგონა. აფშანი, ისე როგორც შრავალი სხვა, ვადა სასრულუფლებიანი და თავისუფალი მოქალაქე მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფშანი სოფლიდან საცხოვრებლად ბაქოში გადადის, იღებს სწავლა-განათლებას, შედის კომკავშირში, შემდეგ კი ბრუნდება მშობლიურ სოფელში სამუშაოდ. მაგრამ აფშანი ისე, როგორც აღმასი — აზერბაიჯანის საბჭოთა ლიტერატურის ელასიკოსის ჯ. ჯაბარლის ამავე სახელწოდების პიესის გმირი — როდეს იფარგლება მხოლოდ სკოლაში მასწავლებლობით, იგი აქტიური მონაწილეა სოფლის მშენებარე ცხოვრებისა. ელაკები ცდილობენ დაამორჩილონ აფშანი და მიათხოვონ მისთვის საქონელი კაცს. მაგრამ მათ ვერ შესძლეს გაეტეხათ კომკავშირელ-მასწავლებლის ნებისყოფა. აფშანი ვერძნობა მოწინავე ძალებს, ამხელს თელაკებს, მათ შორის არ ინდობს საყუთარ ბიძას ხასიას, რომელთანაც იგი უბრალო ხელზე მოსამსახურე იყო მშობლების დაქარვეის შემდეგ. პოემა მთავრდება სოფელში ახალი ძალების წყნებით.

მ. მუშვიტი მოგვითხრობს მშობლიური ხალხის ცხოვრებასა და შრომაზე, მას ერთნაირად ახარებს საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის წარმატება. საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომისადმი მიძღვნილი მისი ლექსები განუყ-

რელადა დაეკვირვებულა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. პოეტი უმღერის სხვადასხვა ეროვნებების ერთიანობას: „საბჭოთა-სტრუქტურული უფლებებისათვის ბრძოლაში“ („26“), „მთავრებულ სტრუქტურებს მიუძღვნის სსრ კავშირის ხალხთა სიტყვის ოსტატებს (ლექსები პეშკინზე, გორკინზე, ნ. ოსტროვსკინზე, შეიენკოზე, ა. ისაკიანზე და სხვ.). იგი უდღესი გულთბილობით წერს კერძოდ, კავკასიის ხალხთა ბედობაზე („სევეანი“, „ხალისიანი თილისი“, „კომკავშირის შორის“, და სხვ.), რომელნიც ოდითგანვე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ურთიერთს დიდი ოქტომბრის შემდეგ. „მარადიულობის სიმღერაში“, რომელიც რომანტიკული სტილითაა დაწერილი, პოემაში „კომკავშირის შორის“ რომელშიც აღწერილია ბაქოს მენათლობითა შრომა, ავტორი აშუქებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს, პოეტი გულისწერს მთავრებს ნაციონალისტურ ელემენტებს და აღიღებს აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების საყუთუო მეგობრობას.

მ. მუშვიტი პოეზია ოპტიმისტურია. ცოცხალი და მგზნებარე რწმენა საბჭოთა ადამიანებისადმი, რომლებიც სასწავლებლსაც კი ახდენდნენ, მის ლექსებს რომანტიკულ გაქანებას აძლევს. პოეტის ლექსებში ხშირადაა და პათეტურიად ეღერს საბჭოთა ხალხის წინსვლის პიშია. ამით პოეტი აღწევს განცდებისა და გრძობების განსაკუთრებულ სიღრმეს. რაზედაც არ უნდა წერდეს მუშვიტი, ყველაფერში ხედავს იგი ოქტომბრის სულს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზემოთ. იგი აღფრთოვანებით აღიღებს ოქტომბრის რევოლუციას, კომუნისტურ პარტიას, დიდ ლენინს. ასეთია მისი პოეტური ნაწარმოებები „ოქტომბერი“, „პარტიის ხმა“, „ლენინი“, და სხვ. ლექსი „ჩვენი თეატრი“ (1929) მან წაეშალა ეპიგრაფი „საბჭოთა ხელისუფლება პლენ ელემენტარული უღრის კომუნისში, ლენინი“. მ. მუშვიტის ლირიკულ-ეპიკური პოემა „ბრძოლა“ (1932) იყო დიდი ოქტომბრის, ლენინის გენიის, ახალი სამყაროს საიდლებელი სიმღერა. ბაქოს კომსრების ეპიკოსიამ შთააგონა მ. მუშვიტს პოემა „26“-ის შექმნა.

მაგრამ საქმე, რასაკერძოდაა, ამბებისა და მოვლენების უბრალო აღწერაში როდია, არამედ მოვლენებისადმი პოეტის დამოკიდებულებაში. მ. მუშვიტი იყო ტენდენციური პოეტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

მ. მუშვიტი აღფრთოვანებით უმღერს ოქტომბრის მიერ განახლებულ საბჭოთა ქვეყნის, თანავარწმობით ეჭვრობა ყველა დამარჯული ხალხის ტანჯვას, ქადაგებს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ამხელს იმპერიალისტების შავნულ ზრახვებს. პეშანისტ-პოეტს სურს დინამოს მთელი მსოფლიო თავისუფალი. იგი

მღვლარეობით წერს აფრთხასა და ამერიკაში მცხოვრები ზანგების მიმე ცხოვრების შესახებ, აბსინისის, ვევიტის, ესპანეთის, ჩინეთის, ინდოეთის ხალხთა ბრძოლის შესახებ თავისუფლებისათვის. პოემაში „თავისუფლების დოსტანი“ ავტორი მოგვითხრობს მშობლიური ხალხის გმირულ წარსულს, ფიქრით რამთავლის მთელს დედამიწას, მწუხარებით ფიქრობს დამონებულ ხალხთა მიმე ცხოვრებაზე. მისი მხერა მიაყრობილია, კერძოდ, ინდოელი ხალხისადმი, რომელიც უტყობელ კოლონიზატორების ბორკილებში იტანჯებოდა მაშინ. 1927 წელს, როდესაც ჩინელი ხალხი ეწვეოდა გამანათავისუფლებელ ბრძოლებს მან დაწერა ლექსი „შეუღდექი აჯანყებას“. აქ პოეტი აფრთხილებს კოლონიზატორებს, რომ არაფერს არ ძალძეს შეაჩეროს სახალხო მოძრაობა, და აღიფხვბს რევოლუციონერებს. დღეს პოეტის ოცნება განხორციელდა.

საკიბორბოტო თემაზე დაწერილ ლექსებისა და პოემების გვერდით მ. მუშფიყმა შექმნა ნაწარმოებები ბავშვებისათვისაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის თანატოლ აზერბაიჯანულ პოეტებთან არც ერთს არ დაუწერია ბავშვებისათვის იმდენი ლექსი, რამდენიც მ. მუშფიყმა დაწერა.

მ. მუშფიყის პოეზია მრავალფეროვანია არა მხოლოდ თემატიკით, არამედ ფორმითაც. როდესაც ვლადარაკობთ, მ. მუშფიყის ნაწარმოებთა მხატვრული სახეების თვისებებზე, რითმობაზე მელოდორობაზე და სხვა ზოგიერთ ელემენტზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი მკვიდრად არიან დავაწერებულნი ფილკლორთან, აზერბაიჯანულ კლასიკურ პოეზიასთან. მ. მუშფიყმა თავისებურად განაჯერო წარსულის საუკეთესო ტრადიციები. მისი ლირიკული ბიურთა პოემა „ჩობანი“ დაწერილია გენიალური აზერბაიჯანული პოეტის ნიხამი განჯელის პოემის „შვიდი მზეთელსაბაის“ მოტივების მიხედვით. მ. მუშფიყი აბრძოდა ისეთი მონუმენტური მხატვრული, ნაწარმოების შექმნასათვის, რომელიც საკუნეების მანძილზე იცოცხლებდა. მას ყოველთვის ედგა თვალწინ დიდი აზერბაიჯანული პოეტის ფიხრის მავალითა. იგი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა აგრეთვე ვალიდის, სამბრის, ჯაბარლის შემოქმედებს. პოეტი მემართავდა ხალხური შემოქმედების სოგანჭურსაც, სარგებლობდა მისი სახეებით, სიტყვებით, რომლის საფუძველზე ჰქმნიდა მთელ რიგ თრინალურ ნაწარმოებთ. ამავე დრის მ. მუშფიყი თავის შემოქმედებაში განიცდიდა მოწინავე რუსული პოეზიის გავლენას.

აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ მ. მუშფიყის შემოქმედების პირველ რიგში ასარბოვ-

და თვით ცხოვრება — მდიდარი და შინაარსიანი. მ. მუშფიყის პოეზია გამსჭვილულია რევოლუციური ბრძოლების სუნდჭიფი, საბჭოთა აღმამიანების გმირობით და რომანტიკული შემართებით ახალი ქვეყნის შექმნის ბრძოლის პათოსით, ღრმა მღვლარეობითა და გრძნობათა გულწრფელობით. მ. მუშფიყის ლირიკული გმირი ყოველთვის ძიებნაშია, იგი პოულაბს ღრმა შინაარსს დღესა და მცირეში, გმირულსა და უოველდღიურში.

მ. მუშფიყის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თარგმანს. მან თარგმნა დოსტაინი ფიქლორისის შამ-ნამედან „რუსტამ და ისფანდიარი“. ო. პაიამის „რობაიები“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილი, მ. ფ. ახუნდოვის „პუშკინის სიკვდილი“ (რუსულიდან) პირველი სიმღერა „პოლტავიდან“, ტატაინის წერილი ონეგინისადმი, (რასულ რზასთან ერთად) „ვევენი ონეგინიდან“, პუშკინის პოემა „ბოშები“ (მ. აბასოვთან ერთად), ლერმონტოვის „ეჟავსი“, თანამედროვე რუს პოეტებთან — ა. ბლომენსკის, ა. ეპროვის და სხვათა ლექსები, იგი ბევრს მუშაობდა სომხური პოეზიის ანთოლოგიაზე, კერძოდ, თარგმნა ო. თეშინიანის „მარო“, ა. ისაკიანის ლექსები და სხვ. ჯერ კიდევ 1934 წელს გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ე. ჩარენცის ლექსების კრებული. ყველა ამ თარგმანს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მიქილ მუშფიყი იყო ხალხთა მეგობრობის მომღერალი პოეტი, მას ძალზე უყვარდა თბილისი, საქართველო, ქართული ხალხი, ზაქოსისა და ინდუსტრიის გიგანტების შემქმნელი გმირები, ნაას, ციტრუსების პლანტაციებზე მომუშავენი, ქვანახშირის მალაროთა ოსტატები, ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების უბრალო აღამიანები.

ლექსები „ხალისიანი თბილისი“, „ხაქესი“ პოეტის დიდი შემოქმედებითი გატაცების ნაყოფია. „ხალისიან თბილისში“ პოეტი განსაკუთრებული ოსტატობით უმღერის მოქმე ქართველებს, რომლებიც გრანდიოზულ მშენებლობებს ასობრელებენ და მტყერის „ყოველი წვეთი წყალიდან ღებულობენ ელვას“.

1937 წელს მ. მუშფიყმა დასაბეჭდად მოამზადა ახალი წიგნი სათაურით „ჩავლიანი“ („წყალვარდნილი“). ავტორის მანათობით აქ უნდა შესულიყო ლექსები და პოემები, დაწერილი უმთავრესად 1936—37 წლებში და წინა კრებულიდან რამდენიმე ნაწარმოები. მაგრამ მას არ დაუკავდა „წყალვარდნილის“ ნახვა. 1939 წელს იგი გარდაიცვალა. ასეთი იყო ნიჭიერი აზერბაიჯანელი პოეტის სიცოცხლისა და შემოქმედების მშროთავრე გზა.



## გენიერების ცნების მარქსისტული გაგებისათვის

საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ წინაარსს შეადგენს ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ეს არის ზენი ეპოქის მოწინავე ადამიანის უმაღლესი მიზანი, მისი დანიშნულება და მოვალეობა. კომუნისტებისათვის ბრძოლის წარმატებაში ხელაქმედებს საბჭოთა ხალხი თავის ჰუმანიტარულ ბედნიერებას. ადამიანის სიცოცხლის აზრის ასეთი გავება განაპირობებს საბჭოთა ადამიანის სრულიად ახალ ზნეობრივ სახეს, მისი ყოველდღიური ქცევისა და მოქმედების პრინციპებს. ამით იხსნება, რომ ბედნიერების ცნების განსაზღვრა, მისი წინაარსის და ფუნქციის გამოკვლევა მარქსისტული ეთიკის შედარების უმნიშვნელოვანესი საკითხია. შეუძლებელია კომუნისტური ზნეობის პრინციპებისა და ნორმების გამოკვლევა ისე, თუ არ ვიცით თანამედროვე მოწინავე ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი იდეალი, მისი სიცოცხლის აზრი.

აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვაგვარი შეხედულება ბედნიერებაზე. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შეცვლა, ეკონომიური ბაზისის განვითარება ყოველთვის შესაბამის გამოხატულებას პოულობდა იდეოლოგიურ ზედწინააღმდეგობაში საერთოდ, და ეთიკურ შეხედულებათა ცვლილებაში — ცერძოდ.

ყოველდღიური საზრდოს შოვნაში ხელაქმედნი თანადად ბედნიერებას და სხვა მოთხოვნილებანი და ინტერესები მათ არ გააჩნდათ. ამ პერიოდის ადამიანი არაფრით არ განსხვავდება ცხოველური მდგომარეობისაგან და, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, მას არც შეიძლება ადამიანი ვეწოდოთ. ადამიანის ჩამოყალიბება, როგორც გვასწავლის ფრიდრიხ ენგელსი, იწყება შრომის იარაღების წარმოებდან, რაც აზროვნების განვითარების გარკვეულ დონეს მოითხოვს და შეუძლებელია საზოგადოებრივი სოციალური გრძობისა და გაცნობიერებული სოციალური ინსტიტუტის გარეშე. ამ საფეხურზე ადამიანი აღარ მკაცრად იდგება პირადი სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებით და მისი სიხარულია და ბედნიერების წყაროს ემატება ახალი ელემენტი — თანამგრძობის, მასობრივების, სხვა ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. თანდათან საფუძველი ეყრება ადამიანთა ურთიერთ-თანაგრძობის, სოლიდა-

რობის და დახმარების, როგორც ზნეობის საფუძველს. ზნეობრივი ადამიანი მალევე ცხოველთა სამეფოზე არა მარტო იმით, რომ მას აზროვნების უნარი აქვს და შრომის იარაღებს აკეთებს, არამედ იმითაც, რომ მას ზნეობა აქვს, სინდისის გრძობა აქვს და შეგნებულად მოქმედებს სხვა ადამიანის სასარგებლოდ.

პირველყოფილი თემური წყობილების განვითარება ადამიანთა სამართლის განმტკიცების გზით ადამიანის შეგნებაში ამკვიდრებს აზრს თემისადმი პატივისცემისა და მისთვის თავგანწირვის აუცილებლობის შესახებ. თემის მიმართ მოვალეობის შეგნება და მისადმი დამორჩილების მოწოდება ადამიანის ძალა და რბილში იჭრება და თემისათვის თავგანწირვა თანდათან შეიძლება თავისუფალ მოთხოვნილებად იქცევა. ვეფხველამ თავის უკვდავ პოემებში მოგვცა თემისადმი ერთგულებისა და მისთვის თავგანწირვის კლასიკური ნიმუშები. პირველყოფილი თემური საზოგადოების პირობებში ადამიანი თავის ბედნიერებას ხელაქმედებს არა მარტო პირად, არამედ მთელი თემის კეთილდღეობაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიქმნა ბედნიერებაზე ადამიანის შეხედულებებში კერძო საკუთრების გაჩენას და საზოგადოების კლასებად გათიშვას. დაიწყო, ექსპლოატორული კლასი თავის ბედნიერებას ბუნებრივად უკავშირებს ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა. თავისუფლება მისთვის უმაღლესი იდეალია და ეს იდეალი ამორჩავეს ყოველი ეპოქის ჩაგრული კლასების რევოლუციური ამბოხებებს. გაბატონებული, ექსპლოატორული კლასები თავისუფლებას არ არიან მოკლებულნი, უხვად სარგებლობენ არა მარტო პირადი სულიერი, არამედ მშრომელებზე ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის თავისუფლებით და განცხრობასა და ნეტარებაში ხელაქმედნი თანადად დანიშნულებას. გაბატონებული კლასების შეგნება იტყობება ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის სულისკვეთებით. ისინი ბედნიერებას ხელაქმედნი პირად მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში. მაგრამ ინდივიდუალიზმი ეგოიზმი არასოდეს არ რჩება საზოგადოებაში წინააღმდეგობის გარეშე. გაბატონებული კლასების ინდივიდუალიზმი წინააღმდეგობას იწყებს არა მარტო ჩაგრული მშრომელი კლასების მხრივ მათი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არამედ თვით გაბატონებული კლასის

შეგნით ურთიერთ ინდივიდუალისტურ მიდრეკილებებთან. ამას ემატება პირად მოთხოვნილებათა განუსაზღვრელობა და მათი დამყაროფილების მატერიალური და ფსიქოლოგიური სიმწვანეები. ყოველივე ეს წარმოშობს ახრის დაბნეულობას, ცხოვრებაზე უიმედო და პესიმისტურ განწყობილებას, სრულიად სხვადასხვა შეხედულებას ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ბედნიერების შინაარსზე, მის წყაროებზე და ა. შ.

სწორედ ამ პერიოდში ისახება ეთიკური აზროვნების პირველი ნიშნები და მზადდება საფუძველი რელიგიისა და მითოლოგიისაგან თავისუფალი ეთიკური თეორიის წამოყალიბებისათვის. ყოველი ეთიკური თეორიის ძირითადი საკითხი კი, როგორც ვთქვით, არის ბედნიერების პრობლემა. ეთიკური თეორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადად სწორედ იმით, თუ რას მიიჩნევენ ისინი ადამიანის უმაღლეს ზნეობრივ იდეალად, რაში ბედნიერ ისინი ადამიანის ბედნიერებას.

მარქსისტული ეთიკის მეცნიერება არ შენდება შეიშველ ნიადაგზე. იგი ანგარიშს უწყევს მეცნიერების ისტორიის ყოველ დადებით მონაპოვარს, ითვალისწინებს მას და კრიტიკულად ათვისებს წარსულის შემკვიდრებობის რაციონალურ მომენტებს, ასევე უნდა იქნეს ვათვალისწინებელი ბედნიერების ცნების მარქსისტულ განსაზღვრაში მარქსამდელი ეთიკური აზროვნების მონაპოვარი.

ქ. მარქსი და ფ. ენგელსი არა ერთხელ მიუთითებდნენ, რომ ახალი დროის ბურჟუაზიულ ფილოსოფიას არ მოუცია რაიმე ისეთი თრიგონალური თეორია, რომლის ჩანასახი და პირველი ფორმა არ გუხვდებოდეს ძველ ბერძნულ, ანტიკურ ფილოსოფიაში. ეს სასუსებით შეიძლება ითქვას ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგის — ეთიკის მიმართაც.

ანტიკურ პერიოდში, სოკრატელმა მოყოლებული, ეთიკური თეორიების დიდ სიმრავლეში მკვეთრად გამოირჩევა ორი ურთიერთდამპირისპირებული ეთიკური სისტემა — ეპიკურეიზმი და სტოიციზმი, რომლებიც ფილოსოფიის ორი ძირითადი ნაკადის — მატერიალისმისა და იდეალიზმის შუტრიკებელი ბაძოლის აშკარა გამოხატულებაა ეთიკის სფეროში. თანამედროვე ბურჟუაზიული ეთიკური თეორიების მთელი მრავალფეროვნება, პრაგმატიზმიდან დაწყებული და ნეოთომიზმით დამთავრებული, სხვადასხვა პანჯერ იმეროებენ. ამ ცალ-ცალკე ამ სკოლების ცალმხრივ დებულებებს, ან მათი მკვანეური სინთეზის ეკლექტიკურ ნარგვს, ამიტომ საჭიროა მოკლედ შეიხი დაეახსიათოთ ბედნიერების ცნების ორი უძველესი მატერიალისტური და იდეალისტური გაგება და ამ უკანასკნელთა კრიტიკის ფონზე ხაილად გამოიხილება, თუ რა მოგვცა ახალი მარქსისტულმა ფილსოფიამ ბედნიერების ცნების გაგებაში.

ეპიკურეი ეთიკური სისტემა უყრდნობა მატერიალისტურ-სენსუალისტურ შემეცნებას თეორიას — შეგრძნებათა მონაცემების რეალობის აღიარებასა და მათადი რწმენის უკრძალულობას. შეგრძნებებს ეურდნობა, ეპიკურეს აზრით, არა მარტო ცოდნა და მეცნიერება, არამედ ადამიანის პრაქტიკული ცხოვრებაც. ყოველ შეგრძნებას ახლავს სიამოვნება ან უსამიერება. სწორედ ეს არის ადამიანის ცხოვრების სახელმძღვანელო კომპასი. კერძოდ, ეპიკურე აყალიბებს შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს: 1. ადამიანი ყოველთვის უნდა მიისწრაფოდეს სიამოვნებისაგან და გავრბოდეს უსამიერებას, ტანჯვას. 2. ადამიანი უნდა ვაერბოდეს იმ სიამოვნებას, რომელიც ან უფრო მეტ სიამოვნებას დაეკავარგვიანებს, ან უფრო მეტ ტანჯვას გამოიწვევს. 3. ადამიანი არ უნდა ვაერბოდეს იმ უსამიერებას, რომელიც ან უფრო დიდი უსამიერებისაგან დაეკავარგვიანებს, ან უფრო მეტ სიამოვნებას მოგვანიჭებს.

აი, ამ პრინციპებზეა აგებული ეპიკურეს მთელი ეთიკური სისტემა. იგი როგორც მატერიალისტი, უარყოფს სულის უკუდავებასა და სიქიო ცხოვრების არსებობას. არაფთარი იმქვეყნიური სიამიერება მისთვის არ არსებობს. ერთადერთი ადამიანური სიკეთე არის ამქვეყნიური სიამოვნება, მაგრამ მთელი საკეთე არ დაიუყანება მხოლოდ და მხოლოდ სენსუალისტურ ფენომენზე, ანუ სხეულებრივ სიამოვნებაზე. ამ მხრივ ეპიკურე იწარჩუნებს ბერძნული რაციონალისტური ეთიკის ტრადიციებს. სიამიერება, მისი აზრით, ორგავარა: დადებითი, აღზნებითი, მღვდარე და უარყოფითი, მშეიდობიანი, წყნარი, პირველი დროებითია, წარმავალი და ცვალებადი, ამდენად — ნაკლებად სანდო; მეორე — მდღმვიფა, მყარი, საიმედო. ეს არის ნათელი და მშეიდობიანი სულის ჩვეულებრივ მდგომარეობა.

სიამიერების ეს ორი ძირითადი ფორმა, ეპიკურეს აზრით, აკმაყოფილებს ადამიანის ყოველგვარ სურვილებს, რომლებიც, თავის მხრივ, იმისდაამხედელი, თუ რა მიმართებაში არიან ადამიანის სასიოცხო ინტერესებთან — ცუთთან სამ გვეუფად: 1. ბუნებრივი და აუცილებელი სურვილები; 2. ბუნებრივი, მაგრამ არაუცილებელი სურვილები და 3. არაბუნებრივი და არაუცილებელი სურვილები.

ყოველივე აქედან ეპიკურეს გამოჰყავს ადამიანის პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო წესი, რომლის დაცვით ადამიანს შეუძლია ვიადწიოს ჰემმარტ ბედნიერებას. ბედნიერების მოპოვების ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა უნდა ეცადოს დაეკმაყოფილოს ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებები, როგორცაა მგავლოთად კვების მოთხოვნილება; უნდა შეზღუდოს ბუნებრივი, მაგრამ არაუცილებელი მოთხოვნილებანი, როგორცაა, მგავლოთად, ხელგამლილი. ფუფუნებითი ცხოვრება;



და, ბოლოს, უნდა დათრგუნოს ისეთი არაბუნებრივი და არააუცილებელი მოთხოვნები, როგორცაა პარტიზოვარება, განდევნის მანა და სხვა. ასეთი გზით მიადევნეს კვიციანი ადამიანი სულის სიმშვიდეს და უშფოთველობას. ეს არას სხეულისა და სულის დატკობის წყარო. ასეთ დატკობას იძლევა არა ღორშეცელობა და სიხარბე, როგორც ამას ზოგიერთები შეცდომით მიაწერენ ეპიკურეს, არამედ შეცნობრება, კულტურა, ხელოვნება და მეგობრობა.

როგორც ვხედავთ, ეპიკურე ლაბარაკობს სულიერი სიამოვნების უპირატესობაზე, მაგრამ არა აქვს სულიერ სიამოვნებაში მითითებული სოციალურ ელემენტზე, როგორც ბედნიერების წყაროზე. მას მხედველობაში ჰყავს არა საზოგადოება, არამედ ინდივიდუალური ადამიანი. ზნეობრიობაზე და სამართლიანობაზე მითითება მასთან გაგებულთა მხოლოდ როგორც საშუალება სიამოვნების მისაღებად და არა მიზანი. ეპიკურე არათუ მოუწოდებს ადამიანს საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ, არამედ, პირიქით, იგი უჩრჩევს, თავი აარიდონ პოლიტიკას და პოლიტიკურ ცხოვრებას. უშფოთველობისა და სიმშვიდის პრინციპი — „ატარაქსია“, სწორედ პოლიტიკიდან და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან განდევნის ნიშნავს. მიზანი ინდივიდუალური სიამოვნება და არა საზოგადოებრივი კეთილდღეობა. „ბედნიერია ცხოვრების თავი და ბოლო არის სიამოვნება. ზეენ სიამოვნება მივინიჭეთ პირველ და თანდაყოლილ სათნოებად“ (იქვე). მისი ეთიკა წმინდა ინდივიდუალისტური ეთიკაა, რომელიც გამოატავს მონათმფლობელთა კლასის სულიერი დაცემისა და ვადავარების განწყობილებას.

ეპიკურეიზმს, როგორც დემოკრატებს მატერიალისტური ხაზის ვაგარძელებს ეთიკაში, უპირისპირდება სტოიციზმი, როგორც პლატონის იდეალისტური ხაზის ვაგარძელება. სტოიციზმი ანტიკურ ეპოქაში ჰქვია ეთიკური თეორიისაგან მკვეთრად განსხვავებული მოძღვრებაა, რომელიც ადამიანის ბედნიერებას ხედავს არა სიამოვნებაში, სულერთია იქნება იგი სხეულებრივი თუ სულიერი სიამოვნება, არამედ ადამიანური მოვალეობის შესრულებაში.

ბუნებაში მკაცრი აუცილებლობა ბატონობს — ამტკიცებენ სტოიკები. ეს არის მსოფლიო სულის, ლტოვიბრივი გონების მოქმედება. ადამიანი სხეულისა და სულის ერთიანობაა. მისი სიკვდილის შემდეგ სულა, როგორც ნაწილი მსოფლიო გონებისა, მასვე უბრუნდება. თუ ბუნებაში მკაცრი აუცილებლობა ბატონობს და მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, მაშინ საჭიროა დავუქვემდებაროთ ბუნებას და მის კანონზომიერებას. მართალია, ადამიანის ყოველი მოქმედებას ბედისწყარა, ბუნების კანონზომიერება განაგებს, მაგრამ ადამიანი მის გამო ამსოფლებს პასივისსათვის როდია განწირული. ადამიანმა უნდა შეიმუქნოს ბუნების კანონზომი-

ერება, გაიგოს მისი საიდუმლოება და იცხოვროს ბუნების მიხედვით. ე. ი. სტოიკების აზრით, ბუნების მიხედვით ცხოვრება-არის სიამიანის უმაღლესი დანიშნულება, მასს მოქალაქობა, და ამ მოვალეობის შესრულება შეადგენს ადამიანის უმაღლეს ბედნიერებას, იმისათვის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, მან უნდა დაუჯეროს გონების ხმას. გონება სწორად ასახავს ბუნებას და გონიერი ცხოვრება, ამავე ღრსია. ბუნებრივი ცხოვრებაა ასეთი ბუნებრივი და გონიერული მოქმედება ზნეობრივიც არის.

გონებისა და ბუნების ასეთი გაიგებება განსაზღვრავს სტოელთა შეხედულებას სათნოებაზე, ბედნიერების წყაროზე. რასაც იმინი ბუნებრივად უკავშირებენ ცოდნას. სათნოება მხოლოდ ცოდნით შეიძლება განაორციელდეს. ცოდნა აძლევს ადამიანს საშუალებას გაიგოს თავისივე გონების ხმა და ვაძვეს მას პრაქტიკულ მოქმედებაში. გონებისადმი დამორჩილება მოითხოვს ენებების შესრულებას და აფექტებისაგან განთავისუფლებას. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა კმაყოფილება ანუ უმაღლესი ბედნიერება. ეს შინაგანი კმაყოფილება სიამოვნება არ არაა, არამედ ღირსებაა, სულიერი ღირებულებაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ყოველ მოქმედებას, რაც შეეხება სიამოვნებას, სტოელთა მის მიმართ ინდივიდუალურად, გულგრილია. შინაგანი თვითკმაყოფილების გარდა მისთვის ყველაფერი სულ ერთია. სტოელთა ზნეობრივი იდეალი არის ბრძენი, ბრძენი, მათი აზრით, გულგრილი უნდა იყოს სიმდიდრის, ჯანმრთელობის, საერთოდ, მთელი ცხოვრების მიმართ. თუ ყოველივე ეს იქნება ხომ კარგი, თუ არა და — კიდევ უკეთესი, მალე დატოვებს მისი სული სხეულებრივ საყარობილს და შეუდარდება მსოფლიო გონებას. სტოიციზმიდან ერთი ნაბიჯი-ღა რჩება ქრისტიანულ ასკეტიზმამდე.

იმისათვის, რომ ბრძენი გულგრილი იყოს ვარგანი სიკეთისადმი, საჭიროა წინასწარი პირობა — ამათა აფექტების მიმართ. ვინც შეძლებს ენების შესრულებას და აფექტების აღაგმას, მას შეუძლია იყოს გულგრილი ყოველივეს მიმართ და მხოლოდ სიმბრწენი ხედავდეს უმაღლეს ბედნიერებას. უფრო გვიანდელ სტოიციზმში გულგრილობის შესახებ მოძღვრება თვითმკვლელობის კულტურად ვითარდება. უკიდურეს შემთხვევაში სტოიკები ადამიანის ზნეობრივ გამოსავლს თვითმკვლელობაში ხედავენ. სწორად შენიშნავს პროფესორი ფრიზო, რომ ეს საკუთარი თავის მიმართ ვერაფერი ზნეობრივი მოქმედებაა, სტოიკების ასეთი მორალი მეტად მკაცრი იყო და მხოლოდ რჩეული უპირატესობისათვის შეიძლება ყოფილიყო მისაწვდომი. თავისთავად ესაბო, რომ მას არ შეეძლო ვადაერჩინა მაშინდელი ეპოქის ზნეობრივი ანარქია. მეცნიერული თვალსაზრისით, როგორც ამბობს კ. მარშალი,

სტოელების ეთიკა დაბნეულია და წინააღმდეგობით სავსე. იგი კლავს ადამიანში ყოველფეე ცოცხალს და მიშობდეღს, იმის მგაერ, რომ უნჯენოს მას ბორბტებისა და სიყეთის საზღვრები, სტოელები ქადაგებენ გმირულ იდეალს, მგარამ სრულებით არაფერს არ ამბობენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ნებისყოფა ვაეხადოთ გმირულა.

მეცნიერულ დაბნეულობისა და წინააღმდეგობის ნათელი დადამტურებაა ისიც, რომ სტოელთა ინდივიდუალბში უცნურად უჯავშრდება უქედურეს სოციალურ უნიერსალბზს. რადგან ყველაფერში ბუნების კანონები ბატონობენ, ბუნებისათვის ყველა ადამიანი ვრთთა, ამიტომ ისინი არ სცნობენ ნაციონალურ და სოციალურ განსხვავებას და ქადაგებენ კოსმოპოლიტურ იდეებს, თავიან თავს აღიარებენ მსოფლიოს მოქალაქებად და აწუხებთ არა მარტო ბერძნების ან რომაელების, არამედ საერთოდ ადამიანის ბედსადაც. თუ ეპიკურეზში მოკლებული იყო სოციალურ ელემენტს და ადამიანის ბედნიერების შინაარსად მიიჩნედა ზრუნვას მხოლოდ საყუთარი სიამოვნებისათვის, სტოიციზმი აბსოლტურად ამოშლის ბედნიერების შინაარსად სიამოვნების ელემენტს და ქადაგებს მთელი საზოგადოებისათვის ზრუნვის აუცილებლობას. ბედნიერების წყარო, სტოელებს აზრით, არის არა სიამოვნება, არამედ ადამიანური მოვალეობის შესრულება, რაც გონებისადმი დამორჩილებასა და სინდისიერ მოქმედებაში მდგომარობს.

სტოელთა კოსმოპოლიტური შეხედულებები და ბედნიერების შინაარსიდან სიამოვნების გაშითიშვა სავსებით შეეფერებოდა მაშინდელი რომის იმპერიის გაბატონებული კლასების ინტერესებს. ვარგვან კეთილდღეობაზე ხელასილების, შოიბინებისა და გმირული ტანჯვის კოსმოპოლიტური იდეოლოგია სავსებით კანონზომიერად ვადიპქია რომის იმპერიის ოფიკიალურ მსოფლმხედველობად. იგი, როგორც სწორად შეინშავს მარქსი, ადამიანს ავიწყებდა ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე ზრუნვას და მოუწოდებდა დაქმყოფილებულიყო სუფთა სინდისით და შინაგანი სულისი სიმშვიდით.

სტოიციზმის იდეოლოგიურ მექეიდრეს-ქრისტიანულ რელიგიას — ახალი არაფერი არ მოუცეო ბედნიერების გავებაში, ხოლო ახალ საუკუნეებში — ერთის მხრივ, მეტაფიზიკურ იდეალისტური დასაბუთება ეძლევა სტოელთა მოვალეობის ეთიკის შშრალ დიდაქტიზმს (კანტისა და ჰეგელის მოძღვრებაში) ხოლო მეორე მხრივ, ინგლისური ემპირიზმისა და ფრანგული მატერიალიზმის ეთიკურ სისტემებში ახალი ფორმით გვიღივრება ძველი ბერძნების შეხედულებები ბედნიერებაზე, როგორც სხეულებრივ და სულისიერ სიამოვნებაზე.

მხოლოდ მარქსიზმის ჩამოყალიბება კმნის ახალ ეტაპს როგორც, საერთოდ, ეთიკის მეცნიერებაში № 6.

ნიერების განვითარებაში, ისე, კერძოდ, ბედნიერების ცნების გავებაში. ვასაკერი არაა, რომ მარქსამდელ სოციოლოგიასა და ფილოსოფიას არ შეეძლო ადამიანის დანიშნულების ნამდვილი მეცნიერული გავება და ბედნიერების ცნების სწორი შემუშავება. საქმე ეება არა მარტო იმას, რომ მარქსამდელი სოციოლოგია და ფილოსოფია არასოდეს არ ყოფილა თავისუფალი იდეალისტური ან მეტაფიზიკური დანაშრეებისათვან, არამედ უმთავრესად იმას, რომ მარქსამდელ აღმოჩენილი არ ყოფილა ისტორიის მატერიალისტური გავება, რომლის ვარგე ყოველად შეუძლებელია ადამიანის დანიშნულებისა და მისი ბედნიერების შინაარსის მეცნიერული განსაზღვრა.

მარქსიზმი თვლის, რომ სამყარო თავისი ბუნების მატერიალურია და არაფართო საიჭირო ცხოვრება და სულის უქედებება არ არსებობს. ერთადერთი რეალობა ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობაა და მისი ჰეშმარტი ბედნიერება მხოლოდ ამქვეყნიურ კეთილდღეობაში უნდა მდგომარეობდეს. მთელი საყუთი სწორად ისაა, თუ რას ვულისმობს მარქსიზმი ადამიანის კეთილდღეობაში და როგორია ადამიანის ბედნიერების წყარობი.

ადამიანი სულიერი არსებაა. იმისათვის, რომ იგი ბედნიერი იყოს, უბრველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ფიზიკურად. ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის თუცილებულია, რომ მან დაიქმყოფოს თავისი სხეულბრივი, სასიცოცხლო, ვიტალური მოთხოვნილებანი, როგორცაა ჰეშმ-სმა, ბინა-ტანსაცმული და გამრავლება. ამ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაქმყოფილება ვარკვეული სიამოვნების განცდას იწვევს, მაგრამ შეიძლება თუ არა ეს სიამოვნება იქნეს მიჩნეული ადამიანის ბედნიერების წყაროდ? — რა თქმა უნდა, არა, ადამიანი რომ ამაში ხედავდეს თავის ბედნიერებას, იგი არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული ცხოველისაგან. სისულელე იქნებოდა ამ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა იგნორირება და მათი უგულვებელი ყოფაც, როგორც ამას ქადაგებდნენ (მაგრამ ნაკლებად ასრულებდნენ) სტოელები. მარქსიზმი არ უარყოფს სიამოვნების დიდ მნიშვნელობას და თვლის, რომ იგი არის ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთი, მაგრამ არა მთავარი და არა უმნიშვნელოვანესი პირობა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაქმყოფილება და სხეულბრივი სიამოვნება არის არა ბედნიერების პირობა, არამედ ადამიანის ცხოვრების, მისი არსებობის პირობა. რაც შეეება საყუთრივ ბედნიერებას, იგი არ შეიძლება მდგომარეობდეს ისეთ თვისებებსა და ფუნქციებში, რომლებიც ადამიანს საერთო აქვს ცხოველებთან. მაშასადამე, ადამიანის ბედნიერების შინაარსი უნდა ვეძებოთ სწორედ იმ თვისებებსა და ფუნქციებში, რომლებითაც ის განსხვავდება ცხოველებისაგან და შეადგენს მხოლოდ მის სპეციფიკას ალა-

შიანსათვის ასეთი სპეციფიკურად დამახასიათებელი თვისებებია ინტელექტი, გონება და ნებლობა, რომელთა ერთიანობა იძლევა ზნეობას.

ადამიანის გონებისა და ნებლობის ანუ მისი ზნეობის გამოვლენის პირველ ფორმას წარმოადგენს აქტიურობა, შრომა, შემოქმედება. შრომა შექმნა ადამიანი და შრომა არის ადამიანობის პირველი ნიშანი, შემთხვევითი არაა, რომ კომუნისტურა ზნეობის პირველი ანბანური ქვეშარჩევნა არის შრომის სიყვარული. ვისაც შრომის სიყვარული არა აქვს, მას დაკარგული აქვს ადამიანის ძირითადი ნიშანი, თუ არ არსებობს ძირითადი ნიშანი, არ იარსებებს წარმოებელი ნიშნებიც. შრომა არის ადამიანის გაყოფილშობილების, მისი სინდისის, პატიოსნების საფუძველი და ვასაგებია, რომ, ვისაც შრომა არ უყვარს, ზარმაცია და მქუთაბორა, ძნელი დასაუკრებელია, რომ იგი კეთილშობილი იყოს, სინდისი და პატიოსნება გააჩნდეს. სიზარმაცე და მქუთაბორა იმათათვე გამოირჩევა სინდისისა და პატიოსნებასაც.

მაშასადამე, შრომა, შემოქმედება ადამიანის ქვეშარჩევი ბედნიერების ერთ-ერთი პირობა და არა ცხოველური განცხრობა და ნეტარება. მაგრამ მარქსიზმი არ კმაყოფილდება ამ დებულების გამოყენებით, ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ შრომაც არის და შრომაც არის შრომა იძულებითი, სხვისთვის შრომა, ექსპლოატატორული შრომა და არის შრომა თავისუფალი, საკეთარი თავისათვის შრომა, იძულებითი შრომა ტანჯვით და არა სიამოვნებით. იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადამიანური ბედნიერების პირობად. ასეთი რამ შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი შრომა. კლასობრივი საზოგადოების ისტორიაში, როცა შრომელი კლასები მონური შრომის უღელში იყვნენ შეზღუდული (და ახლაც არსებითად ამ პირობებში არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში) თავიანთ ბედნიერებას ხედავდნენ არა ამ მონურ შრომაში, არამედ მონური შრომისაგან თავის დახსნას და განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლებითვის ბრძოლა ყოველთვის იყო და იქნება მშრომელი ხალხის უმაღლესი ზნეობრივი იდეალი, მათი ქვეშარჩევი ბედნიერების წყარო. ყოველ ეპოქაში მშრომელი ხალხი იმდენად იყო და არის ბედნიერი, რამდენადაც აღწევს იგი წარმატებას ამ განთავისუფლებულ ბრძოლაში. მშრომელი კლასებისა და მოწინავე პროგრესული კაცობრიობის ყველაზე გამოჩენილი შედეგები ამ უმაღლეს ზნეობრივ იდეალს უმორჩილებდნენ თავიანთ სიცოცხლეს და ათეული საუკუნეების განმავლობაში უყოყმანოდ ეწირებოდნენ მსახურებად ამ უმაღლეს იდეალს. მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ხედავდნენ ისინი თავიანთ ბედნიერებას.

როცა კ. მარქსს კითხეს, თუ რაში ხედავდა იგი ბედნიერებას და რაში — უბედურებას, მან

უპასუხა: ბედნიერება ბრძოლაში, ხოლო უბედურება მორჩილებაში.

მაშასადამე, არა შრომა თავისთავად და არა ბრძოლა თავისთავად, არამედ თავისუფალი შრომა და თავისუფლებისათვის ბრძოლა არის ადამიანის ნამდვილი ბედნიერების წყარო. თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მის გარეშე ადამიანური ბედნიერებაც წარმოუდგენელია.

ადამიანური თავისუფლება არის შეგნებული, ნებისმიერი მოქმედების უნარი და სწორედ ეს უნარი იძლევა ადამიანურ ბედნიერებას. მაგრამ ისმის კითხვა: რისთვის სჭირდება ადამიანს ასეთი თავისუფალი მოქმედების უნარი, რატომ უმოჩინალებს იგი მთელ თავის ცხოვრებას თავისუფლებას, რატომ სწირავს თავს თავისუფლებისათვის? აი, აქაა საკითხის ძირი და ბედნიერების მარქსისტული გაგების მთელი საიდუმლოება. თუ ადამიანი თავის ბედნიერებას იმში ხედავს, რომ მისი შრომა თავისუფალი იყოს იძულებისაგან, ანუ საკეთარი თავისათვის შრომობდეს და მისი შრომის პროდუქტებს არავინ ისაკუთრებდეს, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონაც თავისუფალი იყოს რაიმე იძულებისაგან და ყოველთვის იმას აყვებდეს, რაც მოუპირანება, მაშინ ბედნიერების ასეთი გაგება ვერ გასცდება არათუ წმინდა წყლის ინდივიდუალიზმსა და ეგოიზმს, არამედ უკიდურეს სოციალურ ანარქიზმსაც კი.

ადამიანი სოციალური არსებაა. შრომა არის არა ერთობრივული, არამედ სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენა. თუ ადამიანმა შრომაში მღვდნარეობს და შრომის გარეშე არ არსებობს ადამიანი, მაშასადამე, არც საზოგადოებისა და მისი ინტერესებისათვის ზრუნვის გარეშე არ არსებობს ადამიანი. ადამიანური კეთილშობილებას, მისი ზნეობის ქვეყნობელი სხვა ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის ზრუნვის მოთხოვნილებაა. თანავარძლობა ზნეობის საფუძველია, რომლის გარეშე არ არსებობს არც სამართლიანობა, არც სინდისი და არც პატიოსნება. მაშასადამე, შრომის სიყვარული გულისხმობს და მოითხოვს შრომელის სიყვარულს. შრომის თავისუფლება გულისხმობს არა მარტო საკეთარი, პირადი ინტერესებისათვის ზრუნვას, არამედ შენი მსგავსი მშრომელის ინტერესებისათვის ზრუნვას. არა ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი, არამედ სწორედ კოლექტივიზმი და ალტრუიზმი ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისუფლებაა. თუ ასეა, ადამიანის ბედნიერების პირობას უნდა შეადგენდეს არა მხოლოდ საკეთარი თავისა და საკეთარი ოჯახისათვის ზრუნვა, არამედ საკეთარი კლასისთვის ზრუნვა კლასობრივ საზოგადოებაში და მთელი საზოგადოებისათვის ზრუნვა უკლასო საზოგადოებაში. სწორედ ეს იქცევა ადამიანის ძირითად და უმნიშვნელოვანეს მოვალეობად.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ადამიანური ზნეობა—სხვისთვის ზრუნვის მოთხოვნა—უარყოფს ადამიანის შრომის თავისუფლებას და ისევე სხვის მსახურად აქცევს მას? რა თქმა უნდა, არა. ჯერ-ერთი, თავისუფლების დეკლარაცია არის არა საერთოდ სხვისთვის შრომა, არამედ სხვისთვის შრომა იძულებით, როცა შენ ეს არ ვსურს და ვარგვანი ძალა გაიძულებს იმეორე და იმეორე სხვისთვის: ხოლო თუ არა რაიმე ვარგვანი ძალა, არამედ თვით შენი საკუთარი შინაგანი მოთხოვნა—გაიძულებს, მაშინ არა იძულებასთან, არამედ ნამდვილ თავისუფლებასთან ვუპყეს საქმე. ვარდა ამისა, სხვისი ინტერესებისათვის ზრუნვა და „სხვისთვის“ შრომა სრულადაც არ გამოირჩევა ამ შემთხვევაში საკუთარი თავისთვის შრომას. მარქსიზმის მთელი დამსაბურება ეთიკის სფეროში ისაა, რომ მან პირველმა გვიჩვენა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების პარამონული ერთიანობა. ამბობს ყველასათვის და ყველა ერთსათვის\*, ემბოზს მარქსისა და ენგელსის ფორმულა. ის, ვინც ზრუნავს მხოლოდ საკუთარი თავისათვის, ის არ ზრუნავს ყველასათვის, მაგრამ ის, ვინც ზრუნავს ყველასათვის, ის, ამავე დროს, კიდევ უფრო დიდი წარმატებით ზრუნავს საკუთარი თავისათვის.

ჩვენ საყვებით შეგნებულად ვიხმარებთ ვაშოქმა: „ყოველ უფრო დიდი წარმატებით“. ზომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საზოგადოებისათვის ზრუნვა საჭიროა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის საშუალება საკუთარი უფრო მეტი კეთილდღეობისათვის? ასეთი შეხედულება ეთიკის ისტორიაში ცნობილია გონიერული ეგოიზმის სახელწოდებით. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მარქსისტული ეთიკა ამ პრინციპზე დგას. ასეთი თვალსაზრისი ყოველად მიუღებელია.

მოწინავე საბჭოთა ადამიანი, ნამდვილი კომუნისტი საზოგადოებრივი კეთილდღეობას განიხილავს არა როგორც საშუალებას პირადი კეთილდღეობისათვის, ასე რომ იქნას, ჩვენი საზოგადოებისათვის თავდადებისა და გმირობის ფაქტები აუხსენელი და ვაუგვებარი იქნებოდა, არამედ განიხილავს მას, როგორც თვითმიზანს, ძირითად და უპირველეს საქმეს, რომელსაც უმორჩილებს თავის პირად კეთილდღეობას, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის არა უბრალოდ საშუალებას, არამედ მის შემადგენელ ელემენტს. მარქსიზმი აღიარებს საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატს და ამაში ხედავს იგი ინტელექტუალური პირველბათა ძირითად მიზანს, მაგრამ სრულიადაც არ მოითხოვს პირველების თავისუფლებას დაქინებებს და არ იცხადებს პირველებს საშუალებად კოლექტივის კეთილდღეობისათვის. მარქსისტული ეთიკა არ მოითხოვს პირველების ინტერესების გასრესას „კოლექტივის ქიშკრივი ინტერესებისათვის“, როგორც ამას ცილისმწამებლურად ვაიკითხავთ: ნამდვილად რეალური ბერძენული იდეო-

ლოგიის ამოლოგეტები ნეოთომისტებისა და ექსისტენციონალისტების სახით, მარქსისტული ეთიკა თვლის, რომ პირველების ინტერესები და მისი კეთილდღეობა მაშინ იქნება დაკარგული და უზრუნველყოფილი, როცა უზრუნველყოფილი იქნება მთელი კოლექტივის, საზოგადოების კეთილდღეობა. პირველი არ არსებობს მეორის გარეშე. საზოგადოებრივი, პატრიოტული მოვალეობის ცნებას საფუძველი გამოეცლება, ჩვენ რომ საზოგადოებას ვუფრავდებით, როგორც საშუალებას პირადი კეთილდღეობისათვის. იმიტომ კი არ აკლავდნენ თავს ჩვენი საბელოანი წინაპრები და უფროსი თათბა ერთნეული და სოციალური განთავისუფლების საქმეს, იმიტომ კი არ ვაგულობთ მათ ვინთ აუწყრავლი მსხვერპლი საბჭოთა საზოგადოების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ათასგვარ შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რომ ამით შეტი პირადი კეთილდღეობა მიეღობ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოების კეთილდღეობაში ხედავდნენ ისინი ძირითად მიზანს, მათს ადამიანურ მოვალეობას და ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება შეადგენდა მათს ბედნიერებას, ეს არის მთავარი და არსებითი.

მამსაღამე, ადამიანის კუმშარბი ბედნიერება მდგომარეობს მთელი საზოგადოებისათვის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ადამიანი იმდენად არის ბედნიერი, რამდენადაც მონაწილეობს იგი ამ ბრძოლაში თავისი შესაძლებლობის მიხედვით და აღწევს რაიმე წარმატებას. ვისაც არა აქვს შინაგანი მოთხოვნა ემსახურის თავის ხალხს, მთელ საზოგადოებას, ვისაც არ აქვს თვითთავანებს თავისი ხალხის ყოველი წარმატება კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, და ვინც მხოლოდ საკუთარი თავის, თავისი ოჯახის და უკეთეს შემთხვევაში, ნათესავ შემკობების კეთილდღეობისათვის ზრუნვით კმაყოფილება, — იგი არ არის ნამდვილი მოწინავე ადამიანი, მას არა აქვს კომუნისტური ზნეობა, იგი ეგოისტია და ინდივიდუალისტი.

კუმშარბი ბედნიერების პირობა არის სუფთა სინდისის ვანცა, ხოლო სუფთა სინდისი აქვს მხოლოდ იმას, ვინც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას საზოგადოებისა და ხალხის წინაშე. შეიძლება თუ არა ადამიანი პატიოსნად ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე და, ამავე დროს, უსამართლობას და დანაშაულს ჩადიდეს ვინმე პირაყენების ან პირაყენებათა ჯგუფის მიმართ? არა, არ შეიძლება. და სწორედ ამაშია საზოგადოების მიმართ მოვალეობის მარქსისტული გაგების მთელი მნიშვნელობა, პირაყენებისა და საზოგადოების ინტერესთა პარამონიის მარქსისტული ლოზუნგის სილიდე. საზოგადოების მიმართ მოვალეობა არაა ცარიელი აბსტრაქტული ფრაზა, აქიშერული უმინარსო ლოზუნგი“. საზოგადოება — ეს არის ცალკეულ ადამიანთა ერთიანობა.

თუ ადამიანი უსამართლობას და დანაშაულს ჩადის ვინმე პიროვნების მიმართ, ამით იგი უკვე ლაბანს მთელი საზოგადოების ინტერესებსაც, რადგან საზოგადოება გულგრილი როდია მისი წყევლების ინტერესებისა და კეთილდღეობისადმი. ყოველი უსამართლობა, რა უმნიშვნელო ობიექტის მიმართაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, მაინც საზოგადოებრივი მთავალღობის დარღვევა, სინდისის სიწმინდის შელახვაა და ასეთი სინდისშეღალტული ადამიანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს. ე. ო. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი მოვალეობის ცნება გულისხმობს კერძო მოვალეობათა მთელ სისტემას, ადამიანური ზნეობრივი მოქმედების ნორმათა სისტემას, რომელთა დაცვა განიხილება არა როგორც კერძო და ერთპიროვნული, არამედ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე. უმთავრესი მნიშვნელობისაა კეთილდღეობის და ბედნიერებას ის განიცდის, ვინც თავისუფლად, თავისთავად ემორჩილება ზნეობრივი მოქმედების ამ ნორმებს და მუდამ სუფთა და შეუბღღავი სინდისი აქვს. ე. ო. ბედნიერება სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ზნეობრივი მოქმედების ფუნქცია, ბედნიერება გულისხმობს ბრძოლას საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

ბედნიერების მარქსისტული გაგება არ იქნება სრული, თუ არ გვეცოდინება თვით „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ ცნება. ამ ცნების ანალიზი მოგვცემს პიროვნების და საზოგადოების არტყვისათა პარამონის დასაბუთებას, ერთ მხრივ, და ბედნიერების ცნების მიმართებას საამოყენების ცნებისადმი. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ცნებაში იგულისხმება და საზოგადოების ყოველი წევრის მატერიალური და სულიერი მოთხოვნებისა დაკმაყოფილება. ე. ო. ლაბარაია არა რაიმე „ფუნქციური ფრაზის“ და „გაუმთავარი ურჩხულის“ კეთილდღეობაზე, არამედ რეალური, კონკრეტული, ცოცხალი ადამიანის კეთილდღეობაზე. ადამიანის და საზოგადოების ცნებები მოცულობით ამ შემთხვევაში ემთხვევიან ერთმანეთს. პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა პარამონის ერთ-ერთი შინაგანი ლოგიკური პირობა ცნებათა ასეთი მოცულობითი იგივეობაა, სულ სხვაა ინტერესთა ამ პარამონის ეკონომიური და პოლიტიკური პირობა. იგი ცნების შინაარსს ეხება და არა მოცულობას. შინაარსის მომენტს იძლევა თვით კეთილდღეობის ცნება.

რა იგულისხმება საზოგადოებისა და პიროვნების კეთილდღეობაში? ზემოთ უკვე ითქვა, რომ კეთილდღეობის ცნებაში იგულისხმება ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნისა დაკმაყოფილება. საზოგადოება არ იქნება კეთილდღეობაში, თუ მის წევრებს არა აქვთ ბინა, ტანსაცმელი, საკმელო და სასმელი, თუ ისინი ვერ იკმაყოფილებენ კულტურული განვითარების, ინტელექტუალური და ესთეტი-

კური დატყობის მოთხოვნებს. საზოგადოება მაშინ ზრუნავს მისი წევრების კეთილდღეობაზე, როცა იგი ცდილობს დააკმაყოფილოს ყველა ეს მოთხოვნა. ხალხისათვის ასეთი ზრუნვა აბსოლუტურად მხოლოდ ანტიგონისტური კლასებისაგან თავისუფალ საზოგადოებას, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური და თვითონ მშრომელი ხალხისათვის ბედის ბატონ-პატრონი. პოლიტიკური თავისუფლება მშრომელ ხალხს სჭირდება არა მარტო იმისთვის, რაც იგი თავისთავად არის სიკეთე, არამედ იმისთვის, რომ ეს პოლიტიკური სიკეთე, სხვა მატერიალური, ეკონომიური და კულტურული სიკეთის პირობაა, მათი მოპოვების საშუალებაა. ასეთი მატერიალური სიკეთისა და კეთილდღეობის გარეშე წარმოუდგენელია კულტურული კეთილდღეობა, ანუ ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. ამით ახსნება, რომ მარქსიზმი უარყოფს არა მარტო ეპიკურელთა წმინდა ინდივიდუალური ეგოიზმისა და საამოყენებათა კულტის თეორიას, არამედ სტოიკელთა უნივერსალურ ასკეტიზმსა და საამოყენებათა მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას. მარქსიზმი ყველაფერი არ დამყავს ინდივიდუალური საამოყენებამდე, მაგრამ არც უარყოფს მას. თუ ადამიანის ნამდვილ ბედნიერებას მარქსიზმი საზოგადოების წინაშე მოვალეობის მოხდაში ხედავს, საზოგადოებას თავის შიგნით პიროვნების კეთილდღეობისათვის ზრუნვა ევალება, ანუ პიროვნების სხეულებრივ და სულიერი მოთხოვნებისა დაკმაყოფილებისათვის პირობების შექმნა. ადამიანის სუბციფიკას, მართალია, არ შეადგენენ სასიცოცხლო ვიტალური მოთხოვნისა, მაგრამ მათი დაკმაყოფილების გარეშე ადამიანი არ იარსებებს. ე. ო. ბედნიერი ცხოვრებას ელემენტარული პირობა ადამიანის ფიზიკური არსებობისა და გამრავლების უზრუნველყოფა. როცა ეს საკითხი მოგვარებულია, მაშინ შეუძლია ადამიანის იზრუნოს თავისი ნამდვილად ადამიანური, ანუ სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ასეთი სულიერი მოთხოვნისა დაკმაყოფილება ინტელექტუალური, ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნებისა, რომელთაც უმაღლეს მოთხოვნებს უწოდებენ. ამასთან ისეთი მიმართებაა სასიცოცხლო, ვიტალური და ნამდვილად ადამიანური, უმაღლეს მოთხოვნებს შორის, რომ ერთმანეთს განაპირობებენ და ავითარებენ. რაც უფრო მეტად ახერხებს ადამიანს თავისი სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც უფრო კარგ ბინაში ცხოვრობს, კარგად იკვებება და არ აკლია ოჯახური სითბო, მით უფრო მეტი საშუალება აქვს იზრუნოს ინტელექტუალური, ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მატერიალური კარგად უზრუნველყოფილი ცხოვრების პირობებში, როგორც წესი, უმაღლესი მოთხოვნების უფრო ვითარდ-

ბიან და ამით განითარება კი თავის მხრივ იწვევს სასიკოცხო მოთხოვნილებათა ზრდა-განვითარებას. პირველყოფილი ვეღურობის საფეხურზე ადამიანები გამოქვამულეში ცხოვრებით კმაყოფილებოდნენ და მოკლეუი ნადირის ტყავი საყვებით სამყაროსად მიანდლათ ტანსაფრად, დღეს კი ადამიანი კარგად მოწყობილი კომფორტაბელური ბინებითაც არ კმაყოფილება და მოდის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ჩაცმას საყვებით კანონიერ მოვლენად თვის-მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება თავის თავად იწვევს ყოველგვარი მოთხოვნილების ზრდას და ამოცანაა არა ამ მოთხოვნილებათა შეზღუდვა, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ უფრო განვითარება და დაქმყოფილების დონის მიხლოება მოთხოვნილების დონესთან. მოთხოვნილებათა ბუნება ისეთია, რომ მათი ყოველი დაქმყოფილება ახალ მოთხოვნილებათა განვითარებას იწვევს, ამიტომ მოთხოვნილების ზრდა ყოველთვის წინ უსწრებს მისი დაქმყოფილების შესაძლებლობათა ზრდას. საზოგადოების ამოცანა — ისე განავითაროს მეცნიერება და ტექნიკა, შექმნას ისეთი ეკონომიური ბაზა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ხალხთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. სწორედ ეს არის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელიც პირველად ჩამოაყალიბა ნ. სტალინმა.

თუ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ამოცანაა, უზრუნველყოს ხალხთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაქმყოფილება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ამოცანის შესრულებათა ხელდასაზოგადოება თავისი წევრებისათვის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფას. ვ. ი. ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის საჭიროა, რომ იგი მაქსიმალურად იქმყოფილებდეს თავის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს. როცა ადამიანი ახალ ბინას ელოდება, ამაში ხელდას იგი თავისი ბედნიერების ერთ-ერთ პირობას, ახალ ბინაში შესვლით იგი განიცდის დიდ სიხარულს და სულღერ კმაყოფილებას, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ეჩვენება ამ სიხარულს და თანდათან ეს სიხარული უფერულდება, ქრება, ეს არის ადამტიკის კანონის მოქმედება საიამოვნება-უსიამოვნების განცდებში, საიამოვნებისა და სიხარულის გაქრობა იმას ნიშნავს, რომ მას უკვე ახალი მოთხოვნილება უჩნდება, სხვა უნდა, უეთესი უნდა და ა. შ. მუდმივად მზარდი მოთხოვნილება" სწორედ ამას ჰქვია, ასევე ხდება უმაღლეს მოთხოვნილებათა სფეროში. ამრიგად ადამიანის ბედნიერების შინაარსში იგულისხმება ყველა ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილების დაქმყოფილება. საბჭოთა ადამიანები გულგრილნი როდი არიან საიამოვნება-უსიამოვნების მიმართ. ისინი მიისწრაფ-

ვიან საიამოვნებისაკენ და გაურბიან უსიამოვნებას, მხოლოდ არანორმალურად (მეცნიერებებამის საწინააღმდეგოდ. მაგრამ სამჭრობისადამიანის სპეციფიკა და ბედნიერების მარქსისტული გაგების თავისებურება მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენი ყველა მოთხოვნილებას პატივს ვცემთ და არც ერთ კანონიერ საიამოვნებაზე არ ვამბობთ უარს, არამედ ამ მოთხოვნილებათა და საიამოვნებათა თავისებურ ურთოვრთ სუბორდინაციაში. მარქსიზმი, ადამიანის ბედნიერების უზნიშვნელოვანს წყაროდ თვლის საზოგადოების წინაშე მივალუობის შესრულებას, სულთა სინდისის ვაცლას და ზნეობრივ კმაყოფილებას. ასეთი ზნეობრივი კმაყოფილება მიიღწევა საზოგადოებისათვის თავდადებული შრომით. ეს არის ძირითადი და გადამწყვეტი. ეს ამდენად ძლიერი წყაროა ბედნიერებისა, რომ ადამიანი თავისუფლად თმობს საზოგადოების კეთილდღეობისათვის არა მარტომ თავის გარეგან კეთილდღეობას, არამედ სიკოცხესაც კი. ნამდვილი კომუნისტის შეუპოვრობა ბრძოლაში, თავდაქერა, მოთმინება, ამბიანანობა, გმირული ნებისყოფა სწორედ ამით ახსნება.

თუ ადამიანი უმაღლეს ბედნიერებას ხელდას საზოგადოებისათვის თავგანწირვაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამ დროს თავისი საიამოვნებისათვის ზრუნავს. ასე შეიძლება მხოლოდ სოფისტი მსჯელობდეს. საიამოვნების ცნება ვერ ეგდება თავგანწირვის ფაქტს, სადაც არის მხოლოდ მოვალეობის ნათელი შეგნება და სულთა სინრასის ვაცლდა. თავგანწირვა რომ თავისთავად სასიამოვნო და მიმზიდველი იყოს, მაშინ გმირობას არავითარი ზნეობრივი ღირებულება არ ექნებოდა. თავგანწირვა ძნელია, სატანჯველია, მაგრამ მით უფრო მაღალია მისი ზნეობრივი ღირებულება, რაც უფრო მაღლდება ადამიანი ამ სიძნელეზე და ემორჩილება საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას.

როცა ლაპარაკობენ თავგანწირვის საიამოვნებაზე, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ სახე-სულა და დიდების წარმოდგენით განცდილი სულიერი საიამოვნება, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი ვერ იტანს მეცნიერულ კრიტიკას. ზნეობრივი ღირებულება აქვს არა სახელისათვის თავგანწირვას, არამედ ხალხისათვის თავგანწირვას. გმირი ყოველთვის სახელოვანი, მაგრამ ვინც გმირობას ჩადის მხოლოდ სახელისა და დიდების მოპოვებისათვის, იგი სრულებით არაა ზნეობრივი. ეთიკის ისტორიაში ეს ცნობილი ელემენტარული დებულებაა. მთავარია მოქმედების მოტივი და არა მხოლოდ შედეგი. ადამიანს უნდა ამოძრავებდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობა და არა პირადი აღიარების, სახელისა და პატივის მოხვევა. სახელი და დიდება ჯილდოა კარგი მოქმედებისათვის და მეტია არაფერი. მართალია, ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ჩვენ სიმოკლისათვის ხშირად ელაპარაკობთ სახელისა და დიდების მოხვევის

აეტილებლობაზე და მის უპირატესობაზე, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ „სახელს“ ვაცხადებთ თვითმიზნად და არა „კარგი საქმის კეთებას“. ვისაც მხოლოდ სახელი აინტერესებს და არა კარგი საქმე, იგი, ჯერ-ერთი, არასოდეს არ ჩაიდენს კარგ საქმეს ისე, თუ იმედი არა აქვს, რომ ამას ხალხი გაიგებს (მაშინ როცა ნამდვილი ზნეობრივი ღირებულება აქვს ჩემ, ფარულ გმირობას, საკუთარი სინდისის წინაშე გმირობას), შემდეგ, ასეთი ადამიანი ეტყობა უფრო მოგვაჩვენოს თავი გმირად (ე. ი. საყალბე ჩაიდინოს), ვიდრე სინამდვილეში იყოს გმირი. ვისაც ამ მნიშვნელობით ესმის სახელის მთავრების ზნეობრივი მნიშვნელობა, მას ვერაფერი გაუგია რუსთაველის უცვლადი აფორიზმიდან: „საჯობს სახელისა მოხვევა ყოველსა მოსახვეველსა“.

მაშასადამე, მოწინავე ადამიანის ქვეშაობრივი ბედნიერების შინაარსი არის არა იმდენად ზრუნვა საკუთარ მოთხოვნილებათა დამკვიფრებისათვის, საკუთარი ერთპიროვნული სხეულებრივი თუ სულიერი ნიშანდობისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ზრუნვა მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის, საზოგადოების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დამკვიფრებისათვის. მაგრამ რამდენადაც ადამიანი ამავე საზოგადოების წევრია, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვაც ბედნიერების პირობაა. პიროვნება დაქვემდებარებული მიზანია, მაგრამ არა მეორეხარისხოვანი. რაც უფრო მეტია ცალკეულ პიროვნებათა ჯანმრთელობა, სიმდიდრე და სიხარული, მით უფრო მეტია მთელი საზოგადოების კეთილდღეობა და ბედნიერება. თუ ამ საში მონაცემიდან ყველა წინა პლანზე დააყენებს სიხარულს, — ყველაზე მეტად, მტკიცე და ამადლებულ სიხარულს იძლევა საზოგადოების წინაშე მოვალეობის პირინთლად შესრულება. რაც არ უნდა ჰგავდეს სიხარული სიამოვნებას, იგი მაინც არ დაიყვანება სიამოვნებაზე და სწორედ ასეთ ზნეობრივ კმაყოფილებასა და სიხარულში ხედავს ადამიანი თავის ბედნიერებას და არა ეგონისტურ სიამოვნებას მიიხრევა ბედნიერებად წარსულბურჟუაზიული — მეშინაური სელისკეთების ხალხი? მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების, უკეთეს შემთხვევაში, ნათესავეებსა და მეგობრების კეთილდღეობას. ამ შეხედულების კრიტიკისათვის საყურადღებოა ერთი ფაქტი: ასეთი ხალხი რომ ნამდვილად უინტერესო იყვნენ ნათესავეებისა და მეგობრების მიმართაც კი, კიდევ შეიძლებოდა ერთგვარად შეზღუდული ვაგებით გველაპარაკა მთის ზნეობრიობაზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როცა ზრუნვის ობიექტთა სფერო ვიწროდ არის შეზღუდული სუბიექტის ახლ ნათესავ-მეგობრებით, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ზრუნვის ნამდვილი ობიექტი და მოქმედების მიზანი საკუთარი თავია და არა ნათესავ-მეგობ-

რები. ამ უკანასკნელთათვის ზრუნვას მხოლოდ იმდენად აქვს ადგილი, რამდენადაც სუბიექტი სარგებლობას ელის მათგან. ე. ი. ნათესავ-მეგობრები მათთვის საშუალებაა და არა მიზანი. ასეთი წვრილბურჟუაზიული მეშინაური სულისკეთების ხალხს სიყვარული კი სიამოვნება-უსიამოვნების ბუნხალტერიალ აქვს გადაკეცილი. ადამიანი უყვართ მხოლოდ იმდენად და მინამდ, სანამ ის მათი სხეულებრივი თუ სულიერი სიამოვნების წყაროა. საკმარისია ვაჭრებს რაიმე მიზეზის გამო სიამოვნების განცედა, რომ სიყვარულიე ჭრება, ე. ი. მათ ადამიანი უყვართ არა თავისთავად, მისი ღირსებების გამო, არამედ მხოლოდ როგორც საშუალება, საკუთარ ინტერესებთან მიმართებაში.

ვისაც თავისი ბედნიერების წყაროს ასეთი სარგებლადანობის პრინციპით მოქმედებაში ხედავს, იგი ნამდვილად არასოდეს არ არის ბედნიერი. მხოლოდ ჯანმრთელობა და სიუხვე, მუდმივი ქვიფი და დროსტარება არ იძლევა ქვეშაობრივ ბედნიერებას.

ვისაც სხეულებრივ სიამოვნებასა და სიუხვეში ხედავს ბედნიერებას, ასეთი ხალხი საბოლოოდ მაინც პესიმიზმს, უიმედობასა და სულიერ უბადრუტობას განიცდის, რადგან სიამოვნებაზე დაყვანილი ბედნიერება დროებითია, წარმოება და მოქვნიება. აბედნიერება გვიანოვდება კუს ნაბიჯით და გვეორდება ჯეირანის სისწრაფით, ამბობს არაბული ანდაზა. ადამიანი ვერცა ყოველგვარ სიამოვნებას და მას იგი აღარ აკმაყოფილებს. აბედნიერება ყოველთვის წინაა — ამბობდა პომპილიუსი.

მეცნიერებისა და კულტურის გამომჩენილი ადამიანები ყოველთვის უკავშირდებიან ადამიანის ქვეშაობრივ ბედნიერებას სინდისის სიწმინდეს და სამართლიანი მოქმედებით შინაგან სულიერ კმაყოფილებას. ვისაც სინდისი არა აქვს სულთა, როგორც კეთილდღეობაშიც არ უნდა იყოს, მაინც არ იქნება ბედნიერი. თუ სულთა სინდისი ბედნიერების პირობაა, შეღავტული სინდისი ბედნიერების ხელშეშლელი ფაქტორია. სწორედ ამ აზრით ამბობდა დიდრო: „მისიათვის, რომ იყო ბედნიერი, უნდა გქონდეს კარგი კუჭი. იგი გული და სრულიად არ გქონდეს სინდისი“. დიდრო ამით უსაინდისობას კი არ ქადაგებს, არამედ იმ აზრს გამოთქვამს ხატონად, რომ დაუკმაყოფილებელი სინდისის ხმა ადამიანს ტანჯავს და არ აძლევს მას ბედნიერებას. ამასვე ამბობდა მირაბო: „უცადეთ, ჩააკლან თქვენში სინდისი, რადგანაც იგი უბოროტეს მტერია იმისა, ვისაც სურს ბედნიერი იყოს“.

შენ ვერ მივიღებთ ბედნიერებისა და სინდისის ასეთ წევადიურ ფორმულარებას. მარქსისტულ ეთიკა სხვაგვარ ლოზუნგს აძლევს: ეცადეთ, მოახლოდთ თქვენი ვალი საზოგადოებას წინაშე, მუდამ შეუბღალავი და სულთა გქონდეთ სინდისი და მხოლოდ ამ პირობით აბოვით ქვეშაობრივ ბედნიერებას ჯანმრთელობაში, სიუხვესა და სიხარულში!

8. ომიდან



ჩეხოსლოვაკურ და ქართველ მეცნიერთა  
შემოქმედებითი თანამშრომლობა

პრატის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუდიტორია 1957 წლის 7 ოქტომბერს ფიზიკის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებით იყო გაშვებული. აქ, მათ გარდა, უნივერსიტეტის მუარის სხეულის ფიზიკის კათედრის მთელი შემადგენლობა მოსწავლეო. აუდიტორიაში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იყო. ამ დღეს საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ქართველი ფიზიკოსი, პროფესორი იონა მირცხულავა იწყებდა მუარის სხეულის ფიზიკის კურსის კითხვას. იგი პრატის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ჩეხოსლოვაკიის კულტურისა და სკოლების სამინისტროს მოწვევით იყო ჩამოსული.

შემდეგ პერიოდში ქართველი ფიზიკოსი აღნიშნულ კურსს უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს ცალ-ცალკე უკითხავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხმა სტუდენტებმა რუსული ენა საკმარისად კარგად იცოდნენ, შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, პროფესორ მირცხულავას უბედობა ყოველი ლექციის მისალის წინასწარ დაწერილებით რუსულ ენაზე დაწერა, რასაც შემდეგ კათედრის თანამშრომლები მას ნებურად თარგმნიდნენ და სტუდენტებს ურთავდნენ. პროფესორი მირცხულავა ცდილობდა, რომ მის ჩინაწერებს სისტემატური კურსის სახელმძღვანელოს სახე მისცემოდა, და როდესაც ქართველმა ფიზიკოსმა დეკემბრის ბოლოს ლექციების კითხვა დაამთავრა, სტუდენტებს ჩეხურ ენაზე საკმაოდ დიდი მოცულობის მუარის სხეულის ფიზიკის სახელმძღვანელო ჰქონდათ.

პრატის უნივერსიტეტში ლექციების კითხვის პარალელურად პროფესორმა მირცხულავამ სამეცნიერო სემინარებზე გააკეთა რამდენიმე მოხსენება ნახევარგამტარების ფიზიკის ზოგადი საკითხზე. გარდა ამისა, ქართველმა ფიზიკოსმა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში წაყიოთხა ვრცელი მოხსენება კონცენტრირული ხსნარების ლექტიროლიტების თეორიაზე, რამელიც მირცხულავას მიერ არის შექმნილი და მის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს. პრატის უნივერსიტეტში, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა

კავშირის მეგობრობის აღსანიშნავ სადამოზე მან გააკეთა მოხსენება საქართველოში ფიზიკის განვითარების შესახებ. მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

პრალიდან სამშობლოში გამობრუნების რამდენიმე დღით ადრე პროფესორი იონა მირცხულავა ჩეხოსლოვაკიის კულტურისა და სკოლების მინისტრმა ფრანკ კაგულამ მიიღო. შეხვედრამ გულბილი და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მინისტრმა ქართველ ფიზიკოსს ჩატარებული მუშაობისათვის დიდი მადლობა გადაუხადა და პატივისცემის ნიშნად მას აღბოში „პრატა“ უსახსოვრა. აღბოშს ისეთი წარწერა ამუშვენებს: „საყვარელ იონა ანდრის-ფე მირცხულავას დიდი პატივისცემით შესრულებულ საქმეათა და უმაღლეს სასწავლებლისადმი ამაზაგური დახმარებისათვის ჩეხოსლოვაკიაში გატარებულ დღეების მოსაგონრად.

კულტურისა და სკოლების მინისტრი ფრანკ კაგულა“.

ბოლო 21 დეკემბერს, პრალიდან წამოსვლის დღეს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა პროფესორ მირცხულავას გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართა და დიდი პატივისცემის ნიშნად, იგი პრატის უნივერსიტეტის შედლით დააჯილდოვა.

დიდი ხანი არ გასულა პრალაში მივლინების შემდეგ და 1958 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, პროფესორი იონა მირცხულავა ჩეხოსლოვაკიის კულტურისა და სკოლების სამინისტროს მიერ მეორედ იქნა მოწვეული პრატის უნივერსიტეტში. ამჯერად ფიზიკის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის ქართველი სტუდენტებისათვის უნდა წაყიოთხა ლექციების სტატისტიკური ფიზიკისა და თერმოდინამიკის დარგში, პრატის უნივერსიტეტის პროფესორ ვალოუბთან ერთად უნდა შეედეგინა მუარის სხეულის ფიზიკის სახელმძღვანელო ჩეხურ ენაზე და ჩატარებია რამდენიმე მოხსენება ნახევარგამტარებში სამეცნიერო სემინარებზე. ლექციების კითხვის პარალელურად მირცხულავამ პროფესორ ვალოუბთან ერთად არსებითად გადაამუშავა წინა სემესტრში წაყიოთხული ლექციების მასალები მუარის სხეულის ფიზიკაში და გადას-



ცა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობას. ამჟამად წიგნის აწყობა დაწყებულია და იგი 1959 წლის სექტემბრისათვის გამოვა. პრალაში სამი თვის უოფნის შემდეგ, 20 მაისს პროფესორმა იონა მირხელავამ დაამთავრა ლექციების კითხვა და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გულბოილ გამოთხოვების შემდეგ 24 მაისს სამშობლოში გამოემგზავრა.

ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს მეცნიერულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აქვს თავისი ფესვები.

გამოჩენილი ჩეხი მუსიკოსი-მომღერალი და ეთნოგრაფი იოსებ რატილი, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 32 წელი თბილისში ცხოვრობდა, 27 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართული ხალხური მუსიკალური ელტერის აღორძინებისა და განვითარების საქმეს. მისი, როგორც ეთნოგრაფის მიერ შეკრებილი და აღღვნილია ქართული მუსიკალური შემოქმედების არა ერთი ნიმუში.

საქართველოს ეთნოგრაფიისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა აგრეთვე პრალის უნივერსიტეტის პროფესორი ემ. ფიციკო, რომელმაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოსა და კავკასიაში იმოგზაურა და 1894 წელს პრალაში ჩეხურ ენაზე დაბეჭდა საინტერესო წიგნი «კავკასია, მისი ბუნება და ისტორია».

პირველი ქართველი მოგზაური და მეცნიერი, რომელიც ჩეხეთს ეწვია და მისი აღწერა მოგვცა, თეიმურაზ ბატონიშვილია (ბაგრატიონი). თეიმურაზ ბატონიშვილის კალამს ეკუთვნის ნაშრომი «მოგზაურობა ჩემი ევროპისა, სხვათა და სხვათა ადგილთა». ეს შრომა მთელ რიგ საინტერესო ცნობებს იძლევა იმდროინდელ ევროპის ქვეყნებისა და ქალაქების, განსაკუთრებით კი ჩეხიის (ბოჰემიის) შესახებ. მაგრამ ჩეხოსლოვაკელ და ქართველ მეცნიერთა ნამდვილი შემოქმედებით თანამეგობრობა მარტო 1945 წლიდან, ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან იქნა შესაძლებელი.

1955 წლის სექტემბერს პრალაში, ჩეხოსლოვაკიის მათემატიკოსთა ურილობის მუშაობაში საბჭოთა მათემატიკოსთა შორის მონაწილეობას იღებდა აკადემიკოსი ილია ევუეა, რომელმაც ურილობაზე ვაკეთა მოხსენება თემაზე: «დადებითი სიმრუდეები ზედაპირის სიხისტის შესახებ».

ამავე წლის ნოემბრის ბოლოს პრალაში მოწვეობდნენ პიდროტქნიკურ ბეტონის საკითხებზე მიძღვნილ კონფერენციაში და პიდროტქნიკურ ნაგებობათა მშენებლობებზე კონსულტაციების

ჩასატარებლად, საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, მივლინებული იყო ქართველი ინჟინერი, დოცენტი ბერტე წულუკაძე. კონფერენციაზე მისი მოხსენება ეხებოდა პიდროტქნიკურ მშენებში ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენების საკითხს და პიდროტქნიკურ მშენებში რკინაბეტონის გამოყენების პირველ ცდებს.

დოცენტ პ. წულუკაძის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის ინჟინერთათვის იმდენად აქტუალური და საინტერესო იყო, რომ ინჟინერთა საზოგადოების თავმჯდომარის თხოვნით, წულუკაძემ იგი პრალაში ინჟინერთა ფართო აუდიტორიის წინაშე ხელმეორედ წაიკითხა. ეს მოხსენება აგრეთვე დაბეჭდა ჩეხოსლოვაკის თეორიულ და გამოყენებითი მექანიკის ჟურნალში.

კონფერენციის შემდეგ საბჭოთა სპეციალისტები ვაეცენენ დიდი პიდროტქნიკებისა და წულაძეკარ კაზხალთა მშენებლობებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სხვა სათანადო დაწესებულებებს. მათ ორლიცა და სხვა პიდროტქნიკურებზე ჩაატარეს კონსულტაციები. პრალაში გამოგზავრებისას საბჭოთა მეცნიერები მიიღო და ჩატარებული მუშაობისათვის მაღლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ზ. ნედელმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ბედრიჟ გაიარომ მაღლობის წერილი გამოუგზავნა სსრ კავშირის პიდროტქნიკოსადგურების მინისტრს, სადაც აღნიშნული იყო კონსულტაციებში დოცენტ წულუკაძის ნაყოფიერი და ტექნიკურად სწორედ ჩატარებული მუშაობა.

ჩეხოსლოვაკელ და ქართველ ინჟინერთა მეგობრობა ახლაც გრძელდება. 1958 წლის ნოემბრის ბოლოს ჟურნალში «სტალიკომ» დოც. წულუკაძეს სთხოვა სტატია ბუნებრივი მასალისგან მშენებში ბეტონის მიღებისა, მათი ტექნიკური და ფიზიკური თვისებების აღწერისა და მშენებლობაში მათი გამოყენების შესახებ.

დაახლოებით იმ დროს, როდესაც იონა მირხელავა პრალის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, ამავე უნივერსიტეტის ზოგადი ეთნოგრაფიის კათედრის წევრი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიული ჟურნალის «ჩესკოსლოვენსკა ეთნოგრაფიის» მთავარი რედაქტორი, პროფესორი ოტოკარ ნაპოჯილი ქართველ ეთნოგრაფებთან — პროფესორ გ. ჩიტაიასთან და მეცნიერებათა კანდიდატებთან ი. კუნიცთან, ნ. თო-

ფერისთან და თ. შამალაძესთან ერთად ადიღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა. პროფესორი ნაპოდილი შუა აზიის ხალხების ეთნოგრაფიის კარგი სპეციალისტი. მან ადიღეს ექსპედიციაში უოფნის დროს, ისევე როგორც ეს ქართულ ეთნოგრაფებს აქვთ წესად მიღებული, ექსპედიციის კოლექტივის წინაშე შეგროვებული მასალის შესახებ წინასწარი მოხსენება გააკეთა. მოხსენების გარშემო ცხარე კამათი და აზრთა ვაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

ჩუბი პროფესორი, სანამ ქართველ ეთნოგრაფებთან ერთად ადიღეს ექსპედიციაში მიიღებდა მონაწილეობას, დაწერილებით გაეცნო საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მდგომარეობას, მის პრობლემებს და იმ პრობლემებს, რომელსაც ამუშავებენ ქართველი ეთნოგრაფები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თავის მხრივ პროფესორმა ნაპოდილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეთნოგრაფების გაერთიანებულ სტომაზე გააკეთა საინტერესო მოხსენება ჩინოსნობაში ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ.

თბილისიდან პროფესორი ნაპოდილი ქართველ ეთნოგრაფებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან, მეცნიერებათა დოქტორების ვერა ბარდაველიძის და ალექსანდრე რობაქიძის თანხლებით გაემგზავრა სვანეთში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად, თანამედროვე სვანეთის დასათვალიერებლად და ფოტოსტრატების გადასაღებად.

პრალაში დაბრუნების შემდეგ პროფესორმა ნაპოდილი ჩინოსნობაში მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში („ჩინოსნობის ეთნოგრაფი“) გამოაქვეყნა ორი წერილი: „ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა საქართველოსა და შუა აზიის რესპუბლიკებში“, სადაც საქართველოს ეთნოგრაფების მემკვიდრეობას ეკლავ მთლიან შეფასება აქვს მიღებული. მეორე წერილი — „წინასწარი მოხსენება ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ სვანეთში“ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ხანის სვანეთის აღწერას და საგანგებოდ აღნიშნავს მის მიღწევებს; ამავე დროს, ის იკვლევს საკითხს სვანეთში პატრიარქატის გადმონათმობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით სათანადო მასალას იშველიებს. ნაშრომი მდიდარია ილუსტრირებული

ფოტოსურათებით, მათ შორის ფერადი ფოტოებთაც.

საქართველო

ჩინოსნობისა და ქართველ ეთნოგრაფებს შორის მჭიდრო ურთიერთობას ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ „ჩინოსნობის ეთნოგრაფიის“ 1958 წლის პირველ ტომში დაიბეჭდა მეცნიერებათა დოქტორის ვერა ბარდაველიძის ნაშრომი „უბესურელი თემი“, რომელსაც ახლავს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ხევისურული თემის გავრცელების შესანიშნავად შესრულებული ფერადი რუკა. ამავე ეურნალში დაიბეჭდა მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე რობაქიძის ნაშრომი „ქიათურის მუზეუმის ახალი ყოფი“, თავის მხრივ ქართველ ეთნოგრაფებს მიღებული აქვთ პროფესორ ნაპოდილის ნარკვევი — „ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ჩინოსნობაში“ და მოვლიან ნაპოდილისა და სხვა ჩინოსნობაში ეთნოგრაფების შრომებს ჩვენს გამოცემაში დასაბუქვად.

დიდი ხანია, რაც მტკიცე მეცნიერული ურთიერთობაა დამყარებული ჩინოსნობისა და ქართველ გეოლოგთა შორის. 1956 წლის ივლისის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის პრალის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორი მიროსლავ შაჟია ეწვია. ჩუბი გეოლოგი საქართველოს მიდნეული საბადოების გაეცნობით აყო დაინტერესებული. იგი ჯერ დაწერილებით გაეცნო გეოლოგიური ინსტიტუტის მემკვიდრეობას, მის თემატიკას, აღმოჩენილი მასალების ლაბორატორიულ და მემკვიდრეობის შეთანხმებს და სხვა. შემდეგ კი დოქტორი შაჟია ადიღეს გაეცნო სამხრეთ საქართველოს სპონსორ-კონტრაქტის და კვების პოლიმეტალურ საბადოებს. ამავე წლის ოქტომბერში პრალის საბადოების გეოლოგიური ინსტიტუტიდან, ქართველ გეოლოგებს ესტუმრა დოქტორი ი. ივანიშვილი. იგი მინერალოგიის საკითხებით აყო დაინტერესებული. ივანიშვილი რამდენიმე დღე დაყო თბილისში და დეტალურად გეოლოგიური ინსტიტუტის მინერალოგიის განყოფილებას მემკვიდრეობას გაეცნო.

1956 წლის აგვისტოს პროფესორი პ. გამყარელი და პროფესორი გ. ზარბაძე XX საერთაშორისო გეოლოგიურ კონგრესზე მთავარ-არხობიდან შექსიკაში. პრალში ვაჭარების დროს მათ ჩინოსნობის გეოლოგიურ საქმეთა მთავრობის კომიტეტიდან მიიღეს მოწვევა, რათა კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ ისინი გასცნობოდნენ ჩინოსნობის გეოლოგიურ აგებულებას, გეოლოგიური დაწესებულებებისა და საკვლევი ინსტიტუტების მემკვიდრეობას.

სახვითა დღეგაცეცია დათანხმდა მიწევებზე და შეწყვიტა დაბრუნების შემდეგ, 14 სექტემბერს, ქალაქ პრალაში ჩავიდა. აქ შეხვდით ჩუხოსლოვაციის გეოლოგიურ საქმეთა მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი ლადისლე ჩხევიკი, ცენტრალური გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი ა. კოცენი და დოქტორი ვ. ზაუბეკი.

ქართული გეოლოგები, — პროფესორები პ. გაყურელიძე და გ. ზარიძე, სხვა სახვითა გეოლოგებთან ერთად, 13 დღის განმავლობაში ეცნობოდნენ როგორც პრალასა და ბრატისლავის სამეცნიერო გეოლოგიურ დაწესებულებებს, ასევე შრავალ სამთო-გეოლოგიურ საწარმოებს და სახადოებს, აგრეთვე შრავალრიცხოვან ექსპერსიების გზით გაეცენ ჩხეხეთის მასივის და დასავლეთ და ცენტრალურ კარპატების რთულ გეოლოგიურ აგებულებას.

მთიანხელეს პრალის მიდამოები, ზრუსტენიციის და ევაზიციის სახადოები, პლეზენის ჩრდილოეთით დათვალეირებულ იქნა კოლინის (თიხის) სახადო გორა პრეზი, რომელიც შეაერთაში უველზე დიდ თიხის სახადოს წარმოადგენს. შემდეგ დათვალეირებულ იქნა კარლოვი ვარის მიდამოები, მორავსკა ოსტრეცა, დასავლეთი კარპატები და მელაშთიანი ტაბრა. მინახელებზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ენობილმა კარპატულმა გამოქვაბულმა დომიციამ. ექსპერსიებიდან ქალაქ პრალაში დაბრუნების შემდეგ გ. ზარიძემ ინახულა ერთ-ერთი უძველესი სახადო პრეზობაში, რომელიც უკვე რამდენიმე ასეული წელი ექსპლუატაციაშია.

ექსპერსიების დამთავრების შემდეგ პრალის უნავერსიტეტში გეოლოგიურ-გეოგრაფიული დეპარტამენტის მთავარ ჩატარებულ იქნა სპეციალური სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა გეოლოგებმა და გამოვიდნენ მოკლე მოხსენებებით საქართველოს გეოლოგიურ აგებულების და საქართველოს მავატირების შესახებ.

1957 წლის მაისში ქართველ გეოლოგებთან ჩამოვიდა პრალის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორი იან პეტრანეკი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს იურული ნახშირბადი წყებების გაეცნობა და საქართველოში აღმოჩენილი ანალციუმის წარმოშობის საყობის გარკვევა.

ამ მიზნით იგი გეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად გაემგზავრა ტუბიულში და გელათში, სადაც უშუალოდ გაეცნო ამ სახადოებს და დეტალურ დეტაირებებში ჩაატარა ანალიზიან მორიზონტებზე. გელიდან დაბრუნების შემდეგ იგი სათანადო მასალას მიკროსკოპის ქვეშ გაეცნო და საყებობით დარწმუნდა ამ მინერალის დასაღვი გზით წარმოშობაში.

ამგვარი ანალიზები ჩუხოსლოვაციაშიაც გვედებდა, მაგრამ მათი გენეზისი გარკვეული რჩებოდა. საქართველოში ამ საყობის შესწავლი დოქტორმა პეტრანეკმა საყებობით განიხილა მისი ანალიზების დასაღვი ღვთა წარმოშობის შესახებ. ვარდა ამისა, დოქტორი პეტრანეკი გაეცნო ზოგადად საქართველოს გეოლოგიურ აგებულებას, ხოლო დეტალურად აქარა თრიალეთის ნაოქა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის გეოლოგიურ აგებულებას თბილისიდან მცხეთამდე, მცხეთიდან გორამდე, აგრეთვე ატენის ხეობით სოფელ დიდ ატენამდე.

საქართველოს გეოლოგიური აგებულების გაეცნობად 1958 წლის ნოემბერში გეოლოგიურ ინსტიტუტს ესტუმრნენ გამოჩენილი სლოვაკული გეოლოგი, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი დიმიტრი ანდრუსოვი და ასპირანტი ვანდა კოლაროვა. დიმიტრი ანდრუსოვი კარპატების გეოლოგიის ენობალი მკვლევარია. მის გამოქვეყნებული აქვს მსხვილი მონოგრაფიები კარპატების გეოლოგიის შესახებ. აქამდე იგი წერს მონოგრაფიის „ჩუხოსლოვაციის კარპატების გეოლოგია“, რომლის პირველი ტომი ახლახან გამოვიდა და ინსტიტუტმა იგი უკვე მიიღო ავტორისაგან.

საქართველოში პროფესორი ანდრუსოვის ჩამოსვლის მიზანს წარმოადგენდა ინსტიტუტის ცხოვრების გაეცნობა, მონოგრაფიულ მუშეუში იურული და ეარტული ნალუკების კოლექციების დათვალეირება და საქართველოს გეოლოგიის ზოგეერთი საყობის შესწავლა, აგრეთვე პირადი კონტაქტის დამყარება საქართველოს წამყვან მეცნიერ-გეოლოგებთან, უნარველეს ყოელისა, აკადემიოს სტუმარზე ჯანელიძესთან. სლოვაკული სტუმრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ ინსტიტუტის მუშაობას, მიიღეს მონაწილეობა გეოლოგიურ ექსპერსიებში მცხეთაში და საქართველოს სამხედრო გზაზე სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა გეოლოგიური ინსტიტუტის მონოგრაფიულმა მუშეუში, რომელიც თაყისი ორგანიზაციით გამოირჩევა უცვლად მუშეუშისაგან.

ამ დროს, როდესაც სლოვაკული გეოლოგები თბილისში იმყოფებოდნენ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ვულკანოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, აკადემიოსი გიორგი ძოწენიძე 20 დღე ჩუხოსლოვაციის დემოკრატულ რესპუბლიკაში მოგზაურობდა და იქ ფართოდ გაეცნო მუშეუში და ახალ ვულკანოზის მოვლენებს ეცნობდა. ქართველი მეცნიერი ვეცეო მოხსენებებით გამოვიდა ვულკანოზის ხასიათის და მისი ტექტონიურ მოვლენებთან

კავშირის შესახებ საქართველოს მთავალითზე. გეოლოგიურ ინსტიტუტში — ქალაქ პრაღაში და გეოლოგიურ და მინერალოგიურ საზოგადოებაში — ქალაქ ბრატისლავაში.

არაჩალებ მკიდრო მეცნიერული კავშირის დამყარებული ჩეხოსლოვაკულ და ქართველ მეტალურგებს შორის. 1956 წლის ოქტომბერში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ეწვივნენ პრაღის ძლიერი დენების ელექტროტექნიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი თიბორ კიბელო და ამავე განყოფილების თანამშრომელი კონსტანტინე მკელში. ჩები სპეციალისტები დაინტერესებულნი იყვნენ მეტალურგიის ინსტიტუტის ელექტროთერმის ლაბორატორიის იმ გამოკვლევებით, რომლებიც მივლენა ტუბულუს საწვავი ფაქტობის მეტალურგიული მიზნებით ათვისება — გამოყენებას. კერძოდ, მათ დაინტერესებდათ ამ ნედლეულსაგან ახალი შენადნობის — სილიკოალიუმის ელექტროდნობის ტექნოლოგიური პროცესი და მიღებულ პროდუქტის, როგორც კომპლექსური გამაგანველის გამოყენების გზები. სტუმრების ასეთი დაინტერესება გამოიწვეულა იყო იმ ვარაუდების გამო, რომ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოიპოვება მსგავსი ნედლეული და ვარაუდობენ ანალოგიური გამოკვლევების ჩატარებას სილიკოალიუმის შენადნობის წარმოების ორგანიზაციის მიზნით.

ჩეხოსლოვაკულ სპეციალისტები მეტალურგიის ინსტიტუტის ამ სამუშაოთა შესახებ ლიტერატურულ წყაროების მიხედვით აღრუდაც იყვნენ გაცნობილი, ახლა კი აღვივებ დაწერის დროს გაეცნენ ლაბორატორიულ სამუშაოებს და ნახევრად ქარხნულ დანადგარზე ჩატარებული ცდების ტექნოლოგიურ რეკომენდაცია და შედეგებს.

თავის მხრივ სტუმრებმა ინსტიტუტის თანამშრომლებს უამბეს, საერთოდ, თავის სამეცნიერო კვლევა-ძიების მიმართულებებისა და მიღწევების შესახებ და, კერძოდ, იმ ჩანაფიქრზე, რომელიც თანამედროვე ელექტროდნობის საწარმოო სტრუქტურის საქმეს შეეხება.

თ. კუგელმა და კ. მკელშიმა აგრეთვე დათვალა იერს ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა და აღნიშნეს რა აქ ათვისებულ და წარმოებაში დანერგულ შენადნობთა სიმრავლე, დადი კმაყოფილება გამოთქვეს ამ ქარხნის მალე საწარმოო ელტურის გამო.

გადასული წლის დეკემბერში მეტალურგიის ინსტიტუტი ინახულა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დოქტორმა რუდოლფ შტრუბლმა, რომელიც აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური მიზნებით იყო ჩამოსული.

დოქტორმა შტრუბლმა მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს გააცნა ჩეხოსლოვაკიის მეტალურგიული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითა მეცნიერების ძირითადი საკითხები. კერძოდ, იგი ვრცლად შეეხო ჩეხოსლოვაკიაში არსებულ მანგანუმის ღარიბ კომპლექსურ მადნებს, რომლებსაც იჭაური სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ და მეტალურგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ფართო მასშტაბის თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებითს სამუშაოებს.

თავის მხრივ დოქტორი შტრუბელი დიდად დაინტერესდა მეტალურგიის ინსტიტუტის პირობებზე მეტალურგიის ლაბორატორიის მუშაობით, სადაც უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ტარდება კვლევები კიათურის მანგანუმის მადნების კლასიფიკაციისა და საერთო მეტალურგიული დახასიათების დარგში. ზეს მეტალურგს აგრეთვე გააცვენეს მანგანუმის კარბონატული და დეჰიდრული მადნების სამარეველო გამოყენების მდგომარეობა და პერსპექტივები, შლანგებს მეტალურგიული მიზნებისათვის უტრიალხაიის წესით და სხვა მრავალი საკითხი ამ დარგში.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქიმიის მეცნიერებათა დარგში.

სწორედ ამ დარგებზე უბნისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიაში აღსორბციის და კატალიზის დარგში ჩატარებული სამუშაოებისა და გააქტივებულ თიხებისა და კატალიზატორების წარმოების გახაცნობად საქართველოდან გასული წლის დეკემბერს მივლინებული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვიორგა ციციშვილი.

პრაღაში ჩასვლის პირველსავე დღეს (23 დეკემბერს) ქართველი ქიმიკოსი გაეცნო ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელის აკადემიოს რ. ბრლინის და პროფესორს ვ. დენკის მუშაობას. შემდეგ პროფესორმა გ. ციციშვილმა დაათვალა ქიმიის ინსტიტუტი, პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის ქიმიური განყოფილება, არაორგანული ქიმიის ლაბორატორია და პოლაროგრაფიული ინსტიტუტი, სადაც შეხვდა ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ცნობილ მეცნიერს, პოლაროგრაფიის მამამთავარს აკადემიოს ი. ვიორგუსს. 27 დეკემბერს პროფესორი გ. ციციშვილი ფიზიკური ქიმიის მეცნიერ მუშაკის ა. კაღლუცის თანხლებით გაემგზავრა ქალაქ ბრატისლავაში, გაეცნო უმაღლესი ტექნიკური სკოლის ქიმიის ფაკულტეტს, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიის კათედრის

და ბრატისლავის უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრას.

ქართულმა მეცნიერმა დიდი ინტერესით დაათვალიერა დიმიტროვის სახელობის ქიმიური ქარხანა, რომელიც მათეორებელი თიხების აქტივიზაციის წარმოებაზე მუშაობს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში სხვა ობიექტების მათეორებელი (მენტრიტირი) თიხების აღზარბიკოელ-სტრუქტურულ დახასიათებასთან ერთად, შესწავლილი იქნა უნგრეთის ბუნებრივი თიხის მათეორებელი თვისებები და ბრატისლავის დიმიტროვის სახელობის ქარხანაში მისი აქტივიზაციის პროცესი, ამიტომ იყო, რომ პროფესორმა გ. ციციშვილმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ამ ქარხნის დათვალიერებას.

კიდევ მრავალი მეცნიერი ესტუმრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტს ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან. 1956 წლის დეკემბერში ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მუშაობას გაეცნო ცნობილი ჩეხი პროფესორი ფიზიოლოგი გუტმანი, რომელმაც ქართულ ფიზიოლოგებთან წაიკითხა მოხსენება ნერვულ ტროფიკის საკითხებზე. ამავე წელს ბოტანიკის ინსტიტუტს ეწვია პროფესორი ლ. პასტირაკა, ხოლო 1957 წლის ზაფხულში ზოოლოგიის ინსტიტუტი იწაზღა ჩეხოსლოვაკელ ტერისტ-ენტომოლოგთა ჯგუფმა, რომელმაც ინსტიტუტის დახმარებით დაგვიმა და განახორციელა თავისი ექსპერიმენტი აღმოსავლეთ საქართველოში.

გასული წლის ზაფხულზე ბოტანიკის ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიის დახმარებით ჩეხოსლოვაკელ დოქტორმა მარია ლევიტაქა და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელის აკადემიკოს სერგი დურმიშიძის გასაცნობად თბილისს ესტუმრა ჩეხოსლოვაკელი ბიოქიმიკოსი დოქტორი შვენიცი.

ჩეხოსლოვაკელ და ქართველ მეცნიერთა მეგობრობის და მეცნიერულ ურთიერთობის გან-

მტკიცებას დიდად უწყობს ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. მან ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ბიბლიოთეკებს მარტო გასულ წელს 323 წიგნი და ჟურნალი გაუგზავნა. გამოჩენილ ჩეხ მეცნიერს, ქართული ენის სპეციალისტს პროფესორ იაროშიკ ივლიჩას ბიბლიოთეკამ გაუგზავნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომი, აკადემიკოს გ. ახელედიანის წიგნი „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ და სხვა.

სამაგიეროდ, ჩეხოსლოვაკის ბიბლიოთეკიდან აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მიღებული აქვს ისეთი წიგნები, როგორცაა: სლოვაკურ-რუსული ლექსიკონი, ჩეხურ-რუსული ლექსიკონი, კრებული „ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარება“ და სხვა.

გასულ წელს, იაროშიკ ივლიჩამ აკადემიის ბიბლიოთეკას სამახსოვროდ გადასცა უკუდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანი.

წლათი წლობით ხელ უფრო ფართო მასშტაბს იღებს ჩეხოსლოვაკელ და ქართველ მეცნიერთა მეგობრობა და სამეცნიერო დაწესებულებების კავშირები.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკოსა და ელექტრონიკის ინსტიტუტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გამოუგზავნა მოწვევა ინფორმაციის თეორიის, სტატისტიკურად ამოხსნადი ფუნქციების და შემთხვევით პროცესების კონფერენციაზე დასასწრებად. მიზღინარე წლის 6 ივნისს, როდესაც აღნიშნულ კონფერენციაზე ქართველი მეცნიერები კიდევ ერთხელ ჩაველნ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი წინ მეცნიერული კავშირისა და ურთიერთ მეგობრობის გასამტკიცებლად.

პირველი ნომერი



## პასუხი

### აპაღმეიკოს კორნელი კეკელიძეს

რა წარმოშობისაა ქართული რიტმული პოეზიის სალექსო ფორმა? რა ურთიერთობაშია ქართული რიტმული პოეზიის სალექსო ფორმა მუხომბელ ლიტერატურათა (ბერძნულ-ბიზანტიურ და აღმოსავლურ ლიტერატურათა) სალექსო ფორმებთან?

ამ საკითხს, ჩვენს შრომასთან „გიორგი მერჩულესთან“ დაკავშირებით, ეხებიან როგორც ქ. კეკელიძე, ისე შიხ. თარხნიშვილი და ს. ყუბნიშვილი.

გავეცნოთ მათს შეხედულებებს.

ქ. კეკელიძე ამ საგანზე შემდეგსა წერს:

„მეცლევარის (პ. ინგოროყვის) აზრით, ეს სახე ლექსისა, ყველა მისი გამოწვევით, ბიზანტიური წარმოშობისაა. მაგრამ, ჯერ ერთი, გიორგი ათონელი „ქრისტეს შობის კანონში“, რომელშიაც გვაქვს სხვადასხვა სახომის ტაბეები, იგონებს რა იოანე დამასკელის „ქრისტეს შობის“ და სხვა კანონებს, ამბობს: „ვიწოდებთ ამით თარგმან უღონო არს ყოვლადვე და შეუძლებელ, ამისთვის მე გიორგი — ქართულად აღწერენ ესე გალობანი დიდი შრომით“. მაშასადამე, ამ სახომით დაწერილი ლექსი მას „ქართულად“ მოაწინა და არა ბერძნულად. მეორე — ბიზანტიური რიტმული საგალობელის დამახასიათებელი და მთავარი ნიშანია, მარცვალთა რაოდენობასთან ერთად, აქცენტუიანობა, მახვილა, საჭირო ზეო ავტორის ეჩვენება: ნუთუ ქართული პოეზიის ბიზანტიურისაგან წარმოშობილობაზე ძნელი გჩვენა ლაპარაკი. მესამე, როგორც ცნობილია, მე-9—10 საუკუნეთა ქართული პიზნოგრაფები თავისებური სეპარაციის გზის დააოგნენ, ისინი ბერძნული სახელწოდების პიზნოგრაფიულ კრებულებში, ბერძნულს მ-

გიერ თავის საკეთარ ქართულ პიზნებს სდებენ (ქ. კეკელიძე I<sup>2</sup>, 46—47). ნუთუ ისეთ პირობებში რიტმი თავისი პიზნებისა ბერძნულიდან ისესხეს? ლექსის რიტმულობა ხომ ენის ბუნებრივ თვისებას ემყარება. ნუთუ ბუნება ქართული ენისა იგვივია, რაც ბერძნულსა? სანამ ამ საკითხებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ შევიღებთ, ზვენა მეცლევარის მოსახრება მოსახრებადვე დარჩება“ (იხ. გვ. 453-454).

ქ. კეკელიძე, როგორც ვეგვით დავინახავთ, არ გადმოსცემს სახესებით სწორად ჩემს შეხედულებას ამ საგანზე. ქართული და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობების ურთიერთობა ბევრად უფრო რთულ ასპექტში ისახება, ვიდრე ამას ქ. კეკელიძის გამარტივებულ ინტერპრეტაციაში ვხედავთ.

ამას ერთვის ის გარემოება, რომ პატივცემული მეცნიერი თავის არგუმენტაციაში რამდენიმე მძიმე შეცდომას უშვებს.

1. ქ. კეკელიძე ფიქრობს, რომ გიორგი მთაწმიდელის (ათონელის) „ქრისტეს შობის“ კანონი ვითომც დაწერილია რიტმული პოეზიის სალექსო ფორმით. სინამდვილეში კი იგი დაწერილია არა რიტმული პოეზიის სალექსო ფორმით, არამედ წარმოადგენს სრულებით სხვა სალექსო ფორმას — იამბიკონს. რომ ეს ასეა, ეს ჩვენ სრულის ზედმიწევნით განვიხილეთ და დამტკიცებელი გვაქვს „გიორგი მერჩულესში“ (იხ. „გიორგი მერჩულე“, თავი: „იამბიკონი ურსი ლექსის მეტრიკა“, გვ. 829—840, განმარტებებით გვ. 836-837). როგორც ეს დადგენილი გვაქვს დასახელებულ ნაშრომში, იამბიკონური ვალობანი (კანონი) რამდენიმე ფორმას წარმოადგენს, — სულ ექვს ფორმას, — სადაც ჩვენ გვაქვს იამბიკონური ლექსის (12-მარცვლოვანის) კანონზომიერი, რიტმულად მოწესრიგებული ვარიაციები. სულ არსებობს იამბიკონური ვალობათა (კანონის) შემდეგი ფორმები:

ფორმა I და II — გრივად ხანძელისეული;

- ფორმა III — იანე მინწისეული;
- ფორმა IV — მიველ მოღრეკილისეული;
- ფორმა V — გიორგი მთაწმიდელისეული;
- ფორმა VI — იოანე შავთელისეული.

კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის V ფორმა (რომელიც წარმოდგენილია „ქრისტეს შობის“ კანონში) და მასთან ახლო მდგომი VI ფორმა იოანე შავთელისა (რომელიც წარმოდგენილია ტექსტში — „გალობანი ვარძიისა ღმრთის-შობელისანი“) მომდინარეობენ გრივად ხანძელის I ფორმიდან; ვარიანტული სხვაობა მათ შორის ის არის მხოლოდ, რომ გრივად ხანძელისეული I ფორმის ისეთი ტაქები, რომლებიც შედგები (აღნიშნული) ცეზურებით განიყოფება ორ ნახევარ-ტაქად, V და VI ფორმებში (გიორგი მთაწმიდელთან და იოანე შავთელთან) წარმოდგენილია ორ დამოუკიდებელ ტაქად.

როდესაც კ. კეკელიძე გიორგი მთაწმიდელის დასახელებულ კანონს (V ფორმის) და აგრეთვე მის მიმდგომს იოანე შავთელის კანონს (VI ფორმის) გამოთიშავს იამბიკონური ტექსტის წიგნის წრიდან და მიაკუთვნებს რიტმულ პიეზიას, ამით იგი დიდ პრინციპულ შეცდომას უშვებს. კ. კეკელიძეს ამ შემთხვევაში იმავე სახის შეცდომა მოსდის, როგორც მას მაღალი შაირის ხალკესო ფორმის შესახებ მოუვიდა. კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, ფიქრობს, რომ რუსთაველს მაღალი შაირის 16-მარცვლელი ლექსი, თუ დაიწერება ერთ ტაქად — ეს ერთ რიტმულ

სტრუქტურას იძლევა, ხოლო თუ დაიწერა ორ ტაქად — ერთი ტაქად და ერთი ტაქად და იცლება ლექსის რიტმული აღნიშვნა და სტრუქტურა ახალ ხალკესო სახეობას ვლუბლობთ (იხ. ზემოთ, მნათობი, № 3, გვ. 152—154).

ზუსტად ანალოგიური ვითარება გვაქვს იამბიკონური ლექსის მიხედვით. იამბიკონური გრივად ხანძელისა (I ფორმა), გიორგი მთაწმიდელისა (V ფორმა) და იოანე შავთელისა (VI ფორმა), მეტრული სტრუქტურის მიხედვით, აბსოლუტურად იდენტურნი არიან. მათ შორის არის შემდეგი შეფარდება:

ა) როდესაც 12-მარცვლოვანი ლექსი არაა გაკვეთილი მუდმივი (აღნიშნული) ცეზურით, იგი ყოველთვის იწერება როგორც ერთი ტაქები, ე. ი. 12-მარცვლელი. ასეა ეს იამბიკონის ყველა ფორმაში, როგორც I-ში, ისე V-ში და VI-ში.

ბ) ხოლო როდესაც 12-მარცვლელი ლექსი მუდმივი ცეზურით ორად განიკვეთება (5+7, 7+5...), ისეთი 12-მარცვლელი ლექსი, ცეზურით ორად გაკვეთილი (ორ ჰემისტიქონად), ზოგჯერ ერთ ტაქად იწერება (5+7, 7+5...), ზოგჯერ კი ორ ტაქად (5 და 7; 7 და 5...).

თუ რამდენად ზუსტად მისდევს იამბიკონური გალობათა გიორგი მთაწმიდელისეული V ფორმა და იოანე შავთელისეული VI ფორმა გრივად ხანძელის I ფორმას, ამას მკითხველი ნათლად გაათვალისწინებს შემდეგი ცხრილიდან, სადაც მაგალითისათვის მოგვყავს შედარება სამივე ფორმის II და III გალობათა.

გალობა II

გრ. ხანძელი (I ფორმა)	5+7	12	12	7+5	5+7
გ. მთაწმიდელი (V ფორმა)	5; 7	12	12	7; 5	5; 7
ი. შავთელი (VI ფორმა)	12	12	12	7; 5	12

გალობა III

გრ. ხანძელი (I ფორმა)	5+7	12	12	5+7	12
გ. მთაწმიდელი (V ფორმა)	5; 7	12	12	5; 7	12
ი. შავთელი (VI ფორმა)	5; 7	12	12	5; 7	12

შენიშვნა:

ზემოთყვანილ ცხრილში ციფრები აღნიშნავს მარცვალთა რაოდენობას ტაქებში:

- ა) ციფრი 12 აღნიშნავს, რომ 12-მარცვლოვანი ლექსი არაა გაყოფილი მუდმივი (აღნიშნული) ცეზურით და იწერება ერთ ტაქად;
- ბ) ციფრება, რომელთაც ერთვის შუაში გაერთიანების ნიშანი (5+7, 7+5...), აღნიშ-

ნავს, რომ 12-მარცვლოვანი ლექსი, გაყოფილი მუდმივი ცეზურით ორ ნაწილად (ორ ჰემისტიქონად: 5 და 7, 7 და 5), იწერება გაერთიანებულად, ერთ ტაქად;

გ) ციფრები, რომელთაც ერთვის შუაში წერტილ-შივი (5;7), (7;5), აღნიშნავს, რომ 12 მარცვლელი ლექსი, გაყოფილი მუდმივი ცეზურით ორ ნაწილად (ორ ჰემისტიქონად 5, 7...), იწერება ორ ტაქად.



ამრიგად, როგორც ირკვევა, გიორგი მთაწმიდელისა და იოანე შავთელის ტექსტები ტიპიურ იამბიკონებს (12 მარცვლოვანს) წარმოადგენენ და მით არაფერი აქვთ საერთო რიტმული პოეზიის თავისუფალი მეტრის მქონე ლექსთან, რომელიც სულ სხვა ტიპის მეტრულ-რიტმულ სტრუქტურას წარმოადგენს.

გიორგი მთაწმიდელისა და იოანე შავთელის ტექსტები რომ არაა რიტმული პოეზიის მეტრის ლექსება, არამედ ტიპიური იამბიკონებია, ამას აღსებურებს (თუც ასეთ ნათელ ჰემარიტემს კიდევ სჭირაა დადასტურება), ის ვარიაციებაც, რომ გ. მთაწმიდელისა და ი. შავთელის ამ ტექსტებს ზედწერაღის სახით მოწერილი აქვს ირმოსები (ძღესპირები) არა რიტმული პოეზიის ლექსებისა, არამედ იამბიკონებისა (სახელდობრ, იამბიკონური კანონის I ფორმისა). ამასვე აღსებურებს აგრეთვე ის ვარემოება, რომ გიორგი მთაწმიდელისა და იოანე შავთელის ტექსტების მეტრული პუნქტუაცია აბსოლუტურად იდენტურია იამბიკონური კანონის I ფორმის მეტრულ პუნქტუაციასთან.

ამრიგად, ეს პირველი საკითხი გარკვეულია. გადავიდეთ მეორე საკითხზე.

2) როდესაც გიორგი მთაწმიდელი თავის ნაწარმოებს „ქართულს“ უწოდებს (— „ქართ-

თულად იღვწვირენ ესე გალობანი“), აქ იგი გულისხმობს ნაწარმოების [ერთ]საღუქსო ფორმას, — როგორც ბ. კეკელიძემ უთქმობს, — არამედ ნაწარმოების შინაარსს.

საქმე შემდეგში მდგომარეობს. გიორგი მთაწმიდელმა, როგორც ცნობილია, თარგმნა ქართულად ბერძნულ საგალობელთა კრებულები. ამავე დროს გიორგი მთაწმიდელმა ამ ბერძნულ საგალობელთა კრებულებებში ჩაერთო თავისი ორიგინალური პიმენები, რომელთაც იგი „ქართულს“ უწოდებს, ბერძნულიდან თარგმნილი პიმენებისაგან ვასარჩევად.

ეკრძოდ, გიორგი მთაწმიდელის ასეთი ორიგინალური („ქართული“) პიმენების რიცხვს ეყუთვნის ზემოთგანხილული „ქრისტეს შობის“ საგალობელი.

გიორგი მთაწმიდელა თვით მოგვითხრობს, თუ რით იყო გამოწვეული ამ „ქართული“ პიმენის დაწერა.

ბერძნულ საგალობელთა კრებულში, რომელსაც თარგმნიდა გიორგი მთაწმიდელი, შობის საგალობელთა შორის მოიპოვებოდა იოანე დამასკელის საგალობელი (იამბიკონი).

იოანე დამასკელის ეს საგალობელი, — ე. ი. ბერძნული ტექსტი, — გამოიპოვებოდა რთული აკროსტიხით, რომელიც გასდევს საგალობელთა ყოველ ტაქსს. ვინაიდან ბერძნულ ტექსტში ასე შექსოვილი იყო რთული აკროსტიხი, ამიტომ, როგორც აღნიშნავს გიორგი მთაწმიდელი, ამ პოეტური ტექსტის ზუსტად თარგმნა საშუალო იყო (რომ დაეცლი ყოფილიყო საღუქო ფორმა, რთული აკროსტიხი და შინაარსიც). ამიტომ გიორგი მთაწმიდელს, ნაცულად იმისა, რომ მოეცა არა ზუსტი შესატყვისი ბერძნული ორიგინალისა, უმჯობესად მიუჩნევია დაეწერა ქართული ორიგინალური საგალობელი, მხოლოდ იოანე დამასკელის საგალობელს „გეარზე“, (იოანე დამასკელის საგალობლის სახეობისა). ე. ი. საგალობელი, რომელშიაც დაეცლია იამბიკონური საღუქო ფორმა, და ამავე დროს წარმოადგენილია ანალოგიური რთული აკროსტიხური წყობა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ გიორგი მთაწმიდელის იამბიკონური ლექსი გამართულია კიდევ უფრო რთული სახის აკროსტიხით, ვიდრე იოანე დამასკელის ბერძნული ლექსი. იოანე დამასკელის აკროსტიხი ვასდევს გალობათა ყოველ ტაქსს, ხოლო გიორგი მთაწმიდელის აკროსტიხი ვასდევს გალობათა როგორც ყოველ ტაქსს, ისე ნახევარტაქსებს (ჰემისტიქონებს). ამის გამო გიორგი მთაწმიდელის საგალობელში მეტბაა სააკროსტიხის ნაწესები ანუ „თავი“.

თავის შენიშვნაში გიორგი მთაწმიდელი,

1 დამატებით ვრთი შენიშვნა.  
ბ. კეკელიძე აღნიშნავს: ის, რასაც ბ. ინგოროვი უწოდებს რიტმულ პოეზიას, ამ სახის ტექსტები — გიორგი მთაწმიდელისა და იოანე შავთელისა — მეც მქონდა განხილულიო. (იხ. გვ. 448). მაგრამ ბ. კეკელიძის ეს შენიშვნა უაღვილოა. გიორგი მთაწმიდელისა და იოანე შავთელის ტექსტებს, როგორც ვხედავთ, არაფერი აქვთ საერთო რიტმული პოეზიის ლექსთწყობასთან.  
ამას ვრთის ის ვარემოება, რომ ამ სახის ტექსტები ჩვენ გამოქვეყნებული გვექონდა ბერძნულად, ვიდრე ბ. კეკელიძე გამოცემდა თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიას“. ასე, ტექსტი იოანე შავთელის პიმენისა „გალობანი ვარძიისა ღმერთისმშობელისანი“ ჩვენ დაბეჭდილი გვექვს ჯერ კიდევ 1916 წელს. — იხ. ვახუთი „საქართველო“, 1916 წ., I ნაწილი, № 97. ამას გარდა, მეორე ტექსტიც გიორგი მთაწმიდელის პიმენი, დაბეჭდილი გვექონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემათა სერიაში. კრებულში „ძველქართული პოეზია“, ტ. II, 1920 წელს; ეს უკანასკნელი გამოცემა თუმცა შეწყდა, მაგრამ მისი დაბეჭდილი თაბახი, გიორგი მთაწმიდელის ტექსტით, დაეცლია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივში).



ადარებს რა ითანე დამასკელის საგალობელს ბერძნულ ტექსტს (და, კერძოდ, ბერძნული ტექსტის აკროსტიხულ წყობას) თავის ახლად დაწერილი ქართული საგალობელის ტექსტთან, წერს:

„წმიდისა ითანე დამასკელისა იამბიკონნი ამის გვარსა ზედა არიან, თვინიერ რომელ მათ ყოველს დასდებულსა ხეთი თავი [= აკროსტიხული საწყისი] ზის, ხოლო ამათ [= ქართულთა] გალობათა უმრავლესნი თავნი [= აკროსტიხულნი საწყისნი] სხენან. და ეინათოვან მათი [= ე. ი. ბერძნული ტექსტის] თარგმნა უღრნო არს ყოველადე და შეუძლებელი ამისთვის მე — გიორგი — ქართულ და აღწერე ესე გალობანი დიდითა შრომითა“ (იხ. ხელნაწერი S — 4999, გვ. 546).

რათა შეიძლებისათვის ბოლომდე ვასაგები იყვეს გიორგი მთაწმიდელს ამ შენიშვნის შინაარსი, მოგვყავს მისი ზუსტი გადმოცემა ახალ ქართულად. გიორგი მთაწმიდელი აქ შემდეგს წერს:

„წმიდისა ითანე დამასკელის იამბიკონნი (=ბერძნული ტექსტი) ამის გვარსა ზედა არიან (=ამავე სახესა არიან), ვარდა იმისა, რომ ბერძნულნი ყოველ დასდებულს (=ყოველ სტროფს) ხეთი „თავი“ (=აკროსტიხული საწყისი) აქვს, ხოლო ამათ (=ქართულთა გალობათა) უმრავლესნი თავნი (=აკროსტიხული საწყისები) უზის; და ეინათოვან მათი თარგმნა (=ბერძნული ტექსტის თარგმნა) ყოველად შეუძლებელია [აკროსტიხული წყობის სიბრტელის გამო], ამისთვის მე გიორგიმ — ქართულად აღწერე ესე გალობანი დიდითა შრომითა“.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ამ შენიშვნის გაუმართლად ამჯერა ხდება, რომ ამ ტექსტში „ქართული“ ეწოდება გიორგი მთაწმიდელის ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებს, რამდენადაც იგი წარმოადგენდა არა თარგმანს, არამედ დამოუკიდებელ ტექსტს, ორიგინალური შინაარსის ქართულ თხზულებას.

აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი.

ითანე დამასკელის აქ მოხსენებული ბერძნული ნაწარმოები (—ქრისტეს შობის საგალობლები) ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი იყო ძველად, გიორგი მთაწმიდელზე ორ საუკუნე ნახევრით ადრე, — გრიგოლ ხანძთელის მიერ. გრიგოლ ხანძთელის ეს ტექსტი წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს, ანუ, როგორც ძველქართულად გამოითქმოდა, „მოკაზმით“ არის შესრულებული. გრავოლ ხანძთელს ამ თავის თავისუფალ თარგმანში დაუცავს ბერძნული ორიგინალის საღვთო ფორმა (იამბიკონური), მაგრამ ბერძნულ ლექსში

გაქსოვილი აკროსტიხი აღარ გადმოცემია (იხ. „გიორგი მერხული“, გვ. 825—826).

გიორგი მთაწმიდელი, ცხადია, ვერცაღ იცნობდა ითანე დამასკელის ნაწარმოების ამ ძველ-ქართულ თარგმანს, შესრულებულს გრავოლ ხანძთელის მიერ.

რაც გიორგი მთაწმიდელმა აღარ თარგმნა ითანე დამასკელი, არამედ მის შვიერ ორიგინალური ქართული ნაწარმოები დაწერა, გიორგი მთაწმიდელს საჭიროდ დაუნახავს მის მიერ შედგენილ საგალობელთა დიდ კრებულში, შობის დღის საგალობელთა შობის, მოეთესებინა არა მხოლოდ თავისი ორიგინალური ქართული პოეტური თხზულება, არამედ ითანე დამასკელის ბერძნული თხზულებაც, რომელიც თარგმნილი ჰქონდა გრიგოლ ხანძთელს; მით უფრო, რომ გრიგოლ ხანძთელის ეს ძველ თარგმანი თუმცა თავისუფლად გადმოსცემს ბერძნულ ორიგინალს, მაგრამ დიდი ლიტერატურული ღირსებებით არის აღბეჭდილი, შეიძლება ითქვას ნამდვილის ბრწყინვალეობით არის შესრულებული. (იხ. „გიორგი მერხული“, გვ. 822 — 826).

გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ საგალობელთა დიდ კრებულში, შობის საგალობელთა შობის, ჯერ მოთავსებულია ითანე დამასკელის ბერძნული საგალობლები, თარგმნილი გრიგოლ ხანძთელის მიერ (იხ. S — 4999, გვ. 538—545), ხოლო შემდეგ ზემოთ მოხსენებული ქართული საგალობლები გიორგი მთაწმიდელისა (იხ. S — 4999, გვ. 546—553).

აღსანიშნავია, რომ მე-11 საუკუნის ხელნაწერი S — 4999, რომელშიაც გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ საგალობლებს ეწოდება ქართული, — ითანე დამასკელის საგალობლებს მოწერილი აქვს, რომ ის არის „ბერძნული“ (იხ. S — 4999, გვ. 538. „გალობანი იამბიკონნი ხუთთავნი ბერძნულად“).

ამ შეპირისპირებიდან, მამსაღამე, აგრეთვე დასტურდება, რომ ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში ზედწერილით „ქართული“ აღინიშნებოდა ორიგინალური ქართული ჰიმნები, ხოლო ზედწერილით „ბერძნული“ — ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნები.

წვენი ამით დავამთავრებთ აქ აღქრული საკითხების განხილვას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ის ყოველად ხელაწერი ინტერპრეტაცია ტერმინისა „ქართული“, რომელიც წარმოადგინა კ. კეკელიძემ, მცდარია. იგი ეწინააღმდეგება ტექსტების პირდაპირს ჩვენებას.

აქ საჭიროა ამასთან ხაზი გავესვათ შემდეგსაც.

რომ ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში ზედწერილით „ქართული“ აღინიშნებოდა ორი.

გინაღობი ქართული ჰიმნები, ხოლო ზედწერილით „ბერძენი“ — ბერძენიდან თარგმნილი ჰიმნები, და რომ ამ ტერმინებს ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არავითარი სხვა მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს დასტურდება არა მხოლოდ ზემოთგანხილული ტექსტებიდან, არამედ ზველა დანარჩენი მასალებიდან, რომლებიც კი ძველ-ქართულ მწერლობაში მოიპოვება ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა შესახებ, განსაკუთრებით კი ძველ-ქართულ საგალობელთა მიქაელ მოდრეკილის განთქმული კრებულის ტექსტებიდან (იხ. „გიორგი მერჩულე“, თავი: „საგალობელი „ქართულს“ და „ბერძენი“ მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულისა, გვ. 0109—0120, იხ. აგრეთვე გვ. 762—763).

განვიხილოთ ამის შემდეგ კ. კეკელიძის მისაზრება ქართული რიტმული პოეზიის ლექსისა და ბერძენულ-ბიზანტიური რიტმული პოეზიის ლექსის ურთიერთობის გამო.

კ. კეკელიძე ამ საგანზე, როგორც ვნახეთ, შემდეგსა წერს:

„მკვლევარის (პ. ინგოროყვას) აზრით ეს სახე ლექსისა (რიტმული პოეზიის ლექსი), ყველა მისი გამოჩაყლისით, ბიზანტიური წარმოშობისა“.

მე აქ არ ვეგებები იმას, რომ კ. კეკელიძე არ ვაღმოსცემს საესებით სწორად ჩემს შეხედულებას ამ საგანზე. „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს ნათესაობა ქართული რიტმულ პოეზიის ლექსთწყობას შორის ერთი მხრივ, ანტიური ხანის ბერძნული ქორული ლირიკის ლექსთწყობას შორის, მეორე მხრივ, და ბერძნული ქორული ლირიკის ლექსთწყობიდან მიმდინარე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ლექსთწყობას შორის, შესაძვე მხრივ. (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 596 — 598).

ამასთან მე არაად არ ვამბობ ერთი ლექსის მეორე ლექსიდან „წარმოშობაზე“, პირდაპირ გადმოღებაზე, არამედ მხოლოდ ნათესაობაზე და გავლენაზე.

კ. კეკელიძე უარყოფს რაიმე ნათესაობას ბერძნული და ქართული რიტმული პოეზიის ლექსებს შორის.

კ. კეკელიძეს ამით უნდა საერთოდ ძირი გამოეთხაროს ქართულ რიტმულ პოეზიას. ამით იგი ამბობს, რომ ქართული რიტმული პოეზია საერთოდ არ არის ლექსი, იგი პროზა; რომ იგი არ არის მის თავისთავად ქართული ლექსი, და რომ არს, როგორც პროზას, არც ბერძნულ და სხვა ლექსთწყობებთან შეიძლება ჰქონდეს კავშირი.

რომ ფორმა რიტმული პოეზიისა — ეს არის ლექსი, ლექსთწყობის მკაცრი წინააღმდეგობით განსაზღვრული, ამის შესახებ დაწყებული გვერნდა სუბარა პირველ წერილში, ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული კვამარტებაა. მხოლოდ კ. კეკელიძე, რომელიც თავისი ძველი „პროზული ჰიმნების“ ჰიმოთეზით ეწინააღმდეგება ამას.

აქ კი ვაგვენოთ კ. კეკელიძის ამ უკანასკნელ შემოტევის ქართული რიტმული პოეზიის ლექსის წინააღმდეგ, განვიხილოთ, თუ რამდენად მართებულია ის მოსაზრებანი, რომლითაც იგი ცდილობს უარყოს ქართული რიტმული პოეზიის კავშირი ბერძნულ რიტმულ პოეზიასთან.

კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, შემდეგსა წერს ამ საგანზე:

„ბიზანტიური რიტმული საგალობელის დამახასიათებელი და მთავარი ნიშანია, მარცვალთა რაოდენობასთან ერთად, აქცენტისაობა, მახვილი. საჭირო იყო ავტორს ეჩვენებინანეთურ ქართული პოეზიისათვის საჭიროა მახვილი, და ეს მახვილი ისეთივეა როგორც ბიზანტიური? თუ ეს ასე არ არის, ქართული რიტმული პოეზიის ბიზანტიურისაგან წარმოშობილობაზე ძველი იქნება ლაპარაკი“.

კ. კეკელიძის ამ სიტყვებში განცვიფრებას იწვევს განცხადება: „ნეთურ ქართული პოეზიისათვის საჭიროა მახვილი“

კ. კეკელიძე, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ქართული ლექსისათვის არა საჭირო მახვილი. ეს ხომ სრული ვაუგებობაა ქართული ლექსის ბუნებისა... ქართულ ენაში არსებობს მახვილი, და თავისთავად ცხადია, მახვილი თავს იჩენს ქართულ ლექსში, როგორც სალექსო კომპლექსის კომპონენტი.

ხოლო არის თუ არა ქართული ლექსის მახვილი იმავე ხასიათისა, როგორც ბერძნულ-ბიზანტიური? არა, არ არის. პროსოდიკა ბერძნულ-ბიზანტიურისა და ქართულისა სხვადასხვა ბუნებისაა. მახვილი ბერძნულ-ბიზანტიურში მოძრავია (არა დაკავშირებული სიტყვის გარკვეულ მარცვალთან) და მისი მოწყობაზე ლექსში ტონური (resp. ტონურ-სილაბური) ლექსთწყობის სტრუქტურის მიხედვით ხდება. მახვილი ქართულში უძრავია (დაკავშირებულია სიტყვის გარკვეულ მარცვალთან) და მისი მოწყობაზე ლექსში წილად სილაბური ლექსთწყობის სტრუქტურის მიხედვით ხდება.

აქედან ცხადია, რომ შეუძლებელია ჩვენ აქ ვილაპარაკოთ ერთი ლექსის მეორე ლექსიდან „წარმოშობაზე“, პირდაპირ გადმოღებაზე, არამედ მხოლოდ გავლენაზე და ლექსის ცალკეულ კომპონენტების გადმოტანაზე ერთი ენადაც მეორე ენაში, ამ მეორე ენის ბუნებრივ პროსოდიკასთან შედარებით.

რომ შეითხველნათვის ნათელი იყვენ, თუ რა ასპექტში დაისმის საკითხი ორი სხვადასხვა ბუნების ენის ლექსთწყობაშია ურთიერთი გავლენისა, აქ ჩვენ შევიჩრდებთ ძველი ქართული ლექსის ნაწილს სახეობაზე—**ამბიკონი**.  
 ზე, რომელიც კლასიკურ მეტრის წარმოადგენს ძველ-ქართული ჰინოგრაფიისა და ძველ ქართული ფილოსოფიური პოეზიისა.

„ქართულ მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა, ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ „ქართული **ამბიკონი** წარმოადგენს ბერძნულ **ამბიკონურ** ტრამეტრის ვადმოღებას. ქართულ პროსოდიასთან შეფარდებით“<sup>1</sup>. (იხ. უფრნალი „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 100. — ქართული **ამბიკონის** მეტრის წვენ გვებით იგრეთვე წერაღში „ამბიკონის მთავარი მთავარი“<sup>2</sup>, უფრნალი „მნათობი“, 1941 წ. № 3, გვ. 123—124, ხოლო „გეორგი მერჩულეში“ მას ვუძღვევით სპეციალური პარაგრაფი: „ძველ ქართული **ამბიკონური** ლექსის მეტრიკა“, გვ. 829—840). აღენიშნათ ამასთან, რომ ბერძნული **ამბიკონური** ტრამეტრის სახეობათაგან ქართული **ამბიკონის** უშუალო პროტოტიპია არა ანტიკური სახეობა, არამედ საშუალო საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური ჰინოგრაფიის 12-მარცვლადი **ამბიკონური** ლექსი (იხ. „გეორგი მერჩულე“, გვ. 836—838).

რომ ქართული **ამბიკონი** დაკავშირებულია ბერძნულთან, ეს ცხადია, სხვას რომ თავი დაეანებოთ, თვით სახელწოდებიდან. სახელწოდება ქართული ლექსისა „**ამბიკონი**“ „**ამბიკონი**“ მომდინარეობს ბერძნული „ამბის“ სახელიდან. ბერძნული ლექსი (**ამბიკონური** ტრიმეტრი) **ამბით** იწერებოდა, ანტიკურ ხანაში ქვანტიტეტური **ამბით** (მარცვლათა სიგრძის მოყოლება დაწყებებით), საშუალო-საუკუნეებში—ტონური **ამბით** (მახვილზე დაწყებებით).

საკითხავია ამის შემდეგ, რით ემსგავსება ქართული **ამბიკონი** ბერძნულ **ამბიკონურ** ტრამეტრს და რით განიარჩება.

ქართულ **ამბიკონში** დატულია **ამბიკონური** ტრამეტრის მარცვლათა რაოდენობა, — როგორც ბერძნული, ისე ქართული ლექსი 12-მარცვლად წყობას შეიცავს.

შემდეგ, ქართულ **ამბიკონში** დატულია ბერძნულ **ამბიკონებში** მიღებული ცვურებები (უპირატესად 5/7, 7/5, იშვიათად 3/9, 2/10. —

იხ. „გეორგი მერჩულე“, გვ. 829—832) 1.  
 რაც შეეხება მახვილებს, ისინი სხვადასხვა სახით არის გაწყობილი ბერძნულ და ქართულში, რადგან ბუნებრივი პროსოდიის ამ ორი ენისა სხვადასხვაია.

ბერძნულ ლექსში მახვილი მოწესრიგებულია ბერძნული ენის შესაბამისად (მოძრავი მახვილები აქ გაწყობილია ტერცოვანი წყობით, იგი შეფარდებულია **ამბის** რიცხთან); ხოლო ქართულ ლექსში მახვილი ასევე შეფარდებულია ქართული ენის ბუნებრივ პროსოდიასთან (ქართული ენის უძრავი მახვილები მოწესრიგებულია მუხლელთვანი წყობით, თვით ლექსის სილაბური სტრუქტურით; ქართულ **ამბიკონში** მახვილები იძლევა არა **ამბის** რიცხს, არამედ ქართული სილაბური ლექსის რიტმს, რომელიც დაქტილურ-ქორეულ კადანსებას და ნახევარ-კადანსებში იხსნება).

ასეთია ურთიერთი თანფარდობა ბერძნული **ამბიკონური** ტრამეტრისა და ქართული **ამბიკონისა**.

ანალოგიური სახისაა თანფარდობა ქართული და ბერძნული რიტმული პოეზიის ლექსთა. ქართული და ბერძნული რიტმული პოეზიის სალექსო ფორმას აერთებს ორი უაღრესად ნიშანდობლივი შეხვედრა: ა) სტროფულ-ანტისტროფული წყობა; ბ) პოლირტიპია.

ა) ქართულ რიტმულ პოეზიაში, ისევე როგორც ბერძნულ რიტმულ პოეზიაში (ბერძნულ ანტიკურ ქორეულ ლირიკაში და მისგან მომდინარე ბიზანტიური ჰინოგრაფიის ლექსში)— ჩვენ გვაქვს მყოფოდ ჩამოყალიბებული სტროფულ-ანტისტროფული წყობა, ე. ი. კანონზომიერად განსაზღვრული მონაცვლეობა ძირითადი სტროფისა და მისი მომდევნო ზუსტი ორეულებისა — ანტისტროფებისა.

ბ) ქართულ რიტმულ პოეზიაში, ისევე როგორც ბერძნულ რიტმულ პოეზიაში, ჩვენ გვაქვს პოლირტიპია, ე. ი. შეწყობა სტროფის სხვადასხვა საზომის (რტმის) ტაქებისა, რომლებიც ზუსტად იმავე თანრიგით მეორდება მომდევნო ორეულ ანტისტროფებში.

ასეთია ეს ორი უაღრესად ნიშანდობლივი შეხვედრა ქართული და ბერძნული რიტმული პოეზიისა, რაც მათი ნათესაურთა კავშირის მაჩვენებელია.

რაც შეეხება მახვილის მოწესრიგებას ქართულსა და ბერძნულს რიტმული პოეზიის ლექსში, ეს, თავისთავად ცხადია, შეფარდებულია თვითივე ენის ბუნებრივ პროსოდიასთან, — ისევე, როგორც ეს **ამბიკონური**

1 ეს ჩვენი განსაზღვრა ქართული **ამბიკონის** წარმოშობისა და მისი პროსოდიული სტრუქტურისა შემდეგ სხებშიც ვაიმეორებს, ავტორის დაუსახელებლად.

1 ჩვენ აქ არ ვხედავთ **ამბიკონურ** შენაგრებებს, — დისტოქონურ, ტრისტოქონურ და ტეტრაბიქონურ ვარიაციებს.

ლეჰის მაგალითზე ვნახეთ. ბერძნულში მოძრავეს მახვილს აწესრიგებს ტერფოვანი წყობა, ხოლო ქართულში უძრავს (რიტმული ელფერის მქონე) მახვილს აწესრიგებს ლექსის სილაბური სტრუქტურა, რომელიც, როგორც მოვხსენებთ, დამტკიცებულია ქორეულ კადანებზე და ნახევარ-კადანებში იხსნება.

ჩვენ ამით შეგვიძლია დავამთავროთ საუბარი იმ საკითხებზე, რაც კ. კეკელიძემ ქართული რიტმული პოეზიის შესახებ აღწერა. ვფიქრობთ, ჩვენ ამომწურავი პასუხი გავცით ყველა აღძრულ კითხვას.



დასასრულ აქ საკითრია შევხებით პროფ. შიხ. თარხნიშვილისა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ძველ-ქართული რიტმული პოეზიის წარმოშობის საკითხზე.

შიხ. თარხნიშვილი, როგორც ამის შესახებ დაწვრილებით გვქონდა საუბარი პირველ წერილში, მთლიანად იზიარებს ჩვენს წიგნში წარმოდგენილ დებულებებს ქართული რიტმული პოეზიის შესახებ.

კერძოდ, შიხ. თარხნიშვილი აგრეთვე თვლის, რომ ქართული რიტმული პოეზია ნათესავეა ქავშირშია ბერძნულთან.

ამავე დროს შიხ. თარხნიშვილი ერთს უაღრესად საველისძემო საკითხსაც ეხება, რომ არა მხოლოდ ბერძნულ-ბიზანტიურმა პიმნოგრაფიულმა პოეზიამ გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა პოეზიაზე, არამედ — რომ ეს გავლენა ორმხრივი იყო.

შიხ. თარხნიშვილი წერს: „ბიზანტიური პოეზიის სილაბურობა შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ აღმოსავლურ სილაბურ პოეზიასთან დამოკიდებით. ხომ თვით პირველნი შემქმნელნი სასულიერო საგალობლებისა ბერძნულ ენაზე იყვნენ სირიელები ან ელინიზებული აღმოსავლელები“ (იხ. გვ. 96).

ეს დებულება უაღრესად ანგარიშგამაწყვეია. იგი შემდგომს ვალრმავებულ შესწავლას მოითხოვს.



პროფ. ს. ყაუხჩიშვილი თავის საველისძემო წერილში, როგორც მოხსენებული გვქონდა, აგრეთვე მთლიანად იზიარებს ჩვენს დებულებებს ქართული რიტმული პოეზიის შესახებ, მაგრამ ერთი საკითხის გამო, — სახელდობრ ქართული რიტმული პოეზიის წარმოშობის საკითხის გამო, — იგი საკუთრად თვლას ერთი შენიშვნა გააკეთოს.

ს. ყაუხჩიშვილი ამ საგანზე შემდეგსა წერს: „რას ამბობს ს. ანტოროვიცა რიტმული პოეზიის წარმოშობაზე? მან სპეციალური პარაგ-

რაფი უძღვნა ამ საკითხს: „კავშირი ძველ-ქართული პიმნოგრაფიული პოეზიისა საღვთსო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღვთსო ფორმასთანა (გვ. 596—598). მიუხედავად ასეთი სათაურისა, ამ პარაგრაფში მინც არ არის გარკვეული, თუ როგორია ეს კავშირი. ავტორი ამბობს: აროდესაჩ ჩვენ ამოვნიფრეთ ძველ-ქართული პიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, ჩვენთვის მაშინვე ნათელი გახდა უახლოესი ნათესაობა ქართული პიმნოგრაფიის საღვთსო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღვთსო ფორმასთანა. ამის შემდეგ ირყევს ბერძნული ლირიკის ფორმის რაობას და აღნიშნავს, რომ ქართული პიმნოგრაფიის ლექსი თავისი სტრუქტურით ემთხვევა ქართული ლირიკის სტროფულ-ტაქტობრივ აღნაგობას (ხაზი ს. ყაუხჩიშვილისა). ეს უაღრესად საყურადღებო დასკვნაა, მტკიცე მეცნიერული გზით მიღებული, და ეს დასკვნა უთუოდ სახელმძღვანელოდ იქნება მიღებული ქართული ლექსის მომავალი მეცლევარის მიერ. მაგრამ აქ არ არის ნათელყოფილი, თუ რით ახსნება ეს დამთხვევა“ (იხ. გვ. 118—119).

პატრიკეძელს მეცნიერის მიერ აღძრული საკითხის გამო საკუთრად ვთვლით შემდეგი აღნიშვნით.

როგორც ეს დადგენილი გვაქვს „იკორგი მერჩულეს“ სთიანდო პარაგრაფში, ბიზანტიური პიმნოგრაფიული პოეზიის ანუ, რაც თვითვეა, რიტმული პოეზიის საღვთსო ფორმა მომდინარეობს ბერძნული ქორელი ლირიკის საღვთსო ფორმისაგან. ბიზანტიურ რიტმულ პოეზიაში ჩვენ გვაქვს ზუსტად იგივე სტროფულ-ანტისტროფული წყობა და იგივე პოლირიტმია, როგორც ბერძნულ ქორელ ლირიკაში. ამრიგად, ქრისტიანული პოეზია აგრძელებს ძველი ბერძნული ქორელი ლირიკის ტრადიციებს.

„თავისთავად ეს ფაქტი, — ვწერთ ჩვენ იკორგი მერჩულეში“ — რომ ქრისტიანული ხანის პოეზია ქორელი ლირიკის შემკვიდრე ყოფილა, მიულოდნელს არას შეიძებს და ეს სავესებით ბუნებრივიცაა. ქორელი ლირიკის ფორმა ძველ საბერძნულში გამოიყენებოდა რელიგიური ელფერის მქონე პიმნებისათვის. ამასთან ქორელი ლირიკის ფართი სახალხო გავრცელება ჰქონდა, — ქორელი ლირიკის ფორმა ეს იყო ფორმა ქორელი, საველდო საგალობლებისა, — და პოეზიის ამ ფორმამ მოაღწია ქრისტიანულ ეპოქამდე. ხოლო ახალ ისტორიულ ეპოქაში ეს ფორმა გამოყენებულ იქმნა ახალი რელიგიისათვის; ზევისის სახელი შეიცვალა უფალის სახელით, აპოლონის და დიონისის სახელით შეიცვალა ქრისტეს სახელით, პერას და დემეტრას სახელი შეიცვალა

მარიამის სახელით. ამრიგად, როგორც ირკვევა, ქრისტიანულ ხანის კიმნოგრაფიული პოეზიის ფორმას უძველესი სათავეები „ქონია“ (იხ. „გიორგი მერჩულე“ გვ. 597—598).

ასეთია რიტმული პოეზიის საღვთო ფორმის ისტორია ბერძნულს, — ძველ ელინურსა და ბიზანტიურ პოეზიასში.

რაც შეეხება ქართულ რიტმულ პოეზიას, მის შესახებ შემდეგი კითხვა აღიპრვის: ბერძნული რიტმული პოეზიის რომელ სახეობასთან არის იგი უშუალოდ დაკავშირებული, ძველ ელინურს (ანტიკური ხანის) ქორული ლირიკის ტრადიციებთან, თუ ბიზანტიური პოეზიის ტრადიციებთან?

უფრო ადრე, „გიორგი მერჩულეს“ გამოქვეყნებამდე, ქართული რიტმული პოეზიის ლექსს უშუალოდ ბიზანტიური რიტმული პოეზიის ლექსს ეკავშირებდით. ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში<sup>1</sup>, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა, ჩვენ ვწერდით, რომ ქართული კიმნოგრაფიის ლექსი (რიტმული პოეზიის ლექსი) შემუშავებულია ბიზანტიური რიტმული პოეზიის ლექსის გავლენით (იხ. ევრნალი „მნათობი“, 1939 წ., № 9, გვ. 134).

მაგრამ რაც უფრო მეტს ვსწავლობთ ქართული კულტურის ისტორიას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ მას უძველესი სათავეები აქვს, და რომ, კერძოდ, ანტიკურ ეპოქაში საქართველო, იბერია-კოლხეთი, უახლოესი კულტურული ურთიერთობით იყო დაკავშირებული ელინურ მსოფლიოსთან. ამას გამოიჩენს არ მივებანია შეუძრავობა, რათა ანტიკური ხანის ქორული ლირიკა და მისი თავისებური საღვთო ფორმა ცნობილი ყოფილიყო ანტიკური ხანის საქართველოში.

ეს, რასაკვირველია, არ გამოირიყვას იმას, რომ ანტიკური ხანის ქორული ლირიკის ძველ ტრადიციებზე შემდეგ განაყოფიერდა ბიზანტიური პოეზიასთან უახლოესი ურთიერთობით.

ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ შემდეგ მოეხსენით ზენა ძველი ფორმული, რომ ქართული რიტმული პოეზია თავისი ტრადიციებით მხოლოდ ბიზანტიურთან იყო დაკავშირებული: „გიორგი მერჩულეში“ ეს ძველ ფორმულა აღარ ვაიმეორებთ და დავამყოფილდით იმ გამოსავალი დებულების აღნიშვნით, რომ საერთო სათავე კიმნოგრაფიული პოეზიისა და მისი საღვთო ფორმისა (როგორც ქართული რიტმული პოეზიისა, ისე ბიზანტიური რიტმული პოეზიისა) — არის ანტიკური ხანის ქორული ლირიკა.

ვაითაკებთ რა საუბარს ქართული რიტმული პოეზიის შესახებ, აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ს. ყაუხჩიშვილი, ისევე როგორც

მის. თარხნიშვილი, გამოხატეს მოსაზრებას, რომ არა მარტო ბერძნულმა ბიზანტიურმა პოეზიამ მოახდინა გავლენა აღმწერველურმა ქრისტიან ხალხთა პოეზიაზე საღვთო ფორმის მხრით, არამედ რომ ეს გავლენა ორმხრივი იყო. ს. ყაუხჩიშვილს დასაშვებად მიიჩნია, რომ ძველ-ქართულ კიმნოგრაფიულ პოეზიასაც შეეცანოს ამ მხრივ თავისი წვლილი.

ეს არის უპირატესად საყურადღებო საკითხი, მაგრამ, ცხადია, იგი შემდგომს გაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მივებანია აღვნიშნოთ აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი.

რომ ბიზანტიურ ლიტერატურაში ქართული წარმოშობის მწერლებიც იღებდნენ მონაწილეობას, ეს ცნობილია. ამავე დროს ირკვევა ქართველების მონაწილეობა ბიზანტიურ კიმნოგრაფიულ პოეზიაში.

XI საუკუნის დიდ ქართველ მწერალს გიორგი მთაწმიდელს დაეუღო აქვე ცნობა, რომ IX საუკუნის მწერალი გიორგი ნიკომიდელი, რომელიც ბერძნულ ენაზე წერდა დარბელიც გამოჩენილი კიმნოგრაფი იყო (—მასეკუთვნის მთელი ციკლი კიმნებისა ბერძნულ ენაზე), ქართველი იყო ეროვნებით<sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ ქართველი მწერლები ბერძნული კიმნოგრაფიის დარგში სხვებიც იყვნენ სხვადასხვა ეპოქაში გარდა გიორგი ნიკომიდელისა, რომელთაც შეეძლოთ გაეცანათ ქართული კიმნოგრაფიის ზოგიერთ ტრადიციას ბიზანტიურში.

<sup>1</sup> ცნობა დაეუღო გიორგი მთაწმიდელის ტრიოდიონში, სახელდობრ, ტაბიკონურ განრიგში: „წესი და განგება, რომელი აღესრულების დიდსა პარასკევსა“. სხვადასხვა საგანობებელთა და საკითხავთა შორის, რომლებიც დაწესებულია ამ დღისათვის, განრგავნი ყურბოდ დასახელებულია: „და იყოთონ წიგნი წმიდისა ათანასის თქმულისაგან, ანუ გიორგი ნიკომიდელისა ქართველისა“ (იხ. ხელნაწერი S—4925, XII საუკუნისა, გვ. 216 ბ).

გიორგი ნიკომიდელი რომ ქართველი იყო ეროვნებით, ეს აღნიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ კათალიკონ-პატრიარქს კირიოსს. (იხ. მისი წიგნი „Культурная роль Иверии в истории Руси, 1910, გვ. 34). მაგრამ მას დასახელებული არ ჰქონდა ხელნაწერი, საიდანაც ამოიღო ცნობა, რას გამო ეს უწყება დოკუმენტობულად ვერ ჩაითვლებოდა. ამჟამად დადგინდა თვით ის პირველწყარო (გიორგი მთაწმიდელის ტექსტი, ხელნაწერი S—4925), საიდანაც მომდინარეობს ეს ცნობა.

იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაზედაც აქ იყო საუბარი, გიორგი ნიკომიდიელის შეწყვედრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ჩვენ აქ დავკმაყოფილებით ამ მოკლე წინასწარი ცნობით; უფრო დამწერლებით გიორგი ნიკომიდიელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი.

III

გადავიდეთ ამის შემდეგ ძველი ქართული ლექსთწყობის მესამე სისტემაზე, რომელსაც „წყობილი სიტყვა“ ვერძვა.

ჩვენ უკვე გეტყვითა საუბარი პირველ წერაღწევაში იმის შესახებ, რომ ქართული ლექსთწყობა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში უარესად მდიდარი და მრავალსახეობის იყო. ამ ეპოქაში (ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში) ქართულ პოეზიაში არსებული სამი სახის ლექსთწყობა, რომლებიც თავისი წყობით, მეტრულ-რიტმული სტრუქტურით, სხვადასხვა სისტემებს წარმოადგენენ.

ეს სამი სახეობა ქართული ლექსისა, როგორც ეს დადგინდა გვაქვს „გიორგი მერჩულეში“, შემდეგია:

1. სილაბური მუხდღეოვანი ლექსი (კლასიკური ქართული ლექსი). ეს სახეობა ქართული ლექსთწყობისა ადგილობრივია, საერთოვანი ქართული, და მას სათავეები ქართულ ზალხურ სიტყვიერებაში აქვს.
2. რიტმული პოეზიის ლექსი ანუ სავალხურეთა „მარცვლელი“ (სილაბიკის მეორე სახეობა). ძველქართული ლექსთწყობის ეს მეორე სახეობა, როგორც ამის შესახებ ზემოთ გეტყვითა საუბარი, ნათესაობაში იმყოფება „მარცვლელი რიტმული პოეზიის ლექსთწყობისთან“.
3. ლექსთწყობა, რომელსაც ვერძვა „წყობილი სიტყვა“ (ანუ უფრო სრული სახით „წყობილი სიტყვა რიტმული“). იგი წარმოადგენს თავისუფალ უმარცვლელ ლექსს ტაქსობრივი რიტმით.

ჩვენ აქ ძველი ქართული ლექსთწყობის ამ მესამე სახეობაზე გვექვება საუბარი.

„წყობილი სიტყვის“ რიტმული სტრუქტურის შესახებ ჩვენ შემდეგსა ვწერთ „გიორგი მერჩულეში“:

ქართული ლექსის ამ მესამე სახეობის — „წყობილი სიტყვის“ რიტმიკის ახასიათებლად არა „მარცვლელი“ ტაქსისა (მარცვლელი რაოდენობა ტაქსში), არამედ „რიტმული“ ტაქსითა (ტაქსობრივი რიტმიკა). გამოსავალი რიტმული

ერთეული აქ არის მთლიანი ტაქსი, დამოუკიდებლად მისი „მარცვლელი“ საგარე-სიმოქლისა. ტაქსი აქ შეერთდება ცალკე მონაარსობლივ ერთიანობით. ლექსთწყობას აქ ჰქვინს არა მუხდღეო და ტერფთა რიტმიკა, არამედ მონაარსობლივად ერთიანი ტაქსების რიტმიკა, მთლიან ტაქსითა რიტმული მონაცვლეობა.

„წყობილი სიტყვის“ თავისებურებას იმასთან შეადგენს ის გარემოება, რომ ტაქსითა რიტმული მონაცვლეობისა და შეპირისპირების დროს აქ ფართოდ გამოიყენება ეგრატიფობული სახეობა პარალელიზმი“ (გვ. 710—711).

„წყობილი სიტყვის“ ტიპის ლექსთწყობა, როგორც ცნობილია, მიღებული იყო ძველ აღმოსავლურ პოეზიაში სემური ენებისა. „წყობილი სიტყვის“ კლასიკური ნიმუში ჩვენ გვაქვს ძველ-ებრაულ ბიბლიაში. ძველმა ებრაელმა პოეტებმა არ იციან სხვა სახის ლექსთწყობა, ვარდა „წყობილი სიტყვისა“. ყრძოლ ებრაული „ფსალმუნთა წიგნი“ მთლიანად „წყობილი სიტყვით“ არის შესრულებული.

გარდა ებრაულისა და ძველი აღმოსავლეთის სემური ენების პოეზიისა, „წყობილი სიტყვა“ მიღებული ყოფილა აგრეთვე ანტიკური ხანის ირანულ პოეზიაში. ასე, როგორც ამ ახლად ხანში იქმნა გამოყენებია, „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობით არის დაწერილი მანიქური ჰიმნები ფალაურ (პართულ) ენაზე (იხ. Manichean hymn cycles in parthian, by M. Boyce, Oxford university press, 1954)

„წყობილი სიტყვა“, როგორც ჩანს, უძველესი სახეობაა ქართული ლექსისა. იგი იმდენად დამკვიდრებული ყოფილა აზრებულ ეპოქის ქართულ მწერლობაში, რომ ბიბლიკური პოეზიის ტექსტები ქართულად უთარგმნით (V საუკუნეში) მათი ფორმის, „წყობილი სიტყვის“ დაცვით. ასე, როგორც ეს დადგინდა გვაქვს „გიორგი მერჩულეში“, „წყობილი სიტყვით“ არის გადმოცემული ქართულად დავითის ფსალმუნნი; ასევე „წყობილი სიტყვით“ არის თარგმნილი ბიბლიის კანტიკა.

ქართულ სიტყვიერებაში „წყობილი სიტყვის“ ფორმის დიდი სიმდიდრის მიჩვენებელია, ყრძოლ, ის გარემოება, რომ უძველესი ფოლკლორული ტექსტები, შესული ლეონტი მროველის „ქართველთა ცხოვრებაში“, „წყობილი სიტყვას“ წარმოგვადგენენ. აღსანიშნავია რომ ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულ სახალხო „მგონებებს“ (ფარსმან ჭველის დროს, გვ-2 საუკუნეში) „წყობილი სიტყვის“ ფორმის გლობალ საგალობლები მოვეყვებით.

ამრიგად, „წყობილი სიტყვის“ სალექსო

ფორმა, როგორც არკვევა, ფართო გავრცელებით სარგებლობდა ძველ აღმოსავლეთში, როგორც სემური ენის ხალხთა პოეზიაში, ისე ირანში, ასევე საქართველოში.

„წყობილი სიტყვის“ ეს არქაული სახის ლექსთწყობა ქართულს ენაზე წარმოდგენილია (გარდა ზემოთდსახელდებულთა — ფსალმუნთა წიგნისა და ბიბლიური კანტიკის ძველ-ქართული ვერსიებისა, აგრეთვე გარდა ძველი ფოლკლორული ტექსტებისა, რომლებიც დაცულია ლენტი მროველის „ქართულთა ცხოვრებაში“), შემდეგი ძეგლებით V—VIII საუკუნეებისა: ბახილი საბაწმინდელის საგალობელი, რომელიც მოღწეულა ზედწერაობით: „ძუ ელნი ქართლნი“; ტექსტი, რომელიც მოღწეულია ზედწერაობით: „იმამი-კონნი ქართულსა ანანსა ზედა, ძუ ელნი“; საგალობელთა სამი ზელნაწერი კრებული — „ი ა ღ გ ა რ ა“—VIII საუკუნის შემდეგ ეს სალექსო ფორმა „წყობილი სიტყვისა“ იშვიათად გვხვდება (მოღწეულია რამდენიმე ტექსტი, მათ შორის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დაცული „ქება კლარჯეთისა უდაბნოთა“, „სავედრებულნი“) და იგი თანდათან გამოდის ხმარებიდან.

კ. კეკელიძემ, რომელმაც უარყო ქართული რიტმული პოეზიის ლექსი, უარყო აგრეთვე „წყობილი სიტყვის“ სალექსო ფორმა.

კ. კეკელიძე წერს: „უძველესი, მისი (მ. ინგოროსძეს) სიტყვით, სახე ქართული ლექსისა ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს, „წყობილი სიტყვა რიტყვად“ ანუ უფრო მოკლედ „წყობილი სიტყვა“. ამ ლექსს ახასიათებს არა „მარცვლედობა“, ე. ი. მარცვალთა სათვალავი ტაემში, არამედ „რიტმუდობა“—ტაემობრივი რიტმიკა. ეს ლექსი ხმარებაში იყო თურმე მერვე საუკუნის უწინარეს ხანაში, ხოლო გრიგოლ ხანძთელის დროიდან იგი გამოდევნა ხმარებიდან მარცვლედმა ლექსმა..

„მეორე, —ეს ლექსი მომდინარეობს თურმე აღმოსავლური, სემურ-ებრაული პოეზიიდან...“

კ. კეკელიძე დასკვნის: „შეიძლება კი ამ „ლექსს“ ლექსი ეწოდოს?.. ანა რა ლექსი უნდა იყოს ის ლექსი, რომელიც არ ემყარება არც ტერფთა და მარცვალთა ჩაოდენობას ტაემში, არც მარცვალთა სიგრძეს-სიშორეს, არც რითმის, არამედ „შინაარსობლივი ერთიანობით შეჭრულს ტაემს“; თან რას ნიშნავს ეს სიტყვები? ანსებითად ყოველი გონიერა წინადადება „შინაარსობლივი ერთიანობითაა შეჭრული“, აქ არავითარი პოეტურ-რიტმული განსაზღვრა არ მოგვეპოვება...“

კ. კეკელიძე ამ თავის ექსკურსს ასე ათავსებს: „ყოველი პრაქტიკული მოთხოვნებიდან შეიძლება ამგვარი ლექსის შედგენა, არ ჩაბნეულ დახელოდ ავიღოთ ილიას „საჩხოველზე“: „მზე გადისარა, თბილმა შეგვუბებულმა პაერმა მოძრაობა დაიწყო...“

კ. კეკელიძეს მოჰყავს ერთი ნაკვეთი ილიას მოთხოვნებიდან „საჩხოველზედ“ და განაგრძობს:

„დაეტებოთ ეს სტრიქონები სალექსო ტაემებად, მივიღებთ ლექსს:

„მზე გადისარა, თბილმა შეგვუბებულმა პაერმა მოძრაობა დაიწყო...“

(კ. კეკელიძეს მოჰყავს ასეთი დატყობილი სახით, ვითომცდა ლექსის სახით, იგივე ნაკვეთი ილიას მოთხოვნებიდან „საჩხოველზედ“).

მე არ მივეულოცავ კ. კეკელიძეს ამის დაწერას... ეს დარჩება მომავლისათვის კლასიკურ-მწიგნაღ ამისა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს პოეზიაზე. პოეზიისა და ლექსის არსის გაუგებრობა ამაზე შორს ვერ წავა...

კ. კეკელიძე რომ მართალი იყოს, ეს დაანგრევდა არა მარტო „გიორგი მერჩულეს“ ერთ თავს. ამას როგორც იქნებოდა შეეუბრებოდნო... მაგრამ ეს დაანგრევდა მასთან ერთად ძველი ქართული პოეზიის მთელ დარგს.

კიდევ მეტი: ეს დაანგრევდა საერთოდ ძველი აღმოსავლეთის უმდიდრეს პოეზიას, რომელიც არსებობს ძველ-ებრაულ ენაზე დამის მიმდებარე სემურ ენებზე, აგრეთვე ფალაურ ენაზე, რადგან სხვა სახის პოეზია, გარდა „წყობილი სიტყვისა“, ამ ენებზე არ არსებობს...

საბედნიეროდ, ასეთი კატასტროფა არ მომხდარა.

მაგრამ მივყევით კვალდაკვალ კ. კეკელიძის ნათქვამს.

როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, „გიორგი მერჩულეს“ „წყობილი სიტყვის“ რიტმიკის განსაზღვრის დროს ვასახელებთ ამ რიტმიკის ორ კომპონენტს; ჩვენ ეწერათ:

1) „წყობილი სიტყვის“ რიტმიკის ახასიათებს არა „მარცვლედობა“ ტაემისა (მარცვალთა, რაოდენობა ტაემში) არამედ „რიტმუდობა“ ტაემთა (ტაემობრივი რიტმიკა). ვამოსავალი რიტმული ერთეული აქ არის მთლიანი ტაემი, დამოუკიდებლად მისი „მარცვლედობისა“, სიგრძე-სიშორისა ტაემი აქ შეჭრული უნდა იყოს შინაარსობლივი ერთიანობით, ლექსთწყობის აქ ქვეის არა მთლად და ტერფთა რიტმიკა, არამედ შინაარსობლივად ერთიანი ტაემების რიტმიკა, მთლიან ტაემთა რიტმული მონაცვლეობა“.

2) „წყობილი სიტყვის“ თავისებურებას ამასთან შეადგენს ის ვარაუბები, რომ ტაბუთა რიტმული მონაცვლეობის და შეპირისპირების დროს აქ ფართოდ გამოიყენება ევრეთროღებულ ის სახეთა პარალელიზმი“.

(იხ. „გვირაგი შერჩულე“, გვ. 710—711).

როგორც შეთხვეული ზედავს, კ. კეკელიძე შემოთხოვენილ განმარტებაში, სადაც იგი ეხება „წყობილი სიტყვის“ რიტმიკას, არა სწორად გადმოსცემს ჩემს შეხედულებას ამ საგანზე. „წყობილი სიტყვის“ რიტმიკის ორი კომპონენტიდან (1. ტაბუთარბივი რიტმიკა; 2. სახეთა პარალელიზმი) — კ. კეკელიძეს სრულად გამოუვლია მეორე კომპონენტი (სახეთა პარალელიზმი). ხოლო „წყობილი სიტყვის“ რიტმის შექმნაში მას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის.

(როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძე აქ ისევ მიაქცა, როგორც იამბიკონური ლექსის სტრუქტურის განმარტების დროს, როდესაც იგი ეხებოდა მეტრულ პუნქტუაციას. როგორც ვნახეთ პირველ წერილში, კ. კეკელიძემ ჩვენ შიგრ დასახელებული ორი კომპონენტიდან — 1) ტაბუთა და 2) ნახევარ-ტაბუთა—გამოაგდო მერო კომპონენტი (ნახევარ-ტაბუთა) და ამით სრულად ყოვლი ვაშუქება მისცა მეტრულ პუნქტუაციასა და იამბიკონის მეტრულ სტრუქტურას იხ. ქურხალი „მნათობი“, № 3, გვ. 163—165).

გარდა იმისა, რომ კ. კეკელიძემ „წყობილი სიტყვის“ რიტმიკის ორი კომპონენტიდან გამოაგდო მერო კომპონენტი (სახეთა პარალელიზმი) — მან არასწორ ასპექტში წარმოადგინა ჩემი განმარტება პირველი კომპონენტისა. კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, წერს: „აბა რა ლექსი უნდა იყოს ის ლექსი, რომელიც არ ეხმარება არც ტერფთა და მარცვალთა რაოდენობას ტაბუთაში, არც მარცვალთა სავარაზმოდეს, არც რითმას, არამედ შინაარსობლივი ერთიანობით შეკრულ ტაბუთს; რას ნიშნავს ეს სიტყვები? არსებითად ყოველი ვინაიერი წინადადება „შინაარსობლივი ერთიანობითა“ შეკრულა. აქ არავითარი პოეტური განსაზღვრა არ მოგვეპოვება“.

ჯერ ერთი, კ. კეკელიძეს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ „შინაარსობლივი ერთიანობით შეკრული ტაბუთა“ და „შინაარსობლივი ერთიანობით შეკრული წინადადება“ — სრულებით სხვადასხვაია. ტაბუთა სალექსო ფუნქციას ასრულებს და მას აქვს ვარკვეული მოცულობა (მინიმუმი და მაქსიმუმი), ხოლო წინადადება არავითარი საზღვრებით შეკრული არაა და იგი ჩვეულებრივ რამდენიმე სტრიქონის მოცულობისაა.

ეს ერთი. ამასთან, თუ კ. კეკელიძემ არ იცის, რომ

არსებობს ისეთი სახის ლექსთწყობა, რომელიც არ ეხმარება არც ტერფთა და მარცვალთა რაოდენობას ტაბუთაში, არც მარცვალთა სავარაზმოდეს, არც რითმას, არამედ შინაარსობლივი ერთიანობით შეკრულ ტაბუთს (და ამასთან სახეთა პარალელიზმს), — ეს, რასაკვირველია, არც კვლის იმ სინამდვილეს, რომ ასეთი ლექსი მართლაც არსებობს.

კ. კეკელიძე ამასთან წერს: „ეს ლექსი („წყობილი სიტყვა“) მომდინარეობს თურმე აღმოსავლური, სემურ-ვზარაული პოეზიიდან“.

ჯერ ერთი, მე არ ვამბობ, რომ ქართული „წყობილი სიტყვა“ ნასესხები იყო და მომდინარეობდეს რომელიმე სხვა ლექსთწყობიდან. ეს არქაული სახის ლექსთწყობა შესაძლოა ერთმეორისაგან დამოუკიდებლად შემუშავებულიყო როგორც ქართულში, ისე სხვა აღმოსავლურ ენებში (თუმცა, რასაკვირველია, არა გამოირცხლი, რომ აქ ზოგიერთ ურთიერთ გაუგებრებას კერძოდ ადგილი). „წყობილი სიტყვა“ რომ ორგანული მოვლენაა ქართულისათვის, და რომ იგი უძველესი დროიდანვე მიღებული იყო ქართულ სიტყვიერებაში, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი (ამის მამყენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ უძველესი ფოლკლორული ტექსტები, შესული ლეონტი მროველის „ქართველთა ცხოვრებაში“, „წყობილი სიტყვის“ წარმოადგენენ).

ამრთავად, ჩვენ იმის ვამბობთ მხოლოდ, რომ ქართული „წყობილი სიტყვა“ წარმოადგენს იმავე სახის ლექსს, რომელიც ჩვენ გაიქვს ადგილი აღმოსავლეთის სემურ-ვზარაული პოეზიაში.

კ. კეკელიძე ამას, როგორც ვხედავთ, ეპვის ქვეშ აყენებს. იგი, როგორც ვნახეთ, არ სცნობს საერთოდ ასეთი ტიპის ლექსს არც ქართულში, და როგორც ჩანს, არც სხვაგან.

ხოლო როგორია სინამდვილე?

მოვესმინათ ამ საკითხის გამო ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორიც არის პროფ. მიხ. თარხნიშვილი, რომელიც ერთი უდიდესი სპეციალისტია ევროპაში ამ დარგში.

მიხ. თარხნიშვილი ამ თავის ცნობად წერდა, რომელიც დაბეჭდა ქურხალიში Oriens Christianus, მთლიანად გაიზარა ჩვენი კონცეპცია შესაბამე ლექსთწყობის, „წყობილი სიტყვის“ შესახებ.

მიხ. თარხნიშვილი ამ შესაბამე ლექსთწყობის „წყობილი სიტყვის“ შესახებ წერს: „არის შესაბამე სახე პოეზიისა, რომელიც თავისუფალია ძლისპირისაგან და მტკიცედ შეკრული სტროფული აგებულებისაგან; არა



აქვს კანონმდებრი მებრე და არც მარცხელდობა ახასიათებს. ეს არის სახელდობრ ის სახე პოეზიისა, რომელიც დამახასიათებელია ებრაულ მწერლობისათვის, და რომელიც გვხვდება აგრეთვე ძველქართულ საწერლობო ძეგლებში (ხაზი ჩვენია. პ. ო.). მისი დამახასიათებელია პარალელური, ანუ ტექსტის შინაარსის პარალელური აგება. ამ სახის პოეზიაში მთავარი ის არის, რომ ტექსტის ნაწილები (კოლონები ანუ ტაქტები) ერთგვარი სიმეტრიით და ურთიერთისადმი პარალელურად არის განლაგებული; ტექსტის ეს ტაქტები შეიძლება იყოს სხვადასხვა სიგრძისა და რაოდენობისა...

„ძველი აღთქმის პოეტურ წიგნებში ვგზონ საგრძობი პარალელური გამოსახულებას პოეზობს აგრეთვე ამ ტექტების ქართულ თარგმანში, განსაკუთრებით დაიფინისა და ბიბლიური კანტიკის თარგმანში.

„ამ სახის პოეზიის თავის წარმოშობაზედ ლევი ჰაუეს ორი ქართული მწერლის სახით — ლეონტი მტკველისა და ბასილი საბაწიშვილისა...

„ამნიორვე რიტმის მქონეა სინის მთის ხელნაწერი (№ 65, გვ. 75-76) დაეული სასულიერო ჰამნები, რომელთაც იოანე-ზოსიმე უწოდებს „იმბიკონნი ქართულსა ანანასა ზედა, ძველნი“.

„პოეზიის ამავე სახეს ეკუთვნის ორი „სიყვარული“ და „ქება კლარჯეთისა უდაბნოთა“ (გვ. 89-90).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მის. თარხნიშვილი მოვიანად იზიარებს ჩვენს კონცეპციას, რომ ქართული „წყობილი სიტყვა“ ეს არის „ის სახე პოეზიისა, რომელიც დამახასიათებელია ებრაული მწერლობისათვის“; ამასთან ძველი ქართული მწერლობის ყველა იმ ძეგლს, რომლებიც ჩვენ „გიორგი მერჩულეში“ „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობას მივაკუთვნებთ, — მის. თარხნიშვილიც ამავე ლექსთწყობის ძეგლებად თვლის.

კ. კეკელიძის გათვალისწინებული არა აქვს, რომ პოეზიის სალექსო ფორმას გრძელი და ურთულესი ისტორია აქვს, რომ მან აუასეული წლების მანძილზე სხვადასხვა ლიტერატურებში ევოლუცია განიცადა, რომ არსებობდნენ და არსებობენ ლექსის, პოეტური სიტყვის, რიტმული სტრუქტურის ორგანიზების სხვადასხვა სისტემები.

დიდად ცდება კ. კეკელიძე, როდესაც იგი ავტორიტეტულად აღხადებს, რომ ვითომც პოეტური სიტყვა, რომელიც არ ემყარება

სილაბიკას, ტონიკს ან ქანტიტეტს, და რომელსაც არა აქვს რითმა, რომ ვითომც ასეთი პოეტური სიტყვა არაა ლექსი, და ვითომც ეს იგივეა, რაც პროზული ტექსტის ტაქტებად დამტკიცება, როგორც ამას კ. კეკელიძე, გამარჯვების სახით, ილია ჭავჭავაძის შოთხობის მავალითი ვითომდა ასტრათებს.

თუ რამდენად ცდება კ. კეკელიძე ამის ცხადსაყოფად ავიღოთ მკითხველისათვის უფრო ნაცნობი მავალითები არა ძველი აღმოსავლური პოეზიიდან, არამედ ახალი პოეზიიდან, მავალითისათვის — რუსული პოეზიიდან.

რუსულ ლექსთწყობას, როგორც ცნობილია, გრძელი ისტორია აქვს. სხვა რუსული ხალხური სიტყვიერების ლექსი; სხვა სილაბური ლექსი, რომელიც მიღებული იყო ტრეტიაკოვსკიანედ და ლომონოსოვამდე; სხვა რუსული კლასიკური ტონური (ტონურ-სილაბური) ლექსი.

ავიღოთ პუშკინი.

თუ ჩვენ გავიზიარებდით კ. კეკელიძის შეხედულებას, უნდა დაგვესკვნა, რომ პუშკინის „Евгений Онегин“ დაწერილია ლექსით, ხოლო „Сказка о рыбаке и рыбке“ ვითომც დაწერილია პროზით, რადგან მისი ხალხური არქაული ტიპის ლექსთწყობა არ უდგება კ. კეკელიძის მიერ აღიარებულ ნორმებს.

ან ავიღოთ ლერმონტოვი.

კ. კეკელიძის შეხედულების მიხედვით უნდა დაგვესკვნა, რომ ლერმონტოვის „Демон“ დაწერილია ლექსით, ხოლო მეორე პოემა ლერმონტოვის „Песня про царя Ивана Васильевича, молодого опричника и удалого купца Калашникова“ ვითომც დაწერილია პროზით, რადგან მისი ლექსთწყობა ასევე არ შეესაბამება კ. კეკელიძის კონცეფციას.

როგორც ცნობილია ლერმონტოვის ამ შესანიშნავ პოემაში (რომელიც ძველი რუსული ხალხური ლექსთწყობას ნორმებს მისდევს) არ არის დაცული არც ტერფთა ზუსტი თანმიმდევრობა, არც მარცველთა შეთანხმებული რაოდენობა, აქ არ არის არც რითმა, — ე. ო. კ. კეკელიძის ნორმების მიხედვით, აქ არ არის ლექსი; მაგრამ სანამდელიც აქ ჩვენ გვაქვს უბრალოდ სადა ორგანიზებული სალექსო რიტმი.

ლექსთწყობას უპირატესად აქ ვწმინს — „შინაარსობრივი ერთიანობით შეკრული ტაქტი“, ისეთ მთლიან ტაქტითა რიტმული მონაცვლეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან ღრმად ათხეობით განიკვეთება.

ამასთან ლექსთწყობაში აქ შედის, როგორც რიტმის ერთგვარი მორგანიზებული ელემენტი, — სახეთა პარალელუმი.

ზემოდასახელებული პოეტური ძეგლები პეშინისა და ლურმონტოვისა (აგრეთვე რუსული არქაული სახის ხალხური ლექსთწყობის ძეგლები, როგორცაა „სნაჟნი“) თავისთავად ცხადია, არ წარმოადგენენ ზედმიწევნით იმავე სახის ლექსთწყობას, რომელიც ჩვენ გვაქვს ძველებრად „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობაში და ძველ-ქართული „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობაში, მაგრამ ძირითადად ისინი ერთმანეთს ხედებიან: ორივე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ტაქობრთვი რიტმია („შინაარსობლივი ერთიანობით შერული ტაქების“ რიტმული მონაცვლეობა, ღრმა პაუზებით განკვეთით) და სახეთა მარალელობა.

დასასრულ ჩვენს ობონენტს უნდა მოვახსენოთ აგრეთვე შემდეგა.

ტრადიცია „წყობილი სიტყვის“ სახის ლექსისა, ე. ი. „თავისუფალი“ რიტმის მქონე ლექსისა, რომელიც წარმოდგენილია ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ლექსთწყობებში, კერძოდ ძველ ებრაულსა და სემური ენებს“ ლექსთწყობებში, ფლადურში, ასევე ძველ-ქართული „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობაში, და რომლის ვარიაციული სახეობანა შემონახულია შემდეგში ხანის ზოგიერთ ხალხურ ლექსთწყობაშიც, — ეს უძველესი პოეტური ტრადიცია არ გამჭრალა უკვალოდ.

იმ დიდი და რთული გეოლოგიის შემდეგ, რომელიც განიცადა პოეტურმა სიტყვამ მსოფლიო ლიტერატურაში, მრავალ სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურებში, — ეს უძველესი ტრადიცია „თავისუფალი“ რიტმის მქონე ლექსისა ისევე იქნის თავს მტკნარად — მყოფ საუკუნეთა მსოფლიო პოეზიაში.

რა არის ინგლისური ენის პოეზიაში, მგაღლითად, უოტ უილმინის ლექსი, თუ არა თავისუფალი რიტმის მქონე იგივე „წყობილი სიტყვის“ ლექსი, რომელიც კ. აკეელიძის ფორმულის მიხედვით თურმე ლექსად ვერ ჩიათვლება, რადგან (კ. აკეელიძის სიტყვები ზუსტად რომ გაეიმეოროს), — „არ ეწყარება არც ტერფთა და მარცვალთა რაოდენობას ტაქში, არც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეს, არც რითმას“. — იგი ეწყარება ძირითადად სწორედ იმ რიტმულ საფუძველს, რომლისავე ეწყარება ძველი აღმოსავლეთის ლექსთწყობანი (და მათ შორის ძველი ქართული „წყობილი სიტყვის“) — ეწყარება ტაქობრთვი რიტმიკას, „შინაარსობლივი ერთიანობით შერული ტაქების“ რიტმული მონაცვლეობას.

რა არის მე-19—20 საუკუნის ფრანგული პოეზიის vers libre, მისი სხვადასხვა სახეობანი, რომელიც ფრანგული ენის პოეზიიდან გადავიდა

სხვა ევროპული ენების პოეზიაში, და რომელსაც უკანასკნელ პერიოდში გამოხატურება აქვს აგრეთვე აღმოსავლეთის ენებში, მოეხება — აქაც ჩვენ გვაქვს თავისუფალი ლექსის უძველესი პოეტური ტრადიციის ხელახალი გაცოცხლება ახალი სახით.

ასეთია ის საველისხმო სურათი, რაც ჩვენს წინაშე იშლება პოეტური სიტყვის, სალექსო ფორმის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან.

ჩვენ ამით ვამთავრებთ განხილვას უველი კრიტიკული შენიშვნებისა, რომლებიც კ. აკეელიძემ წარმოადგინა იმ ძირითად თეორიულ საკითხთა შესახებ, რაც არის საგანი ჩვენს წინაშე „გეორგე მერსელეს“ მეორე ნაწილისა.

საკითხება, ვფიქრობთ, უოველმხრაც გაშუქებულია და მოლიანად ნათელია მყოფებისათვის.

IV

გარდა იმ ძირითადი თეორიული საკითხებისა, რომლებზედაც ზემოთ გვერინდა საუბარი, კ. აკეელიძე თავის წერბრში ეხება აგრეთვე ცალკეულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს.

ჩვენ საჭიროდ მოვავინადა პასუხი გაცეთ კ. აკეელიძის ამ შენიშვნებსაც.

1. ბერძნული პიმნიებისა და ძლისპირების ძველ-ქართული პოეტური ვერსიები.

კ. აკეელიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პიმნი და ძლისპირი, რომლებიც მოყვანილი გვაქვს „გეორგე მერსელეში“, არაა ორიგინალური, არამედ თარგმნილია ბერძნულიდან.

აქ საჭიროა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ კ. აკეელიძე ერთ რამეში ცდება: სხვაა პროზული ტექსტის პროზული თარგმანი, ხოლო სულ სხვაა პოეტური ძეგლის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადაღება ისევე პოეტური ფორმის დაცვით.

მაგრამ იმ საგანზე საგანგებოდ ქვემოთ.

ჯერ კი საერთოდ თარგმანებზე შევიჩრდეთ, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

ძველ ქართულ ძლისპირთა კრებულებში რომ ჩვენ გვაქვს ორიგინალური ქართული ტექსტები, და ამის გვერდით ბერძნულიდან გადმოღებული ტექსტები, ეს ცნობილი აშავია; ეს ნაწნ თვით იმ ანდერძიდან, რომელიც დაურთავს მიქაელ მოდრეკელს ძლისპირთა კრებულისათვის (და რომელიც გამოკვეთებული გვაქვს „გეორგე მერსელეში“): „—ვიღებე და უოელით კერძოვე შრომა ვაჩ-

გენე უზემთავს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოღვივებლ ძიებითა შეეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერპოვე-რომელნი ვპოვენ ენათა ქართველთათა — ბერძენნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განკვეთა (იხ. „გვიორგი მერჩულე“, გვ. 762).

ასევე ოპტიონის საჯალობლებს მიქაელ მოდრეკელი ურთავს ასეთსავე ანდერძს: „მე — მიქაელ მოდრეკელმან, ვიღეაწე — და შევკრიბენ საჯალობელნი ესე — რომელნი ვპოვენ ენათა ქართველთათა — ბერძენნი და ქართულნი...“ (იხ. „გვიორგი მერჩულე“, გვ. 763).

„გვიორგი მერჩულე“ ჩვენნი შესწავლის საგანი იყო ეს საკითხიც, თუ რომელი საჯალობლებია საქუთრივ ქართული და რომელი წარმოადგენს ბერძნული ჰიმნების ქართულ ვერსიას. კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებულ ჰიმნებს ჩვენ ეუბნენით ცალკე თავი „გვიორგი მერჩულეში“ (იხ. გვ. 819—829). წყაროების შესწავლის საფუძველზე ჩვენ დაეადგინეთ, რომ გრიგოლ ხანძთელის 81 საჯალობელიდან დიდი ფორმისა (გალობანი), — ორიგინალური ქართულია 44 გალობანი, ბერძნულიდან გადმოღებულია 20 გალობანი, ხოლო 17 გალობათა საკითხი გამოირკვევითა რჩება.

„გვიორგი მერჩულეს“ ძირითადი ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ, დამატებითი მისაღების გამოყენების საფუძველზე, ჩვენ დაეადგინეთ აგრეთვე, თუ რომელი საჯალობლებია საქუთრივ ქართული, და რომელი ჰიმნებია ბერძნულიდან გადმოღებული შემდეგი ძველი ქართული მიტეხის ლიტერატურულ შემყიდებრეთაში: მიქაელ მოდრეკელისა, იოანე მტვევარისა, ივანე მანჩისა, სტეფანე სანაოისძისა, ივანე ქონჭოზისძისა, ვზრასია, ბასილი ხანძთელისა, კურდანი-კვირიცესი, გვიორგი მერჩულესი, ასევე ანონიმური საჯალობლებსა. როგორც გამოირკვა, დიდი უმრავლესობა ამ ავტორთა საჯალობლებსა ორიგინალური ქართულია. (მათ შორის იგივე ხელნაწერ დედანში ზედწერილი „ქართული“, — ან სრული სახით, ან დამკარავებით). იხ. ამ საგანზე უფრო დაწვრილებით დამატებამში, რომელიც დართულია აქვს „გვიორგი მერჩულეს“ (Addenda: „საჯალობელნი „ქართულნი“ და „ბერძნულნი“ მიქაელ მოდრეკელის საჯალობელთა კრებულისა, გვ. 0109 — 0120).

რჩებოდა გაურკვეველი საკითხი ძლისპირების (იხმოსების) შესახებ, თუ რომელ ძლისპირთა ტექსტები გადმოღებულია ბერძნულიდან და რომლებია ორიგინალური ქართული. ამ საკითხს შეეკი მოვდივან, როდესაც თბილისში, 1956 წელს („გვიორგი მერჩულეს“ გამო-

სვლის შემდეგ) მიღებულ იქნა მიკროფილმები სინას მთის ძველ-ქართულ ხელნაწერთა დეპერტამსისი კოლექციისა. ამ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა ძლისპირთა ისეთი კრებულები, სადაც აღნიშნულია ძლისპირთა ბერძნული წარმომავლობა. ბერძნულიდან გადმოღებულ ძლისპირთა ტექსტებს თანვე მოწერილი აქვს ბერძნული საწყისები (ესევე ბერძნული საწყისები მეორდება იაღჯარის კანონთა ცალკეულ გალობათა ზედწერილებში).

მიკროფილმების მიღებისთანავე, 1956 წელს ჩვენ ჩავატარეთ შედარებითი შესწავლა ძლისპირთა ვეგლა ხელნაწერისა, როგორც საქართველოში დაცული დედნებმა (მათ შორის მთავარია სამი: A — იგლური მე-10 საუკუნის დასასრულისა, B — მიქაელ მოდრეკელის კრებული 978—988 წლებსა, და C — ალ-ვერდუღი კრებული მე-10 საუკუნის დასასრულისა), ისე სინას მთის ხელნაწერებისა; გამოირკვა, რომ მოღწეულა 900-ზე მეტი ძლისპირი დიდი ფორმის საჯალობელთა (კანონისა), მათ შორის 400-მდე ძლისპირის ტექსტი გადმოღებულია ბერძნულიდან, ხოლო 500-მდე ძლისპირის ტექსტი ორიგინალური ქართულია.

ამას გარდა მიღწეულა 300-ზე მეტი ძლისპირი მცირე ფორმის საჯალობელთა (სტიქარონთა); ისინი უპირატესად, როგორც ირკვევა, ორიგინალური ქართულია.

ასეთია ბერძნული წარმომავლობის ჰიმნებისა და ძლისპირების შესწავლის საქმე. როგორც ვხედავთ, ეს არც ისე უფურადღებოდ დატოვებული უბანია, როგორც ეს კ. კეკელიძის შენიშვნების მიხედვით შესაძლოა წარმოედგინოს მკითხველმა.

რასაკობრელია, აქ შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში შეედომებს ჰქონდეს ადგილი (რადგან ზოგჯერ თვით პირველწყაროების ჩვენება არ არის ზუსტი, ამასთან მთელი რიგი ჰიმნების წარმომავლობის შესახებ არ შენახულა რაიმე ჩვენება), მაგრამ საკითხის შესწავლა უკვე მტკიცე ნიადაგზე დაყენებული და ჰიმნების დიდი უმრავლესობის შესახებ უკვე დადგენილია, რომელია ორიგინალური ქართული და რომელი ბერძნულიდან გადმოღებული.

1 მიკროფილმები მიღებული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიგნთსაცავის დირექციის თაოსნობით, რითაც მან უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას.

2 ჩვენ მაღლობას მოვასვენებთ მეცნიერებათა აკადემიის წიგნთსაცავის დირექციას, რომელმაც მიკროფილმების მიღებისთანავე მოგვცა საშუალება გაცენობოდით მათ და ყოველნიარაღ ხელი შეგვიწყო მუშაობაში.

უღრესად საყურადღებოა ამასთან, თუ რა მიმართებაშია ბერძნულ ორიგინალთან ბერძნულიდან გადმოღებული ჰიმნების ქართული ვერსიები.

მოგვყავს აქ „გიორგი მერჩულედან“ ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის გრიგოლ ხანძთელის მთარგმნელობითი მეთოდის დახასიათება, რომელიც დადგენილ იქნა იმის მიხედვით, თუ როგორ აქვს მას გადმოცემული ბერძნული ჰიმნოგრაფიის კლასიკა, — იოანე დამასკელისა და კოზმან იერუსალიმელის ჰიმნების ტექსტები.

„ასანინშენავი უღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რაც ახასიათებს გრიგოლ ხანძთელის მთარგმნელობითს მეთოდს. ეს არის სრულიად თავისუფალი დამოკიდებულება ბერძნული კანონიზებული ტექსტების მიმართ. გრიგოლ ხანძთელი კი არ თარგმნის ტექსტებს ჩვეულებრივი გზებით, არამედ იგი ძალზეა მათს თავისუფალ გადამუშავებას, — რასაც ძველქართულად „მოკაზმვა“ ვწოდებოდა.

იმ შემთხვევებში, როდესაც ქართული პოეტი საჭიროდ მიიჩნევს, იგი ძალზეა ხთანარგმნელი ტექსტის ცალკეულ ნაწილების უზუსტეს თარგმანს; ცალკეულ შემთხვევებში იგი გადამუშავებს ტექსტს. მაგრამ ეს ცოტაა; ცალკეულ შემთხვევებში იგი აკლებს მთელ ნაწილებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იგი აკლებს ტექსტს მერტად მნიშვნელოვანი დამატებებით.

მაგალითად, იოანე დამასკელის — გალოპანის ნათელთანი ბერძნულ დედანში შეიცავს 26 სტროფს. გრიგოლ ხანძთელს გამოუღვია 11 სტროფი და დაუმატებია თავისი საკეთარი 10 სტროფი. ამრიგად ქართული ტექსტი ამჟამად შეიცავს 25 სტროფს, რომელშიაც ბერძნულიდან დარჩენილია მხოლოდ 15 სტროფი, ხოლო ახლად დამატებულია ქართული პოეტის მიერ 10 სტროფი (50 ტაბი).

როგორც ცნობილია, იოანე დამასკელი უდიდესი ავტორიტეტი იყო სამუდამო სულევეთა ორთოდოქსალურ ქრისტიანულ მსოფლიოში. იოანე დამასკელის ჰიმნები კანონიზებული სახის ტექსტებად ითვლებოდნენ. ერთი ბიზანტიელი მწერალი (სვიდა) წერს, რომ იოანე დამასკელის ჰიმნები, კოზმან იერუსალიმელის ჰიმნებთან ერთად, იარსებებენო თვით მსოფლიოს აღსასრულამდე.

იოანე დამასკელის ჰიმნების თარგმანები ბერძნულიდან სხვა ქრისტიან ხალხთა ენებზე სრულდებოდა უცვლელი სახით.

ხოლო ეს გარემოება, რომ გრიგოლ ხანძთელი ასე თავისუფლად ეკადება ამ უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტის იოანე დამასკელის

ტექსტებს და იძლევა მისი ჰიმნების გადამუშავებას, „მოკაზმვას“, მარცხვნილია ამ ეპოქის ქართული კულტურის თავისთავადი ხასიათისა, იმ დღის სიმაღლისა; რამლისთვისაც ქართულ კულტურას მიუღწევია, დამოუკიდებლობის სულისა, რომლითაც აღბეჭდილია იგი (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 823—824).

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ ასეთია მთარგმნელობითი მეთოდი არა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელისა, არამედ გრიგოლ ხანძთელიდან ეს ტრადიცია გადმოდის და გრძელდება ქართულ ჰიმნოგრაფიულ სკოლაში მე-9-10 საუკუნეებისა, ვიდრე ეფთიმი მთაწმიდელის ხანამდე. ასეთია მთარგმნელობითი მეთოდი, კერძოდ, ეფთიმე მთაწმიდელისა, რომლის შემოქმედება საერთოდ აღბეჭდილია დამოუკიდებლობის სულის (ეფთიმე მთაწმიდელი, კერძოდ, ჰიმნოგრაფიკ იყო); იგი უდიდეს ავტორიტეტად იყო აღიარებული, რომელიც უფლებამოსილად ითვლებოდა შეეცალა „მოძღვართა მიერ გამაზღვრებული“, ანუ, როგორც აღნიშნავს ეფთიმე მცირე, „ხელეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“ (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 823 — 824).

არის, ამავდ დროს, მეორე გარემოება, რაც ბერძნულიდან ქართულად გადმოღებულ ჰიმნებს ქართული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად ქმნის.

საქმე ის არის, რომ ეს თარგმანები კი არ წარმოადგენენ პროზაულ თარგმანებს, არამედ პოეტური ძეგლების ერთი ენიდან მეორე ენაზე პოეტურ გადმოცემას, რიტმული პოეზიის საღვქმო ფორმის დაცვით. ხოლო პოეტური თარგმანი, მხატვრულ სიმაღლემდე აყვანილი, ორგანულად შედის იმ ლიტერატურაში, რომელ ენაზედაც იგი გადაცემულ იქნა მხატვრული სარულყოფით.

რომ ის ვაგაგრძელოთ სიტყვა, საქამთა მოვიგონოთ, რომ არც ისე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს როგორც თარგმნილ ტექსტებს, ისე თავისუფალ ვარიაციებს პოეზიის უდიდესი კენიის პუშკინის შემოქმედებაში, მაგრამ არავის მოსულია აზრად ეს შედეგები გამოერიცხა პუშკინის პოეტური მემკვიდრეობიდან.

ასევე ჩვენ სრული უფლება გვაქვს გრიგოლ ხანძთელის პოეტურ მემკვიდრეობაში ორიგინალურ ჰიმნებთან ერთად (როგორც არის საგალობელნი აბო ტფილელისა, ან საგალობელნი გიორგისნი, იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 1010—1012) ჩავთვალოთ აგრეთვე ლექსი — „სოფლისა ზღვაჲ აღმართულ არს“, რომელსაც თქმუა აქვს შინა-



არსობლივი პროტოტიპი ბერძნულში, მაგრამ ქართულად უბრუნებიალესი პოეტური ფორმით არის შესრულებული.

ამ ლექსს მართლაც უღარესად საყურადღებო ისტორია აქვს.

მას უტოცხლია ათას წელზე მეტი და ერთგვარი გავლენა მოუხდენია ახალი ქართული პოეზიის გენეზისზე — ბარათაშვილზე. როგორც ეს დადგენილი გვაქვს „გიორგი მერჩულეში“, ბარათაშვილის ლექსი „ჩემი ლოცვა“, მისი პირველი სტროფი — „ცხოვრების წყაროვ, მასზე წმიდათა წყალთაგან შენთა“, ეხმარება VIII — IX საუკუნეთა ამ ძველ ქართულ ლექსს „სოფლისა ზღვაა აღძრულ არს“, მათ აერთებს არა მარტო საერთო განწყობილება, აქ არის შეხვედრა სახეებისა და ცალკე გამოთქმებისაც კი. ამის გამო ჩვენ ვამზობდით „გიორგი მერჩულეში“, რომ აქ ჩვენ გვაქვს კონკრეტული შეხვედრა ორი გენიოსი პოეტისა.

კ. კეკელიძე ნაშნის მოგებით, და ერთგვარი ირონიითაც კი (ჩემი ცალკე გამოთქმების „წინწყლებში“ განმეორებით) აღნიშნავს, რომ მე ვცდები, რომ ქართული პოეზიის დიდი ტრადიციები აქ არაფერ შეაშია, რომ „სოფლისა ზღვაა აღძრულ არს“ არის არა ქართული პოეზიის მოვლენა, არამედ ბერძნული ლიტერატურის ფაქტი.

მაგრამ კ. კეკელიძე დიდად შემდეგარია, რასაკვირველია. ეს უძველესი ქართული ლექსი VIII — IX საუკუნეებისა „სოფლისა ზღვაა აღძრულ არს“ ისევე ვერ ამოიღება დიდი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან, როგორც ვერ ამოიღება დიდი რუსული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან, ვთქვათ, ყუკოვსკის პოეზია, თუმცა იგი მთლიანად გავლენებზეა დამყარებული, ანდა ვერ ამოიღება პუშკინის .ზოგი შედევრი, ამის გამო, რომ მათ სხვა ენებზე პარალელური მოეპოვება, როგორც ვერ ამოიღება ლერმონტოვის პოეტური საგანძირიდან „Горные вершины“.

ხოლო ლექსი „სოფლისა ზღვაა აღძრულ არს“ რომ მართლაც არის პოეზიის შედევრი (—თუმცა კ. კეკელიძე ამ ჩემს სიტყვებს, — ასე გაბედულად! — „წინწყლებში“ სვამს), — ეს ნათელი უნდა იყვეს ყველასათვის, ვისაც ესმის, თუ რა არის ქვეშარბიტი პოეზია. და, რასაკვირველია, შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ამ უძველეს ქართულ ლექსს, როგორც ეთლოსის ჩანგი, გამოეხმებურა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ამ საკითხა შეგვირდებო აგრეთვე მეორე ანალოგიურ მაგალითზე. იგი ეხება თეთი გიორგი მერჩულეს, მე-10 საუკუნის განთქმულ ქართველ მწერალსა და პოეტს.

კ. კეკელიძე წერს: „სოფლობილია საპირო გიორგი მერჩულეს ლიტერატურული მემკვიდრეობის ვასაყვალს, წინებლადაც, თორემ შესაძლოა ისეთი შეცდომა დაუშვათ, როგორც დაუშვია ჩვენ აეტორს (პ. ინგოროვას), როდესაც გიორგის სახელთან დაუკავშირებია საგალობელი „ნუ მტირ მე, დედაო, რაემს მისილო მე, მე შენი, საფლავსა დადებულო“. ეს საგალობელი ბერძნულიდან არის ნათარგმნი (სლავურად: «Не рыдай мене, мати, зрящи во гробе положена». ეს არის მეტყბე ირმოსი დიდი შაბათის ცისკრისა: ის ეკუთვნის, ერთის ცნობით, პოეტ ქალს კასიის (IX საუკ.), მეორეთი მარკოზ ოტრანტელს“. (იხ. გვ. 495).

კ. კეკელიძე ამ მოვლ რაც მძიმე შეცდომებს უშვებს.

1. საგალობელი რომელიც დასახელებული აქვს კ. კეკელიძეს, სულ სხვა ნაწარმოებია, ვიდრე ის ლექსი, რომელიც გიორგი მერჩულეს ეკუთვნის და რომელიც არის ჩვენი გამოკვლევის საგანი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 853—855). გიორგი მერჩულეს ეს ლექსი იწყება შემდეგნაირად:

„ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო,  
უბორო დედაო,  
მისილო რა შოილი  
შენგან ამ ქვეყნად დმერთი —  
ხოციოთა ჯვარცმული  
შორის ავაზაკო...“

ხოლო ლექსი, რომელიც დასახელებული აქვს კ. კეკელიძეს, იწყება სულ სხვაგვარად:

„ნუ მტირ მე, დედაო, რაემს  
მისილო რა მე შენი,  
საფლავსა დადებულო“...

კ. კეკელიძეს მიუშვავსებია ერთმანეთისთვის შინაარსის მიხედვით ეს ორი ლექსი, და ის, რაც ეტება მეორე ლექსს, გადაუტანია პირველ ლექსზე.

რომ ეს ორი სხვადასხვა ლექსია, ეს ცხელია ჯერ მარტო ამის მიხედვითაც, რომ კეკელიძის მიერ დასახელებული ლექსი („ნუ მტირ მე, დედაო...“) ეს არის „ძლისპირი“ (ირმოსი), ხოლო გიორგი მერჩულეს ლექსი („ნუ მწუხარე, ხარ, უსძლოო“) ეს არის „გალოზა“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 855).

2. შეცდომა კ. კეკელიძისა მით უფრო გაუმართლებელია, რომ ჩვენს წინშე — „გიორგი მერჩულეში“ დასახელებული გვაქვს ორივე ტექსტი, როგორც გიორგი მერჩულეს ლექსი — „ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო“, ისე მეორე ტექსტი — „ნუ მტირ მე, დედაო“, ამასთან მიითვებუელი გვაქვს, რომ ეს მეორე ტექსტი არის ძლისპირი და აღნიშნული გვაქვს

ამ ორი ტექსტის ურთიერთობა. ჩვენს წიგნში, მოგვყავს რა არღლი ტექსტი გიორგი მერჩულის ლექსისა, დასასრულში ვწერთ:

„სტროფულ-ტაეპობრძევი სალექსო სახოში, რომლითაც დაწერილია ეს ლექსი [გიორგი მერჩულესა], ცნობილი იყო ორი სახელწოდებით: „ნათელი დუხსამობა“ (ამ სახელწოდებით არის აღნიშნული სალექსო სახოში გიორგი მერჩულის საგალობელთა ზედწერილში); მეორე სახელწოდებაა [სალექსო სახოში-სა]: „ნუ შირი მე, დედაო“ (დასაწყისი სიტყვები მე-10 საუკუნის ძლისპირისა, რომელიც გიორგი მერჩულის საგალობელს pendant-ს წარმოადგენს“ — იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 854—855).

ამრიგად, ამ მითითებულ გვერდზე, რომ ამ ორი სხვადასხვა ტექსტია, და აღნიშნული გვერდზე, თუ რა ურთიერთობაშია ისინი.

საკითხავია ამის შემდეგ, ორიგინალურ ძეგლებზე უნდა ჩათვალოს ეს ტექსტები, თუ ბერძნული დედნების უბრალო პირებად.

კ. კეკელიძის მიერ დასახელებული მეორე ტექსტი, ვ. ი. ძლისპირი, ახლო მდგომი თარგმანია ბერძნულსა.

რაც შეეხება გიორგი მერჩულეს ლექსს, იგი ორიგინალურ პოეტურ ძეგლებს მიეკუთვნება. ეს არის არა ჩვენი შეხედულება, არამედ შეხედულება, რომელიც არსებობდა ამ ლექსზე თანამედროვეთა შორის, და რაც აღებულებულია წერილობითად; მე-10 საუკუნის ხელნაწერში, მიჰეველ მოდრეკილის კრებულში, ეს პოეტური ნაწარმოები საგანგებოდ მიეკუთვნება

„ქართულ“ კიმნოგრაფიულ ნაწარმოებთა რიცხვს, რაც ხელნაწერში აღნიშნულია სათანადო მითითებით (იხ. „გიორგი მერჩულეს“ გვ. 852, 854).

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდეს პროტოტიპი საერთო ქრისტიანულ მწერლობაში, (როგორც აღნიშნული გვაქვს „გიორგი მერჩულესი“, შინაარსობლივად ეს ლექსი წარმოადგენს ერთგვარ pendant-ს ძლისპირისას „ნუ შირი მე, დედაო“). მაგრამ უნდა ეთვოდეთ, რომ ძველი ქრისტიანული პოეზიის თემატიკა ერთგვარად შეზღუდულია, ისევე როგორც შეზღუდულია, მაგალითად, თემატიკა ქრისტიანული მხატვრობისა. მკითხველს მოეხსენება, რომ მარტო აღორძინებულ ხანაში იხატებოდა ათასეული სურათები ერთსა და იმავე თემაზე, — მაღონა ჩველი ბავშვითა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მაღონები რაფაელისა, ლეონარდოსა და ვინჩისა, ბოტიჩელისა, ერთი და იგივეა, და რომ ისინი ინტერტრანი არიან მადონათა სხვა სურათებ-

თან. ისევე, ერთი და იმავე თემატიკის ლექსებში ძველი ქრისტიანული პოეზიის ერთგვარობის პირებად ვერ ჩათვლებიან „მით სუხრთ, თუ სხვადასხვაა ამ ლექსების მხატვრული შესრულება. ხოლო გიორგი მერჩულეს ეს ლექსი, დაწერილია დიალოგის სახით (რაც ერთგვარი ჩანსახია ლიტურგიკული დრამისა), შესრულებულია მართლაც დიდი არტისტულობით.

რაც ამ თარგმანებზე ჩამოვარდა სიტყვა, არ იქნება ზედმეტი შეეხებოდეთ ერთ ძეგლზე, რომელიც ამ ბოლო ხანებში კ. კეკელიძის მეცნიერული შტუდიების საგანს შეადგენდა. მზედველობაში გვაქვს მარტვირის საბაწმიდელის თეოლოგიური (ასკეტური) თხზულება — „სინანელისათვის და სიმდაბლისა“.

ქართულ წყაროებში დაცულია უწყება, რომ მარტვირის საბაწმიდელი (რომელიც მე-7 საუკუნის მოღვაწე ყოფილა და პალესტინაში, საბაწმიდის სივანეში მოღვაწეობდა), ქართველი იყო ეროვნებით.

ეს უწყება მარტვირის საბაწმიდელის ქართველობის შესახებ ვერაფერს ხანია ცნობილი იყო თ. კორდანიას წიგნში „Описание рукописей...“, ტ. II, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა „აღნიშნული აქვს, რომ ძველ-ქართულ ხელნაწერში A—625 მოთავსებულია „отрывки из обширного сочинения религиозно-нравственного содержания принадлежащее св. Мартирию (მარტვირი). настоятелю лавры Саввы освященного, природного грузина, как видно из записи рукою текста киноляру на л. 10 об.: „საკითხავი თქმული ნეტარისა მარტვირი მონაზონისა“ и тут же: „მარტვირის საბაწმიდელი იყო ქართველი“ (იხ. გვ. 116).

მარტვირის საბაწმიდელის დასახელებული თხზულება („სინანელისათვის და სიმდაბლისა“) 1947 წელს გამოცემა კ. კეკელიძემ (ლიტერატურული ძიებანი, ტ. III). გამოცემასთან დაართულ ნარკვევაში კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ამის ძირითად საბუთად კ. კეკელიძე შემდეგ დებულებას აყენებს: „ბერძნული, გინათუ რომელიმე სხვა ენაზე არსებული, ასკეტური-მისტიკური მწერლობის ისტორიაში არაა ცნობილი არც ერთი ისეთი ავტორი, რომელსაც მარტვირის ეწოდებოდეს, არც რაიმე მსგავსი ამ თხზულებისა, რომელიც ამ მარტვირის სახელს ატარებს“ (გვ. 267).

კ. კეკელიძის ამასთან მოჰყავს ძველ-ქართული ხელნაწერიდან S—625 ზემოდასახელებული უწყება მარტვირის საბაწმიდელის ქართ-

ველობის შესახებ („მარტვირი საბაწმინდელო იყო ქართველი“).<sup>1</sup>

1956 წელს ორიენტალისტისკის ეურნალში Muséeon გამოქვეყნდა შრომა ე. ვარიტისა და ა. ალსის; ამ შრომაში მოცემულია ახალი გამოცემა მარტვირის ქართული ტექსტის, ლათინური თარგმანის დათვით. გამოცემასთან დაბრუნდნარკვევში ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართული ტექსტი წარმოადგენს შემოკლებულ ვერსიას ვრცელი ნაწარმოებისას, რომელიც დატულია სიახლოე ენაზე საბელწოდებით „ს რ უ ლ ყ ო ფ ი ს ო თ ვ ი ს“, და რომლის ავტორად ცნობილია მე-7 საუკუნის მოღვაწე მარტვირი, სიონის ეპისკოპოსი (ნესტორიანელი).

კ. კეკელიძემ ამის შემდეგ შეცვალა თავისი აზრი. ახალ გამოცემაში ნაშრომისა „უცხო ეტორები ძველ-ქართულ მწერლობაში“ კ. კეკელიძემ მარტვირი საბაწმინდელოს ნაწარმოები სირიულიდან თარგმნილ ძველად გამოაცხადა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957 წ., გვ. 96).

ამ მავალითიდან ჩვენ ვხედავთ, რომ არც ასე ადვილი ყოფილა ლიტერატურული პარალელების დადგენა ჯერ მარტო ერთი ცალკე აღებული ნაწარმოების მიმართ, ისიც დიდი ნაწარმოებისა; ხოლო რამდენად უფრო ძნელია ლიტერატურული პარალელის ძიება, როდესაც ეს ვება პატარა მოცულობის ლექსებს, ისიც არა ერთ ლექსს, არამედ ასეულ სხვადასხვა პატარა პოეტურ ტექსტებს.

მაგრამ ეს საკითხი ყურადღებას იქცევს არა იმის გამო, რომ კ. კეკელიძემ აქ შეცვლია დაუშვა. ასეთი სახის შეცვლია, მეშობის დროს, რასაკვირველია, ვეღვას მოუხდა. აქ უფრო მნიშვნელოვანია მეორე გარემოება; კ. კეკელიძემ, ვფიქრობთ, სხვა უფრო მძიმე შეცვლია დაუშვა ამ საკითხის გამო.

ჯერ ერთი, კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, არ ყოფილა სწორად ორიენტირებული საქმის ვითარებაში, როდესაც იგი ასე კატეგორიულად აღნიშნადა, ვითომც მარტვირის სახელი არსად არ მოახსენება, როგორც მწერ-

ლისა, და რომ ვითომც ეს თხზულება მარტო ქართულ ენაზეა შენახული.<sup>1</sup>

მაგრამ კ. კეკელიძე, ვფიქრობთ, ამაყარდა, როდესაც მან მარტვირის საბაწმინდელოს ეს თხზულება, მას შემდეგ რაც აღმოჩნდა მისი სირიული ვერსია, სირიული მწერლობის ძველად იცნა და გამოიცილა ქართული ორიენტირებული მწერლობიდან.

საქმე ის არაა, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწერლები ზოგჯერ ორ-ენიანი მწერლები იყვნენ, როგორც, მავალითად, ვფიქრობთ, მთაწმინდელი, სახელგანთქმული ქართველი მწერალი, რომელიც ბერძნულადაც წერდა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ იმასთან ისიც, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი შეტანილ იქნეს მვეი ძველ ქართულ ლექსში (უწყებაში) მარტვირის შესახებ, რომ იგი ქართველი იყო. ეს ლექსი ჩანს მომდინარეობს ისეთი ჩანაწერიდან, როდესაც მარტვირი ცოცხალი იყო და ჯერ კიდევ საბაწმინდაში მოღვაწეობდა. (უფრო გვიან მარტვირი გამხდარა ეპისკოპოსი; ხოლო არც ლექსში, ისევე როგორც აქრ თვით ნაწარმოების ზედწერილში, იგი ერთ კიდევ ეპისკოპოსად მოხსენებული არაა, არამედ მხოლოდ საბაწმინდელად. — აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული პირი მარტვირის თხზულებისა სწორედ საბაწმინდაშია გადაწერილი, — ხელნაწერი 924—925 წლებისა).

საბაწმინდის სავანე, სადაც მოღვაწეობდა მარტვირი, მრავალერაინი შედგენილობისა იყო. საბაწმინდა ამასთან დიდი ლიტერატურული ცენტრი იყო, კერძოდ, მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული მწერლობისა. საბაწმინდის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველ ქართულ მწერლობის ისტორიაში. (მოვიგონოთ ძველ-ქართული ცნობა ქართული მწერლობის ძველთა „სამწეტი“ და „საბაწმინდის რედაქციების შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ხალაგარიანის“ ძველ-ქართული ვერსია, როგორც ეს ჩანს ქართულიდან მომდინარე ბერძნული ვერსიის ლემიდან, დაკვირვებულია თავისი წარმოშობით საბაწმინდის სავანესთან. აღსანიშნავია ამასთან, რომ საბაწმინდაში სრულდებოდა თარგმანები ქართული ენიდან სხვა ენებზედაც; ასე, მავალითად, მე-9 საუკუნეში საბაწმინდაში ქართულიდან უთარგმნილთ სომხურად დიონისი არეოპაგელის ცხოვრება).

მარტვირი საბაწმინდელი, ვიდრე იგი ეპისკოპოსი გახდებოდა, საბაწმინდის წინამძღვარი

<sup>1</sup> აქ საჭიროა სამწუხაროდ აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კ. კეკელიძე აქაც იჩენს უპატივცემულობას სხვისი შრომისადმი. კ. კეკელიძე არსად არ აღნიშნავს თავის ნარკვევში, რომ დასაბუღებული უწყება მარტვირი საბაწმინდელის შესახებ პირველად მოიპოვა ძველ-ქართულ ხელნაწერში და 1902 წელს გამოაქვეყნა გამხევენულში ისტორიკოსმა თ. ყორანაძემ.

<sup>1</sup> მარტვირის ტექსტები გამოქვეყნებულნი პქონდა ჯერ კიდევ 1902 წელს P. Bedjan-ის (Martyrius..., Paris et Leipzig, 1902).

(მამასახლისი) ყოფილა<sup>1</sup>. ბუნებრივია, რომ მარტვირის საბაწმინდელმა, ერთგვებით ქართულმა, რომელიც საბაწმინდის ძმობის მეთაური იყო, თავისი თხზულება, რომელიც სამონაზვნო ცხოვრებას ეხებოდა და მიმართული იყო მთელი ძმობისადმი და ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა მათთვის, გამოაქვეყნა საბაწმინდის რამდენიმე ენაზე, როგორც ქართულად (თავის შრომითურ ენაზე), — საბაწმინდაში მოღვაწე თანამემამულე ქართველებსათვის, ისე სირიულადაც, საბაწმინდის ძმობის სირიულ ენაზე მოლაპარაკე წევრთათვის.

სირიული ენა, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელებით სარგებლობდა პალესტინაში. ჩვენ ვაპყნის სწორედ ამავე ეპოქიდან, მეორე მავალით, როდესაც პალესტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი სირიული ენით სარგებლობს. ასეთი იყო მე-5 საუკუნის დასასრულის ანტიოქიის ზაქარია ქართული, რომელსაც დაეწერია ბიოგრაფია განთქმული ქართველი მოღვაწის პეტრე იბერიელისა სირიულ ენაზე; როგორც აღნიშნულია პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის ქართული ვერსიის ბოლოსიტყვაობაში — „ეცე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა [პეტრესი] ამას ქრთხებულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესა, ასურებრითა ენითა აღუწერია, ვინაითგან ფრიად მეცნიერ ყოფილარს მათსა ენასა, და კვალად რამეთუ პალესტინეს ასურნი მრავალ არიან“. ზაქარია ქართველი თან ვახუციანი პეტრეს ქართლიან ქართველ ამაღასთან ერთად. პეტრე იბერიელის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ედრე მის გარდაცვალებამდე, ზაქარია თან ზღუდა განუერეულად პეტრეს, როგორც მისი მოწაფე და უახლოესი მეგობარი. „ცხოვრების“ ქართულ ვერსიაში ნათქვამია: „ხოლო მე ზაქარია, მოწაფე მისი, ქართლიანენე უყანა შეუდეგ წმიდასა მას (პეტრეს) — ედრე მიცვლებამდე მისა, ამისთვისა აღწერე ცხოვრება მისა“.

(უფრო დაწვრილებით ზაქარია ქართველის შრომის როგორც ასურული, ისე ქართული ადრინდელი და შემდგომი ხანის ვერსიების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928 წ., გვ. 202; პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ტურნ. „მნათობი“. 1939 წ., № 2, გვ. 160 — 162).

საკითხი ამ ეპოქისა და ამავე წრის ქართველი მწერლის მარტვირის საბაწმინდელის შესახებ, ცხადია, მოითხოვს დამატებითს, ყოველმხრივს შესწავლას, ხოლო არსე-

ბული, უკვე გამოქვეყნებული მასალები გვაძლევს საფუძველს დავისკენათ, რომ პალესტინელი მოღვაწე VII საუკუნისა, მარტვირის საბაწმინდელი, ქართველი ერთგვებით, რომელიც გამოჩინილი მწერალი ყოფილა (აღნიშნავთ, რომ მარტვირის თხზულებას მაღალ შეფასებას აძლევს მკვლევარი მისი შრომისა გამოჩინილი მეცნიერი გ. ვარტტი), ჩანს ორენიანი ანტიოქი იყო, რომელსაც თავისი ნაწარმოებები გამოუქვეყნებია როგორც სირიულ, ისე ქართულ ენაზე<sup>1</sup>.

**2. გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა.**

კ. კეკელიძე, ამთავრებს რა ჩვენი შრომის თეორეტული ნაწილის განხილვას, გადადის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილზე. კ. კეკელიძე წერს:

„ამ ნაწილში ლაპარაკია ძველ ქართველ პიწმოვრადეთა და მათ ნაწარმოებთა შესახებ. პიწმოვრადეთა შორის ყველაზე მეტი ყურადღება მიღებულია გამოკვლევაში გრიგოლ ხანძთელს... გრიგოლის პიწმოვრადული მემკვიდრეობა, მკვლევარის აზრით, შენახული მთლიანად თუ ფრაგმენტულად მიქველ მოდრეკილის იადგარში (S—425)... ამ საგალობლებს ხელთნაწერებში გრიგოლის სახელი არ აწერია. მაშ საიდან ვაიგო მკვლევარმა, რომ ისინი გრიგოლს ეკუთვნის? სულ უბრალოდ. მიქველ მოდრეკილს თავის იადგარში, რომელიც და-

1 სირიულ ენაზე მიღწეულია მარტვირის ნაწარმოების სრული ტექსტი, ქართულ ენაზე მოღწეულია შემოკლებული ვარიანტი. (სავარაუდოებელია, რომ ქართულად, გარდა შემოკლებული ვარიანტისა, არსებობდა აგრეთვე სრული ტექსტი). აღსანიშნავია ამასთან შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ირყევია გამოქვეყნებული მასალებიდან სირიული და ქართული ტექსტების ურთიერთობის შესახებ. ქართული შემოკლებული ვარიანტი (რომელიც, ჩანს, დამზადებული იყო როგორც ერთგვარი სახელმძღვანელო საბაწმინდაში მოღვაწე ქართველი ძმობისათვის) წარმოადგენს არა უბრალო მექანიკურ შემოკლებას სირიული სრული ტექსტისა, არამედ ქართულ ტექსტს გარკვეული ემსხვევა ანტიოქიული დამწვრება (დაძალა — შემატრება, აზრის სხვადასხვა ვარიაციებით ფორმულირება და სხვ.), რაც მისი მანველებელია, რომ ანტიოქი უბრალოდ კი არ თარგმნიდა ერთი ენიდან მეორეზე, არამედ დამოუკიდებლად ამუშავებდა და აშლავდა ტექსტებს როგორც სირიულ ენაზე, ისე ქართულ ენაზე.

1 იხ. კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 269.



წერილია გრიგოლის მიერ გაწვეულ მატ-  
ბერთის მონასტერში, შემოუტრება ყოველი  
კერძო საგალობელი ქართული. მასადაამე,  
ამ კრებულში შევიდოდა ის საგალობლებიც,  
რომელნიც გრიგოლს დაუწერია, ვინაიდან ეს  
საგალობელი (საწელიწადო იადგარი) მის  
დროს ხანძათს იყო... ჩვენ არ მოგვეპოვება  
არავითარი საწელიწადო, რომ გრიგოლ ხანძათ-  
ელის შემკვიდრებობა ზუსტად გამოვარკვიოთ...  
გრიგოლ ხანძათელი რომ წერიალია, ეს დიდი  
ხანია ცნობილია, ეს დადასტურებულია მის  
ბიოგრაფიაში, მაგრამ ვარკვევა მისი პიწი-  
გრათიელი, საზოგადოდ ლიტერატურული,  
შემკვიდრებობისა, კვლავ ეიმეორებთ, დღევან-  
დელ პირობებში შეუძლებელია". (იხ. გვ.  
435—458).

ვიდრე გადავიდეთ საკითხის არსზე, ამ  
საკიროა წინასწარ აღვნიშნოთ შემდეგა.

დაუშვათ, რომ ჩვენ ვითომცა არ გვაქვს  
საშუალება ზუსტად გამოვარკვიოთ, გრიგოლ  
ხანძათელს პიწიგრათიელი შემკვიდრებობა,  
თუ რომელი პიწი ვეუთვნის ზუსტად გრი-  
გოლ ხანძათელს, და რომელი პიწი ვეუთვნის  
გრიგოლ ხანძათელს გამგრძელებებს, შემკვი-  
დრე მგოსნებს. ამით განა შეიძლება თორე-  
ტიული საფუძვლები ჩვენს გამოკვლევისა  
ძველ-ქართული პიწიგრათიელი პოეზიის შე-  
სახებზე რასაკვირველია, იოტის ოდენადაც არ  
შეიძლება. ძველ-ქართული პოეზიის უშესა-  
ნიშნავესა ძველები — პოეტური პიწიები —  
უცვლად იმავე ძველებად დარჩებიან, და-  
მოუკიდებლად იმისგან, მივაკუთვნებთ მათ  
გრიგოლ ხანძათელს, თუ რომელიმე სხვა მგო-  
სანს. ზომ იყო გამოთქმული შეხედულება,  
რომ ვითომც ვეუთვნის-ტყაოსანი არ ვეუთვნის  
შოთა რუსთაველს; ზოგი ამბობდა, აეტო-  
რი უცნობიაო; კ. კეკელიძე, შიგალოთად, ამტ-  
კიცებდა, რომ აეტორი არისთ არა რუსთავე-  
ლა, არამედ სარგის თმოგველი; მაგრამ თუნ-  
დაც გამართლებულიყო ეს უსაფუძვლო მისა-  
ზრებანი, განა ამით შეიძლება დაკვირვება  
შოთას პოემის? რასაკვირველია, არა.

ხოლო თავისთავად ეს ცდა, რათა გრიგოლ  
ხანძათელის სახელი მოაშორონ ამ პიწიებს,  
ისევე უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლო იყო  
შოთა რუსთაველის სახელი მიუგორბინათ  
ვეუთვნის-ტყაოსანისათვის.

გადავიდეთ ამის შემდეგ გრიგოლ ხანძათ-  
ელის აეტორობის საკითხზე.

გრიგოლ ხანძათელის აეტორობის საკითხი  
როდელი ფილოლოგიური პრობლემაა. სი-

კითხი რომ თავიდანვე ნათელი და გარკვეულ  
ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, უნებურად დაწი-  
კლება იქნებოდა საკირო. **საწელიწადო იადგარი**  
გრიგოლ ხანძათელის აეტორობის საკითხი  
თუმცა, როგორც მოიხსენიეთ, როდელი-  
ფილოლოგიური პრობლემაა, მაგრამ არა გა-  
დაუჭრელი. ჩვენ გვაქვს რამდენიმე მტკიცე  
დასაყრდენი ამ პრობლემის გადასაჭრელად.

1. პირველი და ძირითადი დასაყრდენი ეს  
არის ცნობა, რომელსაც ვაღმოგვეცნოს გრი-  
გოლ ხანძათელის საგალობელთა კრებულს-  
„საწელიწადო იადგარის“ შესახებ მისი ბიოგ-  
რაფი ვიორგი მერჩულე.

ვიორგი მერჩულე, მოგვიხატობს რა გრი-  
გოლ ხანძათელის „სიბრძნის-მეტყველებს“ შე-  
სახებზე, წერს შემდეგს:

„არს ხანძათს ზელითა მისითა დაწერილი —  
სულთსა მიერ წმიდისა, — საწელიწადო რად-  
გარის, რომელისა სიტყუანი ჟრიალ კეთილ-  
არაინ“.

„საწელიწადო იადგარი“, როგორც ეს ირ-  
კვევა ძველ-ქართული წყაროების ჩვენებო-  
თა მიხედვით, ეწოდებოდა ვარკვეულ ო-  
ტიპისა და ვარკვეულ მოცულ ო-  
ბის საგალობელთა კრებულს.

ვიორგი მერჩულის ამ ცნობის თანახმად  
გრიგოლ ხანძათელი იყო აეტორი საგალობ-  
ელთა ამ კრებულისა, „საწელიწადო იად-  
გარისა“; „საწელიწადო იადგარის“ თვით  
გრიგოლ ხანძათელის აეტოგრათიელი ზენაწე-  
რი დაცული ყოფილა ხანძათში და ვიორგი  
მერჩულე იცნობდა ამ ზენაწერს.

ვიორგი მერჩულეს ამ სიტყუებიდან ისიც  
ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ძვე-  
ლი ყოფილა საგალობელთა ეს კრებული —  
„საწელიწადო იადგარი“. ვიორგი მერ-  
ჩულეს სიტყუით, „საწელიწადო იადგარი“ თუმ-  
ცა დაწერილი იყო აღმინანს ზელით, გრიგოლ  
ხანძათელის ზელით, მაგრამ შთავონებულ-  
იყო „სულთსა მიერ წმიდისა“, თვით ღვთაე-  
ბის მიერ იყო შთავონებულიო.

ვიორგი მერჩულე აღნიშნავს ამასთან, რომ  
გრიგოლ ხანძათელს „საწელიწადო იადგარის“  
— „სიტყუანი ჟრიალ კეთილ არა-  
ინ“: ასეთ უმაღლეს შეფასებას აძლევს გრი-  
გოლ ხანძათელის საგალობელთა ამ კრებულს —  
„საწელიწადო იადგარს“ — ვიორგი მერჩულე.

2. დასადგენი იყო ამის შემდეგ, თუ რა  
ბედი ეწია გრიგოლ ხანძათელის საგალობლებს.  
სავარაუდებელი იყო, რომ ეს საგალობლე-  
ბი არ იყო დაკარგული. საქმე ის არის, რომ  
გრიგოლ ხანძათელს დაუწერია არა თითო-  
ორიოლა, რამდენიმე პიწი, არამედ იგი ყო-  
ფილა აეტორი საგალობელთა მთელი წიგნისა,  
მთელი კრებულისა, რომელსაც „საწელიწ-  
ადო იადგარი“ ერქვა.

რას ნიშნავს „საწელიწადო იაღვარი“? „საწელიწადო იაღვარი“ ერქვა საგალობელთა ისეთ კრებულს, რომელიც შეიცავდა საგალობლების სრულ ციკლს მთელი წლისას; საგალობლები „საწელიწადო იაღვარში“ დალაგებული იყო მთელი წლის მანძილზე — კალენდარული თანმიმდევრობით (ამიტომ ეწოდებოდა მას „საწელიწადო“). ცალკეული საგალობლები დაკავშირებული იყო იმა თუ იმ თარიღთან. საგალობლები მიეძღვნებოდა სარელიგიო თემებს, სხვადასხვა საეკლესიო და სასოციალურ ამბებს, სხვადასხვა ისტორიულ მოვლემებს, რომელთა მოგონება ხდებოდა ცალკეული საკალენდარო თარიღებისათვის. საგალობლები იწყებოდა შობის საგალობლებიდან, ამას მოჰყვებოდა დეკემბრის თვის დასასრულის საგალობლები, შემდეგ იანვრისა, თებერვლისა... და ასე შემდეგ, ვიდრე დეკემბრის თვემდე. ამრიგად, „საწელიწადო იაღვარი“ წარმოადგენდა ჰიმნების უდიდეს კოლექსს, სრულს წლიურ ციკლს, გარკვეულის სისტემით, გარკვეულ თანამიმდევრობით და გარკვეული მოცულობით.

3. ძველქართულ ხელნაწერთა საგანძურებში მოიპოვება მრავალი სხვადასხვა საგალობელთა კრებულები სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა მოცულობისა, რომლებიც ეუთვნებიან სხვადასხვა ეპოქას (მოკლე „იაღვარნი“, თუნეი, ტრიოდოიონი, ოკტოიხი (რეხმა) — პარაკლიტონი, „ხმანი“ და „ვერდნი“, სადღესასწაულონი...).

მათ შორის ზეენ გვხვდება აგრეთვე საგალობელთა კრებული — „საწელიწადო იაღვარი“.

დროის მიხედვით ხელნაწერები „საწელიწადო იაღვარსა“ ეკუთვნიან სწორედ გრიგოლ ხანძთელის უახლოეს მომდევნო ეპოქას. ამასთან ამ ხელნაწერთაგან ზოგი ვაღაწერილია თვით გრიგოლ ხანძთელის მიერ დაასრულებს საგანში, ზოგი გრიგოლ ხანძთელის სავიწებთან დაკავშირებულ სალიტერატურო წრეებში. ზოლი საგალობელთა ამ დიდი კოლექსის „საწელიწადო იაღვარის“ ავტორი რომ გრიგოლ ხანძთელი იყო, ეს დადასტურებულია, როგორც ვნახეთ, თვით გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფის ვიორგი მერჩულეს მიერ.

4. „საწელიწადო იაღვარის“ მოღწეული ხელნაწერების შედარებიდან ირკვევა, რომ „საწელიწადო იაღვარი“ არ მოღწეულს პირენდელი შედგენილობით, როგორც გრიგოლ ხანძთელის ხელიდან გამოვიდა. მას ღრთოა განმავლობაში დამატებულია შეხება ვანუცლია აქ შეუტანიათ შემდეგ სხვადასხვა ახალი ჰიმნები. სულ ჩვენამდე მოღწეულა მეთხუთსამდე — მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე „საწელიწადო იაღვარის“ შეიღი ხელნაწერი 10. „მნათობი“ № 6.

(იხ. „ვიორგი მერჩულე“, გვ. 753). მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განთქმული ხელნაწერი მიქაელ მოღრეკელისა, ვაღაწერილი 978—988 წლებში.

„საწელიწადო იაღვარის“ დისახელებული ხელნაწერების შედარებით ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ ხელნაწერებში საერთოა ერთი ძირითადი პირველადი ნაწილი (ძირითადი ფენი). ამვე დროს ყოველი ხელნაწერი ამ საერთო პირველადს ძირითად ფენს ურთავს სხვადასხვა ახალ ჰიმნს.

ფილოლოგიური ანალიზის შედეგად შესაძლია აღდგენილ იქნეს, თუ რა მოცულობისაა ეს ძირითადი პირველადი ფენი, ე. ი. თუ რა მოცულობისა იყო თავდაპირველად „საწელიწადო იაღვარი“, ჰიმნების ის კრებული, რომელიც გამოვიდა გრიგოლ ხანძთელის ხელიდან და რა ახალი ჰიმნები დამატა კრებულს შემდგომ ხანაში.

ამ საკითხების გარკვევისას განსაკუთრებულ დამხრებას გვეწევს ის ჩვენებანი, რომლებიც დაკუთვნილია ახალი ჰიმნების შესახებ მიქაელ მოღრეკელის კრებულში, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ხელნაწერებშიც.

პირველადი ანალიზი, შემოწმებული ყველა არსებული მარკენების მიხედვით, იძლევა ხაზულაბავ დავადგინოთ, რომ „საწელიწადო იაღვარის“ ყველა მოღწეულ ხელნაწერში, ვარდა პირველადი ძირითადი ფენისა (ე. ი. „საწელიწადო იაღვარის“ მნაწილისა, რომელიც ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს), დამატების სახით შეხულია ჰიმნები შემდეგი ფერთაგან: 2) მიქაელ მოღრეკელისა; 3) ვიორგი მერჩულესა; 4) იოანე მტბევერისა; 5) ივანე შინჭხისა; 6) სტეფანე სანანოას-მე კუონდიდელისა; 7) ეზრასი; 8) ივანე ქონქოზის-ძისა; 9) ბასილი ხანძთელისა; 10) კურდანი-კვირიყისა; 11) მკაირი ლეთეთელისა; 12) ემიტანე მოღვარისა; 13) ფილიპე ბუთუმელისა; 14) ვიორგი საპაწმინდელ-სინელიისა; 15) იოანე-ზოსიმესი; 16) ანიონიმებისა.

თუ როგორია შედარება „საწელიწადო იაღვარის“ ძველი ჰიმნებისა, რომლებიც ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს, და ახალი ჰიმნებისა, რომლებიც დამატებით შეუტანიათ „საწელიწადო იაღვარში“ — ამის საიდუმლოდ დავასახელებთ მიქაელ მოღრეკელის კრებულს.

სულ მიქაელ მოღრეკელის კრებულში (—კრებულს იმ ნაწილში, რომელიც ზეენ დრომდე ვაღაწერილია) — მოღწეულა 196 საგალობელი დიდი ფორმისა და 755 საგალობელი მცირე ფორმისა.

მიქაელ მოღრეკელის კრებულს ანალიზიდან ირკვევა, რომ კრებულს პირველად ძი-

რითად ფენს — ე. ი. გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარს“ — ეკუთვნის კრებულის დაახლოებით ერთი მე-სამედი.

სახელდობრ დიდი ფორმის 196 საგალობელთაგან გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარს“ (ე. ი. კრებულის ძირითად პირველად მეორე) ეკუთვნის 81 საგალობელი; ხოლო მესამე ფორმის 755 საგალობელთაგან გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარს“ ეკუთვნის 123 საგალობელი.

ეს დასკვნები, თუ როგორი იყო გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარს“ თავდაპირველი მოცულობა და რა ახალი ჰიმნები დაემატა საგალობელთა ამ კრებულს შემდეგ, IX — X საუკუნეებში (გვირგვინ მერჩულისა, მიქაელ მორჯეკისა და სხვათა), მიღებულია ურთულესი ფილოლოგიური ანალიზის შედეგად, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ყველა მახვევებელი: — წყაროების ჩვენებანი, ხელნაწერთა შედგენილობა, „საწელიწდო იადგარის“ კალენდარული სტრუქტურა, ჰიმნების სხვადასხვა ჯგუფის გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნები, ლექსთწყობა, ილიტრაცია — აეროსტიხების სახეობანი, „კანონთა“ სტრუქტურა, შეფარდება ჰიმნებისა და ძლისპირებისა (ძლისპირების როზელ ჯგუფს, ძველსა თუ ახალს, უდავება ცალკეული ჰიმნები) და სხვა.

ამ ერთი სპეციალური საკითხის გამოკვლევას, ხელნაწერთა აღწერილობასა და შედარებისთვის ფილოლოგიურ ანალიზს, მიძღვნილი აქვს ჩვენი წიგნის 150 გვერდზე მეტი (გვ. 754—840, 01—073, აგრეთვე 0107—0129).

ამრიგად, საკითხი არც ისე „უბრალოდ“ არის გადაწყვეტილი, როგორც ეს, კ. კეკელიძის სიტყვებით, შესაძლოა წარმოიდგინოს მკითხველმა.

საკითხავია ამის შემდეგ, რა შეხედულები-სა არიან აქ აღძრულ საკითხთა გამო სხვა მეცნიერები.

პროფ. ს. ყუბნიშვილი თავის წერილში — „ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის“ წერს:

„რა ვიცოდით აქამდე ჩვენ გრიგოლ ხანძთელისა და გვირგვინ მერჩულის პოეტური შემკვიდრების შესახებ? პროფ. კ. კეკელიძე თავის ფუნდამენტალურ შრომაში „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ (ტ. I, 1951, გვ. 118—119) წერს გრიგოლ ხანძთელის შესახებ: „უიშველია, ასეთი მომზადებული ადამიანი ლიტერატურულ ასპარეზზედაც არ დარჩებოდა უსაქმოდ! მართალია ჩვენამდე არ შენახულა არც ერთი თხზულება, რომლის

შესახებ შეგვეძლოს თქმა, რომ ეს გრიგოლის მიერაა დაწერილი, — მაგრამ მისი პიოგრაფიის სიტყვები: „აწის ხანძთას ხელთა მისითა დაწერილი...“ საწელიწდო იადგარი“ — გვაფიქრებინებს, რომ ის მწერლობაში მართლაც იღებდა მონაწილეობას“. გვირგვინ მერჩულის ლიტერატურული შემკვიდრების შესახებ პიოგრაფიის დარგში კ. კეკელიძე იქვე წერს: „გვირგვინ მერჩული თითქოს პიოგრაფიულ ყოფილა...“ იო, ყოველივე ის, რაც ჩვენ ვიცოდით გრიგოლ ხანძთელისა და გვირგვინ მერჩულის პოეტური შემკვიდრების შესახებ, დღეს კი პ. ინგოროყვის გამოკვლევის შემდეგ, ჩვენი ცოდნა გრიგოლ ხანძთელისა და გვირგვინ მერჩულის შესახებ პიოგრაფიის დარგში იმდენად გაძლიერდა, რომ ამერიდან, შეიძლება ითქვას, არათუ ცალკე თავი დასკვნები ქართულ პიოგრაფიას „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ტომში, არამედ ცალკე ტომშიც კი შეიძლება არ ეყოს. აქამდე გრიგოლ ხანძთელს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ასე ახასიათებდნენ: „მერვე საუკუნის ვასულს და მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაოკლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობას და საზონისტრო ცხოვრებას“ (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ძველი ლიტერატურა, 1954, გვ. 113); ამერიდან (პ. ინგოროყვის ნაშრომის შემდეგ) ამ დახასიათებას შეემატება: „და რომელმაც დასრულებული სახე მისცა ძველ-ქართულ რიტმულ პოეზიას და თეოთონაუ შესძინა ასეული თარგმნილი და ორიგინალური ჰიმნი, რომელთა „სიტყვანი ფრიად კეთილ არიან“. (იხ. ს. ყუბნიშვილის წერილი, უფრ. „მნათობი“, 1956 წ., № 10, გვ. 114—115).

მ. სხვადასხვა საკითხები.

კ. კეკელიძე ამას ვარდა ეტება სხვადასხვა ცალკეულ საკითხს, მაგრამ მათ არა აქვთ რამედი ვასაუბრებელი პრინციპები ან თეორიული მნიშვნელობა. კ. კეკელიძის ეს შენიშვნები ამასთან იმდენად უმნიშვნელოა, თან ისეთი ზოგადი ხასიათიანა, რომ ისინი არ შეიძლება იყოს კამათის საგანი.

ჩვენ არ დავლით მკითხველის უფრადღებას სხვადასხვა წერილმანით და მოკლულ შეყენებებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

ა. ქება ქართულისა ენისა.

ძველ-ქართულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, მოღწეულა დიდად მნიშვნელოვ-

1 Sicil (პ. 6.)

ნი ლიტერატურული ძეგლი — „ქებაჲ ქართლისა ენისაჲ“,

თხულებდა წარმოადგენს ქართული ენის ზოტებს. აქ მოცემულია მესიანისტური შეხედულება ქართული ენის მაღალი დანიშნულების შესახებ, ქართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამარხულია „ყოველი საიდუმლო“.

რასაკვირველია, უადრესად მნიშვნელოვანია დადგენა იმ ძეგლის შესახებ ნამდვილი ცნობებისა, დადგენა დროისა, ავტორისა და სხვ.

არსებობს ამ ძეგლის რამდენიმე პირი, რომლებიც გადაწერილია მე-10 საუკუნის მწერლის იოანე-ზოსიმეს მიერ. ე. კვეციძე ფიქრობს, რომ იოანე-ზოსიმე ვითომც არის არა მხოლოდ გადაწერილი ამ ძეგლისა, არამედ მისი ავტორიც.

„გიორგი მერჩულეში“ ჩვენ სპეციალური ნარკვევი ვუძღვევით ამ ძეგლს, განვიხილეთ ძეგლის შემცველი ხელნაწერები, ძეგლის შედგენილობა, ძეგლის ფორმა, ავტორობის საკითხი და სხვ.

საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ არ მართლდება ე. კვეციძის შეხედულება, რომ ამ ძეგლის ავტორი ვითომც იოანე-ზოსიმე იყავს. იგი ვუთხინს იოანე-ზოსიმეზე უფრო ადრინდელ ქართველ მგოსანს; იოანე-ზოსიმე არის ამ ძეგლის არა ავტორი, არამედ გადაწერილი.

ე. კვეციძე ისევ იტყვის თავის ძველ შეხედულებას და გვეკამათება ჩვენ.

მაგრამ „გიორგი მერჩულეს“ სხვა რეცენზენტებმა გაიზიარეს ჩვენი დასკვნები ამ საგანზე.

მის, თარხნიშვილი შემდეგს წერს ამ საკითხის გამო:

„პ. ინგოროყვას მოჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი საბუთი, რომლებშიაც მტკიცდება, რომ ეს ჰიმნი იოანე-ზოსიმეს კი არ ეკუთვნის, არამედ მისი ავტორი ერთ-ერთი მისი წინამორბედი უნდა იყოს. პ. ინგოროყვა სრულიად მართებულად ასწორებს ხელნაწერებში არსებულ შეცდომებს: სწერია „მისისა“, უნდა იყოს „მესისა“; სწერია „წერილი“, უნდა იყოს „წილი“ (ახო წ); ეს შეცდომები გადაწერილისა, იოანე-ზოსიმესა, და იმის ამტკიცებს, რომ იოანე-ზოსიმე ამ შემთხვევაში სწერდა სტვის ჰიმნს და არა თავისას [წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასეთ შეცდომებს არ დაუშვებდა]“ (იხ. Oriens Christianus, t. 41, გვ. 90).

ამას გარდა, რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა შემდეგის მიხედვით:

„ქებაჲს“ ავტორი, სხვათაშორისა, ჩერდება ქართული წელთაღრიცხვის ერთ თავისებურებაზე, სახელდობრ წლების ზედმეტობაზე და ამაში „ქებაჲს“ ავტორი ზედაესპროვოდენ-

ციალურ მოვლენას; იგი ამას თვლის „სასწაულად“, ღვთაებრივ კემშობიტებად, საიდნაც მტკიცდებოდა, რომ ქართული ენა მართლმართლ ენა, უპირატესი სხვა ენებზე“.

ხოლო იოანე-ზოსიმეს წლების ზედმეტობა არათუ არ მიანიხი პროვოდენციალურ მოვლენად, არამედ, პირიქით, იგი მას თვლის შეცდომად, „მოცთუნებად“. ქრონოლოგიურ ტრაქტატში „გამოძიებისათვის ეამთა და წელთა“ იოანე-ზოსიმე საგანგებოდ აღნიშნავს: „ას-და-ათორმეტთა წლითა წინათ თვალკენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოცთუნებთა“.

ამრთვად, ცხადია, რომ ავტორი ამ ძეგლისა — „ქებაჲს ქართლისა ენისაჲ“ — არ არის იოანე-ზოსიმე; იოანე-ზოსიმეს მხოლოდ გადაწერია ძველი წარმოშობის ქართული ტექსტი. (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 746—753; ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ. № 10-11, გვ. 256—257).

**ბ. ივანე მინჩხი, პოეტი მე-10 საუკუნისა.**

ე. კვეციძე წერს:

„შეკვლევარი (პ. ინგოროყვა) დაკინებთ ამტკიცებს, რომ ცნობილი ქართველი მწერალი ასნტარი ივანე მინჩხი“ იყო ერისკაცა, და არა სასულიერო პირი“ (გვ. 460).

ჯერ ერთი, მე. კი არ ვამტკიცებ „დაკინებთ“ არამედ უბრალოდ ვამტკიცებ, რომ ივანე მინჩხი ერისკაცია იყო. ხოლო თუ ვინმე დაკინებს იმის ამ საკითხში, ეს ჩვენი ოპონენტი ე. კვეციძეა, რომელიც ამტკიცებს, რომ ივანე მინჩხი ვითომც სასულიერო პირი იყო და არა ერისკაცია.

ეს არ არის ისეთი უმნიშვნელო საკითხი, როგორც ეს შესაძლოა პირველი შეხედვით ეჩვენოს ადამიანს.

საქმე ისაა, რომ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, IX—X საუკუნეებში, ჰიმნოგრაფიული პოეზიის ავტორები ყოფილან არა სასულიერო პირნი უპირატესად, როგორც ამას ე. კვეციძე ვარაუდობს, არამედ აგრეთვე ერისკაცნი. აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან ისიც, რომ განათლება ამ ეპოქაში არ შეადგენდა სასულიერო წოდების პრივილეგიას (როგორც ამას, მაგალითად, ამ დროს უპირატესად ადგილი ჰქონდა და საველე ვერობაში), განათლების დონე ასევე მაღლა იდგა ერისკაცთა წრეებში. „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ დადავალდებით გვაქვს, რომ საქართველოში ამ ეპოქაში საერო წრეებში არ გამოყოფილდებოდნენ საერო მოღვაწეობის ასპარეზობა. არამედ თვით საეკლესიო საქმეებშიც უხალისე მონაწილეობას იღებდნენ. საერო წრეებში ყოფილან არა უბრალო მიყოფ-

ნენი ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ სწავლული ქრისტიანული თეოლოგიისა, „საღმრთოთა წიგნთა შეცნობისა“, „ენათა ცურთობისა“ (სხვადასხვა ენათა მცოდნენი) და „მრავალ-მოსწავლენი“. ყოფილ აგრეთვე ერისკაცნი „სჯულის მოძღვარნი“, რომლებაც ეროვნენ თვით ეკლესიის „სჯულის მოძღვრების“ საქმეში. (აღსანიშნავია, რომ ეს ერისკაცნი, „წესისა და სჯულისა მასწავლენი“, ცოდნისა და გამოცდილების შესავსებად, მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ, ასე კონსტანტინეპოლს, „საინოთა ადგილთა საბერძნეთისათა“, იერუსალიმს. იხ. „გეორგი მერჩულე“, გვ. 25-27).

განმარტული ქართველი პოეტი მე-10 საუკუნისა ივანე მკვირცხი რომ საერო პარია და არა სასულიერო, ამას ადასტურებს, როგორც აღნიშნავდით „გეორგი მერჩულეში“, თვით მისი სახელს ფორმა „ივანე“ (და არა „იოვანე“). ეს სახელი სასულიერო პირთა მიმართ ამ ეპოქაში მიღებული იყო ფორმით „იოვანე“, ხალხური ფორმა „ივანე“ საერო პირთ მიემართებოდა.

კ. კეკელიძე გვცნობავს ამის გამო და აღნიშნავს, რომ ხალხური ფორმა ამ სახელისა „ივანე“ ვითომც სასულიერო პირებსაც მიემართებოდაო. მაგრამ ეს არ დასტურდება დასახელებული ეპოქისათვის (X საუკუნისათვის, და საერთოდ კლასიკური ეპოქისათვის, X—XIII საუკუნეებისათვის) არც ერთი ევგვიტანული მაგალითით!

1. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ფორმა სახელისა „ივანე“ (არა საერო პირთა მიმართ) წარმოდგენილია რ. ბლეიკის გამოცემაში ეპიფანე კვირელის ტექსტისა „თელათი“. მაგრამ ეს გამოცემა, როგორც ცნობილია, შეედრებებს შეიცავს. ჩვენ შევიმოწმეთ სათანადო ადგილი შატბერდის ხელნაწერში მეთავე საუკუნისა (საადრინევი გადაბეჭდა ტექსტი რ. ბლეიკმა) და გამოირკვა, რომ ხელნაწერში ამ ადგილას წერია არა „ივანე“, როგორც ეს შეედრებით დაბეჭდილი აქვს რ. ბლეიკს, არამედ „იოვანე“ (სრულად, უპარაგმოდ),-იხ. ხელნაწერის გვერდი 146. სვეტი 2, სტრიქონი 22. საერთოდ უნდა აღნიშნოთ, მეთავე საუკუნის ხელნაწერში შატბერდის კრებულში არა მარტო ამ ადგილას, არამედ ყველგან გამოვლუბლივ, ათეულ სხვა ადგილას ეს სახელი იწერება ამ ფორმით „იოვანე“ (სრულად, უპარაგმოდ), როდესაც ეს სახელი სასულიერო პირებს და საეკლესიო წმინდანებს მიემართება.

კ. კეკელიძე ამავე დროს აღნიშნავს, რომ X საუკუნის მწერლის იოვანე-ზოსიმეს სახელი, ერთ კრიპტოგრაფულ წარწერაში, აკაცი შანიძის ამოწმებით, იკითხვისო როგორც „ივანე“. ეს არაა სწორი; კრიპტოგრაფია ა. შანიძეს ამოხსნილი აქვს

ამასთან, რა საჭიროა ამ საკითხის გამოვარყვე შემაღლითების ძიება? ფაქტი ისაა, რომ მიქაელ მოდვეცილის მე-10 საუკუნის კრებულში, სადაც მოიხსენება მინჩხი, ჩვენ გვაქვს მაგალითი ჩამოყალიბებული ტრადიციის ამ სახელის ორნაირი დაწერილობისა: „იოვანე“ და „ივანე“, ე. ი. „იოვანე“ ერთი ჯგუფისათვის, — სასულიერო პირთათვის (იოვანე მტბევიარი, იოვანე დამსკელი), ხოლო მეორე, ხალხური ფორმა „ივანე“ მეორე ჯგუფისათვის — საერო პირთათვის (ივანე ჭინჭოზის-ძე, ივანე მინჩხი).

ივანე მინჩხი, როგორც ირკვევა, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის როგორც პოეტი და აგრეთვე როგორც კომპოზიტორი (ივანე მინჩხი ამავე დროს კომპოზიტორი იყო, იგი, როგორც დადგენილი გვაქვს „გეორგი მერჩულეში“, თვით ქმნიდა თავისი პოეტური ჰიმნების მგლოდობებს). ივანე მინჩხის ერთი პოეტური ნაწარმოების გამო საგანგებოდ აღნიშნულია ძველ-ქართულ ხელნაწერში: „ესე ვალობანი მას კარგსა ვიორგინეფსა, დისეა, დიდი თა ვეღარებთათა აღუწერებთ იან მინჩხისა და“ (იხ. „გეორგი მერჩულე“, გვ. 671). აქ ივალისხმება დასავლეთ საქართველოს მეფე ვიორგი II როგორც დაქარაგმებული (შემოკლებით დაწერილი) სიტყვა: „ივანე“. (იხ. ა. შანიძის წერილი, კრიპტოგრაფული მასალები, მიმოხილველი, I, 238. — შეიქ. მისივე წერილი საქ. მუხ. მოამბეში, I, 1920). ხოლო დაქარაგმებულად დაწერილი „ივანე“ შესაძლოა ამოხსნოდ იქნეს სხვადასხვა-ნაირად, იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ეხება იგი, საერო პირს, თუ სასულიეროს (პირველ შემთხვევაში „ივანე“, მეორე შემთხვევაში „იოვანე“). ხოლო ეს დაქარაგმებული სიტყვა, ყერძოდ ამ შემთხვევაში რომ უნდა ამოიხსნას, როგორც „იოვანე“ — ცხადია მისი მიხედვით, რომ როდესაც იოვანე-ზოსიმეს სახელი იწერება არა დაქარაგმებით, არამედ სრულად, იგი ყოველთვის წარმოდგენილია როგორც „იოვანე“ (იოვანე-ზოსიმე სასულიერო პირი იყო).

ჩვენ ამ ევგებეთ მხოლოდ ამ ხელნაწერებს რომლებიც გვეთვინან ეპოქას, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ე. ი. X საუკუნეს (დამის მომდევნო კლასიკური ხანის, XI—XIII საუკუნეებს), როდესაც ეს ტრადიციის სახელის ამ ორმაგი დაწერილობისა საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნა.

(რაც შეეხება კ. კეკელიძის მიერ მოხსენებულ მესამე ტექსტს, კილეტრატის ხელნაწერს, იგი, ჯერ ერთი, სხვა დროისაა, იმასთან ამ ხელნაწერის ტექსტის ისტორია შეუსწავლელია ყერძოდ, ორთოგრაფია ამ ხელნაწერისა ძალზე სპეციფიკურია, დაცილებულია კლასიკური ხანის ორთოგრაფიას, ასევე დაქარაგმების წესებიც; აქ განსხვავებული სახეობას წარმოადგენს.



922—957 წ. წ.). ამრიგად თვით მეფეები „ლიდთა ვედრებთა“ მიმართავდნენ ივანე მინჩხის, პოეტსა და კომპოზიტორს.

ივანე მინჩხისათვის, მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუკუთვნებიათ ზედწოდება „ნეტარი“, რადგან მას ასეთი დიდი დამსახურება მიძღვლიდა სასულიერო პოეზიისა და საეკლესიო მუსიკის დარგში. კ. კეკელიძე აქაც გვეპოვებოდა და აღნიშნავს: ზედწოდება „ნეტარი“ არისო მაჩვენებელი იმისა, რომ ივანე მინჩხი სასულიერო პირი იყო. კ. კეკელიძე მართალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს სახელწოდება მიემართებოდა ივანე მინჩხის მის სიოცხლეში და არა გარდაცვალების შემდეგ. ხოლო გარდაცვალების შემდეგ „ნეტარიად“ და „წმიდად“ შეირაცხებიან არა მხოლოდ სასულიერო პირნი, არამედ საერო პირნი, მათი განსაკუთრებული დამსახურებისათვის როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის წინაშე. ივანე მინჩხი გარდაცვლილა X საუკუნის შუა წლებში და მისი შერაჯება „ნეტარიად“ ამის შემდეგ მომხდარა, — იგი „ნეტარიად“ გარდაცვალების შემდეგ მოიხსენება. მიჭაღლ მოდრეკილის კრებულში, რომელიც გადაწერილია ივანე მინჩხის გარდაცვალების შემდეგ, 977 — 988 წლებში, ივანე მინჩხის ერთი ნაწარმოებია: (იამბიკონების) ზედწერილი აღნიშნულია: „იამბიკონნი თქმულნი ნეტარისა ივანე მინჩხისანი, ქრისტე, განსულენი სულსა მისსა“ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ ქართულ პოეზია, გვ. 11).

მეორე ხელნაწერში (Sin-5), რომელიც ასევე ივანე მინჩხის გარდაცვალების შემდეგ, 11-12 საუკუნეშია გადაწერილი, ივანე მინჩხის მიწვევის შესახებ აღნიშნულია: „თქმულნი ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 617).

ამრიგად, ზედწოდება „ნეტარი“ მიემართება ივანე მინჩხის არა იმის გამო, რომ იგი იყო სასულიერო პირი, არამედ მისი დიდი ღვაწლისათვის ჰიმნოგრაფიული პოეზიისა და მუსიკის დარგში.

**გ. პოეტის ტერმინები: სტროფი და ანტიბროფი.**

კ. კეკელიძე გვიასუფედობებს: „პოეტის ტერმინების უცხო, უმეტეს შემთხვევაში ბერძნული ფორმით მოყვანა, ძალზე ართულებს წიგნით სარგებლობას“. იპორენტის სიტყვით, არ იყო საჭირო ხმარება ტერმინების სტროფი და ანტიბროფი, რადგან საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში სტროფი აღინიშნებოდაო ტერმინით „ი რ მ ო ს ი“ (ძლისპირი), ხოლო ანტიბროფი აღინიშნებოდაო ტერმინით „ტ რ ო პ ა რ ი“ (დასლებული).

საეკლესიო ტერმინოლოგია რომ ასეთი სახისა იყო, აქ ახალი არაფერია, ყველაფერი მერჩულეში“ ჩვენ საგანგებოდ აღნიშნულ ჰიმნებს ეს ფაქტი; ჩვენ ვწერთ: „ბერძნული ქრისტიანული პოეზიის ფორმა იგივეა, რაც ძველი ბერძნული ქართული ლირიკისა. ასე ბერძნული ქრისტიანული პოეზიის ი რ მ ო ს ი — იგივეა, რაც ქართული ლირიკის სტროფი, ქრისტიანული პოეზიის ტროპარი — იგივეა, რაც ქართული ლირიკის ანტიბროფი (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 597).

ჩვენ უპირატესობა მივცით ტერმინებს „სტროფი“ და „ანტიბროფი“, ჯერ ერთი იმის გამო, რომ ეს არის ზოგადი პოეტური ტერმინები, დღემდე ცოცხალი და მიღებული საერთაშორისო ხმარებაში, ამისთვის ყველასათვის გასაგებია (რაც შეეხება ტერმინებს ირმოსი და სხვანი, ისინი უკვე გამოსულია ხმარებიდან და თვით საჭიროებენ განმარტებას, ამასთანავე მათ წინააღმდეგ პოეტური ტერმინების ელფერი დაყარული აქვთ).

ამას ერთვის ის გარემოება, რომ ი რ მ ო ს ი (ძლისპირი) ყოველთვის არ ასრულებდა სტროფის ფუნქციას. საჭე ეს არის, რომ ირმოსი (ძლისპირი) ჰიმნოგრაფიაში ორნამენტულად იხმარებოდა:

1. ზოგჯერ ირმოსი (ძლისპირი) მთლიანად იწერებოდა პოეტურ ტექსტში, იგი ორგანულად შედიოდა ლექსის სტრუქტურაში, იმათი იწყებოდა საგალობელი; ასეთ შემთხვევაში ირმოსი ფაქტურად ასრულებდა სტროფის ფუნქციას, რომელსაც შემდეგ მიჰყვებოდა მისი ორგული ანტიბროფი.

2. ზოგჯერ ირმოსი (ძლისპირი) კი არ იწერებოდა პოეტურ ტექსტში, არამედ მხოლოდ მისი დასაწყისი სიტყვები მოეწერებოდა თავში საგალობელს, როგორც მაჩვენებელი სალექსო საზომისა და მასთან ერთად საგალობელის მელოდიისა (მაგალითად: „სოფლისა ზღვაა აღმართლ არს — ამათ ზედა“. ეს ნიშნავს: იგალობე ისე, როგორც „სოფლისა ზღვაა აღმართლ არს“. — სიტყვები „სოფლისა ზღვაა აღმართლ არს“ ეს არის დასაწყისი ირმოსისა, რომელიც აქ მოყვანილია — მთითების სახით).

ამ მეორე შემთხვევაში სტროფი ფუნქციას ასრულებს არა ირმოსი, არამედ პირველი დასლებელი, რომელსაც შემდეგ მოჰყვება ორგული — ანტიბროფი.

ამას ერთვის შესახებ გარემოება. როგორც ცნობილია, არსებობდა ისეთი ჰიმნებიც, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ ირმოსები (ძლისპირნი), — ეგზეგეზიკულური „ი დ ი ო მ ე ლ ე ბ ი“ ბერძნულად, ანუ ძველქართულად „თ ვ ი თ ი“ და „თ ვ ი თ მ ლ ი ს პ ი რ ი“. ასეთ საგალობლებში, რომელთაც

არ ჰქონდათ ირმოსები, სტროფის ფუნქციას ასრულებდა პირველი დასდებელი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჩვენ გვქონდა სრული საფუძველი, როდესაც ხმარებაში შევიტყობთ პოეტის ცნობილი ტერმინები „სტროფი“ და „ანტისტროფი“, რომლებიც საერთაშორისო ხმარებაშია და ამასთან სრულს სიზუსტით გამოხატავენ საქმის არსს.

#### დ. „კანონის“ გალობათა აღწერება.

პიმნოგრაფიულ პოეზიაში დიდი ფორმის საგალობლები, რომელთაც ბიზანტიურში „კანონი“ ერქვა, ხოლო ძველქართულად ეწოდებოდა „გალობანი“ (მრავლობითი რიცხვის ფორმით), ზოგჯერ 9-ნაწევრიანი იყო, ე. ი. შედგებოდა 9 „გალობისაგან“ (სტროფებისა და ანტისტროფების ცხრა ციკლისაგან), ზოგჯერ კი 8-ნაწევრიანი იყო, ე. ი. შედგებოდა 8 „გალობისაგან“ (სტროფებისა და ანტისტროფების რვა ციკლისაგან).

საეკლესიო ტრადიციით, 8-ნაწევრიანი „გალობანი“ ასეთი პირობითი თანრიგით აღირიცხებოდა: 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, ე. ი. გამოვარდნილად ითვლებოდა მე-2 გალობა. (ასეთი პირობითი სათვალავი შეფარდებული იყო ბიბლიურ კანტიკის თანრიგთან).

თანამედროვე მკითხველებისათვის ასეთი პირობითი თანრიგი ცხადია ქმნის დიდ უხერხულობას: მოულოდნელი გადასვლა რიცხვიდან 1 რიცხვზე 3 მკითხველს აფიქრებინებს, თითქოს აქ აკლდეს ტექსტი (სტროფებისა და ანტიტროფების ერთი ციკლი). სინამდვილეში კი ტექსტს აქ არაფერი აკლია.

ეს უხერხულობა ქართულმა მკითხველისათვის მით უფრო დიდია, რომ 8-ნაწევრიანი „გალობანი“ ძველქართულში ძირითადი გავრცელებული ფორმაა, იგი ვაციალებით ხშირად ვხვდებით, ვიდრე 9-ნაწევრიანი „გალობანი“. 8-ნაწევრიანი ფორმის იცავს „საწელიწადო იადგარის“ პირველი ძირითადი ფენა, ე. ი. ეს არის ფორმა თვით ვრცელ ხანძირულთან; მასზე მოსდევნენ გიორგი მერჩულე და მთელი რიგი წამყვანი ქართველი პიმნოგრაფები.

ამიტომ ჩვენ, რათა მკითხველს არ შექმნოდა მცდარი წარმოდგენა, ვითომც 8-ნაწევრიან „კანონის“ ტექსტებს რაიმე აკლდეს („გალობათა“ პირობითი სათვალავის გამო), შემოვიღეთ საქმის ნამდვილ ვითარებასთან შეფარდებული სათვალავი 8-ნაწევრიან და 9-ნაწევრიან გალობათა, სახელდობრ შემდეგი სახის სათვალავი:

8-ნაბევრიან გალობათა: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.  
9-ნაბევრიან გალობათა: 1, 1-ა, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

ასეთი სახის სათვალავი, ერთი მხრით, ეფარ-

დება საეკლესიო ტრადიციასაც, ბიბლიურ კანტიკის თანრიგს (რამდენადაც ვალობა „მოხილეს“, რომელიც 9-ნაწევრიან „გალობან“-ში უშეიარაღებ მისდევს პირველ „გალობას“, ჩვენც აღნიშნული გვაქვს პირველის მომდევნოდ, როგორც 1-ა), და ამავე დროს იგი შეფარდება საქმის ნამდვილ ვითარებას, ვაღმარებდეთ ვალობათა (სტროფებისა და ანტისტროფების მთლიანი ციკლებს) რეალურ თანრიგს.

ქ. კეკელიძე, როგორც უოველთვის და ყველაფერში, აქაც არ გვეთანხმება, საეკლესიო ტრადიციის დარღვევის გვისაყვედურებს. მგარამ ვფიქრობთ კი, რომ ჩვენი სათვალავი (რომელიც, ცხადია, პირობითია, ისევე როგორც პირობითია ყოველი ასეთი სათვალავი), მისაღება, რამდენადაც იგი შეფარდება ვალობათა რეალურ თანრიგს (ამავე დროს არც ტრადიციის არსს არღვევს), და მკითხველს აღარ ექმნება ის „ყალბი წარმოდგენა, რომ ჰმნიშვნის ტექსტის (გალობათა ძველი პირობითი სათვალავის გამო) ვითომც რაიმე აკლდეს.

#### ე. პოეტის ტერმინი „სააღუქნი“

ქ. კეკელიძე თავის წერილს ამთავრებს შემთხვევით პოეტის ძველქართული ტერმინის გამო — „სააღუქნი“.

„სააღუქნი“ ეწოდებოდა გარკვეული სტრუქტურის მქონე საგალობლებს.

საგალობელთა ამ სახელწოდებებს წარმოშობის გამო „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ ეწეროდა შემდეგს:

„სახელწოდება საგალობელთა (საღუქნიო საზომისა — მუსიკალური კომპოზიციით) „სააღუქნი“ წარმოსდგება სახელწოდებისაგან მუსიკალური საკრავისა რომელსაც ბერძნულად ერქვა „სააღისი“ (σχημα, σχημα) ხოლო ქართულად „სააღუქნი“ ჩქმევია. იგი ჩანვის მსგავს სიმებიან საკრავს წარმოადგენდა. სახელწოდება „სააღუქნი“ საგალობელთ დარქმევია იმის გამო, რომ ეს საგალობელი, როგორც იტყვიან, სრულდებოდა ამ მუსიკალური საკრავის „სააღუქნის“ თანხლებით“. (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 675).

(მკითხველს ნუ ეუცხოება დაახლოება პოეტური ფორმის სახელწოდებისა მუსიკალური საკრავის სახელწოდებასთან. საკმაო მოციგონოთ, რომ თვით სახელწოდება პოეზიის სახეობისა „ლირიკა“ (ბერძნულად) მომდინარეობს სახელწოდებიდან მუსიკალური საკრავისა „ლირა“; ლირიკის ნაწარმოებნი ძველ საბერძნეთში სრულდებოდა ლირის თანხლებით).

ქ. კეკელიძე, გვეამბიობა რა შესახებ ამ ძველქართული ტერმინისა „სააღუქნი“, წერს:

„ვერ ვავიზიარებთ, რომ შესაფერისი საგალობელი სრულდებოდა ამ საკრავის თანხლებით. რატომ? იმიტომ რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელსაც ქართული ეკლესია ეუფვნობდა, არსიდან მუსიკალური ინსტრუმენტი, სიმებიანი იქნებოდა ის, თუ სხვა ხასიათისა, მიღებული არ ყოფილა. ამა წარმოადგინეთ შეათუ საუკუნის (მიქაელ მოდრეკელის დროს) ჩვენი წინაპრები, რომელთაც ეკლესიაში დაუკრებიათ ხელში სიმებიანი საკრავი და ზედ საგალობლებს ამღერებენ“ (გვ. 461).

ქრისტიანულ მართლმადიდებელურ ეკლესიაში, მათ შორის ქართულში, მიღებული რომ არ იყო მუსიკალური ინსტრუმენტთა ხმარება, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, და ეს ჩვენც ვიცოდით, რასაკვირველია. მაგრამ სხვა ხასიათისა იყო წარმართული კულტები.

საჯარო მონაწილეობაში ძველი ქართული მუსიკის შესახებ მე აღნიშნული მქონდა, რომ ძველ-ქართულ წარმართულ წინა-ქრისტიანულ კულტში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთის ძველ წარმართულ კულტებში, მიღებული იყო საგალობელთა შესრულება მუსიკალური ინსტრუმენტთა თანხლებით, და რომ ეს წესი განდევნა ქრისტიანული კულტის დამკვიდრებამ საქართველოში.

ისევე ერთხმად იან ვალობა ქრისტიანული კულტისა (მიზანტიიდან და პალესტინასრიიდან მომდინარე) ებრძოდა წარმართული ხანიდან მომდინარე სამხმეოან ქართულ ვალობას, მაგრამ ამ მეორე შემთხვევაში უძველესი ქართული ვალობამ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე (ქართულიანობის ორგანული) — სამხმეოანობა.

რას წარმოადგენს ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში შემორჩენილი ფორმა „სადაქნი“? ლექსთწყობისა და მუსიკალური კომპოზიციის თვალსაზრისით?

ჩვენ აღნიშნული გვექონდა, რომ საგალობელი დიდი ფორმისა, ევრთწოდებული „გალობანი“ (ანუ ბერძნულ-ბიზანტიურად „კანონი“) შედგებოდა რვა ვალობისაგან, ან ცხრა ვალობისაგან.

ჩვეულებრივი წესის თანახმად, ყოველი ცალკე ვალობა იწყებოდა ცალკე დამოუკიდებელი სტროფულ-ტაემობრივი სალექსო ხაზით, და ყოველ ასეთ ვალობას ცალკე მუსიკალური კომპოზიცია ახლდა. ამრიგად ცხრა ვალობის შემდეგ საგალობელში („გალობანი“-ში) ცხრაჯერ იცვლებოდა სალექსო საზომი და ცხრაჯერ იცვლებოდა მუსიკალური კომპოზიცია.

ხოლო „გალობანი“ — „სადაქნი“ შემდეგ თავისებურებას წარმოადგენდა. აქ, ცხრა ვალობის შემდეგ „გალობანი“-ში, სტრო-

ფულ-ტაემობრივი სალექსო საზომი იცვლებოდა არა ცხრაჯერ, არამედ ხუთჯერ (სახელდობრ, ერთნაირი საზომით იწყებებოდა ორი ერთმეორის მიმდევრო ვალობა (1 და 1-ა; 2 და 3; 4 და 5; 6 და 7; ხოლო ცალკე საზომით იწყებოდა ბოლო მე-8 ვალობა). რაც შეეხება მუსიკალურ კომპოზიციას, იგი, ჩვეულებრივი წესის თანახმად, ცხრაჯერ იცვლებოდა. (იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 668-669).

ამრიგად, თავისებურებას ჰიმნოგრაფიული ფორმისას „სადაქნი“ ის გარემოება წარმოადგენდა, რომ ორს ერთმეორის მომდევნო „გალობას“ ერთნაირი სალექსო ფორმა ქონდა, ხოლო მუსიკალური კომპოზიცია კი ორი (ყოველ „გალობას“ ცალ-ცალკე).

„გიორგი მერჩულეში“ ჩვენ დადგინული გვაქვს, რომ ერთი სახეობა ვალობათა „სადაქნი“, სახელდობრ სადაქნი VII ხმისა, შეიძლებულია ივანე შინჩხის მიერ, ხოლო მეორე სახეობა, სადაქნი I ხმისა, შემოღებულია მიქაელ მოდრეკელის მიერ.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ მოასწავებს იმას, რომ საერთოდ ეს ტიპი ვალობათა — „სადაქნი“, მისი სტრუქტურა, პირველად შექმნილი იყოს ან ივანე შინჩხის, ან მიქაელ მოდრეკელის მიერ. საფიქრებელია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს უძველეს ტრადიციასთან. ამას გვაფიქრებინებს სწორედ ის არქაული გადმონახვა, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში საგალობელ-ჰიმნს შერჩენია ეს სახელწოდება „სადაქნი“, რაც უკავშირდება მუსიკალური ინსტრუმენტის სახელს „სადაქნი“, რომლის თანხლებითაც იგი, აშკარაა, სრულდებოდა. ცხელია — წარმართულ კულტში (და არა შემდგომი ხანის ქრისტიანულ კულტში).

„გიორგი მერჩულეში“ ჩვენ აღნიშნული გვექონდა, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზია, როგორც ბიზანტიური, ისე ქართული, არის მემკვიდრე ანტიკური ხანის ქართული ლირიკისა. რომ ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიის უძველესი ტრადიცია გაახნია, ამის შესახებ დაწვრილებით ზემოთ გვექონდა საუბარი (იხ. ზემოთ 131—132).

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის უძველესი ტერმინოლოგია დაკავშირებულია მუსიკალურ სამეზაროსთან.

მის. თარხნიშვილი შემდეგს უღარესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოსთქვამს ამ საგანზე:

„ქართულ ტერმინს „ჰლისპირი“ არაფერი აქვს საერთო ბერძნულ „ირმოსთან“. იმ დროს, როდესაც „ირმოსი“ ნიშნავს „წყებას“, „ძაფს“ (— შეადარეთ ამასთან სირიული „ნუფადი“ და სომხური „შარაკან“, რომლებიც ეტიმოლოგიურად ბერძნულ „ირმოსს“ უკავშირდებიან), — ქართული სიტყვა „ჰლისპირი“ აღ-



ნიშნავს „პირველ სიმს“<sup>1</sup>. ბერძენი ხაზს უსვამს ტექსტუალურ გავებას საეკლესიოებისას, ქართული კი წინ სწევს მუსიკალურ მომენტს. „ძლისპირის“ შევსებულს ადგილობრივ რეაგირებ პირობებს და თავისა მუდგობთ თავისუფალია ბერძნულ გავლენისაგან. ქართული ირმოსის სახელწოდების თავისთავადი, ადგილობრივი (ქართული) წარმოშობა კი იმას ამტკიცებს, რომ ქართველებს, უერ კიდევ მაშინ, სანამ ისინი ბერძენებს შეხედებოდნენ, თავიანთი საკუთარი ირმოსები ჰქონდათ, რომელთა მხედვითაც ისინი სხვა სიმღერებს ვალობდნენ“ (იხ. Oriens Christianus, t. 41, გვ. 93).

პიროგრაფიული პოეზიის ამ მეტად თავისებური სახეობის „სპადექნი“ საკითხის შეხახებ ზვენადის უვლაფერი ნათელი და საბოლოოდ დადგენილი არაა. ცნობილია, რომ ჰიმნები „სპადექნი“ ატარებდნენ მეორე სახელწოდებასაც „მორთულნი“, აგრეთვე „მორთულნი უცხონი“ (იხ. „გეორგე მერჩულე“, გვ. 668). რა წარმოშობისა ეს ორმაგი სახელწოდება „სპადექნი“ და „მორთულნი“ (ერთდროულია, თუ სხვადასხვა დროს შეტყმული), გაურკვეველია.

ადრინაყთ ამასთან, რომ ასეთი სტრუქტურის ჰიმნები, როგორც არის ქართული „სპადექნი“, ზვენ ბერძნულ რიტმულ პოეზიაში ვერ ვიპოვეთ. აგრეთვე თვით პოეტის ტერმინი „სპადექნი“, ამ მისი ვარაიული, ბერძნული რიტმული პოეზიის შესახებ წყაროებში ადრინაყთ არაა. როგორც ჩანს, „სპადექნი“ ფორმა ან საერთოდ უცნობია ბერძნულში, ან ძალზე იშვიათია.

მიუხედავად ამისა, რომ საკითხი საყვებით გარკვეული არაა, ერთი რამ უდაოა, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზიის ეს სახეობა „სპადექნი“ — უძველესი ტრადიციის მატარებელია.

ამისი მანყენებელია შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტები:

1. კავშირი სალექსო ფორმის სახელწოდებისა („სპადექნი“) მუსიკალური ინსტრუმენტის სახელთან („სპადექნი“) იმავე სახისაა, როგორც დადასტურებელია სწორედ ანტიკურ ხანაში, ხოლო ანტიკური ხანის შემდეგ არ ვხვდებით. ეს იმავე სახის ტერმინია, როგორც სახელი პოეზიის სახეობისა ლირიკა (ძველ-ბერძნულად), რომელიც დაყვანიბებულია, როგორც მოსხენებული გვექნდა, მუსიკალური ინსტრუმენტის სახელთან „ლირა“; ასეთივე წარმოშობისაა აგრეთვე სახელწოდება ანტიკური ხანის პოეტური ფინისა „ელეგია“, რაც დაყვანიბებულია ასევე მუსიკალური ინსტრუმენტის — სალამურის — სახელთან, და რა სახელწოდებაც არა ბერძნული, არამედ

მეორე-აზიული (ფრიგიული) წარმოშობისაა. (შეადარეთ ცნობა ძველ-ქართულ მითაყთა, რომელშიაც ანტიკური ხანის „საყარუველოში მოიხსენებიან „მგოსანნი გლოვისანი“; ცნობა დაუთლია ლეონტი მროველის ოხუელეში „ესხორება ქართველია“, — იგი ეხება II საუკუნეს, ან. „გეორგი მერჩულე“ გვ. 729).

2. უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც აღვნიშნეთ, აგრეთვე ის მეტად საეულისებო არქელი ვადონაში, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში საეკლესიო ჰიმნს შერჩენიას უძველესი სახეობის სახელწოდება „სპადექნი“, რაც უყვეშირდება სახელს მუსიკალური ინსტრუმენტისას, რომლის თანხლებითაც იგი სრულდებოდა, ცხადია, წარმართულ კულტში, და რასაც არ შეიძლება არაა ჰქონოდა ადგილი შემდგომი ხანის ქრისტიანულ კულტში.

\*\*\*

ჩვენ ამით ვამთარებთ განილვას კ. კეკელიძის კრიტიკული შენიშვნებისას ჩვენი წიგნის „გეორგი მერჩულეს“ შესახებ.

ჩვენ იძულებული ვავებით დაწერილებით პასუხი ვავეცა პატიუკმული მეცნიერისათვის არა იმის გამო, რომ იგი ჩვენ გვეხება, არამედ იმის გამო, რომ იგი თავისი ნევატრერი კრიტიკით (— როგორც ენახეთ, სრულიად უსაფუძვლოდ) ექვს ქვეშ აუყნებს ქართული ისტორიული შემყვიდრობის ისეთ უძვირფასეს საგანძურს, როგორც არის უძველესი ეპოქის ქართული პოეზია რუსთაველის წინა ხანისა, ძველი ქართული პოეზია მე-5 — 11 საუკუნეებისა.

ჩვენი კრიტიკა ამის გამო შესაძლოა იყო მწვავე. ხოლო ეს არავინ არ უნდა ვაიგოს ისე, ეთიომე მე არ ვთავსებდე კ. კეკელიძეს, როგორც დიდ მეცნიერს.

კ. კეკელიძე, რასაყარებელია, დიდი მეცნიერია, — ვინ უარყოფს ამას, — მაგრამ თავის დარგში. იგი არის დიდი მეკლესიოი ძველი ლიტერატურის ცალკეული სპეციალური დარგებისა (თეოლოგიური ლიტერატურა, აგიოგრაფია, ლიტურგია). თავისი სპეციალობის დარგში მან მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოახდინა და ამით წინ წასწია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმე.

ხოლო რაც შეეხება ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, იგი არაა მისი უშუალო სპეციალობა. ამ დარგში მას დიდი შევდომები იქვს. ხოლო ჩვენ ვერაყვას შევდომებს ვერ დავთარავთ; ვერ დავთარავთ შევდომებს მით უფრო დიდი მეცნიერისას, რადგან ამას მოითხოვს ინტერესები მეცნიერების განვითარებისა.

კ. კეკელიძეს ჩვენ ვერ წავთვლით მსაჯულად ძველი ქართული პოეზიის ისტორიის საკითხთა გამო, მით უფრო ვადაწყვეტად ისეთი კარდინალური საკითხისა, თუ რას წარ-

<sup>1</sup> იხ. თარხნიშული ტერმინი „ძლისპირის“ პირველადი მნიშვნელობის განმარტებისას ემყარება კ. კეკელიძის ეტიმოლოგიას.

მოადგენდა უძველესი ხანის ქართული პოეზია რუსთაველის წინა ეპოქისა.

რომ კ. კეკელიძე ვერ ჩათვლება არბიტრად მხატვრული ლიტერატურისა, ეს არ არის ლიტონი განცხადება. მას ამ დარგში, როგორც მოუხსენებთ, აქვს დიდი შეუდომები, რომელთა დაფარვა, კიდევ ვიტყვი, მხოლოდ ზიანს ნიავებდა მეცნიერების წინსვლას.

ავიღოთ მავალითისათვის კ. კეკელიძის რუსთველოლოგიური შტრუხები, დაწყებული მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი გამოქვეყნების დროიდან, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ გამოცემაში (1924 წ.) კ. კეკელიძე ისე ამოთარგმნა სპეციალურ თავსვეფხის-ტყაოსნის შესახებ:

„ამწიარად, ვეფხის-ტყაოსნის შინაარსის განვილვამ შემდეგს დასკვნამდე მივიყვანა ჩვენი“:

ეს დასკვნები კ. კეკელიძეს ჩამოყალიბებული აქვს ოთხ პუნქტად: აქედან 3 და 4 პუნქტებში იგი წერს შემდეგს:

„3) „ორიგინალობა (პოემისა) არაა აბსოლუტური, მის რამდენადღე მიმზადებელია სხვა სხვებს თან; მართლაც შინაარსის მხრივ პოემა, როგორც დღეინახეთ, ენათესავენ სპარსული ეპოსის ჩამოთვლილ ნიმუშებს, ფორმის მხრით კი (პოეტური ფიგურები, ეპითეტები, სენტენცია-აფორიზმები, ფრაზეოლოგია, ლექსათწყობა), — როგორც ჩამოთვლილ თხზულებებს, ისე თამარისა და დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებას.“

„4) პოემა მართლაც არის დიდი ნაწარმოები, არა მარტო ქართლისა, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით, მაგრამ არა იმდენად გენიალური, როგორც ზოგიერთებს ვახუშტისებულად წარმოუდგენიათ. მართლაც მასში განსაკუთრებულ სიმეტრიითაა აკრძული ზღაპარი და წარმოდგენილია საინტერესო ფსიქოლოგიური ანალიზი სიყვარულის გრძნობისა, მაგრამ ეს ანალიზი არ არის მოუწვედომელი. ვისრამიანი ამ მხრივ თუ გვერდში არ ამოუდგება მას, ყოველ შემთხვევაში ბევრად არ ჩამოუვარდება მას. მართალია პოემა დაწერილია მომავლადობელი ვირტუოზული ლექსით, მაგრამ არა სწორსუბოვარით: ჩაბრუნების თამარისი ლექსის მხრივ არა ნაკლებს სიამოვნებას ჰგვრის შვითხველს, და თუ მიიხივს და მიიხივს მისი ლექსი თამარისისაზე მაღლა შეიძლება დაეყენოთ, იმდენად, რამდენადღე ის წარმოადგენს შემდეგს საფუძურს ქართული პოსოდიის განვითარებაში; ყოველ შემთხვე-

ვაში რომ ეს ლექსი მიუხაბველი არაა, თუგინდ იქიდან სხანს, რომ ჩვენივენი უჭრველთვის შესაძლებელი არაა აღორძინების ხანის ჩანართები გაეარჩიოთ ნამდვილი ტაემებისაგან“ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924., გვ. 141).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მას შემდეგ, რაც 1937 წელს ქართველმა ერმა გადაუხადა იუბილე თავის დიად შეილს, მსოფლიო პოეზიის მშვენიებას, შოთა რუსთაველს, კ. კეკელიძეს აღარ ჩაუთვლია მიზანშეწონილად ამ თავის აღებულებათა განმეორება და „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ახალს, 1941 წლის გამოცემაში შემოთხოვენილი დასკვნები აღარ შეუტანია.

ქართული მწერლობის ისტორიის ზემოთდასახელებული პირველი გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ კ. კეკელიძემ 1931 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა: „ავტორი ვეფხის-ტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა“<sup>1</sup>.

კ. კეკელიძე აქ ამტკიცებს, რომ ავტორი „ვეფხის-ტყაოსნისა“ არის არა შოთა რუსთაველი, არამედ ეთიომე არის სარგის თორგველი (მზარგარძელი), და რომ ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია არა თამარის ეპოქაში, არამედ უფრო გვიან, მონღოლთა ხანაში, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში.

კ. კეკელიძის ამ გამოკვლევას, საზოგადოდ, არაფერი აქვს საერთო ისტორიულ კუშიარიტებასთან, ამიტომ არც მასზე აღარ გავავრტებებთ სიტყვას.

კ. კეკელიძემ შემდეგ თუმიცა უარყო დებულებანი ამ თავისი გამოკვლევისა, მაგრამ არა მთლიანად. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უკანასკნელ მეოთხე გამოცემაში, რომელიც ეხლახან გამოვიდა, კ. კეკელიძე ისევ იტყვს იმ აზრს, რომ ვეფხის-ტყაოსანი არა დაწერილია თამარის ეპოქაში; იგი მას ისევ ნონლოლთა ხანის მიაწერს, მხოლოდ არა XIII საუკუნის მეორე ნახევარს, არამედ XIII საუკუნის ოცდაათთან წლებს (მონღოლთა ხანის დასაწყისს, ხეარაზნელთა შემოსევის მომდევნო პერიოდს).

რაც შეეხება პოემის ავტორს, კ. კეკელიძე თუმიცა ასეთად აღიარებს რუსთაველს, მაგრამ ერთგვარი შეზღუდვით; კ. კეკელიძე თვლის, რომ რუსთაველს სახელი უტნობია, რომ ეს სახელი ლეგენდარული წარმოშობისაა.

<sup>1</sup> იხ. „მნათობი“, 1931 წ. № 7—8 და 9—10.

საკითხავია, რაზე ემყარება ჯ. კეკელიძის ეს მტკიცება, თითქოს ვეფხის-ტყაოსანი არაა ძველი თამარის ეპოქისა? იქნება მან მოაზროვა რაიმე ექვიმეტრანელი საბუთი, რის გამო საჭირო ხდება შევეცალოთ ის შეხედულება, რომელიც აქვს ამ საგანზე ქართველ ხალხს საყუენეთა განმავლობაში? რომ ვეფხის-ტყაოსანი თამარის ეპოქის ძველია, ეს ხომ დასტურდება, სხვათა რომ თავი დავანებოთ, თვით პოემის პროლოგის ავტენტური ჩვენებით? მაშ რა ასეთი ექვიმეტრანელი საბუთები მოიპოვა ჯ. კეკელიძემ, რომ იგი არღვევს ქართველი ხალხის ამ შრავალსაყუენოვან ტრადიციას? გაიყინოთ ჯ. კეკელიძის არგუმენტაციას.

ჯ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უკანასკნელს (1958 წლის) გამოცემაში შემდეგს წერს ამ საგანზე:

„ტრადიციულს შეხედულებით ავტორს დაუწერია თავისი პოემა XII საუკუნის ვასტლს ან XIII საუკუნის პირველ ათეულში... ცნობილია, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტს ჩვენი ისტორიისას ხალხი აწერს ხოლმე თამარსა და მის დროს...“

„შეიძლება თუ არა ჩვენი პოემა თამარის ეპოქაში წარმოშობილიყო? ვინც ვეფხისტყაოსანს ვუღიარებთ გადაკითხავს, ის დანიხავს, რომ იმაში ეს მკვეყანა და წუთისოფელი შექმნა შემდეგ წარმოდგენილი; მოყვანილი შემდეგი აღვადგინებ:

**როსტყვენი**

„არადა იგა სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“ (36)

„ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,

ამად მყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება, სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალდეს განკურნება.“ (99)

(ამას გარდა მოყვანილია ანალოგიური შინაარსის ტექსტი 112 სტროფისა).

**ტარიელი**

„თქვა: ცოცხალ ვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლი ზვრიტან“ (499)

(ამას გარდა მოყვანილია ანალოგიური შინაარსის ტექსტი 529, 918, 1338 და 1347 სტროფებისა).

**ავთანდილი**

„ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოველი დასეა ცრემლთა ღენად“ (700)

(ამას გარდა მოყვანილია ტექსტი 712 და 1094 სტროფებისა).

**თინათინი**

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხლებს,

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მორუქბდებოდა“ (1251)  
 ზეზულაძისა

**ნესტან დარეჯანი**

„მისგან ტყვე-ქმნილსა, სოფელმან რა მყო, ამას ხედაო?“ (1285).

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია!

რაზომცა ნათობს ნათელი, ჩემთვის ეგრეცა ბნელია“ (1294).

(ამას გარდა მოყვანილია ტექსტი 1298 და 1299 სტროფებისა ნესტან დარეჯანის წერილიდან).

ჯ. კეკელიძე ამ ციტატების მოყვანის შემდეგ განავტომბს:

„შეიძლება ვინმემ თქვას, რომ აღნიშნულ პირთა ასეთი განწყობილება ბუნებრივია, ვინაიდან პოეტმა ისინი ისეთ მდგომარეობაში ჩააფინა, რომელსაც სწორედ ასეთი სიტყვები და ზრახვები უნდა გამოეწვია მათში.

მაგრამ საყურადღებოა, რომ ასეთ რამეს ამბობს თვით პოეტიც, რომელიც თავისი გმირების მდგომარეობაში პირადად არ იმყოფება:

„ვევობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხესა, ზოგჯერ ძვირსა“ (948)

„ვა, სოფელი, რამიგან ხარ, რას ვეაბრუნებ, რა ზნე ვჭირსა?“

ყოველიმ შენი მონღობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა“ (951).

ჯ. კეკელიძე ამის შემდეგ კითხულობს:

„როგორ შევათხზოთ ასეთი განწყობილება, აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლალსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას, როდესაც, ისტორიკოსების ცნობით, ყველა თავს ბუნდურად თვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა უმადლოდა თავის ბედს, ყველგან იმყოფა ქება თამარისა?“

ჯ. კეკელიძე დასკვნის:

„დასკვნა თავისთავად ცხადია: პოემის დაწერის თარიღი არ ემთხვევა თამარის მეფობას“.

ჯ. კეკელიძე თავისი „არგუმენტაციის“ დასრულებისას დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

„ამბობენ, რომ იმოწერილი აღვადგინებ ნაინენებელია მხოლოდ „მსოფლიო კმუნისა“, რომელიც განუყრელი თანამზავრია აღმთინისა, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ისო. ეს ასეც რომ იყოს, საკითხავია: ყოველთვის ხომ არ იჩენს ერთნაირად ეს „კმუნეთა“ თავს? არის მომენტები აღმთინის ცხოვრებაში, როდესაც ის მწვეველ მკვლავდება, როდესაც სავანგებოდ უხვამს მას ხაზს აღმთინი, როგორც ამას ვხედავთ ჩვენი პოემაში; აღბათ იმტომ, რომ იმ მომენტში არის ისეთი მიზეზი, რაც ამ

შეგნება-ცნობიერებასა და განწყობილებას აღი-  
ზიანებს სავანებოდ. (იხ. კ. კეკელიძე, ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორია, II, 1958 წ.,  
გვ. 144—151).

აქაც, აგრეთვე, კომენტარები ზედშეიტია.  
არა გვეონია, იმის შემდეგ, რაც კ. კეკელი-  
ძემ ასეთი საბუთები წარმოადგინა, ქართულ-  
მა ხალხმა შეიცვალოს თავისი ტრადიციული  
შეხედულება ეფდხის-ტყაოსნის შექმნის ეპო-  
ქის შესახებ.

ვამთარებთ რა კმათს კ. კეკელიძესთან, აქ  
საქირთა დასასრულ შევეხოთ ერთ საკითხს.

ამ წერილის შესავალში ჩვენ ვწერდით:

„კ. კეკელიძის მთელ რიგ შეხედულებებს,  
რომლებიც შემდგარი მივგანძია, ჩვენ ვეცე-  
ბით „გიორგი მერჩულეს“ პირველ ისტორიულ  
ნაწილში. ჩვენ მოველოდით, რომ კ. კეკელი-  
ძე, უწინარეს ყოვლისა, პასუხს ვაგვიცემა  
სწორედ ამ საკითხებზე, რომელთა გამო მას-  
თან გვაქვს კმათი წიგნში. მაგრამ კ. კეკელი-  
ძემ ამას ვერცდი აუარა, ხარ ერთ ჩემ მიერ  
აღწერულ საკითხს იგი არ ეხება. კ. კეკელიძე  
თავის წერილში განიხილავს ჩემი წიგნის მეო-  
რე ნაწილს, ე. ი. ისტორიულ-ლიტერატურულ  
ნაწილს“ (იხ. „მნათობი“, № 3, გვ. 149).

რამე მდგომარეობს ეს საკმათო საკითხები?

მთავარი საკამათო საკითხია, თუ ეს მიერ  
იყო დაარსებული ძველი ქართული სავანები  
კლარჯეთში, — ოპიზა, ხანთა, შაბურთი და  
სხვანი, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს  
ქართული განათლებისა და ქართული მწერ-  
ლობის ისტორიაში საშუალო საუკუნეებში.  
(ამასვე უკავშირდება აგრეთვე საკითხები ზოგი-  
ერთ ლიტერატურულ ძეგლთა დათარიღებისა).  
ამ სავანებ აქ საიპიტოდ მივაჩნია რომდენიმე  
შენიშვნა ვაგვიკეთათ.

როგორც ცნობილია, ნ. მარს წარმოადგენი-  
ლი ჰქონდა მცდარი პიპოთეზა, ვითომც ძველ-  
ქართული პროვინცია კლარჯეთი ადრე-  
ულ საშუალო საუკუნეებში (VI—VIII ს. ს.)  
გასომხებულ ქვეყანას წარმოადგენდა (ტაოს  
პროვინციასთან ერთად), და რომ ძველ-ქარ-  
თული სავანეები — ოპიზა, ხანთა და სხვანი  
დაარსებული იყო უფრო ადრე, ვიდრე კლარ-  
ჯეთში ქართველები დაემკვიდრებოდნენ.

ეს პიპოთეზა ნ. მარსისა ჩვენ დაწვრილებით  
გამბილული გვაქვს „გიორგი მერჩულეში“ და  
დადგენილი გვაქვს, რომ ნ. მარსის ეს პიპო-  
თეზი მცდარია, რომ კლარჯეთი, როგორც  
ანტიკურ ხანაში, ისე მთელ საშუალო საუ-  
კუნეთა მანძილზე, ძირველ ქართულ ქვეყანას  
წარმოადგენდა, და რომ დასახლებული სავა-

ნეები კლარჯეთში ქართველების მიერ არის  
დაარსებული. კერძოდ ამ საგანგებო უკრძი  
ჯგუფი — ოპიზა, მერე, დამატებით მარსის  
დაარსებული ყოფილა ბევრად უფრო ადრე,  
ვიდრე ამას ნ. მარს ვაჩაუდობდა; სახელ-  
ლობრ ოპიზა, მერე და დამა დაფუძნებული  
არის ქართველთა შეფის ვახტანგ გორგასარის  
(თბილისის დამაარსებლის) დროს V საუკუნე-  
ში, ხოლო პარენის დაფუძნებული VI საუ-  
კუნეში შიო მღვიმელის მოწაფის მიქაელ  
პარტხელის მიერ. (იხ. ვიორგი მერჩულე,  
გვ. 324—327).

ეს ჩვენი შეხედულება ძველ-ქართული პრო-  
ვინციის კლარჯეთის ეთნიკური შედგენილო-  
ბისა და კლარჯეთის სავანეთა დაარსების  
შესახებ გაიზიარეს ჩვენმა მეცნიერებმა, კერ-  
ძოდ მის. თარხნიშვილმა, და როგორც მის.  
თარხნიშვილის დაბეჭდილი წერილიდან ვგე-  
ბულობთ, ასეთივე შეხედულება ნ. მარსის ცნო-  
ცუფციის მცდარობის შესახებ გამოთქვა გამოშე-  
ნილმა ევროპელმა მეცნიერმა ევრარ გარიტმა.

მის. თარხნიშვილი თავის წერილში, რომე-  
ლიც Oriens Christianus-ში გამოქვეყნდა,  
გაღმოსცემს კლარჯეთის 12 სავანის დაარსე-  
ბის ჩვენ მიერ დადგენილ ისტორიასა და  
ქრონოლოგიას, ხოლო კლარჯეთის პროვინ-  
ციის ეთნიკური შედგენილობის შესახებ იგი  
წერს:

„ამას მოხდევს [„გიორგი მერჩულეში“] ტაო-  
კლარჯეთის ისტორია და აქ ავტორი (პ. ინგო-  
როყვა) არღვევს აკადემიკოს ნ. მარსის ფანტას-  
ტიკურ თეორიას ამ მხარის ეთნიკური შემად-  
გენლობის შესახებ, და სრულიადე საპართო-  
ლანდად, ნ. მარს ემყარებოდა ერთ მცდარ  
ეკალიზაციას და უბო ინტერპრეტაციას სა-  
ხელისა ოპიზა ან ენე, რომელიც მან სომე-  
ხთა განმანათლებელის გრიგორის არაბულ  
„ესოვრებაში“ ამოიკითხა, როგორც „არტო-  
ნუჯი“, და ამ მცდარი მასალის საფუძველ-  
ზე ამტკიცებდა, რომ ტაო-კლარჯეთის მხარე,  
ვანსაუტოებით კო არტანუჯის მხარე, თავ-  
დაპირველად, მართლმადიდებელ სომეხთა  
მიერ იყო დასახლებული, მხოლოდ VIII  
საუკუნეში ეს მხარე ქართველთა ხელში გა-  
დაეიღო. ამგვარი დებულების უმართებუ-  
ლობა ჯერ კიდევ პროფესორმა ე. გარიტმა  
სრულის უმჯველობით დაასაბუთა (Documents  
pour l' étude du livre d' Agathange, 1946,  
200—202; 341—349. — იხ. მის. თარხნიშვილის  
წერილი, Oriens Christianus, t. 41, გვ. 77).

უადრესად საუბრადებოა, რომ ისეთი სა-  
ხელოვანი მეცნიერია, როგორიც არის პროფე-  
სორი ევრარ გარიტი, და ჩვენ ერთი მეორი-  
სავან დამოუკიდებლად მივსულვართ ერთსა და

ამავე დასკვნამდე ნ. შარის კონცეფციის მკლარობის შესახებ. 1

აქ საჭიროა ამასთან შემდეგი აღინიშნოს. ვ. გარიტკა აღმოაჩინა თვით ის პირველწყარო, ბერძნული ვერსია, რომლისაგან მომდინარეობს არაბული თარგმანი გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის ცხოვრებისა, და ამ პირველწყაროში წერია აბა „არტანუჯი“, როგორც ამას ნ. შარი შემდგომად ვარაუდობდა, არამედ სულ სხვა პრაგინდია „არზანუჯი“, როგორც ეს დადგინლი გვაქვს „გეორგი მერჩულეში“. ამრიგად, ნ. შარის ჰაოთეზი, რომელსაც მიხ. თარხნიშვილი სამართლიანად უწოდებს ფანტასტიკურს, მართლაც ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა.

როგორც ენობილია, ნ. შარი კავკასიის ხალხთა ისტორიის დიდ და განუსჯელ ავტორიტეტად ითვლებოდა და ამიტომაც ნ. შარის შემოაღნიშნულმა კონცეფციამ კლარჯეთის პროვინციის ეთნოგრაფიულ-ეტიმოლოგიისა და კლარჯეთის საგანეთა დაარსების შესახებ ფართო გავრცელება მიიღო.

ყრბოდ, ნ. შარის ეს კონცეფცია თავიდანვე გაიზიარა კ. კეკელიძემ და ბოლო დრომდე მის დამცველად გამოდიოდა. ასე, მაგალითად, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გამოცემაში, რომელიც 1941 წელს გამოვიდა, კ. კეკელიძე წერდა:

„ტაო-კლარჯეთი, სადაც VIII საუკუნის ნახევრიდან დამკვიდრდნენ ქართველები, ღარბილიც ქართული მწერლობის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად გახდა, დასახლებული იყო ქალაქდონი სომეხებით. რამდენიმე მწიგნულოვანი ქართული სავანე აქ სომეხთა ნაშობსტრალზე გაშენდა. აი — სწორედ ამ წერეში, სადაც სომეხები და ქართველები ერთმანეთს პირდაპირ ზედბობდნენ, განაგრძობდა არსებობას სომეხ-ქართველთა ლიტერატურურული ერთობა და კავშირი. მართალია, აქაურთა სომეხთა უკვე გაქართველების გზაზე იყვნენ დამდგარი, მაგრამ ძლიერნი ლიტერატურული მემკვიდრეობით და ტრადიციე-

ბით, ისინი ჯერ კიდევ აღწევდნენ ერთმორწმუნე ქართულ მწიგნობრებს. შემოქმედებითა და სათარგმნ მასალას ქართველებში მათგან სთარგმნიან არა მარტო მერვე—მეცხრე საუკუნეებში, არამედ მეათეშიც“ (იხ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941, გვ. 47).

კ. კეკელიძე თავისი შრომის მეორე ადგილას, განმეორებით ეხება კლარჯეთის ენობილ სავანეებს (ოპიზას, ხანძთას და სხვ.), რომლებიც ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს წარმოადგენენ IX—X საუკუნეებში და აღნიშნავს, ეთომც ეს სავანეები არ იყვნენ ქართველების მიერ დაარსებულნი. კ. კეკელიძე წერს:

„ტაო-კლარჯეთის მხარეში... სომეხებს გუშენებით მონასტრები, როგორცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიწაძორი, შატბერთი და სხვა, სადაც ეტლბერულ-შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა დღედა და გადმოვლდა. მერვე საუკუნის ნახევარში, მურვან-დრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიან აობრდა, ამას თან დაერთო ხოლმეობა, რომელმაც მესობი გაავლო მცხოვრებლებს... ამ უბედურების და აობრების დროს დაიკრულა და დაშრებლი ნახსენები სომეხთა მონასტრები; როდესაც გრიგოლი (ხანძთელი) მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. ეს მონასტერიც ქალაქდონი სომეხებს სჭვრითა, მაგრამ აღნიშნული უბედურების შემდეგ, სხვებთან ერთად ასეც მიუტოვებიათ... მერვე საუკუნის ოკდათთან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები... ოპიზა შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად“ (იხ. იქვე, გვ. 84-85).

1951 წელს გამოვიდა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე გამოცემა, ამ დროს „გეორგი მერჩულეს“ პირველი ისტორიული ნაწილი უკვე გამოქვეყნებულ იყო „მნათობში“. ჩვენ ვფიქრობდით, რომ კ. კეკელიძე ანგარიშს გავწვედა „გეორგი მერჩულეში“ წარმოდგენილ ახალ მასალას კლარჯეთის შესახებ და შესწორებას შეიტანდა თავის ძველ შეხედულებებში (ანდა, თუ არ გვითანხმებოდა, დაარღვევა ჩვენს შეხედულებებს).

კ. კეკელიძე ამ ახალ გამოცემაში ისევ იმეორებს თავის ძველ შეხედულებებს, მხოლოდ ზოგიერთი შეცვლით. ასე, იგი შემდეგსა წერს ამ ახალ გამოცემაში:

„მე-6—7 საუკუნეებში აქ (კლარჯეთში) როგორც ქალაქდონი სომეხთა განმანათლებლების შესახებ.

1. ჟურნალ გარიტის მიერ გამოთქმულ შეხედულებას ჩვენ პირველად გავცანით მიხ. თარხნიშვილის დასახლებული წერილიდან. ჩვენ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, გამოგვიქვამს ეს შეხედულება ნ. შარის კონცეფციის მკლარობის შესახებ, მე ჟურნალ „მნათობში“, სადაც იბეჭდებოდა „გეორგი მერჩულე“, ხოლო პრფ. ვ. გარიტს წიგნში გრიგოლ სომეხთა განმანათლებლების შესახებ.

კელონიკ სომხებს, რომელთაც აქ გაუშენებიათ რიგი მონასტრები, სადაც კულტურულ-შემოქმედებითა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი. მერვე საუკუნის პირველ ნახევარში მტრვან-ურუს შემოსევით ეს მხარე სულ ერთიანად აოხრდა. ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც შესრი ვაიკე მცხოვრებლებმა... ამ უბედურების და აოხრების დროს დაცემულა და დანგრეულა აქ არსებული მონასტრები. როდესაც ვრიგოლ (ხანთელი) მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპოზა. აღნიშნული უბედურების შემდეგ სხვებთან ერთად ეს მონასტერიც მიუტოვებიათ... მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები... ოპოზა იქცა სამონასტრო ცხოვრების კერად". (იხ. კ. კეცელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1951 წ. გვ.).

ერთგვარი გაოცება აქ შექმნილია არ გამოიწვიოს შემდეგმა ვარაუგებამ.

1941 წლის გამოცემაში კ. კეცელიძე ამბობდა, რომ კლარჯეთის ცნობილი მონასტრები არ არისო დაარსებული ქართველების მიერ და ჩამოთვლიდა ამ სავანეებს (ოპოზა, ხანძთა და სხვანი). ხოლო ახალს 1951 წლის გამოცემაში (რომელიც „გიორგი მერჩულეს“ ისტორიული ნაწილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვიდა) კ. კეცელიძე ამავე აზრს გამოთქვამს, იმავე კლარჯეთის სავანეებზე ლაპარაკობს, მაგრამ აღარ ჩამოთვლის ამ სავანეთა სახელებს და მოიხსენებს მათ ყრუდ, ამ სახით: „რიგი მონასტრები“. მხოლოდ ბოლოში გაყვრით არის დასახელებული ოპოზა, როგორც ერთ-ერთი ამ „რიგი“ სავანეებიდან.

ექმნება ისეთი შეაბეჭდილება, რომ ტექსტი ამის გამო ამ სახით, ყრუდ ფორმულირებული, რათა ისე მკვეთრად არ ჩანდეს, რომ ქართველების მიერ არ იყო დაარსებული ისეთი უმნიშვნელოვანესი ცენტრები ძველი ქართული განათლების, როგორც იყო კლარჯეთის სავანეების ცნობილი ჯგუფი, რომელსაც „საქართველოს სინაა“ ერქვა (ოპოზასთან ერთად ხანძთა, შატბერთი, პარეზნი, დაბა, მერე, ბერთა და სხვანი), რომელთაც ავტორი აქ ყრუდ „რიგი მონასტრები“-ს სახელით მოიხსენებს.

საერთოდ, ასეთი სტილით არის გადაკეთებული მთელი ეს ნაკვეთი, რომელიც კლარჯეთის სავანებს ეხება (შეადარეთ მთლიანად ზემოთმოყვანილი ნაკვეთი 1941 წლის გამოცემის მიხედვით და 1951 წლის გამოცემის მიხედვით). ფორმა მთელი ამ ნაკვეთისა ახალ გამოცემაში ოდნავ შეცვლილია, აზრი უფრო ყრუდ არის გამოთქმული, ხოლო შენაარსი იგივეა. რისთვის არის ყოველივე ეს საქარო... ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, როგორც

მეცნიერების, ისე მეთხველის წინაშე, რათა ის აზრი, რაც ჭეშმარიტებად მიგვეჩინა... გამოვთქვათ არა რაღაც მოიარებელი და მჭიდროვანი არამედ პირდაპირ და ნათლად.

მაგრამ დაეანებოთ თავი ფორმას.

კ. კეცელიძე: როგორც ვხედავთ, ისევ „დაცემული“ იმეორებს ამ აზრს. რომ ოპოზა, პარეველი და მთავარი სავანე „საქართველოს სინაისა“, და მასთან „საქართველოს სინაის“ სხვა სავანეები, ვითომც დაარსებული იყო არა-ქართველებს მიერ, არამედ VI—VII საუკუნეებში კლარჯეთში ჩამოსახლებული კოლონისტების მიერ. სინამდევლემო კი, ჯერ ერთი, VI—VII საუკუნეებში არავითარ კოლონიზაციის არ ჰქონდა ადგილი კლარჯეთში (ეს არის გამოთხადი ნ. შარის მკვლარი პიპოთეზისა „არტიანუჯის სამიტისის“ შესახებ, რაც უკვე უაზროფილია მეცნიერებაში); ამასთან, კერძოდ ოპოზა დაარსებულია არა VI—VII საუკუნეებში, როგორც ამას ნ. შარი და კ. კეცელიძე ვარაუდობენ, არამედ ამაზე უფრო ადრე, V საუკუნეში, საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასარის (თბილისის აღმამენებლის) დროს. ამის შესახებ დაიუღია პირდაპირი ცნობა-ქართულ მატრიანებში, — ავთენტურ წყაროში, რომელიც მიმდინარეობს ვახტანგ გორგასარის ძველი მატრიანიდან. ამ ავთენტურ წყაროში აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარის მიერ კლარჯეთში აღნიშნულმა ვრისთაქა —

- „აღამენა ციხე არტანუჯისა,
- „და მონასტერი, რომელ არის ოპოზა და,
- „და საშნი ეკლესიანი: დაბისა, მერცისა და შინდოზისა,
- „და განახალა ციხე ახიზისა, [და ეკლესია ახიზისა], და ქმნა იგი ქვაბად“<sup>1</sup>.

ამრავად, აქ ჩვენ გვაქვს საფასებით გარკვეული პირდაპირი ცნობა ავთენტური საისტორიო წყაროსი და საკითხი ამით საბოლოოდ გარკვეულია.

იმავე საისტორიო წყაროში, მოთხრობილია იმ დიდი მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩაატარა ვახტანგ გორგასარმა საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით, და ჩამოთვლილია საკათალიკოსოში შემავალი კათედრები; მათ შორის პირველად დასახელებულია კლარჯეთის სავანისკოპოსო, რომლის ცენტრი გამხდარა ოპოზა (რომელიც ზემოთ იყო მოხსენებული ოპოზასთან ერთად). ამ ტექსტში ნათქვამია:

„ხოლო მცხეთისა მეფემან ვახტანგ [გორგასარმა] აღამენა ეკლესია მოიქმულთა სვეტიცხოველი, — რომელ არს სიონი დიდი, მენ შინა დასვეს პეტრე კათალიკოსად, და

<sup>1</sup> იხ. ბ. ბეგოროფი, „გიორგი მერჩულე“ გვ. 324; ქართლის ცხოვრება, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. 1, 1955, გვ. 178.

სამოკლესიო ეპისკოპოსად — მცხეთის საეპისკოპოსოს;

„და დასეა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, გულესისაა ახიზისასა;

ერთი არტანს — ერკუშეთს;

ერთი ჯავახეთს — წუნდას;

(შემდეგ ჩამოთვლილია კიდევ ცხრა საეპისკოპოსო საქართველოს სხვა მხარეებისა).  
იმავე საისტორიო ძეგლში მოხსენებულნი დაბა და შერე კლარჯეთისა (სადაც მშენებლობა უწარმოებია ვახტანგ მეფის მიერ დანიშნულს კლარჯეთის ერისთავს), შემდეგ დაბნეულ ცნობილი საეპისკოპოსო საქართველოს სინაისა 2.

ქართულ წყაროებში დაცულია აგრეთვე სხვა ცნობები კლარჯეთის საეპისკოპოსოს შესახებ V — VI საუკუნეებში. ასე, შესახებ ცნობილი სავანისა „მარტინა“, რომელიც ასევე კლარჯეთის — „საქართველოს სინაის“ შემადგენლობაში შედიოდა, ქართულ წყაროებში დაცულია პირდაპირი უწყება, რომ მისი აღმასწავლებელი იყო გამოჩენილი მოღვაწე მიქაელ პარტელი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აღნიშნულია პარტელის მშენებლობის შესახებ: „მიქაელ იყო აღმასწავლებელი, — რომელი იყო მოწადე დიდისა შიოძისი, საეპისკოპოსო მშენებლისა, რომელი ვითარცა მოთები განთავადისა ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლისასა“ 3.

მიქაელის მოწადეა — სერაპიონ ზარზმელი, რომელიც აგრეთვე კლარჯეთის საეპისკოპოსო იწყებს მოღვაწეობას.

დასახელებულ საისტორიო პირთაგან შიო (მღვიმელი) VI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა, მიქაელ პარტელი — VI საუკუნის მეორე ნახევრისა, სერაპიონ ზარზმელი VI — VII საუკუნეთა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლაც ფაქტობრივად კ. კეკელიძის მტკიცება, ვი-

1 იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 323, ქართლის ცხოვრება, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. 1, 1955, გვ.

2 იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 343—345.

3 იხ. ბასილი ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 150. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 325.

თომე ქართველები დამკვიდრებულნი კლარჯეთში VIII საუკუნიდან, რაც ნ. მარის უარყოფილ შეხედულებათა ხელახალი გადარწმუნების ცდას წარმოადგენს.

ამ საგანზე ჩვენ აღარ ვაგრძელებთ კამათს კ. კეკელიძესთან.

კლარჯეთის ისტორიის, „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ მიუძღვინათ — სპეციული გამოკვლევა (იხ. კერძოდ, თავი: „ისტორიული ჰეშმარიტების დამახინჯება საქართველოს სამხრეთ მხარეების ისტორიის საკითხებში“).

ამ გამოკვლევით ცხადყოფილია, რომ კლარჯეთი, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ანტიკური ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, ძირითად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, დაკავშირებული იყო საქართველოსთან როგორც ეთნიკურად, ისე პოლიტიკურად. საისტორიო წყაროების პრეციზულმა ანალიზმა დაადსტურა, რომ არ ყოფილა არც ერთი პერიოდი არც ანტიკურ ხანაში და არც საშუალო საუკუნეებში, როდესაც კლარჯეთი მიწვევტილი უყოფილიყოს საქართველოს.

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა არა მართლ ის ვარაუთება, რომ კლარჯეთი განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, არამედ ისიც, რომ კლარჯეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ ადრეული პერიოდებიდან. ის ვარაუთება, რომ კლარჯეთი უფრო გვიან ხანაში, მე9—10 საუკუნეებში, გახდა კულტურული და პოლიტიკური ცენტრი საქართველოსი (დედაქალაქი საქართველოსა ამ ეპოქაში არის არტანუჯი კლარჯეთისა), არ იყო და არც შემადგენელი უყოფილიყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ ეს შემადგენელი იყო კლარჯეთის მხარის წინა ისტორიით. ირკვევა, რომ კლარჯეთი იყო ქართული განათლების, ქართული მწერლობისა და მწიგნობის მეხად მნიშვნელოვანი კერა, ჯერ კიდევ ადრეული საშუალო საუკუნეებიდან მოკიდებული.

ასეთია ამ მხარის რეალური ისტორია. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 302—380, 400—451).

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს კლარჯეთის მხარის ისტორიის საკითხთა გამო, და ამითვე ვამთავრებთ კამათს კ. კეკელიძესთან.



# ეგნატე ნინოშვილის მნის ძირითადი საკითხები

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლები, რომელზედაც მოდის ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება, თავისთავადაც ძალიან საინტერესოა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და შედგენილობის შესწავლის თვალსაზრისით, ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა და რეფორმებმა, ახალი ეკონომიური-პოლიტიკური მოძღვრებისა და რევოლუციური-დემოკრატიული იდეების გავრცელებამ თავისებურად შეაყვს და გააცხოველა ქართული ენის ლექსიკა.

ე. ნინოშვილის შემოქმედების მთავარი თემა გურულია. გლეხობა. გლეხიკაცის ცხოვრების ხასიათი, მისი აზრი, გრძნობა და მიწწრათება ყველაზე უკეთ არის გამოხატული მისი მეტყველების ფორმებში. ე. ნინოშვილი გურულ დიალექტურ ფორმებს იყენებს ძირითადად პერსონაჟთა შეტყვევებაში, ე. ი. იმგვარად და იმ მოცულობით, როგორც ეს ადრე ჰქონდათ გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს, ხოლო ლიტერატურაში დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ და განავრცო ე. ნინოშვილის თანამედროვეებმა — ა. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვებმა.

ე. ნინოშვილის მიერ გურული დიალექტურის ფორმების გამოყენება საესკნებით გამართლებულია პრინციპულადაც და ფაქტობრივად ვითარების მიხედვითაც. მოწინავე დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა ახალმა თაობამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მის წინამორბედ თაობასთან მწვევე პრინციპული ბრძოლა გამარჯვებით დაავჯირგვიან — ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ცოცხალი ხალხური სასაუბრო ენა გამოაცხადა. თეორიულადაც დასაბუთდა და საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკაშიც დადასტურდა, რომ ენის სიცოცხლისუნარიანობა ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან უშვიდროესი კავშირით განისაზღვრებოდა, ლიტერატურული ენა მით უფრო ძლიერი და მდიდარი იქნებოდა, რაც უფრო ფართოდ ექნებოდა მის გადგმული ფესვები ხალხური შემოქმედების წიაღში. ლიტერატურის ენად იმხანად რუსეთი იგულისხმებოდა გლეხკაცის კილო, რასაკვირველია, სათანადოდ გადამწავებული და დახვეწილი. ასე, რომ დიალექტიზმების გამოყენება

ლიტერატურაში, ისიც პერსონაჟების მეტყველებაში, პრინციპულად ეგუებოდა თერგდალესულთა თაობის ძირითად ლინგვისტურ-ესკნოტიკურ შეხედულებებს. ტერიტორიული დიალექტის გრამატიკული ფორმების ამგვარი პრინციპით გამოყენება ქართულ ლიტერატურაში ოდნავაც არ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის განვითარებისათვის, ვინაიდან იმ ხანებში (90-იანი წლებისათვის) იგი ზრდისა და გამდიდრების სწორ გზაზე იდგა, სადალდაც მისი აიღწეა უკვე აღარაფერს შეეძლო.

მეორე მხრივ, ე. ნინოშვილის მოთხოვნებში გურული დიალექტიზმების გამოყენება თითქოს აუცილებელიც იყო: წერა-კითხვის უცოდინარი ან მცირემცოდნე გლეხობას, რომელსაც სკოლა არ ენახა, ლიტერატურული ენა არ ესწავლა, კულტურის ცენტრები არ გააჩნდა და არც ენახა, ცხადია, სხვაგვარად არც შეეძლო ელაპარაკა: ერთიანი ლიტერატურული ქართულისაგან რამდენიმე განსხვავებული გურული ტერიტორიული დიალექტი იყო მისი „დედაენა“. სწორედ ეს გლეხობა ე. ნინოშვილის მოთხოვნების პერსონაჟებია. ამგვარად, ე. ნინოშვილის ნაწერების ენის თავისებურებაში მთავარი ადგილი უჭირავს გურულ დიალექტიზმებს.

ე. ნინოშვილი ხალხურ მასალებს ეპყრობოდა ფრთხილი მზარუნელობით, არაფერს მიაწერდა უცნობს, ცდილობდა შეენარჩუნებინა ხალხის მეტყველებისათვის ბუნებრიობა. ე. ნინოშვილი გურული დიალექტის ყარგი მცოდნეა, მის მიერ ფიქსირებული დიალექტიზმები რიც შემთხვევაში სანდოა და გამოსაყენებლად (ლინგვისტური ანალიზისათვის) ვარგისია.

მაგრამ, როდესაც ეთქვება ე. ნინოშვილის ნაწერების ენობრივ-სტილისტურ შედგენილობას და ვთავსებთ მის ადგილს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, მაინც გარკვეული სიფრთხილე გვმართებს მით სარგებლობის დროს. საქმე ისაა, რომ ე. ნინოშვილის ნაწერებში ერთგვარი რედაქციული და ენობრივ-სტილისტური ცვლილებები განიცადა სხვადასხვა რედაქტორ-გამომცემელთაგან. ეს საკითხი თავის დროზე დამატურებლად გიარ-



ქვია ვ. ნინოშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის რედაქტორმა პ.ო.ფ. ს. ხუნდაძემ, რომლის პრინციპები ტექსტოლოგიური მუშაობის პრაქტიკაში, სხვათა შორის, დღესაც ძირითადად ვასაზიარებელი და მისი-ღებია! ცნობილია, მაგალითად, რომ „პარტა-ხი“ „ეკლში“ დაბეჭდვის წინ საგარეოაღიარებელი შეუსწორებია გიორგი წერეთელს (და ნაწი-ლობრივ რაეღენ კალაქს); „უცნაური სენი“, რომელიც დაბეჭდა „ივერიაში“ (1891 წ.), შეუსწორებია ვიგა (გიორგი) უფშიძის 2 და ა. შ. გენ. ნინოშვილი, როგორც ჩანს, არ ყო-ფილა მანკდამანკ ასეთი შესწორებების წინააღმდეგი, ურთ კერძო წერაღში იგი ვიდეც სთხოვს გიორგი წერეთელს თავისი თხზულების სათანადო შესწორება-გამართვის შესახებ 3. ამას გარდა, ისიც ცნობილია, რომ დაბეჭდვა-შიღ იგი ხშირად თავის მოთხოვნებს თავიზა-ნად აკეთებდა უახლოეს მეგობრებს (თუკოლ-ლე ზუსტკაძეს, თედო სახოკიას და სხვებს), რომელთა რჩევას ვუღიჯებით მიიღებდა. მა-შასაღამე, ამა თუ იმ უნობრივი ფორმის გარ-ჩვეის ღრის უნდა ვიცოდეთ — რა არის სა-კუთრივ ვგნატე ნინოშვილისა და რა მიეწერ-ება რედაქტორ-გამოცემლებს. მოთვარ ყურად-ღებამ ამ მხრივ იქვეყს სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ნაშყო მართის (ნაშყო წყვეტი-ლისა და უწყვეტლის) მრავლობით რიცხვი.

როგორც ცნობილია, თანამედროვე სალიტე-რატურო ქართულში აქ დამკვიდრებულია -ნენ სუფიქსი, რომელიც პირველად ქართულ-რ-კუბრ დიალექტებში ვაჩნდა მეთვრამეტე საუ-კუნის დასაწყისში. სხვა დიალექტები, მით შორის გურულიც მის ნაცვლად -ენ სუფიქსს ხმარობდა და ხმარობს. ცხადია, ვ. ნინოშვილიც, როგორც მისი პირადი წერაღებიც ამტკიცებს, საყოველთაოდ ხმარობდა -ენ სუფიქსს, მაგ-რამ ეს ფორმა დაკული არაა! თუ მისი ნაწერები „ივერიაში“ დაბეჭდილი („უცნა-ური სენი“, „გოგია უიშვილი“, „პალო-

სტომის ტბა“), ყველგან გატარებულია -ნენ სუფიქსი, ხოლო „ეკლში“ დაბეჭდილ შოთ-ხრობებს („ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „მოაღი-რე“, „პარტახი“, „სხეამ რაც უნდა თქვას“, „განკარგულება“) შენარჩუნებული აქვს ავტო-რისტული — ენ — დაბოლოება. ამგვარად, ამ რიგი ბეჭდვითი ორგანოს პოზიცია უნობრივ საკითხში ამ ერთ შემთხვევაშიც პოლომდეა დაკული:

1.-ენ: მოსვენებას არ აძლევდენ: „გან-კარგულება“, 210. დაყაღობდენ, კთხულობ-დენ, დამხმარებოდენ, იცოდენ, აწიოკებდენ... „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, 126 — 127. ბეჯანს ბაეშევი ალტაელებო შეეშო ვ ხ ე ე ე ე ე: „პო-ნალირე“, 119.

მოებევოდენ, ამბობდენ... „სხეამ რაც უნ-და თქვას“, 207.

2.-ენ: თეთონაც არ იცოდენ, როგორ-და რით ეშველნათ: „უცნაური სენი“, 156.

ჩაეარდნოდენ, ვამოციდენ, იხდიდენ... „როსე მწერალი“ (დაბეჭდა „მოაშ-ბეში“); ამბობდენ, იმეორებდენ... „პალიას-ტომის ტბა“, 162. შემოვსივდენ, ესტუმრენ: „გოგია უიშვილი“, 132—135.

ამევე რიგის მოვლენად მიგვჩანია ერთისა-და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმები. კერ-ძოდ ვა კომპლექსის ნაცვლად ო-ს ხმარება-სახელებსა და ხმნებში („გვალვიანი ზაფხუ-ლი“: „მონადირე“, 117; შღრ. „გოგვიანი წე-ლიწილი“, „პალიასტომის ტბა“. 169. პირველი-დაბეჭდა „ეკლში“, მეორე — „ივერიაში“) ასევე კო მ ლ ი, შ ი ა რ თ, პ ე რ ლ ი ე რ და მისო.), რაც გურულის თავისებურებად არ ითვლება, თუმცა ვ. ნინოშვილის ავტორაფე-ბის უჭონლობის გამო აქ გვადპრით რისამე-თქმა ძნელია.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ცვლილებები რედაქციებს შექმნდათ უმეტე-ხად ავტორისეულ ტექსტში, პერსონალებს მტყუყვლებს ფორმები კი ძირითადად იმგვა-რადვე უნდა იყოს დაკული, როგორც ავტო-რის ბელიდან გამოვიდა. სრულებით შეუბღა-ლავი ვაღარაა ავრეთვე ვ. ნინოშვილის პირა-დი წერაღები, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის ენისა და სტილის ძირითადი ნიშნები, ზოგჯერ მთლიანად თანხედენილი მისი მოთხ-რობების მოქმედი პირების მტყუყვლებსათა.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ნინოშვილის მოთხოვნები იწერებოდა მოკლე ღრისი ვან-მეღობაში და მწერალს საშუალება არ ჰქონ-და ვუღიჯათ დახევეწა უნობრივად იგინი, მაინც შეგვძლია დავრწმუნდეთ მისი ენისა

1 ს. ხუნდაძის წინახიტყვიობა: ვ. ნინო-შვილი, თხზულებათა სრული კრებულა, ტფი-ლისი, „ლედერაკია“, 1932—1935 წწ. ტ. I, II, III, გვ. XIV.

2 იქვე, ტ. II, გვ. 303; ტ. I, გვ. 341.

3 იქვე, ტ. III, გვ. 112.

4 „პარტახის“ ავტორაფში შეინიშნება -ნენ სუფიქსის ხმარება: ვ. ნინოშვილი, პარტახი, ავტორაფის მიხედვით გამოცემული პროფ. ა. შანშის რედაქციით, ლექსიკონი ქ. ლომთათიძისა, 1935 (მაგალითები მოგვეყავს ამ გამოცეშიდან).

და სტილის ერთგვარ ევოლუციაში. ბოლო-დროინდელი თხზულებების ენას უდავოდ ეტყობა მტეი დახვეწილობა, ვიდრე წინადროინდელს. თუ, მაგალითად, „ჯანყი გურიანში“ სინტაქსურად შედარებით ერთფეროვანია, სამაგიეროდ „სიმონა“ უფრო დამუშავებული და გამართულია: შესაფერისადაა გამოყენებული ქართული ენის სინტაქსური შესაძლებლობები, თანაბრად გვხვდება სხვადასხვა სტრუქტურის წინადადებები, განკერძოებული გამოთქმები და

მაპოტაქსური წარმოშობის შემოკლებები. რაც შეეხება მეორედ რედაქციას, რომლის ერთადერთი ნიმუშია „გოგია უიშვილი“<sup>1</sup>, ამ უკვე მკაფიოდ ჩანს ავტორის ღრმა დაკვირვების კვალი, მისი ზრუნვა პერსონაჟების მენტალუების ზუსტი ფიქსაციისათვის. საკმარისია შევადაროთ ამ მხრივ „სახალწლო პურ-ღვინოს“ ავტორადი<sup>2</sup> (1889 წლის) პირველნაბეჭდ ტექსტს (გაზ. „თეატრი“, 1890, № 10, 12) და უკანასკნელ, გადამკეთებულ-გადამუშავებულ ტექსტს — „გოგია უიშვილს“ (1892 წ.):

ავტორადი

პირველნაბეჭდი ტექსტი

„გოგია უიშვილის“ ბოლო რედაქცია

1. — „რა იქნა კაცო, რა გაჩქარებს! გვაქ თუ არ გვაქ, ყოველთვის სულწასულობა? ცალკე ეზოში მოთფება, ერთი რომ მოსიყვანო, ღმერთს როს ეწუინება! აგერ ხაჭაპური გიცხოზია, იი შექამე, ღვინო დაატანე და მერეც კი შევსრობი სავსეს“.

1. — „რაო, კაცო, რა გაჩქარებს! რა სულწასულობა? მოიცა, ე ხაჭაპური გამოვაცხო, ხომ ყველას მოეხწრობით“.

1. — „რა იქნა კაცო, რა გაჩქარებს? ყოველთვის სულწასულობა რაე იქნება! მიუცაი (?), აგერ ხაჭაპურს ვაცხოზ, აგი შექამე და მერეც მივსრობი სავსეს“.

2. — „ძაან კი გავუწითლებია და ვადმეუბნარუნებია დუდი იმ ჯაჭვედა დედალს“.

2. — (ასვევა უცვლელად).

2. — „ძაან კი გავუწითლებია და ვადმეუბნარუნებია დუდი იმ ჯაჭვედა დედალს!“

3. — „ასე უკლებათ და ადვილად სხომის ვერ ვახერხებდით სახალწლოს“ (თხზ. ტ. I, გვ. 236 — 237);

3. — ასე ადვილათ კვლიავ ვერ ვახერხებდით სახალწლოს“

3. — „ასე ადვილად უწინ ვერ ვახერხებდით საკალანდო პურ-ღვინოს“ (თხზ. I, გვ. 130).

ცხადია, რომ ციტირებულ ნიმუშებში ხაზგასმული სიტყვები ბოლო რედაქციაში (გვეუწითლებია, მივსრობი, საკალანდო...) უფრო ზუსტია და ბუნებრივი სათანადო კონტექსტისათვის როგორც ფონეტიკურ-გრამატიკულად, ასევე ლექსიკურადაც. ავტორს რომ დასკოლდა, ალბათ ამგვარადვე გადაამწორებდა რედაქტორ-გამომცემელთა ზოგიერთ გასწორებებს თავის მოთხრობებში!..

პერსონაჟების ენობრივი დახასიათების ხერხები

ენაზე ნინოშვილს დიალექტოზმები აქვს გამოყენებული პერსონაჟების მეტყველებების დახასიათების ერთ-ერთ ხერხად. დიალექტურ ფორმათა ხმარება საუბარში საესეებით ლოკურად ეგუება მათ განათლებას. სამაგიეროდ უმაღლესი განათლების მქონე, წიგნური ცოდნით აღჭურვილი გიორგის („ჯანყი გურიანში“) მეტყველების ფორმები საესეებით დახვეწილი, სადა და ბუნებრივი ლიტერატურული ქართუ-

ლია, მისთვის მახლობელი და ჩვეულებრივია ლიტერატურულ ენაში მიღებული ტერმინოლოგია და რა გასაკვირია, თუ ალაღმართალ და უწიგნურ ბაბალეს („მოსე მწერალი“) უფროკერით გუგონია ციმ ბირი. „ღაზირეთი, მაგრამ მათი სწორი სახელი ვერ გაურჩევიდა და ერთს სიმბილს უწოდებს („შენს ზელს კაცის მკველიც კი დუბერუნებია სიმბილიდან“: ტ. II, გვ. 183) და მეორეს — ღაზარეს სადგომს (გვ. 174). ასევე ზუსტად გადმოგვცემს ავტორი ვლუბთა მეტყველე-

<sup>1</sup> დაბეჭდა ს. ხუნდაძემ: ე. ნინოშვილი, თხზულებანი, I, გვ. 248 — 249.

ბაში შესული სხვა უცხო სიტყვების ფორმებს, რაც ტიპობრივად უნდა ჩაითვალოს ამ დროისათვის: „სტავლას, მშვე, მოხმარა უნდა! რამდენია იგი რაცა უნივერსია თუ სემეღარია, იქიდან გამოსული, მარა ნახე, თუ ჩვენი მოსე მწერლის მეთაფად საქმე შეეჭლოს“ (ამოსე მწერალი“ გვ. 177).

მაგრამ ეგნ. ნინოშვილი ამ შემთხვევაში სრულებითაც არაა გატაცებული მოქმედ პირთა მეტყველების ნატურალისტური ფორტოგრაფირებით. ავტორს შედარებით ვრცლად აქვს მოყვანილი უფროს ბუნებრივი და საყოველღეო საუბრის ნიმუშები, რომლებიც ან დიალოგებშია წარმოდგენილი, ან ავტორის აქვს მოყვანილი და ჩართული თავის რეჟისაჟებთან:

— „სტავლილი კაცი რომაა გიორგი, იმიზა ჩვენთან მისვლა როს ეზარება, — წანაგრძობესიან — კიდეც მოვიდოდა, მარა დაი უკედება და იმიზა ვერ შობათა მომავლადი დაი“: „ჯანყი გურიაში“, გვ. 41.

— „ღმერთი მის თუჯას ააშენებს ისე! ზეოტი მაქ, თუ სა ეოშონო ასე ელანზე თემანი! ნაყოლანდევასაც კი შიორთუშენ, თუ კი ეიწოენიდე! თემანიც ქან ადვილი კი გონიან იო თემანიც მთელი ზამთარი რომ ეიშუშაო, ერთ თემანს ვერ ვეიღებ. არ ეყვენ, შარშან რომ დაგვაძერეს ტყავი! ფირალი გიოქოაო. რა ვქნა მე, რო გეიქცა“: „გოგია უიშვილი“, 127.

— „რა ეიცი სადა? რაღამე იგი ქონდენ გულში, ცხენებსაც მე დამაუადენ. ახლა რა მიწაში ჩევიდე! დაეტოო აქანაი შვიდი ცხენი და წეიდე! მე რავე შემძლია ვადეხადლო პატრონებს, ჩემი თუჯები არ უუთავდებან! არა და რა! შილიატეს, გამახებს სხაში და იგაი! რაღა ვქნა ახლა, თაეი შეეკლდა, თუ რაღა ვქნა?“ „პარტახი“, გვ. 20, 23.

— „სად, მანავ, არაფერი ამბავია? — არა, ძაშავ, სამი დღეა არაფერი შემიტყვია“: „ჯანყი გურიაში“, 107.

მეოხედავად იმისა, რომ ეგნ. ნინოშვილის მოთხრობებს მოქმედი პირების დიდ უმეტესობას არ მიუღია წიგნური ცოდნა, ისინი ბუნებით გონებაგახსნილი ხალხია. ავტორი შესაფერის სიტყვიერ გამოხატველობით სუშეალებებს შეურჩევს მოსწირებულ და მარალიან სიტყვა-პასუხის ნიშთ დავალიდობებულ ასეთ პერსონაჟებს, რომელთა მეტყველება და ქცევა სრულებით ბუნებრივად თვალწინ გვეყენებს ბევრ ცოცხალ ტიპს. დიალექტანშიები ამ შემთხვევაში ზომიერად შეჩერულ ხალხურ იტორთან ერთად გვიხსიათებს გვირის სუფიერ თვისებებს. ინტერესმოკლებული არაა ამ მხრივ პეტრია და სხვა პერსონაჟები „ჯანყი გურიაში“:

„პეტრიას ისე ქონდა შეჩვეული პირი შებ-

რუნებულ ლაპარაკზე, რომ უფროსთ ძნელათ თუ როდისმე რასმე იტყოდა... მავალითად, რაცა უქმათ მგდომ იდანიანს სახვედრე პეტრია, ეტყოდა: „ამდენს ნუ იშროშებ, თეარა გულს გატყენს“. როცა ვისმე უთარგის სიმღერას ვაიგონებდა პეტრია, მიამახებდა: „რა მოგიყვდა, რომ ტირი?“ როცა ცხენოსანს შეხვდებოდა, ხმამალათ დაიძახებდა: „აბა, მიწის საქმელი მგლის საქმელს მიიქნესო... ამასთან პეტრიაში საშინელი მოუბრძელებელი ლაპარაკი იცოდა. ერთელ ერთს თაემოშრონე თაეის ქალს, თაეის ქმარი რომ გვერდში ეკლდა, იმ დროს უთხრა: — დიდი ჯანი გქონებია, რომ ამისთანა მოწიფულ ქმარს და კიდეც ამდენ საყვარლებს უძლებო. დიდკაცები ხანდახან ხუმრობით მოინდომებდენ პეტრიას გაჯავრებას და ეტყოდენ: — არ გრცხვენია, პეტრია, სულ უქმათ ატარებ დროს? შიდეც იმუშავე რამე, თორემ აწი მუქთად აღარ გაქმეეთო. პეტრია ამ სიტყვებზე გადიანარხარებდა და უბასუხებდა: — უქმათ ყოფნი თუ სირცხვილია, თქვენ ხომ უნდა დაედე იმ სირცხვილს და, უქმათ დროს შატარებებს თუ აღარ აქმევთ, პეტრიას უწინ თქვენ მოყვდებოთ სიმშლითო. ან კიდეე: არ გაგვიგონია, ქურდის ქურდი ცხონებულაო;.. თუ ვინმე ეტყოდა: — პეტრია, მოკედები, ამ ყინეაში რომ ასე შიშველი დადიხარო. პეტრია სინჯართთ მიაცებებდა: — რა მომკლავს; მე ღმერთმა რომ გამაჩინა, ისე ვიარებდი, და შენ თაეი დავიგლახებევიბა, შენ ქურქზე სხევიც უნდა დევიშატო, ჩემი რა ბრალია! „ჯანყი გურიაში“, 46-47.

პეტრია, რაც უნდა იყოს, ხალხის შვილია, ხალხის წრიდან გამოსული. ამიტომ ბუნებრივია მისთვის ხალხური გამოთქმების ხმარება საუბარში.

კლასობრივად დაპირისპირებულ, ანტიგონისტურ საზოგადოებაში ენის ფორმებს და მასალებს საზოგადოების ცალკეული ჯგუფები მათი ინტერესებისა და თვალსაზრისის შესაფერისად გამოიყენებდნენ ხოლმე. როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ამის ნიმუშები საქმარისადაც ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში. მოქმედი პირების დამოკიდებულებაში მათ საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ვაწყობილებას გარკვევით გამოხატავს მეტყველების ფორმებიც, რომლებიც გამწვავებული ურთიერთობის დროს თითქოს ერთგვარი ნატურალიზმის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ: აქ ბლომადაა ლანძღვა-გინებისა, წყევლა-კრულვისა და სიძულვილის გამოხატველი სიტყვები და გამოთქმები. თუმცა ყველაფერი ეს ცოცხლად და რეალისტურად გვიჩვენებს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის სურათებს: ძალაძინათ დარისს „გაზანდერებული“ დროიძენი „შენია-

ნი ყაბახის ცოლს" უწოდებენ („სიმონა“, 211). განაწამება მშრომელი ხალხი თავნება მთავარს დადიანს „სულქაღლიანის“ სახელით იხსენიებს („ჯანყი გურიანი“, 90) და ა. შ.

დამახასიათებელია ამ მხრივ აგრეთვე ტარიელის ქედმაღლური და კადნიერი კილო სპირიდონ მეტრეველის მიმართ:

— „ხედავ თურმე რისთვის შეძახოდა ეს მალღინჯი...“

ამისთანა კაცუნების მთელი რაზმი რომ დამხებდეს შეიარაღებულ... პერანგის ამბრა რომ ეყო... ვერის დამაყდებს. ამისთანა კაცუნებისათვის ხელს კი არ ეიხმარ, ერთ შვიპარტს ვერავ და ვათავდა“: „ჩვ. ქვ. რაინდი“, 127.

არავითარი სხვა ცოცხალი ხალხური გამოთქმა, გონიერი და მიწოდებული საუბრის ფორმები ტარიელს არა სჩვევია და ამითაც იგი გარკვევით დასახსიათა ავტორმა.

ე. ნინოშვილი ისტორიულ მთხრობაში მართულად იყავს ისტორიული თხზულების სტილს, მოკაყვებს რა რუსეთის იმპერატორის მიმართვის ტექსტი გურიის მთავარ — მამია გურიელთან. აქ სახეებით ზუსტადაა დაეული ქართული ისტორიული საბუთების ენობრივი ნორმები, შენარჩუნებულია სათანადო ფორმულები და ისტორიულ-პოლიტიკური ტიტულები:

„გურიის სამთავროსა მპყრობელს, ჩვენს ქვეშევრდომს, მექონს წმინდის ანასი პირველი კლასისა, პოლკოვნიკს და კავალერს, თავადს მამია გურიელს ჩვენს იმპერატორებით მოწყალემა. ვუწყით რა უფროსთადადსი ერთგულება თქვენს ჩვენდამი და ჩვენის უმღელესის ტახტისადმი, სრულსა ეპყოფთ წადილსა თქვენსა, მოხსენებულსა ჩვენს სახელზედ წარმოგზავნილს თქვენსა თხოვნასა შინა, განმტკიცებ და გცნობ მეგვიდრედ და მთავრათ გურიის სამთავროსა, რომელიც აწ იქნებას ქვეშევრდომობასა და მფარველობას ქვეშე მადლს რუსეთის სახელმწიფოებისა. აწ ხართ თქვენ მალასა სახელურობისა ჩვენისა რიცხვითა შორის, ბოლო გურიის სამთავროსა ერთ რიცხვითა შორის ჩვენს ქვეშევრდომისა...“ „ჯანყი გურიანი“, 68.

ასეთივე მოკლე და ზოგადად პერსონაჟთა მეტყველების დახასიათების ძირითადი საშუალებები ე. ნინოშვილის მოთხრობებში.

**ე. ნინოშვილის მოთხრობების ენობრივი ანალიზისათვის**

დიალექტიზმების გამოყენების დროს ავტორი ემყარება გურულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ-ლექსიკურ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია გურულის დიალექტისათვის. აქედან ყველაზე მეტად ფონეტიკური და ლექსიკური თავისებურებები გვხვდება, შედარებით ნაკლებია „ინტაქსური

თავისებურებანი, კიდევ უფრო ნაკლები — მორფოლოგიური. ე. ნინოშვილის ნაწერებში გურული დიალექტიზმების ისტორიის (განსაკუთრებით ქვემოგურულის) შესწავლის სანდო წყაროა. იგი ამ მხრივ ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. ეს დიალექტიზმები, მართალია, უპირატესად პერსონაჟების მეტყველებაშია გამოყენებული, მაგრამ არც თუ იშვიათად ავტორის ენაშიც დისტურდება: იგი გაეპარება ხოლმე მას თავის რემარკებში, ბოლო კერძო წერილებში განსაკუთრებით მრავლდება.

ფონეტიკა. არ შეეჩერებოთ ბგერათა ცვლილების იმ სახეების აღნუსხვაზე, რომლებიც ქართული ენის სხვა დიალექტებშიც გვხვდება და ამისდა კვლად სხვა მწერლების ნაწერებშიც შეიძლება აღმოჩნდეს. აქ უფრო საინტერესოა შედარებით მეტი თავისებურების მქონე ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც უპირატესად გურულს და მის მომდინავე დიალექტებს ახასიათებს. მაგალითად, მონაცვლეობა (სუსტარტუცია) ისეთი თანხმოვანი ბგერებისა, რომლებიც წარმოთქმის ადგილის მიხედვით მახლობელია; ა და რ ზმოვნის დამსგავსება მომდევნო ი, ე ზმოვნათა მიერ, ზმოვნათა უკუმშვლობა სიტყვის ფუძეში (ქ მ ა რ ა თ: „პარტაბი“, 4,5) და სხვა.

უფრო საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ე. ნინოშვილის ნაწერებში ბლომად გვხვდება მაგალითები ქართულისათვის საზოგადოდ იშვიათი ისეთი მოვლენის დახადსტურებლად, როგორცია თანხმოვანთა პროგრესული ასომილიცია: ხღ—ხთ, ყდ—ყტ, კლდ—კტ. რანაირათ მოხერხდა ეს საქმე“: „მოსე მწერალი“, 200: „ახლა მეც უნდა წევიდე საუბარზე, ვერ დავაკლბები“: „ჯანყი გურიანი“, 7.

წარმოთქმაში ზმირად ყრუვდება მჟღერი თანხმოვნები, განსაკუთრებით სიტყვის ბოლოში (ღ—თ, ბ—ფ), ან, პირიქით, ზოგ შემთხვევაში სიტყვის დასაწყის თანხმოვანი მჟღერდება (ს—ზ ზოგჯერ ამ ცვლილებაში მომდევნო თანხმოვანია მიხეზი (რეგრესული ასმილიცია: ჰყ—ხყ.—ბ)

სათანადო მაგალითებია:

— უბასუბა ავთიმყოფს გიორგამ: „ჯანყი გურიანი“, ავტ., 55. შეიპარა შით და დამწავს იქვე, 8.

„რა ზაბუთით ვათავისუფლეს: „მოსე მწერ“. 191.

„უი, ქალო, გებუმრე, თვარა სოკოლისა რავეა წახობი: „ცოლი და ქმარი“, 233, ასევე: პარტაბი“, 11, 19; 24,21.

აღსანიშნავია აგრეთვე კომპლექსების — სწ, სყ ცვლილება: სყ ა შყ; სწ ა სტ, ან გამარტოვება სწ ა ს: „მოგვხრობა“. „პარტაბი“, 3, 3; „მოსანი“: იქვე, 14, 12. „მშინულა“: იქვე 15, 11; სტორეთ, სტავილა

„ჯანყი გურიაში“, 17, 41), „ჭიშკრები დაკე-  
ტილი იქონიეთ“ (იქვე, 56), მაგრამ ავტორი  
ვწვლვან ხმარობს ძველ ფორმას: **ქისკართან**  
(იქვე, 14, 57). ძველი ფორმა ჩამს აგრეთვე  
შემორჩენილი საკუთარი სახელის (მდინარის)  
სახელწოდებაში **მუფჯი** (იქვე, 101).

გურიაში ხშირად იმპარება და ე. ნინოშ-  
ვილის ნაწერებშიც დასტურდება საფარსოვ-  
ბო სიტყვები **რეიზა რეიზა** (რისთვის; რატომ),  
**იმიზა** (იმისთვის; იმის ცანო), რომლებიც  
რთული ფონეტიკური სახეცვლილების შედე-  
გად არის მიღებული: ნანათესაობითარი ეთ-  
ნობითის ფორმებში ვითარებითის ნიშან-  
მა გაამყარა ნათესაობითისეული თანმიოვანი  
(ს > ზ), შემდეგ კი დაიკარგა. ერთ შემთხვე-  
ვაში იმას ხმოვნის ასმილაციაც დაემატა: რა-  
ის-და > რე-იზ-და > რეიზა; იმ-ის და >  
იმი-ზ და > იმიზა:

რა ვივიგლახობას ამიზა იმას აყენებენ,  
ვინ იცის? ე. ნინოშვილი, კერძო წერაილი,  
ტ III, 74;

„იმიზა აპატივა“: „ჯანყი გურიაში“, 44.  
„უზახის ოქას რეიზა გვერდით“, იქვე, 72.  
ასეთივე რთული ფონეტიკური ცვლილე-  
ბის — ხმოვანთა დამსგავსების და თანმიო-  
ვანთა ამოყარდნის — შედეგია კთხეთითი  
ნაცვალსახელის რამდენის მნიშვნელობით გავ-  
რცელებული ფორმა რეთი: რაერთი > რეერ-  
თი > რეთი „შენ რა იცი, ბესიას რეთი პატივე  
უცა ჩენი ოჯახისთვის“: „ჯანყი გურიაში“, 64.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ე. ნი-  
ნოშვილზე ადრე სხვას თითქმის არავეს აქვს  
ფიქსირებული ხმოვანთა სახეცვლილების ის  
ნიშნები, რომლებიც მიღებულია აღნიშნის  
სრულ რეგრესული ასმილაციისა და დისი-  
მილაციის სახელწოდებით. ორივე უს მოვ-  
ლენა, განსაკუთრებით დისმილაცია (განმს-  
გავსება) ხმოვნებში, ახასიათებს გურულსა  
და მის მომთავრევე დიალექტებს<sup>1</sup>, გამოიხატება  
იგი შემდეგნაირად:

1. ა+უ > (ოუ) უფ; 2. ა+უ > ეფ > იფ;  
3. ო+ე > ეფ > იფ;

1. წუხელ რომ დიდი ქარი იყო, ზალი-  
კის კარავთან მუზა მუფჯოჯია, დურატყამს  
კარავზე და ორივე ამხანავები... გუფჯოლე-  
ტია“: „პალიატომის ტბა“, 167.

„ძან კი გუწოლებია და გადმუბრუნებია  
დღი იმ ჯაჭვედა დედლს“... „გოგია უიშვი-  
ლი“, 129.

2. „რომ ნაპერწყალი დიფეს, დღიწობა“:  
„მოსე მწერალი“, 179.

„ქმარს რომ გიქცა“: „ქრისტინე“, 21.

„რა დიემართა, რომ არ ეიცი“: „სიმონა“,  
217; ასევე: „უცნაური სენი“, 154; „ქრისტინე“,  
17.

„რალა გიქცობა“: „პარტახი“ 54,1.

„კაცს რომ დიქმინება“ იქვე, 57,10.

„იქინეი ჩემი ყოფნა რომ შიგტყვენ“ იქვე-  
65,7.

3. „ისე კარქა წავა შენი ყოფა, რომ შენც  
არ მიელოდე“: იქვე.

ამგვარად, ეს ფონეტიკური თავისებურება-  
ნი უმეტესწილად ახასიათებს პერსონაჟების  
მეტყველებას, ასახავს გურულს ნამდვილ  
ვითარების მისი განვითარების გარკვეულ პერი-  
ოდში და, ამდენად, საინტერესოა ენათმეცნიე-  
რულად.

მორფოლოგიიდან ჩვენს ყურადღებას იქ-  
ცევს არქაული მოვლენები საბელა ბრუნ-  
ვაში. გურულს კერ კიდევ შემორჩენია სა-  
ხელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძემოყენის  
სახელებში. იგი დაცული აქვს ე. ნინოშვილს  
პერსონაჟების მეტყველებაშიც და საკუთარ  
ნაწერებშიც: მამი: „ქრისტინე“, 40;  
ძმა: „ჯანყი გურიაში“, 58; ზღვი: იქვე, 3.  
დრითი“: იქვე, 11.

ამათანავეა ვათანარებული ზოგჯერ საკუ-  
თარი სახელებიც: „სიმონა ხარ?“, „ქრისტინე“,  
38; „მანია გამოვა“: „ჯანყი გურიაში“, 100.

თუმცა ეს წესი ხშირად ირღვევა და ფუძე-  
მოყენის სახელებს ახალი სალიტერატურო  
ქართულის დაბოლოებით ეხედებით (მაგალი-  
თად: „ბესიის და უყვარს“: „ჯანყი გურიაში“  
11). ამის ანალოგიით იხსენება აგრეთვე კა (ყარ-  
გი) ფორმის ხმარება, გაერცელებული კაი  
ფორმის ნაცვლად: „კას აღარ დამართებდა“:  
„კაცია და გუნება“, 59.

გურულში ამ მხრივ თავისებური და ახლი-  
ის არის, რომ ბლოხმოვნანი სახელები  
ჩვეულებრივ ფუძემოყენილია (მღრ. ძმანი-  
მდიდარი, უმა-ის ძვალი...).

მაგრამ შემდგომი საფეხური უკვე ასმილა-  
ციით იძლევა ახალ ფონეტიკურ ვარიაციებს  
და ახალ ფუძეებს როგორც საკუთარ, ისე  
საზოგადო სახელებში: ძამიძე > ძამიე; ძამიე;  
ბესიანი ბესიე; ბესიეი. მაგალითები: ჩემი  
ძამიე; „ჯანყი გურიაში“, 108. ბესიე: იქვე-  
64; კოხიეი: იქვე, 11. „ბესიე: იქვე, 17.

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექ-  
ტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 119.

<sup>1</sup> ამგვარი ტენდენცია სხვა დიალექტებში-  
ცაა...

(გაგრძელება იქნება)



# ღომინიკა პრისტავ-განდევილი და ვაჟა ფშაველა

ქართულ ლიტერატურაში დღემდე შემონახული ერთი ლამაზი და საინტერესო მოვანება ვაჟა ფშაველას და მე-19 საუკუნის 90-იანი წლების პოეტი ქალის ღომინიკა პრისტავ-განდევლის შესახებ, რომელიც საკმაო ინტერესს აღვიძებს ჩვენი საყვარელი მწერლებს ურთიერთ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და მეგობრობისადმი.

„ჩემო კარგო ღომინიკა, საღამოს გამოვივლი და მზად დამხედი, სავერამოს უნდა ვესტუმროთ ილიას“, — სწერდა ვაჟა თავის უახლეს მეგობარს ღომინიკა ერისთავს.

ეს იყო აგვისტოს მიწურულში. თბილისში პაპანაჭება სიციხიანი დღეები იდგა. ყველა ქალაქიდან ვასელს ცდილობდა. ვაჟას ცხენებით გამოუვლია ღომინიკასათვის. სავერამოს მომდგარ ორ ძვირფას სტუმარს გაბრწყინებული თვალებით მიჰგვებია ილია, ხოლო ამ სტრათით აღფრთოვანებულ აკაკის ექსპროზიტად ლექსი უძღვნია ამაზონურ ტანისამოსში ცხენზე შეხედარ მშვენიერ ღომინიკასათვის, — ვკითხულობ ღომინიკას დის შვილიშვილს თინა აბაშიძის მოვარებაში.

განდევლის ქონდა იშვიათი უნარი ადამიანის შეცნობის, დაახლოებისა და მეგობრობისა. პოეტი ქალი თავის საზოგადოებრივ გაშლილ ხასიათის წყალობით, ადვილად უახლოვდებოდა ფაქიზ ბუნების და შალაი სულის მქონე ადამიანებს. იგი პატრის სცემდა ვაჟას. არ შეუძლია არ დაეთესებინა ამ დიდი ადამიანის ზეშთამავანებელი პოეზია და ღვაწლი თავის ერისა და სამშობლოს წინაშე.

განდევლის ესმოდა ვაჟასი, იგი რაღაც არაჩვეულებრივად ემწეობებოდა ვაჟას სულიერ მღელვარებას. ესმოდა მისი და ცდილობდა კიდევ ახლო მდგარიყო ამ გენიოსის ცხოვრებასთან. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ქავეკავიძის შემდეგ განდევილი იყო ის მეორე ადამიანი, ვაჟას ის უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩასწვდა მის სულიერ სიღრმეს.

ილია ქავეკავიძის შემდეგ ვაჟას უახლოესი ადამიანი, მისი შესაიღუმლე, მისი მეგობარი და მეორე ღომინიკა ერისთავ-განდევილი იყო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საკმაო წლების

მანძილზე არც ერთ ჩვენ ქართველ მოღვაწეს, გარდა ილია ქავეკავიძისა, არ გაუწეოდა ვაჟა ფშაველასათვის ისეთი დიდი მეგობრობა და სამსახური, როგორც ამ მხრივ გაუწია მის განდევილმა.

პატრიოტ ქართველ ქალს, კეკელიძისა და შორსმჭვრეტელ განდევლის არ გამოჰპარვია ვაჟას ცხოვრების ის მძიმე პირობები, რომლებშიაც უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა ჩვენ პოეტს. მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ვაჟას მატერიალური გაჭირვებისათვის, რომელიც ქიანავით ღრღნიდა ჯანით მავარსა და გაუტეხულს, მავარს სულით ფაქიზ პოეტს. განდევილი ახლო იდგა ვაჟას ცხოვრებასთან, იცოდა მისი მოკრძალებული ხასიათი, იცოდა ისიც, რომ ვაჟა ძნელად თუ ვისმეს შესჩივლებდა თავის უმწეო მდგომარეობას და გაჭირვებას, ამიტომ მისთვის სრულიად გასაგები იყო პოეტის შინაგანი სულიერი ტრავმაც.

აი, სწორედ ეს იყო ის მთავარი მიზეზი, რომ განდევილმა შეაკრძალ დააუგნა საკითხი ქართველი საზოგადოების წინაშე ვაჟას 35 წლის იუბილეს გადახდის შესახებ.

განდევილი იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც დაბეჯითებით მოითხოვა ჩვენი სახელოვანი მწერლის — ვაჟას იუბილეს გადახდა და ოფიციალურ პრესაში 1913 წელს ვაჟა „თემში“ მოათავსა თავისი შესანიშნავი წერილი ასეთი სათაურით: „მოგონანი ვაჟა-ფშაველა და მისი 35 წლის მოღვაწეობა“. ეს უდავოდ საინტერესო მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. პოეტმა ქალმა ყველას მოაგონა სამშობლოს სამსახურში დაღლილი ვაჟას დიდი სახელის შესახებ.

ვაჟას მაშინ აღარ ჰყვავდა თავისი მოქონაგე ილია, აღარ იყო ის, ვისაც უნდა ეზრუნა მისი ცხოვრების გაუმჯობესებისა და პირობების შექმნაზე, ვისაც თავის ხელით უნდა დაედგა დაფინის გვირგვინი, ამიტომ ამ საკითხზე ხმის ამოღება წილად ხედა ვაჟას უახლოეს მეგობარს — განდევილს.

განდევილმა შესანიშნავად შეასრულა ეს მისია. მისმა სტატიაში ვაჟას იუბილეს ჩატარების შესახებ ალაპარაკა ჩვენი ქართველი საზოგადოება.

გაზეთ „თემში“ განდევნილი წერდა: „რომელ-  
მაც ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშავე-  
ლა, სადაც იხსენიება საგანი ჩვენი მწერლები-  
სა, დედამამისა ილიასი და აკაკის, იქ შეუძ-  
ლებელია ვაჟას სახელიც არ იქნეს მოხსენიებუ-  
ლა.“

ვაჟას იცნობს და ეცნობა, როგორც ახლად  
აზნაისის სწავლას დაწაფებული, ისე სწავლა  
დამთავრებული ქართველი. მის ნიჭს ღირსეუ-  
ლის პატივისცემით იხსენიებენ, ვაჟას შემოქ-  
მედებით ნიჭზე კითხულობენ ღმერთებს, ვაჟას  
მონაწილეობით გამართულ საღამოებს, განსა-  
კუთრებული სურვილით ეტანება ქართული  
საზოგადოება და სხვა.

ამ მხრივ ღირსეული ხეყდრი ერგო საყვი-  
რელ მგოსანს.

და მართლაც, არ შეიძლება დიდი საყვარე-  
ლით არ ეპყრობოდეს კაცი იმ ადამიანს, ვინც  
ასეთი მშვენიერებით შეაკავშირა მთისა და  
ბარის სულის სწრაფვა, ვინც ნათლად ვადა-  
გვიშალა მთის შვილია ფიჭვი და გული,  
გვამცნო იმისი ვითარება, ვადმოგვცა „მთათა  
ფიჭვები“ — იმ მთათა, რომელთაც შეგვიძინეს,  
სასიქაღელი უაზბეგი და სამი ძმანი რაზაჯა-  
შვილები, ვაჟა, ბაჩანა და თედო.

მე კრიტიკოსის როლს არ ეკისრულობ, რად-  
გან ჩემი წერილის საგანი სულ სხვა რამ არის.  
ეიტყვი მხოლოდ, რომ ვაჟა ისეთი მგოსანია,  
რომელიც მართოდენ სიამოვნებას ეს არ  
აგარძნობინებს მკითხველს, არამედ სიამოვნე-  
ბასთან ერთად ჩააფიქრებს, შეაზერებს, ახევეს  
აზროვნებას... რომელი შეგნებულა მეთხველი  
არ დაუფიქრებია იმის „გოგოთურ და აფში-  
ნას“, „სტუმარ-მასპინძელს“, „ხველის მშამელს“,  
რომელიც საესენი არიან არა მართო უმაღლე-  
სი პოეზიით, არამედ აზრთა სიღრმით. თავისე-  
ბურებას მშვენიერებით. ვის არ აუტოყვებს  
გულს მისი „მახტრიონი“, რომლის დასაწვის-  
შიაც ასეთის მხურვალე გარძნობებით შექადა-  
დებს მგოსანა ძვირფას სამშობლოს მხარეს.

ვაჟა მწერლობას შეუდგა 1877 წლიდან და  
მისი მადლიანი კალამი ერთგულად ემსახურე-  
ბოდა თავის ქვეყანას. არ არის და არც ყო-  
ფილა ჩვენში არც ერთი დრო, გამოწვევით  
პროგრესული ვაჟაფშაველასა, რომელმაც ვა-  
ჟას მხურვალე მონაწილეობა არ მივლია და  
თავის ღვთიით კერძოების ნიჭით არ დაეკ-  
მევებინოს იგი.

ვაჟა ფშაველათი ვამაყობთ ჩვენ მისი ქვეყ-  
ნის შვილები. ვაჟა გვიყვარს, მოწინააღმდეგე-  
ობის ნიჭებით მის სახელს, აღტაცებით კეთილ-  
ღობით მის ნაწარმოებს და ამას ვერ ვავიცი-  
ბიყვართ.

დრო კი არის, რომ ეს ჩვენი მართლაც გულ-  
წრფელი სიყვარული, საქმით ვაჩვენით მგო-  
სანს, დაუტყციოთ, რომ ჩვენ შევიფიქრეთ ეს

დიდებული პიროვნება და ღირსი შვილები ვართ.  
ღირსეული მოაზრება ვამისა.

აი, ამისათვის მსურს ჩემი აზრი ვაქვეყნებო  
ქართველ საზოგადოებას, რომლის იმედს მაქვს.  
დღეს მაინც ამოიღებს ხმას და სიჩუმის წყვილ-  
ადით არ დაეარგავს, სასიძულელი მგოსანის  
შარავანდელით მოხილ ღვაწლს. საკვირა ვაჟა-  
ფშაველა ნივთიერად უზრუნველყოფილ იქნეს...

შესაძლებელია სთქვან — ნახევარი საუკუნეა,  
მწერლის სავალდებულო ვადათ დადებულით,  
ვაჟამაც მოგვიადოსო კიდევ თხუთმეტი წე-  
ლიწადი და მერე ვიხეიძოთ იმისი იუბილეო.

ეს ასეც უნდა იყოს, თუ ვისმსათვის სა-  
ჭიროა 25-30 წლის იუბილე ეს უწინარეს ყო-  
ლისა მწერლისათვის უნდა იყოს დადგენილი,  
რადგან ამ ასპარეზზე მოღვაწეი იშვით შემო-  
ხვევაში მიაღწევენ ამ ხანას.

ამ ოცი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამი-  
მწერლის იუბილე იღვწისსწავლეს ქართველე-  
ბმა, რაფიელ ერისთავის, აკაკის, ე. ვაშაშვი-  
ლის. სამჯიგროდ დიდი აშბით დავმარბთ-  
ილია, ვაზბეგი, ნინოშვილი, გიორგი წერეთე-  
ლი, ოსიკო ცაგარელი და ბევრი სხვა. დასაფ-  
ლავებაში ჩვენ უფრო მდიდარ ერებსაც არ  
ნათვრებოთ.

მართლაც, ჩვენ დროში, ოდესღაც უარესი-  
ყოფილა, როგორც ჩვენში, ისე დაწინაურე-  
ბულ ქვეყნებში, მაგრამ დღეს მხოლოდ ჩვენ-  
ში შეიძლება მოხდეს ეს, რომ ისეთი დიდი-  
მგოსანი, როგორიც ვაჟა ფშაველაა, არა თუ  
უზრუნველყოფილი არ არის, დიდ ნივთიერ-  
ნაკლავებაში განიცდის და ხმას არაინი იღებს.

ვაჟას შეეძლო უზრუნველყო თავისი თავი-  
ცოლ-შვილით, ამისათვის ჯანიც შესწევდა და-  
სწავლაც, მან კი, ქვეყნის სამსახურს ანაცვალი-  
საკუთარი ბედნიერება. მიეკლდა მშობლიერ-  
ერს, მას ამკობს, უმღერის, ისე ვით მიჯნერი-  
კველუც სატრფოს.

მე მივმართავ მგოსნის სატრფოს სამშობ-  
ლოს, მივმართავ ვაჟას პატივმცემელთ, მივმარ-  
თავ წ.-კ. გამაერცლებულ საზოგადოებას და  
განსაკუთრებით ახალგაზრდა საქართველოს.  
დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმის მოვლერებას, თუ  
რა ვეარად უზრუნველყოფნა ჩვენი საყვარელი  
მგოსანი. მატონებო, თქვენი კარგად მოგვსენ-  
ებათ, მწერლობა, იმეტრო კი არ სწერს, რომ  
მადლობას და ქება დიდებას ელოდება ვისგან-  
მე, მაგრამ თუ მწერლის ცხოვრება ისე არის.  
მოწყობილი, რომ ყოველი ღვების ნაბიჯზე წინ  
ელოდება ათასგვარი ვაჭირებულება, იგი ვერ შექმ-  
ნის ისეთ საგანძურს რასმეს, რითაც არა მარ-  
ტო მშობელი ერის, არამედ მთელი კაცობრიო-  
ბაც სისაფრებლდება.

ვაჟამ ბევრი რამ დაუფასებელი განძი შექ-  
მენა ჩვენ მწერლობას და აქ მას ხელი შეუ-  
წყო თავისმა უდიდესმა სულღერმა ძალამ:

სხვა მის პარობებში ჩაქლავდა, დაახშობდა ცოთ ბოძებულ ნიქს.

ნათქვამია, შინ რომ ცოლ-შვილი სიმშლით ვიწყდებოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი იქვსო. ნუ დავაგვიწყდებათ, რომ შვოსანს ვინც უნდა იყვნენ იგი აქვს თავის საყვთარი კერპო მოვა-ლეობა, თავის საყოველღაობა ზრუნვით თავისი „მე“ — რომელსაც გულგრილად ვერ აუვლს გვერდს. ესეც რომ არ იყოს, სულ სხვაა ოცი წლის ქაბუკი და სხვაა ამდენი ხნის მოამიგვე, რომლის სულს ნულ-ნულა ღრღინის ის უხილავი ძალა, რასაც ფიქრი და ზრუნვა ჰქვია.

შვოსანმა რომ უარპყოს თავის საყვთარი „მე“, ჩვენ ვერ აუვლით ვერცხვს ვეფას საარსებო საკითხს, რადგან უზრუნველყოფა ვეფასი, უზრუნველყოფა იქნება ჩვენი პოეზიისა.

ამიტომ ჩემი წერილით მოუწოდებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რათა შეუშუბუქონ მძიმე ტვირთი დიდ შვოსანს და საშუალება მისცენ, უფრო გულდასმით, გაშალოს მთის არწივმა თავისი ძლიერი ფრთა ჩვენდა საამაყოად.

ვთხოვ ყველა ჩვენ რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ პატრეცემულ გამოცემებში ეს ჩემი მოწოდება.

ამ შესანიშნავი წერილის შემდეგ არ შეიძლება ყოფილიყო ორი ახრა. ქართველი საზოგადოება აღაპარკდა ქართველი პოეტის — ვაჟა-ფშაველას 35 წლის იუბილეს ჩასატარებლად.

ამრიგად, ვაჟის თავის სიციცხლეშივე ეღობრა გამთბარიყო ქართველი ხალხის სიყვარულოთ.

1915 წელს, როცა ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი საყვარელი მწერლისა და პოეტის ვაჟა-ფშაველას 35 წლის იუბილე, ამან დიდი სიხარული შეიტანა ვაჟის ცხოვრებაში.

ვინ იტყვის, რომ ეს საპირო არ იყო ისეთი დიდი მწერლისთვის, როგორც ვაჟა იყო. ცხადია, პოეტმა ქალმა ამით დიდი საქმე გააეფთა, ეს სრულიად საქმარისია იმისათვის, რომ განდევნოს სახელი ვაჟის გვერდით იხსენიებოდეს.

განდევნილი იმდენად პატრეს სცემდა და ეფასებდა ვაჟა-ფშაველას, რომ მას საყვთარი მოთხრობაც კი მიუძღვნა („გვირგვინი“), რომელშიაც შესანიშნავად მოგვცა ვაჟის სრულყოფილი პიროვნება.

ამ მოთხრობაში განდევნილმა დახატა ფუფუნებაში, ოქროსა და თვალმარგალიტში ჩამჯდარი ქალი, რომელიც თავისი სილამაზით მზესაც კი ეჯიბრება, მაგრამ ქალი უხელოა, მას არ აქვსაყოფილებს სიმდიდრე და მარმარლოს კოშკი, არც ფუფუნება და განც-

ხრომა, იგი ეძებს ბუნებრივობას, სიყვარულს, აი, როგორ მიმართავს მასთან მწებვედრილ ქაბუქს.

„სამეფო პალატა, რომლის შებენებლათაც მე ვიყავი, ჩემთვის იყო გაუქმებული ტაძარი, საიდანაც საღმრთო ღაღადის ნიცილად სისინყიანი მესმოდა. გარს შემორტყმული ამაღა შეჩვენებოდა მიცვალებულ მატრეებათ, ამ უსურთო მატრეთა შორის დაეხებებოდი მე და არ ვიცოდი, სად მიმყარდნო ტანჯული თავი. ამ დროს უცებ შემომესმა საღამურის ხმა და ჩემმა გულმა ისე იწყო ცქრიალ-ფრთქილი, თითქოს საღამურის დამკერვი ჩემი გულის სიმეხს შეეხო და აამკერვსარა. გამოჩნდა კიდევ ახალგაზრდა მწყვმსი... ჩემმა ობოლმა სულმა აქ იბოვი სამუდამოდ განსასვენებელი ბინა — თავი მივაკრუნე ახალგაზრდა მწყვმსის მკერდს და როდესაც იმის ბავე ჩემსას შეეხო, მეგონა ჩემთვის უხილავმა ციურმა ძალამ ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადამტყორცნა მეთქი და დღეს ჩემს სატრფოს ხელით დაწულ უბრალო გვირგვინს, არც ერთ სამეფო გვირგვინზე არ გავცვლი.

ჩამობნეულა... მისწყდა ქვეყნიური ძრამული, ბუნებამ საიდუმლო ჩურჩული შეტქნა, მაგრამ დაუდგვარ სიოს, მაინც არა დაადგა რა ენაზე, ჭორიანა დედაკაცივით გაიძრა-გამოძვრა და ვის რა არ მოუტრინა ვინ იცის.

„რას ოხრავ მეფე, ქვეყნის დიდება ხომ შენ ხელთ არის, — ჩამომხაზა ვილაყამ.

— არაარაობა — დე სხვამ იხაროს ამ დიდებით, მე კი, მხოლოდ ვაზის ვეირგვინი მენატრება.“

ამთ პოეტ ქალს უნდოდა ეთქვა, რომ ვაჟის არასოდეს არ უძებნია ფუფუნება და განცხრომა, ოქროს ვეირგვინი და სახელი, რომ ვაჟა ისეთივე სპეტაკი და სუფთა იყო, როგორც მისი მალაი იდეური შემოქმედება.

მართლაც, როგორც კარგად უნდა სცილდოდა განდევნილს ვაჟის ბუნება, როგორ უნდა ჩასწყდომოდა მის სულიერ სიღრმეს, რომ ასე შესანიშნავად დაეხატა ვაჟის ხულის სარკე.

არც ვაჟა-ფშაველა დაჩინილა განდევნილის ვალში.

1915 წელს მან შესანიშნავი ლექსი გაუგზავნა განდევნილს „პასუხად“ (განდევნილსა და მისი მღვიმელს), რომელშიაც გულწრფელად გამოხატა ქართველი პატრიოტი ქალასადამი სიყვარული და პატრეისცემა.

მაგრამ რატომ დაუკავშირა ვაჟამ განდევნილის სახელს შიი მღვიმელი ესეც სრულიად ბუნებრივად მოხდა. ეს სამი შესანიშნავი მოღვაწე ერთად იბრძოდა ჩვენი იმდროინდელი ჩამორჩენილ საბავშვო ლიტერატურის ფრონტზე.

შთი ნაწერები მრავალი წლის განმავლობა-



ში იბეჭდებოდა ერთად ჩვენს საყვარელი ურნალეზში და მათ გარკვეული წვლილი შექ-  
ქონდათ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის გან-  
ვითარებას საქმეში.

1915 წელს შიო მღვიმელი სწერდა ვაჟას,  
ქალაქში ჩამოსულიყო და მისთვის გამართულ  
დილაში მონაწილეობა მიეღო.

შიო მღვიმელთან განდევნის აკავშირებდა  
აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები.  
შიო იმდენად აფასებდა საკმაო ირუდიციის  
მქონე ნიჭიერ პოეტს ქალს, რომ მას თავიხი  
საკეთარი ლექსი — „მუხივარიც“ კი მიუძღვნა.

ვაგარამ, ჩასაკვირველია, ვაჟას ლექსი — „მა-  
სუხად“ განდევნისა და შიო მღვიმელს არ შე-  
მოფარგულა წმინდა ლიტერატურული საკით-  
ხებით, მას საფუძვლად დაედო უფრო დიდი  
იდეა, როგორც იყო საქართველოს მომავალი,  
მასზე ფიქრი და ზრუნვა.

1915 წელს ვაჟას შესანიშნავმა ლექსმა „არ-  
წივი“ დიდებული სურათი გადაშალა იმდროინ-  
დელი საქართველოს უწუგვეთ ყოფისა.

სტრიქონებში და ჩვენი ცხოვრების მწარე  
სინამდვილემ უკარანხა შიო მღვიმელს, გამოხ-  
მატრებოდა ვაჟას და ომბახანად შეეძახა „არ-  
წივის“ ავტორისათვის:

ვაჟავ, დაჭრილი არწივის  
წვლულს დღითი დღე მრთულდება,  
ყვავ-ყორნებს ისევ ფრთას სცემს  
და ბნელი ღამე თენდება,  
ლომის და ვეფხვის ნაშობი  
განა მგლად გადაშენდება?!  
სალა კლდის მაგარ ნაბრალებზე  
არწივის ბუდე შენდება.

შიო მღვიმელის პასუხით ანთებულმა ვაჟამ,  
რომლის გვერდით იდგა ამ დროს განდევნილი  
თავის თავდადებული პატრიოტული საქმიანო-  
ბით, გადაწყვეტინა ვაჟას, ლექსით გამოლაპა-  
რაკებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდე-  
ების მატარებელ განდევნისა და შიო მღვიმელს.

ამიტომ განდევნილისა და შიო მღვიმელისადმი  
მიძღვნილი ვაჟას ლექსი „მასუხად“ (განდევნისა  
და შიო მღვიმელს) შესანიშნავი ლიტერატუ-  
რული დოკუმენტია მათი ურთიერთობის გასა-  
ცნობად:

კარგებო, თქვენი ძახილი  
ბარით შამესმა მოაშია,  
ფეხის ფრჩხილებში გაეონა,  
ჯეროლამ დაკრულმა თავშია,  
ძვირფასს მიუწყებთ ამბავსა,  
ჩამოგარდნილს ხალხშია:

გამართულად წვლულები  
არწივს დაკოდილს მხარშია,  
დაუფანტია ფრინველი  
მომავლებულსა მელაშია,  
რომ დასეოდნენ უმსგავსნი  
ლაღლით დაჭირლს ზნაშია,  
„უჭურველივით ყაშუაშებს,  
ცხადათ უცანიით ხმაშია“.  
უკეთეს ვინ რას მხარებს,  
თქვენ გენაცვალეთ თქმაშია!  
ავაესეთ ია-იარღითა,  
დაპბრლით იმათ თელაშია!  
სწყადეთ და ვერ უღიოდეთ,  
ოფლი ვღიოდესთ წყეაშია!  
ისე სტურადეთ ყეთილში,  
ვით კოჭვის პირი ზღვაშია!  
ერთი ათასად გადვიტე  
მზედევლობაში, ჯანაშია:  
ყორნის ფრთა-ბიოლოდ ქცეულა  
თეთრი, ნარევი თმაშია, —  
მოხუცი კაცი ჯეილად  
ჩაუწერებარე ცაშია,  
აწ გლოვა აღარ მჭირდება,  
აიარც დამალვა სახლშია.  
ერთი რამე მაქვს სათქმელი,  
იქნებ დაგიჯდეთ ჭკვაშია:  
მკერდში არავინ დაგიჭკას  
გპირი, დაჭრილი მხარშია.  
და დღეს კი გამორჩენილი;  
ჭკვა მოვიგროვით თავშია,  
არ გადაშეკცეს არმადა  
სიცოცხლე მთა და ბარშია.

ვაჟას სწამდა და სჯეროდა საქართველოს  
დიდი მომავალი. მას არ შეეძლო არ დაენახა  
კაპიტალიზმის სწრაფი აღმავლობა და ის სოცია-  
ლური ძვრები, რომლებიც ხდებოდა ამ დროს  
ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

ამიტომ აღფრთოვანებული ვაჟა შიო მღვი-  
მელსა და განდევნის სიხარულით ულოცავს  
ჩვენი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგ-  
ნების გაღვივებას: „უკეთეს ვინ რას მხარებს,  
თქვენ გენაცვალეთ თქმაშიაო“. რას უნდა ვეუ-  
ლისსიმბდეთ აქ, თუ არა ქართველი ხალხის  
დარაზმვას და შეკავშირებას ილია ჭავჭავაძის  
გარშემო.

ვაჟას ერთი წუთით ეჭვი არ ეპარებოდა იმა-  
ში, რომ საქართველო კვლავ აღდგებოდა და  
ქართველი ხალხის ცხოვრებაც ბრწყინვალე მო-  
მავლის გზით წარიმართებოდა.

ასეთი იყო ჩვენი საყვარელი მწერლების —  
განდევნილისა და ვაჟას საზოგადოებრივი ურთი-  
ერთობა, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო  
სამშობლოს ეროვნულ გრძობისათან და საქარ-  
თველოს დიდ მომავალთან.



პროფ. ალ. შირხალაიშვილი



## XVIII საუკუნის მოსკოვის ქართულ კოლონიის ისტორიიდან

მრავალი რამ არის ცნობილი მეფე ვახტანგის VI-ის და მისი ოჯახის წევრებისა და, საერთოდ, მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ XVIII საუკუნეში, მაგრამ ეს ჩვენი ცოდნა ვერ ამოწურავს ამ მრავალმხრივ საქმიანობას, რასაც კოლონიის წევრები მოსკოვში თუ სხვაგან ეწეოდნენ.

ჩვენ მოგვებოვება ცნობები ვახტანგ VI-ის სამი ვაჟის — ბაქარის, ეახშტის და პაატას შესახებ; მეოთხის — გიორგის შესახებ კი აქამდე თითქმის არაფერი ვიცოდით.

გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონის შესახებ მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებს იძლევა „Санктпетербургские ведомости“. პ. გ. ბუტკოვის თავის „მასალებში“ მოტანილი აქვს ამ ვახტანგის 1742 წლის ნომარიდან შემდეგი აღვლილი: „4 ოქტომბერი. ქართული ბატონიშვილი გიორგი დაბრუნდა ფინეთში კაპანიის კეთილად დამთავრების გამო (იგულისხმება ომი შვეიცარიასთან 1741-1743 წ. წ. ა. ფ.) იგი იყო ფლოტიში“<sup>1</sup>.

გიორგი ბატონიშვილის რუსეთ-შვეიცარიის შინაომების შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე ნ. შილიცკის ნაშრომში<sup>2</sup> და სოლ. ყუბანეიშვილის მიერ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ დოკუმენტებში<sup>3</sup>. დასახელებულ ომში შედეგის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ჰესართა პოლიც. ამ ლაშქრობიდან დაბრუნების ერთი წლის შემდეგ, ვ. ა. 1743 წელს, გიორგი ვახ-

ტანგის ძე იხსენიება გენერალ-მაიორის ჩინში<sup>1</sup>.

1747-1748 წ. წ. ბატონიშვილი გიორგი ვახტანგის ძე მონაწილეობასღებულობდა 30-ათასიანი დამხმარე კორპუსის ლაშქრობაში რეინ-ზე. ამ ლაშქრობას სარდლობდა გენერალ-ან-შეფი ვ. ა. რეზნინი. გიორგი ვახტანგის ძეს დაეკუთვნება მეთაურობა მთელი საგალერო (ნიჩხიანი) ფლოტი, რომლის რეზნინიც თვით იწვებოდა და რომლითაც იგი კრომშტადტიად მიტყავს (ქვრლანდია) გადასამდია დამხმარე 5 პოლკს (დაახლოებით 7.000 სულს).

პეტრე I-ის შემდეგ ნიჩხიანი, საგალერო ფლოტი მოძველდა და ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ გიორგი ვახტანგის ძემ იგი აღადგინა და სწრაფად მოაგვარა ჯარისკაცების გადასხმის საქმე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> «В Санктпетербурге, 10 марта. Генерал-майор грузинский царевич Георгий» («Санктпетербургские ведомости», № 20, от 10 марта 1743 г. об. Бутков «Материалы для новой истории Кавказа с 1772 по 1803 г.» СПб, 1869 г., ч. 1, стр. 539).

<sup>2</sup> 1747-1748 წ. წ. რეინის ლაშქრობაში, — ვ. ა. ოში ავსტრიის სამეციდროსათვის, — რუსეთი, ინგლისის მოთხოვნით, 1747 წლის კონვენციის ძალით და ავსტრიასთან 1746 წ. დადებული ხელშეკრულებებით, თითქმის ინგლისის მეფის სამფლობელოს, პანოვერის დასაცავად გამოვიდა საფრანგეთის და პრუსიის წინააღმდეგ. ინგლისისა და ავსტრიისათვის რუსი ჯარისკაცების მიშველების ოპერაცია მიმდინარეობდა ვეფსიო, რომელიც შედგენილი იყო ოქროის სამხედრო ავტორიტეტის გენერალ-ფელდ-მარშალ პ. პ. ლასის მიერ. დამხმარე კორპუსის მთავარსარდალი ვ. ა. რეზნინი კი იყო უშუალო აღმსრულებელი ამ ვეფსიოს. ვ. ა. რეზნინი, როგორც ჩანს, არ თანაუფრთხობდა ამ ავანტიურას. მოკავშირეებმა — ინგლისელებმა და ავსტრიელებმა — უჩიველს მას და მან სამხედრო კოლეგიისაგან საყვედურიც კი მიიღო ჯარების ნელი მიმოძრაობისათვის. საქმე სამხედრო მოქმედებაზე არ მისულა; მებრძოლი მხარეები დაზავდნენ (ახენის ზავი 1748 წ.) და რუსეთის ჯარისკაცები დაბრუნდა (იხ. С. Соловьев, История России в царствовании имп. Елизаветы Петровны, т. II, М., 1872 г. стр. 176—263).

<sup>1</sup> «В Санктпетербурге, 4 октября. Грузинский царевич Георгий возвратился по счастливом окончании кампании в Финляндию. Он был на флоте» («Санктпетербургские ведомости», № 80, от 4 октября 1742 г. об. П. Г. Бутков, «Материалы для новой истории Кавказа с 1772 по 1803 г.» СПб, 1869 г., ч. 1, стр. 539).

<sup>2</sup> Описание войны между Россией и Швецией в Финляндию в 1741—1742 г.г., СПб, 1859 г.

<sup>3</sup> სოლ. ყუბანეიშვილი «დავით გურამიშვილი და ქართული ჰესართა პოლიც», თბ., 1955 წ., გვ. 81.

ამ ოპერაციის დროს გიორგი ვახტანგის-ძე ბატონიშვილის ენერგიულ მოქმედების შესახებ მოგვიხსრობენ მისივე პატაკები გაგზავნილი სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში; პატაკები დაეღლია სათანადო საარქივო საქმეებში<sup>1</sup>. ამ პატაკებიდან კარგად ჩანს, რომ გიორგი ვახტანგის-ძე ბატონიშვილი იყო სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნე, მამაცი მებრძოლი, თავის მეორე სამშობლოს დიდი პატრიოტი, ჯარისკაცებზე შურუნველი და სხვა ღირსებით შემკული პიროვნება.

გიორგი ბატონიშვილის მიერ თავის ხელშეწოთ ჯარისკაცებზე ზრუნვის შესახებ მერტყეულობის ის პატაკი, რომელიც დაუნდობლად ამხელს სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში ჯარისკაცთა უღუფების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევებს<sup>2</sup>. 1747 წლის მხოლოდ რამდენიმე თვეში გიორგი ბატონიშვილს 50-მდე პატაკი წარუდგენია. ამ პატაკთა უმრავლესობა ძალზე მოკლეა.

ბატონიშვილის ასეთი პიროვნული ღირსებები იხსენება ის, რომ თითქმის მის ყოველ მოხელას და წახლას, როგორც ზემოთ დაივინახეთ, აღნიშნავდა «Санктпетербургские ведомости»<sup>3</sup>.

რეინის ლაშქრობაში გიორგი ვახტანგის-ძე ბატონიშვილიან ერთად მონაწილეობას იღებდა მეორე ქართველი ბატონიშვილი — ათანასე ლევანის-ძე, რომელიც შემდეგ მოაკოვის კოშენდანტი იყო. ათანასე ლევანის ძე იყო ვახტანგ VI-ის ძმა, ე. ი. გიორგი ვახტანგის-ძის ბიძა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 1/47, св. 71, д. № 2, 1774 г. на 281 л. л.; ф. 20, оп. 1/47, св. 71, д. 3, 1774 г. на 277 л. л.; ф. 20, оп. 1/47, св. 75, 1748 г. на 236 л. л.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 1/47, св. 71, д. № 2, 1747. Рапорт ген-майора царевича Георгия Грузинского в Военную коллегию от 31 мая 1747 г., л. 121 об.; и от 6 июня 1747 г., л. 273.

<sup>3</sup> Бутков, ხსენებული შრომა, ნაწ. I, გვ. 500-501; ნაწ. III, გვ. 453. ათანასეს ყვადს ორი შეღი: ანტონი და ანა (Бутков, ч. 1, стр. 501). „1762 წ. 22 სექტემბერს ქართველ ბატონიშვილს ათანასეს, გენ-მაიორს და მოსკოვის კოშენდანტს ებოძა წმ. ანას ორდენის კავალერობა“ (Дм. Бантыш-Каменский «Историческое собрание списков кавалерам четырех российских императорских орденов...» М., 1814 г. გვ. 301). ათანასე ლევანის ძე გარდაიცვალა 1784 წ. 31 მარტს, ეპიტაფიაში (იხ. «Путеводитель к древностям и достопримечательностям московским...», ч. IV, М., 1798 г., გვ. 91. მის შესახებ ნათქვამი: «1784 г. марта 31, ген.-поручика и кавалера грузинского царевича Афанасия Грузинича. Жития его было 77 л.».

გიორგი ბატონიშვილის საფლოტო მოღვაწეობა იმის მოწმობს, რომ ის განათლებით მეზღვაური იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფ. ფ. უსუვლავის მიერ 1853 წ. შედგენილ ნაშრომში — «Очерки истории морского кадетского корпуса с приложением списка воспитанников за 100 лет» — იგი რატომღაც არ არის მოხსენიებული.

შეიძლება ითქვას ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული მისაღებდან ეგზეტობით, რომ გიორგი ბატონიშვილი მონაწილეობას იღებდა ამ ომში და რომ იგი, იმპერატორ ელისაბედისა და მთავარსარდალ გრაფ. ე. ე. ფერსორის ბრძანებით ასრულებდა ფრიად საპასუხისმგებლო და მძიმე დავალებებს<sup>1</sup>.

ახლახან გაბდა ცნობილი აგრეთვე «Московские ведомости»-ს «დამატებებში»<sup>2</sup> გამოქვეყნებული მეტად საინტერესო ნეკროლოგი, მიძღვნილი «უგანათლებლეს გენ-ანშეფის, წმ. ალექსანდრე ნეველისა და ანას ორდენების კავალერის საქართველოს ბატონიშვილს გიორგი ვახტანგისძისადმი».

ამვე ეპილეტი ამ ნეკროლოგის შინაარსს: ბატონიშვილი ავად გაბდა 1786 წ. 1 სექტემბერს და გარდაიცვალა იმავე წლის 19 დეკემბერს, 77 წლის ასაკში<sup>3</sup>.  
«ვერც მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, ვერც

<sup>1</sup> «Семилетняя война» С предисловием и под руководством проф. Н. М. Коробкова, М., 1948 г., გვ. 400, 402, 512.

<sup>2</sup> № 1, 1787 წ. 2 იანვარი. გაზ. «Московские ведомости» დაარსებულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ 1756 წ., იყო მისი ოფიციალური ორგანო. მრავალი წლის განმავლობაში იგი ცარისტისა და შემამულე-მებატონე იდეოლოგიის გამომხატველი იყო, ვარდა 1779-1789 წ. წ., როდესაც გაზეთი იჯარით ჰქონდა აღებული დიდ რუს განმანათლებელ ლ. ა. ნოვიკოვს, რომლის ხელში გაზეთი იყო თავისი დროის საუკეთესო, პროგრესული და წამყვანი გაზეთი — XIX ს. 50-იან წ. წ. ბოლიდიან შეწუდა კავშირი მოსკოვის უნივერსიტეტისა და «Московские ведомости»-ს შორის, რის შემდეგ «М. в.» გამოიცემლობა გადავიდა უკიდურეს რეაქციონერ გამომცემლების ხელში. (Б. С. З., გამოც. II, ტ. 28, გვ. 405).

<sup>3</sup> «Путеводитель к древностям и достопримечательностям московским» ნაწ. IV-ში მოყვანილ მონაცემებით (იხ. გვ. 92), გიორგი დაიბადა 1712 წ., გარდაიცვალა 1786 წ. 19 დეკემბერს, დაბადებიდან 74 წლის, 4 თვისა და 17 დღის. ნეკროლოგში კი წერია, რომ გიორგი გარდაცვალებისას იყო 77 წლისა. შეიძლება აქ ადგილი აქვს ბეჭდვითის შეცდომას, აქ «4» ადგილად შეიძლება მივიღოთ «7»-ად.

მისმა სისტემამ ვერ გაატეხა მისი სულიერი სიმტკიცე“. აზიარა და ზეთი უკრთხა ქართველმა გრიგოლი არქივისსკოპოსმა.

ბატონიშვილთან უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ფეხმოუცულოდ იმყოფებოდა მისი ნათესავი თავიად დიმიტრი ვესვის-ძე (ესეს-ძე) ციციანოვი (ციციშვილი).

სიცილიოს წინ გიორგი ვახტანგის ძემ მოითხოვა საათი, დახედა თუ არა მას, ჩამოართვა ხელი ციციშვილს და უთხრა: „მოვიდა ჩემი გამყვანებას ეამი“. შემდეგ ვასცა უკანასკნელი განკარგულებები მეწყვიდრეობის შეკახება და უსურვა რა ყველას სულიერი სიმშვიდე, ვარდალად დასაფლავება მოხდა 23 დეკემბერს.

განსვენებულს გააჩნდა იშვიათი პიროვნული ღირსებები, რათაც მან ყველასაყვარული და პატივისცემა დაიმსახურა; ამიტომაც ბერი გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამდა: „ასეთი დიდი ქველმოქმედი აღამიანისა და მეგობრის დაკარგვის გამო“.

ნეკროლოგში შემდეგ აწერილია არაჩვეულებრივი, დიდი პატივისცემით ჩატარებული დასაფლავების ცერემონიალი. დასაფლავება, როგორც ცნობილია, მოხდა მოსკოვის დონის მონასტერში, სამგლოვიარო პროცესია მოეწყო ანკარად: წინ მიდიოდა „კონეოი“, შემდეგ მრავალრიცხოვანი სამღვდელთა მსოკოვის ეპისკოპოსის პლატონის მეთაურობით, იქ იყვნენ არქიელები და არქიმენდრიტები, მადალი სამღვდელთა, რაც ეს იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა და მრავალი თეთრი სამღვდელთა. სამღვდელთების შემდეგ მიდიოდნენ ოფიცრები, რომელთაც ფარჩის ბალიშებით მოქონდათ განსვენებულის ორღენები, შტაბ-ოფიცრს კი, ორი ობერ-ოფიცრის დახმარებით, მანტია.

შემდეგ მიდიოდა სამეფო გვირგვინით შემკული ბალდახინიან ფორანზე შედგმული კუბო. ბალდახინი ზონარებით ვეირათ პოლიციის ოფიცრებს, ცხენები მიდიოდნენ დაწყვილებულად (цугом) და თითოეული მთავანის გვერდით კი თითო კაცი ჩირაღდნით. კუბოს მიჰყვებოდნენ ხათესაუბები და 12 სტუდენტი ორო-ორო რიგად, და ერთი ზედამხედველითურთ — ისინი გამოგზავნილი იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტში. შემდეგ მიდიოდა ბატონიშვილის სახლბედი (მოსამსახურეთა შტაბი) ოფიციალტებისა, მგალობლებისა და ფარეშებისაგან შემდგარი. პროცესიის ამთავრებდა „მწუხარების ექვსცხენიანი ეტლი, რომლის წინ მიდიოდა ორი შათირი (скороход) და ორი ცხენოსანი, გვერდებზე კიდევ ორი ჰაიდუკი.

ვარდა ამისა, პროცესიის ორივე მხარეს მოჰყვებოდა 150 ჯარისკაცი, სამგლოვიარო მოსამსახურეში, შავ მარშამიანი ქუდებით და

ჩირაღდებით ზელებში. ნეკროლოგში დონის მონასტრის სასაფლაოზე დასაფლავებისას: „ჩატარებულ ცერემონიის შესახებ“ არაფერია ნათქვამი.

ნეკროლოგი მთავრდება შემდეგი სტრაქონებით:

„არ ვუხებთ რა მის ყველა სათნოებას, საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ გულმონყალება, ყველასადმი კეთილგანწყობილება, დახმარების აღმოჩენა გაქორცვულთათვის, ხასიათის სიმშვიდე, კეთილმოყვარეობრივი გულშემატკივრობა უზღუდრთად — იყო მისი უგანაოლებულენობისის ბუნებრივი თვისებები“.

დასაფლავების აღწერას მოსდევდა ლექსი, მართალია პოეტურად ძლიერ სუსტი მაგრამ რომელსაც, სხვა უფრო დაწერილობითი ცნობების უქონლობისა გამო, გიორგი ბატონიშვილის პიროვნების დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აი, ეს ლექსი.

Надгробные стихи на кончину его  
светлости грузинского царевича  
Георгия Вахтанговича

Плачнейший предмет, несчастна жертва  
смерти!

Сколь ты нечаянно наш поразила взор!

О, если б лыстались мы сие в мечтаний  
зрети!

Но нет: сей кровных здесь рыдающих  
собор,

Сие последнее уже друзей лобзание,

Сие священных лиц молений воссылание,

Сей гроб, сей мертвый зрак, все к  
горестным слезам

Не сон и не мечту являет ныне нам,

Но ах! тебя, о муж достойный и  
преславный!

Постигнута уже завистливой судьбой.

О смерти! колико нам удар сей жесток  
твой!

Почто на свете ты достойный жизнь не  
длешь?

Но с недостойными равно всегда разишь?

Когда б подобных ты сему не поражала,  
Так добродетель бы во век торжествовала.

Сей муж, о небеса! вы ведаете сами,  
Сколь драгоценнейших душевных был

доброт.

Богатство, слава, честь, что столь  
любимы нами,

И чем лишь кажется быть занят

смертный род.

По даму смерть его им пребыла

презренны;

Не победив его, остались побежденны.

Рождённый от царей и многими владеть,  
Лишь над собой хотел владычество  
иметь,  
Оставив всякий блеск против  
обыкновенья,  
Предался он в свои похвалы,  
упражненья,  
Миролюбивую и честную жизнь вел,  
Испытывать себя и исправлять умел.  
Любил науки он, любил он просвещенье.  
О музы! Сделайте вы здесь

вспоминенья.

Как другом был он ваш. Но что сней!  
Несчастливым давал прибежище к себе,  
Был человеком друг, был христианин,  
И богу своему служил нелицемерно!  
Но что вспоминать таких доброт собор,  
Когда на пек его лишается наш взор,  
Когда в сей миг, земли катящаяся

грозда

Грозит сокрыть его и гроб от смертных  
взгляда?

И ах! уже, увы, скрывается? сокрыт?

О муж! Твой бог тебя блаженства не

лишит.

უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ეს ოდა თემით, განწყობილებით და, რამდენადმე შენაარსობით მოგვაგონებს დერეჟაინის ოდას «На смерть князя Мещерского».

იგი გამოხატავს ღრმა, გულწრფელ მწუხარებას, გამოწვეულს „მეფური წარმოშობის“ ბატონიშვილის, გიორგი ვახტანგის-ძის სიკვდილით, აღამიანისა, რომელიც წინასწარ განკუთვნილ იყო ენატორა აღამიანებზე. ეს ოდა ვახტანგის განსვენებულის მაღალ ზნეობრივ თვისებებს, რამაც მას ღრმა პატივისცემა და სიყვარული მოუპოვეს მრავალრიცხოვან მეგობრებისა და უბრალო აღამიანებისა, რომლებიც მწირედ დასტირან მის სიკვდილს. ოდის მიხედვით, განსვენებული იყო „ღირსეული“ და „ღიდებულ“ აღამიანი, ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, სახელგანთქმული სამხედრო გამარჯვებებით, გარეოცული პატივით, მფლობელი დიდი იმდიდრისა.

იგი გამოირჩეოდა იმ დროისათვის იშვიათი მოკრძალებით, ერთდებოდა განსაკუთრებულ ბრწყინვალებას, ძელდა სიმდიდრე, გაუბრალო სახელს, პატივისცემას და უყვარდა „მშვიდი“, მორიდებული ცხოვრება, ნოვოცივის მსგავსად, მინდობილი იყო მეცნიერების შესწავლასა და სწავლა-განათლების გავრცელებას.

ამასთან ერთად, იყო „მეგობარი მეზისა“ Он был «другом муз», ე. ი. ჰქონდა პოეტური ნიჭი და ჰქონდა პოეტურ ნაწარმოებ-

ებს. ოდა გიორგი ბატონიშვილს ვეინატანს, როგორც გულყეთილ აღამიანს, „სათნო“ ტილანტროპს, ბედუელმირთთა მეგობარს, რომელიც ექიმ გააზნისა მსგავსად, ესმარობდა მედიკამ გეტებს (მედის მიერ დაზარალებულს).

განსვენებულის აღნიშნულმა მაღალმა და კეთილშობილურმა თვისებებმა მოუპოვეს მის ბევრი მეგობარი და შეუქმნეს დიდი პოპულარობა მის თანამედროვეებში, რომლებიც გულწრფელად დასტიროდნენ მის გარდაცვალებას.

დასასრულ, ის გარემოება, რომ ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგს და ლექსს დაეთმო საქმოდ დიდი ადგილი „Московские ведомости“-ს დამატებებში“. ისეთ ორგანოში, რომელსაც 1779—1789 წწ. დიდი რუსი განმანათლებელი ნ. ი. ნოვიკოვი ხელმძღვანელობდა, საფუძველს ვაძლევს ვიფიქროთ, რომ გიორგი ბატონიშვილი ცოტად თუ ბევრად ახლოს იდგა ნოვიკოვთან. გიორგი ბატონიშვილი, როგორც ჩანს, თავისი დროის მოწინავე პოლიტიკური განწყობილების აღამიანი იყო და ახლოს იდგა რუსი განმანათლებელთა პლეადისათან.

ს. შვეიტიცი მოსკოვის უნივერსიტეტის შესახებ მონოგრაფიაში წერს: „1785 წ. 12 მარტს საქართველოს უგანათლებულესმა გიორგი ვახტანგის-ძე ბატონიშვილმა უნივერსიტეტს აჩუქა იმავე მიზნისათვის (სტუდენტთა სტიპენდიებისათვის, ა. ფ.) 10.000 მანეთი. უნივერსიტეტმა საუბროდ მაღლობა გამოეთქვა ბატონიშვილს, ამასთან აღუთქვა „ჩაენებვა“ მაღლობის გრძნობა თავის აღსაზრდელების გულში, რომლებიც მისგან დაჯალბებული იქნებიან განათლების ნაბოძებით.“<sup>1</sup>

ასეთი დიდი შეწირულობა XVIII საუკუნეში ძალიან იშვიათი იყო. შვეიტიცი, ქველმოქმედად ასახელებს ი. შვეალოვს, დიდი სიმდიდრის მფლობელს ცნობილ დემიდოვს და კიდევ 2-3 აღამიანს.

სხვათა შორის, ყურადღების ღირსია, რომ პროკოპი აქინფისძე დემიდოვზე მისი გარდაცვალების შემდეგ (1787 წ.), როგორც „ქველმოქმედზე“, „Московские ведомости“-ში მოთავსებულ იქნა ძალიან მცირე ზომის ნეკროლოგი. ამას აღენიშნავთ იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს გიორგი ბატონიშვილის როლი და ადგილი იმდროინდელი მოსკოვის

<sup>1</sup> С. Шевырев «История имп. Московского университета», написанная к столетнему его юбилею 1755 — 1855 г., (სევესტროპოლში დაკრძალთა სასარგებლოდ), გვ. 115, მოსკოვი 1855 წ.

კულტურულ ცხოვრებაში. 1788—1787 წლების „Московские ведомости“-ს გადათვალაგებამ დამარწმუნა, რომ ვიორგი ბატონიშვილისადმი ამ ხანებში გამოჩენილ იქნა განსაკუთრებული ყურადღება. ამ წლებში ბევრი წარჩინებული მოსკოველი გარდაიცვალა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუმსახურებია ისეთი პატივისცემა და ყურადღება, როგორც ვიორგიმ.

ბროსე თავის შრომაში<sup>1</sup> საგანგებოდ შეჩერდა ვახუშტისზე, მაგრამ მისი ძმისთვის, ვიორგი ვახტანგისძისათვის კი ყურადღება არ მიუძღვნია. ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილისძემ, პეტრე I-ის თანამოსაგრემ და მისმა მარჯვენა ხელმა საბარტილერო საქმეში, ისტორიკოსების მეტი ყურადღება დაიმსახურა, ხოლო ვიორგი ბატონიშვილს, — მოსკოვის კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით წარმომადგენლის, — შესახებ კი არაფერი უთქვამთ.

შეიძლება ეს ახსნება მით, რომ ვიორგი ბატონიშვილს მოღვაწეობის შესახებ მასალები შედარებით მცირე იყო და ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულთ განისაზღვრებოდა, მაშინ როდესაც ვახუშტისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სამოღვაწეო ასპარეზი უფრო დიდი იყო, ვახუშტი მოსკოვში მცხოვრები დიდა ქართველი მეცნიერი იყო, ალექსანდრე არჩილისძე კიდევ რუსეთის დიდი მოღვაწე, რომელიც ყოველთვის მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გველი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ამავე დროს, მას არასოდეს არ დაუფიქრებია ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართველი ხალხის სულიერი სრულყოფა... ალექსანდრე... ყოველთვის პოულობდა დროს ეკუთვინა ქართული მწერლობის საქმეს. მის კალამს ეკუთვნის სიმეონ პოლიციის წიგნის ბრწყინვალე თარგმანი...<sup>2</sup>

ბროსეს ერთ-ერთ წერილში „Mélanges Asiatique“, St. Peterburg, 1859, გვ. 533—575). დონის მონასტერში დასაფლავებულ ვიორგი ბატონიშვილის შესახებ მოტანილია მხოლოდ ის ცნობები, რაც ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ ეპიტაფიათა კრებულში „Путеводитель к древностям и достопамятностям московским“ არის შეტანილი და ისიც არა ზუსტად. ჩვენ ვერ შევძელით იმისი დადგენა, თუ ვინ

იყო ვიორგი ბატონიშვილის მეუღლე. მაგრამ ცნობილია, რომ ვიორგი ბატონიშვილთან მისი სიკაცის უკანასკნელ წლებში დაქორწინებულად იმყოფებოდა „მისი ნათესავი“ თავადი დმიტრი ვესვეისძე ციციანოვი (ციციშვილი). იქნებ ეს უკანასკნელი იყო მისი ნათესავი ციცილის ხანით.

ეპიტაფიათა კრებულისა და ევბულოზით, რომ ვიორგი ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი — ვასილი, პრეობრაჟენსკის პოლკის პოდპორუჩიკი, გარდაიცვალა 1764 წ. 15 მაისს, „14 წლის, 8 თვისა და 19 დღის“ ასაკში<sup>3</sup>.

გენ.—ანშეფის და სხვა ორდენთა კავალერის ვიორგი ვახტანგისძე ბატონიშვილის მეორე ვაჟი — იაკობი, ლეინ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკი გარდაიცვალა 1768 წ. 10 იანვარს, „17 წლის, 8 თვისა და 6 დღის“ ასაკში<sup>2</sup>.

შვილების სახელების მიხედვით თუ ვიშვკელებდით (ვასილი, იაკობი), ვიორგის მეუღლე რუსი ქალი უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქართველი.

საქართველოს უკანაოლქებულესი ბატონიშვილის ვიორგის ქალიშვილი — ანა ვიორგის ასული, გენ-მაიორისა და კავალერის თავად ალექსანდრე ბორისის-ძის ვოლიცინის მეუღლე, გარდაიცვალა 1779 წ., 25 წლის ასაკში<sup>3</sup>.

ვიორგი ბატონიშვილის მეუღლე გარდაცვალებულთა სიაში არ არის ნახსენები.

1794 წ. 9 ნოემბერს გარდაიცვალა გენ-მაიორი და კავალერი თავ. ალექსი ბორისის-ძე

<sup>1</sup> «Путеводитель к древностям и достопамятностям московским», ч. IV.

(ეპიტაფიათა კრებული), Москва, 1783 წ. გვ. 89. პეტრე I დროს თავადაზნაურთათვის შემოღებულ იქნა სამუდამო სამხედრო სამსახური, რომელიც უნდა დაეწყათ უბრალო ჯარისკაცობით და შემდეგ შეეძლოთ დამსახურებით გამხდარიყვნენ ოფიცრები და წინ წაწეულიყვნენ სამხედრო იერარქიულ საფეხურზე. ამ კანონით უკმაყოფილო აზნაურობა შემდეგ მიადრეკს იმას, რომ ჩვეულებად შემოვიდა — აბლაღდობადებულ ვაჟების პოლკებში ჩარიცხვა და მორეწვოვანებისას მათ მიერ თანდათანობით სამხედრო ჩინების მიღება და, როდესაც ვახტანგისძე 16-17 წლისანი, პორუჩიკის ჩინით პირველად მიდიოდნენ პოლკში, თმეცა სამხედრო საქმის არაფერი გაეგებოდათ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>1</sup> „Mélanges Asiatiques“, St. Petersburg, 1859, გვ. 533—575.

<sup>2</sup> ელ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1947 წ., გვ. 126.

ვოლიცინი (60 წლის ასაკში) <sup>1</sup>.

გიორგი ბედონიშვილის შეუღლე გარდაცვალებულთა სიაში არ არის ნახსენები.

შეძლება ითქვას, რომ, საერთოდ, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრებს, განსაკუთრებით ბაგრატიონთა გვარიშვილობას, დაუშრეტელი ენერგია აღმოაჩნდა. ამ კოლონიიდან გამოვიდნენ სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები — პოლიტიკოსები და დიპლომატები, მეცნიერ-მწერლები, პოეტები და ხელოვნები, სამხედრო საქმის დიდი მცოდნენი, თავის დროის მოწინავე მოღვაწენი და სხვ. თავისი დროის განათლებულ და მოწინავე ადამიანებად ისინი გვევლინებოდნენ არა მარტო XVIII, არამედ XIX საუკუნეშიაც. ამ მხრივ საინტერესოა გავიხსენოთ შემდეგი ცნობა: 1871 წ.

<sup>1</sup> «Путеводитель...» გვ. 93; დმ. Бантыш-Каменский — «Список кавалерам четырех российских императорских орденов...», М., 1814 г., გვ. 309.

პარიზში კომუნაში აქტიურ მონაწილეობისათვის დასჯერტილ იქნა თავად ბაგრატიონი, რომელმაც დაკითხვისას უჩვენა, რომ იგი არის ეფი რუსეთის არმიის გენერლისა და თვითონაც რუსეთის არმიაში მსახურებდა, რომ იგი დაიბადა 1837 წ. 23 მაისს და მას ეძახიან ალექსანდრე კომსტანტინეს ძეს <sup>1</sup>.

იმ დროის ქართული გაზეთი «ღრობა» 1872 წ. № 22-ში წერდა: «კომუნარების მხარეზე იბრძოდნენ რუსი ჭალიშვილი დიმიტრიევი და ქართველი ბაგრატიონიო» <sup>2</sup>.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, д. 78, 3 отд. 3 экспед. лист. 141, ф. 1, об. 8. н. ბახილაის საკანდიდატო დისერტაცია.

«Отношение царского правительства к Парижской Коммуне 1871 г.

(ინახება თბ. საბ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

<sup>2</sup> იხ. ლევან ებნოიძე, «პარიზის კომუნის გამომჩინილი საქართველოში», თბ. 1947 წ., გვ. 31.



# ავღაბრისა და ნავთლულის შემოერთება თბილისთან

დღევანდელ მასშტაბთან შედარებით თბილისი მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პატარა ქალაქი იყო. მტრის მიერ მრავალჯერ იპოხრებამ, მცხოვრებთა ამოყვებამ ქალაქი ისე დაამცირა, რომ 1826 წელს თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 20.857. მაგრამ რაი სიჭარბელოს რუსეთთან შეერთებამ ჩვენი ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეუქმნა, თბილისმა სწრაფი ტემპით იწყა ზრდა. იგი უკვე ვერ ვტყვით ვთქვით საზღვრებში და თანდათანობით იერთებდა მის გარშემო არსებულ სოფლებს. ეს პროცესი ახლა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. არც ისე დიდი ხანი, რაც სოფ. ბაგები, რაც ქალაქ-გარეთ არსებობდა, უკვე სოფელი აღარ არის და ქალაქის ფარგლებშია. ახლა ჩვენს დედაქალაქში გვხვდება ცალკეული უბნის სახელები — ჩუღურეთი, კუკია, ხარფები, დიდუბე, მამუკას სოფელი და სხვ., რომლებიც პერისონის ვაუგებარია. ეს სოფლების სახელებია. ოდესღაც ისინი, ქალაქის გარეთ მდებარე, ჩვეულებრივ სოფლებს წარმოადგენდნენ და სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. ქალაქში შემოიერთო ეს სოფლები და მათი მცხოვრებლებიც მოქალაქეებად აქცია.

ამ ნარკვევში ჩვენ გვინდა აღვადგინოთ სიარქივო მასალების საფუძველზე ავღაბარ-ნავთლულის და ზოგიერთი სხვა სოფლის თბილისზე შემოერთების ისტორია.

1800 წ. 28 დეკემბერს გიორგი მეფე გარდაიცვალა. ამ დროს ქართლ-კახეთში უკვე იდგარუსის ჯარის და სამეფო საქმეებს რუსეთის იმპერატორის ელჩი პეტრე კოვალენსკი და რუსის ჯარის მეთაური გენ. ლაზარევი უფრო სჯიდა ვიდრე ქართველი მეფე. იმავე დროს ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტები და მეფისთავები დამოუკიდებლობის მოსურნე ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდნენ და ერთად სამეფოს ასუსტებდნენ.

ამ პირობებით ისარგებლა იმპერატორმა პავლე პირველმა და 1801 წ. 18 იანვარს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და იგი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. სანამ ეს მანიფესტი გაბოროტდებოდა, პავლე მოკლეს. მაგრამ ახლამ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12

სექტემბერს ახალი მანიფესტი გამოაქვეყნა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ქართლ-კახეთის გუბერნია 5 მაზრად გაიყო: თბილისის, ვორის, დუშეთის, თელავის და სიღნაღის. ქ. თბილისის თვითმმართველობა ებოძა. თბილისის გარშემო მდებარე სოფლები — ავღაბარი, ნავთლული, კუკია, ჩუღურეთი, ხარფები, დიდუბე, წინკარი და სხვები — თბილისის მაზრაში შევიდა.

ავსუბე თვის გეოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ავღაბარი მდებარეობდა თბილისის ისტორიაში კარგად ცნობილი ისანის მახლობლად.

მეტეხის ქედზე მტკვრის მაღალ ნაპირზე მდებარე უბანს ისანი ერქვა. აქ იყო მეფის გვარეულობის სისახლენი, მეფის კარის სხვა ნაგებობანი და ციხე-სიმაკვე მეტეხი. სიტყვა ისანი უდავოდ არაბული წარმოშობისაა და მოდის სიტყვიდან „ესანი“, რაც არაბულად თვდაცვის ადგილს, ციხე-კოშკს, ციტადელს ნიშნავს.

ისნის იქით, მახათას შოს ძირამდე მდებარე ადგილს ავღაბარს უწოდებენ. ეს სიტყვაც არაბულიდან მოდის. არაბულად სასახლის გარემოს ეწოდება ზავლა-ბარი, აქედან უნდა იყოს „ელაბარი“, შემდეგ ავღაბარი. ამის ისიც აღსატრეებს, რომ ძველი ავღაბარელები ხშირად ამბობდნენ არა „ავღაბარი“, არამედ „ხავლაბარი“ ან „ხავლაბარი“.

გამოირჩეოდა შიგნითა ავღაბარი, ე. ი. ავღაბარის ის ნაწილი, რაც საციხო კედლის შიგნით იყო მოქცეული და გარეთი ავღაბარი, ე. ი. საციხო კედლიდან მახათას ძირამდე.

ავღაბარში ცხოვრობდნენ ქართველები და შემდგომ ერეენიდან გადმოხვეწილი სომხები. ავღაბარი ძირითადად ერეკლეს მუუღლეს დედოფალ დარეჯანს ეკუთვნოდა. გენერალ-ლეიტენანტი ენორინე 1801 წ. 31 მაისს წერდა გენ. ლაზარევის: „ავღაბარი, — გარეუბანი, რომელიც ქვერ დედოფალს დარეჯანს (დარეჯანს) ეკუთვნის, მისი პიროვნების პატრესსაცემლად, დარჩეს იმავე მდგომარეობაში, როგორც არის“.

თბილისში მაშინ 2000 კომლი ითვლებოდა, ხოლო ავღაბარში — 300. დარეჯანს ეკუთვნოდა 137 კომლი, მეფისწულს დავითს ძველ ავღაბარში — 11 კომლი, მეფისწულს ფარნაოზს ახალ ავღაბარში — 4 კომლი.





იმპერატორის მოთვრობა თელიდა, რომ საქართველოს სამეფო გვარეულობის არსებობა ქართლ-კახეთში ქმნიდა არეულობის საბაზს. ამიტომ 1803 — 05 წლებში საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლები გადასახლებული იქნენ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში. 1804 წ. 23 სექტემბერს მოთავსირებულმა საქართველოში ციციანოვმა მიიღო უმაღლესი ბრძანებულება: „საქართველოს სამეფო სახლის მამულები სამუდამოდ მიეკუთვნოს სახელმწიფო მამულებს და მათი შემოსავალი ჩაირიცხოს საქართველოს საერთო შემოსავლის ჯამში“.

ამრავალ ავღაბრის სამეფო გლეხები გადაიქცნენ სახელმწიფო გლეხებად. ხოლო მათ გამგებლობაში არსებული მიწები — სახელმწიფო საკუთრებად.

თბილისი იზრდებოდა, ფართოდებოდა ტერიტორიულად. იგი, როგორც ქართლ-კახეთის ადმინისტრაციული და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი, დიდძალ ხალხს იზიდავდა. ამიტომ თანდათან ხდებოდა გარემო სოფლების შემოერთება, თვით ქალაქში იმ დროს დიდძალი გლეხობა ცხოვრობდა.

ქალაქის მართველობის მუამდგომლობით მოავითარებებოდა გენ. ერმოლოვმა 1819 წ. 15 მარტს გამოცხადებულ ბრძანება: „ვეთანხმები სოფ. ხარფუხის თბილისზე შეერთებას, რადგან ძალიან ახლოს არის მასთან, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებს კვლავ რჩებათ ვალდებულება ზაფხულობით ერთი ვარაუდი გამოიყვანონ ლეკების წინააღმდეგ და გადიხადონ თვეში 5 მან. ევრცხლითა ობიგატელების მიერ კახეთს საფრთხეებისათვის მიცემულ ცხენების საფასურად, საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებით“.

ეყვია და ჩუღურეთი, გენ. ერმოლოვის ბრძანებით, თბილისს შეუერთდა 1824 წლის 29 ივნისს. ამის საბაზი ასეთი იყო: პოლიცია ჩიოდა, რომ ეყვია-ჩუღურეთის მცხოვრებნი უდიდოდუნ ზნაზე გლეხებისაგან შემოტანილ სურსათ-სანოვავს და შემდეგ ქალაქში ძვირად ყიდიან. რადგან ეს სოფლები მზარას ეკუთვნის, ქალაქის პოლიცია მასზე ვადაუნას ვერ ახდენს. ეყვია და ჩუღურეთი ძლიერ ახლოს არის ქალაქთან. ამიტომ საქმის სარგებლობა მოითხოვს მათ შეერთებას ქალაქთან. ამ საბაზით ჯერ ქალაქის პოლიცია დაუმორჩილეს ეს სოფლები, შემდეგ სულ შეუერთეს ქალაქს.

1804 წლის კამერალური აღწერიდან ჩანს, რომ ავღაბარში ცხოვრობდა 1.025 სახელმწიფო გლეხი, რომელთაც ჰქონდა 1.129 სახლი. მოსახლეობა შედგებოდა: 1983 მამრებით და და 1938 მდედრობითი სულისაგან. უცვლანი სოფლის მურხრეობას მისდევდნენ, მაგრამ მთიდან შხოლოდ 10 კაცს ჰყავდა 18 წყელი ხარი და 3 ძროხა. რამდენიმე კაცი ჩაწერილია, რო-

გორც მწყემსი და მეჯოგე, ხოლო 16 — მებეღე.

გავიდა სულ 4 წელი. 1808 წლის კამერალური აღწერაში ნათქვამია, რომ შიგნითა ავღაბარის 380 კომლიდან, შხოლოდ 7 კაცი ეწყოდა სოფლის მურხრეობას. 1824 წელს გარეთა ავღაბარში 946 კომლიდან შხოლოდ 17 კომლი მისდევდა სოფლის მურხრეობას.

1834 წელს სოფლის მურხრეობას მისდევდა: ეყვიაში — 91, ჩუღურეთში — 7 და ავღაბარში — 20 კომლი.

1845 წლამდე ქალ. თბილისის მცხოვრებნი, რომლებიც შემინდგრობას მისდევდნენ, იხდიდნენ სასურსათო გადასახადს — 66 — 120 კოდ ხორბლის და 43 — 51 კოდ ქერს.

მეფის ბრძანებულებით 1844 წლის 13 იანვარს მეფის ნაცვალმა გამოაქვეყნა ბრძანება: „1845 წლიდან გამოიტყუნილი იქნეს ანგარიშიდან და მიღების მოლოდინიდან ქ. თბილისში პურის ბეგარა — „სურსათი“ 86 კოდი ხორბლისა და 43 კოდი ქერის რაოდენობით“.

1845 წელს მეფისნაცვალს კავკასიაში გენ. ერონიცეს დიდძალი საჩივრები მიდიოდა ქალაქის ვანაპირა უბნების მცხოვრებთაგან. გლეხები ჩიოდნენ, რომ აღარ უყფნიან სახნავ-სათესი მიწები, რადგან მათ ეკუთნილ (ე. ი. იურიდიულად მათ გამგებლობაში მყოფ) მიწებს სხეებს აძლევენ იჯარით. ასეთი საჩივრებასათვიდან აცილებსა და საკითხის საბოლოოდ გამარკვევის მიზნით მეფისნაცვალმა შეადგინა საგანგებო კომისია.

ამ მითითებაში გარკვევით მოჩანს მმართველობის ზაზი ავღაბარის გლეხების მიმართ. მმართველობას სურდა ან ვადესახლეების ეს გლეხები სახელმწიფო სოფელში და გაეხადებინათ სახელმწიფო უმწიფე, ანდა გადაექცია იგი მოქალაქეებად, ე. ი. გამარკვევებით ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა რიგები.

ამვე დროს ავღაბარის მიწებს სულ უფროდა უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა თბილისისათვის. გარეთი ავღაბარის მიწები ქალაქის სტორებოდა სამოვრებად იმ პირობებისათვის, რომელსაც სულ უფრო მეტი რაოდენობით მოერყავდნენ სასაკლაოზე. პირუტყვით მოვარკვევებს, სანამ მათ მიერ მოარეკილი პირუტყვი გაიყიდებოდა და დაიკვებოდა, ქალაქის გარეუბანში და სწორედ სასაკლაოს მუხობლად ქირადებოდათ სამოვრები, რომ გაყიდვა — დაეკლის-მოლოდინში პირუტყვს ხორცი არ დაეყარა და შიშინისაგან არ დაეარდნილიყო. რაც უფროდრო გადიოდა, რაც უფრო ფართოდებოდა ქალაქში ხორცით ვაჭრობა, მით უფრო ედებოდათ ავღაბარის მიწებსა. მით უფრო ცდებოდათ ქალაქი, რათა ეს მიწები მის მფლობელობაში გადასულიყო. ქალაქი ამ მიწებიდან ორმაგ სარგებლობას ელოდა: ერთის მხრივ პირუტყვით ვაჭრობას ხელს უწყობდა სამოვრების

შექმნის სახით და მეორე მხრივ მიწის საძოვრებად გაქირავებით ფულად შემოსავალს მიიღებდა.

1853 წ. თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ შიილი სათანადო დადგენილება ავლაბრის და სხვა გარეუბნის მიწების შემოერთებაზე. ეს დადგენილება დამატკიცია მთავარსამართებელმა, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს დადგენილება სისრულეში იქნებოდა მოუყვანილა მას შემდეგ, როცა დარწმუნდებოდნენ, რომ შიილი ეს მიწები სახელმწიფოსია და კერძო შესაკეთარის უფლებები არ არის შენაღობული. ეს ეჭვი იმით იყო გამოწვეული, რომ თუმცა 1804 წელს ეს მიწები ჩამოერთვა მეფის გვარეულობას და გადაეცა სახელმწიფოს, მაგრამ მიწები ფაქტიურად არ ყოფილა გამოჯნული, ე. ი. სახაზინოდ, ახლად გადასული მიწები არ მიუზომიათ სათანადო უწყვეტსაფოსს, არ დაუწესებიათ საზღვრები და ამიტომ შესაძლებელი იყო ქალაქისათვის ვადაცემისას ამ მიწებთან ერთად მოყოლიდა ვისამე კერძო საკუთრება, ხოლო იმპერატორის სახელმწიფოსათვის კერძო საკუთრება წმინდადა წმინდა იყო და მის დარღვევას ვერაფერს ვაძლავდა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად 1862 წლის 22 ივნისს დაიწყო ავლაბრის მიწების გამოჯენა (რახ-შევეანი), ე. ი. ხაზინისათვის მისი მიზომეა თანახმად 1804 წლის ბრძანებულებისა.

გენ. გორონცოვის მიერ გამოყოფილმა კომისიამ საჭიროდ სცნო ქ. თბილისის მისცემოდ საძოვრებად 3861 დესეტინა მიწა. ამ ფართობის ანგარიში ქ. თბილისის გადაეცა ავლაბრის ფართობიდან 2386 დეს. კომისიის დასკვნა შედისნაცვალმა დამატკიცა 1869 წლის 8 აგვისტოს და ამ დღიდან ავლაბარი შეუერთდა თბილისს.

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაიჭრებოდა. საქმე ის არის, რომ ეს მიწები უმატრონი, ე. ი. ცარიელი რიდი იყო. მასზე გლეხები ცხოვრობდნენ. ამიტომ მთელი ამ ფართობის საძოვრად გადაცემა ქალაქს არ შეეძლო. დავა იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყენება ქალაქს ეს მიწები, დიდხანს ვაგრძელდა. მხოლოდ 1872 წლის 27 მარტს ქალაქის მმართველობამ დაადგინა: 1890 დესეტინა მიწა ვაეცა იჯარით, როგორც საძოვარი, ხოლო 595 დესეტინა დაეცოვება ავლაბრის მცხოვრებთა უმეტეს მფლობელობაში. მაშინ ავლაბრის მცხოვრებლებმა სთხოვეს ქალაქის მმართველობას არ ვაეცათ მიწები საჯარო ვაქრობით, არამედ მათთვის მიეცათ იჯარით წელიწადში 1300 მანეთად. ქალაქის მმართველობამ ეს შეამდგომოდა დაამალოფილა და 1890 დესეტინა საძოვარი ისევ ავლაბრელებს მისცა იჯარით.

აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ერთი გარემოება. ავლაბრის მიწები გამოსადეგი იყო არა მარტო საძოვრებად. დიდ ფართობზე იზოვებოდა ნედლეული გაჯის გამოსაწევადა... რო-

ცა პირველი იჯარის ვადა ვაეცა ქალაქმა საჯარე მიწები (ავლაბრის და კუქის) ნაკვეთები) ვაეცო ორ ნაწილად: პირველი საჯარე ნაკვეთი 237 დესეტინა იჯარით მიეცა (1877-დან 1882-წლამდე) კერძო პირებს წელიწადში 1000 მანეთად, მეორე საჯარე ნაკვეთი 2147 დესეტინა იჯარით მიეცა ავლაბრეთა რწმუნებულებს ფორაქოს, იშხანოს, ახნაზაროს (1877 წლიდან 1880-წლამდე) 2000 მანეთად წელიწადში.

ჯერ კიდევ არ იყო ამ იჯარის ვადები გასული, როცა ქალაქის მმართველობამ დაადგინა, რომ მომავალში ავლაბრის მცხოვრებლებს არ მოეთხოვებათ ზეს შეტანა.

ამ დავაგენილების საფუძველზე 19 ავლაბრელებმა შეიტანა თხოვნა, ჩააბათ მისცემოდ იჯარით ორი ნაკვეთი: 1690 დესეტინა და 257 დესეტინა სამი წლის ვადით. ავლაბრელებმა ეს იჯარა მიიღეს. ქალაქის მმართველობამ მათ ნება დართო გამოეყენებინათ ეს ნაკვეთები როგორც სახნავ-სათესად, ისე საძოვრებად, ოღონდ აგრძალული ჰქონდათ გაჯის მოპოვება.

ეს უკვე ის პერიოდაა, როცა ავლაბარში შესამწყვეტი ხდება მოსახლეობის კლასობრივი დაყოფა. ნაწილმა მოსახლეობისა, რომლებიც მიეღვე შეეგუნენ ქალაქის ცხოვრებას, ხელი მიეცეს ადგილ-მიმცემლობას, მოიჯარადრობას, თანდთან გამდიდრდნენ, მეორე, უმეტესი ნაწილი პირიქით, უფრო გაღარიბდა. ეს შიდარი ნაწილი სარგებლობს ავლაბრეთა სახელით და იჯარას იღებს მათი მინდობილობით, მათ შეადგინეს ე. წ. ავლაბრელ მოსახლეთა საზოგადოება, რომელიც ვითარდა თემის სახელს იტყუებს და ხალხის სახელით ვაეოდის, სინამდვილეში კი ეს უკვე ჩვეულებრივი კაპიტალისტური ფორმის ჩანასახია. ვინ იყო ეს 19 ავლაბრელი, ვინც ხელთ იგდო ამოდენა მიწები? არქივის მასალებში იპოვება მათი ვაერები. აი ისინი: დავით ფორაქოვი, ავეტოქ იშხანოვი, შაქარ ტატულოვი და სხვანი ახნაზაროვი, ვეურქ ახნაზაროვი, არსენ ახნაზაროვი, დავით პოპოვი, ვიორგი ბაინდუროვი, ტატო ბაინდუროვი, ყაზარ მაილოვი, მარტროს ნუნუპაროვი, ვიორგი ვარდოშვილი, ვიკოლა სარაიევი, მიხეილ აღნაიშვილი, დარჩო დარჩიივი, დარჩო მესარიფოვი, დარჩო ტერტიროვი, ივანე არუთინოვი და პეტო აზაროვი.

ეს კომპანია ჯერ კიდევ ხალხის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ იჯარით აღებულ მიწებს, რა თქმა უნდა, სასაბუღალაოოდ იყენებს და კარგ ფულსაც აეთუებს.

თანდათანობით ავლაბრის მცხოვრებთა დიფერენციაცია ძლიერდება. იმ 19 ვეარს შორის, რომელიც უნებით ჩამოეთუვალეთ, ზოგი უფრო მდიდარია და უნდა კიდევ უფრო მეტი ჰქონება იგდოს ხელთ. თუ პირველ სამ წელს 19 კაცს ჰქონდა მიწები იჯარით, მეორე სამ წელს ხალხის სახელით მხოლოდ 3 ვამოდის:

ავეტიქ იშხანოვი, დავით ფორაქოვი და შაქარ ტატულოვი. არქივში შენახულია ყაზახ მეღვინის ძე ახანზაროვის (19-თა რიცხვიდან) საინივიტორი იგი წერს, რომ იშხანოვმა და ტატულოვმა მოატყუეს ქალაქის მმართველობა, თითქოს ისინი და შათი მრწამსი შეიქმნა მესაქონლეობასა და მეშინდერობას მისდევნი. სინამდვილეში კი ავლაბარში ახლა სულ 9 კაცი ჰყავს პირუტყვი და ცხვარი, მხოლოდ ეს 9 კაცი მისდევს მეშინდერობასაც. მათ შორის ვართ ჩვენც: სამი მძა ახანზაროვი, რომლებსაც მთელს ავლაბარში ყველაზე უკეთესი და ძვირადღირებული კარმიდამო და ნაგებობანი გვაქვს, რაც 10.000 მანეთზე მეტი ღირს. ამის გარდა დიდძალი ცხვარი და პირუტყვი გვაყავს. ჩვენ ავლაბარის მკედღრნი ვართ, რამდენიმე თაობა ჩვენი გვარისა მეცხოველეობასა და მეშინდერობას მისდევს და არ ვეთვლებით მოთჯარადრთა შორის მხოლოდ იმიტომ, რომ სათჯარო ხელშეკრულების დადებისას თბილისში არ ვიყავით. მოთჯარადრებებად კი არიან დალაქები, ქვისმთელინი და სხვა ასეთი პროფესიის ხალხი. სინამდვილეში ტატულოვი და იშხანოვი არიან მოთჯარადრები, დანარჩენებმა მხოლოდ რწმუნება მისცეს მათ. ეს ორი კაცი იღებს მთელს შემოსავალს, ექსპლუატაციას უწევს მცხოვრებლებს. მართო 9 მოსახლე ვაძლევეთ მათ წელიწადში 2000 მანეთს (ე. ი. იმდენს, რამდენსაც მოთჯარადრები უღდიან ქალაქს. მამასადაც, დანარჩენი შემოსავალი მოთჯარადრთა უღბით მიდიოდა). ამის გარდა ისინი 1500 მანეთის თივას ყიდიან ყოველწლიურად, ხოლო რამდენს ახდენენებენ ჩენდარებს, თათრებს პირუტყვით მოვაკრეთ და ქალაქის მცხოვრებთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ. მართლაც მოთჯარადრებებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ. ქალაქის მართველობის დადგენილებით სულ პირუტყვზე კვირაში 15 კაბ. იღებდნენ. ეს კი დიდ თანხას შეადგენდა.

ამ განცხადებიდან ჩანს, როგორ მიდიან წინ გამდიდრებული მოქალაქენი, როგორ ახორციელებენ ისინი კაბიტალისტური ურთიერთობის კანონს — კაცი კაცისთვის მგვლიაო. ამ განცხადების შედეგად ქალაქის გამგეობამ ისარგებლა, რომ მოთჯარადრებს იჯარის შეტანა დაუგვიანდათ და გააუქმა მათთან ხელშეკრულება. ახლა იჯარა მიეცა ძმებს ახანზაროვებს, რომლებიც აგრეთვე სხვა ავლაბარელთა რწმუნებით მოქმედებდნენ.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ავლაბარის თემი დამოკიდებულია საინტერესოა ამ მხრივ დავა, რომელიც ქალაქის დემაში წარმოებდა. ხმოსანმა მ. ვ. შაჩაბერაძემ განცხადება შეიტანა, რომ ქალაქის გამგეობამ ფაქტურად გააუქმა ავლაბარის ვითომდა თემი და ამით ხელს უწყობს ხალხის გამარჯობარებას. მაგრამ დემის სხდომაზე საბოლოოდ დადსატრდა, რომ ავლაბარის მოსახლეობა დაიქსაქსა კლასობრივად. ვლზეების, ე. ი.

სეთთა რიცხვი, ვინც სოფლის მეურნეობას მისდევდა, მცირეა: ერთი თესავდა ბურს და რამდენიმე მისდევდა მეცხოველეობას. დანარჩენი უკვე იყვნენ დღეგრებები, დალაქები, თერაქები, ჩინოსნები, საპატრო მოქალაქენი და სხვ. მხოლოდ 40 ოჯახს აღმოაჩნდა სულ 264 მუშა პირუტყვი, 494 მეწველი ძროხა და ხბო 7126 წერილდგება საქონელი, 89 ცხენი, 42 ვიჩი და 80 ღორი. 16 ოჯახს საერთოდ არავითარი პირუტყვი არ ჰყავდათ. ამ ორმოცში შედიოდნენ ახანზაროვები, რომლებსაც, ეტყობა, ეკუთვნოდა ამ რაოდენობის დიდი უმეტესობა.

ქალაქის მმართველობამ სცნო, რომ ავლაბარის თემი არ არსებობს და დაადგინა — ავლაბარის მიწები გასცეს იჯარით ყერძო პირებზე. ავლაბარის მცხოვრებთა ასოციაცია — თუკი ასეთი შედეგმა — ისარგებლებს უპირატესობით: არ შეიტანს ბეს. მართლაც 1889 წლის 31 იანვარს მიწები იჯარით აიღო ასეთმა ასოციაციამ: ავეტიქ იშხანოვი, ყაზახ ახანზაროვი, ნიკოლოზ ხალათოვი და გურუქ აღმაოვი. მათ მიეცათ ნაკვეთი 1829 დესეტინის რაოდენობით. შემადგომში სიტყვა „ასოციაცია“ შეიცვალა უფრო გასაგებები „ამხანაგობით“. ვიზარდა სათჯარო ქირა: 1891 წელს — 2500 მან.; 1894 წელს — 2750 მან.; 1897 წ. — 3100 მან.

1895 წელს იმპერატორის ბრძანებულებით ავლაბარის აღნიშნულ ფართობს გამოაქვდა 487 დესეტინა, რაც სამხედრო უწყებას გადაეცა. დანარჩენი 1341 დესეტინა ქალაქს უნდა გაეცა იჯარით. საჯარო ვაჭრობაზე იყენე მანველოვს დაჩანა ნაკვეთი 4000 მანეთად. მაგრამ ქალაქმა ეს თანხა მიცირებ ნათვლა, საჯარო ვაჭრობის აქტი არ დაატყიდა და გადაწყვიტა თვით ქალაქის გამგეობას ეწარმოებია ამ მიწების ექსპლუატაცია.

აქვე შევხვით მოკლედ ნავთლულის ზედს. ნავთლული შედგებოდა თვით 1-ველ ნავთლულიდან და მისი გარეუბნიდან. ნავთლულის მცხოვრებთა რიცხვი 1846 წელს, როგორც გენერალ-მაიორ ერმოლოვის მოხსენებიდან ჩანს, შეადგენდა 200 ოჯახს. ნავთლულში იყო ყერძო სახლი — 160, სახელმწიფო სახლი — 10, სამიკიტნო — 27, ვენახი — 22, წისკილი — 6, აფურის ქარხანა (კუბტარული) — 4. სამიკიტნოები უხდიდნენ ზაზინას წელიწადში 25 მან. ყერცხლით, ხოლო დანარჩენნი არაფერს არ იხდიდნენ. ნავთლული ემორჩილებოდა სართავალს, რომელიც შორს იყო. გენ. ერმოლოვი მოითხოვდა ნავთლულის შეერთებას თბილისზე. ეს შეამდგომლობა დაქმნაყოფილებული იქნა და ნავთლული თბილისს ფარგლებში იქმნინდა.

ყველა ამის შემდეგ გვიღა დიდი ღარი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იცვალეს ფერტი თბილისის გარეუბნებში. ავლაბარის მინდერები და ნავთლული ახლა მართლაც ქალაქია.



## ერთი შენიშვნა საქართველოს ისტორიის ახალი სახმამღვანელოს მიმართ

ყველა ხალხის კულტურის ისტორიაში დამწერლობის წარმოშობის საკითხს ერთ-ერთი საბაბით ადგილი უკუიარაღებს.

ძველი კულტურის მქონე ხალხთა დამწერლობის წარმოშობის სათავე ხშირად არ ჩანს. ასეთი ბედი ეწვია ქართული დამწერლობის საწყისსაც. შემონახული უძველესი ძეგლები (დაწყებული 493-94 წლის ბოლნისის წარწერით) მოწმობენ, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობა გაცილებით უფრო შორს მიდის, მაგრამ ამის პირდაპირი საბუთი—V ს.-ზე უფრო ადრინდელი ძეგლი — არ მოგვეპოვება.

ამიტომ ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი სავანებო კლუვის საგანს წარმოადგენს. ჩვენამდე მოღწეული ძეგლების მიხედვით, როგორც ცნობილია, ასეთი სურათი იმლება: V-დან IX ს-მდე გვაქვს მრგოლიანი ნაწერი ძეგლები (წარწერები და ხელნაწერები), ნუსხური პირველად IX ს.-ში გვხვდება და ბატონობს X—XI სს-ში, ხოლო XI ს-ში ჩნდება მხედრული<sup>1</sup>.

დამწერლობის ამ სახეთა შორის ურთიერთობის შესახებ სპეციალისტებს გარკვეული მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული.

ა. შანიძე ფიქრობს, რომ ნუსხური მრგოლიანიდანაა წარმოშობილი<sup>2</sup>. იგი წერს: „სახელურ ქართულ დამწერლობას ზვეულებრივ ნუსხური ჰქვია. ის მრგოლიანაა განვითარდა... მეთერთმეტე საუკუნეში ჩაისახა ახალი დამწერ-

ლობა, რომელიც ნუსხურისაგან გადმოკეთდა<sup>1</sup>. იგი, ჯავახიშვილმა ქართული პალეოგრაფიის სხვა საკითხებთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლა მრგოლიანისა და ნუსხურის ურთიერთობის საკითხიც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძველად უნდა არსებულყოფო არა მხოლოდ მრგოლიანი ასომთავრული, არამედ კუთხოვანი ასომთავრულიც; კუთხოვანი ნუსხური უშუალოდ კუთხოვანი ასომთავრულიდან უნდა მომდინარეობდეს. „ის ღრმა ცვლილება, — წერს იგი, — ჯავახიშვილი, — რომელიც ასომთავრული ასოების მოხაზულობას გამოუვლიათ, სანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკეთის პროცესი ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო და მისი დასაწყისი თითქმის იმ ხანას უნდა აღწევდეს, როდესაც ქართულ დამწერლობაში ჯერ კიდევ კუთხოვანი ასომთავრული სუფევდა“<sup>2</sup>.

ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს ახალი და მეტად მნიშვნელოვანი შასლა შესძინა არმაზული დამწერლობის აღმოჩენამ. არმაზული წარწერების ანალიზისა და ქართული ანბანის არმაზულთან შედარების შედეგად გ. წერეთელმა ეკვის ქვეშ დააყენა მოსაზრება, რომ ნუსხური ასომთავრულიდანაა წარმოშობილი. არმაზული დამწერლობის საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში ვკითხვობთ: «При сравнении армазского письма с грузинским мы часто находим параллели в строчном письме нусхური. Значит ли это, что мы рассматриваем нусхური как более древнее письмо сравнительно с мтаврули, вопреки мнению большинства исследователей? Возникает вопрос: какая из этих двух разновидностей грузинского письма появилась раньше: мтаврули или нусхური? По нашему мнению, такую постановку вопроса едва ли можно считать оправданной. Развитие грузинского письма не представляется нам по

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1954 გვ. 277.

<sup>2</sup> ამ აზრისა იყო ადრევე დ. ბაქრაძე (Д. З. Бакрадзе, Грузинская палеография: Труды V Археологического Съезда в Тифлисе 1881 г., Москва, 1887, გვ. 209-211; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 84-85), აგრეთვე ჯ. შუხარტი (H. Schuchardt Mitteilungen aus georgischen Handschriften, გამოაქვეყნა ა. შანიძემ: „ბრ. უნ. მოამბე“, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 357-358).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 277.  
<sup>2</sup> იგი, ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ.

ბიბლესკი სქემა: მთავრული პოდრილი ნუსხური, ნუსხური პოდრილი მხედრული და ტ. დ. Действительность значительно сложнее. Трудно допустить мысль, что письмо нусхური создано именно в той эпохе, в которой оно впервые встречается. Вероятнее всего, оно имеет значительно более длительную историю. Но если даже согласиться с мнением, что нусхური произошло от мтаврული, мало вероятно, чтобы это последнее (мтаврული) оставалось без изменения. Скорее всего оба типа грузинского письма развивались и отделялись от первоначального оригинала, и этим объясняется, что в одних случаях нусхური сохранило более архаические начертания, а в других мтаврული<sup>1</sup>.

ავტორის აზრი სრულიად ნათელია: ნუსხური არაა მთავრულიდან განვითარებული; უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული დამწერლობის ორივე ეს სახე საერთო და პირველადი ორიგინალის გამოჩაყვინძევაა.

ასეთია ის მოსაზრებანი, რომელნიც ქართული დამწერლობის აღნიშნულ სახეთა ურთიერთობის შესახებ გამოთქვამთ ამ საკითხზე მომწიფე სპეციალისტებს.

1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“<sup>2</sup> კი მრგლოვანისა და ნუსხურის ურთიერთობის საკითხი სრულიად სხვაგვარადაა წარმოდგენილი: მრგლოვანი დამწერლობა ნუსხურიდან წარმოშობილია და გამოცხადებულია. აღნიშნულ წიგნში ვკითხულობთ: „საუკუნეთა მანძილზე ქართული ანბანის რამდენიმე სახე (დამწერლობა) შემუშავდა. მათ შორის ძირითადია „ხუცური“ და „მხედრული“. ხუცური სასულიეროს ნიშნავს, მხედრული — საეროს. ეს სახელები პირობითია. ვაგრძელად ნაწერ ხუცურ ნიშნებს, ე. წ. ნუსხა ხუცურს, რათა ისინი გამოვლგარიყვნენ ტაძრების კედლებზე ამოსაქრელად და თვალისთვის გასარჩევად, მივცათ მეტი სიმსო, სიმრგვლე ან კუთხოვნობა, ორ პარალელურ ხაზს შორის გამართულობა. მოხდა მათი

სტილიზაცია, და ასე ჩამოყალიბდა „ხუცური“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ასომთავრულს, რომელიც ნუსხურიდან მომდინარედაა გამოცხადებული, ნუსხურთან შედარებით უმნიშვნელო ფუნქციონირება და მისი ვაგვარების არც შეტად შეზღუდულია. ამდენად, მთავრული ვერც ამოუდგება ნუსხურს გვერდში: იგი დამწერლობის დამოუკიდებელ სახედ კი არაა მიჩნეული, არამედ ნუსხურის საფუძველზე შემუშავებული ასოების ისეთ სახედ, რომელიც წარწერებისათვის შექმნილია.

რა საფუძველი ჰქონდათ „საქართველოს ისტორიის“ ავტორებს, როდესაც მრგლოვანი ნუსხურიდან წარმომდგარ სტილიზებულ დამწერლობად მიიჩნიეს, არა ჩანს.

თუ „საქართველოს ისტორიის“ ავტორთა კოლექტივი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათაგან არც ერთს არ იზიარებს და სასულიად სხვა შეხედულებებისა ამ საკითხზე, მოსალოდნელი იყო, ისინი ვერ გამოაქვეყნებდნენ სპეციალურ გამოკვლევას, სადაც მოცემული იქნებოდა აქამდე გამოთქმულ მოსაზრებათა უარყოფა სათანადო დასაბუთებით და შემდგომ ახალ შეხედულებათა დამადასტურებელი არგუმენტები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შესულიყო იგი დამზარებ სახელმძღვანელოში. აქ კი, ყოველგვარი წინასწარი დასაბუთების გარეშე, ზემოაღნიშნული მოსაზრება მოცემულია ისეთი სახით, როგორც ერთადერთი (სხვაგვარი მოსაზრების არსებობის შესახებ აქ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი), საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული დებულება.

ამასთანავე, ამ შეხედულების ავტორებმა უნდა ახსნან, თუ რატომ იწერებოდა დიდტანიანი ხელნაწერები ნუსხურიდან წარმომდგარი ასომთავრულით, რომელიც მხოლოდ წარწერებისათვის შექმნილია?

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ამონაწერი სახელმძღვანელოდან ბუნდოვანია. აქ ნათქვამია, რომ ქართული დამწერლობის რამდენიმე სახიდან ძირითადია „ხუცური“ და „მხედრული“. თუ „ხუცურში“ იგავე იგულისხმება, რაც საერთოდ, ე. ი. მრგლოვანი და ნუსხური, მაშინ ავტორები უნდა იზიარებდნენ იმ საყოველთაო მოსაზრებას, რომ ქართული დამწერლობის განვითარებაში სამი ძირითადი სახეობა გამოიყოფა: მრგლოვანი, ნუსხური

<sup>1</sup> Г. В. Церетели, Армянское письмо и проблема происхождения грузинского алфавита II: Эпиграфика Востока. III, 1949.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, ე. ლონდონი, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1. 1958.



და მხედრული<sup>1</sup>. თუ ასეა, მრგოლიანი (ასო-  
შთაერული) დამწერლობის დამოუკიდებელ სა-  
ხედ უნდა იქნეს მიჩნეული და არა წარწერე-  
ბისათვის შემუშავებულ ასოებად, ხოლო ქარ-  
თული დამწერლობის ძირითადი სახეები გარ-  
კვეთით უნდა იყოს დასახელებული და დამ-  
წერლობის ძველი სახეების მიმართ აღრინ-  
დული და დიფერენციალური ტერმინები იყოს  
ნახშიარი („მრგოლიანი“ ან „ასომთაერული“ და  
„წესხური“) და არა მერმინდული „ხუტური“.  
ხოლო თუ „ხუტური“ ჩვეულებრივ გაგებით  
არაა ნახშიარი, ამასაც სათანადო ახსნა უნდა  
აბლდეს.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო-  
ში ანბანის საკითხთან დაკავშირებით ერთი  
ლაფსუსიც გვხვდება. წიგნში ნათქვამია, რომ  
ქართული ანბანი ერთხანს (იგულისხმება, აღ-  
ნათ, ძველი ქართული) 38 ასოს შეიცავდა<sup>2</sup>.  
მაგრამ ძველ ქართულში 37 ასო იყო და არა  
38; ერთ ბგერას — უს — თავისი ნიშანი არ  
ქონდა და ორი ასოს საშეღლებით აღნიშნე-  
ბოდა.

ამვე ნაწილში მოცემულია ქართული დამ-  
წერლობის ნიმუშები<sup>3</sup> და აქ ყველა პერიოდი-  
სათვის (V-დან XVIII ს.-ის ჩათვლით) 36 ასოს  
ნიმუში გვაქვს და არა 38-ისა; დანარჩენი შო-  
სალოდნელო 2 ასო არსადაა, ანბანის ცხრილს  
აქ საერთოდ აკლია ერთი ასო — გ — რა  
შოსაზრებით, არა ჩანს. მართალია, ეს ასო  
ქართულში სხვა ასოებთან შედარებით იშვია-  
თად იმარებოდა და, როგორც გ. წერეთელი  
ფიქრობს, ც და შ არ უნდა წარმოადგენდნენ  
ცოცხალ მტყველებში არსებული ბგერების  
ნაწილებს, არამედ ბერძნულის გავლენით უნდა

იყოს შემოღებული.<sup>4</sup> მაგრამ, ჯერ-ერთი, თუ  
ესაა საფუძველი ქართული ანბანისა, მ-ს  
ამოღებისა, ამავე საბუთით არც უნდა შე-  
სულიყო მასში; მეორეც, რა წარმოშობისაც  
უნდა იყოს გ და რაგინდ იშვიათად არ  
უნდა გვხვდებოდეს იგი, ეს არავის აძლევს  
უფლებას, რომ ისტორიულად ხმარებული ასო  
ქართული დამწერლობის ცხრილში არ შეიტ-  
ნონ. შეიძლება გვითხრან, რომ იმ ძეგლებში,  
საიდანაც ასოებია ამოღებული ნიმუშებისათ-  
ვის, ეს ასო არაა ნახშიარი; ავტორს უნდა შეე-  
რჩია ერთი ისეთი ძეგლი მაინც, სადაც ყველა  
ასო იქნებოდა, ასეთი ძეგლი და შრავლად  
მოგვეპოვება.

დამუშავდნულ შეუსაბამობას — 38 ასოს არსე-  
ბობაზე რომაა ლაბარაკი და ნიმუშებში 36  
ასოა მოცემული — გამართლება არ დაეძებ-  
ნება.

ტარს შემდეგ ჩვეულებრივ ძველი ქართუ-  
ლის ანბანში უ არის შეტანილი, ხოლო  
ზოგიერთ ცხრილში იქვე ფრწილებში უ ბგე-  
რის აღნიშნული ნიშანია ხოლმე მითითებული;  
ეს იმიტომ, რომ ძველ ქართულში უ დამოუ-  
კიდებელი ნიშანი იყო, უ ბგერას კი თავისი  
საკუთარი ნიშანი არ ქონდა; ხოლო შემდგომ,  
როდესაც უ ასო ჩამოყალიბდა და უ ხმარე-  
ბიდან გამოვიდა, ანბანში უ ასომ დაიჭირა უ-ს  
აღკილი<sup>2</sup>. აღნიშნული სახელმძღვანელოს ან-  
ბანის ცხრილში კი ტარს შემდეგ უ (და  
მომდევნო პერიოდებისათვის მისა შესაბამი  
ნიმუშები) ზის და უ როგორც დამოუკიდებელი  
ასო, ცხრილში შეტანილი არაა.

ერთი ბეჭდებითი შეცდომაა ანბანში: 27-ე  
ასოს პირველ ნიმუშად, უ-ს ნაცვლად, რაღაც  
სხვა ნიშანია ჩასმული.

ფიქრობ, რომ „საქართველოს ისტორიის“  
ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი,  
რომელიც ასეთ სათაურს ატარებს: „ქართული  
ანბანის შექმნა“, სათანადო შესწორებასა და  
დაუნუსტებას მოითხოვს.

<sup>1</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული პა-  
ლეოგრაფია, 1949. გვ. 184—193.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, 1954,  
გვ. 277.

<sup>3</sup> ილია აბულაძე, ქართული წერის ნი-  
მუშები, 1949. წინასიტყვაობა, გვ. VI.

<sup>4</sup> შოთა ძიძიგური, დამწერლობის წარ-  
მოშობა და განვითარება, 1958, გვ. 24.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 82.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>1</sup> გ. წერეთელი დსაბ. ნაშრომი, გვ. 70.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, 1954,  
გვ. 315, შენ. 1.

# წიგნების მიმოხილვა



## აკაკი წერეთელი და ჰიათურის მარგანეცი



მიმდინარე წელს გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ალ. კოჭლავაშვილის ნაშრომი: „აკაკი წერეთელი და ჰიათურის მარგანეცი“.

ამ საინტერესო ნაშრომში ავტორმა საბჭოთა მისაღებასა და დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია საკითხები, რომლებიც ეხებიან არა მარტო აკაკი წერეთლის დიდ დამსახურებას ჰიათურის მარგანეცის აღმოჩენისა და წარმოების საქმეში, არამედ აქ მოტიანილი დიდძალი საბჭოთა მისაღები და დოკუმენტები საშუალებას ვეძლევს, სწორად განვსაზღვროთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აზროვნების რიგი აქტუალური საკითხები. ამასთანავე, ა. კოჭლავაშვილმა, პირველმა, მოგვცა საყურადღებო მონოგრაფიული მასალის ნაშრომი, რომელიც აშუქებს აკაკი წერეთლის როლს ჰიათურის მარგანეცის წარმოების ორგანიზაციაში და ამავე დროს, აქვეა მოცემული კრიტიკა ფაქტობრივ მისაღებზე დაყრდნობით, იმ მკვლევარებისა, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში შეუღესებელი აქვთ ა. წერეთლის დედალი ჰიათურის მარგანეცის წარმოების საქმეში. ილია ქვეკვიციანის თქმით აკაკი „ქვეყნის სათვის თავგანწირული საუკეთესო მეომარია“ და „ერისათვის გარჯილი კაცია“ თუ. ტუფილად კი არ ამბობდა აკაკი: „მეტ გამიტაცა ოცნებამ, რომ შეეწოდი მზარესაო“.

ვინაოთ აზრი იმის შესახებ, რომ აკაკი წერეთელი, სხვა მოწინავე ქართველ სამოციანელებთან ერთად, რომელთაც სწამდათ კაპიტალიზმის განვითარების პროგრესული მნიშვნელობა, მთელი თავისი შემოქმედებით და პრაქტიკული საქმიანობით იბრძოდა ჩვენი ქვეყანაში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისათვის. ამ პერიოდისათვის საქართველოში უკვე ირსებობდნენ ეკონომიური წინამძღვრები, რომლებიც ამბობებდნენ ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

ცნობილია, რომ ამ გარემოებას ქართველი პროგრესული მოღვაწენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მის პროგრესულ მოვლენად თვლიდნენ. სწორედ რუსეთთან შეერთება შეიქმნა მიზეზი იმისა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მნიშვნელოვნად ვითარდება მრეწველობა, კაპიტალისტური ურთიერთობანი. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი თავის დროზე მიუთითებდა იმის თაობაზე, რომ რუსეთის კაპიტალიზმი, კავკასიას ითრეუება საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის დეგლობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაქტილობის ნაშის, — ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის და სხვა.

ისივე ცნობილია, რომ ქართველ მესამოციანელთა დიდი ნაწილი რუსეთთან საქართველოში დამბრუნების პირველ ეტაპზე უმთავრესად სოციალური და ეროვნული კულტურის პრობლემებით იყო გატაცებული. მათ პირველ პლანზე ეს საკითხები წამოიწიეს, ხოლო ეკონომიური საკითხებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ სოციალური და ეროვნული კულტურის პრობლემათა გადასაწყვეტად, ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბევრმა მესამოციანელმა და, მათ შორის აკაკი წერეთელმაც, სწორედ გაიფიქრა ეკონომიური ფაქტორის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის აღორძინებისათვის. ნ. ნიკოლაძე იხილავდა რა ამ პერიოდის სოციალ-

აქ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აკაკი წერეთელს მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ხალხისთვის უკიდურესი თვალსაზრისი წინააღმდეგ ქვეყნის ეკონომიური განვითარების სფეროში სწამდა კაპიტალიზმის განვითარების პროგრესული როლი და მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი საბელოვანი მგოსანი ჯერ კიდევ იდრე — სამოციანი წლების დსაწყისშივე — თავის სამშობლო მზარეს, — საქართველოს, მოუწოდებდა წახელიყო ამ გზით. ამ აზრის მყოფი დადასტურების წარმოადგენს მისი ლექსი „ქართლის საღამო“ და სხვა. უდავოდ უნდა მი-

ეკონომიურ საკითხებს, წერდა: „80-იან წლებში გაერთიანდნენ, რომ მარტო ენა არ აღადგენს ეროვნებას, არამედ ის ცხოველყოფილი ძალები, რომელთა მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამიღებს, აძლიერებს“.

ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდის მოწინავე ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა და, უნდა ითქვას, მტკიცედაც ეკონომიური საკითხების გადამწყვეტას.

აქაი წერეთელი ერთ-ერთ თავის მოგონებაში (1893 წ.) ამ საკითხზეც ამბვილებდა უტრადლებას. ის წერდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულან რამდენიმე წლის შემდეგ აღავრწმუნდი, რომ ჩვენს შრომას ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოჰქონდა და ამის მიზეზი კი უშთაერესად ჩვენი საზოგადო სიღარიბე იყო ფულთი და არა ქონებითაც სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ეს ამდენი აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმარხება საკმაო კი არა და, მეტიც იქნება ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებელიაო“ (გვ. 167).

აქაი აქვე დამსძენს, რომ სამთავროს მრეწველობის განვითარებით სამშობლოს დაუბარუნდებოან გამსწავლელი ქართველები, რომლებიც ლეკმაპურისათვის სხვადასხვა მხარეში არიან გადახვეწილნი და პატიოსანი შრომით ცხოვრობენო. მეტად საგულისხმოა, რომ პოეტმა თავიდანვე ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ უკრაინის მადანს დიდი მომავალი ჰქონდა და მეტალურგიული მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, და თუკი საქართველომ თვით არ დაიწყო ამ სახადოების გამოყენება საერთო ძალებით, სახელმწიფოც ყოველწლიურად დიდ ზარალს მიიღებს და მშრომელ ხალხს კი მშობე ტვირთად დაიწყებოა, წერდა აქაი.

რუსეთის ცარიზმი ყოველწლიურად ზღუდავდა მის განაპირა კოლონიებში ყოველგვარი მრეწველობის განვითარებას. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ მეფის მთავრობის რუსეთის მეტალურგიისათვის მადანი ოქროს ფასად უტკითდიან შემოჰქონდა მაშინ, როდესაც უკრაინისა და ნიკოპოლის მარგანცის საბადოები ხელუხლებელი იყო.

როგორც ა. კოკლავაშვილის ამ სინტერესო ნაშრომში თავმოყრილი მასალებიდან ჩანს, ჩვენს სახელეოვან პოეტს და საზოგადო მოღვაწეს მეტად დიდი პერსონა დაუხარჯავს უკრაინის მარგანცის წარმოებას, და ორგანიზაციის საჭმისათვის.

ა. კოკლავაშვილის დამსახურებად უნდა ჩათვალოს ის გარემოება, რომ მან როგორც, შემოთ აღვინიშნეთ, ამ დარგის მკვლევართა შორის პირველმა, უტყუარ სააქტივო მასალებზე და დოკუმენტებზე დაყრდნობით,

დაადგინა აქაის როლი უკრაინის მარგანცის სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყების საქმეში, და თუ აქამდე ბურჟუაზიულ-ბურჟუაზიული აქაის ღვაწლი იმ დარგში, სარეწველო შრომის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი სადავო საკითხი ეკვივითარებო ხდება. დადგინდა ფაქტი, რომ აქაი წერეთელი იყო პირველი, რომელმაც დაიწყო უკრაინის მარგანცის სამრეწველო ექსპლოატაცია.

80-იანი წლების პირველსავე დღეებში, როგორც ეს ა. კოკლავაშვილის შრომიდან ჩანს, ჩვენი სასიქადლო პოეტი მთავრობისა და მრეწველთა უტრადლებას იმეპყრობდა იმ გარემოებას, რომ „რუსეთში ვეროპიდან მოაქვთ ეს მადანი... წელწადში ასი ათასი ფუთი... ფხარ ფუთისა ოთხი აბაზო“ — ეს მაშინ, როდესაც უტკითელი ექსპორტიორები უკრაინის მადანს ადგილობრივ ყიდულობდნენ რჯერ უტროს იათად.

გამოდლოდა რა ამ მდგომარეობიდან, აქაი წერეთელი აუტრადდა საკითხს უკრაინის მადნის ექსპლოატაციის დაწყებისა ადგილობრივი ძალებით, რათა ჩვენს ქვეყანას და ხალხს ჰქონოდა მეტი შემოსავალი, მეტი სარგებელი. აქაიმ თავიდანვე მიუთითა, რომ თუ ჩვენ თვითონ მოვაწყუთ მადნის გადამუშავება, მაშინ 14 კაპიის ნაცულად, 2-3 მანეთს მივიღებთ ფულზეო. აქაი წერეთელმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში წამოაყენა იდეა ჩვენში ფერო-მარგანცის მოწყობისა. მხოლოდ 50 წლის შემდეგ განხორციელდა პოეტის ეს სანუგვარი ოცნება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ზესტაფონში ქარხნის აგების სახით.

აქაიმ უთოოდ კარვად იცოდა, რომ უკრაინის კაპიტალისტები ჩალსთასად ნაციად ძვირფას მარგანცის გადამუშავებას შემდეგ ისევ ჩვენ მოგვყვიდოან 2-3 მანეთად, ამით კი ქვეყანას ორმაგი ზარალი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ აქაი ხიციკების უყანას-კენელ წუთამდე იბრძოდა უტრო კაპიტალისტების გამაღვენისა და ჩვენში ფერო მარგანცის წარმოების მოწყობისათვის, რაც განაპირობებდა მშობლიური მეტალურგიის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებასა და ხალხის მეტერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ჩვენს სასიქადლო მგოსანს, რაკე მოითხოვდა — ადგილობრივი ძალებით შემდგარიყო მრეწველთა ვაერთიანება (კომპანია), რომელიც მარგანცის მადნის საბადოებს წესიერად და ეფექტურად დაამუშავებდა, უკრაინაში გაიყვანდა რკინიგზას, რომელიც ხელს შეუწყობდა არა მარტო მარგანცის საბადოების და მუშავება-განვითარებას, არამედ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას.



ნომიურ წიხვლისა და სხვა სასარგებლო ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებასაც. ამ საკითხთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი სტრეილია, რათა კიათურამ შესთავაზო ბაზარზე უპირატესად ადგილი დააკავოს ჩვენთვის ძალუბის მეოხებით, „ადამაღი ფული“ დატრიალდეს, „სულ უტხოვითიდან შეტანილი“, რაც გამოიწვევს ჩვენში ახალი ქარხნების აგებას და ქვეყნის დიდ სარგებლობას“.

ერთ-ერთ უკანასკნელ მოკონებაში, რომელიც ამ წიგნში პირველად ქვეყნდება, აკაკი წერეთელი მიუთითებდა: მარგანეცის საქმეზე ზრუნვის დასაწყისშივე ჩემს ოცნებას შეადგენდა, რომ 1. კიათურაში შემოსულყო რკინიგზა და ქალაქი გაშენებულიყო; ამით 2) ქვეყანა ყოველწლიურად რამოდენიმე მილიონ მანეთს მიიღებს და საქართველო ამ შავი ქვის წყალობით გამდიდრდება“; 3) ეს სიმდიდრე გამოიწვევს სკოლებს, ბანკებს, დეპოებს, და სხვა. ერთი სიტყვით, — წერდა აკაკი, — როგორც შატერიალური, ისე ზნეობრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა მგზავტობდა“ (გვ. 228) ვასაგებია რომ როცა აკაკი წერეთელი ენერჯის დაუზოგავად, მთელი შინდომებით მოქმედებდა კიათურის მარგანეცის წარმოების დაწყება-გაფართოებისათვის, მას მზედველობაში ჰქონდა ქვეყნის შატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა. დასახელებულ მოკონებაში აკაკი მიუთითებს:

„შავი ქვის მრეწველობას შე კიდევ მაინც ისე ვუყურებდი, როგორც საერთო საქმის და მისგან ევლოდი ჩვენი ქვეყნის გამდიდრებას“.

თავის მოკონებებში აკაკი მწუხარებით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში 30 მილ. ფუთზე მეტი მადანი გადის, „ქვეყანა მაინც განსაცდელშია ჩავარდნილი... მუშების მდგომარეობა არა თუ არ უმჯობესდება, თანდათანობით აუტანელ მდგომარეობაში ვარდება“ (გვ. 228), რომ მუშები თანინათი შრომის მინიმალურ ანაზღაურებასაც ვერღელებლობენო და სხვა.

აქვე აღნიშნავია, რომ აკაკი წერეთელი მარტო კიათურის მარგანეცით როდი კმაყოფილდებოდა, ის უფრო შორს იყურებოდა. სამართლიანად აღნიშნავს ალ. კოკლავაშვილი, რომ აკაკი წერეთელი, მარგანეცის საქმესთან ერთად, სხვა მინერალის გამოყენებაზედაც ზრუნავდა. უკვე 70-იან წლების დასაწყისში პოეტრი გარკვეულ ინტერესს ამკლავებდა სენინთის ოქროსადმი. ან. კაბანაძე, აკაკის დავალებით, ჯერ კიდევ 1875 წელს ზემოსივანეთში ოქროს საბადოების დამუშავების სა-

კითხვა წასული და ამავე წელს აკაკის სამეთ სამმართველოში ორი განცხადება შეუქმნს, რათა ოქროს სარეწარმის მოსაწყობად ქუთაისხევისა და ეწერში მიწის ნაკვეთები გამოეყონ (გვ. 67).

ვასაგებია, რომ დიდი შემოქმედის ამ ოცნების განხორციელება ცარიზმის პირობებში ყოველად შეუძლებელი იყო. მხოლოდ სამუკათა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა შესაძლებელი წილისიველ სამდიდრეთა ათვისება-გამოყენება და ხალხის სამსახურში ჩაყენება.

შრომაში მოტანილია მეტიც ბევრი საინტერესო მასალა, რაც იბეჭდებოდა იმდროინდელ ოფიციალურ პრესაში ამ საკითხის ირგვლივ. ამ დარგის ბევრში მკვლევარმა გვერდის აუარა აკაკი წერეთლის დიდ დამსახურებას კიათურის მარგანეცის წარმოების ორგანიზაციის საქმეში. ა. კოკლავაშვილი, პირველმა ამ დარგის მკვლევართა შორის, უტყუარ მასალებზე და დოკუმენტებზე დაყრდნობით, მეტყვერული სიზუსტით დამტკიცია, რომ პირველი პიონერი მარგანეცის მრეწველობის დაწყებაში აკაკი წერეთელია და არა ეიმეფონ მერკენფელდი, რომელსაც ზოგაერთი მკვლევარი კიათურის მარგანეცის წარმოების დაწყების პიონერად თვლიდა.

შრომის ავტორი, სამართლიანად მიუთითებს, რომ პოეტის პრაქტიკული საქმიანობა მარგანეცის დარგში ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, რაც ადგილობრივი მემამულეების მზრავინააღმშობობისა და ხელის შეშლით აიხსნება. 1879 წელს აკაკი იძულებულია მარგანეცის საქმიანობას თავი გაანებოს. ამის შემდეგ 1879 წლის ბოლო თვეებში, კიათურაში ჩანოლის ის ფონ მერკენფელდი, რომელსაც ზოგაერთი სრულიად დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ საქართველოში მარგანეცის მრეწველობის პიონერობა მიაკლავდა. მერკენფელდი საბადოების დამუშავება მხოლოდ 1880 წლის პირველ ნახევარში დაიწყო, ე. ი. აკაკის მიერ მუშაობის შეწყვეტიდან 7-8 თვის შემდეგ.

ალ. კოკლავაშვილი სააქრეთ მასალებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნას: „კიათურის მარგანეცის მრეწველობის ქვეყარბიტი პიონერი და ორგანიზატორი, მისთვის მუდმივი მებრძოლი იყო დიდი ქართველი პოეტრი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ქვეყნის და მშრომელი ხალხის დიდი პატრიოტი — აკაკი როსტომის ძე წერეთელი“ (გვ. 89).

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ კარგი საქმე გააკეთა ამ შრომის გამოცემით.

**ბ. ჩაბელიშვილი**

# რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები



ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა და, მათ შორის, ანდაზების პუბლიკაცია, უნდა ითქვას, ზეენში კარგად არის დაუნებელი. მართო ბოლო ათი წლის განმავლობაში ანდაზების რამდენიმე კრებული გამოქვეყნდა. მიუხედავად ამისა, მათხონილება მათზე მინც საგრძნობია. ეს უმთავრესად, აიხსნება ანდაზების გასაოცარი პოპულარობით, მათი დიდი შემეცნებით—მხატვრული ღირებულებითა და ფართო პრაქტიკული გამოყენებით. ამიტომ ანდაზების ყოველი ახალი კრებულის გამოცემა მისასალმებელ ფაქტად უნდა ჩითვალს.

ქართულმა მკითხველებმა მიიღეს ალ. ღლონტის მიერ შედგენილი „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“.

კრებულს წამოღებულელი აქვს საკმაოდ მოზრდილი და შინაარსიანი გამოცეკვა, რომელიც ავტორის მიერ ამ დარგში წლობის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღებულ საინტერესო დასკვნებს შეიცავს.

ალ. ღლონტი, შესავლის პირველ ნაწილში ეხება რა ანდაზების დიდ პოპულარობას, ამის მიზეზად ასახელებს მათს ბრძნელ აზრსა და ხატოვან ენას. მკვლევარი მიუთითებს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქართული შეწარალი, რომელიც ფართოდ არ იყენებდეს ანდაზებს და ამით კიდევ უფრო მიზიდველს არ ზდიდეს თავის წარმოებს. კონკრეტულად ავტორი ზერდება რუსთაველზე და ილია ჭავჭავაძეზე. მკვლევარი ვეჩივრებს, თუ როგორ უხვად იყენებდნენ ზენეღ ლიტერატურის ეს კორიდეები ხალხურ ანდაზებს და, ამასთანავე, როგორ აწყდიდნენ თავის მხრივ ფართო მასებს საყთარ ანდაზსენტიციებს.

მეორე თავში, რომელიც შესავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, ავტორს საყთობის ცოდნის განხილული აქვს ანდაზების ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურა. ძირითადად, მხებელი გადტანილია სინტაქსური განხილვაზე, და ეს ვასაგებიცაა, რადგან კრებული, უმთავრესად, ვათვალისწინებელია სავარჯიშო მასალად ქართულ სინტაქსში. როგორც ალ. ღლონტი, ვადმოკვეყნებს, ანდაზა სინტაქსურ თვალსაზრისით ოთხი სახისაა: ანდაზა — მარტივი წინადადება, ანდაზა — შერწყმული წინადადება, ანდაზა — პარატაქსი და ანდაზა — ჰიპოტაქსი. მკვლევარი არ კმაყოფილდება მარტოდენ ზოგადი მიმოხილვით, იგი ღრმად იჭრება საყთობის აზრში და აძლევს ანდაზის, როგორც სინტაქსური ერთეულის, დეტალურ განხილვას. მკვლევარი არ ივიწყებს

ანდაზის სემანტიკურ მთლიანობას, მოგვიტბრობს მათი პოეტის შესახებ, ვავწდის საინტერესო დაკვირვებებს ინტონაციის შესახებ და სხვა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ შესავლის ეს ნაწილი გამორჩევა სრულყოფითა და მეცნიერული კვლევის სიღრმით. ავტორის მიერ გამოთქმული დებულებები ბევრ საინტერესო და ვანებამახვილური დასკვნებს შეიცავს.

შესავლის შესაშე ნაწილი დათმობილი აქვს ანდაზების წარმოშობისა და შეკრების საყთობებს. ავტორი შენიშნავს, რომ „პარემიოგრაფია საქართველოში ჯერ კიდევ IX — X საუკუნეებში დაწყებულა, მაგრამ ჩაწერილი მასალები უფრო მხოლოდ XVIII საუკუნიდან ვეხვდება“ (გვ. 23). ქართული ანდაზების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეში უდამისი ღვაწლი მიმძღვით ცნობილ ქართველ სანოციანელებს და ბევრ ვამჩნეოდ თანამედროვე მწერალსა და მეცნიერს ი. ვრიშაშვილს, ვ. ლეონიძეს, ქს. სიხარულიძეს, მის. ჩიქოვანს და სხვ.

სარეცენზიო წიგნი შეიცავს 1400-ზე მეტ ანდაზასა და სიტყვის მასალას. მკვლევარი ვეთავზობს ახალ ცდას ქართული ანდაზების თემატიკური კლასიფიკაციისა, რაც მიუხედავად მრავალი ცდისა, ჯერ კიდევ დაუდგენელია, და ჯერ კიდევ ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. ამიტომ, ალ. ღლონტის მიერ წარმოდგენილი ახალი ცდა ქართული ანდაზების თემატიკური კლასიფიკაციისა მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს ვარემოება (ქართ. ანდაზების თემატიკური კლასიფიკაციის ახალი ცდა — ფ. ზ.) კიდევ უფრო მეტად ზრდის ამ მეცნიერული შრომის ღირებულებას.

მკვლევარი გამოყოფს 45 თემატიკურ ჯგუფს; როგორიცაა: შრომა, საშობლო, სიმართლე, ზნე-თესვა, და-ძმობა, სიბრძნე და ა. შ. კრებულში წარმოდგენილი ანდაზები და სიტყვის მასალები შექმნილია სხვადასხვა დროს, განსხვავებულ სოციალური ჯგუფების მიერ და ხასიათებთან როგორც თემატიკური მრავალფეროვნებით, ასევე შემეცნებით — იდეური ღირებულებით. მათში ნაწევრები ჩვენი ხალხის მიერ ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის ბრძნელი, ლაკონური შეფასება.

ანდაზების, წარმოდგენილი თემატიკურ რკალში — საშობლო, პატრიოტიზმის დიადი ვრძობის ქებათა-ქებას შეიცავენ და მამულისათვის თვდადებს ქადაგებენ. ანდაზა „სამშობლო ვედაა კაცისა, უცხო მხარე დედინაცვალი“ (გვ. 28), ამ მხრივ მეტად ტიპური და დამახასიათებელია, ასევე ანდაზები და სიტყვის მასალები

შრომის, გმირობის, სიმართლის, და სხვათა შესახებ, გამორჩეულნი იმ კეთილშობილურ იდეალებს, რომლებიც ადამიანს გულში აღძვრებდა მათთან დაკავშირებით.

აზნაურებსა და ბატონებზე შექმნილ ანდაზებში მეტად მოხდენილად და ლამაზად არის ნახევენბი მათი ხასიათები, მათი სისასტიკე, თვითნებობა, კულდაზიკობა და სხვა უარყოფითი თვისებები.

ალ. ლონტის კრებული დიდი სიყვარულით, მეცნიერული დაცვირებითა და საკითხის ღრმა ცოდნით შეუდგენია. მასში შეტანილია ის რჩეული ანდაზები და სიტყვების მასალები, რომლებიც უკვლავ უფრო დამახასიათებელია ჩვენი ხალხისათვის და გამორჩევიანი როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

ჩვენი აზრით წიგნი იწვევს ზოგიერთ შენიშვნას:

1) შესავალ ნაწილში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკმაოდ ვრცელი აღგული ეთობა ანდაზების გავრცელებას, მათ გამარტივულ სტრუქტურას, შევტოვების ისტორიას და ა. შ. მაგრამ არაფერია ნათქვამი ანდაზების შინაარსსა და სოციალურ ფუნქციასზე; ამის ჩვენება კი, ვფიქრობთ, არ იქნებოდა ზედმეტი, რადგან ანდაზა ჩვენთვის, პირველ რიგში, საინტერესოა, როგორც კონკრეტული შინაარსის შემცველი ნაწარმოები.

2) წიგნის სათაური „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“. შესავალ ნაწილში კი უტრადლება მთლიანად ანდაზებზეა გადატანილი და ცოტაა ნათქვამი სიტყვის მასალებზე; მკითხველისათვის გაუგებარია, თუ რას წარმოადგენს სიტყვის მასალები, რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი, რით უახლოვდებიან ან შორდებიან ანდაზებს და ა. შ.

3) რადგან წიგნში თავმოყრილია რჩეული ანდაზები და სიტყვის მასალები, ამიტომ კარგი იქნებოდა შემდგენელი მორიდებოდა ვარიანტების გამოქვეყნებას. ვფიქრობთ, უმჯობესია იქნებოდა ამ ვარიანტების ხარჯზე მკვლევარს სრულიად ახალი ანდაზა ან სიტყვის მასალა წარმოედგინა. კრებულში საკმაოადა ეს ვარიანტები; მაგალითად, „ქვა თავის ადგილს მძიმეა, რომ დაძვრის გამსუბუქდებაო“, „ქვა რაჟი ადგილიდან აღძვრება, ბუმბულზე უფრო გამსუბუქდებაო“ (გვ. 39), ან კიდევ „ძეძუზე ძეძუ ამოვაო“ („კინძვრის ძირზე კინძვარი ამოვაო“ (გვ. 40) და სხვ.

4) ზოგიერთი ანდაზა, ვფიქრობთ, შითავსებულია არა შესაბამის თემატურ ჯგუფში. მაგალითად, ნიმუში „როსტომ თქვა: სიბერეა ცოთა სიტყვა სათქმელად გვიბრად, ჯაჰვის პერანგი გავცეოთ, ახლა აღებაც გვიბრად“, რომელიც შითავსებულია გმირობა, ვაჟკაცობა, ლაშქრობის რაკლში, შესაძლებელია უფრო მზანშეწონილი ყოფილიყო სხვა თემატურ ჯგუფისა-

თვის, კერძოდ, სიბერე და ბებერისათვის. ასევე კარგი იქნებოდა, თუ ანდაზას — „სიბრძნე ებრძვის სიბრყვესა უთოფოდ და უხარბაზროთ“ მოვამკვიდრიო სიბრძნე წინასწარგანჭკურების და ანა დავვირეება-გამოცდილების რაკლში. ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

5. რაც შეეხება ავტორის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, ვამბობთ, იგი ძალზე ვრცელია.

როგორც ცნობილია კლასიფიკაცია თუ ბერიოთიბისცია უნდა ემყარებოდეს რომელიმე მკვითრ კანონს, ძალზე დამახასიათებელს და თვით საგნის ბუნებიდან გამომდინარეს. ჩვენი აზრით ანდაზების თემატურები თვალსაზრისით კლასიფიკაცია მაშინ იქნება მისაღები, თუ მას შევხლდეთ რომელიმე ობიექტური მხარის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ძალზე ვაზრდილ რიცხვს, რადგან ანდაზები თემატურად მეტად მრავალფეროვანია და თითოეული თემის ცალკე ჯგუფად გამოყოფა უჩვეულოდ შორს წაგვიყვანდა.

ქართული ანდაზების ალ. ლონტისეულ კლასიფიკაციაში, რა თქმა უნდა, იგრძნობა დიდი სიფრთხილე თემატურები ჯგუფების ჩამოყალიბებისას. მაგრამ თემატურები რაკლების შემცირების მიზნით, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი, ზოგიერთი ჯგუფის გაერთიანება მოგვეხდინა? ასე მაგალითად, სწავლა-ცოდნის რაკლი სიბრძნის ჯგუფში მოგვეთავსებინა, ქალაქის ჯგუფები ერთ საერთო, ვთქვათ, პირობითად, საოჯახო ჯგუფში მოგვექცია? ასევე ჯგუფები: პირმოთხე, მლიქვნელი, — ბრყვი, რევენი, — ავკაცობა, შურიანობა, — გიგი, სულელი, ხომ არ შეიძლებოდა ერთი რომელიმე ისეთი სახეურობების ჯგუფში გავეერთიანებინა, აგრეთში, რომელიც ზოგადად ადამიანის უარყოფითი თვისებაზე მიუთითებდა. ამგვარი გაერთიანება კი შესაძლებლობას მოგვცემდა, ვთქვათ, აქ მოტანილი ნიმუშების მიხედვით, 10 თემატურები ჯგუფის ნაცვლად, 3 ჯგუფი მიგველი; ამის გარდა, საფიქრებელია, კლასიფიკაცია უფრო მოიგებდნა, და თემატურები რაკლების შედგენისას დაელოდნა იქნებოდა ერთი პრინციპი. ავტორი გამოღის ანდაზების ხან ამოსავალი მნიშვნელობიდან, ხან კიდევ გადატანილი მნიშვნელობიდან. მაგალითად, ანდაზა „ღროზე მთესული ღროზე მოიყისო“ (გვ. 52) შეტანილია ხუნათესავში, ე. ი. ავტორი თვალსწინებს ანდაზის ამოსავალ მნიშვნელობას, ხოლო გმირობა, ვეცაცობა, ლაშქრობის თემატურ ჯგუფში შეტანილია ბეერის გადატანილი მნიშვნელობით გმირობის ამსახველი ანდაზა; მაგალითად, „ვისაც ზღვა არ უნახავს, მას ღვარისა არ ეწინიო“ (გვ. 30) და სხვ.



მიუხედავად ამ შენიშვნებისა, „რჩეული ქართული ანდაზებისა და სიტყვის მასალების“ გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ეს კრებული შემოიხაზა გაუადვილებს თანამედროვე ქართული ენის ნინტაქსის შესწავლით და-

ინტერესებულ ახალგაზრდობას და დიდ დახმარებას გაუწევს პარემიოლოგებს შესაბამისი ღირებულების წარმატებით შედეგების მისაღწევად.

ფიქრია ზანდუქელი

### თურქული მოთხრობების კრებული



გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოცემა თურქ მწერალთა მოთხრობების წიგნი. ამ კრებულში შესული მწერლების თხზულებებით ქართული მკითხველი ერთგვარად გაეცნობა თანამედროვე თურქულ პროზას.

ომერ სეიფედინი (1884 — 1920) თანამედროვე თურქულ პროზაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს. მისი მსუბუქი პეშორით გამოხატა ნოველები დიდი პოპულარობით სარგებლობენ თურქეთში. თურქულ ლიტერატურაში ომერ სეიფედინი ითვლება ნოველის ფანრის ფუძემდებლად. შემდეგ ეს ფანრი თემატურად გააღრმავა თურქული ბელეტრისტიკის ისეთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, როგორცია საბაათინ ალი.

ამ კრებულში შესულია ომერ სეიფედინის ორი მოთხრობა „სასწაული“ და „ქრთამი“. მოთხრობა „სასწაული“ მთავარი პერსონაჟი აშვედ ჩიროზი ქურდაცაცაია, იგი ყოველთვის იმის ფიქრშია, რომ სადღე „ხელს ვააყოლოს რამე“. და აი იგი დღას ვამძინავარებული ხანძრის წინ, რომელიც ნთქავს სახლებს, აშვედ ჩიროზი ფიქრობს თუ როგორ მოითხოვს ხელი, მაგრამ იგი აღლონებულია, რადგან მუშათა ქობმამბეში საიმისო არაფერია. გადაწყვეტს ისარგებლოს შემთხვევით და გამარცხოს წმინდანის სავანე, რომელიც აქვია. აშვედ ჩიროზი შედის სავანეში, გამოაქვს საჯანის ძვირფასეულობა და აქლამის ქვეშ შეყვებული გარეთ გამოდის. გაუღვება გზას დანჯად და აღქრებლად. ამ დროს ხანძარიც ჩაქრება და ვაოცებული ხალხი შესცქერის „წმინდანს“. კითხულობს მოთხრობას და არ შეიძლება არ ეგრძნოთ სინანული იმ ხალხის მიმართ, რომელიც ისე დაუბრმავებია რელიგიას, რომ გაქნალო ქურდაცაცაია „წმინდანად“ აღიარეს.

ომერ სეიფედინი არ ტვირთავს სიძვეტს ზედმეტ ეპიზოდებით. მწერალმა თავისი ნოველები გამდიდრა ხალხური თქმებით, რითაც დაუახლოვა ხალხის სალაპარაკო ენას.

ნოველა „ქრთამი“, რომელშიც ავტორი მოკვითხრობს მიხერხებული კაცის — ალი ხოჯას შესახებ, ტიპური იმერ სეიფედინის

შემოქმედებასათვის, ამიტომ კარგია რომ მთარგმნელს ეს მოთხრობა შეუტანია კრებულში.

ერთ დროს ალი ხოჯას სოფლის მამასახლისს პუისუზ ოლლუს მიწაზე სახლი აუშენებია, ალა კი მამასახლისი თავისი მიწის დაბრუნებას აპირებს. კანონის მიხედვით ალი ხოჯას სასამართლოში დამარცხება ემუქრება.

იგი დახმარებისათვის მიმართავს ნამიქ ეფენდის, რომლისგანაც ვაივებს, რომ მოსამართლე მეტად სამართლიანია და მასზე არ მოქმედებს ქრთამი.

მაგრამ რა მოხდა; მტყუანმა ალი ხოჯამ საქმე მოიგო და მეტე როგორ? აქ ავტორს მივცეთ სიტყვა:

— „რა? შენ ყოჩი გაუგზავნე მოსამართლეს — ეკითხება ნამიქ ეფენდი ალი ხოჯას.

— დიახ!

— მეტე როგორ გახედე...

— კი, მაგრამ შენ არ მითხარი, ქრთამი სძულს და ვინც საჩუქარს გაუგზავნის, მტყუანად გამოიყვანოს?

— ვითხარი.

— მეც ყოჩი რომ ვაუგზავნე, ჩემი სახელი არ გამიშვლია.

— მაშ რა ჰქენი?

— ჩემი მოწინააღმდეგის, მამასახლისის, პუისუზ ოლლუს სახელით ვაუგზავნი!..“ ეფენდრობთ აქ მომენტარები ზედმეტია.

საბაათინ ალი თურქი ხალხის საყვარელი და პოპულარული მწერალია. მის ნაწარმოებებში, რომელნიც ნაზიმ ჰიქმეთის თქმით „თურქული ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის მხარობელია“, შესანიშნავადაა ასახული თურქი ხალხის ცხოვრება.

საბაათინ ალი დაიბადა 1907 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი შედის სტამბოლის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება საზღვარ გარეთ. გერმანიაში გატარებულმა წლებმა საბაათინ ალის, როგორც შემოქმედის მსოფლმზიდველობაზე, დიდი როლი თამაშა. იგი აქ გაეცნო მარქსიზმის მოძღვრებას, დაწავდა მოწინავე ლიტერატურას, გერმანულ

რომანტიზმს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა ერთნაირ ტრესიმლი აი-ში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მოთხრობა, რომანი და პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც იგი გამოდიოდა თურქი ხალხის უფლებების დაცვადად.

თავისი შემოქმედებით საბაჰათინ აღიღდა კაცობრიობის მოწინავე იდეების სადარაჯოზე. იგი იბრძოდა თურქული შოიინიზმის წინააღმდეგ, იბრძოდა თურქი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის. და ასეთი მოღვაწე თურქეთის რეპუბლიკის წარმოქმნისათვის მკვლელის ხელით გზიდან ჩამოიშორეს 1948 წელს.

სარეცენზიო კრებულში შესულია მისი ორი მოთხრობა: „სატვირთო მანქანა“ და „ახალტანა გზა“. მოთხრობაში „სატვირთო მანქანა“ მწერალმა დაგვიხატა უბედური სევდები თურქი ახალგაზრდისა, რომელიც ლტემპერის შოინისათვის იძულებულია შორს წავიდეს თავისი სოფლიდან, თავისი ოჯახიდან, რათა ზამთარში მამივე ტვირთად არ დაწვეს ისედაც გაღარიბებული ოჯახს. ეს ყმარული პირველად გვდება მანქანაში და მიდის იზმირში. მან უნდა იმგზავროს ორი დღე... მას არა აქვს საშველი და... ფული, რომელიც მოფერს უნდა მისცეს იზმირში ჩასვლისას. ამიტომ მან გადაწყვიტა გადახტეს მანქანიდან იზმირთან, რათა მოფერა ეს ლტემპერის მძებნელი პოლიციას არ ჩააბაროს. შესანიშნავად აქვს გადმოცემული მწერალს ამ ყმარულის განცდები მგზავრობის დროს.

ი მანქანა მიუახლოვდა საშიშ ადგილს. ჩვეულებისამებრ აქ მგზავრები ვიდმოდიან მანქანიდან და ფეხით გაივლიან ხოლმე ამ ადგილს. მოფერი აფრთხილებს მგზავრებს, რომ მოეზადონ ჩამოსვლისათვის. ყმარული კი ჰგონია, რომ დაადგა დრო ფულის ვადადისა და იგი მანქანის გაჩერებამდე გადახტება და... წონასწორობა დაკარგულს ფეხი აუცდა, ლოდს კეფა დაჰკრა და დაგორებულ ქვებსა და ხრეთთან ერთად ქვეით გადაეშვა.

ასეთივე ბედი ბევრი ღარიბი ახალგაზრდისა თურქეთში, ახალგაზრდისა, რომელიც თავისი ოჯახიდან წამოვიდა, რათა ლტემპერტი ემოვნა, მაგრამ ნაცვლად ამისა, შორს თავისი ოჯახიდან, შრომობიური მთაგორებიდან, მოჩუხბუხე მდინარეებისაგან მოშორებოთ, უღრმეს კლდე-ღრუში სათარე კიოვდა.

მოთხრობა „ახალტანაში გზა“ მოვეთხრობს სოფლის მასწავლებლის ცხოვრებაზე, მის განცდებზე და დამოკიდებულებაზე გლეხობასთან.

ბულია იმით, რომ გლეხებს ქალაქიდან სოფლამდე წინ უძევთ „ჯოჯოხეთურს“ გზას. იგი ცდილობს რომ გზა გახდეს კომუნისტურმა და თხოვნას თხოვნაზე აგზავნის და...

გზას გააკეთებენ მაგრამ გააკეთებენ არა იმიტომ, რომ ვილაიეთის მესვეურთ მალიან აინტერესებთ ხალხის ბედი, გააკეთებენ, არა იმიტომ რომ შეიწყნარეს მასწავლებლის თხოვნა, არამედ იმიტომ, რომ ამ გზაზე ვილაი დიდებულმა უნდა გაიაროს. ამით გლეხებსაც ეშველათ. მაგრამ... ახლულიანი გზა უხარისხო გამოდგა და არ შეიძლება გლეხების ურმით იქ გავლა. გლეხები იძულებული არიან უფრო უარესი გზით იარონ და შთას შემოუარონ რათა ჩავიდნენ ქალაქში. გლეხობა ყოველივე ამისი დამანაშავედ თვლის ამ პატიოსან ადამიანს, რომელმაც ამდენი იზრუნა გლეხობისათვის. და ეს ადამიანი, რომელსაც ესოდენ შესტკიოდა გული გლეხობაზე, იძულებულია დასტოვოს სოფელი...

მეორე მოთხრობა ომის შემდეგ თურქეთის ერთერთმა ცენტრალურულმა ქრანალმა „გარლიქ“ გამოაცხადა კონტრუსი საუკეთესო ლტემპერებზე. ამ კონტრუსზე ვიომარჯვა მამინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედმა ორპან ქემალმა, რომელიც ამ დროს საპატიმროში იმყოფებოდა თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ცხოვრების სიმკაცრემ უფრო მეტი ასწავლა ორპან ქემალს, ვიდრე რომელიმე სასწავლებელი ასწავლიდა. იგი დაიბადა 1917 წელს. რიცა მომავალი მწერალი 14 წლისა იყო მისი ოჯახი გადასახლდა სირიაში, რადგან ორპანის მამას სდენიდნენ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. 17 წლის ორპანი ბრუნდება სამშობლოში და მუშაობას იწყებს ქ. ადანის ფაბრიკაში ჯერ გადამწერად, ხოლო შემდეგ შავ მუშად. ოცი წლისა ვაიფივის სამხედრო სამსახურში. აქ იგი თავისუფალი აზრების გამოთქმისათვის დააპატიმრეს. 1951 წელს ორპან ქემალი ჩამოიღის სტამბოლში და მუშაობას იწყებს თეატრში... მუშარდერობედ.

ორპან ქემალის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს „პატარა“ კაცის თემს. იგი დრმად წყდება ადამიანის სულს, და წერს მის ტყვიელებსა და მწუხარებაზე.

ამ კრებულში შესული მოთხრობა „შიშშილი“ მოვეთხრობს ერთი ადამიანის განცდაზე, რომელიც, იმისათვის რათა ცოლშვილს საშველი მოუტაროს იძულებულია გაეიდოს მისთვის საყვარელი წიგნები. ამადლებულად გვიხატავს ორპან ქემალი ამ პატარა კაცის განცდებს, რიცა იგი გახაყიდად ცალკე აწყობს მისთვის ესოდენ ახლობელ ტოლტოისა და

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი შეწყუბუ-

გორკის წიგნებს. შესანიშნავად აქვს მწერალს დახატული ამ კაცის სულიერი განცდები, როცა იგი ვასაყიდი წიგნებით ხელში ქრწამი მძღვს. ყველაფერს, ყოველივე მოძრავ თუ უძრავ საგანს, რაც ამ ადამიანის ირგვლივაა ამ დროს, თავისებურად აღიჭვავს ეს კაცი, რადგან მას ერთი რამ იწუხებს: „წიგნების გაღივება“!

როპან ქეშალი არასოდეს არ ამბობს, რომ კაცი იღვლიდა ან კაცი მშვიდობა, იგი ამას ხელეწიფების მრავალმეტყველო ერთი აგრძნობიანების მკითხველს, რომელსაც სწამს მისი გვირის, და თანაგრძნობს მას, მკითხველს ნამდვილად ებრალება ამ მოთხრობის გვირი, როდესაც იგი ამხანაგებს შეხედება და ჰგონია რომ ისინი დასტინიან მის სიღარბებს. როპან ქეშალი სიუჟეტის თავისებური განვითარებით უძალიად ახერხებს მიიპყროს მკითხველის ყურადღება.

თურქი ქალის ცხოვრებას ორი სრულიად განსხვავებული მიმდინარეობა ვეხატავს: ერთი ასახავს მხოლოდ განათლებულ, არისტოკრატიკულ ქალის ცხოვრებას (ამის საუკეთესო წარმომადგენელი იყო მწერალი-ქალი პალიდე ედიფი), ზოლო მეორე საერთოდ თურქი ქალის ცხოვრებას, რომელი კლასის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ამ მიმდინარეობას მიეკუთვნება მწერალი-ქალი სუად დერვიში.

სუად დერვიშიმ რამდენიმე წელი სსრკ-ში გაატარა ერთ-ერთი თურქული ვაზეთის კორესპონდენტად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა წიგნი „რატომ ვარ მე სამქოთა კემირის მეგობარი“. ამ წიგნისათვის თურქეთის სახელმწიფო პრეზიუმის მოთხოვნა 25 წლის პატიმრობის მისჯა მწერლისათვის.

წიგნში ცნობილია მისი რომანი „ფოსფორული ჯერვი“, რომელიც ასახულია თურქი ქალის ცხოვრება.

სუად დერვიშიმ თავის მოთხრობაში „მურდი“ აიშე წენეს სახით დაევიხატა დღევანდელი თურქი ქალის სახე. აიშე წენე ერთგვარი დედაა, ბავშვი ავადია. ოთხში ცოცხა, წუხს

დედა შვილის წუხილით... სტიკია სტიკიარი ბავშვისა... და იგი იძულებულია წაიღოს გარეთ და მოიპაროს რამდენიმე ნახშირის მკე... გამომოუდელია ტურლობაში... მას შეუძლებელია დადიკერენ... როდესაც დედა მეორე დღეს შინ მობრუნდება შვილი მისი არ დახედება ცოცხალი.

საინტერესოა სუად დერვიშის წერის მანერა, იგი წერს დიხვად და აღჩქარებელი ტონით. ამ მოთხრობას იგი იწყებს ქალაქის აღწერით სიღამოთი, რის შემდეგაც გვაქაქებებს თავის გვირთან, რომლის ცხოვრებას გვიჩვენებს ქალაქის ცხოვრების ფონზე.

ჯვედეთ კულდეთ სოლოკის მოთხრობა „ჩვენი ქუჩა“ გვიამბობს სტამბოლის ერთ-ერთ ქუჩაზე მცხოვრებ ადამიანების შესახებ. მოთხრობაში მხილებულია იმ ექიმის უგულობა და არაადამიანურობა, რომელიც ფეხმძიმე ქალის მომშობიარობისათვის მოთხოვნის გასაკარ თამბაზ — 50 ლირას. ამ განხილვებულ რეკას ამდენი ფული არასოდეს არ ჰქონია. ექიმს შეაძლებდა ოც ლირას, მაგრამ იგი უარზეა და აბირობს უკან გაბრუნებას. ხალხს წინ აღუდგება მას, და უსიტყვოდ აიძულებენ მშობიარე ქალს მიხედოს.

წიგნში შესული ყველა მოთხრობა თურქულიდან თარგმნა ნოღარ ჯანაშიამ. ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის იგი უკვე კარგა ხანია ცნობილია, როგორც ნიჭიერი მთარგმნელი. ამ თარგმანებში თურქული იდიომატური გამოთქმებს კარგად აქვს მონახული ქართული შესატყვისები.

არ მიგვახანია მიზანმწიფონილად, რომ როპან ქეშალის მოთხრობა, რომელსაც დედანში ჰქვია „წიგნების გაყიდვის შესახებ“ ქართულად დასათარგმნელი იყო „შომშილი“-თ, ამით ნაწარმოების აზრი მეტად შეშვდება.

ამვე მოთხრობის პირველი წინადადება იწყება ასე: „კაცმა წიგნების გაყიდვა გადაწყვიტა“. ვფიქრობთ რომ აქ და მთელ მოთხრობაშიც მთარგმნელს რომ ნაცუალსებლები ესმარა აჯობებდა.

გურამ ბატირაშვილი

### თეიმურაზ გაგრატიონის კრიტიკობრაფიული ჩანაწერები



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ორგანოს მე-16 ტომში (Ученые записки Института Востоковедения,

1958, Москва-Ленинград) გამოქვეყნებულია რ. როპანელის საყურადღებო ნაშრომი, რომელიც ეხება გამოჩენილი მეცნიერისა და

შერლის თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) კრიპტოგრაფულ ჩანაწერებს (Из криптографированных записей Теймураза Багратиони).

რ. ორბელის თეიმურაზის საიდუმლო ანბანები და სათანადო ტექსტები შეუსწავლია თ. ბაგრატიონის ხელნაწერთა საფუძვლიანი აღწერის დროს; ეს მდიდარი კოლექცია თეიმურაზისეული ხელნაწერებისა და ცულისა აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში (ლენინგრადი). რ. ორბელის მიერ ქართული ხელნაწერების აღწერილობის თაობაზე კი ჩვენ საუბარი გვიქონდა „მნათობის“ ფურცლებზე.

ნაწილი თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერებისა (უმათავრესად ენსტროლარული მემკვიდრეობა) ინახება თბილისში.

თეიმურაზ ბატონიშვილის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, შექმნა. იგი იყო აკადემიკოსი შარა ბროსეს (1802-1880) მთავარი მეცნიერი კონსულტანტი, მისმა ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველმეტყველების ჩასახვისა და მერმინდელი განვითარების საქმეში. არ იყო შემთხვევითი, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი გასული საუკუნის 30-იან წლებში აირჩიეს პარიზის სახიო საზოგადოების ნამდვილ წევრად, ხოლო 1837 წელს — პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

თეიმურაზს სხვადასხვა დარგში უხდებოდა ნყოფიერი მუშაობა. ეს დარგებია: საქართველოს ისტორია (წერილობითი ძეგლები, ნუმიზმატიკა და ეპიგრაფიკა, ბერძენი, სომეხი და სხვა ავტორები), ქართულ ხელნაწერთა შეგროვება და აღწერა და ბირველი ცდები ქართულ პალეოგრაფიაში, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ლექსთწყობის თეორია, ქართული ენა (უმათავრესად — ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია). ცნობილია, აგრეთვე თეიმურაზის თარგმანები რუსულადან, ლათინურიდან, სომხურიდან, სპარსულიდან; იგი ფლობდა აგრეთვე ბერძნულ ფრანგულ, არაბულ და თურქულ ენებს, სწავლობდა სირიულსაც.

თეიმურაზ ბაგრატიონი ავტორია კრიპტოგრაფიული ანბანებისა. ამ საიდუმლო ანბანებითაა შესრულებული ტექსტები, რომლებიც დაცულია მის ხელნაწერთა ფონდებში.

ზოგიერთი ტექსტის წაიკითხვაში ლეაწილი მიუძღვის გ. მიქაძეს, კ. გრიგოლისს და ა. კობახიძეს.

არ არის ჩვენთვის მთლად ნათელი, რატომ დავეიტოვა თეიმურაზმა ზოგიერთი თავისი ჩანაწერები კრიპტოგრაფიული ანბანით. ვარდა იმისა, რომ მას წმინდა გრაფიკული ინტერესები ემორჩილებოდა, ვერ გამოვრჩიებთ აქ პოლიტიკურ მომენტსაც, რითაც გამართლებულია თეიმურაზისეული კრიპტოგრაფიული ჩანაწერები... ამ გარემოებაზე საყვირებით კატეგორიულად მიუ-

თითებს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი (გვ. 396).

გასაღები ერთ-ერთი ანბანისა, რომლითაც წმინდა სარგებლობდა თეიმურაზი, მას არ დაუტოვებია. ხელნაწერთა კოლექციაში შენახულია გასაღები სამი ანბანისა, რომელთაგან ერთი თეიმურაზის მოგონილია, მეორე როგორც ჩანს, მიეწერება მის ძმას — დავითს, მესამე უცნობი ავტორისაა. მათ თეიმურაზი არ იყენებდა (ე. ი. ტექსტები არაა შენახული ამ სამი სახეობის ანბანებით).

რ. ორბელის შრომაში ყველა ეს ანბანი მოცემულია ტაბულების სახით და მიწერილია ქართული (მხედრული) ეკვივალენტებით.

ავტორი ვარაუდობს, რომ ის ანბანი, რომლითაც შესრულებულია ტექსტები, თეიმურაზს გამოუმუშავებია პეტერბურგში 1811 წლიდან იქნის წლებამდის, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც იგი შეუდგა ენების შესწავლას და ეწეოდა დაძაბულ ლიტერატურულ მუშაობას.

რა ელემენტებისაგანაა შედგენილი ეს ძირითადი ანბანი, გამოვანილი თეიმურაზის მიერ?

თეიმურაზ ბაგრატიონის ანბანი შედგენილია ასომთავრული (ა, ბ, გ, დ, ე, ი, ლ, მ, ნ, ს, ტ, ძ, წ, ხ), ქართული მხედრული (რ, ყ, ზ, ბერძნული (გ, თ, კ, ე, ჭ, შ, ზ), ლათინური (ზ, ო, ლ) და სლავური (უ, ფ, ც) ალფაბეტების ელემენტებისაგან; არ ჩანს, საიდანაა აღებული ბ, ჯ (ალბათ შილანად მოგონილია). ხმაებიდან გამოსული ასოები (იორტა, ვიჟ, ხარი და სხვ.) ანბანში არ გვხვდება. რატომღაც არც „ჰ“ მოიპოვება.

მეორე თეიმურაზისეული ანბანი (რომლის გასაღები შემონახულია მაგრამ ტექსტები — არა, როგორც ეს ზემოთ ითქვა), უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი (ასე, მე-18 საუკ. ბოლის ან მე-19 საუკ. დასაწყისში). ზოგიერთ ასოს მოყვანილობა არაბული გრაფიკის ნიადაგზე უნდა იყოს გამოიმუშავებული (ე, რ, ს, ტ, პ), დასძენს რ. ორბელი.

ასეთი ანბანთა შედგენილობა — სტრუქტურა. რა ხასიათისაა ეს კრიპტოგრაფიულად შესრულებული ჩანაწერები, ე. ი. რა ტექსტებია შენახული?

უწადლებას იპურობს თეიმურაზისეული ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძმასთან — დავით ბატონიშვილთან, ქართველ ვოლტერიაწულთან (1767 — 1819). აქაა დავითის მინაწერი შანამეს ხელნაწერზე: „თუ ვინმე პარცა იკადროთ, ნუ გეფიქრებთა წყევისა“. ჩაწერილია აგრეთვე რუსი ლექსების ტერმინული და ბესტურევის გამოთარგმანები რუსულად, ფიქსირებული ქართული ტრანსკრიფციები:

„Что посеяно то будет пожато“ (რთლავი), „Семена посеяны, цветы произрастут,

გაიდახ ნუდუტ" (ბესტუჟევი). რ. ორბელი ამ-  
ზობს, რომ ამ ჩანაწერებს კომენტარები არ ახ-  
ლავს, მაგრამ ეს სიტყვები უფოლ პოზიტიუ-  
რადია მოხსენებული, რაც რამდენადმე შეუქს  
ფენს თეიმურაზის პოლიტიკურ შეხედულებე-  
სა (გვ. 399).

თეიმურაზის კრიპტოგრამებში არის ერთი  
ლექსი, რომელიც დღემდის არაა გამოქვეყნე-  
ბული. მისი ავტორია იოანე თარხნიშვილი, არც  
თარხნიშვილია ცნობილი, როგორც პოეტ-  
ლექსი დაწერილია თემაზე, რომელსაც მიეძლე-  
ნება ბესიეს და ვრიგოლ დადიანის (იოანე  
გეგეკორის) ცნობილი ლექსები, ესაა „რუხის  
პრძოლა თქმული იოანე თარხანოვისა როტმეის-  
ტრისა“.

ლექსის პირველი სტროფებია:

„რუხს შეიყარნენ იმერნი:  
პანჯლიან გაკრებილები,  
მეგრეთ მივიდნენ საშველად,  
ვინ იყვნენ გულთ რხილები

მათ გწყოთ! უბეთ, საქურვლად  
ბაწარი დაგრებილები  
იქით აფხაზნი მოვიდეს,

ზურგთ ესხათ ღართად ქილები“...

ვინ იყო იოანე თარხნიშვილი? იგია გიორგი  
მე-12 შვილიშვილი და თეიმურაზ ბაგრატიონის  
ძმისშვილი (გარდ. 1855 წ.) სარეცენზიო ნაშრო-  
მის ავტორი ფიჭრობს, და ამ აზრს ჩვენ უნდა  
დავეთანხმოთ, რომ თარხნიშვილის ნაწარმოებს  
არ ატყუია ბესიეს ან გეგეკორის ანალოგიურ  
თემაზე დაწერილი ნაწარმოებთა ვაეღენა და  
მისა წყარო უფრო ზეპირსიტყვიერება უნდა  
იყოს.

მეღევეარი რ. ორბელი დაუღაღავად მუშაობს  
ლენინგრადის ქართული ზეღნაწერების მეცნე-  
რული აღწერისა და დამუშავების დარგში. ვი-  
მეღოენებთ, იგი კელავაღ საინტერესო ნაშრო-  
მებს შესძენს ქართულ ფილოლოგიას.

უნდა იყოს: ეწყოთ

შოთა ქიმიჯარი



# ახალი წიგნები



## გამომცემლობა „საბავოთა საქართველო“

3. ი. ლენინი — თბულებანი. ტომი 26. გვ. 869, ფასი 8 მან.  
3. ვ. ეზაიაშვილი — ე. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. რედ. გ. აბაიშვილი. გვ. 430, ფასი 9 მან.  
ა. შახარაძე — ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა კომუნისმის მშენებლობაში. რედ. დ. ჯაბუა. გვ. 86, ფასი 1 მან.  
ი. შ. იაბლონოვსკი — ფიზიკური კულტურა მოხუცებულობის ასაკში. თარგმ. ბ. დარსაძისა. რედ. ი. არაბული. გვ. 183. ფასი 2 მან. 50 კაპ.  
რაფდენ გვიტაძე — თბულებანი. ტომი 2. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 404, ფასი 11 მან.  
როსტომ ბეჟანიშვილი — სამამულე რქა. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 395, ფასი 8 მან.

## საბავოთა მწერალი

- ემილ ზოლა — ნანა. თარგმ. ნუნუ ქადგიშვილისა. რედ. ი. ქაფეარაძე, ნ. ხომერჩი. გვ. 492, ფასი 16 მან.  
ერემია ქარელიშვილი — ლიტერატურული ნარკვევები. რედ. ნ. ხომერჩი. გვ. 592. ფასი 16 მან. 30 კაპ.  
ჯანსუღ ჩარქვანი — ერთი ღამის სიჩუმეში. რედ. კ. კალაძე. გვ. 71, ფასი 95 კაპ.  
ლატვიური მოთხრობები — რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 317, ფასი 6 მან. 65 კაპ.

## საბლიტბაში

- შალვა დადიანი — განგაშა. რედ. ზ. ქუმბურძიძე. გვ. 134, ფასი 2 მან.  
ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი — შეზღვენილი ანა ლვინიაშვილი. რედ. ნონა კალანდარიშვილი. გვ. 343, ფასი 10 მან.  
პარიეტ ბიჩერ-სტოუ — ბიძია თომას ქობი. თარგმანი შ. კლიმიაშვილისა. რედ. ე. ძიძიგური. გვ. 260, ფასი 6 მან.  
ბეზარეონ ულენტი — ეგნატე ნინოშვილი. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 102, ფასი 1 მან. 65 კაპ.  
ტ. სიომუშკინი — ჩუკოტკა. თარგმ. ე. რაჭიკაშვილისა. რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 426. ფასი 9 მან. 20 კაპ.

21